

ჰენრიკ იბსენი



---

# დრამები

ორ ტომად

ჰენრიკ იბსენი



---

# დრამები

ტომი



თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა

გამომცემლობა „ირმისა“ 1995

#### 84.4 Hop7-6

o 328

გამომცემლობა „ირმისა“ მკითხველს სთავაზობს დიდი ნორვეგიელი მწერლის, მსოფლიო დრამატურგიული ხელოვნების ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის ქენრიკ იბსენის (1828-1906) შედევრთა ორტომეულს.

საბამომცემლო საბჭო:

ჭემალ აჭიაშვილი, შადიმან ბიწაძე, ბაჩანა ბრეგვაძე.  
პარმენ მარგველაშვილი, ვაჟა შუბითიძე, როსტომ ჩხეიძე,  
თამაზ ჩხენკელი.

გამომცემლობა „ირმისა“ მადლობას უხდის ბატონ  
ასლან აბაშიძეს დიდსულოვანი დახმარებისთვის.

The „Irmisa“ Publishers extend their thanks to  
**Aslan Abashidze** for his magnanimous help.



გარეული  
იხვი

## მოქმედი პირნი:

ვერლე, მდიდარი კომერსანტი, ფაბრიკანტი და ა. შ.

გრეგერს ვერლე, მისი ვაჟი.

მოხუცი ეკდალი.

იალმარ ეკდალი, მოხუცის ვაჟი, ფორტოგრაფი.

გინა ეკდალი, იალმარის ცოლი.

ხედვიგი, მათი ქალიშვილი, თოთხმეტი წლისა.

ფრუ ბერტა ხერბიუ, მნე ქალი ვერლეს სახლში.

რელინგი, ექიმი.

მოლვიკი, ყოფილი ლეთისმეტყველი.

გრობერგი, ბუხჰალტერი.

პეტერსენი, ვერლეს მსახური.

იენსენი, დაქირავებული ლაქია.

ჩასუქებული და ფერმკრთალი ბატონი.


მელოტი ბატონი.

ბეცი ბატონი.

ექვსი სხვა ბატონი, ვერლეს სტუმრები.

რამდენიმე დაქირავებული ლაქია.

პირველი მოქმედება მიმდინარეობს კომერსანტ ვერლესას, შემდგომი ოთხი — ფორტოგრაფ ეკდალის სახლში.



## პირველი მოქმედება

მდიდრულად და კომფორტულად მორთული კაბინეტი ვერლეს სახლში: წიგნის კარადები, რბილი ავეჯი, შუა ოთახში — საწერი მაგიდა, ზედ დახვეწებული წიგნებითა და საკანცელარიო ქაღალდებით; მწვანე აბაეურიანი ლამპები მკრთალად ანათებენ ოთახს. შუა კედელში ფართოდ გაღებული კარია, აქეთ-იქით გადაწეული პორტიერებით, საიდანაც მოჩანს გემოვნებით მორთული, ლამპებითა და ბრებით გაჩაჩხაბებული ვრცელი დარბაზი. წინ, ხელმარჩენივ, კაბინეტში შპალერგაკრული პატარა კარია, რომელიც კანტორაში გადის; ხელმარცხნივ კი — ღუმელი, რომელშიაც ნაკვერცხლები ღვივის. უფრო მოშორებით, სიღრმეში — სასადილო ოთახის ორსაგდულიანი კარი, ლივრებაში გამოწყობილი პეტერსენი, კომერსანტის მსახური, და დაქირავებული ლაქია იენსენი, რომელსაც შავი ფრაკი აცვია, კაბინეტს ალაგებენ. დარბაზშიაც რამდენიმე დაქირავებული ლაქია მოჩანს, რომლებიც აგრეთვე ალაგებენ იქაურობას და სანთლებს ანთებენ. სასადილო ოთახიდან მრავალრიცხოვანი სტუმრების ყაყანი და სიცილ-ხარხარი, დანა-ჩანგლის და ქიქების წკრიალი ისმის. ბოლო სიჩუმე ჩამოვარდება. ვიღაცა სადღეგრძელოს ამბობს, რომელსაც „ბრაუოს“ ძახილით ხვდებიან, და კვლავ იწყება ყაყანი და სიცილ-ხარხარი.

**პეტერსენი** (ღუმელის თავზე შემოდგმულ ლამპას ანთებს და აბაეურს უკეთებს). ერთი ამ ჩვენს ბერიკაცს უსმინეთ, იენსენ, როგორ გაქიმა ფრუ სერბიუსს სადღეგრძელო.

**იენსენი** (სავარძელს მოაჩოჩებს). მართალია, რომ ამბობენ, ვითომ ნახშირკმულეები არიანო?

**პეტერსენი**. ეშმაკმა იცის.

**იენსენი**. თავის დროზე დიდი მუსუსი კი იყო.

**პეტერსენი**. აბა!

**იენსენი**. ამბობენ, შვილის საპატივეკმულოდ იხდის წვეულებასო.

**პეტერსენი**. დიახ, გუშინ ჩამოვიდა.

**იენსენი**. არც კი ვიცოდი, რომ კომერსანტ ვერლეს შვილი ჰყავდა.

**პეტერსენი**. როგორ არა. მხოლოდ ქარხანას არ სცილდება, „მთის ხევში“ რაა. აგერ რამდენი წელია ამ სახლში ვარ და ერთხელაც არ ჩამოსულა ქალაქში.

მეორე დაჭირავებული ლაქია (დარბაზის კარში). პეტერსენ, ვილაც ბერიკაცია...

პეტერსენი (ბუზღუნებს). რა ეშმაკმა მოათრია ამ დროს?

მარჯვენა მხრიდან გამოჩნდება მოხუცი ეკდალი; ვაკეთილი პალტო და მატყლის ხელთათმანები აცვია; პალტოს საუელო აწეული აქვს; ხელში ჯოხი და ბეწვის ქული უჭირავს, ილიაში ქალაღში გახვეული პაკეტი ამოუჩრია. მუქი წითური, ქუქყიანი პარიკი და მოკლედ შეკრეპილი ქალარა უღვაშები.

(ახლად მოსულს უახლოვდება). კი მაგრამ... რაზე გარჯილხართ?

ეკდალი (კარშივე). კანტორაში მაქვს საქმე, პეტერსენ. აუცილებლად უნდა შევიდე.

პეტერსენი. კანტორა უკვე ერთი საათია, რაც დაიკეტა და...

ეკდალი. ეგ ქვემოთ, კიშკარშივე მითხრეს, ძვირფასო, მაგრამ გრობერგი ჯერ კიდევ კანტორაში ზის. თუ შეიძლება, გამატარეთ, პეტერსენ. (პატარა კარზე ანიშნებს). ეს გზა ნაცნობია ჩემთვის.

პეტერსენი. კარგი, კარგი, შებრძანდით. (კარს უღებს). მხოლოდ გახსოვდეთ: აქეთობისას მთავარი გამოსასვლელით გამოხვალთ. ჩვენ სტუმრები გვყავს.

ეკდალი. ვიცი, ვიცი... კმ! მადლობელი ვარ, ძვირფასო! გმადლობთ, მეგობარო! (ხმადაბლა, ბუზღუნით). ბრიყვი! (კანტორაში შედის).

პეტერსენი კარს ხურავს.

იენსენი. ესეც კანტორაში მუშაობს?

პეტერსენი. არა, ხანდახან რაღაც-რაღაცეებსა წერს. თავის დროზე კი ესეც კაი ფხიანი ბიჭი იყო.

იენსენი. ზედვე ეტყობა. უბრალო კაცს არც ახლა ჰგავს.

პეტერსენი. მდაა! დაიჯერებთ? — ოდესღაც ლეიტენანტი იყო.

იენსენი. რას ამბობთ? ლეიტენანტი?

პეტერსენი. დიახ. მაგრამ შემდეგ ხე-ტყით ვაქრობასა თუ რაღაც ამდაგვარს მიჰყო ხელი. ამბობენ, ამ ჩვენს კომერსანტს ძალზე ცუდი ოინი უყო. ქარხანა, „მთის ხევში“ როა, უწინ ორივეს ეკუთვნოდა, გესმით? მე კარგად ვიცნობ ბერიკაცს. ხანდახან თითო კიქა არაყს ერთადა ვხუხავთ, ან ბავარიულ ლუდსა ვსვამთ მადამ ერიკსენის ტრაქტირში.

იენსენი. არადა, რომ შეხედო, იტყვი, ამას რა აქვს, რომ...

პეტერსენი. როგორ გეკადრებათ, ის კი არა, პირიქით, მე თვითონ ვპატიყებ. ჩემის აზრით, პატივი უნდა ვცეთ კეთილშობილ კაცს, რომელსაც ამისთანა უბედურება შეემთხვა.

იენსენი. გაკოტრდა თუ რა?

**პეტერსენი.** უფრო უარესი. ციხეში იჯდა.

**იენსენი.** ციხეში?

**პეტერსენი.** თუ სატუსალოში. (აყურადებს). სსუ!... აიშაღნენ.

ორი ლაქია შიგნიდან აღებს სასადილო ოთახის კარს. პირველი გამოჩნდება ფრუ სერბიუ, რომელიც ორ ბატონს ესაუბრება. მათ უკან მოჰყვებიან დანარჩენები, რომელთა შორისაა თვით ვერლეც. სულ ბოლოს მოდიან იალმარ ეკლავი და გრეგერსი ვერლე.

**ფრუ სერბიუ** (ჩაულისას). ყავა საკონცერტო დარბაზში მოგვართვი, პეტერსენ!

**პეტერსენი.** ბატონი ბრძანდებით.

ფრუ სერბიუ თავის ორ თანამოსაუბრესთან ერთად მეორე ოთახში გადის და იქ ხელმარჩენივ უხვევს. მათ უკან მისდევენ პეტერსენი და იენსენი.

**ჩასუქებული და ფერმკრთალი ბატონი** (მელოტს). იფ!.. აი, მესმის სადილი!.. მაგრა კი ვიმუშავებ!

**მელოტი.** აბა, აბა! ხანდახან არც კი დაიჭერებ, თუ გული გულობს, სულ რაღაც სამი საათის განმავლობაში რამდენი რამე შეიძლება მოასწრო კაცმა.

**ჩასუქებული.** დიახ, მაგრამ აწი იქნება, რაც იქნება, ძვირფასო კამერპერო!..

**მესამე ბატონი.** ამბობენ, ყავას და ლიქიორს საკონცერტო დარბაზში მოგვართმევენო.

**ჩასუქებული.** ბრავო! ვინ იცის, იქნებ ფრუ სერბიუმ დაუკრას კიდეც.

**მელოტი** (ხმადაბლა). მე იმისი მეშინია, ვაითუ თავისებურად აუკრას და სულ მალე მშრალზე დაგვტოვოს.

**ჩასუქებული.** არა, ბერტა თავის ძველ მეგობრებს არ მიატოვებს! ორივენი ხითხითით გადიან მეორე ოთახში.

**ვერლე** (ხმადაბლა, შეცბუნებული). იმედია, არავის შეუნიშნავს, გრეგერს!

**გრეგერსი** (უყურებს). რა?

**ვერლე.** ვერც შენ შენიშნე?

**გრეგერსი.** მაინც რა უნდა შემენიშნა?

**ვერლე.** სუფრას ცამეტნი ვუსხედით.

**გრეგერსი.** მართლა? ცამეტნი?

**ვერლე** (იალმარ ეკლავს გადახედავს). საერთოდ, ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ ყოველთვის თორმეტ სულზე ვშლით სუფრას... (დანარჩენ სტუმრებს). გთხოვთ, ბატონებო! (მათთან ერთად ხელმარჩენივ, მეორე ოთახში გადის; მხოლოდ გრეგერსი და იალმარ ეკლავი რჩებიან).



იალმარი (რომელმაც უფრო მოჰკრა მამა-შვილის საუბარს). არ უნდა მოგეპატიეებინე, გრეგერს.

გრეგერსი. ვითომ რატომაო? როგორც ამბობენ, სტუმრები ჩემს საპატივცემულოდ დაჰპატიეეს და მე ჩემი საუკეთესო, ერთადერთი მეგობარი არ მომეწვია?

იალმარი. ჰო, მაგრამ მამაშენს, მგონი, არ მოეწონა. მე ხომ აქ არასოდეს დავდივარ.

გრეგერსი. დიახ, დიახ, მითხრეს. მაგრამ ხომ უნდა მენახე და ლაპარაკით გული მეჭერა? მე, ალბათ, მალე წავალ... წარმოგიდგენია, რამდენი ხნის მეგობრები ვართ და ვინ იფიქრებდა, რომ, ბოლოს, ჩვენი გზები ასე გაიყრებოდა? აგერ უკვე თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წელი იქნება, რაც ერთმანეთი არ გვინახავს.

იალმარი. მართლა?

გრეგერსი. რა თქმა უნდა. აბა, მითხარი, რასა იქმ, როგორა ხარ? ისე, კაცმა რომ შემოგხედოს, გაუხარდება. მგონი, კიდევ გასუქდი, ისეთი სოლიდური გახდი.

იალმარი. ჰმ, სოლიდური, ალბათ, არ მეტქმის, მაგრამ წლები თავისას შერება, მას აქეთ, ცოტა არ იყოს, დავსრულდი და დავეაჟაკდი.

გრეგერსი. დიახ, დიახ, გარეგნულად მშვენივრად გამოიყურები.

იალმარი (ცოტა არ იყოს, პირქუშად). ეჰ, შენ შიგნით იკითხე! მტრისას! ხომ იცი, რა უბედურება დაგვატყდა თავს მას აქეთ, რაც ერთმანეთი აღარ გვინახავს.

გრეგერსი (ხმას დაუწევს). ჰო, მართლა, მამაშენი როგორაა?

იალმარი. მოდი, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. საცოდავი მამაჩემი, რასაკვირველია, ჩემთან ცხოვრობს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სხვაგან სად უნდა იცხოვროს, ჩემს მეტი ვინა ჰყავს? მაგრამ, იცი რა? წარმოუდგენლად მიძიმს ამაზე ლაპარაკი. უმჯობესია, შენ თვითონ მითხრა, როგორა ხარ იქ, ქარხანაში?

გრეგერსი. შესანიშნავად. ვარ, ჩემთვის, მარტო: რაზეც გინდა იფიქრე, იოცნებე... მოდი აქ, ჩვენთვის ჩამოვსხდეთ. (ღუმელის ახლოს, სავარძელში ჭდება და იალმარსაც თავის გვერდით, მეორე სავარძელში სვამს).

იალმარი (გრძნობამორევეთ). ასეა თუ ისე, მაინც მადლობელი ვარ შენი, გრეგერს, მამაშენის პურ-მარილზე რომ დამპატიე. ახლა კი მჭერა, რომ ნაწყენი აღარა ხარ ჩემზე.

გრეგერსი (განცვიფრებით). კი მაგრამ, ვინ გითხრა, რომ ნაწყენი ვიყავი?

იალმარი. არა, პირველ ხანებში მაინც...

**გრეგერსი.** რა პირველ ხანებში?..

**იალმარი.** იმ ჩვენი უბედურების შემდეგ. თუმცა გასაგებიცაა...  
შენის მხრივ... კინალამ მამაშენიც არ ჩაითრიეს... მთელს ამ  
საშინელებაში.

**გრეგერსი.** მერედა, ამიტომ უნდა ვყოფილიყავი შენზე ნაწყენი?  
ვინ მოვახსენა?

**იალმარი.** არა, მე ხომ ვიცი, გრეგერს. მამაშენმა თვითონვე მითხრა.

**გრეგერსი** (გაოგნებული). მამაჩემმა?.. აი, თურმე!.. ჰმ!.. მაშ, შენ  
ამიტომ იყო, რომ მას აქეთ აღარაფერი მოგიწერია?..  
არცერთი სიტყვა...

**იალმარი.** დიახ.

**გრეგერსი.** მაშინაც კი, როცა გადაწყვიტე ფოტოგრაფი გამხდა-  
რიყავი?

**იალმარი.** მამაშენი მეუბნებოდა, უმჯობესია, არაფერი მისწერო.

**გრეგერსი** (გაშტერებული იუყრება წინ). დიახ, დიახ, ვინ იცის, იქნებ  
მართალიც იყო... მაგრამ ახლა მაინც მითხარი, იალმარ...  
კმაყოფილი ხარ შენი მდგომარეობით?

**იალმარი** (ამოიოხრებს). ისე რა, კაცმა რომ თქვას, სამღურავი  
არაფერი მაქვს. თავდაპირველად, ადვილი მისახვედრია, ცოტა  
გამიჭირდა. ხომ იცი, სულ სხვანაირ ცხოვრებას ვიყავ ნაჩვევი.  
და საერთოდაც, ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. მამაჩემის  
ეს უბედურება, გაკოტრება... სირცხვილი, თავის მოჭრა,  
გრეგერს.

**გრეგერსი** (შეძრწუნებული). დიახ, დიახ.

**იალმარი.** სწავლის გაგრძელებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.  
გახვეტილი გროშიც აღარ გვებადა. ის კი არა და, ვალებში  
აღმოვჩნდით ჩაფლული... როგორც ჩანს, უპირატესად მამა-  
შენის ვალი დაგვედო...

**გრეგერსი.** ჰმ...

**იალმარი.** ჰოდა, მეც გადავწყვიტე. ერთბაშად გამეწყვიტა ყველა  
ძველი კავშირი და ნაცნობობა. უფრო სწორად, მამაშენმა  
მირჩია. და რაკი ისეთი დიდსულოვნება გამოიჩინა, რომ  
დახმარებას დამპირდა...

**გრეგერსი.** მამაჩემი?

**იალმარი.** ვითომ არ იცი? მაშ, სად უნდა მეშოვა ფული, რომ  
ხელობა მესწავლა და სახელოსნო გამეხსნა? არც ისე იაფია.

**გრეგერსი.** და მთელი ეს ფული მამაჩემმა მოგცა?

**იალმარი.** დიახ, დიახ, ჩემო ძვირფასო. მართლა პირველად გესმის  
თუ რა? რა ვიცი, მისი სიტყვებიდან ისე ჩანდა, თითქოს  
ყველაფერს გწერდა.

**გრეგერსი.** არცერთი სიტყვა არ მოუწერია იმის თაობაზე, რომ ყოველივე ეს თვითონ მოაგვარა. ალბათ, დაავიწყდა. ერთმანეთს შორის მხოლოდ საქმიანი მიმოწერა გვაქვს. ესე იგი, მამაჩემმა!..

**იალმარი.** რა თქმა უნდა. მხოლოდ არ უნდოდა, ვინმეს გაეგო. მაგრამ ყველაფერი ნამდვილად მან მოაგვარა. სწორედ მან შემიწყო ხელი იმაშიც, რომ ცოლი შემერთო... თუ არც ეს იცი?

**გრეგერსი.** არა, მართალი გითხრა, არც ეს ვიცოდი. (მხარზე ხელს მოუთათუნებს). რომ იცოდე, როგორ მიხარია და... იმავდროულად, კიდევ ვიტანჯები, ძვირფასო იალმარ. თურმე რა სასტიკად ვცდებოდი, სულ სხვა კაცად რომ ვთვლიდი მამაჩემს... როგორც ჩანს, გულიც ჰქონია და სინიდისიც...

**იალმარი.** სინიდისი?!

**გრეგერსი.** რაც გინდა, ის დაარქვი. არა, მართლა, სიტყვები არ მყოფნის ჩემი სიხარულის გამოსახატავად, იმის გამო, რაც მამაჩემზე მიაძბე... მაშ, შენ დაოჯახდი, იალმარ? ეს უფრო მეტია, ვიდრე ის, რასაც მე ოდესმე მივალწევ. იმედი მაქვს, ბედნიერი ხარ!

**იალმარი.** შერედა, როგორ! ისეთი კარგი მეოჯახე ქალი შემხვდა, რომ უკეთესს ვერც კი ინატრებ. არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს სრულიად გაუნათლებელი იყოს.

**გრეგერსი** (ცოტა არ იყოს, გაკვირვებით). გაუნათლებელი?

**იალმარი.** იცი რა? თვითონ ცხოვრება გვზრდის და გვასწავლის. ყოველდღე ჩემს გვერდით ტრიალი... ეგეც არ იყოს ერთი-ორი ჰქვიანი კაცი ჩვენთანაც დაიარება... ღმერთმანი, ახლა რომ ნახო, ალბათ, ვერც იცნობ გინას.

**გრეგერსი.** გინას?

**იალმარი.** დიახ, ჩემო ძვირფასო. ხომ არ დაგავიწყდა, რომ გინა ჰქვია?

**გრეგერსი.** ვის?.. ვის ჰქვია გინა? მე ხომ სრულიად არ ვიცნობ.

**იალმარი.** დავიჯერო, მართლა არ გახსოვს? ერთხანს ხომ აქ, თქვენ გამსახურებოდათ?

**გრეგერსი.** რას მეუბნები? ესე იგი, გინა ჰანსენი?

**იალმარი.** რა თქმა უნდა, გინა ჰანსენი.

**გრეგერსი.** ჩვენს სახლში რომ დიასახლისობდა, როცა დედაჩემი ლოგინად ჩაეარდა?

**იალმარი.** დიახ, დიახ. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, მე ხომ დანამდვილებით ვიცი, რომ მამაშენმა შეგატყობინა ჩემი დაოჯახების ამბავი.

**გრეგერსი** (დგება). დიახ, მგონი, შემატყობინა... მაგრამ ის კი არ მოუწერია, რომ... მოიცა, იქნებ მართლაც... ღმერთო, გამახსენე... არა, მამაჩემი ყოველთვის ისე მოკლე წერილებს მწერს... (სავარძლის სახელურზე ჩამოქდება). ჰო, მართლა, იალმარ... ძალიან მაინტერესებს, როგორ გაიცანი გინა.

**იალმარი**. ჩვეულებრივად. გინა დიდხანს არ დარჩენილა თქვენსას. ძალიან ბევრი საქმე დაეყარა თავზე. დედაშენი ლოგინად იყო ჩაუარდნილი და გინას აღარ შეეძლო ყველაფერს გასწვდომოდა. ჰოდა, უარი თქვა. ეს დედაშენის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე თუ იმავე წელს მოხდა.

**გრეგერსი**. იმავე წელს. მაშინ მე უკვე ქარხანაში ვიყავი. მერე?

**იალმარი**. მერე გინა დედამისთან, მადამ ჰანსენთან გადავიდა საცხოვრებლად. ისიც მაგარი მეოჯახე ქალი იყო. პატარა სასადილო ჰქონდა გახსნილი და ერთ ოთახს აქირავებდა. ისეთი ნათელი, სუფთა და მყუდრო ოთახი იყო.

**გრეგერსი**. ალბათ, ბედმა გაგიღიმა და სწორედ ის ოთახი დაიქირავე.

**იალმარი**. დიახ. ისიც მამაშენმა მიმასწავლა. ჰოდა... აი, სწორედ მაშინ გაიცანი გინა.

**გრეგერსი**. და შეირთე კიდევ?

**იალმარი**. დიახ. ახალგაზრდების ამბავი ხომ მოგეხსენება?.. ჰმ...

**გრეგერსი** (დგება და ბოლთას სცემს). ერთი ეს მითხარი... ცოლად რომ შეირთე, მამაჩემმა მაშინ ხომ არ... უფრო სწორად, მე მინდოდა მეკითხა, მაშინ ხომ არ დაიწყე ფოტოგრაფიის შესწავლა-მეთქი?

**იალმარი**. დიახ, სწორედ მაშინ. ერთი სული მქონდა, როდის მოვიკიდებდი ხელს რაიმე საქმეს. და, აი, მე და მამაშენმა ერთად გადაეწყვიტეთ, რომ ჩემთვის სწორედ ზედგამოჭრილი იქნებოდა ფოტოგრაფობა. ამას ერთმა გარემოებამაც შეუწყო ხელი: რალაც ბედნიერი დამთხვევის წყალობით, გინას თურმე კარგად ეხერხებოდა რეტუშირება.

**გრეგერსი**. გასაოცარი დამთხვევაა.

**იალმარი** (წამოდგება; თვითკმაყოფილი სახით). მართლაც, არა?

**გრეგერსი**. ღმერთმანი. მამაჩემს თითქოს განგების როლი უთამაშნია შენს ცხოვრებაში.

**იალმარი**. გასაკვირში არ მიატოვა თავისი ძველი მეგობრის შვილი. ქეშმარიტად დიდსულოვანი კაცია მამაშენი.

**ფრუ სერბიუ** (ვერღესთან ერთად ხელიხელჩაიდებული გამოდის მეორე ოთახიდან). კრინტი არ დაძრათ, ძვირფასო კომერსანტო.

დადიხართ და სანთლებს ათვალიერებთ. ხომ იცით, ეს მავნეა თქვენთვის.

ვერლე (ხელს უშვებს და მერე თვალებზე მოისვამს). დიახ, დიახ. მართალი ბრძანდებით.

პეტერსენს და იენსენს სინები შემოაქვთ.

ფრუ სერბიუ (ხმაშმა მიმართავს მეორე ოთახში მყოფ სტუმრებს). გთხოვთ, ბატონებო! ვისაც თითო კიკა პუნში სურს, კეთილ ინებოს და აქ გამობრძანდეს!

ჩასუქებული ბატონი (ფრუ სერბიუსთან მიდის). ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა წაგვართვით მოწვევის წმინდათაწმინდა უფლება?

ფრუ სერბიუ. დიახ, აქ, კომერსანტების ბინაში, მოწვევა აკრძალულია, ბატონო კამერკერო.

მელოტი ბატონი. კი მაგრამ, როდის შემოიღეთ, ფრუ სერბიუ, მწვეველთა კოდექსში ესოდენ მკაცრი შეზღუდვა?

ფრუ სერბიუ. ამასწინანდელი სადილის შემდეგ, როცა ზოგ-ზოგი, ცოტა არ იყოს, წრეს გადავიდა.

მელოტი ბატონი. კი მაგრამ, ნუთუ მართლა სასტიკად აკრძალულია ოდნავ მაინც გადასცდე წრეს, ფრუ ბერტა?

ფრუ სერბიუ. დიახ, კამერკერო ბაღე. ყოველად დაუშვებელია.

სტუმრების უმრავლესობამ კაბინეტში მოიყარა თავი. მსახურები პუნშს სთავაზობენ მათ.

ვერლე (მაგიდასთან მდგარ იალმარს). მანდ რას ჩაჰკირკიტებთ, იალმარ? იალმარი. არაფერს; ალბომს ვათვალიერებ, ბატონო ვერლე.

მელოტი ბატონი (ოთახში წრიალებს). აა, ფოტოებს? სწორედ სათქვენო საქმეა.

ჩასუქებული ბატონი (სავარძელში). თქვენი ნამუშევრები ხომ არ წამოგილიათ?

იალმარი. არა.

ჩასუქებული ბატონი. უნდა წამოგეღოთ. საკმლის მონელებას ძალიან უწყობს ხელს, აი, ასე ჯდომა და სურათების თვალიერება.

მელოტი ბატონი. საუბრის თემის გამონახვაც ადვილი ხდება.

ბეცი ბატონი. და ყოველგვარი წვლილი მაღლიერების გრძნობით მიითვლება.

ფრუ სერბიუ. კამერკერების აზრით, თუ ვინმეს სადილად იწვევენ, მან იმისთვისაც უნდა იზრუნოს, რომ პურ-მარტილი დაიმსახუროს, ბატონო ეკდალ.

**ჩასუქებული ბატონი.** იმ სახლში, სადაც ასე გულუხვად უმასპინძლებიან სტუმრებს, ეს მხოლოდ სიამოვნებაა.

**მელოტი ბატონი.** ღმერთო ჩემო! როცა საქმე არსებობისათვის ბრძოლას ეხება, მაშინ...

**ფრუ სერბიუ.** მართალი ბრძანდებით!

კვლავ გრძელდება საუბარი, ხუმრობა და სიცილ-ხარხარი.

**გრეგერსი (ჩუმად).** რატომ შენც არ ჩაურთავ სიტყვას, იალმარ? იალმარი (მხრებს იჩეჩავს). რა უნდა ვთქვა?

**ჩასუქებული ბატონი.** მაშ, თქვენის აზრით, ბატონო ვერლე, ტოკაური ღვინო კუქისათვის სასარგებლოა?

**ვერლე (ღუმელთან).** ტოკაური, რომელსაც დღეს სვამდით, — ნამდვილად. ერთ-ერთი საუკეთესო ჩამოსხმა გახლავთ. მე მგონია, თვითონაც შეატყვეთ.

**ჩასუქებული ბატონი.** დიახ, საუცხოო ღვინოა.

**იალმარი (გაუბედავად).** განა ყველა ჩამოსხმა ერთნაირი არ არის?

**ჩასუქებული ბატონი (იყინის).** არ გადამრიოთ!

**ვერლე (ილიმება).** მოდი ახლა და ამისთანებს შენი ნაქები ღვინოები ასვი.

**მელოტი ბატონი.** ტოკაურ ღვინოს, თქვენი ფოტოებისა არ იყოს, მზე სჭირდება, ბატონო ეკდალ. ფოტოგრაფიისათვის ხომ აუცილებელია მზე?

**იალმარი.** დიახ, მზე, რა თქმა უნდა, ძალზე ბევრს ნიშნავს.

**ფრუ სერბიუ.** რალა ფოტოები და რალა კამერჰერები. როგორც ამბობენ, მათთვისაც ძალზე ბევრს ნიშნავს „მზე“.

**მელოტი ბატონი.** ეე, გაცვეთილი ხუმრობაა!

**ბეცი ბატონი.** ქალბატონი მართლაც ხუმრობს...

**ჩასუქებული ბატონი.** და, თანაც, ჩვენი მისამართით! (თითო ემუქრება). ფრუ ბერტა, ფრუ ბერტა!

**ფრუ სერბიუ.** კი მაგრამ, ხომ მართალია, რომ ერთი ჩამოსხმა განსხვავდება მეორისაგან? რაც უფრო ძველია ჩამოსხმა, მით უფრო უკეთესია.

**ბეცი ბატონი.** თქვენ მე ძველ ჩამოსხმას მაკუთვნებთ?

**ფრუ სერბიუ.** რა თქმა უნდა, არა.

**მელოტი ბატონი.** ჩემზე რალას იტყვი? მაინც რომელ ჩამოსხმას მაკუთვნებთ?

**ფრუ სერბიუ.** თქვენ, ბატონებო, მე გაკუთვნებთ ტკბილ ჩამოსხმას. (კუნძს მოსვამს).

კამერჰერები იყინიან და ფრუ სერბიუს ელაზღანდარებთან.

**ვერლე.** ფრუ სერბიუმ თუ მონინდომა, ყოველთვის დაიძვრენს თავს. ქიკები არ მომიწყინოთ, ბატონებო!.. პეტერსენ, სტუმრებს მიხედეთ! გრეგერს, მოდი ერთი მომიკახუნე!

გრეგერსი ადგილიდან არ იძვრის.

თქვენც, ეკალ, სუფრაზე რატომღაც ვერ მოვახერხე.

პატარა კარიდან თავს გამოყოფს ბუხპალტერი გრობერგი.

**გრობერგი.** მომიტევეთ, ბატონო ვერლე, ვერასდიდებით ვერ მოვახერხე გასვლა.

**ვერლე.** რაო, ისევ ჩაკეტეს?

**გრობერგი.** დიახ, ფლაკსტადი წასულა და გასაღებებიც წაუღია.

**ვერლე.** მაშ, გაიარეთ.

**გრობერგი.** მაგრამ აქ კიდეც ერთი კაცია...

**ვერლე.** გაიარეთ, გაიარეთ, ნუ გერიდებათ.

კანტორიდან გამოდიან გრობერგი და მოხუცი ეკალი. ვერლე შეცბება და უნებური შეძახილთ აღმოხდება მკერდიდან. საუბარი და სიცილი წუდება. იალმარს მამის დანახვისას ტანში გააზრიალებს, სასწრაფოდ მაგიდაზე დგამს ქიქას და ლუმელისკენ იბრუნებს პირს.

**ეკალი** (თვალეში დაბლა დაუხრია, აქეთ-იქით თავს უქნევს სტუმრებს და ჩუმად ბურტყუნებს). გთხოვთ მომიტევეთ. აქ რა მინდოდა?..

კარი ჩაკეტილია... ეს რა დამემართა?.. გთხოვთ მომიტევეთ!  
(გრობერგის კვლადაკვალ მეორე ოთახში გადის).

**ვერლე** (კბილებში გამოსცრის). რა ეშმაკმა შემოათრია ეს გრობერგი?..

**გრეგერსი** (პირდაღებული მისჩერებია იალმარს). შეუძლებელია!..

**ჩასუქებული ბატონი.** რა მოხდა? ვინ იყო ეს?

**გრეგერსი.** არავენ. ბუხპალტერი და კიდეც ერთი კაცი.

**ბეცი ბატონი** (იალმარს). თქვენ იცნობთ?

**იალმარი.** არა... ვერ დავინახე...

**ჩასუქებული ბატონი** (დგება). მაინც რა მოხდა? დალახვროს ეშმაკმა! (დანარჩენ სტუმრებს უერთდება, რომლებიც ხმადაბლა ლაპარაკობენ).

**ფრუ სერბიუ** (ჩურჩულით, პეტერსენს). გადით და ერთი კარგი რამე მიაშავეთ.

**პეტერსენი** (თავს უქნევს). მესმის. (გაღის).

**გრეგერსი** (აღელვებული, ხმადაბლა, იალმარს). მაშ, ეს მამაშენი იყო? **იალმარი.** დიახ.

**გრეგერსი.** და შენ თქვი, არ ვიცნობო?

**იალმარი** (გაცხარებით). მაშ, რა მექნა? განა შეგეძლო?..

**გრეგერსი.** რა არ შეგეძლო? ის, რომ საკუთარი მამა გეცნო?

იალმარი (მწარედ). ეჰ, აბა, ერთი ჩემს ადგილას იყო!

სტუმრებს შორის ჩურჩული წვდება და უცებ ნაძალადეოდ ხმაალაღი  
ლაპარაკით იცვლება.

მელოტი ბატონი (გრეგერსსა და იალმარს უახლოვდება; მეგობრული  
ტონით). აა, სტუდენტობის ამბებს იხსენებთ?.. რაო? თქვენ  
ეწვეით, ბატონო ეკალ? ხომ არ მოგიკიდოთ?.. მაგრამ აჰ  
მოწევა რომ არ შეიძლება?..

იალმარი. გმადლობთ, მე ისე...

ჩასუქებული ბატონი. ლექსებს ხომ არ წაგვიკითხავთ, ბატონო  
ეკალ? უწინ, მახსოვს, მშვენიერად კითხულობდით.

იალმარი. სამწუხაროდ, არცერთი აღარ მახსენდება.

ჩასუქებული ბატონი. აფსუსს, აფსუსს! მაშ, რა მოვიგონოთ, ბაღე?  
ორივე კაბინეტში მიმოდის; შემდეგ მეორე ოთახში გადიან.

იალმარი (პირქუშად). მე წავალ, გრეგერს! ის, ვისაც ბედისწერამ  
თავისი მსახვრალი ხელი შეახო, უკვე... დიდი მადლობა  
გადაეცი მამაშენს.

გრეგერსი. კეთილი. პირდაპირ სახლში წახვალ?

იალმარი. მაშ, სად?

გრეგერსი. ვნახოთ, იქნებ, მოგივინებთ გინახულო.

იალმარი. არა, არ გინდა. ნუ მოხვალ ჩემთან. გული დაგეხურება,  
რე გრეგერს... მითუმეტეს, ამნაირი დიდებული ღრეობის შემდეგ.  
სადმე სხვაგან შევხვდეთ ერთმანეთს.

ფრუ სერბიუ (მოსაუბრებებს უახლოვდება, ჩუმად). მიდიხართ, ეკალ?

იალმარი. დიახ.

ფრუ სერბიუ. მოკითხვა გადაეცით გინას.

იალმარი. გმადლობთ.

ფრუ სერბიუ. უთხარით, რომ ამ დღეებში ვინახულე.

იალმარი. გმადლობთ. (გრეგერსს). ნუ გამაცილებ. მინდა შეუშინე-  
ლად გავიდე. (თითქოს სეირნობსო, ნელი ნაბიჯით გადის მეორე ოთახში  
და ხელმარჯვნივ მიემართება).

ფრუ სერბიუ (ხმადაბლა ეუბნება უკან დაბრუნებულ პეტერსენს). მიეცით  
რამე ბერიკაცს?

პეტერსენი. რა თქმა უნდა. ერთი ბოთლი კონიაკი ჩავუდე ჭიბეში.

ფრუ სერბიუ. უკეთესი კერაფერი ნახეთ?

პეტერსენი. მისთვის ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს, ფრუ სერბიუ?

ჩასუქებული ბატონი (კარშივე, ხელში ნოტები უჭირავს). ოთხი ხელით  
ხომ არ დაგვეკრა, ფრუ სერბიუ?

ფრუ სერბიუ. კეთილი, ახლავე.



სტუმრები. ბრავო, ბრავო!

ფრუ სერბიუ და სტუმრები ხელმარჯნივ გადიან მეორე ოთახში. გრეგერსი ლუმელთან ჩივბა. ვერლე რალაცას დაეძებს საწერ მაგიდაზე; როგორც ჩანს, გრეგერსის გასელას უცდის, მაგრამ ეს უკანასკნელი არ ინძრევა და ვერლე თვითონვე მიემართება კარისაკენ.

გრეგერსი. ერთი წუთით, მამა.

ვერლე (ჩერდება). რა გნებავს?

გრეგერსი. ორიოდ სიტყვა მაქვს შენთან.

ვერლე. არ შეიძლება, ცოტა მოვიცადოთ, როცა მარტონი დავრჩებით?

გრეგერსი. არა, არ შეიძლება. იქნებ, ისედაც მოხდეს, რომ საერთოდ ვერ შევძლოთ მარტო დარჩენა.

ვერლე (უახლოვდება). ვითომ რატომო?

მთელი შემდგომი საუბრის მანძილზე დარბაზიდან ყრულ მოისმის ფორტე-პიანოს ხმა.

გრეგერსი. მთელი ოჯახი ილუპებოდა, შენ კი...

ვერლე. თუ არა ვცდები, ეკლავების ოჯახს გულისხმობ.

გრეგერსი. დიახ, ლეიტენანტი ეკლავი ოდესღაც ახლოს იყო შენთან.

ვერლე. სამწუხაროდ, მეტისმეტად ახლოს. და მე წლების მანძილზე ძალიან ძვირად დამიჯდა ეს სიახლოვე. სწორედ მას უნდა ვუმაღლოდე იმას, რომ ჩემს პატიოსან სახელს ჩირქი მოეცხო.

გრეგერსი. მართლა მარტო ის იყო დამნაშავე?

ვერლე. მაშ, ვინ, შენის აზრით?

გრეგერსი. მაგრამ თქვენ ხომ ერთად წამოიწყეთ ხე-ტყის შესყიდვა?

ვერლე. დიახ. მაგრამ განა ეკლავი არ იღებდა ნაკვეთების გეგმას?.. სამწუხაროდ, არასწორ გეგმას. სწორედ მან დაიწყო სახაზინო ტყის უკანონო კრა. სწორედ ის უღვა სათავეში მთელ საქმეს. პირადად მე განზე ვიდექი და არც კი ვიცოდი, რას სჩადიოდა ლეიტენანტი ეკლავი.

გრეგერსი. ლეიტენანტმა ეკლავმა, ალბათ, თვითონაც არ იცოდა, რას სჩადიოდა.

ვერლე. შეიძლება. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ მას მსჯავრი დასდეს, მე კი გამამართლეს.

გრეგერსი. ვიცი, შენს წინააღმდეგ სამხილი არ აღმოჩნდა.

ვერლე. რახან გამამართლეს, მაშასადამე, მართალი ვარ. კი მაგრამ, მაინც რამ მოგაფიქრა ამ ძველი დავიდარაბის ჩხრეკა, რამაც მე ასე ნაადრევად გამაქალაჩავა? აი, თურმე რაზე ფიქრობდი

მთელი ამ წლების მანძილზე იქ, ქარხანაში. შემძლია დაგარწმუნო. გრეგერს, რომ აქ, ქალაქში. ეს ამბავი რა ხანია დავიწყებას მიეცა... ყოველ შემთხვევაში, იმდენად მაინც, რამდენადაც მე მეხება საქმე.

**გრეგერსი.** კი მაგრამ, უბედური ეკალები?..

**ვერლე.** მაინც რას მიბრძანებ, რა უნდა მეშველა მათთვის? როდესაც ეკალი ციხიდან გამოვიდა, ის უკვე განადგურებული კაცი იყო, სრულიად უმწეო და უსუსური. არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ერთი-ორი საფანტი მოხვედრათ თუ არა, მაშინვე ფსკერზე ეშვებიან და ველარასოდეს ველარ ახერხებენ ამოყვინთვას. ენდე ჩემს სიტყვას, გრეგერს, ბერიკაცისათვის არაფერი დამიკლია, რის საშუალებასაც გარემოება მაძლევდა... ესე იგი, რაც შემძლო გამეკეთებინა ისე, რომ ზედმეტი საბაბი არ მიმეცა ათასგვარი ექვისა და მითქმა-მოთქმისათვის.

**გრეგერსი.** მითქმა-მოთქმისთვის?.. ჰო, რა თქმა უნდა.

**ვერლე.** ბრძანება გავეცი, ბერიკაცისათვის კანტორიდან გადასაწერად მიეცათ რამე, და გაცილებით მეტს ვუხდი, ვიდრე მისი შრომა ღირს...

**გრეგერსი** (ამას არ უყურებს). ჰმ... ექვიც არ მეპარება.

**ვერლე.** დამკინი? ესე იგი, არ გჯერა ჩემი. ხარჯთაღრიცხვის წიგნებში, რა თქმა უნდა, ამის შემოწმება არ შეიძლება. მე არასოდეს არ ვიწერ ამნაირ ხარჯებს.

**გრეგერსი** (დაინფით). დი-ახ, ზოგიერთი ხარჯი, უმჯობესია არ ჩაიწერო.

**ვერლე** (გაოგნებული). რას გულისხმობ?

**გრეგერსი** (მხნეობას იკრებს). იალმარ ეკალსაც ხომ შენ გადაუხადე სწავლის საფასური, როცა ფოტოგრაფობას სწავლობდა? ეს ხარჯი მაინც თუ შეიტანე გასაავლის წიგნში?

**ვერლე.** რა კითხვებს მაძლევ?

**გრეგერსი.** ო, ამას თავისი მიზეზი აქვს. ერთი ეს მითხარი, ასეთი გულმზურვალე დაინტერესება შენი ძველი მეგობრის შვილის ბედობლით... სწორედ იმ დროიდან იწყება, როცა მან ცოლის შერთვა გადაწყვიტა?

**ვერლე.** დალაზეროს ეშმაკმა!.. აბა, რა მახსოვს ამდენი წლის შემდეგ?

**გრეგერსი.** მაშინ შენ მომწერე — პირწმინდად საქმიანი წერილი, რალა თქმა უნდა — და მინაწერში გაკვრივით ახსენე, იალმარ ეკალმა ფრიოკენ ჰანსენი შეირთოო.

**ვერლე.** დიახ, სწორედ ეს იყო საცოლის გვარი.

- გრეგერსი.** მაგრამ კრინტი არ დაგიძრავს იმის თაობაზე, რომ ეს ჰანსენი ჩვენი ყოფილი მნე — გინა ჰანსენი იყო.
- ვერლე** (ნაძალადევი დაცინვით). რა ვიცოდი, რომ ასე გაინტერესებდა ჩვენი ყოფილი მნე?
- გრეგერსი.** მეტი საქმე არა მაქვს. მაგრამ... (ხმას დაუწევს). ჩვენს სახლში ვილაცას კი ძალიან ინტერესებდა იგი.
- ვერლე.** რას მიედ-მოედები? (წამოვნება). იქნებ, მე მგულისხმობ?
- გრეგერსი** (ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ). ღიახ, სწორედ შენ.
- ვერლე.** როგორ მიბედავ?... აა, ეს უმადური, ეს ფოტოგრაფი... რა სინილისი აძლევს, რომ ამნაირი ბრალდება წამომიყენოს?
- გრეგერსი.** იალმარს ერთი სიტყვაც არ დასცდენია ამაზე. მე მგონია, წარმოდგენაც არა აქვს...
- ვერლე.** მაშ, შენ ვინ გითხრა? ვინ გითხრა ეს?..
- გრეგერსი.** საცოდავმა დედაჩემმა. უკანასკნელად რომ ვნახე, მაშინ მითხრა.
- ვერლე.** დედაშენმა! ასეც ვიცოდი. თქვენ ყოველთვის პირი გქონდათ შეკრული. სწორედ ის გამხედრებდა იმთავითვე ჩემს წინააღმდეგ.
- გრეგერსი.** არა, ის კი არა, არამედ მისი არაადამიანური ტანჯვა-წამება, რამაც მოტეხა, მოაღწო და ნაადრევად მოუღო ბოლო.
- ვერლე.** ო, დამერწმუნე, სულ ტყუილად იტანჯებოდა. ყოველ შემთხვევაში, უფრო მეტი საბაბი არა ჰქონდა, ვიდრე სხვა ქალებს. მაგრამ ავადმყოფურსა და ეგზალტირებულ არსებებთან რამეს გახდები? ჩემს თავზე ვიწვინე ეს... ახლა კი შენ გაწამებს იგივე ეჭვი... ერთვად ძველი ჭორებოსა და მითქმა-მოთქმის ნაგავში იქექები, სახელს რომ უტეხენ მამაშენს. რაც მართალია, მართალია, გრეგერს, შენი ასაკის კაცმა დროა, რაიმე უფრო სერიოზულსა და სასარგებლო საქმეს მოჰკიდოს ხელი.
- გრეგერსი.** ჰო, რა თქმა უნდა, დროა.
- ვერლე.** მაშინ, ალბათ, გულიდან ჰირ-ვარამიც გადაგეყრება, თორემ, აბა, რას ჰგაუხარ ახლა? ნეტა ვიცოდე, რას აკლავ თავს ამ ქარხანას, უბრალო მოანგარიშესავით წელში წახრილი, და კაპიკსაც არ იღებ იმაზე მეტს, რაც გასამრჯელოდ გეკუთვნის? მართალი გითხრა, დიდ სისულელეს სჩადიხარ.
- გრეგერსი.** ღიახ, მე რომ დარწმუნებული ვიყო ამაში, მაშინ...
- ვერლე.** მესმის, მესმის. შენ გინდა, თავისუფალი კაცი გერქვას, არაფრით არ იყო ჩემგან დავალებული. ჰოდა, სწორედ ახლა

გედღევა სათანადო შემთხვევა, რომ სრულიად დამოუკიდებელი, შენი თავის ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდე.

**გრეგერსი.** როგორ?..

**ვერლე.** აკი მოგწერე, აუცილებლად, ყოველ მიზეზს გარეშე ჩამოდი ქალაქში-მეთქი... ჰმ...

**გრეგერსი.** დიახ... მაგრამ რაში დაგჭირდი? მთელი დღე ამის ახსნას ველოდი.

**ვერლე.** მე გთავაზობ, კომპანიონად შემოხვიდე ფირმაში.

**გრეგერსი.** მე? მე შენს ფირმაში? კომპანიონად?

**ვერლე.** დიახ. მაგრამ ამის გამო იძულებულნი როდი ვიქნებით, სულ ერთად ვიყოთ. შენ შეგიძლია აქ, ქალაქში გაუძღვე საქმეს, მე კი ქარხანაში გადავებარგდები.

**გრეგერსი.** შენ?

**ვერლე.** გამოგიტყდები, მე უკვე აღარ შემიძლია ძველებურად ვიმუშაო. იძულებული ვარ, თვალებს გავუფრთხილდე, გრეგერს. ძალიან დამაკლდა თვალს.

**გრეგერსი.** ეს ხომ ყოველთვის ასე იყო.

**ვერლე.** არა, ყოველ შემთხვევაში, ასე მაინც არა. ეგეც არ იყოს... სხვა მიზეზიც მაქვს საიმისოდ, რომ... ერთის სიტყვით, მე მიჩვენია, დროებით მაინც გადავიდე ქარხანაში.

**გრეგერსი.** ამას კი ველარ წარმოვიდგენდი.

**ვერლე.** იცი, რას გეტყვი, გრეგერს? ჩვენ ძალიან განვსხვავდებით ერთმანეთისაგან, მაგრამ მაინც ხომ მამა-შვილი ვართ? ამიტომ, ჩემის აზრით, ალბათ, შეგვეძლოს გარკვეული შეთანხმებისათვის მიგვეღწია.

**გრეგერსი.** ესე იგი, გარეგნულად?

**ვერლე.** თუნდაც, გარეგნულად. იფიქრე ამაზე, გრეგერს! როგორ გგონია, შეიძლება თუ არა ეს? ა?

**გრეგერსი** (ცივად უუარებს). რალაცას მიმალავ.

**ვერლე.** მაინც რას უნდა გიმალავდე?

**გრეგერსი.** ალბათ, რალაცაში გჭირდება.

**ვერლე.** მამა-შვილს რომ ერთმანეთი სჭირდებოდეს, საკვირველია?

**გრეგერსი.** ჰო, ხალხი ასე ამბობს.

**ვერლე.** ძალიან მინდა, რომ ერთხანს სახლში დარჩე. მე სულ მარტო ვარ, გრეგერს. მთელი სიცოცხლე მარტო ვიყავი. მაგრამ ახლა განსაკუთრებით მიჭირს, — ვბერდები. ვილაცა ხომ უნდა მყავდეს გვერდით?

**გრეგერსი.** აკი გყავს კიდევ, — ფრუ სერბიუ.

**ვერლე.** მართალი ხარ. მე, ასე ვთქვათ... უმისოდ გაძლება არ შემძლია. ისეთი მხიარული ხასიათი აქვს, ისე მამშვიდებს, მთელ სახლს სიცოცხლითა და სიხალისით ავსებს... ჩემთვის კი ეს აუცილებელია, გესმის?

**გრეგერსი.** მერედა, მე რაღასა მთხოვ? რაც გინდა, ყველაფერი გქონია.

**ვერლე.** დიახ, მაგრამ მეშინია, რომ დიდხანს არ გასტანს ასე. ამნაირ მდგომარეობაში ქალზე სულ ადვილია მცდარი წარმოდგენა შეექმნას ხალხს, და, მართალი გითხრა, ეს არც კაცისთვისაა კარგი.

**გრეგერსი.** ო, თუ კაცი იმნაირ სადილებს მართავს, როგორც შენ, მან შეიძლება რაღაცის უფლებაც მისცეს თავის თავს.

**ვერლე.** კი მაგრამ, ის, გრეგერს? როგორია მისი მდგომარეობა? ვშიშობ, რომ დიდხანს ველარ გაუძლებს. მაგრამ კიდევ რომ... დიახ, ჩემი გულისთვის ხელი რომ ჩაიქნიოს ჭორებსა და მითქმა-მოთქმაზე... თავად განსაჯე, გრეგერს: შენში ხომ ასე ძლიერია სამართლიანობის გრძნობა...

**გრეგერსი** (აწყვეტივნებს). მოკლედ და გარკვევით მითხარი: გინდა ცოლად შეირთო?

**ვერლე.** ასეც რომ იყოს, მერე რა?

**გრეგერსი.** მეც მაგას გეკითხები, მერე რა-მეთქი?

**ვერლე.** შენ წინააღმდეგი იქნები?

**გრეგერსი.** ვინ მოგახსენა? სრულიადაც არა.

**ვერლე.** აბა, მე რა უნდა მცოდნოდა?.. იქნებ, დედის ხსოვნის წინაშე...

**გრეგერსი.** მე ეგზალტაციას ვერ დამწამებ.

**ვერლე.** ასეა თუ ისე, დიდი ლოდი ამხსენი გულიდან. ჩემთვის ძალზე ბევრს ნიშნავს შენი თანადგომა ამ საქმეში.

**გრეგერსი** (დაეინებოთ მისჩერებია). ახლა კი მესმის, რა საქმეშიც მიპირებდი გამოყენებას.

**ვერლე.** გამოყენებას? ეგ რა გამოთქმაა?

**გრეგერსი.** მოდი, ძირის-ძირამდე ნუ ჩავდევთ სიტყვებს, ყოველ შემთხვევაში, პირისპირ მაინც. (ირონიული სიცილით). გასაგებია! აი, თურმე რატომ იყო აუცილებელი ჩემი ჩამოსვლა ქალაქში. ფრუ სერბიუს ოჯახური სიმყუდროვე და სიამბტკბილობა მოუნდა? ერთგვარი მამაშვილური იდილია? ეს რაღაც ახალი გახლავთ!

**ვერლე.** ვის უბედავ ამნაირი ტონით ლაპარაკს?

**გრეგერსი.** როდის იყო, რომ ოჯახი გვქონდა? რამდენადაც მახსოვს, არასოდეს. ახლა კი, როგორც ვატყობ, საჭირო შეიქნა

ჯალაბობის შეკოწიწება. დიდებულია! ატყდება ერთი მიეთ-  
მოეთი და მითქმა-მოთქმა: შვილი ფრთაშესხმული ჩამოფრინ-  
და ბებერი მამის ნიშნობაზეო, და პირწმინდად გაქარწყლდება  
ძველი ქორები საცოდავ, მრავალტანჯულ დედაზე! შვილი  
ერთბაშად გააცამტკერებს და ქარს გაატანს მათ!

**ვერლე.** ხანდახან მართლა მგონია, რომ ჩემზე საძულველი ამ  
ქვეყნად არავინა გყავს, გრეგერს!

**გრეგერსი** (ხმაღალა). რას იზამ, დიდხანს გაკვირდებოდი; მოხარ-  
შულს გიცნობ.

**ვერლე.** შენ დედაშენის თვალებით მაკვირდებოდი. (ოდნავ დაუწევს  
ხმას). მაგრამ ეს თვალეები... ხანდახან დაბინდული იყო.

**გრეგერსი** (ხმა უცახცახებს). ვიცი, ვიცი, რასაც გულისხმობ. მაგრამ  
ვინაა დამნაშავე საცოდავი დედაჩემის სისუსტეში? შენ და  
ეს შენი!.. უკანასკნელი იყო ეს გომბიო, რომელიც იალმარ  
ეკდალს შეაჩჩე, როცა შენ თვითონ... ოო!..

**ვერლე** (მხრებს იჩეჩავს). დედაშენის შვილი არა ხარ?

**გრეგერსი** (ყურადღებას არ აქცევს). და ეს ნათელი, ბავშვივით  
მიმდობი სული ახლა ყელამდე ჩაეფლო სიცრუეში... ერთ  
ქერქვეშ ცხოვრობს ამ... ამ... და არც კი იცის, რომ მისი  
ეგრეთ წოდებული ოჯახური კერა სიცრუეზეა დაფუძნებული!  
(ნაბიჯს გადადგამს მაშისაკენ). შენს მიერ განვლილ გზას რომ  
გადავხედავ, თვალწინ მიდგება ადამიანთა გვამებით მოფენი-  
ლი ბრძოლის ველი.

**ვერლე.** მე მგონია, ჩვენს შორის მართლაც გადაულახავი უფსკრუ-  
ლი ძევს.

**გრეგერსი** (მტკიცედ; თავის დაკვრით). მე ეს დიდხანია შევნიშნე და  
ამიტომაც მივიღივარ... გემშვიდობები.

**ვერლე.** როგორ? სულ მიღიხარ?...

**გრეგერსი.** დიახ. ახლა კი ნათლად ვხედავ ჩემი სიცოცხლის მიზანს.

**ვერლე.** მაინც, რა მიზანს?

**გრეგერსი.** რომ გითხრა, სასაცილოდაც არ გეყოფა.

**ვერლე.** ვინც მარტოა, ასე ადვილად როდი იცინის, გრეგერს.

**გრეგერსი** (მეორე ოთახზე ანიშნებს). შეხედე, მამა, კამერპერები  
დამალობანას ეთამაშებიან ფრუ სერბიუს... დამე მშვიდობი-  
სა... კარგად ბრძანდებოდი! (მეორე ოთახში გაღის და ხელმარჯვნივ  
მიეფარება თვალს).

მეორე ოთახში, ხელმარჯვნივ, სტუმრები ჩანან. ისმის მათი სიცილი და  
მზიარული შეძახილები.

**ვერლე** (თვალს აყოლებს შვილს და ზიზლით ფრუტუნებს). ეჰ, საცოდავი!..  
არადა, რომ ჰკითხო, ეგ ზალტაციას ვერ დამწამებო!

## მეორე მოქმედება

იალმარ ეკდალის სახელოსნო. სხენი, ეტყობა, ვრცელ სათავსოდ გადაუკეთებიათ. ხელმარჩენივ დამრეცი კერია, რომელსაც განიერი ფანჯრები აქვს დატანებული. ფანჯრებზე ჩამოფარებული ლურჯი ფარდები ნახევრად გადაწეულია. მარჯვენა კუთხეში, უკანა მხარეს, შემოსასვლელი კარია, წინ კი, ხელმარჩენივ, — საცხოვრებელ ოთახებში გამაველი კარი. მარცხენა კედელშიც ორი კარია დატანებული, ხოლო მათ შორის თუნუქის ლუმელი დგას. შუა კედელში ფართო, აქეთ-იქით გასაწევი კარია. სახელოსნოს მორთულობა ღარიბულია, მაგრამ მყუდრო და ფაქიზი. ორ კარს შორის, ხელმარჩენივ, დივანი, მაგიდა და რამდენიმე სკამი დგას. მაგიდაზე აბაეურიანი ლამპა ანთია, ფოტოები და ათასნაირი წერილმანი, ფუნჯები, ქალაღები, ფანქრები და სხვა მისთანანი ყრია. კუთხეში, მაგიდასთან ძველი სავარძელი დგას. აქა-იქ მიდგმული და ჩარიგებულია ფოტოაპარატები და ხელსაწყოები. შუა კედელთან, ხელმარცხნივ, თარეებია, რომლებზედაც რამდენიმე წიგნი, ყუთები, ქიმიური სითხით სავსე ბოთლები და ნაირ-ნაირი ინსტრუმენტები აწყვია.

გინა ეკდალი მაგიდასთან ზის და კერავს. ჰედვიგი დივანზე მოკალათებულია, ხელის გულებით ლამპის შუქს იჩრდილავს, ცერა თითებით კი ყურები დაუსრავს.

გინა (ფარული შეშფოთებით გადახედავს შვილს, შემდეგ კი ეძახის). ჰედვიგ!  
ჰედვიგს არ ესმის.

(უფრო ხმამაღლა). ჰედვიგ! \*

ჰედვიგი (ყურებიდან თითებს იშორებს). რა იყო, დედა?

გინა. ამდენი კითხვა არ შეიძლება, ჩემო ძვირფასო!

ჰედვიგი. ცოტა კიდევ რა, დედა! სულ ცოტა!

გინა. არა, ახლავე დახურე წიგნი. ხომ იცი, მამას არ უყვარს. აბა, როდის კითხულობს საღამოობით?

ჰედვიგი. ჰო, მამას მაინცდამაინც არ უყვარს კითხვა.

გინა (საკერავს განზე გადადებს და მაგილიდან ფანქარს და რვეულს იღებს). თუ გახსოვს, რამდენი გადავიხადეთ დღეს ზეთში?

ჰედვიგი. კრონი და სამოცდახუთი ერე.

გინა. სწორია. (იწერს). მაინც რამდენ ზეთს ვხარჯავთ. ახლა კიდევ ძეხვი და ყველი. მოიცა... (იწერს). ლორიც არ დაგვაიწყდეს... ჰმ... (ანგარიშობს). ესე იგი, სულ...

ჰედვიგი. კი მაგრამ, ლუდი?..

გინა. კინალამ დამავეიწყდა... (იწერს). რას იზამ, ყველაფერი საჭიროა.

**ბედვიგი.** სამაგიეროდ, რახან მამა დაპატივეს, მე და შენ უფრო იაფად გამოვედით.

**გინა.** ჰო, მაღლობა ღმერთს... თანაც, ბარათებში რვა კრონი და ორმოცდაათი ერე მომცეს.

**ბედვიგი.** მართლა? ამდენი?..

**გინა.** დიახ, ზუსტად რვა კრონი და ორმოცდაათი ერე.

ღუმილი. გინა კვლავ ხელსაქმეს უბრუნდება. ბედვიგი ფანჯარს და ქალღმერთს იღებს და რაღაცას ხატავს; თვალს მარცხენა ხელით იჩრდილავს.

**ბედვიგი.** რა კარგია, რომ დღეს მამა ასეთ დიდ წვეულებაზე დაპატიჟა კომერსანტმა ვერლემ.

**გინა.** კაცმა რომ თქვას, კომერსანტმა კი არა, მისმა შეილმა დაპატიჟა. (ხანმოკლე ღუმილის შემდეგ). კომერსანტთან რა გვესაქმება?

**ბედვიგი.** ერთი სული მაქვს, როდის მოვა. შემპირდა, ფრუ სერბიუს ვთხოვ და პირის ჩასატკბარუნებელს მოგიტანო.

**გინა.** ო, ეკვიც არ მეპარება, რომ დღევანდელ სუფრაზე პირის ჩასატკბარუნებელიცა და ათანაირი სასუსნაეიც თავზე საყრელად იქნება.

**ბედვიგი.** ცოტა არ იყოს, მომშივდა.

შემოსასვლელ კარში გამოჩნდება მოხუცი ეკდალი. ილიაში ქალღმერთი ამოუჩრია, პალტოს ჯიბეში რაღაც გახვეული მოუჩანს.

**გინა.** დღეს რა გვიან მოხვედით, პაპა?

**ეკდალი.** კანტორა დაკეტეს. მეტი რა გზა იყო, ჯერ გრობერგთან ვიჭექი, მერე კი იძულებული გავხდი კაბინეტიდან გამოვსულიყავი... ჰმ...

**ბედვიგი.** გადასაწერი თუ მოგცეს, პაპა?

**ეკდალი.** მთელი გროვა. აბა, შეხედე!

**ბედვიგი.** ჯიბეშიც რაღაც გიღვეს.

**ეკდალი.** რა? სისულელეა! არაფერიც არ მიღვეს. (ჯიბს ეუთხეში აყუდება). სამუშაო კაი ხანს მეყოფა, გინა! (შუა კედელში დატანებული კარის ერთ ნახევარს გადასწევს). სსუ! (ოთახში იხედება და შემდეგ კვლავ ფრთხილად ხურავს კარს). ჰე-ჰე! ყველა მიწოლილა! ის კიდევ კალათში ჩამძვრალა. ჰე-ჰე!

**ბედვიგი.** ხომ არ შესცივა, პაპა?

**ეკდალი.** რას ამბობ, რა შეაკიბებს?.. იმდენი თივა უგია! (მარცხენა კარისკენ მიდის). ასანთი თუ გაქვს?

**გინა.** კარადის თავზე დევს.

ეკდალი თავის ოთახში შედის.

**ბედვიგი.** კიდევ კარგი, რომ პაპას კვლავ მისცეს გადასაწერი.



გინა. ჰო, ჯიბის ფულს მაინც გააკეთებს საწყალი.

ჰედვიგი. და დილაობით ამ საზიზლარი მადამ ერიკსენის ტრაქტირში აღარ დაეყუდება.

გინა. რა თქმა უნდა, ესეც კარგია.

ხანმოკლე პაუზა.

ჰედვიგი. როგორ გგონია, ჯერ ისევ სუფრაზე ისხდებიან?

გინა. ღმერთმა იცის. ალბათ.

ჰედვიგი. წარმოგიდგენია, რა გემრიელი კერძებით უმასპინძლდებიან მამას! ალბათ, მხიარულ გუნებაზე მოვა. ხომ მართალს ვამბობ, დედა?

გინა. დიახ. ნეტა ჩვენც გვახარებინა, ოთახი გავაქირავეთო.

ჰედვიგი. არა, აუცილებელი არ არის დღეს.

გინა. ღმერთმანი, არ გვაწყენდა. რას გვიკეთებს, მაინც ცარიელია.

ჰედვიგი. არა, მე ვთქვი, რომ ეს სავალდებულო არ არის დღეს. მამა ისედაც კარგ გუნებაზე იქნება. არ სჯობია, სხვა დროს ვახაროთ?

გინა (უყურებს). შენ გსიამოვნებს, როცა მამას საღამოობით კარგ ამბავს ახარებ ხოლმე?

ჰედვიგი. დიახ. ყველანი უცებ კარგ გუნებაზე ვდგებით.

გინა (ჩაფიქრებით). ჰო, მართალი ხარ.

მობუცი ეკლავი თავისი ოთახიდან გამოდის და ხელმარჯვნივ, პირველი კარისაკენ მიემართება.

(მისკენ შეტრიალდება). სამზარეულოში გაქვს საქმე, პაპა?

ეკლავი. დიახ. შენ იჯექი, იჯექი! (სამზარეულოში გადის).

გინა. ნეტა ნახშირს არ დაუწყოს ქექვა. (ცოტა ხნის შემდეგ). გადი ერთი, გახედე, ჰედვიგ, რას აკეთებს...

ეკლავი სამზარეულოდან გამოდის; ტოლჩით ცხელი წყალი მოაქვს, რომელსაც ორთქლი ასდის.

ჰედვიგი. მდულარე გინდოდა, პაპა?

ეკლავი. ჰო, წერას ვაპირებ, მელანი კი ფაფასავით გასქელებულა... ჰმ!

გინა. ჯერ იქნებ გევახშმათ, პაპა? საქმელი ხომ მაგიდაზე დაგხვდათ.

ეკლავი. რა მევახშმება, გინა? უზომო საქმე მაქვს. არავინ შემოვიდეს, გესმის? არაეინ... ჰმ! (თავის ოთახში შედის).

გინა და ჰედვიგი ერთმანეთს გადახედავენ.

გინა. ნეტა სად იშოვა ფული?

ჰედვიგი. ალბათ, გრობერგმა მისცა.

გინა. რას ამბობ, გრობერგი ყოველთვის მე მიგზავნის ფულს.

ჰედვიგი. მაშინ, ალბათ, ვინმესგან ისესხა.

გინა. საწყალი პაპა, ვინ რას ასესხებს?

შემოდის იალმარ ეკალი; პალტო აცვია და თავზე რუხი ბუნვის ქული ახურავს. გინა ხელსაქმეს თავს ანებებს და დგება.

უკვე დაბრუნდი, ეკალ?

ჰედვიგი (წამოხტება; იმავდროულად). მამა მოსულა!

იალმარი (ქულს იხდის და დებს). ახლა, ალბათ, უკვე ყველანი წავიდ-წამოვიდნენ.

ჰედვიგი. ასე ადრე?

იალმარი. რალა ადრეა, სადილად იყენენ მიპატიებულნი. (პალტოს გახდას აპირებს).

გინა. მოიცა, მოგეხმარები.

ჰედვიგი. მეც.

პალტოს გახდაში შევლიან, რომელსაც შემდეგ გინა კედელზე ჰკიდებს.

ბევრი სტუმრები ჰყავდათ, მამა?

იალმარი. არც ისე, თორმეტი თუ თოთხმეტი კაცი ვუსხედით სუფრას.

გინა. და შენ ყველას ელაპარაკე?

იალმარი. ისე, ცოტ-ცოტა. გრეგერსმა საშველი აღარ მომცა.

გინა. ისევ ისეთი უშნოა?

იალმარი. ჰო, დიდი ვერაფერი შეილი გახლავთ... ბერიკაცი ჭერ არ მოსულა?

ჰედვიგი. როგორ არა. ზის და მუშაობს.

იალმარი. ხომ არაფერი მოუყოლია?

გინა. არა, მოსაყოლი რა ჰქონდა?

იალმარი. არც ის უთქვამს?... როგორც გავიგე, გრობერგთან ყოფილა თურმე... შევალ, დავხედავ.

გინა. არა, არა, მოეშვი.

იალმარი. რატომ? იქნებ ჩემი დანახვა არ უნდა?

გინა. მე მგონია, არავის დანახვა არ უნდა დღეს.

ჰედვიგი (რალაას ანიშნებს). ჰმ!.. ჰმ!

გინა (ვერ აჩნევს). სამზარეულოდან მდულარე გამოიტანა.

იალმარი. აა, ახლა კი, ალბათ, ზის და...

გინა. ალბათ.

იალმარი. ღმერთო დიდებულო! ჩემი საცოდავი, ჰალარა მამა!.. გაუშვი, გაიხაროს.

თავისი ოთახიდან გამოდის მოხუცი ეკალი. საშინაო სერთუი აცვია, ხელში ჩიბუხი უპირავს.

**ექდალი.** დაბრუნდი? შენი ხმა მომესმა.

**იალმარი.** ეს წუთია მოვედი.

**ექდალი.** იქ, მგონი, ვერ დამინახე.

**იალმარი.** ვერა. მაგრამ მითხრეს, ასე გაიარაო... მინდოდა დაგწე-  
ოდი.

**ექდალი.** ჰმ!.. კაი კაცი ხარ!.. მაინც რა ხალხი იყო?

**იალმარი.** აბა, რა გითხრა? კამერპერი ფლორი, კამერპერი ბალე,  
კამერპერი კასპერსონი, კამერპერი ესა, კამერპერი ისა...  
ყველას არ ვიცნობ.

**ექდალი** (თავს აკანტურებს). გესმის, გინა? სულ კამერპერებში მჯდარა.

**გინა.** დიახ, კომერსანტის სახლში ახლა, როგორც ჩანს, ცა ქუდად  
არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად.

**ჰედვიგი.** კი მაგრამ, რას აკეთებდნენ ეს კამერპერები? მღეროდნენ  
თუ ხმამაღლა კითხულობდნენ რამეს?

**იალმარი.** არა, მხოლოდ ათასნაირ სისულელეს ჩმახავდნენ.  
მთხოვეს, ლექსები წაგვიკითხეო, მაგრამ ვერ მივართვი.

**ექდალი.** ვერ მიართვი, ა?

**გინა.** კი მაგრამ, შენ ხომ კარგად კითხულობ?

**იალმარი.** მერე რა? არ შეიძლება, ვინც რას გთხოვს, ყველას  
მსახურად დაუდგე. (ოთახში ბოლთასა სცემს). ყოველ შემთხვე-  
ვაში, მე ის კაცი არა ვარ.

**ექდალი.** დიახ, დიახ, იალმარ, შენ ის კაცი არა ხარ.

**იალმარი.** საზოგადოებაში ათასში ერთხელ თუ გამოვჩნდები და  
რალა მაინცდამაინც მე გავართო სტუმრები? არა, გეთაყვა,  
სხვისთვის დამითმია ბურთი და მოედანი. ამ ვაჟბატონებს  
მეტი საქმე კი არა აქვთ, — კარდაკარ დაძრწიან და თავიანთ  
ქიას ახარებენ. მაშ, კეთილ ინებონ და თვითონვე გადაიხადონ  
მასპინძლობის საზღაური.

**გინა.** მაგრამ ეს მათთვის ხომ არ გითქვამს?

**იალმარი** (წაუღერებს). ჰო-ჰო-ჰო! არც მათ მოვრიდებივარ!

**ექდალი.** კამერპერებს?!

**იალმარი.** მაშ, რა გეგონა? (გაკვრით). მერე ტოკაური ღვინის  
თაობაზე წავეკინკლავდით.

**ექდალი.** ტოკაურის?.. შუშხუნა ღვინოა!

**იალმარი** (ჩერდება). დიახ, შუშხუნაც არის; მაგრამ უნდა მოგახსენო,  
რომ ყველა ჩამოსხმა ერთნაირი როდია. ყველაფერი მზეზეა  
დამოკიდებული.

**გინა.** რამდენი რამე იცი, იალმარ!

**ექდალი.** მერე, კამათი დაგიწყეს?

იალმარი. დააპირეს, მაგრამ სულ მალე დარწმუნდნენ თავიანთ უმეცრებაში. დიახ, ყველა ჩამოსხმა ერთნაირი როდია; ზოგი უკეთესია, ზოგი — უარესი.

გინა. რას არ მოიგონებ, იალმარ!

ეკლალი. ჰე-ჰე! მართლა ასე უთხარი?

იალმარი. ჰმ! როგორც იტყვიან, შიგ ცხვირ-პირში მივახალე!

ეკლალი. გესმის, გინა? შიგ ცხვირ-პირში მივახალეო! მერედა ვის? თვით კამერპერებს!

გინა. არა, მართლა?

იალმარი. დიახ. მაგრამ ენას კბილი დააქირეთ. სიტყვა არავისთან წამოგცდეთ, გესმის?.. ისე, მთელ საუბარს მეგობრული, სახუმარო ტონი დაჰკრავდა, რალა თქმა უნდა. თანაც, ყველანი ისეთი კარგები არიან! რად უნდა მეწყენინებინა? ა-ა-რა!

ეკლალი. მაგრამ მაინც ცხვირ-პირში მივახალე, არა?

ჰედვიგი (ეფერება). რა კარგია, რომ ფრაკი გაცვია; როგორ გიხდება, მამა!

იალმარი. მართლა? ისე კი, მშვენიერად მადგას ტანზე; გეგონება, ჩემზეა შეკერილიო... მხოლოდ ეგაა, რომ ცოტა ილღიებში მიჰქერს. აბა, დამეხმარე, ჰედვიგ! (ფრაკს იხდის). მე მაინც პიჯაკი მირჩევნია. სად წაიღე პიჯაკი, გინა?

გინა. ახლავე. (პიჯაკი მოაქვს და ჩაცმაში შევლის).

იალმარი. ესეც ასე. არ დაგავიწყდეს, ხვალ დილითვე დაუბრუნე მოლვიკს.

გინა (ფრაკს კეთავს). რა დამავიწყებს?

იალმარი (იზმორება). ა-ა! ღმერთმანი, ასე სჯობია. საშინაო ტანსაცმელი უფრო უხდება ჩემს გარეგნობას. რას იტყვი, ჰედვიგ?

ჰედვიგი. მართალი ხარ, მამა!

იალმარი. ხოლო თუ პალსტუხს შეეხსნი და ასე, ორივე ბოლოთი... აბა, შეხედე!..

ჰედვიგი. პირდაპირ გხატავს, ისე ძალიან უხდება შენს უღვაშებს და გრძელ, ხუჭუჭა თმებს.

იალმარი. არა, ხუჭუჭას კი არა, ხვეულს.

ჰედვიგი. კი მაგრამ, შენ ხომ ისეთი ჩახუჭუჭებული თმა გაქვს?

იალმარი. არა, — ხვეული.

ჰედვიგი (ცოტა ხნის შემდეგ სახელოზე მოქაჩავს). მამა!

იალმარი. რა იყო?

ჰედვიგი. ვითომ არ იცი.

იალმარი. ღმერთმანი, არ ვიცი.

ჭედვიგი (ეჰჰეჰეჰს). კარგი რა, მამა! რაღას მაწვალებ?

იალმარი. რა მოგივიდა?

ჭედვიგი (ეჰაჰეჰა). კარგი, კარგი, გეყოფა! მომეცი, მამა! შენ ხომ შემპირდი, პირის ჩასაკოკლოზინებელს მოგიტანო?

იალმარი. უჰ, დალახვროს ეშმაკმა, სულ დამავეიწყდა!

ჭედვიგი. სტყუი, სტყუი! განზრახ მაწვალებ! არა გრცხვენია? სად დამალე?

იალმარი. არა, ღმერთმანი, მართლა დამავეიწყდა... თუმცა... რაღაცა მაინც მაქვს შენთვის. (მიღის და ფრკის ჯიბეებში იქექება).

ჭედვიგი (დაბტის და ტაშს უკრავს). დედა, დედა!

გინა. აი, ხომ ხედავ?... შენ მხოლოდ დრო მიეცი და...

იალმარი (ხელში ფურცელი უპირავს). აი!

ჭედვიგი. რა არის ეს?... ქალაღი?...

იალმარი. ესაა იმ კერძების ნუსხა, რომლებიც სუფრაზე მოიტანეს. აი, ხომ ხედავ, ზედ აწერია: „მენიუ“, ანუ კერძების ნუსხა.

ჭედვიგი. მეტი არაფერი მომიტანე?

იალმარი. აკი გითხარი, დამავეიწყდა-მეთქი? თანაც, დამერწმუნე, ამდენი ტკბილეული მავნეა შენთვის. მიდი, მაგიდას მიუჯექი და თავიდან ბოლომდე ჩაიკითხე მთელი ნუსხა, მე კი მოგიყვები, რანაირი გემო ჰქონდა თვითეულ კერძს. აბა!..

ჭედვიგი (სლუკუნით). გმადლობ. (მაგიდას უჯდება, მაგრამ არ კითხულობს). გინა რაღაცას ანიშნებს. იალმარი თვალს შეასწრებს ამას.

იალმარი (ბოლოს სცემს). რამდენი საფიქრალი და თავსამტკრევი აქვს ოჯახის მამას! მაგრამ საკმარისია სულ პატარა რაღაც დაავეიწყდეს, რომ მაშინვე ცხვირს ჩამოუშვებენ. რას იზამ, როგორც ჩანს, ამასაც უნდა შევეგუო. (ღუმელთან ჩერდება, რომელსაც მამამისი უხის). ამ საღამოს ხომ არ დაგიხედავს, მამა?

ეკდალი. როგორ არა. კალათში ჩამჭდარა.

იალმარი. მართლა? ბოლოს და ბოლოს, მაინც ჩაჯდა? მაშასადამე, გვეჩვევა.

ეკდალი. დიახ. რას გეუბნებოდი?... ახლა ერთ-ორ რაღაცასაც მოვარგებ და...

იალმარი. გადაკეთებას აპირებ?

ეკდალი. აუცილებლად.

იალმარი. ნება შენია. მოდი აქ, დივანზე ჩამოვსხდეთ და მოვილაპარაკოთ.

ეკდალი. კეთილი. მაგრამ ჭერ ჩიბუხს დავტენი... მანამდე კი უნდა გავწმინდო... ჰმ... (თავის ოთახში გადის).

გინა (ლიბილით გადახედავს იალმარს). ჩიბუხი უნდა გავწმინდო, გესმის? იალმარი. ჰო, მესმის, გინა. ვაცალოთ. თავისი გაქირვება ეყოფა... ახლა კიდეც ეს გადაკეთებ-გადმოკეთება... არა სჯობია, ხვალვე თავიდან მოვიშოროთ ისინი?..

გინა. ხვალ მაგისტვის არ გეცლება.

ედვიგი. რას ამბობ, დედა?

გინა. ხომ არ დაგავიწყდა, რომ რეტუში უნდა გავუკეთოთ იმ სურათებს? ვინ იცის, რამდენჯერ მოგვაკითხეს.

იალმარი. ჰო, რა თქმა უნდა, სურათები და სურათები! მოესწრება. ახალი შეკვეთა ხომ არ მიგილია?

გინა. სამწუხაროდ, არა. სახვლიოდ მხოლოდ ის ორი სურათი მაქვს მოსამთავრებელი.

იალმარი. ეგ არის და ეგ?.. თუ მეტ ფხას გამოვიღებთ, მაშინ...

გინა. კი მაგრამ, რა ექნა? გაზეთებშიაც ვაქვეყნებ. რამდენიც შემიძლია.

იალმარი. გაზეთები, გაზეთები! მერედა, რა ყრია ამ გაზეთებში? ალბათ, ოთახზედაც არავის მოუკითხავს.

გინა. ჭერჭერობით, — არა.

იალმარი. ასეც ვიცოდი. თუ შენ თვითონ არ გაინძერი!.. საქმეს მიყოლა უნდა, გინა!

ჰედვიგი (უახლოვდება). ფლეიტა ხომ არ მოგიტანო, მამა?

იალმარი. სწორედ ფლეიტის თავი მაქვს ახლა! რა დროს გართობაა? (ოთახში დააბიჯებს). კეთილი, ბატონო! ხვალ ვიმუშავებ... რალა თქმა უნდა. სანამდის პირში სული მიდგას, თავს არ დაეზოგავ...

გინა. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, მე სულაც არ მინდოდა, რომ...

ჰედვიგი. ლუდს ხომ არ დალევე, მამა?

იალმარი. არ მინდა. არაფერი არ მინდა. (ჩერდება). რა თქვი? ლუდსაო?..

ჰედვიგი (სწრაფად). დიახ. ისეთი კარგია, ისეთი ცივი, მამა!..

იალმარი. ჰოო... თუ ასე ძალიან გინდა... ერთი ბოთლი მოიტა.

გინა. დიახ, დიახ. მამას მოეწონება.

ჰედვიგი სამზარეულოში გარბის.

იალმარი (ღუმელთან დგას, ჰედვიგს აჩერებს, ერთხანს უსიტყვოდ უყურებს და შემდეგ გულში იკრავს). ჰედვიგ! ჰედვიგ!

ჰედვიგი (სიხარულის ცრემლებით). ჩემო საყვარელო მამა!

იალმარი. არა, არა, ნუ მეძახი ასე... მდიდარი კაცის სუფრას ვუჭექი, ვკვამდი, ვსვამდი... სიუხვის ზღვაში ვცურავდი... და ის კი ვერ შევძელი, რომ...

გინა (მაგიდას უზის). კარგი ერთი, ეგ არაფერი, ჩემო ძვირფასო.  
იალმარი. დიახ, დიახ! უნდა მომიტევეთ. ის მაინც ხომ იცით, რომ  
თავს მიჩვენებთ.

ჰედვიგი (ეხვევა). ჩვენც ძალიან გვიყვარხარ, მამა!

იალმარი. ხოლო თუ ხანდახან რაღაცა მეშლება... ღმერთო ჩემო,  
მხოლოდ იმის ბრალია, რომ ათასი საზრუნავი მაქვს. აბა!  
(თვლებს იწმენდს). რა დროს ლუდია? ფლეიტა მომიტანე!

ჰედვიგი თაროს მივარდება და მამას ფლეიტას მოურბენინებს.

გმადლობ. აი, ასე! ხელში ფლეიტა, გარშემო — შინაურები...  
ო-ო!

ჰედვიგი გვერდით უჭდება დედას. იალმარი ოთახში დადის. გულმოდგინედ  
და მგრძნობიარედ, ძალზე ნელი ტემპით უკრავს ჩეხურ ხალხურ საცეკვაო  
მელოდიას.

(დაკვრას წყვეტს, მარცხენა ხელს უწვდის ცოლს და გრძნობამორევით  
ამბობს). რა ვუყოთ, რომ ღარიბები ვართ, გინა! ეს მაინც ჩვენი  
საკუთარი კუთხეა. და მე ვამბობ: ამაზეც გმადლობ, უფალო!  
(ხელახლა იწყებს დაკვრას, მაგრამ მაშინვე გაისმის კაქუნი შემოსასვლელ  
კარზე).

გინა (დგება). სსუ... მგონი, ვიღაც მოვიდა.

იალმარი (ფლეიტას თაროზე დებს). სულის მოთქმას არ აცლიან კაცს!

გინა მიდის და კარს აღებს.

გრეგერს ვერლე (კარს უკან). მომიტევეთ...

გინა (უკან იხევს). აჰ!

გრეგერსი. აქ ცხოვრობს ფოტოგრაფი ეკდალი?

იალმარი (კართან მიდის). გრეგერს? მაინც მოხვედი?... შემოდი,  
შემოდი, რაღას უყურებ?

გრეგერსი. ხომ გითხარი, გინახულე-მეთქი.

იალმარი. კი მაგრამ, დღეს?... სტუმრები მიატოვე?

გრეგერსი. სტუმრებიცა და მამაჩემის სახლიც. გამარჯობათ, ფრუ  
ეკდალ! მიცანით?

გინა. როგორ არა. რა დიდი საქმე ბატონიშვილის ცნობას უნდა?

გრეგერსი. ჰო, მართლა, დედაჩემს ვგავარ, ის კი კარგად უნდა  
გახსოვდეთ.

იალმარი. მაშ, შენ ამბობ, რომ სახლიდან წამოხვედი?

გრეგერსი. ჭერჭერობით სასტუმროში ვდგავარ.

იალმარი. მართლა? რახან მოხვედი, გაიხადე. სტუმარი ღვთისაა.

გრეგერსი. გმადლობ. (პალტოს იხდის. უკვე მოუსწრია ტანსაცმლის  
გამოცემა: უბრალო და რუხი კოსტიუმი აცვია).

იალმარი. აქეთ, დივანზე! უფრო თავისუფლად იქნები.

გრეგერსი დივანზე ჯდება, იალმარი კი — მაგიდასთან მდგარ სკამზე.

გრეგერსი (იქაურობას ათვლიერებს). მაშ, ესაა შენი ნავთსაყუდელი, იალმარ? აი, თურმე სად ცხოვრობ.

იალმარი. კაცმა რომ თქვას, ეს მხოლოდ სახელოსნოა...

გინა. აქ უფრო ხალვათობაა და ამიტომ თითქმის მთელ დროს აქ ვატარებთ.

იალმარი. უწინ უკეთესი სახელოსნო გვექონდა, მაგრამ ეს იმით სჯობია, რომ ბევრი ზედმეტი კუთხე აქვს...

გინა. დერეფანს იქით კიდევია ერთი ოთახი, რომელსაც ვაჭირავენ.

გრეგერსი (იალმარს). მართლა? მაშ, შენ მდგმურები გყავს?

იალმარი. ჭერ არა. საქმე ყოველთვის ისე როდი ეწყობა, როგორც შენ გინდა. უნდა იწვალო და იჯახირო. (ჰედვიგს). სადაა, ლუდს რომ შემპირდი?

ჰედვიგი თავს უქნევს და სამზარეულოში გადის.

გრეგერსი. მაშ, ეს შენი ქალიშვილია?

იალმარი. დიახ, ჰედვიგი.

გრეგერსი. მარტო ეს ერთი გყავს?

იალმარი. დიახ. ესაა ჩვენი ერთადერთი სიხარულიც და (ხმადაბლა) ყველაზე დიდი მწუხარებაც, გრეგერს.

გრეგერსი. რას ამბობ, რა მწუხარება?

იალმარი. საშინელი უბედურება გვემუქრება — შეიძლება დაბრმავდეს.

გრეგერსი. დაბრმავდეს?

იალმარი. დიახ. ჭერჯერობით მხოლოდ პირველი სიმპტომები ჩანს. ერთხანს შეიძლება ყველაფერი კარგად იქნეს. მაგრამ ექიმმა გაგვაფრთხილა, სიბრმავე გარდუვალაიო.

გრეგერსი. რა საშინელებაა? კი მაგრამ, რა სკირს?

იალმარი (აპოიხობებს). როგორც ჩანს, მემკვიდრეობითი სნეულებაა.

გრეგერსი (გაოგნებული). მემკვიდრეობითი?

გინა. იალმარის დედასაც სუსტი თვალები ჰქონდა.

იალმარი. დედაჩემი კი არ მახსოვს, მაგრამ მამამ თქვა...

გრეგერსი. საბრალო ბავშვი! ძალიან განიცდის?

იალმარი. რა გული მოგცემს, რომ ეს გავუმჟღავნოთ? ამიტომ წარმოდგენაც არა აქვს, რა ემუქრება და ჩიტვიით ლალი, მხიარული და უზარუნველი ჰიკიკით მიფრინავს მარადიული წყვილიადისაკენ. (დათრგუნვილი). აი, რა მიკლავს გულს, გრეგერს!



ქედვიგს სინით მოაქვს ბოლო და ქიქები და მაგიდაზე დებს.

(თავზე ხელს უსვამს). მადლობელი ვარ, ქედვიგ.

ქედვიგი მკლავს ყელზე შემოხვევს და რაღაცას ჩასტურჩილებს მამას.

არა, ბუტერბროდები არ გვინდა. (გრეგერსს ვაღახედავს). თუმცა...  
ცოტას ხომ არ წაიხემსებ, გრეგერს?

გრეგერსი (ხელს აქნევს უარის ნიშნად). არა, არა, გმადლობ.

იალმარი (იმავე სევდიანი ტონით). მაინც მოიტა. კარგი იქნება, თუ  
პურის ყუა მოგვეძებნება, მხოლოდ კარაქი ბლომად წაუსვი,  
გესმის?

ქედვიგი მზიარულად უქნევს თავს და კვლავ სამზარეულოში გადის.

გრეგერსი (თვალს აყოლებს). ისე კი. შესახედავად მაგარი და  
ჯანმრთელი ბავშვი ჩანს.

გინა. სხვა მხრივ, მადლობა ღმერთს. ვერაფერს დავემდურებით.

გრეგერსი. დროთა განმავლობაში სულ თქვენ დაგემგვანებათ,  
ფრუ ეკდალ, რამდენი წლისაა?

გინა. სულ მალე თხუთმეტისა გახდება. ზეგ მისი დაბადების დღეა.

გრეგერსი. მისი ასაკის კვალობაზე საკმაოდ მაღალია.

გინა. დიახ, ამ ერთი წლის მანძილზე ძალიან აიყარა ტანი.

გრეგერსი. ბავშვებს რომ უყურებ, მით უფრო აშკარად გრძნობ,  
როგორ ბერდები... რამდენი წელია გათხოვილი ხართ?

გინა. რამდენი და... მალე თხუთმეტი იქნება.

გრეგერსი. მართლა? ამდენი?..

გინა (შეცბუნებული ეცქერის). დიახ, რა თქმა უნდა.

იალმარი. ასეა, თხუთმეტი წელს ბევრი აღარაფერი უკლია. (სხვა  
ტონით). ალბათ, რა ნელა მიიზღაზნებოდნენ შენტვის ეს  
წლები იქ, ქარხანაში. გრეგერს!

გრეგერსი. ნელა მიიზღაზნებოდნენ მანამ, სანამ იქ ერთ ქაპან-  
წყვეტაში ვიყავი. ახლა კი არც ვიცი, სად გაქრნენ.

თავისი ოთახიდან გამოდის მოხუცი ეკდალი. ხელში ჩიბუხი აღარ უქირავს,  
სამაგიეროდ ძველი სამხედრო ქაღი ახურავს თავზე. სიარულისას მუხლები  
უქანკალვს.

ეკდალი. ახლა, თუ გნებავს, დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ,  
იალმარ... ჰმ!.. კი მაგრამ, რაზე?..

იალმარი (ეგებება). სტუმარი გვყავს. მამა, გრეგერს ვერლუ... არ  
ვიცი, განსოვს თუ არა.

ეკდალი (გრეგერსს უყურებს, რომელიც ფიხზე დგება). ვერლუ? იმისი  
შვილი? კი მაგრამ, რა საქმე აქვს ჩემთან?

იალმარი. არაფერი. ჩემს სანახავად მოვიდა.

**ეკლავი.** მაშასადამე, არაფერი ისეთი არ მომხდარა.

**ივლმარი.** არა, რა თქმა უნდა არაფერი.

**ეკლავი** (ხელების ქნევით). არა, იმიტომ კი არა, თითქოს მეშინია... არამედ...

**გრეგერსი** (უახლოვდება). თქვენი ძველი სანადირო ტყეებიდან მოკითხვა ჩამოგიტანეთ, ლეიტენანტო ეკლავ.

**ეკლავი.** სანადირო ტყეებიდან?

**გრეგერსი.** დიახ. ქარხნის გარშემო რომ გადაკიმულან, „მთის ხეში“.

**ეკლავი.** ჰო-ო... ოდესღაც კარგად ვიცნობდი იქაურობას.

**გრეგერსი.** მაშინ თქვენ ნამდვილი ნადირობის ტრფივლი იყავით.

**ეკლავი.** დიახ, ვიყავი. მაშ! ამ ქუდს ხომ ხედავთ? არავისაც არ ვეკითხები, — სახლში მახურავს! გარეთ გასვლისას კი ვიხდი. მეტი რა ვქნა?

ქედვიგს თეფშით შემოაქვს ბუტერბროლები და მაგიაზე ლებს.

**ივლმარი.** მოდი, მამა, ერთი კიქა ლუდი მიირთვი. გთხოვ, გრეგერს.

ეკლავი რალაცას ბუზღუნებს და ფეხარეით მიემართება დივანისაკენ. გრეგერსი მის გვერდით ჩამოჭდება სკამზე, ივლმარი კი — გრეგერსის პირისპირ. გინა ცოტა მოშორებით უზის ხელსაქმეს. ქედვიგი ივლმარის გვერდით ღვას.

**გრეგერსი.** გახსოვო, ლეიტენანტო ეკლავ, როგორ ჩამოვდიოდით მე და ივლმარი არდადეგებზე თქვენთან — ზაფხულობით და საშობაოდ?

**ეკლავი.** თქვენც? არა, არ მახსოვს. მაგრამ თამამად შემიძლია გითხრათ, მაგარი მონადირე ვიყავი. ცხრა დათვი მყავს მოკლული.

**გრეგერსი** (თანაგრძობით უცქერის). ახლა კი აღარ ნადირობთ?

**ეკლავი.** რას ამბობთ. ჩემო ძვირფასო. თუმცა ხანდახან მაინც... მართალია, არა ძველებურად. იმიტომ, რომ ტყე... დიახ... ტყე--ტყეა! (სვამს). ისევ ისე ლამაზია?

**გრეგერსი.** არა, თქვენს დროს რომ იყო, ისე არა. უღვთოდ გაჩეხეს.

**ეკლავი.** გაჩეხეს? (ზმას დაუწევს, თოქმის შიშინულად). საშარო საქმეა. არავის შერჩება. ტყე შურს იძიებს.

**ივლმარი** (ლუდს უსხამს). ერთიც დალიე. გაამოს, მამა.

**გრეგერსი.** კი მაგრამ. გაშლილ სივრცეებსა და სუფთა ჰაერს ნაჩვევ კაცს რა გაძლებინებთ ამ დახუთულ ქალაქში, და, თანაც, ოთხ კედელს შუა?

**ეკლავი** (ჩაიციუნებს და ივლმარს გადახედავს). აქ არც ისე ცუდად ვგრძნობ თავს. დამერწმუნეთ, არც ისე ცუდად.

**გრეგერსი.** კი მაგრამ, სადაა აქ ყოველივე ის, რასაც თქვენ ასე შეეჩვიეთ და შეისისხლხორკეთ? სადაა ქარების თავაწყვეტილი თარეში, სადაა ჩიტებით ლალი და უზრუნველი ცხოვრება ბუნების წიაღში, მხეცებსა და ფრინველებს შორის?..

**ეკდალი (ილიმბა).** ხომ არ ვუჩვენო, იალმარ?

**იალმარი (სწრაფად; დარცხვენით).** არა, არა, მამა. დღეს არა.

**გრეგერსი.** მაინც რა უნდა მიჩვენოს?

**იალმარი.** ისე, არაფერი. სხვა დროსაც შეიძლება.

**გრეგერსი (ეკდალთან საუბარს განაგრძობს).** დიახ, აი, რა მინდოდა მეთქვა თქვენთვის, ლეიტენანტო ეკდალ: ჩემთან წამოდი, ქარხანაში. ალბათ, მალე კვლავ წავალ. გადასაწერი თავზე საყრელი გექნებათ. აქ კი, აბა, ისეთი რა დაგრჩენიათ, რომ სიცოცხლე და სიხალისე შემოიტანოს თქვენს ერთფეროვან ცხოვრებაში?..

**ეკდალი (გაკვირებული უყურებს).** ისეთი რა დამრჩენია, რომ...

**გრეგერსი.** რა თქმა უნდა, თქვენა გყავთ იალმარი, მაგრამ მას უკვე თავისი საკუთარი ოჯახი აქვს. თქვენნაირი კაცი კი, რომელსაც ყოველთვის ასეთი ძალით იზიდავდა სივრცე, ბუნების სიახლოვე...

**ეკდალი (ხელს დაკრავს მაგიდას).** ახლა კი უნდა ნახოს, იალმარ!

**იალმარი.** ვითომ ღირს, მამა? უკვე ბნელა...

**ეკდალი.** რა ბნელა? მთვარე ანათებს. (დგება). ახლა კი უნდა ნახოს-მეთქი. გამატარეთ. შენც წამოდი და დამეხმარე, იალმარ!

**ჰედვიგი.** წაპყევი, მამა!

**იალმარი (დგება).** კეთილი.

**გრეგერსი (გინას).** ნეტა რა უნდა მიჩვენონ?

**გინა.** რაღას არ აფიქრებინებენ კაცს?.. ისეთი არაფერი.

ეკდალი და იალმარი ოთახის სიღრმეში, გამოსაწევ კართან მიდიან და ორსავე მხარეს აღებენ. ჰედვიგი პაპას შველის. გრეგერსი დივანთან დგას. გინა მშვილად განაგრძობს კერვას. ფართოდ გაღებული კარიდან ვრცელი, მოგრძო, არასწორი ფორმის სხვენი მოჩანს, თავისი კუთხე-კუნძულებითა და საკვამური მილებით. ქერში დატანებული ვიწრო სარკმლებიდან მთვარის ნათელი შუქი ჩამოდის და ზოგიერთ კუნძულს ანათებს. მთელი დანარჩენი სხვენი სიბნელეშია დანთქმული.

**ეკდალი (გრეგერსს).** ახლოს მოიწით.

**გრეგერსი (მამა-შვილს უახლოვდება).** კი მაგრამ, აღარ იტყვი, რას მალავთ?

**ეკდალი.** თქვენი თვალითა ნახეთ. ჰმ...

**გრეგერსი (კარიდან იყურება სხვენში).** ოჰო, ქათმების მოშენებას მიპყავით ხელი, ლეიტენანტო ეკდალ?

ეკლალი. ვთქვათ და, მივყავი. ახლა ყველანი ქანდარაზე სხედან.  
ერთი დღისით შეგახედათ ამ ქათმებისთვის!

ჰედვიგი. გარდა ამისა...

ეკლალი. სსუ... ენა ნუ გისწრებს...

გრეგერსი. ვხედავ, მტრედებიც გყოლიათ.

ეკლალი. დიახ, მტრედებიცა გვყავს! ქერქვეშ საბურღებიც მოვე-  
წყვეთ კვერცხების სადებად. მტრედები მალლა ბუღობენ.

იალმარი. უბრალო მტრედები არ გეგონოს.

ეკლალი. უბრალოო? უბრალო კი არა, ტრიალებიცა გვყავს,  
ჩიყვიანებიც! ახლა აქ მოდით! აიმ კედელთან ყუთებს ხომ  
ხედავთ?

გრეგერსი. დიახ, ვხედავ. ეს რაღაა?

ეკლალი. აქ ღამით ბოცვრებსა სძინავთ, ჩემო ძვირფასო.

გრეგერსი. მაშ, თქვენ ბოცვრებიცა გყავთ?

ეკლალი. დიახ, როგორც ხედავთ, დალაზეროს ეშმაკმა! გესმის, რას  
კითხულობს, იალმარ? ბოცვრებიცა გყავთო? ჰმ... ახლა კი  
ყველაზე მთავარი. ამ წუთას. ჩაიწიე, ჰედვიგ. თქვენ კი მანდ  
დადექით. აი, ასე. ახლა აქეთ მოიხედეთ... იმ თივიან კალათს  
თუ ხედავთ?

გრეგერსი. დიახ. შიგ, მგონი, რომელიღაც ფრინველი ზის.

ეკლალი. ჰმ!.. „ფრინველი“!

გრეგერსი. იხვია თუ რა? .

ეკლალი (შეცბუნებული). დიახ, ცხადია, იხვი.

იალმარი. მაგრამ რა იხვი, აბა, თუ მიხვდები.

ჰედვიგი. უბრალო იხვი არ გეგონოთ...

ეკლალი. სსუ!..

გრეგერსი. თურქული იხვი ხომ არ არის?

ეკლალი. არა, ბატონო... ვერღე. თურქული კი არა, გარეული  
იხვია.

გრეგერსი. მართლა? გარეული?

ეკლალი. დიახ! ეს „ფრინველი“, როგორც თქვენ მას უწოდეთ,  
გარეული იხვი გახლავთ! ჩვენი გარეული იხვი, ჩემო ძვირფასო.

ჰედვიგი. ჩემი გარეული იხვი, იმიტომ, რომ მარტო ჩემია.

გრეგერსი. კი მაგრამ, აქ, სხვენზე, როგორა ძლებს? შეეჩვია?

ეკლალი. იცით, რა? წყლით სავსე ვარცლი უდგას წინ, შეუძლია  
რამდენიც უნდა, იმდენი იჭყუშპალაოს.

იალმარი. წყალს დღეგამოშვებით ვუცვლით

გინა (იალმარს მიმართავს). კი მაგრამ, ძვირფასო იალმარ, მთელი სახლი გაიყინა.

ეკდალი. ჰმ... ახლავე დავხურავთ, ამათაც ნულარ დაეუფროს...  
ძილს. აბა, ჰედვიგ!

იალმარი და ჰედვიგი ერთად ხურავენ კარს.

სხვა დროს უკეთ დავათვალიერებთ. (ღუმელთან, ს...  
ჯდება). გარეულ იხვზე საოცარი ფრინველი არ შეგუღ...  
გრეგერსი.

კი მაგრამ, როგორ დაიჭირეთ, ლეიტენანტო ეკდალ.  
ეკდალი. მე არ დამიჭერია. ერთმა ქალაქელმა ბატონმა გვაჩუქა.  
გრეგერსი (ცოტა არ იყოს, შემბარბარო). მამაჩემმა ხომ არა?

ეკდალი. დიახ, სწორედ მამათქვენმა. ჰმ...

იალმარი. საოცარია. როგორ გამოიციანი. გრეგერს?

გრეგერსი. შენ ხომ მითხარი. რაჟღერ იაჩეს უმაღლი მამაჩემს.  
ჰოდა, ბეკ ვიფქრე...

გინა. დიახ, მაგრამ თვით კომერსანტმა როდი გვაჩუქა.

ეკდალი. ეგ სულერთია, გინა. ჩვენ მას სწორედ ჰოკონ ვერლეს  
უნდა ვუმაღლოდეთ. (გრეგერსს). ერთხელ თურმე ნავით  
სეირნობდა და თოფი უსვრია. მაგრამ მხედველობა არ  
უვარგა... ჰმ... ჰოდა, მხოლოდ დაქრა.

გრეგერსი. აა! ესე იგი, ორიოდე საფანტით გაკენწლი?

იალმარი. დიახ, სულ ორი თუ სამი საფანტით.

ჰედვიგი. ფრთის ქვეშ, და საწყალი ველარ აფრინდა.

გრეგერსი. ალბათ, ჩაყვინთა, არა?

ეკდალი (ოვლემა ერევა, ენის ბორძიკით). ცხადია... გარეული იხვები  
ყოველთვის ასე შვრებიან. წყალში ყვინთავენ... ფსკერამდე,  
ჩემო ძვირფასო... წყალმცენარეებსა თუ ათას ჯანდაბას და  
დოზანას ებლაუქებიან, შიგ იხლართებიან და... ველარასოდეს  
ველარ ახერხებენ ამოყვინთვას.

გრეგერსი. მაგრამ თქვენმა იხვმა ხომ ამოყვინთა, ლეიტენანტო  
ეკდალ?

ეკდალი. მამათქვენს იმისთანა ოხერი ძალლი ჰყავს. ჩაყვინთა და  
ამოიყვანა.

გრეგერსი (იალმარს). მას მერე თქვენთანაა?

იალმარი. არა, ჯერ, რასაკვირველია, მამაშენს ჰყავდა, მაგრამ  
თქვენს სახლში ვერ გასძლო, გახდა, ჩამოდნა და პეტერსენს  
უბრძანეს დაკალიო...

ეკდალი. ჰმ... დიახ, დიახ... პეტერსენი ბრიყვია...

- იალმარი** (ხმადაბლა). აი, ასე და ამრიგად აღმოჩნდა ჩვენს ხელში. მამა. ასე თუ ისე. იცნობს პეტერსენს, გაიგო რომ ამ საცოდავს დაკვლას უპირებენ და ითხოვა. რომ ჩვენთვის მოეცათ.
- გრეგერსი**. ამ თქვენს სხვენზე კი მშვენივრად გრძნობს თავს.
- იალმარი**. პირდაპირ გაგიკვირდება. მოსუქდა კიდეც. იქნებ. იმიტომ, რომ აქ უკვე კაი ხანია და შეიძლება დაავიწყდა კიდეც ნამდვილი თავისუფლება. მაგრამ სწორედ ესაა მთავარი.
- გრეგერსი**. მართალი ხარ, იალმარ. მთავარია ერთხელაც არ მოჰკრას თვალი ცასა და ზღვას... მაგრამ მეტს ველარ შეგაწუხებთ... მამაშენს, მგონი, ჩაეძინა.
- იალმარი**. კი მაგრამ, ამის გულისთვის?..
- გრეგერსი**. ჰო მართლა? შენ თქვი, ოთახს ვაქირავებთო. ჭერ ხომ არ გაგიქირავებიათ?
- იალმარი**. არა. თუ იცი. ვინმეს ხომ არ უნდა?..
- გრეგერსი**. მე არ მომაქირავებთ?
- იალმარი**. შენ?
- გინა**. არა. არა, რას ბრძანებთ, ბატონო ვერლე?
- გრეგერსი**. მიიხარო, მომაქირავებთ? მაშინ ხელვე გადმოვალ.
- იალმარი**. დიდი სიამოვნებით.
- გინა**. არა, ბატონო ვერლე, რა თქვენი საკადრისია?
- იალმარი**. რას ამბობ, გინა, რას?
- გინა**. რასა და იმას, რომ ვიწროა, სინათლევ ნაკლებია და ეგეც არ იყოს...
- გრეგერსი**. ეგ არაფერი, ფრუ ეკლალ.
- იალმარი**. ჩემის აზრით კი მშვენიერი ოთახია. არც ავეჭია ურიგო.
- გინა**. კი მაგრამ, ხომ არ დაგავიწყდა, ვინ ცხოვრობს ქვევით?.. ეს ორი...
- გრეგერსი**. ვინ ორი?
- გინა**. ვინა და, ერთი ადრე კერძო მასწავლებელი იყო...
- იალმარი**. კანდიდატი მოლვიკი.
- გინა**. მეორე კი — ექიმი, გვარად რელინგი.
- გრეგერსი**. რელინგი? მგონი ვიცნობ. ერთხანს პრაქტიკაც ჰქონდა „მთის ხევში“.
- გინა**. ვერ იტყვი, რომელი უფრო დამთხვეულია. ყოველ საღამოს სვამენ, შუალამისას ბრუნდებიან შინ, ერთის სიტყვით, მაგრა ურევენ...
- გრეგერსი**. ამის მიჩვევა ჩემზე იყოს. რალა მე და რალა გარეული იხვი...

- გინა. ჰმ... ჩემის აზრით, აჯობებს სახელიოდ გადავდოთ საქმე. ვნახოთ, დილაზე რას იტყვით.
- გრეგერსი. როგორც ვატყობ, ჩემი მდგმურობა მაინცდამაინც გულზე არ გეხატებათ, ფრუ ეკდალ.
- გინა. აბა, რას ბრძანებთ? ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
- იალმარი. მართლაცდა, რა უცნაურად იქცევი, გინა? (გრეგერსს). მაშასადამე, ერთხანს ქალაქში აპირებ დარჩენას?
- გრეგერსი (პალტოს იცეპს). დიახ, ახლა — ვაპირებ.
- იალმარი. მაგრამ არა სახლში, მამაშენთან?.. რა უნდა აკეთო ქალაქში?
- გრეგერსი. ეგ რომ ვიცოდე, რაღა მიჭირდა?.. მაგრამ როცა იმდენად უბედური ხარ, რომ გრეგერსი გქვია... და თანაც, ვერლე... ამაზე უარესი რამ გაგიგონია?
- იალმარი. რას უწუნებ?
- გრეგერსი. ბრა! სხვას რომ ამნაირი სახელი ერქვას, შიგ სახეში მივაფურთხებდი. მაგრამ რაკი მე თვითონ მხვდა წილად, მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა ვათრიო ეს მძიმე ჭვარი, ამიტომ...
- იალმარი (იონის). ჰა-ჰა-ჰა! კი მაგრამ, გრეგერს ვერლეობა თუ გაწუხებს, რას ინატრებდი?
- გრეგერსი. არჩევანის უფლება რომ მქონდეს, ყველაფერს მერჩია, კი მარჯვე ძალლი ვყოფილიყავი.
- გინა. ძალლი?
- ჰედვიგი (უნებურად). რას ამბობთ?
- გრეგერსი. დიახ, ნამდვილი მარჯვე და ჰკვიანი, ერთის სიტყვით, ისეთი ძალლი, ფსკერამდე რომ ჩასდევს გარეულ იხვებს, როცა ისინი წყალში ყვინთავენ, წყალმცენარეებს ებლაუქებიან და შლამში ეფლობიან.
- იალმარი. ღმერთმანი, ერთი სიტყვაც არ მესმის, გრეგერს.
- გრეგერსი. ან კი რა უნდა გესმოდეს?.. მაშ, ასე, ხვალ დილით თქვენთან გადმოვბარდები. (გინას). დიდად არ შეგაწუხებთ, ყველაფერს ჩემით ვიკეთებ. (იალმარს). დანარჩენზე ხვალ მოვილაპარაკოთ. ღამე მშვიდობისა, ფრუ ეკდალ. (ქედვიგს). ღამე მშვიდობისა.
- გინა. ღამე მშვიდობისა, ბატონო ვერლე.
- ჰედვიგი. ღამე მშვიდობისა.
- იალმარი (სანთელს უკიდებს). მოიცა, კიბეზე გაგინათებ, ბნელა. (გრეგერსს აცილებს).

გინა (ჩაფიქრებით, ხელსაქმეს მუხლებზე იღებს). რას მიედ-მოედებოდა,  
— ნეტავი ძაღლი ვიყო?

პედვიგი. იცი, რას გეტყვი, დედა? მე გგონია სულ სხვა რამეს  
გულისხმობდა.

გინა. მაინც რას?

პედვიგი. არ ვიცი, მაგრამ თითქოს ერთს ამბობს და სულ სხვას  
კი ფიქრობს.

გინა. მართლა? უცნაურია!

იალმარი (ბრუნდება). ლამაზა ჭერ კიდევ ენთო. (სანთელს აქრობს და  
მაგიდაზე დებს). მადლობა ღმერთს, ახლა მაინც შეიძლება, ერთი  
ლუკმა ჩაყლაპოს კაცმა. (ბუტერბროდს შეეკეცა). აი, ხომ ხედავ,  
გინა, საკმარისია სულ ცოტა ფხა გამოიღო და...

გინა. როგორ თუ ფხა გამოიღო?..

იალმარი. როგორ და ისე, რომ, ბოლოს და ბოლოს, მაინც ხომ  
ვიშოვეთ მდგმური? და მერე ვინ? — გრეგერსი, ჩემი სიყრმის  
მეგობარი.

გინა. არც კი ვიცი, რა ვითხრა.

პედვიგი. აჰ, დედა, აი, ნახავ, რა კარგად ვიქნებით!

იალმარი. შენსას ვერაფერს გაიგებს კაცი: ჭერ იყო და, სულ იმაზე  
იმტკრევედი თავს, როდის გავაქირავებთ ოთახსაო, გავაქირა-  
ვეთ და — ახლა აღარ მოგწონს...

გინა. სხვისთვის რომ მიგვექირავებინა, იალმარ?.. არადა, როგორ  
გგონია, რას იტყვის ამაზე კომერსანტი?

იალმარი. ბებერი ვერლე? რა მისი საქმეა?

გინა. ნუთუ არ გესმის? რახან შეილი სახლიდან წამოვიდა, ესე  
იგი, მათ შორის რაღაცა მოხდა. ხომ იცი, ერთმანეთში როგორ  
არიან?..

იალმარი. ადვილი შესაძლებელია, მაგრამ...

გინა. ახლა კი კომერსანტმა შეიძლება იფიქროს, რომ ეს სულ  
შენი ოინებია...

იალმარი. რაც უნდა, ის იფიქროს! მართალია, ბევრჯერ კი  
გამიმართა ხელი, მაგრამ ხომ არ შემიძლია ამის გამო სულ  
თვალეებში შეეციცინებდე?

გინა. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, ვაითუ პაპას გაუფუჭკოთ საქმე.  
რაღაც ორიოდ გროშს იღებს კანტორაში. ადგება და იმასაც  
შეუწყვეტს.

იალმარი. ა!.. კინალამ წამომცდა, შეუწყვეტს და შეუწყვეტოს-  
მეთქი! განა ჩემნაირი კაცისთვის დამამცირებელი არ არის,  
რომ მისი ჭალარა მამა ორიოდ გროშისთვის ითხრიდეს



თვალეებს? მაგრამ, ჩემის აზრით, სულ მალე!.. (ერთ ბუტარბროდსაც იღებს). რაზან ცხოვრებამ ამნაირი ამოცანა დაბაკისრა, კიდევ შევასრულებ.

**ჭედვაგი.** რა თქმა უნდა, მამა! აუცილებლად!

**იალმარი** (უფრო ხმადაბლა). დიახ, შევასრულებ-მეთქი! მოვა დრო, როცა... თან, ეს ოთახიც ხომ გავაქირავებ. ცოტათი მოვითქვამთ სულს. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს იმ კაცისათვის, რომელსაც ცხოვრებამ განსაკუთრებული ამოცანა დააკისრა. (სავარძელთან ჩერდება, გულაჩუყებით). ჩემი საწყალი, ჭალარა მამა! დაეყრდენ შენს იალმარს! მას ფართო... ყოველ შემთხვევაში, ღონიერი მხრები მაინც აქვს. ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძებ და... (გინას). შენ რა, არ გჯერა?

**გინა** (ღებავს). როგორ არა. მაგრამ ჩერ. მოდი, ლოგინში ჰავაჭნავთო.

**იალმარი.** კეთილი. მოდი.

ფრაბოლად იყვანენ მოხუცს.

## მესამე მოქმედება

იალმარ ეადლის სახელოსნო. დღეა. ქერში დატანებულ ფართო სარკმელზე ფარდები გადაწეულია და სახელოსნოში მზის შუქი შემოდის.

იალმარი მაგიდას უზის და მუშაობს; სურათს რეტოშს უკეთებს; მი: წინაც ფორტოსურათებია გაშლილი. ცოტა ხნის შემდეგ შემოსასვლელი კარიდან შემოდის გინა, ქუდი ახურავს და მოსასხამი აქვს მოსხმული; ხელში კალათა უქირავს.

**იალმარი.** უკვე დაბრუნდი, გინა?

**გინა.** დიახ, იმის დროც არა მაქვს, რომ სული მოვითქვა. (კალათას მაგიდაზე დგამს, ქუდსა და მოსასხამს იხდის).

**იალმარი.** გრეგერსის ოთახში ხომ არ შეგახედავს?

**გინა.** შევიხედე. ვაი საყვარელო! უკეთესს რას ნახავს თვალი. მოვიდა თუ არა, ყველაფერი დააწყობია.

**იალმარი.** მართლა?

**გინა.** ჰო, როგორ არა! თავიდანვე გამოგვიცხადა, არავის სამსახური არ მქირდება, ყველაფერს ჩემით ვაკეთებო. ცეცხლიც, რაღა თქმა უნდა, თვითონ დაანთო, საკვამურის გაღება: კი დაავიწყდა. მთელი ოთახი კვამლით გაავსო. სული შეგებუ-  
თება...

**იალმარი.** რას მეუბნები?

- გინა. ეს კიდევ რაა? საჭირო შეიქნა ცეცხლის ჩაქრობა; მანაც აიღო და წყლით საესე პირსაბანი შიგ ჩასცალა!... მოელი იატაკი მოთხვარა და გაატიალა!
- იალმარი. რა მოუვიდა?
- გინა. დამლაგებელს დაუუძახე. რომ იქაურობა მოესუფთავებინა. მაგრამ ახლა სადილობამდე შიგ ველარ შეხვალ.
- იალმარი. თვითონ სადღა წავიდა?
- გინა. ეოტას გავეილიო, დაიბარა.
- იალმარი. სანოვაგებზე რომ წახვედი, ერთი წუთით მეც შევიხედე.
- გინა. ნესმოდა, საუზმებზე მოიპატიე.
- იალმარი. დიახ, სადილობამდის ეოტა წავიხემსოთ-მეთქი. ხომ იცი, პირველი დღეა... დაუპატიეებლობა არ ივარგებდა. შენ ყოველთვის მოგეძებნენ... რაღაც.
- გინა. მეტი რა გზაა?
- იალმარი. ოღონდ თუ შეიძლება, ყველაფერი ბლომად იყოს. გინა, ალბათ, რელინგი და მოლვიკიც შემოგვიერთდებიან. წელან კიბებზე შევეჩხებე რელინგს და რა მექნა?..
- გინა. ეს ლოთებილა გვაკლდა.
- იალმარი. ღმერთო ჩემო... ორი ლუკმა გინდ აქეო ყოვილა და გინდ იქით. რა მნიშვნელობა აქვს?
- ექდალი (თავისი ოთახის კარს გამოაღებს და გამოიხედავს). გესმის, იალმარ? (გინას დანახვისას). ა-ა!
- გინა. რა გნებავთ, პაპა?
- ექდალი. არა, არაფერი ჰმ! (კარს მიიხურავს).
- გინა (კალათს იღებს). თუ შეიძლება, თვალი გექიროს, არსად წავიდეს.
- იალმარი. კარგი, კარგი, ვეცდები. იცი, რა, გინა? სულზე მისწრება იქნებოდა ქაშაყის სალათი... რელინგი და მოლვიკი წუხან-დელი გამოყოლილები იქნებიან.
- გინა. ოღონდ მაცალონ და...
- იალმარი. შენი ამბავი რომ ვიცი, ყველაფერს მოასწრებ.
- გინა. ვეცდები. შენ კი ეოტას წაიმუშავებ.
- იალმარი. ვმუშაობ, ბატონო! თავს არა ეზოგავ.
- გინა. ჰოდა, ბარემ დღესვე მორჩები. (კალათა სამზარეულოში გააქვს).  
იალმარი ერთხანს ჩემად ზის და სურათს რეტუშს უკეთებს. დუნედ, უხალისოდ მუშაობს.
- ექდალი (შემოიხედავს, იქაურობას მიათვალეერ-მოათვალეერებს და ხმადაბლა ამბობს). ბევრი საქმე გაქვს?

იალმარი. დიახ, ხომ ხედავ, ამ უპატრონო სურათებს გადავყვევი.  
ექდალი. არა, თუ არა გცალია... კმ! (თავის ოთახში შეიმალება, კარს  
ლიას ტოვებს).

იალმარი (ერთხანს ჩუმად განაგრძობს მუშაობას, მერე სურათს განზე  
გადადებს და მაშის ოთახისკენ მიემართება). შენც ბევრი საქმე გაქვს,  
მამა?

ექდალი (თავის ოთახში, ბუზღუნით). შენ თუ არა გცალია, არც მე  
ვარ მოცილილი... კმ!

იალმარი. კარგი, კარგი. (სამუშაოს უბრუნდება).

ექდალი (ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გამოყოფს თავს). კმ!.. მართალი  
გიტხრა, არც ისე ბევრი საქმე მაქვს, იალმარ.

იალმარი. მე მეგონა, წერდი.

ექდალი. ჯანდაბას წერა! ვითომ გრობერგი ორიოდე ღლეს ვერ  
მოიცდის? ნუ გეშინია, ქვეყანა არ დაიქცევა.

იალმარი. რა თქმა უნდა. მოჯამაგირე ხომ არა ხარ.

ექდალი. აქ კი, ცოტა ხელი თუ არ წაგეკარი...

იალმარი. დიახ, დიახ. მაშ, წაიმუშავებ? კარი გაგიღო?

ექდალი. კარგს იზამ.

იალმარი (დგება). ერთი ამასაც მოვრჩეთ.

ექდალი. მოვრჩებით. ხვალ დილით ყველაფერი მზად უნდა იყოს.  
ხვალ ხომ... კმ!

იალმარი. დიახ, ხვალ.

ორივენი ერთად აღებენ სხვენის კარს. საკმლებიდან მზის შუქი ჩამოდის.  
სხვენში მტრედები ფრთხილდებიან, სხვები ქანდარაზე სხედან, დანარჩენები  
ლულუნით დაგოგმანებენ. სიღრმიდან დროდადრო კრიახი ისმის.

აბა, შენ იცი, მამა!

ექდალი (შელის). შენ არ მიშველი?

იალმარი (სამზარეულოს კარში გინას მოკრავს თვალს). მე? მართალი  
გიტხრა... არა, არა მცალია. სამუშაო მაქვს... მაშ, ასე, აი, ეს  
მექანიზმი... (თასმას მოქაჩავს).

სხვენის კარზე ქერიდან იატაკამდე ფარდა ჩამოეშვება, რომლის ზედა ნაწილი  
თევზსაქერი ბადისგანაა შეკერილი, ქვედა კი — ძველი ტლოსაგან, ასე რომ,  
სხვენის იატაკი აღარა ჩანს.

(მაგიდას უბრუნდება). მადლობა ღმერთს, ახლა მაინც მომასვენებენ.

გინა. თავისას მაინც არ იზღის?

იალმარი. ნეტავი ისევ მადამ ერიკსენთან წასულიყო. (ჯდება). რა  
გინდა? შენ ხომ მითხარი?..

გინა. მხოლოდ ის მინდოდა მეკითხა შენთვის, აქ გავაწყო თუ?..

იალმარი. პო. ასე ადრე, ალბათ, არავინ მოეხეტება.

გინა. არა, დღეს არავის არ ველი, იმ წყვილის გარდა, ერთად რომ უნდათ სურათის გადაღება.

იალმარი. დალახვროს ეშმაკმა! სხვა დროს ვერ გადაიღებენ?

გინა. ნუ ლელავ, ჩემო ძვირფასო, იმ დროს დავიბარე, როცა შენ უკვე გძინავს.

იალმარი. კიდევ კარგი. მაშ, აქ დავსხდებით?

გინა. დიახ, დიახ. სუფრის გაშლას მერეც მოვასწრებ. მაგიდა ჭერჭერობით არა მქირდება. იჭექი, იმუშავე.

იალმარი. აკი ვმუშაობ.

გინა. სამაგიეროდ, მერე შეგიძლია შენს ნებაზე მოილხინო. (კვლავ სამზარეულოში გადის).

ხანმოკლე პაუზა.

ეკლალი (სხვენის კარში, ფარღის იქიდან). იალმარ!

იალმარი. რა იყო?

ეკლალი. ალბათ, მაინც მოგიწევს ვარცლის გადადგმა.

იალმარი. აკი გეუბნებოდი.

ეკლალი. კმ... კმ... კმ... (კარს სცილდება).

იალმარი ცოტას წაიმუშავეს, მერე სხვენისკენ გააპარებს თვალს და ღებდა. სამზარეულოდან გამოდის ჰედვიგი.

იალმარი (მაშინვე ჯდება). რა გინდა?

ჰედვიგი. არაფერი, ისე შემოვიხედე, მამა.

იალმარი (ცოტა ხნის შემდეგ). რას დადიხარ, თითქოს რალაცას დაეძებ, ზვერავე! ჩემს სათვალთვალოდ ხომ არ გამოგზავნენ?

ჰედვიგი. რას ამბობ, მამა?

იალმარი. დედა რას აკეთებს?

ჰედვიგი. სალათის მეტი აღარაფერი ახსოვს. (მაგიდასთან მიდის). ცოტას მაინც მოგეხმარები, მამა!

იალმარი. არა! ისევ მე... ყველგან მხოლოდ მე... სანამდისაც ძალა მეყოფა!.. ნუ გეშინია, ჰედვიგ, სანამ მამაშენს სული არ ამოხდება მუშაობით...

ჰედვიგი. ნუ, მამა, ასე ნუ ლაპარაკობ, რა?.. შენ ხომ ჩემი კარგი მამა ხარ (ოთახში დადის, სხვენის კართან ჩერდება და შიგ იხედება).

იალმარი. რას აკეთებს?

ჰედვიგი. მგონი, ახალი გზა გაპყავს ვარცლამდის.

იალმარი. უჩემოდ რას გახდება? მე კი აქ უნდა ვიჯდე, მიჯაჭვულივით.

ჰედვიგი (უახლოვდება). ფუნჯი მომეცი, მამა... მეც შემიძლია.

იალმარი. სისულელეს თავი ანებე. მხოლოდ თვალებს გაიფუქებ.

ჰედვიგი. ვინ მოგახსენა? მომეცი, მომეცი ფუნჯი.

იალმარი (ღება). სულ ორი წელი მკირდება, მეტი კი არა.

ჰედვიგი. კარგი რა, მამა, რა მომივა? (ფუნჯს იღებს). აი, ასე. (ჭდება).  
ესეც ნიმუში.

იალმარი. თვალებს გაუფრთხილდი! გესმის?.. მერე მე მომთხოვენ  
პასუხს... შენს თავს დააბრალებ, გესმის?

ჰედვიგი (მუშაობს). კარგი, კარგი.

იალმარი. ისე კი, ნიკიერი გოგო ხარ, ჰედვიგ. სულ ორი წუთით,  
გესმის? (ფარდას გასწევს და სხვენში შედის).

ჰედვიგი მუშაობს. სხენიდან იალმარისა და ევალის ხმები ისმის; ეტყობა,  
რალაუბე დაობენ.

(სახელსონოში გამოდის). მანდ — თაროზე გაზია, მომეცი, ჰედვიგ.  
ჩაქუჩიც გამოაყოლე. (უკანვე ბრუნდება). ახლავე, მამა! მოიცა  
ერთი, გიჩვენო, რა მოვიფიქრე!

ჰედვიგი თაროდან გაზსა და ჩაქუჩს იღებს და მამას აწვდის.

გმადლობთ. იცი, რა? სულზე მიეუსწარი! (კარს სცილდება).

სხენიდან ჩაქუჩის კაკუნი და საუბარი ისმის. ჰედვიგი ღვას და ბალიდან  
უცქერის. ცოტა ხნის შემდეგ შემოსასვლელ კარზე აკაკუნებენ. ჰედვიგს არ ესმის.

გრეგერსი (უქედოდ და უპალტოდ; შემოდის და კარშივე ჩერდება). კმ!..

ჰედვიგი (შებრუნდება და შესაგებებლად მიეშურება). გამარჯობათ,  
მობრძანდით, მობრძანდით.

გრეგერსი. გმადლობთ. (სხენისკენ იყურება). იქ ვინაა?

ჰედვიგი. არაინ. მამა და პაპა. ახლავე დავუძახებ.

გრეგერსი. არა, არა. დაველოდები. (ღიანზე ჩამოჭდება).

ჰედვიგი. აქ ისეთი არეულობაა... (სურათების აღაგებას აპირებს).

გრეგერსი. იყოს, ნუ წუხდებით. ეგ ის სურათებია, რეტუშირება  
რომ სკირდება?

ჰედვიგი. ღიახ. მამას ვეხმარები!

გრეგერსი. მე ნუ მომერიდებით. განაგრძეთ, გეთაყვა!

ჰედვიგი. არა, არა. (ჭდება, საჭირო ნივთებს თავისკენ მიიწევს და მუშაობას  
განაგრძობს).

გრეგერსი ერთხანს ჩუმად უყურებს.

გრეგერსი. გარეული იხვი როგორ გრძნობს თავს?

ჰედვიგი. გმადლობთ. კარგად.

გრეგერსი (სხენისკენ შერიალდება). მზის შუქზე აქაურობა სულ  
სხვანაირია, ვიდრე წუხელ მთვარის შუქზე იყო.

- ჭედვიგი. დიახ, ყველაფერი საოცრად იცვლება. დილით სულ სხვანაირია, ვიდრე საღამოს. დარში ერთი იერი აქვს, ავდარში — მეორე.
- გრეგერსი. თქვენ ესეც შენიშნეთ?
- ჭედვიგი. რა დიდი შენიშვნა ამას უნდა, თვალში გეცემათ.
- გრეგერსი. თქვენც გიყვართ იქ, გარეულ იხეთან ყოფნა?
- ჭედვიგი. როცა მცალია...
- გრეგერსი. მაგრამ თქვენ, ალბათ, ძალზე ცოტა თავისუფალი დრო გაქვთ. სკოლაში დადიხართ, არა?
- ჭედვიგი. არა, უკვე აღარ დავდივარ. მამას ეშინია, თვალები არ გავიფუქო.
- გრეგერსი. ესე იგი, თვითონვე გამეცადინებთ?
- ჭედვიგი. შეშპირდა. გამეცადინებო, მაგრამ რომ არა სცალია?
- გრეგერსი. მაშ, ვინ გეხმარებათ?
- ჭედვიგი. კანდიდატი მოლვიკი. მაგრამ ისიც ყოველთვის როდია... ფორმაში... ასე რომ...
- გრეგერსი. სვამს?
- ჭედვიგი. ალბათ.
- გრეგერსი. მაშასადამე, თავისუფალი დრო ბლომად გქონიათ... იქ, ალბათ, სულ სხვანაირი სამყაროა, არა?
- ჭედვიგი. დიახ, იქ იმდენი საოცრებაა.
- გრეგერსი. მართლა?
- ჭედვიგი. ჯერ ერთი, იქ წიგნებით სავსე კარადები დგას, წიგნებში კი იმდენი სურათებია.
- გრეგერსი. რას მეუბნებით?
- ჭედვიგი. გარდა ამისა, ძველი განჯინა... ვერც კი დათვლით, იმდენი უჯრა და კარი აქვს. იქვეა პაწაწინა ფიგურებით შემკული ძველი საათი. როცა მუშაობდა, ფიგურები დროდადრო გარეთ გამოხტებოდნენ თურმე. მაგრამ ახლა აღარ მუშაობს.
- გრეგერსი. ასე რომ, გარეულ იხეთან, დრო თითქოს გაჩერდა, არა?
- ჭედვიგი. დიახ. იქვე დგას ძველი ყუთი, საღებავებითა და ათასნაირი ხარახურით სავსე. ახლა წიგნებს აღარ იკითხავენ?
- გრეგერსი. თქვენ მათ კითხულობთ?
- ჭედვიგი. დიახ. დროდადრო. მაგრამ მათი უმრავლესობა ინგლისურია, მე კი ინგლისური არ ვიცი. ამიტომ სურათებს ვათვალიერებ. იქ არის ერთი უზარმაზარი წიგნი, რომლის სათაურია „Harryson's History of London“. ასი წლის მაინც იქნება. შიგ იმდენი სურათებია. პირველ სურათზე გამოსა-

ხულია გოგონა და სიკვდილი, რომელსაც ქვიშის საათი უჭირავს ხელში. მე არ მომწონს. სამაგიეროდ, დანარჩენ სურათებზე სულ ეკლესიებია, ციხე-კოშკები, ქუჩები და უზარმაზარი იალქნიანი გემები, რომლებიც ზღვაში დაცურავენ.

**გრეგერსი.** ვინ მოგცათ ეს უცნაური და იშვიათი ნივთები?

**ჰედვიგი.** იცით, რა? აქ ერთი ბებერი მეზღვაური ცხოვრობდა, კაპიტანი. მოგზაურობიდან რომ ბრუნდებოდა, თან ჩამოჰქონდა. „მფრინავ ჰოლანდიელს“ ეძახდნენ. უცნაურია, არა? სინამდვილეში სულაც არ ყოფილა ჰოლანდიელი.

**გრეგერსი.** არა?

**ჰედვიგი.** არა. მაგრამ ბოლოს უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მისი ნივთები კი აქ დარჩა.

**გრეგერსი.** ერთი ეს მითხარით, როცა ზიხართ და სურათებს ათვალიერებთ, თქვენ თვითონ არ გენატრებათ მოგზაურობა?

**ჰედვიგი.** ა-არა! მე მინდა სულ შინ ვიჯდე და დედ-მამან ვეხმარებოდე.

**გრეგერსი.** რეტუშს უკეთებდეთ სურათებს?

**ჰედვიგი.** არა, ეგ არა. ყველაზე უფრო მეტად, ინგლისურ წიგნებში როა, იმნაირი სურათების ამოკვეთა მინდა ვისწავლო.

**გრეგერსი.** ჰმ... მერედა, მამათქვენი რას ამბობს?

**ჰედვიგი.** მე მგონია, არ მოსწონს. ამ მხრივ, მამა ისეთი უცნაურია. წარმოგიდგენიათ, ასე ამბობს, უმჯობესია, ჩალისაგან კალათებისა და სხვა მისთანების წვნა ისწავლოო. მითხარით, საქმეა ეს?

**გრეგერსი.** ჩემის აზრით, დიდი არაფერი.

**ჰედვიგი.** მაგრამ ერთ რამეში კი მართალია: წვნა რომ გესწავლა, შეგეძლო ახალი კალათი მოგეწნა გარეული იხვისთვისაო.

**გრეგერსი.** ცხადია, შეგეძლოთ. აბა, სხვამ ვინ უნდა მოუწნას, თუ არა თქვენ?

**ჰედვიგი.** რა თქმა უნდა, იხვი ხომ ჩემია.

**გრეგერსი.** საქმეც ეგაა.

**ჰედვიგი.** დიახ, საკუთრივ ჩემი. მაგრამ მამას და პაპას ვათხოვე. რამდენ ხანსაც უნდათ, ჰყავდეთ.

**გრეგერსი.** მართლა? კი მაგრამ, რაში სჭირდებათ?

**ჰედვიგი.** რა ვიცი, უვლიან, საბუღარს უწყობენ, თავს ევლებიან.

**გრეგერსი.** წარმომიდგენია. გარეული იხვი, ალბათ, ყველაზე საპატივცემულო არსებაა მთელს სხვენში.

- ჰედვიგი.** რა თქმა უნდა. ეს ხომ ნამდვილი გარეული ფრინველია, თანაც, ისეთი საცოდავი. აბა, ვისთან უნდა იამხანაგოს?
- გრეგერსი.** მართლაც, ოჯახი ხომ არა აქვს, როგორც ვთქვამთ, ბოცერებს.
- ჰედვიგი.** დიახ. ქათმებიც ბევრი გვყავს. ყველანი ერთად დაიზარდნენ. იხვი კი სულ მარტოა, უთვისტომო, უამხანაგო. და საერთოდაც, თითქოს რალაცნაირი იღუმალეებითაა მოსილი: არავინ იცის, სადაურია, ვინ არის.
- გრეგერსი.** და, ეგეც არ იყოს, ზღვის უფსკრულშია ნამყოფი.
- ჰედვიგი** (ქურდულად შეაღებს თვალს, ლიპილს იკაეებს და ამბობს). რატომ ამბობთ, ზღვის უფსკრულშიო?
- გრეგერსი.** მაშ, რა უნდა ვთქვა?
- ჰედვიგი.** უბრალოდ: ზღვის ფსკერზე-თქო.
- გრეგერსი.** ვითომ რა განსხვავებაა: გინდ ზღვის უფსკრული გითქვამს და გინდ ზღვის ფსკერი!
- ჰედვიგი.** რა ვიცი, მე ყოველთვის ისე მეხამუშება, როცა სხვები ამბობენ, ზღვის უფსკრულიო.
- გრეგერსი.** რატომ? მითხარით!
- ჰედვიგი.** არა, არ გეტყვით. სისულელეა.
- გრეგერსი.** არა მგონია. მითხარით, რატომ გაიღიმეთ?
- ჰედვიგი.** იმიტომ, რომ ყოველთვის, როცა ამ ჩვენს სხვენსა და მის ბინადრებზე ვფიქრობ, ყოველივე ეს, რატომღაც ზღვის უფსკრულად წარმომიდგება. სისულელეა, აბა, რა არის?
- გრეგერსი.** ვითომ?
- ჰედვიგი.** კი მაგრამ, ეს ხომ სხვენია და სხვა არაფერი.
- გრეგერსი** (დაფინებით უცქერის). დარწმუნებული ხართ?
- ჰედვიგი** (განცვიფრებით). იმაში, რომ ეს სხვენია?
- გრეგერსი.** დიახ. სავსებით დარწმუნებული ხართ?
- ჰედვიგი უხმოდ შეჰყურებს, განცვიფრებისაგან პირღაღებულს. სამზარეულოდან გამოდის გინა. ხელში სუფრა უჭირავს. გრეგერსი ღებდა.
- მგონი, ადრე მოვედი!
- გინა.** ეგ არაფერი, სადღაც ხომ უნდა მიხვიდეთ? მალე ყველაფერი მზად იქნება. მაგიდა აალაგე, ჰედვიგ.
- ჰედვიგი მაგიდას ალაგებს და მერე სუფრის გაშლაში ეხმარება დედას.
- გრეგერსი** სავარძელში ჭდება და ალბომს ათვალიერებს.
- გრეგერსი.** როგორც გავიჯე, თურმე რეტუშირება გებერხებათ, ფრუ ეკდალ.
- გინა** (ალმაცერად გადახედავს). დიახ, მეხერხება.



გრეგერსი. ხედავთ, ყველაფერი რა კარგად დაემთხვა?  
 გინა. რას დაემთხვა?  
 გრეგერსი. რასა და, აი, იმას, ეკალმა რომ ფოტოგრაფობის  
 შესწავლა გადაწყვიტა.  
 ჰედვიგი. დედას გადაღებაც შეუძლია.  
 გინა. დიახ, ძალაუნებურად ესეც ვისწავლე.  
 გრეგერსი. მაშასადამე, მთელ საქმეს თქვენ უძღვებით?  
 გინა. როცა იალმარს არა სცალია...  
 გრეგერსი. ალბათ, ბევრ დროს უთმობს მამამისს.  
 გინა. დიახ. და, ეგეც არ იყოს, რა ეკდალისნაირი კაცის საქმეა  
 ფოტოგრაფობა?  
 გრეგერსი. მართალს ბრძანებთ. მაგრამ რაკი ამ საქმეს მოჰკიდა  
 ხელი...  
 გინა. ბატონ ვერლეს, ალბათ, მოეხსენება, რომ იალმარი უბრალო  
 ფოტოგრაფი კი არ არის, არამედ...  
 გრეგერსი. დავუშვათ, მაგრამ მაინც...  
 სხვენში სროლა გაისმის.  
 (შეკრთება). რა არის ეს?  
 გინა. უჰ! ისევ ისვრიან.  
 გრეგერსი. კიდევ ისვრიან?  
 ჰედვიგი. დიახ, ნადირობენ.  
 გრეგერსი. რაო? (სხვენის კარს უახლოვდება). ნადირობ, იალმარ?  
 იალმარი (ბაღის იქიდან). უკვე მოხვედრი? მე კი არც გამოიგია. იმდენი  
 საქმე მქონდა... რატომ არ მითხარი, ჰედვიგ? (გამოდის).  
 გრეგერსი. მაშ, შენ ამ სხვენში კიდევ ნადირობ?  
 იალმარი (ორღულა რევოლვერს აჩვენებს). მხოლოდ და მხოლოდ, აი,  
 ამით.  
 გინა. ფრთხილად იყავით, აი, ნახავთ, თუ მაგ ლევოლვერმა  
 უბედურება არ დააწიოს.  
 იალმარი (გალიზიანებით). რამდენჯერ მითქვამს, რომ ამ ცეცხლსას-  
 როლ იარაღს რევოლვერი ეწოდება?  
 გინა. მაგით რა, ვითომ უკეთესი გახდება თუ რა?  
 გრეგერსი. ესე იგი, ახლა შენც მონადირე გახდი, იალმარ?  
 იალმარი. მონადირე კი არა... ისე, ხანდახან. ბოცერებს ვესვრით,  
 თავშესაქცევად... უფრო ბერიკაცის ხათრით, ხომ გესმის?  
 გინა. კაცების ამბავი ხომ მოგეხსენებათ, თავი თუ არ შეიყოლიეს?..  
 იალმარი (გალიზიანებული). დიახ, დიახ, ხანდახან გართობაც გეკვირდება.

გინა მეც მაგას არ ვამბობ?

იალმარი. ო-ოჰ! ჰმ!.. (გრეგერსს). ბედმა გაგვიღიმა, სხვენი რომ ასე განაპირასაა; სროლის ხმა კაციშვილს არ ესმის. (სულ ზემო თაროზე დებს რეკოლვერს). იცოდე, ხელი არ ახლო, ჰედვიგ! ერთი ლულა გატენილია. დაიმახსოვრე!

გრეგერსი (ბადეში იჰყობება). ოჰო! სანადირო თოფიც გქონიათ.

იალმარი. მამაჩემის ძველი თოფია... აღარც ისვრის. ჩახმახი მოეშალა. მაგრამ მაინც კაი რამეა. შეიძლება დაშალო, გაწმინდო, დაზეთო და კვლავ ააწყო... ერთის სიტყვით, ბერიკაცი თავს იქცევს, რა...

ჰედვიგი (გრეგერსის გვერდით). აი, ახლა კი შეგიძლიათ, კარგად დაუკვირდეთ გარეულ იხვს.

გრეგერსი. მეც სწორედ იმას ვუყურებ. ერთი ფრო... მგონი, ძირს დასთრევს.

იალმარი. რა გასაკვირია, დაქრილი იყო.

გრეგერსი. ცალი ფეხითაც კოკლობს, თუ ვცდები?

იალმარი. არა, ცოტათი მართლა კოკლობს.

ჰედვიგი. ამ ფეხში კიდევ ძალღმა ჩააველო პირი.

იალმარი. ისე კი, ვითომც არაფერიო. არადა, საკვირველია, ღმერთმანი, თუ გაიხსენებ, რომ არა მარტო საფანტო მოხვდა, არამედ ძალღსაც ეჭირა პირით...

გრეგერსი (ჰედვიგს გადახედავს)... და, თანაც, ამდენ ხანს ზღვის უფსკრულში იყო...

ჰედვიგი (ილიმება). დიახ.

გინა (მაგიდასთან ფუსფუსებს). ოჰ, ეს გარეული იხვი, ისე ელოლია-გებიან. თითქოს პრინცესა იყოს.

იალმარი. ჰმ!.. მალე იქნება?

გინა. ამ წუთას. ჰედვიგ, მოდი, მომეხმარე.

გინა და ჰედვიგი სამზარეულოში გადიან.

იალმარი (ხმადაბლა). ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ ცოტა აქეთ გამოდი. ბერიკაცს არ უყვარს, როცა უყურებენ.

გრეგერსი სხვენის კარს სცილდება.

სჯობია, დავხურო, სანამ დანარჩენებიც არ მოსულან. (ხელს აიქნევს). აქში, აქში! თქვე გასაწყვეტებო! (ფარდას სწევს და კარს ხურავს). მთელი ეს მექანიზმი ჩემი გამოგონილია. მიყვარს ჩხირკედელაობა. ხან რას ჩაკვირკიტებ და ხან რას; თუ რამე გაფუქდა, შეუყეთებელს არ დაეტოვებ. თანაც, ეს მოწყობილობა აუცილებლად საჭიროა: გინა ვერ იტანს. როცა ბოცვრები და ქათმები სახელოსნოში შემოდიან.

**გრეგერსი.** აქ, ალბათ, შენი ცოლი განაგებს ყველაფერს.

**იალმარი.** ყოველდღიური საქმეები მის კისერზე გადადის მთლიანად. მე კი, თავისუფალ დროს ვიშოვი თუ არა, ჩავიკეტები და უფრო მნიშვნელოვან რამეს ვაკეთებ.

**გრეგერსი.** მაინც რას, იალმარ?

**იალმარი.** მიკვირს, რომ აქამდის არ მკითხე. ან, იქნებ, ჩემი გამოგონების თაობაზე არაფერი გსმენია?

**გრეგერსი.** გამოგონების?..

**იალმარი.** მართლა არაფერი გაგიგია? თუმცა იმ ტყეში...

**გრეგერსი.** კი მაგრამ, რა გამოიგონე?

**იალმარი.** არა, გამოგონებით ჯერ კიდევ არ გამომიგონებია. მაგრამ ვიგონებ. შენ, ალბათ, ხვდები, რომ თუ ფოტოგრაფობას მივყავი ხელი, იმიტომ კი არა, რომ ყველა დოკლამპიას სურათი ეულო.

**გრეგერსი.** რა თქმა უნდა. წელან შენი ცოლიც მეუბნებოდა.

**იალმარი.** მე დავიფიციე, თუკი ამ საქმეს მოვკიდებ ხელს, იმ სიმალლეზე ავიყვან მას, რომ ნამდვილ ხელოვნებად და მეტნიერებად იქცეს-მეთქი. აი, რას ისახავს მიზნად ჩემი გამოგონება.

**გრეგერსი.** ცოტა უფრო დაწვრილებით ვერ მეტყვი?

**იალმარი.** იცი რა, ჩემო ძვირფასო? ჯერჯერობით დეტალებზე ნურაფერს მკითხავ. ყოველივე ამას დრო სჭირდება, გესმის? ნუ გგონია, თითქოს პატივმოყვარეობა მამოძრავებდეს. არა, რა თქმა უნდა; პირადად ჩემთვის როდი ემუშაობ. დღისითაც და ღამითაც სულ მთელი ჩემი სიცოცხლის ამოცანა მიდგას თვალწინ.

**გრეგერსი.** მაინც რა ამოცანა?

**იალმარი.** თმაქალარა მამაჩემი ხომ არ დაგავიწყდა?

**გრეგერსი.** საწყალი მამაშენი! კი მაგრამ, კაცმა რომ თქვას, შენ რას უშველი?

**იალმარი.** მე შემიძლია აღვადგინო ეკლავების დიდება და სახელი და ამით აღვადგინო მის სულში საკუთარი ღირსების გრძნობა.

**გრეგერსი.** მაშ, ესაა მთელი შენი სიცოცხლის ამოცანა?

**იალმარი.** დიახ. მე მინდა გადავარჩინო ბერიკაცი, რომელმაც კატასტროფა განიცადა. მთელი იმედები ჯერ კიდევ მაშინ დაემსხვრა, როცა მის თავზე ის-ის იყო იქუხა. ვიდრე მთელი ეს საშინელი გამოძიება გრძელდებოდა, ის უკვე აღარ იყო ლეიტენანტი ეკდალი. აი, ამ რევოლვერმა, რომლითაც ბოცვრებს ვხოცავთ... თავისი როლი ითამაშა ჩვენი გვარის ტრაგედიაში.

**გრეგერსი.** როგორ?

**იალმარი.** როდესაც განაჩენი გამოუტანეს და პატიმრობა მიუსაჯეს... ეს რევოლუერი ხელში ეჭირა.

**გრეგერსი.** ხელში ეჭირა?

**იალმარი.** დიახ, მაგრამ შეშინდა და თავის მოკვლა ველარ გაბედა. ასე დაეცა სულით, დაკინდა, დაბეჩავდა. ოფიცერი, რომელსაც ცხრა დათვი ჰყავდა მოკლული, ორი პოდპოლკოვნიკის შთამომავალი... რალა თქმა უნდა, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით... გესმის, გრეგერს?

**გრეგერსი.** დიახ, დიახ, ყველაფერი გასაგებია.

**იალმარი.** ჩემთვის კი არა... ამ რევოლუერმა მეორედაც ითამაშა თავისი როლი ჩვენი ოჯახის ბედუკულმართ ისტორიაში. როდესაც მამაჩემს პატიმრის ხალათი ჩააცვეს და ციხეში ჩასვეს... ო-ო! დამერწმუნე, ეს იყო ყველაზე საშინელი დრო ჩემს ცხოვრებაში! ორივე ფანჯარაზე ფარდები ჩამოშვებული მქონდა, და როცა ხანდახან მალულად გავიხედავდი ქუჩაში და დავინახავდი, რომ მზე კელაე ძველებურად ანათებს, ეს რალაც გაუგებარი იყო ჩემთვის. ვხედავდი, რომ ადამიანები დადიან, რალაცაზე საუბრობენ, იცინიან... და არც ეს მესმოდა. ასე მეგონა, მთელი ცხოვრება უნდა შემდგარიყო, გახევებულიყო, ჩამკვდარიყო, როგორც მზის დაბნელებისას.

**გრეგერსი.** მეც ზუსტად ამნაირი განცდა მქონდა, როდესაც დედაჩემი გარდაიცვალა.

**იალმარი.** სწორედ ამნაირ წუთს მიიბჯინა იალმარ ეკალმა რევოლუერი მკერდზე.

**გრეგერსი.** მაშ, შენ თავის...

**იალმარი.** დიახ!

**გრეგერსი.** მაგრამ აღარ ისროლე?

**იალმარი.** არა... გადამწყვეტ მომენტში ჩემს თავს ვძლიე და... ცოცხალი დავრჩი. დამერწმუნე, დიდი სიმამაცე იყო საჭირო, რომ სიცოცხლე გერჩია ამ პირობებში.

**გრეგერსი.** დიახ... გააჩნია, ვინ რა თვალთ შეხედავს.

**იალმარი.** არა, ასეა! დიახ, მხოლოდ ასე! კიდეც კარგი, რომ ასე მოხდა. ახლა ჩემს გამოგონებას ბევრი აღარაფერი უკლია და ექიმ რელინგსაც და მეც იმედი გვაქვს, რომ მამას აუცილებლად დაუბრუნებენ მუნდირის ტარების უფლებას. ამას მოვითხოვ ჩემს ერთადერთ ჩილდოდ.

**გრეგერსი.** მაშ, ის მუნდირის გამოა ასე?..

**იალმარი.** დიახ. მეტი საფიქრალი და საზრუნავი არ გააჩნია. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორა მტკივა გული. ყოველთვის, როცა პატარა ოჯახური ზეიმი გვაქვს — ჩემი და გინას ქორწინების დღე თუ რაღაც ამგვარი. — ბერიკაცი ერთავად მუნდირში გამოწყობილი გამოდის, როგორც ოდესღაც, იმ ბედნიერ დროს. მაგრამ საკმარისია ვინმემ კარზე დააკაკუნოს, რომ იმ წამსვე გაიძურწება თავისი დაუძღვრებული ფეხების ფლატუნით, რადგანაც გარეშე ხალხში ვერ ბედავს მუნდირით გამოჩენას. რომელი შვილის გული გაუძღვებს ამნაირი დამცირებისა და საცოდაობის ყურებას?

**გრეგერსი.** კი მაგრამ, მაინც როდის დაამთავრებ მაგ შენს გამოგონებას?

**იალმარი.** ო. ღმერთო ჩემო, ამის კითხვა როგორ იქნება? გამოგონება ეს ისეთი რამეა, რომ შენს თავს აღარ ეკუთვნის. აქ ძალიან ბევრი რამეა დამოკიდებული განწყობილებაზე... შთაგონებაზე... და თითქმის შეუძლებელია იმის წინასწარ თქმა, თუ როდის დაუსევამ წერტილს.

**გრეგერსი.** მაგრამ საქმე ხომ მაინც მიიწვეს წინ?

**იალმარი.** რა თქმა უნდა. ყოველდღე ამ გამოგონებაზე ვმუშაობ. სხვა საზრუნავი აღარა მაქვს. ვისადილებ თუ არა, ჩემს ოთახში ჩავიკეტები და ვფიქრობ, თავს ვიმტვრევ, ვეძებ. მხოლოდ ნუ დამაჩქარებთ. ხომ გაგიგონია, მოჩქარეს მოუგვიანდესო. რელინგიც ამას ამბობს.

**გრეგერსი.** ერთი ეს მითხარი, ამ სხვენზე ჩალიჩი ხომ არ გიშლის ხელს?

**იალმარი.** არა, არა, რას ამბობ? პირიქით. სულ ერთავად ჩემმა მტერმა იმტერია თავი და ისიც ამ ურთულეს პრობლემებზე. ხანდახან სულის მოთქმაც საკიროა, რაღაცით ხომ უნდა შევავსო ის ცარიელი შუალედები, როცა განწყობილებას, შთაგონებას ველი? ნება მისია, თუ მოვა, თავისით მოვა.

**გრეგერსი.** ეჰ, ჩემო ძვირფასო იალმარ, ცოტა არ იყოს, შენც გარეულ იხვს მაგონებ.

**იალმარი.** გარეულ იხვს? ეგ როგორ გავიგო?

**გრეგერსი.** შენც მასავით ჩაყვინთე და ფსკერზე წყალმცენარეებში გაიხლართე, შლამში ჩაეფალი.

**იალმარი.** შენ. ალბათ, იმ საბედისწერო გასროლას გულისხმობ, რომლებმაც ფრთები დაგვიმსხვრია მამაჩემსაც და მეც.

**გრეგერსი.** სწორად ვერ გამოიგე. მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ შენ დაკრილი და დასახიჩრებული ხარ, არამედ იმისა, რომ შმორიან კაობში ჩაეფალი, იალმარ, მიაზმის შხამიანი სუნ-

აქვით მოიწამლე და ფსკერზე ჩაყვინთე, რათა წყვილიაღში დალიო სული.

**იალმარი.** მე? წყვილიაღში დავლიო სული? იცი, რას გეტყვი, გრეგერს? ამნაირ ლაპარაკს მოეშვი!

**გრეგერსი.** ნუ გეშინია. ვეცდები ზედაპირზე ამოგათრიო. იცი რა? მეც მივაგენი ჩემი სიცოცხლის მიზანს. — გუშინდელს აქეთ.

**იალმარი.** ადვილი შესაძლებელია. მაგრამ, თუ ღმერთი გწამს, მე თავი გამანებე. შემძძლია დაგარწმუნო, რომ — თუ ჩემს უცნაურ მელანქოლიას არ ჩავთვლით, რაც, კაცმა რომ თქვას, არც ისე ძნელი ასახსნელია, — ბედნიერი ვარ, იმდენად ბედნიერი, რამდენადაც შეიძლება ინატროს კაცმა.

**გრეგერსი.** ბედნიერი რომ ხარ, ესეც იმ მოწამელის შედეგია.

**იალმარი.** არა, ჩემო ძვირფასო გრეგერს, გეყოფა ამდენი ყბედობა მიაზმებსა და გადამდებ სნეულებებზე. ჩვეული არა ვარ, გესმის? ჩემს სახლში არასოდეს არ ლაპარაკობენ ამნაირ უსიამოვნო ამბებზე.

**გრეგერსი.** რა თქმა უნდა. შენ რომ არ მითხრა, ისედაც მჯერა.

**იალმარი.** დიახ, ეს ჩემზე ცუდად მოქმედებს. არავითარი კაობი და მიაზმა აქ არ არის. მართალია, საწყალი ფოტოგრაფი ფუფუნებაში არ იხრჩობა, — ჩემს თავს არც ვუმაღავ ამას... მწირია მისი ხვედრი. მაგრამ მე გამომგონებელი ვარ და, თანაც, ოჯახის მარჩენალი. ამის შეგნებაა, რომ მასულდგმულებს და ჩემს უბადრუკ ხვედრზე მამალღებს!.. აა! საუზმეც მოგვართვეს!

გინას და ქედვიგს ლუდი, არყით სავსე გრაფინი, ჭიქები და სხვა მისთანები შემოაქვთ. იმავდროულად, შემოსასულელ კარში გამოჩნდებიან მოლვიკი და რელინგი, ორივე უქედოდ და უპალტოდ. მოლვიკი შავ კოსტიუმშია გამოწყობილი.

**გინა** (ბოთლებს მაგიდაზე ღვამს). ნუ გეშინიათ, ესენი არ დაიგვიანებენ.

**რელინგი.** მოლვიკმა სალათის სუნი იკრა და ველარ დავაკავე-კიდევ ერთხელ გამარჯობათ. ფრუ ეკდალ.

**იალმარი.** გრეგერს, ნება მიბოძე, წარმოგიდგინო კანდიდატი მოლვიკი. ეს კი ექიმი... თუმცა რელინგს ხომ იცნობ.

**რელინგი.** ეე, ეს ხომ ბატონი ვერლეა... გრეგერს ვერლე. ჩვენ იქ. „მთის ხევში“, ცოტა არ იყოს, წავეკინკლავდით. როგორც ჩანს, ახლახან გადმოხვედით აქ, არა?

**გრეგერსი.** დიახ, ამ დილით.

**რელინგი.** თქვენს ქვემოთ კი მე და მოლვიკი ვცხოვრობთ, ასე რომ, თუ დაგვირდათ, შორს წასვლა არ დაგვირდებათ ექიმისა და პასტორის დასაძახებლად.

გრეგერსი. გმადლობთ. არც ესაა გამორიცხული. წუხელ -ს ცამეტნი ვუსხედით სუფრას.

იალმარი. აჰ, ისევ თავის უსიამოვნო ამბებს მოჰყვა.

რელინგი. შენ რა გაღელვებს, ეკდალ, ხომ იცი, რომ არაფერი არ გემუქრება...

იალმარი. ღმერთმა ნუ ქნას, თორემ ვაი ჩემი ოჯახის ბრალი... აბა, რაღას ვუყურებთ, დავსხდეთ, ერთი კარგად მოვეუღბინოთ.

გრეგერსი. მამაშენს არ დაველოდებით?

იალმარი. არა, ასე თქვა, ცოტა უფრო გვიან ჩემს ოთახში გეახლებითო. დაჯექი!

კაცები სუფრას მიუსხდებიან. გინა და ჰედვიგი ფუსფუსებენ, მილი-მოლიან, სუფრას ემსახურებიან.

რელინგი. წუხელის მოლვიკი სულ მთლად გადაირია, ფრუ ეკდალ.

გინა. მართლა? წუხელაც?

რელინგი. არ გაგიგიათ? ძლივს მოვათრიე შინ.

გინა. არაფერი არ გამიგია.

რელინგი. კიდეც კარგი, თორემ მტრისას, ისე ყვიროდა.

გინა. მართლა, მოლვიკ?

მოლვიკი. წუხანდელ ამბავს წერტილი უნდა დაესვას. ჩემი უკეთესი „მე“ აქ არაფერ შუაშია.

რელინგი (გრეგერსს). ხანდახან მოუვლის ხოლმე და მაშინ მეტი გზა აღარა მაქვს, — უნდა წავეყვე და ერთად დავლიოთ. საქმე ისაა, რომ ეს ჩვენი კანდიდატი მოლვიკი დემონიური ნატურა გახლავთ.

გრეგერსი. დემონიური?

რელინგი. დიახ, დემონიური.

გრეგერსი. ჰმ...

რელინგი. დემონიური ნატურა კი ის ნატურა არ გახლავთ, რომ ცხოვრებაში პირდაპირი გზით იაროს, — თქვენც არ მომიკვდეთ, სადღაც აუცილებლად გადაუხვევს... თქვენ კი კვლავ იმ გამჟვარტულ ქარხანაში ზიხართ?

გრეგერსი. აქამდე ვიჯექი.

რელინგი. კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, სრულად თუ გაკმაყოფილებთ ის „მოთხოვნები“, რომლებსაც იქ უყენებდით ხალხს?

გრეგერსი. მოთხოვნები?.. (ხვდება). აა!..

იალმარი. თამასუქების განადღებას ხომ არ მოითხოვდი, გრეგერს?

გრეგერსი. ეე, სისულელეა.

რელინგი. დიახ, მოითხოვდა, მაგრამ რას მოითხოვდა!.. კარდაკარ დაძრწოდა და. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, რალაც „იდეალურ მოთხოვნებს“ უყენებდა გაჭირვებისაგან გამომდინარე ჩებულსა და გამოთაყვანებულ ხალხს.

გრეგერსი. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი.

რელინგი. ეგ კი სწორია, ძალზე ახალგაზრდა იყავით. იმედია, მას აქეთ იმდენად დაქვეყნდით, რომ ცოტათი მაინც დაგეკლოთ მაგ თქვენი მოთხოვნებისათვის.

გრეგერსი. ვერ მოგართვით, თუკი ჩემს წინაშე ნამდვილი ადამიანი დგას.

ილმარი. რა მოხდა მერე? ჩემის აზრით, სავსებით გონიერულია... კარაქი მომაწოდე, გინა.

რელინგი. ქონი კიდევ — მოლვიკს.

მოლვიკი. ბრა! დასწყევლოს ღმერთმა!

სხენის კარზე აკაკუნებენ.

ილმარი. გაულე, ჰედვიგ, პაპას შემოსვლა უნდა.

ჰედვიგი მიდის და ცოტათი გამოსწევს კარის ერთ ნახევარს. სხენიდან გამოდის მოხუცი ეკდალი. ხელში ბოცერის ტყავი უჭირავს. ჰედვიგი ზელახლა ხურავს კარს.

ეკდალი. გამარჯობათ, ბატონებო! დიდებულად ვინადირე. აი, რა ზორბა მოვკალი!

ილმარი. უჩემოდ გაატყავე?

ეკდალი. კიდევ დავამარილე. მშვენიერი ნაზი ხორცი აქვთ ბოცერებს! უგემრიელესი... გაამოთ, ბატონებო! (თავის ოთახში გადის).

მოლვიკი (წამოხტება). მომიტევეთ... არ შემიძლია... ქვევით უნდა ჩავვარდე...

რელინგი. სოდიანი წყალი ხუხე, ძმობილო!

მოლვიკი (კარისკენ გარბის). უუ!.. უუ!.. (დაძულრულივით გავარდება).

რელინგი (ილმარს). ეს ბებერ მონადირეს გაუმარჯოს!

ილმარი (უჭახუნებს). ძველ სპორტსმენს, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში უდგას!

რელინგი. კალარით მოსილს!..

სვაშენ.

ჰო, მართლა, აქა-იქ ურევია კალარა, თუ სულ მთლად თოვლივით თეთრია?

ილმარი. აბა, რა გითხრა? ასეც და ისეც. კინკრიხოზე კი ორი ღერი თმა თულა შერჩა.



**რელინგი.** ეგ არაფერი, პარიკითაც იოლად გადის ხალხი...  
ბედნიერი კაცი ხარ, ეკდალ! დიდებული მიზანი დაისახე და  
განუხრელად ისწრაფი მისკენ...

**იალმარი.** დიახ, ვისწრაფი...

**რელინგი.** თანაც, რა კარგი ცოლი გყავს... დახე, როგორ  
ფუსფუსებს, ფაციფუცობს თავისი თექის ჩუსტებით, როგორ  
მიარხევს თეძოებს... თავს დაგტრიალებს, სულ შენზე ზრუ-  
ნავს.

**იალმარი.** დიახ, გინა... (თავს უქნევს) შენნაირი ცოლი ტყუილია!..

**გინა.** აბა, აბა, რას დამცინით?

**რელინგი.** ახლა ჰედვიგი, ეკდალ, ა?

**იალმარი** (გულაჩუყებით). ჩემი გოგო! ჩემი სიცოცხლე! აქ მოდი,  
ჰედვიგ! (თავზე ხელს უსვამს). აბა, რა დღეა ხვალ?

**ჰედვიგი** (ქაჩავს). არ გინდა, მამა, რა?

**იალმარი.** გული მეფლითება, როცა იმაზე ვფიქრობ, რომ არ  
შეგვიძლია უფრო საზეიმოდ აღვნიშნოთ ხვალინდელი დღე.  
რას იზამ?.. ერთი ესაა, რომ უფრო ლამაზად მოვრთავთ და  
მოვკაზმავთ სხვენს.

**ჰედვიგი.** მერედა, განა ეს ცოტაა, მამა?

**რელინგი.** ცოტაც მოითმინე, მალე მოვესწრებით ამ საოცარ  
გამოგონებას, ჰედვიგ!

**იალმარი.** დიახ, დიახ! შენ მაშინ ნახე!.. მტკიცედ მაქვს გადაწყვე-  
ტილი, ცხოვრებაში არაფერი გაგიჰირვო. ჰედვიგ! ნამდვილი  
პრინცესასავით იცხოვრებ! და ეს იქნება საბრალო მაშვრალის  
ერთადერთი ჭილდო.

**ჰედვიგი** (ხელებს კისერზე შემოხვევს და ეჩურჩულება). ჩემი საყვარელი  
მამიკო!

**რელინგი** (გრეგერსს). რას იტყვით, მოგწონთ სავსე სუფრასთან  
ჯდომა და ოჯახური სიამტკბილობის ყურება?

**იალმარი.** ეს არის ჩემი სიცოცხლე.

**გრეგერსი.** მე კი გულს მირევს ჭაობის შმორი.

**რელინგი.** ჭაობის შმორი?

**იალმარი.** თავისას მაინც არ იშლის!

**გინა.** აქ, მადლობა ღმერთს, არც შმორია და არც ჭაობი, ბატონო  
ვერლე! ყოველდღე ვანიავებ...

**გრეგერსი** (სუფრიდან ღებება). ძალიან მეეჭვება, რომ იმ სიმყრალის  
განიავება შესძლოთ, რასაც მე ვგულისხმობ.

**იალმარი.** სიმყრალის?..

გინა. გესმის, რას ამბობს, იალმარ?

რელინგი. მომიტევეთ, მაგრამ თქვენ თვითონ ხომ არ შემოიტანეთ ეს სიმყარაღე იმ თქვენი დამპალი ქარხნიდან?

გრეგერსი. თქვენგან არც მიკვირს, რომ სიმყარაღეს უწოდებთ იმას, რაც მე ამ სახლში შემომამქვს.

რელინგი (უახლოვდება). მომისმინეთ, ბატონო ვერლე... მე მგონია, აქაც ერთი მიზნით მოეთრიეთ... ის თქვენი დამთხვეული „იდეალური მოთხოვნები“ კვლავ უკანა ჩიბეში გიდევთ?

გრეგერსი. მე მათ გულით ვატარებ.

რელინგი. რითაც გინდათ, იმითი ატარეთ, დალახვროს ეშმაკმა, მაგრამ სანამ მე აქა ვარ, ნურავის გაუბედავთ მათ წაყენებას.

გრეგერსი. მაგრამ მაინც რომ გავუბედო?

რელინგი. მაშინ ავდგები და კიბეზე დაგაგორებთ!

იალმარი (დგება). რელინგ!

გრეგერსი. რაღას უყურებთ? ბარემ დამაგორეთ!

გინა (მათ შორის დგება). არა, ამის ნებას არ მოგცემთ, ბატონო რელინგ... მას შემდეგ, რაც ლუმელსა და იატაკს ასეთი დღე დააწიეთ, მე უფლება მაქვს, გითხრათ, სიმყარაღე თქვენსას მოიკითხეთ.

შემოსასვლელ კარზე აკაკუნებენ.

ჰედვიგი. დედა, ვილაცა აკაკუნებს.

იალმარი. ნეტა ვინ არის?... ესლა გვაკლია!

გინა. მოითმინე, ახლაც ვნახავ... (მიღის, კარს აღებს და სახტად დარჩენილი უკან იხევს). ოჰ!..

ვერლე (ბეწვის პალტო აცვია; ზღურბლზე გაღმობიჭებს). მომიტევეთ, თუ შეიძლება. ჩემი შვილი, მგონი, აქ უნდა იყოს.

გინა (მღელვარებისაგან ძლივს ითქვამს სულს). დიახ.

იალმარი (ვერლეს უახლოვდება). მობრძანდით, ბატონო კომერსანტო.

ვერლე. გამადლობთ. მე მინდა ჩემს შვილს მოველაპარაკო.

გრეგერსი. რა გინდა? გისმენ.

ვერლე. შენს ოთახში გავიდეთ.

გრეგერსი. ჩემს ოთახში?... კი ბატონო... (გასვლას აპირებს).

გინა. არა, ღმერთმანი, იქ ისეთი არეულობაა, რომ...

ვერლე. მაშინ დერეფანში. მე მინდა ცალკე მოველაპარაკო.

იალმარი. თუ გნებავთ, აქაც შეგიძლიათ, ბატონო კომერსანტო. სასტუმრო ოთახში გავიდეთ, რელინგ.

იალმარი და რელინგი ხელმარჯვნივ გადიან. გინა და ჰედვიგი სამზარეულოს მიაშურებენ.

გრეგერსი (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). ახლა ხომ მარტონი ვართ...

ვერლე. გუშინ მე რალაც უცნაურად გადამიკარი სიტყვა... დღეს კი ეკდალთან გადმობარგდი. აქედან მე გამომაქვს დასკვნა, რომ რალაცას აპირებ ჩემს წინააღმდეგ.

გრეგერსი. მე მხოლოდ იმას ვაპირებ, რომ თვალი ავუხილო იალმარ ეკდალს. მინდა ნამდვილი სახით დაევანახო მისი ახლანდელი მდგომარეობა. ეს არის და ეს.

ვერლე. მაშ, ესაა შენი სიცოცხლის მიზანი, გუშინ რომ მეუბნებოდი?

გრეგერსი. დიახ. სხვა მიზანი რომ არ შემარჩინებ?

ვერლე. განა მე დაგიმახინჯე სული, გრეგერს?

გრეგერსი. შენ დამიმახინჯე მთელი ცხოვრება. ახლა უკვე საწყალ დედაჩემს როდი ვგულისხმობ... მაგრამ შენ უნდა გიმაღლოდე იმას, რომ სინილისის ქენჯნა მაწამებს.

ვერლე. აჰ, ახლა უკვე სინილისმაც შეგაწუხა?

გრეგერსი. მე ჯერ კიდევ მაშინ უნდა გამოვესულიყავი შენს წინააღმდეგ, როცა მახეს უგებდით ლეიტენანტ ეკდალს. უნდა გამეფრთხილებინა, რადგანაც ვგრძნობდი, რას უპირებდით.

ვერლე. მერედა, რატომ არ ამოიღე ხმა?

გრეგერსი. გამბედაობა არ მეყო. ისე ვიყავი დამფრთხალი და დაშინებული. დიახ, სიკვდილივით მეშინოდა შენი... მაშინაც და მას მერეც... ძალიან დიდხანს.

ვერლე. ახლა კი, როგორც ჩანს, აღარ გეშინია.

გრეგერსი. საბედნიეროდ. ლეიტენანტ ეკდალის წინაშე დიდი ცოდვა მიგვიძღვის მეც, შენც და ბევრ სხვასაც... და ამ ცოდვას ველარაფერი გამოისყიდის. მაგრამ იალმარის განთავისუფლება ჯერ კიდევ შემიძლია; შემიძლია დავიხსნა სიცრუის იმ მახისაგან, რომელშიაც გაიხლართა და მზადაა დაიღუპოს.

ვერლე. შენ გგონია, რომ მადლს მოიხსამ?

გრეგერსი. რა თქმა უნდა.

ვერლე. როგორც ჩანს, ფოტოგრაფი ეკდალი იმ კაცად მიგაჩნია, რომელიც ამ მეგობრულ სამსახურს დაგიფასებს და მადლობელი დაგჩნება.

გრეგერსი. დიახ, იალმარი სწორედ ასეთი კაცია.

ვერლე. ჰმ... ვნახოთ...

გრეგერსი. ეგეც არ იყოს, თუკი საერთოდ მიწერია სიცოცხლე ამქვეყნად, უნდა ვეცადო და წამალი მოვეუძებნო ამ ჩემს ავადმყოფ სინლისს.

- ვერლემ. ვერასოდეს ვერ უწამლებ. იმთავითვე უილაჯო სინიდისი დაგყვა. დედაშენისგან მემკვიდრეობით მიიღე, გრეგერს. ესაა ერთადერთი მემკვიდრეობა, რაც მან დაგიტოვა.
- გრეგერსი (დამცინავი სიცილით). დღემდე ვერ მოგინელებია ის, რომ ანგარიშში მოტყუვდი და უფრო ცოტა მზითევი მოჰყვა, ვიდრე მოელოდი?
- ვერლემ. სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ... მაშასადამე, მტკიცედ გადაწყვიტე, თვალი აუხილო ფოტოგრაფ ეკდალს?
- გრეგერსი. დიახ, ეს ჩემი მტკიცე გადაწყვეტილება გახლავს.
- ვერლემ. თუ ასეა, სულ ტყუილად გავრჩილვარ. ალბათ, ზედმეტია იმისი კითხვა, თანახმა ხარ თუ არა, სახლში დაბრუნდე.
- გრეგერსი. რა თქმა უნდა.
- ვერლემ. არც ფირმაში შემოხვალ კომპანიონად?
- გრეგერსი. არა.
- ვერლემ. კეთილი. მაგრამ რაკი მეორე ცოლის შერთვას ვაპირებ, უნდა გავიყაროთ.
- გრეგერსი (სწრაფად). არა, არ მინდა.
- ვერლემ. არ გინდა?
- გრეგერსი. სინიდისი არ მაძლევს ნებას.
- ვერლემ (ცოტა ხნის შემდეგ). ისევ ქარხანაში დაბრუნდები?
- გრეგერსი. არა, ამას იქით აღარაფერი მაქვს შენთან საერთო.
- ვერლემ. მაშ, რას აპირებ?
- გრეგერსი. მხოლოდ და მხოლოდ, ჩემს მიერ დასახული მიზნის მიღწევას.
- ვერლემ. კეთილი. კი მაგრამ, მერე? რითი უნდა ირჩინო თავი?
- გრეგერსი. ცოტაოდენი დანაზოგი მაქვს.
- ვერლემ. დიდხანს კი გეყოფა!
- გრეგერსი. ვიმყოფინებ.
- ვერლემ. რას ნიშნავს ეს?
- გრეგერსი. ამის მეტს აღარ გიპასუხებ.
- ვერლემ. მაშ, მშვიდობით, გრეგერს!
- გრეგერსი. მშვიდობით.
- ვერლემ მიდის.
- იალმარი (სასტუმრო ოთახიდან გამოყოფს თავს). წავიდა?
- გრეგერსი. დიახ.
- იალმარი და რელინგი ბრუნდებიან; გინა და ჰედვიგიც გამოდიან სამზარეულოდან.
- რელინგი. რა საუზმე ჩაგვაშხამეს?

- გრეგერსი. ჩაიცივი, იალმარ, კაი შორს უნდა გავისეირნოთ.
- იალმარი. სიამოვნებით. რა უნდოდა მამაშენს? ჩემზე ხომ არაფერი უთქვამს?
- გრეგერსი. გავალთ და გეტყვი... მე შევალ, პალტოს მოვიხურავ (გაღის).
- გინა. არ წაჰყევი, იალმარ.
- რელინგი. მეც გთხოვ, არ წაჰყევი. დარჩი იქ, სადაცა ხარ.
- იალმარი (ქულსა და პალტოს იღებს). სხვას რას მიბრძანებთ?.. სიყრმის მეგობარს უნდა გული გადამიშალოს!..
- რელინგი. დალახეროს ეშმაკმა, ნუთუ ვერ ხედავ, რომ ეს შენი ძვირფასი მეგობარი თავის კკუაზე აღარ არის, შეიშალა, გაგიყდა!
- გინა. გესმის? დედამისსაც ღროდადრო რაღაც უცნაური შეტევა ემართებოდა!
- იალმარი. მით უმეტეს სკირდება მეგობრის ფხიზელი თვალი. (გინას). აბა, შენ იცი, სადილი არ დაგიგვიანდეს, ჭერჭერობით. (მიღის).
- რელინგი. ნეტა იმ ოხერ მალაროში ფეხქვეშ მიწა გასკდომოდა და თან დაეტანა!
- გინა. ღმერთო დიდებულო!.. რას ამბობთ?
- რელინგი (ბურტყუნებს). ამაზე მე ჩემი აზრი მაქვს.
- გინა. როგორ გგონიათ, გრეგერს ვერღე მართლა შემლილია?
- რელინგი. საუბედუროდ, არა. ასე, საერთოდ, ყველაა შემლილი. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ცოტა ურევს.
- გინა. კი მაგრამ, რა სკირს?
- რელინგი. რა სკირს და, პატროსნების ციებ-ციხელებითაა შეპყრობილი, ფრუ ეკდალ.
- ჰედვიგი. ამნაირი სნეულებაც არსებობს?
- რელინგი. დიახ, დიახ, ეს ჩვენი ეროვნული სნეულებაა. მაგრამ მხოლოდ სპორადულად იჩენს თავს. (გინას). დიდი მადლობა მასპინძლობისათვის. (მიღის).
- გინა (შეშფოთებული წაიღებს ოთახში). აჰ, ეს გრეგერს ვერღე! ყოველთვის ასეთი საფრთხობელა იყო.
- ჰედვიგი (მაგდასთან დგას და მცდელი თვალით უყურებს დედას). რა უცნაურია ყველაფერი.

## მეოთხე მოქმედება

იალმარ ეკდალის სახელოსნო. შუა ოთახში მაუღგადაფარებული ფოტოაპარატი, პიედესტალი, ორი სკამი, კონსოლი და სხვა მისთანები ღვას. ეტუობა, ვილაცას ეს-ესაა გაღაუღეს სურათი. საღამოედება. შუე ჩადის და ცოტა ხნის შემდეგ ოთახს ბინდი ეპარება.

**გინა** (შემოსასველში ღვას, ხელში კასეტა და სველი ნეგატივი უჭირავს და ღერეფანში ვილაცას ელაპარაკება). დიახ, დიახ, დარდი ნუ გაქეთ! რახან შეგპირდით, კიდეც გაეაკეთებ. პირველი ორშაბათისთვის იქნება მზად... ნახვამდის!

კიბეზე ფეხის ხმა ისმის. გინა კარს ხურავს. ნეგატივს კასეტაში ღებს, ამ უქანასკნელს კი — აპარატში.

**ჰედვიგი** (სამზარეულოდან გამოდის). წავიდნენ?

**გინა** (ოთახს ალაგვებს). მაღლობა ღმერთს, ძლივს დავაღწიე თავი.

**ჰედვიგი**. კი მაგრამ, მამა რატომ იგვიანებს?

**გინა**. ნამდვილად იცი, რომ რელინგთან არ არის?

**ჰედვიგი**. ნამდვილად. წელან ჩავირბინე და ვიკითხე.

**გინა**. სადილი კი ღვას და ციედება.

**ჰედვიგი**. რა დაემართა? სადილად ხომ ყოველთვის ღროზე მოდის.

**გინა**. აი, ნახავ. დიდხანს აღარ დაიგვიანებს.

**ჰედვიგი**. ნეტა მართლა მალე მოვიდეს! თორემ შიშმა ამიტანა.

**გინა** (წამოიძახებს). აი, ისიც!

შემოსასველ კარში გამოჩნდება იალმარ ეკდალი.

**ჰედვიგი** (მივარდება). მამა! სადა ხარ, რამდენი გვალოდინე?

**გინა** (ალმაყერად გახედავს). სად დაიკარგე, იალმარ?

**იალმარი** (ზედაც არ უყურებს). ჰო, ცოტა შემეგვიანდა. (პალტოს იხდის).

გინას და ჰედვიგს უნდათ მიეხმარონ, მაგრამ იალმარი არ ანებებს.

**გინა**. ალბათ, ვერლესთან ისადილე.

**იალმარი** (პალტოს კიედებს). არა.

**გინა** (სამზარეულოში გასვლას აპირებს). მაშინ ახლავე მოგიტან.

**იალმარი**. არა, არა, არაფერი არ მინდა.

**ჰედვიგი** (იალმარს უახლოვდება). ცუდად ხომ არა ხარ, მამა?

**იალმარი**. ცუდად? არა, ისე... დიდხანს ვსეირნობდით და ცოტა დავიღალე.

გინა. შეუჩვეველი ხარ და იმიტომ.

იალმარი. ჰმ... ამისთანებს შეგაჩვევს ცხოვრება? (ოთახში წრიალებს).  
ხომ არაეინ ყოფილა?

გინა. არაეინ, იმ წყვილის გარდა.

იალმარი. არც ახალი შეკვეთები მიგილია?

გინა. ღლეს არა.

ჰედვიგი. ხვალ უთუოდ იქნება, მამა.

იალმარი. იმედი ნუ მოგვიშალოს!.. ხვალიდან ვაპირებ სერიოზულად მოვკიდო ხელი საქმეს.

ჰედვიგი. ხვალიდან? ხომ არ დაგავიწყდა, რა ღლეა ხვალ?

იალმარი. ჰო, მართლა... მაშინ ზეგიდან. ამას იქით ყველაფერი მე თვითონ უნდა ვაკეთო. ყველაფერს მარტოც გავართმევ თავს.

გინა. მარტო რას გახდები, იალმარ? მხოლოდ გუნება გაგიფუქდება. ფოტოგრაფობა მე მომანდე, შენ კი კვლავ შენს გამოგონებას ჩაუჭეკი.

ჰედვიგი. მერე გარეული იხვი, ქათმები და ბოცვრები, მამა?..

იალმარი. მოეშვი ამ სისულელეს! ხვალიდან ჩემი ფეხი აღარ იქნება სხვენში.

ჰედვიგი. კი მაგრამ, შენ ხომ შემპირდი, ხვალ ყველაფერს საღლესასწაულოდ მოვრთავო?

იალმარი. ჰმ... ღიახ, ღიახ. მაშინ ზეგიდან. ამ დაწყველილ გარეულ იხვს კი მზადა ვარ, კისერი მოვეუგრიხო!

ჰედვიგი (წამოიკივლებს). გარეულ იხვს?

გინა. გაგონილა?

ჰედვიგი (სახელოზე ექაჩება იალმარს). არა, მამა... ეს ხომ ჩემი გარეული იხვია!

იალმარი. ამიტომაც არ ვახლებ ხელს. გამბედაობა არ მეყოფა... შენს გამო, ჰედვიგ! მაგრამ რომ მყოფნოდა, ჩემი ღრმა რწმენით, უთუოდ სწორად მოვიქცეოდი. მის ხელში გამოვლილს ჩემს სახლში რა უნდა?

გინა. ღმერთო ჩემო, მხოლოდ იმიტომ, რომ ჰაჰამ იმ გაიძვერა პეტერსენისაგან წამოიყვანა?..

იალმარი (ოთახში დაბორიალობს). არსებობს გარკვეული მოთხოვნები... მაინც, როგორი?.. ვთქვათ, იდეალური, ანუ ისეთი მოთხოვნები, რომელთა უგულბეღყოფაც სულის წარწყმედას ნიშნავს.

ჰედვიგი (ფეხდაფეხ დასდევს). კი მაგრამ, იხვი, მამა?.. საბრალო გარეული იხვი?

**იალმარი** (ჩერდება). ხომ გესმის, შენი ხათრით ხელს არ ვახლებ-  
მეთქი! ერთი ბუმბულიც არ ჩამოვარდება მისი თავიდან...  
როგორც ვთქვი, ისე იქნება. ეგეც არ იყოს, ამაზე უფრო  
სერიოზული საქმე მაქვს გადასაწყვეტი... მაგრამ ახლა შენი  
გასეირნების დროა, ჰელვიგ. უკვე შებინდა. შეგიძლია  
წახვიდე და გაიარ-გამოიარო.

**ჰელვიგი**. დღეს რომ არ მინდა?

**იალმარი**. არა, წადი, წადი!.. რა თვალებს კუტავ? თუმცა ამ ჩვენს  
სახლში ისეთი დახუთული ჰაერია, რომ...

**ჰელვიგი**. კარგი, უკანა კიბით ჩავალ და ცოტას გავისეირნებ. ჩემი  
პალტო და ქული?.. აგერ ყოფილა. აბა, შენ იცი, მამა, ჩემს  
მოსვლამდე არაფერი დაუშავო საბრალო გარეულ იხვს.

**იალმარი**. არცერთი ბუმბული არ ჩამოვარდება მისი თავიდან.  
(გულში იხუტებს). შენ და მე... ჩვენ, ჰელვიგ!.. ახლა კი წადი,  
წადი!

ჰელვიგი ხელს უქნევს მშობლებს და სამზარეულოში გადის. იალმარი  
თავჩაქინდრული დააბიჯებს ოთახში.

გინა!

**გინა**. რა იყო?

**იალმარი**. ხელიდან... კარგი, ვთქვათ, ზეგიდან... მე მინდა ჩემი  
ხელით შევიტანო ყველაფერი ხარჯთაღრიცხვის წიგნში.

**გინა**. შენი ხელით?

**იალმარი**. ან შემოსავალი მაინც შევამოწმო.

**გინა**. აჰ, ღმერთო ჩემო, რა დიდი საქმე ამას უნდა.

**იალმარი**. რალაც არ მჭერა... მე მგონია, ძალიან დიდხანს გიჩერდება  
ფული. (შეღგება და უყურებს). რითი აეხსნათ ეს?

**გინა**. კი მაგრამ, რა ბევრი რამე მე და ჰელვიგს გვჭირდება?

**იალმარი**. მითხარი, რალაც ქალაქლების გადაწერაში ბერიკაცს  
მართლა ასე ბლომად უხდინან?

**გინა**. ვერ გეტყვი, ბლომად უხდინან თუ არა. აბა, რა ვიცი, რა  
ღირს ამნაირი სამუშაო?

**იალმარი**. მაინც რამდენს დაახლოებით? სთქვი!

**გინა**. გააჩნია, ხან მეტს, ხან ნაკლებს. საშუალოდ კი, ჩემი აზრით,  
თითქმის თანაბრად... იმდენს, რამდენიც გვიჭდება ბერიკაცის  
შენახვა და, გარდა ამისა, ჯიბის ფულიცა რჩება.

**იალმარი**. თვითონ ჩვენ რალა გვიჭდება? აქამდის რომ არაფერი  
გითქვამს?

**გინა**. როგორ მეთქვა? ისეთი ბედნიერი იყავი იმის შეგნებით, რომ  
მამაშენი ყველაფერს შენგან იღებდა.



იალმარი. სინამდვილეში კი თურმე კომერსანტ ვერლესაგან, არა?  
გინა. ო, კომერსანტი ამითი არ გალარობდება.

იალმარი. ლამპა ამინთე!

გინა (ანთებს). ეგეც არ იყოს, რა ვიცით, იქნებ კომერსანტი კი არა,  
გრობერგი უხდის ფულს.

იალმარი. რა საკიროა ეს ოინები?.. ჰმ... გრობერგი!..

გინა. კი მაგრამ, მე რა ვიცი, რომ მეკითხები? ასე მეგონა...

იალმარი. ჰმ!..

გინა. ან კიდევ, მამაშენს მე ვუშოვე სამუშაო თუ ბერტამ, როცა  
მათ ოჯახში მივიღა?

იალმარი. ხმა რად გიკანკალებს?

გინა (ლაპას აბაეურს უკეთებს). ხმა მიკანკალებს?

იალმარი. დიახ. ან ეგ ხელების ცახცახი რაღაა? ტყუილია თუ?

გინა (მტკიცედ). პირდაპირ მითხარი, იალმარ: რა გითხრა გრეგერსმა  
ჩემზე?

იალმარი. ნუთუ მართალია?.. მართალია თუ არა, რომ შენ...  
ამნაირი ურთიერთობა გქონდა კომერსანტთან, როცა მათ  
სახლში იყავი?

გინა. ტყუილია. ყოველ შემთხვევაში, მაშინ არა... არა! ის კი  
მართალია, რომ გადამეკიდა და საშველს აღარ მაძლევდა.  
ქალბატონს კი ეგონა, რომ ჩვენს შორის რაღაცა იყო და  
მტრისას, რასაც ის სჩადიოდა. მცემდა, მლანძღავდა და,  
ბოლოს, იძულებული ვიყავი, ჩემს ადგილზე უარი მეთქვა.

იალმარი. ესე იგი, შემდეგ!

გინა. შემდეგ მე ჩემს სახლში ვცხოვრობდი. დედაჩემი კი... სულაც  
არ იყო ისეთი წესიერი ქალი, როგორც შენ გეგონა, იალმარ.  
ახლა ის მომდგა, ხან რას ჩამჩიჩინებდა და ხან რას... ამასობაში  
კი ვერლევ დაქვრივდა.

იალმარი. მერე?

გინა. როგორც ჩანს, უმჯობესია, ყველაფერი ერთბაშად გითხრა.  
აღარ მომეშვა, სანამ თავისას არ მიაღწია.

იალმარი (ხელი-ხელს შემოჰკრავს). და ეს ჩემი შვილის დედაა! რად  
დამიძალე?

გინა. დიახ, ცუდად გამომივიდა. ყველაფერი დიდი ხნის წინათ  
უნდა მეთქვა შენთვის.

იალმარი. მაშინვე უნდა გეთქვა!.. ის მაინც მეცოდინებოდა, რა  
ხვითოც ბრძანდები.

გინა. კი მაგრამ, განა მაშინაც შემირთავდი ცოლად?

იალმარი. ისემც!..

გინა. საქმეც ეგაა. აი, რატომ ვერ გავბედე მაშინვე მეთქვა შენთვის. ხომ იცი, როგორ შემიყვარდი? საკუთარი თავის მტერი კი ვერ არ დაბადებულა. განა შემეძლო სამუდამოდ გამეუბებლურებინა თავი?

იღამარი (ოთახში დაბოჯებს). და ეს ჩემი პედივიგის დედაა! მაშასადამე, ყოველივე ამას, რაც გარს მარტყია (ფხვს გაქკრავს სკამს), მთელ ჩემს ოჯახურ კერას... ჩემს ბედნიერ წინამორბედს უნდა ვუმადლოდე?.. უ, ეს სატანა!

გინა. შენ ნანობ იმ თოთხმეტსა თუ თხუთმეტ წელიწადს, რომლებიც გვერდი-გვერდ გავატარეთ?

იღამარი (მის წინ ჩერდება). შენ თვითონ მითხარი, ყოველდღე, ყოველ წამს ნანობდი თუ არა იმ უტიფარ ღუმელს, რომლის ქსელშიაც ისე გამხვიე, როგორც ობობამ — თავისი მსხვერპლი? მიპასუხე! დღე და ღამ გტანჯავდა თუ არა სინიღისის ქენჯნა?

გინა. ჩემო ძვირფასო, მე მთლიანად ჩავეფალი ყოველდღიურ საქმეებსა და უჯახური ცხოვრების ორომტრიალში.

იღამარი. და ერთხელაც არ გადაგიხედავს მცდელი თვალით შენი წარსულისათვის?

გინა. ღმერთმანი, მე თითქმის მთლიანად დამავიწყდა ეს ძველი ინტრიგები.

იღამარი. ო, ეს ჩლუნგი, არაადამიანური გულგრილობა!.. შეიძლება გაგიჟდეს კაცი!.. სინიღისიც კი არ გაწუხებს?

გინა. მაგრამ თავდაც მითხარი, იღამარ... შენ თვითონ რაღა გეშეულებოდა, ჩემისთანა ქალი რომ არ შეგბვედროდა ცოლად?

იღამარი. შენისთანა?..

გინა. დიახ, მე ხომ ყოველთვის შენზე დინჯი და ქკუადამჯდარი ვიყავი. არცაა გასაკვირი, — მთელი ორი წლით უფროსი ვარ შენზე.

იღამარი. რა მეშველებოდა?..

გინა. დიახ. სანამ ცოლად შემირთავდი, შენ ხომ საშინლად თავგზააბნეული იყავი. ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერ უარყოფ ამას.

იღამარი. შენ ამას თავგზააბნეულობას უწოდებ? მაგრამ სად შენ და სად იმის გაგება, თუ რა მოსდის ამნაირ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ კაცს? მით უმეტეს, თუ ამ კაცს ჩემსავით მხურვალე გული აქვს.

გინა. შეიძლება. მაგრამ თავს ხომ არ გაყვედრი? ისეთი კარგი გახდი, როდესაც ოჯახს მოეკიდე... ის იყო... ფეხზე დავდექით

და თითქოს წელშიაც გავიშართეთ. მალე მე და ჰედვიგი, ალბათ, იმის ნებასაც მივეცემდით თავს, რომ ცოტა მეტი გვექამა და უკეთ ჩაგვეცევა...

**იალმარი.** დიახ, თუკი ურცხვი დუმილის ქაობში ცხოვრებას ცხოვრება ეთქმის...

**გინა.** ფუჰ! სულ იმ საზიზლარი კაცის ბრალია! რა ეშმაკმა შემოათრია ჩვენს სახლში?

**იალმარი.** მეც მეგონა, რომ ბედნიერი ოჯახი გვექონდა. მაგრამ ეს შეცდომა იყო. ახლა რაღა ვქნა? სადღა ვპოვო სულის სიმშვიდე, რაც ყოვლად აუცილებელია საიმისოდ, რომ სინამდვილეში დავნერგო ჩემი გამოგონება? ალბათ, ჩემთან ერთად მოკვდება. და ამის მიზეზი შენი წარსული იქნება, გინა. მან ჩაჰკლა ჩემში აზრი...

**გინა** (ცოტაც და ალბათ, იტირებს). რას ამბობ, იალმარ? მე ხომ შენს მეტი საზრუნავი არავენ მყავდა, სულ თვალებში შემოგცქეროდი!

**იალმარი.** მე გეკითხები, ახლა რაღა ეშველება ოჯახის მარჩენალის ოცნებას? დივანზე წამოწოლილი, ჩემს გამოგონებაზე რომ ვიმტვრევედი თავს, მე უკვე წინასწარ ვიცოდი, რომ ის ჩემს უკანასკნელ ძალასაც შეიწირავდა. დიახ, მე ვგრძნობდი, რომ ის დღე, როცა, ბოლოს და ბოლოს, პატენტს დავიჭერდი ხელში, ჩემი უკანასკნელი დღე იქნებოდა. და ჩემი ოცნება ის იყო, რომ შენ, განსვენებული გამომგონებლის ქვრივის, არც პატივი მოგკლებოდა და არც კეთილდღეობა.

**გინა** (ტრემლებს იწმენდს). ნუ, ასე ნუ ლაპარაკობ, იალმარ. შენს უკან ღმერთმა ნუ მაცოცხლოს.

**იალმარი.** ეე, ახლა უკვე ყველაფერი სულერთია. წახდა საქმე! გრეგერს ვერღე ფართოდ ალებს შემოსასვლელ კარს და ოთახში შემოიხედავს.

**გრეგერსი.** შეიძლება?

**იალმარი.** შემოდი.

**გრეგერსი** (სახეგაბრწყინებული შემოდის და ორივე ხელს უწვდის ცოლ-ქმარს). აბა, ჩემო კარგებო! (ხან ერთს შეხედავს, ხან მეორეს და, ბოლოს, ჩურჩულით ეუბნება იალმარს). ჯერ კიდევ არ გითქვამს?

**იალმარი** (ხმაშალა). ვუთხარი.

**გრეგერსი.** მართლა?

**იალმარი.** ეს იყო ყველაზე მძიმე წუთები ჩემს ცხოვრებაში.

**გრეგერსი.** და, ალბათ, ყველაზე მაღალიც, არა?

**იალმარი.** ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, რაც მოსახდენი იყო, მოხდა.

გინა. ღმერთმა შეგინდოთ, ბატონო ვერლე!

გრეგერსი (გაოგნებული). არაფერი არ მესმის...

იალმარი. რა არ გესმის?

გრეგერსი. ესოდენ დიადი და არნახული ანგარიშსწორება წარსულის მიმართ, რაც საშუალებას მოგცემთ ძველის ნანგრევებზე დააფუძნოთ ახალი, მკვიდრი შენობა, დაიწყოთ ახალი სიკოცხლე, და ხელახლა შეერთდეთ ქვეშაარტების შუქით გაბრწყინებული ცოლ-ქმრული კავშირით, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი სიკრუე, ღუმილი, მალვა...

იალმარი. მესმის, მესმის, ყველაფერი მშვენიერად მესმის.

გრეგერსი. აქ შემოსვლისას ისე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ერთბაშად შემომეფრქვეოდა ცოლ-ქმრის სულში მომხდარი გარდატეხისა და ფერისცვალების ნათელი შუქი. და უცებ, ამის ნაცვლად, ეს წყვილია... რალაც მძიმე, პირქუში, საბედისწერო...

გინა. აჰ, აი, თურმე!.. (აბაჟურს ხსნის).

გრეგერსი. თქვენ არ გინდათ მართებულად გამიგოთ, ფრუ ეკლალ. არა და არა, როგორც ჩანს, გარკვეული დროა საჭირო. მაგრამ შენ, იალმარ? განა შეიძლება, შთაგონებით არ აეცხე ამ დიად ანგარიშსწორებას წარსულის მიმართ?

იალმარი. რა თქმა უნდა, მაგრამ...

გრეგერსი. რა შეედრება იმ გრძნობას, რასაც განიცდის კაცი, რომელიც დიდსულოვნად მიუტყეებს შემცოდეს, ფეხზე წამოაყენებს დაცემულს და აამაღლებს თავისი სიყვარულით.

იალმარი. შენ გგონია, კაცი ასე მალე მოეგება გონს იმნაირი მწარე სასმისის შემდეგ, როგორც წელან შევსვი?

გრეგერსი. ჩვეულებრივი კაცი, ალბათ, ვერა. მაგრამ ისეთი კაცი, როგორც შენა ხარ!..

იალმარი. ო, ღმერთო ჩემო, ვიცი, ვიცი. მაგრამ ასე ნუ მაჩქარებ, გრეგერს. ცოტა დრო მეც მომეცი.

გრეგერსი. როგორა ჰგავხარ გარეულ იხვს, იალმარ!

შემოდის რელინგი.

რელინგი. რაო, გარეული იხვი კვლავ სცენაზეა?

იალმარი. დიახ, კომერსანტ ვერლეს ფრთამომტკრეული ნადავლი.

რელინგი. კომერსანტ ვერლესი?.. ახლა მასაც გადასწვლით?

იალმარი. მასაც... ჩვენს თავსაც.

რელინგი (ჩუმად, გრეგერსს). ეშმაკის კერძო!

იალმარი. რას ამბობ?

**რელინგი.** ნეტავი ეს ექიმბაში მალე წაეთრიოს აქედან, თორემ ორივეს გადაგრევეთ.

**გრეგერსი.** ამ ორს ასე ადვილად ვერ გადარევეთ. ბატონო რელინგი. იალმარზე აღარათფერს ვიტყვი. ორივენი კარგად ვიცნობთ. მაგრამ მისი ცოლიც, სულის სიღრმეში, პატიოსანი არსებაა, რომელსაც შეიძლება ენდო.

**გინა** (ტირილს აღარათფერი უკლია). რაცა ვარ, ესა ვარ, თავი გამანებეთ. **რელინგი** (გრეგერსს). თავხედობაში ხომ არ ჩამომართმევთ, რომ გკითხოთ: მაინც რა გინდათ ამ სახლში?

**გრეგერსი.** მე მინდა საფუძველი ჩაუყარო ქეშმარიტ ცოლ-ქმრულ კავშირს.

**რელინგი.** მაშასადამე, ეკდალების ცოლ-ქმრული კავშირი ქეშმარიტად არ მიგაჩნიათ?

**გრეგერსი.** სამწუხაროდ, ბევრ სხვა კავშირზე უარესი როდია. მაგრამ ეს ჭერ კიდეც არ არის ქეშმარიტი კავშირი.

**იალმარი.** შენ ყოველთვის აგდებულად უყურებდი იდეალურ მოთხოვნებს, რელინგი!

**რელინგი.** სისულელეა, ჩემო ძვირფასო... ნება მიბოძეთ, გკითხოთ, ბატონო ვერლე, რამდენი ასეთი ქეშმარიტი კავშირი გინახავთ თქვენს სიცოცხლეში?

**გრეგერსი.** სამწუხაროდ, არცერთი.

**რელინგი.** არც მე.

**გრეგერსი.** ყალბი კი — რამდენიც გნებავთ. შესაძლებლობა მქონდა, იმასაც დაკვირვებოდი, თუ როგორ ამახინჯებს ამნაირი კავშირი ორივე მეუღლეს.

**იალმარი.** ყველაზე საშინელი ისაა, რომ ადამიანის სულში შეიძლება მთლიანად მოიხრევეს ყოველგვარი ზნეობრივი საწყისი.

**რელინგი.** მართალი გითხრათ, ოჯახური ცხოვრების უღელში არასოდეს შევებმულვარ და ამიტომ, ცოტა არ იყოს, მიჭირს ამ საკითხზე მსჯელობა. მაგრამ ის მაინც ვიცი, რომ ამ ცხოვრების უშუალო შედეგად გვევლინება ბავშვი. ბავშვს კი სიმშვიდეს ნურავინ დაურღვევს, გესმით?

**იალმარი.** ო, ჰედვიგი!.. ჩემო საბრალო ჰედვიგი!

**რელინგი.** რაო, ახლა ჰედვიგიც გინდათ ჩარიოთ? თქვენ ორივე მოწიფული ხალხი ხართ. გინდ თავ-პირი დაამტვრიეთ, გინდაც მოურიგდით ერთმანეთს. თქვენი საქმისა თქვენ იცით. მაგრამ ჰედვიგთან კი ფრთხილად იყავით, თორემ უბედურება არ აგვცდება.

**იალმარი.** უბედურება?

რელინგი. დიახ, შეიძლება თავიც გაიუბედუროს და სხვაც გააუბედუროს.

გინა. კი მაგრამ, თქვენ რა იცით, რელინგ?

იალმარი. თვალებს ხომ არაფერი საფრთხე ემუქრება?..

რელინგი. არა, თვალები აქ არაფერ შუაშია. პედეგი მოზარდია, ეს კი საკმაოდ საშიში ასაკი გახლავთ. ვინ იცის, რა სისულელე მოუვლის თავში.

გინა. დიახ, ხანდახან მართლაც უცნაური რამ ემართება. სამზარეულოში ცეცხლთან თამაშის მეტი არაფერი ახსოვს. სულ იმას ვეჩიჩინები, საშიშია-მეთქი. ტანში მაზრიანებს, ვაითუ სახლი გადაწვას.

რელინგი. აი, ხომ ხედავთ? ასეც ვიცოდი.

გრეგერსი (რელინგს). კი მაგრამ, რით ახსნით ამას?

რელინგი (პირქუდად). მისი ასაკით, ჩემო ძვირფასო.

იალმარი. სანამ მამა ჰყავს!.. სანამ პირში სული მიდგას!..

შემოსასულელ კარზე აკაუნებენ.

გინა. სსუ! ვილაცაა, იალმარ. (ხამალა). მობრძანდით!

შემოდის პალტოში ჩაცმული ფრუ სერბიუ.

ფრუ სერბიუ. სალამო მშვიდობისა.

გინა (ეგებება). აჰ, ეს შენა ხარ, ბერტა?

ფრუ სერბიუ. დიახ, მე ვარ; მაგრამ, მგონი. ცუდ დროს მოვედი.

იალმარი. როგორ გეკადრებათ. იმ სახლის მაცნე...

ფრუ სერბიუ (გინას). მართალი გითხრა, არ მოველოდი, რომ შენი კაცები შინ იქნებოდნენ. ისე შემოგიარე, მინდოდა ცოტა მელაპარაკა და გამოგმშვიდობებოდი.

გინა. როგორ?.. სადმე მიდიხარ თუ?

ფრუ სერბიუ. დიახ, ხვალ დილით... „მთის ხევში“. ბატონი ვერლე დღეს, ნასადილეც, უკვე გაემგზავრა. (გაკვრით, გრეგერსს). ჰო, მართლა, მოკითხვა დამაბარა თქვენთან.

გინა. წარმოგიდგენიათ?..

იალმარი. მაშ, ბატონი ვერლე უკვე წავიდა? და ახლა თქვენც...

ფრუ სერბიუ. დიახ; რას იტყვით, იალმარ?

იალმარი. რასა და, ფრთხილად იყავით-მეთქი.

გრეგერსი. ახლავე ყველაფერს აგიხსნი: მამაჩემი ცოლად ირთავს ფრუ სერბიუს.

გინა. ა! როგორც იქნა, ბერტა!

რელინგი (ცოტა არ იყოს, ხმა უკანკალებს). ერთბაშად არ დაგიჭვროთ!

ფრუ სერბიუ. არა, ძვირფასო რელინგ, უნდა დაიჭვროთ.

რელინგი. მაშ, თქვენ ერთხელაც თხოვდებით?

ფრუ სერბიუ. დიახ, ერთხელ და სამუდამოდ. ვერლემ უკვე ყველაფერი გაამზადა. იქ, ქარხანაში, პატარა შინაურულ ქორწილს გადავიხდით.

გრეგერსი. მაშ, ნება მიბოძეთ, როგორც მოსიყვარულე გერმა, ბედნიერება გისურვოთ.

ფრუ სერბიუ. გმადლობთ, თუკი მართლა გულით მილოცავენ. იმედი მაქვს, რომ ეს ქორწინება ორივეს ბედნიერებას მოგვიტანს — მეც და ვერლესაც.

რელინგი. ადვილი შესაძლებელია. კომერსანტი ვერლე, რამდენადაც ვიცი, არასოდეს არ ტყვრება და არც თავის ცოლებსა სცემს, განსვენებული ბეთალივით.

ფრუ სერბიუ. თუ ღმერთი გწამთ, მოეშვით მკედრებს. სერბიუსაც ბევრი კარგი თვისება ჰქონდა.

რელინგი. ო, ჩემის აზრით, კომერსანტ ვერლეს გაცილებით მეტი ექნება.

ფრუ სერბიუ. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც არ გაუწირავს, რაც მასში ყველაზე უკეთესი იყო. ხოლო ვინც ამას სჩადის, თავის თავსავე დააბრალოს.

რელინგი. ვატყობ, დღეს მე და მოლვიკი მაგრა შევუბერავთ.

ფრუ სერბიუ. ნუ, რელინგი, გევედრები... ჩემი გულისთვის.

რელინგი. მეტი რა დამრჩენია? (იალმარს). შენც წამოდი.

გინა. არა, იალმარი თქვენი ამფსონი არ არის.

იალმარი (განრისხებული, ჩუმაღ). შენი ხმა არ გავიგონო!

რელინგი. მშვიდობით, ფრუ... ვერლე. (მიდის).

გრეგერსი (ფრუ სერბიუს). როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად იცნობთ ბატონ რელინგს.

ფრუ სერბიუ. დიახ, ძველი ნაცნობები ვართ. იყო დრო, როდესაც ჩვენი ურთიერთობა კინაღამ... ქორწინებით დამთავრდა.

გრეგერსი. თქვენი ბედი, რომ მადამდე არ მივიდა საქმე.

ფრუ სერბიუ. რა თქმა უნდა. მაგრამ მე ყოველთვის ფრთხილი ვიყავი. ადვილად ვიოკებდი ჩემს გატაცებას. ქალს ამ საქმეში წინდაუხედაობა არაფერს არგებს.

გრეგერსი. კი მაგრამ, არ გეშინიათ, რომ მამაჩემს ჩაუუკენჭავ ამ ძველი ნაცნობობის ამბავს?

ფრუ სერბიუ. თქვენ გგონიათ, მე თვითონ არ მითქვამს?

გრეგერსი. მართლა?

**ფრუ სერბიუ.** დიახ, მამათქვენმა ყველაფერი იცის, რაც შეიძლება ჩემზე თქვას ხალხმა. როგორც კი თავისი განზრახვა გამანდო, ყველაფერი მე თვითონ უუამბე.

**გრეგერსი.** თქვენს გულახდილობას ბევრი ვერ დაიკვებნის.

**ფრუ სერბიუ.** მე ყოველთვის გულახდილი ვიყავი. ჩვენ, ქალებს, ეს უფრო გვაძლევს ხელს.

**იალმარი.** რას იტყვი ამაზე, გინა?

**გინა.** ქალს გააჩნია. ზოგი ასე სჯის, ზოგი — ისე.

**ფრუ სერბიუ.** არა, გინა, მე მგონია, ყველაზე ჭკვიანურია, ჩემსავით მოიქცე. თავის მხრივ, ვერლესაც არაფერი დაუმაღლავს ჩემთვის. ყველაზე მეტად სწორედ ამან დაგვაახლოვა. ახლა მას თავისუფლად შეუძლია, ყველაფერზე ბავშვივით გულახდილად მელაპარაკოს, რასაც უწინ ვერასდობებით ვერ ახერხებდა. ხომ იცით, რა დევივით კაცი იყო და მთელი თავისი ახალგაზრდობის მანძილზე ჭკუის სწავლების მეტი არაფერი მოუსმენია. თანაც, უმეტესწილად, ყოველგვარი საბაბის გარეშე... რამდენადაც ვიცი, მხოლოდ და მხოლოდ, სრულიად უსაფუძვლო ეჭვიანობის ნიადაგზე...

**გინა.** რაც მართალია, მართალია.

**გრეგერსი.** აქ თუ ასეთი ინტიმური ამბების ჩხრეკა დაიწყო, მიჯობს წავიდე.

**ფრუ სერბიუ.** არა, დარჩით, ხმას აღარ ამოვიღებ. მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა თქვენთვის, რომ არავითარი ცბიერება არ მიხმარია და არც არაფერი დამიმაღლავს. გარეშე თვალს შეიძლება ეგონოს, რომ რალაც არნახული ბედნიერება მეწია. ნაწილობრივ, ასეცაა. მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ უფრო მეტს როდი ვიღებ, ვიდრე მე თვითონ გავცემ. რა თქმა უნდა, მამათქვენს არასოდეს მივატოვებ. ისე მოუუვლი და გავუფრთხილდები, როგორც ვერაინ შესძლებს ახლა, როცა ძალიან მალე სრულიად უმწეო გახდება.

**იალმარი.** უმწეო?

**გრეგერსი** (ფრუ სერბიუს). დიახ, დიახ, მაგრამ აქ ნურაფერს იტყვი.

**ფრუ სერბიუ.** სულერთია, ბევრიც ეცადო, მაინც ვერ დამაღავ, მალე დაბრმავდება.

**იალმარი** (გაოგნებული). დაბრმავდება?.. რა უცნაურია!.. მაშ, ისიც?

**გინა.** ჭერ არაინ დაბრმავებულა?

**ფრუ სერბიუ.** კი მაგრამ, თავად განსაჯეთ, რას ნიშნავს ეს საქმიანი კაცისათვის. ისე, რა თქმა უნდა, ვეცდები ხვედრი შევეუშუბუქო... ახლა კი ჩემი წასვლის დროა. არ ვიცი, რა მეშველება, იმდენი საქმე მაქვს... ჰო, მართლა, აი, რისი თქმა



მინდოდა თქვენთვის, ეკლალ. თუ ვერლე რამეში დაგკირდე-  
ბათ, საკმარისია გრობერგს მიმართოთ.

**გრეგერსი.** არა მგონია, ამ წინადადებაზე იალმარ ეკლალმა  
მადლობა გითხრათ...

**გინა.** დიახ, ბერტა, ახლა იალმარი უკვე აღარაფერს დაესესხება  
კომერსანტ ვერლეს...

**იალმარი** (ნელა, შთაბგონებლად). ჩემი მოკითხვა გადაეცით თქვენს  
მომავალ მეუღლეს და უთხარით, რომ სულ მალე მივაკითხავ  
ბუხპალტერ გრობერგს...

**გრეგერსი.** როგორ?..

**იალმარი.** დამაცადე... თუ მივაკითხავ, მხოლოდ იმიტომ, რომ  
ანგარიში მოვთხოვო, რამდენი მმართველს კომერსანტისა. მე  
მინდა მთლიანად გადავიხადო ვალი. ეს ჩემი ღირსების  
საქმეა!.. ჰა-ჰა-ჰა! მართლაც რომ ღირსების საქმე! თუმცა,  
გვეყოფა... პროცენტებით გადავიხდი. დიახ, ხუთი პროცენტით.

**გინა.** კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, როგორ გავწვდებით ამას?

**იალმარი.** გადაეცით თქვენს საქმროს, რომ დღე და ღამ ემუშაობ  
ჩემს გამოგონებაზე. ამ უმძიმეს შრომაში მხოლოდ იმის იმედი  
მასულდგმულებს, რომ როგორმე დაიხსნის თავს მისი და-  
მთრგუნველი ვალისაგან. აი, რატომ შევეკირდე ამ ურთულეს  
საქმეს. მთელი შემოსავალი იმას მოხმარდება, რომ თქვენი  
მომავალი მეუღლის ვალისაგან გავთავისუფლდე.

**ფრუ სერბიუ.** როგორც ჩანს, რალაცა მოხდა.

**იალმარი.** დიახ.

**ფრუ სერბიუ.** რას იზამ... მშვიდობით. რალაცის თქმა კიდევ  
მინდოდა, გინა, მაგრამ შემდეგ იყოს. მშვიდობით.

იალმარი და გრეგერსი უსიტყვოდ უქნევენ თავს. გინა კარამდე აცილებს.

**იალმარი.** შორს არსად წახვიდე, გინა!

ფრუ სერბიუ მიდის. გინა კარს ხურავს.

მაშ, ასე, გრეგერს. ახლა კი თავი დავალწიე ამ დამთრგუნველ  
ვალს.

**გრეგერსი.** ყოველ შემთხვევაში, მალე დაადწიე.

**იალმარი.** ჩემის აზრით, სწორად მოვიქცეი.

**გრეგერსი.** შენ სწორედ ის კაცი ხარ, ვის პატიოსნებაშიც  
არასოდეს შემპარვია ეჭვი.

**იალმარი.** ზოგჯერ ყოველად შეუძლებელია იდეალური მოთხოვნე-  
ბის უგულვებლყოფა. როგორც ოჯახის მამას და მარჩენალს,  
აღბათ, ძალიან გამიკირდება. ჩემსავით უპოვარი კაცისთვის  
განა ადვილია ამდენი წლის ვალის გადახდა, რომელსაც, თუ

შეიძლება ასე ითქვას, უკვე დაიწყოების მტვერი დაედო? მაგრამ რა ვქნა, ჩემი ადამიანობაც თავისას მოითხოვს!

**გრეგერსი** (ხელს ადებს მხარზე). ჩემო ძვირფასო იალმარ... ხომ კარგია, რომ დროზე გამოგეცხადე?

**იალმარი**. რა თქმა უნდა!

**გრეგერსი**. ისიც ხომ კარგი ვქენი, რომ ყოველგვარი ურთიერთობა გაგარკვევინე?

**იალმარი** (ცოტა არ იყოს, გაღიზიანებით). დიახ, დიახ... მაგრამ ეს კია, რომ სამართლიანობის გრძნობა მაშფოთებს.

**გრეგერსი**. როგორ?

**იალმარი**. კმ... არ ვიცი, შემიძლია თუ არა თავისუფლად გამოვთქვა ჩემი აზრი მამაშენის შესახებ.

**გრეგერსი**. რა თქმა უნდა, მე მერიღები?

**იალმარი**. კეთილი. იცი, რა მაშფოთებს? ის, რომ ქეშმარიტი ქორწინების იდეას მე კი ვერ შევასხი ხორცი, არამედ მან.

**გრეგერსი**. აბა, რას ამბობ?

**იალმარი**. რას და — სიმართლეს. მამაშენი და ბერტა სერბიუ სწორედ ამნაირი ქორწინებით ეულლებიან ერთმანეთს; ქორწინებით, რომელიც ურთიერთნდობასა და ორმხრივ გულახდილობაზეა დაფუძნებული. ყველაფერი ცხადი და ნათელია მათ შორის; არავითარი მიჩქმალვა, არავითარი მიჩუმებობა. გამოცხადებულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცოლდათა სრული ურთიერთმიტევება.

**გრეგერსი**. დავუშვათ, რომ ასეა; მერე რა?

**იალმარი**. საქმეც ეგაა სწორედ. აქ ხომ ყველაფერია... მძიმე და რთული... მოკლედ, ის, რასაც შენ ქეშმარიტი ქორწინების აუცილებელ საფუძვლად თვლი.

**გრეგერსი**. კი მაგრამ, ეს ხომ სულ სხვა რამეა, იალმარ! ნუთუ შენს თავსა და შენს ცოლს ამ „ძვირფას“ წყვილს ადარებ?.. ხომ გესმის ჩემი?

**იალმარი**. რა ვქნა, ვერასდობით ვერ ვიცილებ თავიდან იმ აზრს, რომ ამაში არის რაღაც ისეთი, რაც ჩემს სულში სამართლიანობის გრძნობას ამღვრევს და აშფოთებს. თითქოს ამქვეყნად საერთოდ არ არსებობს უზენაესი სამართლიანობა.

**გრეგერსი**. ფუჰ, თუ ღმერთი გწამს, ასე ნუ ლაპარაკობ, ეკდალ!

**იალმარი**. კმ... კარგი, მოვეშვათ ამ წვრილმანებს.

**გრეგერსი**. მაგრამ, მეორე მხრივ, მე თითქოს მაინც ვხედავ ბედისწერის მსახვრალ ხელს. ვერღე ხომ ბრმავდება.

**ვინა**. ეგ კიდევ საკითხავია, მართლა დაბრმავდება თუ არა.

იალმარი. უეჭველად დაბრმავდება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მაინც არ უნდა ვეჭვობდეთ. სწორედ ამ ფაქტში ვლინდება სამართლიანი ნაცვლისგება. თავის დროზე მან თვითონ დააბრმავა მიამიტურად მიმნდობი მოყვასი...

გრეგერსი. და სამწუხაროდ, არა ერთი, არამედ მრავალი...

იალმარი. ახლა კი ახლოვდება ულმობელი, იღუმალი ძალა და კომერსანტის საკუთარ თვალებს მოითხოვს.

გინა. აბა, რას ამბობ, იალმარ, რას? ყურს გიგდებ და მეშინია.

იალმარი. ხანდახან არ გვაწყენს არსებობის ბნელ მხარეებში ჩალრმავება.

შემოსასვლელი კარიდან ქოშინით შემორბის თბილად ჩაცმული პედვიგი; სახეზე ღიმილი დასთამაშებს.

გინა. უკვე დაბრუნდი?

პედვიგი. ჰო, სეირნობა მომბეზრდა... კარგიც ვქენი რომ დავბრუნდი: იცი ვინ შემხვდა?

იალმარი. ალბათ, ფრუ სერბიუ.

პედვიგი. დიახ.

იალმარი (ოთახში ბოლთას სცემს). იმედია, ეს თქვენი შეხვედრა უკანასკნელი იყო.

ღუმილი.

პედვიგი (შეშინებული ხან მამას უყურებს, ხან დედას და გრეგერსს, თითქოს სურს საერთო განწყობილება გამოიცნოსო, შემდეგ იალმართან მიდის და ეფერება). მამა!

იალმარი. რა იყო, პედვიგ?

პედვიგი. ფრუ სერბიუმ რალაცა მომიტანა.

იალმარი (ჩერდება). შენ?

პედვიგი. სახვლიო საჩუქარი.

გინა. დაბადების დღეზე ბერტა ყოველთვის რალაცას გჩუქნის.

იალმარი. მაინც რა საჩუქარია?

პედვიგი. არა, დღეს საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ხვალ დილით კი დედამ საწოლზე უნდა დამიდოს.

იალმარი. საინტერესოა, როდემდის უნდა მიმალოთ ყველაფერი?

პედვიგი (საჩქაროდ). არა, არა, ახლავე გიჩვენებ; აი, რამხელა წერილია. (პალტოს ჯიბიდან წერილს იღებს).

იალმარი. თანაც, წერილი?

პედვიგი. დიახ, ესაა და ეს. დანარჩენი, ალბათ, მერე იქნება. მაგრამ წარმოგიდგენია? — წერილი, მამა! ჩემს სიცოცხლეში არ მიმიღია წერილი. ზედ აწერია: „ფრიოკენ“, „ფრიოკენ პედვიგ ეკლას“; ესე იგი, მე!

იალმარი. მომეცი, დაეხედო.

ჰედვიგი (წერილს უწვლის). ინებე.

იალმარი. კომერსანტ ვერლეს ხელია.

გინა. მართლა, იალმარ?

იალმარი. აბა, დახედე.

გინა. დაეხედო თუ არა, ბევრს კი გავიგებ!

იალმარი. ჰედვიგ... შეიძლება გავხსნა და წავიკითხო?

ჰედვიგი. რა თქმა უნდა.

გინა. არა, დღეს არა, იალმარ. რახან სახვალიოა...

ჰედვიგი (ჩუმად, დედას). გაუშვი, წაიკითხოს! ალბათ, რალაც კარგი წერია. მამას გაუხარდება და ჩვენც ყველანი კარგ გუნებაზე დავდგებით.

იალმარი. ესე იგი, შეიძლება გავხსნა?

ჰედვიგი. რა თქმა უნდა, მამა! საინტერესოა, რა წერია!

იალმარი. კარგი! (კონვერტს ხსნის, წერილს იღებს, კითხულობს და სახეზე განცვიფრება ეხატება). რა არის ეს?..

გინა. რა წერია?

ჰედვიგი. ჰო, მამა, გვითხარი რა?

იალმარი. მოითმინეთ! (ხელახლა კითხულობს წერილს და ფიქრდება, მაგრამ თავს ძალას ატანს და შედარებით მშვიდად ამბობს). ეს შენი ნაჩუქრობის ბარათია, ჰედვიგ.

ჰედვიგი. წარმოგიდგენიათ? მაინც რას მპირდებიან საჩუქრად?

იალმარი. შენ თვითონ წაიკითხე.

ჰედვიგი მაგიდასთან მიდის და ლამპის შუქზე კითხულობს.

(ხმადაბლა; მუშტებსა კონჭეს). თვალები! თვალები! და ეს წერილი!

ჰედვიგი (კითხვას თავს ანებებს). არა, მე მგონია, ეს პაპასი უნდა იყოს!..

იალმარი (წერილს გამოართმევს). გინა... გასაგებია შენთვის?

გინა. რა არის გასაგები? აღარ იტყვი, რაშია საქმე?

იალმარი. კომერსანტი ვერლე იწერება, რომ ჰედვიგის ბებერ პაპას ამიერიდან აღარ დასჭირდება ქალაქების გადაწერა, კანტორიდან ყოველთვიურად მიიღებს ას კრონს...

გრეგერსი. აჰა!..

ჰედვიგი. ას კრონს, დედა! მეც წავიკითხე...

გინა. მაშ, შეიძლება მივულოცოთ ბერიკაცს.

იალმარი. ას კრონს, სანამდისაც დასჭირდება, ესე იგი, მთელი სიცოცხლის მანძილზე.

გინა. ახლა კი უზრუნველყოფილია, საბრალო.

იალმარი. მაგრამ მთავარი აწი იწყება. როგორც ჩანს, ბოლომდე არ ჩაგიკითხავს. ჰედვიგ. ბერიკაცის სიკვდილის შემდეგ მთელი ეს თანხა შენზე გადმოდის.

ჰედვიგი. ჩემზე? მთლიანად?

იალმარი. კომერსანტი წერს, რომ იმავე პენსიას უკლებლივ მიიღებ მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე. გესმის, გინა?

გინა. მესმის, მესმის.

ჰედვიგი. წარმოგიდგენიათ? ამდენი ფული — მე? (სახელოზე ექაჩება). არ გიხარია, მამა?

იალმარი (თავს არიდებს). მიხარია! (ბოლთას სცემს). — ო, რა პორიზონტი, რა პერსპექტივა იშლება ჩემს წინაშე! ჰედვიგ!.. ხედავთ, რა უხვად ასაჩუქრებს ჰედვიგს?!

გინა. კი მაგრამ, ეს ხომ მისი დაბადების ღლეა...

ჰედვიგი. სულერთია, ყველაფერი მაინც შენი იქნება, მამა! მე ხომ მთელ ფულს შენ და დედას მოგცემთ!

იალმარი. ჰო, დედას, არა?

გრეგერსი. იალმარ, მახეს გიგებენ.

იალმარი. მაშ, შენი აზრით, ესეც მახეა?

გრეგერსი. აი, რა მითხრა ამ დილას, აქ რომ იყო: იალმარი, შენ რომ გგონია ის კაცი არ არისო...

იალმარი. ის კაცი არ არისო?

გრეგერსი. შენ თვითონ დარწმუნდებიო, მითხრა.

იალმარი. დიახ, დარწმუნდები, მიცემ მთუ არა იმის ნებას, რომ ფულით მომიკუპროს პირი!

ჰედვიგი. რა ხდება, დედა?

გინა. შენ წალი, გაიხადე.

ჰედვიგი. ცოტაც და, ალბათ, ატირდება. გულმოკლული სამზარეულოში გადის.

გრეგერსი. დიახ, იალმარ, ახლა გაირკვევა, ვინ არის მართალი, მე თუ ის.

იალმარი (ნელ-ნელა შუაზე ხევს ქალაღს, ორივე ნახევარს მაგიდაზე დებს და ამბობს). აი, ჩემი პასუხი.

გრეგერსი. ასეც ვიცოდი.

იალმარი (გინასთან მიდის, რომელიც ღუმელთან დგას და ყრუ ხმით ამბობს). ამას იქით კი ყოველგვარ მალევას მოედოს ბოლო. თუკი მართლა საბოლოოდ აქციე ზურგი, როცა... შენივე სიტყვებით რომ ეთქვათ, მე შემოიყვარე, მაშინ რატომღა შეუწყო ხელი ჩვენს ქორწინებას?

გინა. ალბათ, იმედი ჰქონდა, რომ აქაც გამოიკვლევდა გზას.

იალმარი. მხოლოდ ამიტომ? იქნებ, რალაცის ეშინოდა?

გინა. არ მესმის, რას ამბობ?

იალმარი. მე მინდა ვიცოდე, აქვს თუ არა შენს შვილს იმის უფლება, რომ ჩემს ჰერკვემ იცხოვროს?

გინა (მკისხნად შეიპართება, ანთებული მზერით). და შენ... შენ მეკითხები ამას?

იალმარი. მიპასუხე: ჰედვიგი ჩემი შვილია თუ... აბა!

გინა (ურთხი სიკერპით უცქერის). არ ვიცი.

იალმარი (ხმის კანკალით). არ იცი?..

გინა. აბა, რა უნდა ვიცოდე? მე ხომ...

იალმარი (ზურგს შეაკვეთს; ჩუბად). მაშინ მე ამ სახლში აღარაფერი მესაქმება.

გრეგერსი. კარგად დაფიქრდი, იალმარ!

იალმარი. ჩემს დღეში მყოფ კაცს რაღა საფიქრალი დარჩენია?

გრეგერსი. ბევრი, ძალიან ბევრი! თქვენ სამივენი მტკიცედ უნდა შეიკრათ და შეეკავშირდეთ, თუ გსურს იქამდე ამალლდე, რომ თვითგანდგომა და ყოვლის მიტევება შესძლო.

იალმარი. არავითარი ამალლება არა მსურს! ღმერთმა მაშოროს, ღმერთმა! სად არის ჩემი ქული? (ქულს იღებს). ოჯახი დამენგრა! (ჭკითინით). აღარ მყავს, შვილი აღარ მყავს, გრეგერს!

ჰედვიგი (სამზარეულოს კარს გამოადებს). რას ამბობ? (მივარდება). მამა! მამა!

გინა. აი!

იალმარი. არ მომეკარო, ჰედვიგ! მომშორდი! შენი დანახვა აღარ შემიძლია! ო, ეს თვალები!.. მშვიდობით! (კარისკენ გარბის).

ჰედვიგი (ებლაუქება; ყვირილით). არა! არა! არა! არ წახვიდე!

გინა (ყვირის). ბავშვს შეხედე, ბავშვს, იალმარ!

იალმარი. არ მინდა! არ შემიძლია! გამიშვით... შორს, შორს! (ჰედვიგს დაუსხლტება და თავქედმოგლეჯილი გავარდება კარში).

ჰედვიგი (არეული მზერით). მიდის დედა! მიდის! აღარასოდეს აღარ დაბრუნდება!

გინა. მხოლოდ ნუ ტირი, ჰედვიგ! აუცილებლად დაბრუნდება!

ჰედვიგი (ჭკითინით ემზობა ღივანზე). არა, არა, არასოდეს აღარ დაგვიბრუნდება.

გრეგერსი. დამერწმუნეთ, მე მინდოდა ყველაფერი უკეთ ყოფილიყო, ფრუ ეკდალ!..

გინა. შეიძლება... ღმერთმა შეგინდოს!

ჰედვიგი (ღივანზე). ვაიმე, ასე მგონია, ვკვდები! ვერა, ამას ვერ გავუძლებ! რა დაეუშავე, დედა? დააბრუნე, დააბრუნე!

- გრეგერსი.** დიახ, დიახ. ახლავე. შენ მხოლოდ დამშვიდდი... მე წავალ და მოვძებნი. (შალს მოისხამს). შეიძლება რელინგთანაა. მაგრამ შეშპირდი, რომ აღარ იტირებ.
- ჰედვიგი.** აღარ ვიტირებ, ოღონდ დაბრუნდეს.
- გრეგერსი** (გინას, რომელიც წასულას აპირებს). იქნებ სჯობია, რომ არ წახვიდეთ? აცალეთ, თვითონვე გადაიტანოს ბოლომდის ეს საშინელი ბრძოლა.
- გინა.** მერვე მოასწრებს. ჭერჭერობით კი ბავშვს უნდა მივხედოთ. (გაღის).
- ჰედვიგი** (წამოქდება და ცრემლებს იწმენს). თქვენ მაინც მითხარით, რა მოხდა? რატომ აღარ ვუყვარვარ მამას?
- გრეგერსი.** თქვენთვის ადრეა ამის კითხვა... ჭერ უნდა გაიზარდოთ... დიდი გახდეთ...
- ჰედვიგი** (სლუკუნებს). სანამ გავიზრდები, სულ ასე უნდა ვიტანჯო?... თუმცა, მე მგონია, ვხვდები... იქნებ ჩემი მამიკოს ნამდვილი შვილი არა ვარ?
- გრეგერსი** (შეშფოთებით). ეგ რამ გაფიქრებინათ?
- ჰედვიგი.** იქნებ, დედამ სადმე მიპოვა. ახლა კი, ალბათ, მამამ გაიგო. სადღაც წამიკითხავს ერთი ასეთი ამბავი.
- გრეგერსი.** ასეც რომ იყოს...
- ჰედვიგი.** კი მაგრამ, ამის გამო მამას ძველებურად აღარ უნდა უყვარდეს თავისი შვილი? მე თუ მკითხავთ, უფრო მეტადაც კი უნდა უყვარდეს. გარეული იხვიც ხომ გვაჩუქეს, მაგრამ მე მაინც გაგიყვებით მიყვარს.
- გრეგერსი** (ცდილობს ყურადღება სხვა რამეზე გადაუტანოს). ჰო მართლა, გარეული იხვი! მოდი ჰედვიგ, გარეულ იხვზე ვილაპარაკოთ!
- ჰედვიგი.** ჩემი საბრალო გარეული იხვი! მამაჩემს თვალით დასანახავადაც შესჯავრდა. წარმოგიდგენიათ? კისერი უნდა მოეუგრისოო.
- გრეგერსი.** არა, ამას როგორ იზამს?
- ჰედვიგი.** ალბათ, არა, მაგრამ ასე რომ თქვა? ძალიან ცუდად გამოუვიდა. მე ყოველ ღამე ვლოცულობ, რომ ცოცხალი და სალ-სალამათი იყოს.
- გრეგერსი** (უყურებს). მაშ, თქვენ საღამოობით ლოცულობთ?
- ჰედვიგი.** დი-ი-ახ!
- გრეგერსი.** ვინ გასწავლათ?
- ჰედვიგი.** არავენ, მე თვითონ ვისწავლე! ერთხელ მამა ძალიან ავად იყო და კისერზე წურბელები დაასვეს. ასე ამბობდა, სიკვდილი კარზეა მომდგარიო.

გრეგერსი: მერე?

ჰედვიგი. ჰოდა, რომ დაეწევი, ლოცვა დაეწევი, ღმერთო, კარგად მიმოყოფე-მეთქი. მას აქეთ ასე დამჩემდა.

გრეგერსი. ახლა კი გარეულ იხვზეც ლოცულობთ?

ჰედვიგი. დიახ, ვცდილობ არც ის გამომჩრჩეს. პირველად სულ ავად იყო.

გრეგერსი. დილაობითაც თუ ლოცულობთ?

ჰედვიგი. არა, დილაობით არა.

გრეგერსი. რატომ?

ჰედვიგი. დილაობით ხომ სინათლეა; სინათლეში კი საშიში არ არის.

გრეგერსი. მაშ, მამათქვენს უნდოდა კისერი მოეგრიხა გარეული იხვისთვის, რომელიც ასე ძალიან გიყვართ?

ჰედვიგი. არა, ასე თქვა, ყველაფერს ეს აჯობებდა, მაგრამ შენი ხათრით ხელს არ ვახლებო... ისე გამეხარდა...

გრეგერსი (უახლოვდება). კი მაგრამ, თქვენი ნებით რომ შეგეწირათ მსხვერპლად მისი გულისთვის?

ჰედვიგი (წაპოიწეხს). გარეული იხვი?

გრეგერსი. ნებაყოფლობით რომ შეგეწირათ მისთვის ის, რაც ყველაზე უფრო გიყვართ.

ჰედვიგი. ვითომ ეს უშველის საქმეს?

გრეგერსი. სცადეთ, ჰედვიგ.

ჰედვიგი (ჩუმად, თვალგაბრწყინებულ). დიახ, ვცდი.

გრეგერსი. როგორ გგონიათ, გამბედაობა გეყოფათ?

ჰედვიგი. ჰაჰას ვთხოვ, თოფი ესროლოს.

გრეგერსი. კეთილი. მაგრამ დედასთან არაფერი წამოგცდეთ, გესმით?

ჰედვიგი. რატომ?

გრეგერსი. ვერ გაგიგებთ.

ჰედვიგი. გარეული იხვი?.. ხვალ დილითვე ვცდი.

გინა. ბრუნდება. ჰედვიგი დედას მივარდება.

ნახე დედა?

გინა. ვერა. ასე მითხრეს, რელინგთან იყო და სადღაც წაიყვანაო.

გრეგერსი. ნამდვილად?

გინა. დარაჯმა მითხრა. მოლვიკიც მათთან ყოფილა.

გრეგერსი. რა დროს ეს იყო, როცა მარტოდმარტოს უნდა გადაეხადა უსასტიკესი სულიერი ბრძოლა?..



გინა (შალს იხსნის). რას იზამ, კაცი-კაცია. ღმერთმა იცის, სად წაათრევს რელინგი. მაღამ ერიკსენთან ვიყავი, მაგრამ იქ არ არიან.

ჰედვიგი (ტირილით). საერთოდ რომ აღარ დაბრუნდეს?

გრეგერსი. დაბრუნდებდა. ხვალ ერთ რაღაცას ვეტყვი და ნახავთ, თუ მაშინვე არ დაგიბრუნდეთ. ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა, ჰედვიგ! (გაღის).

ჰედვიგი (ქეითინით ყელზე შემოესკვნება ღელას). დედა, დედა!

გინა (მხრებზე ხელს უსვამს და ოხრავს). ოჰ, ოჰ! მართალი იყო რელინგი. აი, რა გამოდის, როცა ყველა დამთხვეული ძალისძალად გვეჩრება თავისი იდეალური მოთხოვნებით.

## მესამე მოქმედება

იალმარ ეკლასის სახელოსნო. პირქუში, ცივი დილაა. ფანჯრის მინები დათოვლილია.

სამზარეულოდან გამოდის გინა და სასტუმრო ოთახისკენ მიემართება. წინსაფარი უკეთია, ხელში ცოცხი უჭირავს. იმავდროულად, წინაკარიდან სწრაფად შემოდის ჰედვიგი.

გინა (ჩერდება). გაიგე რამე?

ჰედვიგი. მგონი რელინგთანაა, დედა.

გინა. აი, ხომ ხედავ?

ჰედვიგი. დარაჯმა თქვა, გავიგონე, რელინგმა ძლივს მოათრია ორი კაციო.

გინა. ასეც ვიცოდი.

ჰედვიგი. მაგრამ რა, თუ ჩვენთან არ დაბრუნდება?

გინა. ჩავალ, მოველაპარაკები მაინც.

თავისი ოთახიდან გამოდის მოხუცი ეკლასი. ხალათი აცვია; ხელში მოწეული ჩიბუხი უჭირავს.

ეკლასი. იალმარ... იალმარ... სად არის?

გინა. მგონი სადღაც წავიდა.

ეკლასი. ასე აღრიან?... და. თანაც ამ ქარბუქში?... რა გაეწყობა, მარტო მივხედავ საქმეს. (ჰედვიგის დახმარებით კარის ერთ ნახევარს გამოსწევს და სხვენში შედის).

ჰედვიგი კვლავ ხურავს კარს.

**ჰედვიგი.** რა ეშველება საცოდავ პაპას, როცა გაიგებს, რომ მამა სახლიდან წასვლას აპირებს?

**გინა.** მორჩი ამ სისულელეს. პაპამ არაფერი უნდა გაიგოს. კიდევ კარგი, რომ გუშინ სახლში არ იყო, როცა მთელი ეს აყალმაყალი ატყდა.

**ჰედვიგი.** კი მაგრამ...

შემოდის გრეგერსი.

**გრეგერსი.** როგორაა საქმე? გამოჩნდა?

**გინა.** ამბობენ, ქვევითაა, რელინგთანო.

**გრეგერსი.** რელინგთან? მაშ, გუშინ მართლა ამ ვაებატონებთან იყო?

**გინა.** როგორც ჩანს.

**გრეგერსი.** ნაცვლად იმისა, რომ მარტო ყოფილიყო, რათა სერიოზულად ჩაჰფიქრებოდა საქმეს და აზრი მოეკრიბა?..

**გინა.** თქვენ რა გიჭირთ? სიტყვების მეტი რა გეხარჩებათ?

შემოდის რელინგი.

**ჰედვიგი** (შივარდება). მამა თქვენთანაა?

**გინა.** მართალი გვითხარით.

**რელინგი.** რა თქმა უნდა.

**ჰედვიგი.** მერედა, რატომ არ შეგვატყობინეთ?

**რელინგი.** იმიტომ, რომ ღო-ორი ვარ, ღო-ორი. მაგრამ, ჯერ ერთი, გაჩენის დღე მაწყევლინა მეორე ღო-ორმა, — ამ ჩვენმა დემონიურმა ნატურამ და, ეგეც არ იყოს, მეც დამეძინა.

**გინა.** კი მაგრამ, რას ამბობს დღეს იალმარი?

**რელინგი.** არაფერსაც არ ამბობს.

**ჰედვიგი.** ხმა არ ამოულია?

**რელინგი.** თქვენც არ მომიკვდეთ.

**გრეგერსი.** დიახ, დიახ. ასეც ვიცოდი.

**გინა.** კი მაგრამ, მაინც რას აკეთებს?

**რელინგი.** დივანზე წევს და ხვრინავს.

**გინა.** მართლა? თუმცა იალმარმა საშინელი ხვრინვა იცის.

**ჰედვიგი.** სძინავს? ჩვენ ამ დღეში ვართ და მას კი სძინავს?

**რელინგი.** დიახ, სძინავს და, დალახვროს ეშმაკმა, მერე როგორ სძინავს.

**გრეგერსი.** რა გასაკვირია, ესოდენ საშინელი შინაგანი ბრძოლის შემდეგ, რომელმაც, ალბათ, სულ მთლად გამოიფიტა.

**გინა.** ლამლამობით წანწალი რომ არ სჩვევია, მიტომ.

**ჰედვიგი.** ალბათ, უკეთესიცაა, რომ კარგად გამოიძინებს, დედა.

- გინა.** ალბად. ამიტომ ასე ადრე ნუ გავადვიძებთ. დიდი მადლობა, რელინგ. ჭერ აქაურობას მივალავებ და მერე... წამოდი, მომეხმარე, ჰელვიგ.
- გინა და ჰელვიგი** სასტუმრო ოთახში გადიან.
- გრეგერსი** (რელინგს მიუბრუნდება). ხომ ვერ მეტყვი, რა ხდება ახლა იალმარ ეკდალის სულში?
- რელინგი.** ღმერთმანი, არ შემიმჩნევია, რომ მასში რაიმე ხდებოდა.
- გრეგერსი.** როგორ? ამნაირი გარდატეხის შემდეგ, როცა მთელი მისი ცხოვრება ახლებურ აზრსა და მიმართულებას იძენს?.. რა უფლება გაქვთ იფიქროთ, რომ ისეთი პიროვნება, როგორიც იალმარია...
- რელინგი.** პიროვნება?.. ვინ, იალმარი?.. თუკი მის არსებაში ოდესმე მაინც იყო იმისი ჩანასახი, რომ, თქვენზევე საკუთარი გამოთქმით, „პიროვნებად“ ქცეულიყო, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ჩანასახი ბავშვობის ასაკშივე მოიშოო მასში. შემძლია ამაში მაინც დაგარწმუნოთ.
- გრეგერსი.** ვერ დამარწმუნებთ, იმიტომ, რომ უცნაურ რამეს ამბობთ. იალმარს ისეთი სიყვარულით ზრდიდნენ.
- რელინგი.** ვინ? ორი ისტერიული, ერთავად ნერვებმოშლილი და ყალბე შემდგარი შინაბერა დეიდა?
- გრეგერსი.** უნდა მოგახსენოთ, რომ ორივე ფრიად ღირსეული მანდილოსანი იყო, რომლებსაც არასოდეს ავიწყლებოდათ იდეალური მოთხოვნები. მაგრამ ახლა თქვენ კვლავ მოჰყვებით მასხრობას და კბილების კრეკას.
- რელინგი.** არა, დღეს მაგის გუნებაზე არა ვარ, თუმცა მშვენიერად ვიცი მისი ძვირფასი აღმზრდელების ამბავი. ვინ მოსთელის, რამდენი პათეტიკური სიტყვა დაუფრქვევია თავისი „ორი სულიერი დეიდის“ გახსენებისას. მაგრამ არა მგონია, რომ ბევრი რამით იყოს დავალებული მათგან. ეკდალის უბედურება ისაა, რომ ყოველთვის ერთგვარი მნათობის როლს თამაშობდა თავის წრეში...
- გრეგერსი.** თამაშობდა და უფლებაც ჰქონდა! მე ვგულისხმობ მის სულიერ სიღრმეს.
- რელინგი.** მომკალით და არავითარი სიღრმე მე მასში არ შემიმჩნევია... მარტო მამამისს რომ ჰქონოდა ასეთი დიდი წარმოდგენა შეილზე, ეგ კიდევ არაფერი: ბებერი ლეიტენანტი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ნამდვილი ბრიყვი იყო.
- გრეგერსი.** მთელი სიცოცხლის მანძილზე ის ბავშვურად მიმნდობი და მიამიტი გახლდათ. მაგრამ თქვენ ამის გაგების თავი ვინ მოგცათ?

**რელინგი.** კეთილი!.. მაგრამ შემდეგ, როცა ეს ჩვენი ძვირფასი იალმარი, ასე ვთქვათ, სტუდენტი გახდა, მეგობრების თვალშიაც დაუყოვნებლივ მომავალი მნათობის როლში მოგვექვლინა. ისე, კაცმა, რომ თქვას, მართლაც საკმაოდ ლამაზი და მომხიბლავი იყო, ქერა, თეთრ-ყირმიზი, სწორედ ისეთი, როგორც ახლად წამოჩიტულ გოგოებს მოსწონთ. ამას დაუმატეთ მისი მგრძნობიარობა, სიფიცხე, სიმჩატე, და გულში ჩამწვდომი ხმა, ისევე როგორც სხვისი ლექსებისა და სხვისი აზრების მოხდენილი დეკლამირების უნარი...

**გრეგერსი** (აღშოფობით). თქვენ ამას იალმარ ეკლალზე ამბობთ?

**რელინგი.** დიახ, თქვენის ნებართვით, სწორედ ასეთია ამ თქვენის კერპის შინაგანი სამყარო, ვის წინაშეც მუტეულზე ხოხავთ.

**გრეგერსი.** არა მგონია, ამდენად ბრმა ვიყო.

**რელინგი.** სამწუხაროდ, ასეა. თქვენც ხომ თავისებურად არანორმალური, ავადმყოფი კაცი ხართ?

**გრეგერსი.** ამ მხრივ, მართალი ბრძანდებით.

**რელინგი.** რა თქმა უნდა. ეგ თქვენი ავადმყოფობაც საკმაოდ სძიმე ავადმყოფობაა. ჭერ ერთი, მტრისას, თქვენ რომ პათიოსნების ციებცხელება გკირთ, და, მეორეც, რაც კიდევ უფრო უარესია, თაყვანისცემის მანიითა ხართ შეპყრობილი. თქვენ გამუდმებით გკირდებათ თაყვანისცემის საგანი; ალბათ, ამიტომაცაა, რომ ერთავად სხვის საქმეში ეჩრებით, თითქოს თქვენი საკუთარი საქმე არ გქონდეთ.

**გრეგერსი.** რა გასაკვირია, თაყვანისცემის საგანს ყოველთვის ჩვენს გარეთ უნდა ვეძებდეთ.

**რელინგი.** მაგრამ თქვენ სასტიკად სცდებით ამ „ღვთაებრივი“ ბუზანკალების შეფასებისას, რომლებიც ყველგან გელანდებთ. აი, ახლაც უბრალო მოკვდავთა სახლში შემოეჩხირეთ მაგ თქვენი იდეალური მოთხოვნებით. მაგრამ ამ სახლში გაკოტრებული ხალხი ცხოვრობს.

**გრეგერსი.** თუ ასეთი მდაბალი აზრისა ხართ იალმარ ეკლალზე, მაშინ რალა სიამოვნებას გგვრით მის გვერდით ყოფნა?

**რელინგი.** ო, ღმერთო ჩემო, რაც არ უნდა იყოს, მე მაინც ექიმო ვარ და, ასე თუ ისე, ხომ უნდა ვიზრუნო ავადმყოფებზე, რომლებიც ჩემი კარის მეზობლები არიან?

**გრეგერსი.** მაშ, თქვენის აზრით, იალმარ ეკლალს ავადმყოფია?

**რელინგი.** სამწუხაროდ, ჭანსალ ადამიანს, სანთლითაც რომ ეძებოთ, ვერსად იპოვით.

**გრეგერსი.** კი მაგრამ, მაინც როგორ მკურნალობთ იალმარ ეკლალს?

**რელინგი.** ჩვეულებრივად. ვცდილობ ხელი შევეწყო მასში ცხოვრებისეული სიცრუის შენარჩუნებას.

**გრეგერსი.** ცხოვრებისეული სიცრუისა? ხომ არ მომესმა?

**რელინგი.** არა. მე სწორედ „ცხოვრებისეული სიცრუე“ ვთქვი. იმიტომ, რომ ეს, თუ სიმართლე გნებავთ, მასტიმულირებელი პრინციპია.

**გრეგერსი.** თუ შეიძლება გკითხოთ, მაინც რას წარმოადგენს ეს „ცხოვრებისეული სიცრუე“, რომლითაც დასწრელებულია იალმარ ეკლალი?

**რელინგი.** მომიტევეთ, მაგრამ ამნაირ საიდუმლოებებს მე ექიმბაშებს არ ვუზიარებ. თქვენ შეგიძლიათ უფრო მეტად დასახიჩროთ იგი. მკურნალობის ჩემეული მეთოდი კი რადიკალური გახლავთ, რომელსაც მოლვიკის მიმართაც ვიყენებ. მე ის „დემონიურ ნატურად“ ვაქციე. ყიფლიბანდი, რომელიც კისერზე აღმოუჩინე...

**გრეგერსი.** მაშ, ის სინამდვილეში სულაც არ არის „დემონიური ნატურა“?

**რელინგი.** კი მაგრამ, დალაზვროს ეშმაკმა, რას ნიშნავს „დემონიური ნატურა“? ეს ხომ წმინდა წყლის სისულელეა, ჩემს მიერვე გამოგონილი, იმ მიზნით, რომ ცხოვრება გაეუადვილო. უამისოდ ეს საცოდავი, ეს ნამდვილი ღორი რა ხანია დაილუპებოდა სასოწარკვეთილებისა და საკუთარი თავის მიმართ უღრმესი ზიზლის შედეგად. ახლა ბებერ ლეიტენანტს აღარ იკითხავთ? თუმცა მან თავისით მიაკვლია მკურნალობის ყველაზე ნაღდ საშუალებას...

**გრეგერსი.** ლეიტენანტმა ეკლალმა? კი მაგრამ, მას რაღა სჭირს?

**რელინგი.** რაღა სჭირსო?... ეს ბებერი ბრიყვი, ოდესღაც დათვებზე მონადირე, ახლა სხვენში დაბორილობს და ბოცვრებსა ხოცავს. და როცა ამ სისაძაგლით გულს იჯერებს, დამერწმუნეთ, მასზე უფრო ბედნიერი მონადირე მთელი დედამიწის ზურგზე არსად მოიძებნება. ხუთი თუ ექვსი გამხმარი ნაძვის ხე, რომლებიც შობის შემდეგ შემოინახა, უსიერი ტევრი ჰგონია, მამალი და ქათმები — ფიჭვის კენწეროზე შემომსხდარი ყრუანჩელები, სხვენის იატაკზე დაყუნცული ბოცვრები კი — მურა დათვები, რომლებსაც გააფთრებით ებრძვის ფართოდ გაშლილ სივრცეებს ნაჩვევი ეს ჭალარა კაცი.

**გრეგერსი.** საბრალო ლეიტენანტი!.. აი, მან კი მართლაც ჩამოაფასა თავისი ძველი, სიკბაბუკისდროინდელი იდეალები.

**რელინგი.** ჰო მართლა, სანამ არ დამეიწყენია, ნუ ხმარობთ ამ უცხოურ სიტყვას — „იდეალები“. ჩვენა გვაქვს მშვენიერი მშობლიური სიტყვა: „სიცრუე“.

**გრეგერსი.** თქვენის აზრით, ეს ორი სიტყვა ერთმანეთის ტოლფასია?

**რელინგი.** დიახ, დაახლოებით ისევე, როგორც, ვთქვათ, „ქლექი“ და „ტუბერკულოზი“.

**გრეგერსი.** მაშ, იცოდეთ, ექიმო, რომ არ მოვისვენებ, სანამ კლანკებიდან არ გამოგგლეჯთ იალმარს.

**რელინგი.** მით უარესი მისთვის. წაართვით ამნაირ კაცს ცხოვრებისეული სიცრუე და ამით მას წაართმევთ ბედნიერებას. (ქედვიგს, რომელიც ამ დროს სასტუმრო ოთახიდან გამოდის). აბა, ჭერჭერობით, იხვის დედობილო, ერთი ქვევით ჩავალ და დავხედავ, კვლავ დივანზე კოტრილობს თუ არა მამიკო და თავს ამტკრეებს თავის დიდებულ გამოგონებას. (მიღის).

**გრეგერსი** (ქედვიგს უახლოვდება). სახეზე გატყობთ, რომ საქმე ჭერ კიდევ არ მოთავებულა.

**ჰედვიგი.** რა საქმე?.. აჰ, თქვენ გარეულ იხვს გულისხმობთ? არა, ჭერ არა.

**გრეგერსი.** როგორც ჩანს, გამბედაობა არ გეყოთ, როცა საქმე საქმეზე მიდგა.

**ჰედვიგი.** არა, მაგიტომ არა. დღეს დილით რომ გავიღვიძე და გამახსენდა, რას მეუბნებოდით გუშინ, ყველაფერი ძალიან უცნაური მეჩვენა.

**გრეგერსი.** უცნაური?

**ჰედვიგი.** დიახ... თვითონაც არ ვიცი რატომ. წუხელის მეგონა, რომ ეს იქნებოდა ნამდვილი გმირობა. დღეს კი ყველაფერი გამახსენდა და რატომღაც მომეჩვენა, რომ არავითარი გმირობა ეს არ არის.

**გრეგერსი.** რა თქმა უნდა... გარემოცვა თავისას შვრება. თქვენ-შიაც ბევრი რამ ჩაკვდა, ჰედვიგ.

**ჰედვიგი.** ჩემთვის სულერთია. ნეტა მამა დაბრუნდეს და...

**გრეგერსი.** აჰ, რა იქნება, თვალი აგეხილათ და დაგენახათ ის, რაც ცხოვრებას თავის ნამდვილ ფასს ანიჭებს! თქვენ რომ ქეშმარიტად ჭანსალი, უდრეკი და ყოველგვარი მსხვერპლის გაღებად მზადყოფი სული გქონდეთ, დაინახავდით, რარიგ გარდაქმნილი დაგიბრუნდებოდათ. მაგრამ მე ჭერ კიდევ არ დამიკარგავს თქვენდამი რწმენა, ჰედვიგ. (მიღის).

ქედვიგი ოთახში დაბორილობს, შემდეგ კი სამზარეულოსკენ მიემართება. ამ დროს სხვენის კარზე კაკუნი გაისმის. ქედვიგი მიდის და ცოტათი გამოსწევს კარს, საიდანაც გამოდის მოხუცი ეკალი. ქედვიგი კვლავ ხურავს კარს.

ეკალი. ჰმ... დიდი ვერაფერი სიამოვნებაა დილაადრიან მარტოდ-მარტო სხვენის შემოვლა.

ქედვიგი. დღეს არ გინადირია, პაპა?

ეკალი. აზნაირ ამინდში ნადირობა სად გაგონილა? ბნელა, ორ ნაბიჯზე ვერაფერს გაარჩევს კაცი.

ქედვიგი. მარტო ბოცვრებს რომ მისდგომიხარ, არ გინდა სხვა რამეზეც ინადირო?

ეკალი. ვითომ ბოცვრებს რას უწუნებ? ა?

ქედვიგი. არა, ისე... ვთქვათ, გარეულ იხვზე?..

ეკალი. ჰო-ჰო! ეშინია, ჩემი გარეული იხვი არ შემოაკედესო. არასოდეს, გესმის? არასოდეს.

ქედვიგი. თუმცა შენ ვერც შესძლებდი ამას, ამბობენ, ძალიან ძნელი მოსაკლავიაო.

ეკალი. ვინ? მე ვერ შეეძლებდი?

ქედვიგი. კი მაგრამ, მაინც როგორ ესროდი, პაპა? არა, ჩემს გარეულ იხვს კი არა, სხვებს?

ეკალი. შიგ გულში უნდა დაუმიზნო, გესმის? თანაც, ფრთის მიმართულებით კი არა, მის საპირისპიროდ, გასაგებია?

ქედვიგი. და იქვე გაათავებ, პაპა?

ეკალი. იქვე, თუ სროლა შეგიძლია. ჰმ... ახლა კი დროა, ტანსაცმელი გამოვიცვალო. ჰმ... გესმის?.. ჰმ... (თავის ოთახში შედის).

ქედვიგი ერთხანს უძრავად დგას, ცალი თვალი სასტუმრო ოთახის კარზე უჭირავს, მერე თარობთან მიდის, ფეხის წვერებზე აიწევა, ზემო თაროდან რევოლვერს ჩამოიღებს და ათვალეირებს. სასტუმრო ოთახიდან გამოდის გინა; ხელში ცოცხი და ჩვარი უჭირავს. ქედვიგი სწრაფად და შეუშინებლად დებს რევოლვერს ერთ-ერთ თაროზე.

გინა. მამაშენის ნივთებში ნუ იქექები, ქედვიგ.

ქედვიგი (თაროებს სცილდება). მინდოდა მიმელაგებინა.

გინა. ისა სჯობია, სამზარეულოში გახვიდე და თვალყური ადევნო, რომ ყავა არ გაცივდეს. დაბლა რომ ჩავალ, თან ჩავიტან სინით.

ქედვიგი სამზარეულოში გადის. გინა იატაკს გვის და ოთახს ალაგებს. ცოტა ხნის შემდეგ შემოსასვლელი კარი იღება და შემოდის იალმარ ეკალი. მხრებზე პალტო მოუსხამს, უქუდოდაა; პირდაუბანელსა და დაუეარცხნელს ნამძინარევი თვალები ამღვრეული აქვს.

გინა (ცოცხით ხელში, გახევებული მისჩერებია ქვარს). აა... მოხვედი, იალმარ?

იალმარი (შემოდის და ყრუ ხმით პასუხობს). მოვედი, რომ სამუდამოდ გაექრე.

გინა. ჰო-ო, გასაგებია. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რას ჰკავებარ?

იალმარი. მაინც რას?

გინა. ეგ შენი ერთადერთი საზამთრო პალტო რა დღეშია?

ჰედვიგი (სამზარეულოდან გამოიჩედავს). დედა, ხომ არ... (თვალს მოჰკრავს იალმარს, სიხარულით შეჰკივლებს და მისკენ გაექანება). მამა! მამა!

იალმარი (შებრუნდება და ხელებს ასავსავებს). მომშორდი, არ დამენახო! (გინას). თავიდან მომამშორე-მეთქი, შენ გეუბნები!

გინა (ხმადაბლა, ჰედვიგს). სასტუმრო ოთახში გადი, ჰედვიგ.

ჰედვიგი ჩუმად გადის.

იალმარი (მაგიდის უკრას გამოსწევს და ნერვიულად ფუსფუსებს). წიგნები უნდა წავილო. სად არის ჩემი წიგნები?

გინა. რომელი?

იალმარი. რომელი და, სამეცნიერო შრომები, რალა თქმა უნდა... ტექნიკური ჟურნალები, რომლებიც ჩემი გამოგონებისთვის მკირდება.

გინა (თაროებს ქეჩავს). აი, ესენი, უყდო რაა?

იალმარი. დიახ, დიახ.

გინა (ჟურნალების გროვას მაგიდაზე დებს). ჰედვიგს ხომ არ ვუთხრა, ფურცლები გაგიკრას?

იალმარი. რაში მკირდება გაკრა?

ხანმოკლე პაუზა.

გინა. მაშ, შენსას არ იშლი, მიდიხარ, იალმარ?

იალმარი (წიგნებს არჩევს). მე მგონია, ეს თავისთავად იგულისხმება...

გინა. დიახ, დიახ.

იალმარი (წამოენთება). აბა, აქ ხომ ვერ დავერჩები, სადაც ყოველ წამს დანას მიყრიან გულში?

გინა. ღმერთი იყოს შენი მსაჯული, ამდენ ცუდს რომ ფიქრობ ჩემზე.

იალმარი. დამიმტკიცე!

გინა. ჭერ შენ დამიმტკიცე.

იალმარი. ქალი, რომელსაც შენნაირი წარსული აქვს... არა, არსებობს გარკვეული მოთხოვნები... მე მათ იდეალურ მოთხოვნებს ვუწოდებ.

გინა. კი მაგრამ, პაპა? რა ეშველება საცოდავს?



- იალმარი.** ჩემი საქმისა მე ვიცი. ბერიკაცი, რა თქმა უნდა, ჩემთან გადმოვა. მანამდე კი ქალაქში გავალ, გავიკითხ-გამოვიკითხავე... ჰმ... (იბუხება). ჩემი ქული ხომ არ გინახავთ?
- გინა.** არა. დაკარგე?
- იალმარი.** წუხელის რომ დაებრუნდი, თავზე მეხურა... არა, ნამდვილად მეხურა. დღეს კი არ ვიცი, სად გაქრა.
- გინა.** ღმერთო ჩემო, ვინ იცის, სად გათრიეს ამ ლოთებმა.
- იალმარი.** არ დამიწყო ახლა გამოძიება! შენ გგონია, იმის გუნებაზე ვარ, რომ ყველა წვრილმანი მახსოვდეს?
- გინა.** მხოლოდ არ გაცივდე, იალმარ. (სამზარეულოში გადის).
- იალმარი** (ხმადაბლა ელაპარაკება თავის თავს და გაბოროტებული ცლის მაგილის უქრას). უ, ეს არამზადა რელინგი! გაიძვერა, თვალთმაქცი! ბილწი მაცთური!.. ერთი ვინმე მაპოვნინა, რომ ჩაუსაფრდეს და კეფა გაუხვრიტოს ტყვიით! (რამდენიმე ძველ წერილს განზე გადადებს, წინა ღლით შუაზე გახეულ ბარათს პოულობს, ერთმანეთს მიადებს ორივე ნახევარს და ზედ დასკეპრის. შემოდის გინა. იალმარი სწრაფად მიადებს გვერდზე ნახევებს).
- გინა** (მაგიდაზე დებს სინს ყავის კურკლით). აი, გნებავს, ცხელი ყავა... ბუტერბროდები და მცირეოდენი მწნილი...
- იალმარი** (ალმაყრად გადახედავს სინს). მკავე?.. არა, ამ სახლში ხემსსაც აღარ გავიკარებ! მართალია, მთელი დღე-ღამე ლუკმა არ ჩამსვლია პირში, მაგრამ ეგ არაფერი... ჩემი შენიშვნები! ვინ იცის, რამდენი ხნის წინათ დაწყებული მოგონებები! სად ჯანდაბაში გაქრა ჩემი დღიური და ამდენი საკირო ქალაღი? (სასტუმრო ოთახის კარს აღებს, მაგრამ მაშინვე უკან იხევს). აქ კიდევე-ეს!
- გინა.** ო, ღმერთო ჩემო, სადაც ხომ უნდა იყოს ბავშვი?
- იალმარი.** გამოდი! (გზას უთმობს; ჰედვიგი გაუბედავად გამოდის სახელოსნოში, იალმარს კი კარის სახელური უპირავს და გინას მიმართავს). ნუთუ შეიძლება, რომ იმ ორიოდე წუთის მაინც დამიხსნათ უცხო პირებისაგან, რომლებსაც უკანასკნელად ვატარებ ჩემს ყოფილ სახლში? (სასტუმრო ოთახში შედის).
- ჰედვიგი** (დელას მივარდება და ჩუმად, ხმის კანკალით ეკითხება). ეს მე ვარ მისთვის უცხო?
- გინა.** ცოტა ხანს სამზარეულოში იყავი, ჰედვიგ. ანდა არა, ისევ შენს ოთახში გადი. (სასტუმრო ოთახის კარს გამოაღებს და ამბობს). მოიცა, იალმარ, კარადაში ნუ იქეჩები, მე ვიცი, სადაც აწყვიდა ყველაფერი. (ოთახში შედის).
- ჰედვიგი** (თავზარდაცემული, გაოგნებული ერთხანს უძრავად დგას და რომ

არ იტიროს, გამწარებით იკენეტს ტუჩებს, შემდეგ გაშმაგებული იმტერებს ხელებს და ჩუმად ამბობს). გარეული იხვი! (ფეხაკრეფით უახლოვდება თაროს, რევოლვერს იღებს, ოდნავ გამოსწევს კარის ერთ ნახევარს, სხვენში შედის და კარს ხურავს).

სასტუმრო ოთახიდან ცოლ-ქმრის ჩხუბის ხმა ისმის.

**იალმარი** (გამოდის; ხელში რამდენიმე ძველი რეველი და ქალაღის ფურცლები უჭირავს, რომლებსაც შემდეგ მაგიდაზე დებს). რა ჩაევა ამ საკვირიაში? იმდენი რამეა წასაღები...

**გინა** (ხელში საკვირიაე უჭირავს; ფეხდაფეხ მოჰყვება უკან). დანარჩენი ჭერჭერობით აქ იყოს, იალმარი. შარველ-ხალათი ხომ ჩაგეტევა?

**იალმარი**. უკ, ეს სამზადისი... პირდაპირ სულს ამოგზდის კაცს. (პალტოს იხდის და დივანზე მოაგდებს).

**გინა**. ყავა გაცივდება.

**იალმარი**. კმ... (ერთ ყლუას მოსვამს, შემდეგ მერავს).

**გინა** (სკამების ზურგსა წმენდს). ყველაზე უფრო მეტად ამხელა სხვენის მოძებნა გაგვიკირდება ბოცვრებისათვის.

**იალმარი**. რა?.. ისლა მაკლია, რომ ბოცვრებიც თან ვათრიო!

**გინა**. მაშ, რას იზამ? პაპა უიმათოდ რომ ვერა სძლებს.

**იალმარი**. უნდა გასძლოს. მეტი რა გზა აქვს. შენ ისა თქვი, თვითონ რას უნდა გაეუძლო!

**გინა** (თაროებზე მტვერს წმენდს). ფლეიტაც ჩაგიდო?

**იალმარი**. არა, რა მეფლეიტება? აი, რევოლვერი კი ჩადე.

**გინა**. თან წაიღებ?

**იალმარი**. დიახ, ჩემს დატენილ რევოლვერს.

**გინა** (ეძებს). სად არის? ალბათ, პაპამ წაიღო.

**იალმარი**. თვითონ სადღაა? სხვენში?

**გინა**. ალბათ.

**იალმარი**. კმ... საწყალი ბერიკაცი! (ბუტერბროდს იღებს, ჰამს და ყავას აყოლებს).

**გინა**. ის ოთახი რომ არ გაგვეჭირავებინა, ხომ შეგეძლო იქ გადასულიყავი?

**იალმარი**. როგორ? ერთ კერქვეშ დაერჩეთ?.. ღმერთმა მაშოროს!..

**გინა**. ან იქნებ, ერთი-ორი დღით სასტუმრო ოთახში გასულიყავი, ნუ გეშინია, არაეინ შეგაწუხებს.

**იალმარი**. აქ?.. ამ კედლებს შუა?..

**გინა**. მაშინ ქვევით, რელინგსა და მოლვიკთან.

იალმარი. მათ სახელს ნუ მიხსენებ! საკმარისია გავიხსენო, რომ ლუკმა აღარ გადამდის ყელში. არა, როგორც ჩანს, მომიწევს ამ თოვლსა და ქარბუქში კარდაკარ ვიწანწალო და ვეძიო, თუ სად შეიძლება მივიდრიკოთ მე და საბრალო ბერიკაცმა თავი.

გინა. კი მაგრამ, ასე უქულოდ სად წახვალ, იალმარ? ქუდი ხომ დაკარგე.

იალმარი. ო, ეს ორი არამზადა, ერთმანეთზე უფრო გახრწნილი და გადაგვარებული თაღლითი! უქულოდ, რა თქმა უნდა, ფეხს ვერ გავადგამ. (გეორგ ბუტერბროდს დასწვდება). ახლავე უნდა ვილონო რამე. მართლა თავი კი არ მომძულებია. (რალაცს ეძებს სინზე).

გინა. რას ეძებ?

იალმარი. კარაქს.

გინა. ახლავე მოგიტან. (სამზარეულოში გადის).

იალმარი (მისძახის). არ მინდა! ხმელა პურითაც იოლას გავალ.

გინა (საკარაქე გამოაქვს). აი, სულ ახალია. (გეორგ ჰიჩა ყავასაც უსხამს). იალმარი დივანზე ჯდება, ბუტერბროდს უფრო სქლად უსვამს კარაქს, ჰამს, ყავას აყოლებს და ერთხანს ჩუმად ზის.

იალმარი. შეიძლება ერთი-ორი დღე ვიცხოვრო სასტუმრო ოთახში... ისე, რომ მყუდროება არაეინ დამირღვიოს?

გინა. რა თქმა უნდა, თუკი ინებებ.

იალმარი. იმიტომ, რომ ასე სახელდახელოდ რა მოუყრის თავს მამაჩემის ნიეთებს?

გინა. ის კი არა და, ჭერჭერობით ნურც იმას ეტყვი, რომ სახლიდან წასვლას აპირებ.

იალმარი (ფიჩანს განზე გასწევს). ჰო, ალბათ, ასე აჯობებს. თორემ ხელახლა ატყდება მთელი ეს დავიდარება. ჭერჭერობით, სული უნდა მოვიტყვა, გონება მოვიკრიბო... ამ ერთ დღეში ყველაფერს ხომ ვერ მოვაბამ თავს?

გინა. თანაც, ამნაირ ამინდში. ხედავ, როგორ თოვს?

იალმარი (კომერსანტ ვერლეს წერილს დასწვდება). ეს კიდეც აქ დევს?

გინა. ხელი არ მიხლია.

იალმარი. ეს ქალაღი, რა თქმა უნდა, მე არ მეხება.

გინა. არც მე ვაპირებ მის გამოყენებას.

იალმარი. მაგრამ არც ის ივარგებს, რომ ამ გაწამაწიაში... როცა გადასვლას დავიწყებ, სადღაც დაიკარგოს.

გინა. არა, მე შევინახავ, იალმარ.

- იალმარი.** ეს საჩუქარი, უწინარეს ყოვლისა, მამაჩემს ეკუთვნის და მანვე უნდა გადაწყვიტოს. მიიღებს თუ არა.
- გინა** (ოხრავს). დიახ, საბრალო ბერიკაცი...
- იალმარი.** ისე... ყოველი შემთხვევისათვის... სადაა წებო?
- გინა** (თაროსთან მიღის). აი, მთელი ქილა.
- იალმარი.** ფუნჯი?
- გინა.** ფუნჯიც აქაა. (ერთსაც და მეორესაც იალმარს აწვდის).
- იალმარი** (მაკრატელს იღებს). ქალაღით დავაწებოთ... (კრის და აწებებს). ღმერთმა დამითაროს სხვისი საკუთრების ხელყოფისაგან... მით უმეტეს, თუ ეს საკუთრება უმწეო ბერიკაცისა და... კიდევ ერთი ვილაციისაა. აი, ასე. ჭერჭერობით აქ იღოს. შემდეგ კი, როცა გაშრება, შეინახე. თვალთ ალარ დავინახო. აღარასოდეს!
- გრეგერსი** (შემოდის; ცოტა არ იყოს, განცვიფრებით). ამას ვის ვხედავ?.. მაშ, შენ აქა ხარ, იალმარ?..
- იალმარი** (წამოხტება). განძრევის თავი აღარ მქონდა და პატარა ჩავიმუხლე.
- გრეგერსი.** ვატყობ, კიდევაც გისაუზმია.
- იალმარი.** რას იზამ, ხანდახან სხელიც გვიყენებს თავის მოთხოვნებს.
- გრეგერსი.** მაინც რა გადაწყვიტე?
- იალმარი.** ჩემნაირ კაცს მხოლოდ ერთი გადაწყვეტილების მიღება შეუძლია. ეს წუთია ყველაზე საკირო და აუცილებელ ნივთებს ვაგროვებდი. მაგრამ ამას დრო სჭირდება, გესმის?
- გინა** (ეტყობა, მოთმინების ფილა ევსება). ბოლოს და ბოლოს, რა ვქნა. სასტუმრო ოთახი გაგიმზადო თუ საკვოიაფი ჩავალაგო?
- იალმარი** (გაბრაზებით გადახედავს გრეგერსს). ჩაალაგე... და გაამზადე.
- გინა** (საკვოიაფს იღებს). კეთილი. ტანსაცმელს ჩავილაგებ. (სასტუმრო ოთახში გადის და კარს ხურავს).
- გრეგერსი** (ხანმოკლე ღუმლის შემდეგ). არ მეგონა, რომ ამით დამთავრდებოდა საქმე. ნუთუ მართლა აუცილებელია, რომ სახლიდან წახვიდე?
- იალმარი** (მოუსვენრად წრიალებს ოთახში). მაშ, რას მიბრძანებ, რა ვქნა?.. მე ის კაცი არა ვარ, რომ უბედურებას გავუძლო, გრეგერს. ჩემთვის აუცილებელია დალაგებული ცხოვრება. მყუდრო და მშვიდი ატმოსფერო.

**გრეგერსი.** მერედა, რა გიშლის ხელს? შენი ბედის მკედელი შენ თვითონა ხარ. მე მგონია, სწორედ ახლა შეგიძლია, ყველაფერი თავიდან დაიწყო. ნურც იმას დაივიწყებ, რომ შენ გაქვს სიცოცხლის მიზანი — ეგ შენი გამოგონება.

**იალმარი.** თუ კაცი ხარ, გამოგონება აღარ მიხსენო. ღმერთმა იცის, როდის იქნება.

**გრეგერსი.** როგორ?

**იალმარი.** ო, ღმერთო ჩემო, მაინც რა გამოგონებას მოითხოვ ჩემგან? თითქმის ყველაფერი უკვე ჩემამდე გამოიგონეს... დღითი-დღე სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება რაიმე ახლის მიკვლევა...

**გრეგერსი.** კი მაგრამ, აკი ამდენი შრომა დახარჯე.

**იალმარი.** ო, სულ ამ დამთხვეული რელინგის ბრალია... ის მაქეზებდა!

**გრეგერსი.** რელინგი?

**იალმარი.** დიახ, პირველად სწორედ მან ჩამაგონა, რომ მე შემეძლო ახალი აღმოჩენით გამემდიდრებინა ფოტოხელოვნება.

**გრეგერსი.** აჰა!.. მაშ, რელინგმა, არა?

**იალმარი.** და მე ისეთი ბედნიერი ვიყავი, ისე მიხაროდა... არა იმდენად საკუთრივ გამოგონება, რამდენადაც ის, რომ ჰედვიგს ასე სჯეროდა ჩემი... სჯეროდა მთელი თავის არსებით, ბავშვური მიაბიტობითა და გულწრფელობით... ან, უფრო სწორად, მე ბრიყვს მეგონა, რომ მართლა სჯეროდა.

**გრეგერსი.** ნუთუ შენ შეგიძლია იმის დაშვება, რომ ჰედვიგი გეპირფერებოდა?

**იალმარი.** მე ახლა ყველაფრის დაშვება შემეძლია. სწორედ ჰედვიგია, რომ მილობავს გზას. სწორედ ის მიბნელებს სიცოცხლის მზეს.

**გრეგერსი.** რას ამბობ, რას? ჰედვიგი რას უნდა გიშლიდეს?

**იალმარი** (თავისას განაგრძობს). მე გაგიყვებით მიყვარდა იგი. შენ ვერ წარმოიდგენ, რა ბედნიერი ვიყავი, როცა დაღლილ-დაქანცული ვბრუნდებოდი შინ, ამ ჩემს ღარიბულ კუთხეში, ის კი გახარებული გამორბოდა ჩემს შესახვედრად და თან საყვარლად ქუტავდა თვალებს. ო, რა ბრიყვი ვიყავი, ნამდვილი ბრიყვი! აკი გითხარი, გაგიყვებით მიყვარდა-მეთქი... და თავს ვიტყუებდი იმით, თითქოს მასაც ასევე ვუყვარდი.

**გრეგერსი.** მოითმინე და, ალბათ, თვალნათლივ დარწმუნდები, რომ... (რალაცას აუბრუნებს). რა არის ეს? იხვმა ხომ არ დაიყიყინა?

**იალმარი.** ალბათ. მამაჩემი იქაა. (სხვენზე ანიშნებს).

**გრეგერსი.** აა, იქაა? (სახე გაუბრწყინდება). კვლავ გიმეორებ, მალე თვალნათლივ დარწმუნდები იმაში, რომ შენგან უარყოფილ საბრალლო გოგონას თავდავიწყებით უყვარხარ.

**იალმარი.** რამ უნდა დამარწმუნოს? უკვე შენიც აღარაფერი მჭერა.

**გრეგერსი.** კი მაგრამ, ის მაინც ხომ ექვს გარეშეა, რომ ჰედვიგისათვის უცხოა ყოველგვარი სიცრუე?

**იალმარი.** ეჰ, გრეგერს, სწორედ ეს მაეჭვებს ყველაზე მეტად. ვინ იცის, რაზე ჩურჩულებდნენ აქ გინა და ეს ფრუ სერბიუ? ჰედვიგს კი ყურები ყოველთვის დაცქვეტილი აქვს. ალბათ, ეს ნაჩუქრობის ბარათიც არ ყოფილა სრულიად მოულოდნელი. რალაც ამდაგვარს კაი ხანია ვგრძნობდი.

**გრეგერსი.** ბოროტი სული ჩაგისახლდა თუ რა არის?

**იალმარი.** თვალი ამეხილა. კისერს მოვიკრი, თუ ეს ბარათი მხოლოდ დასაწყისი არ იყოს. ფრუ სერბიუ ყოველთვის გადაქარბებულ მზრუნველობას იჩენდა ჰედვიგის მიმართ, ახლა კი შეუძლია, რაც ბავშვს მოუნდება, ყველაფერი შეუსრულოს. თუ მიეპრიანათ, შეიძლება წამართვან კიდევ.

**გრეგერსი.** ეგ არ მოხდება. ჰედვიგი შენ სხვაზე გაგცვლის?..

**იალმარი.** ისე დაბეჯითებით ლაპარაკობ, თითქოს... მაგრამ თუ ისინი ათას რამეს შეჰპირდნენ?.. მე სულელს კი გაგიყვებით მიყვარდა იგი. ყველაზე დიდ ბედნიერებად ის მიმაჩნდა, რომ ხელიხელჩაკიდებული მეტარებინა ცხოვრების გზაზე, როგორც სიბნელის მოშიში ბავშვი მიჰყავთ ვეებერთელა, ჩაბნელებულ დარბაზში!.. ახლა კი, ჩემდა სავალალოდ, ვრწმუნდები, რომ ამ სხვენში შეყუთულ საბრალლო ფოტოგრაფს განუყოფლად როდი ეკუთვნოდა მისი ბავშვური სიყვარული. არა, ის მხოლოდ შემოიპარა ჩემს სულში და ცდილობდა დროებით მაინც შეეფარებინა თავი... დიას, დროებით.

**გრეგერსი.** მაგ შენი სიტყვებისა შენ თვითონ თუ გჭერა, იალმარ?

**იალმარი.** მთელი უბედურებაც ის არის, რომ მე უკვე აღარ ვიცი, ვისი ან რისი უნდა მჭეროდეს... და, ალბათ, არც არასდროს მეცოდინება. შენ მაინც რა საფუძველი გაქვს, რომ ჩემს სიტყვებში ექვი შეიტანო? ჰო-ჰო! მეტისმეტ იმედებს ხომ არ ამყარებ მაგ შენს იდეალურ მოთხოვნებზე, გრეგერს? მაგრამ თუ ისინი ათასნაირი საჩუქრებით დატვირთულნი მოვლენ და ეტყვიან: რა გინდა მაგ საცოდავთან, ჩვენთან წამოდი, ნამდვილი ცხოვრება იქ გელისო?..

გრეგერსი. მერედა, როგორ გგონია, რა მოხდება?

იალმარი. მაგრამ, პირიქით, მე რომ მეკითხა მისთვის: ჰედვიგ, თანახმა ხარ თუ არა, ჩემი გულისთვის ზურგი აქციო მათ მიერ შემოთავაზებულ ცხოვრებას-მეთქი? (ირონიული სიცილით). „უმორჩილესად გამდლობთ“, — აი, რას მიპასუხებდა იგი.

სხვენში სროლა გაისმის.

გრეგერსი (სიხარულით შეჰყვირებს) იალმარი!

იალმარი. ბერიკაცი თავისას არ იშლის!

გინა (გამოდის). ოჰ, იალმარი. როგორც ჩანს, პაპა კვლავ ბოცვრებს უბათქუნებს.

იალმარი. გავალ ერთი, ვნახავ...

გრეგერსი (გახარებული, აღლევებით). მოიცა! იცი, რა იყო ეს?

იალმარი. რა დიდი ცოდნა ამას უნდა?

გრეგერსი. არა, შენ არა და. მე კი ვიცი. ეს იყო საბუთი.

იალმარი. რა საბუთი?

გრეგერსი. ბავშვური მსხვერპლი. ჰედვიგმა დაიყოლია მამაშენი, რომ გარეული იხვი მოეკლა!

გინა. რას ამბობთ?..

იალმარი. კი მაგრამ, რისთვის?

გრეგერსი. მას უნდოდა მსხვერპლად შეეწირა შენთვის ის, რაც ამქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდა, რათა ამ გზით დაებრუნებინა შენი სიყვარული.

იალმარი (გულაჩუყებით). ოჰ, ჩემო გოგო...

გინა. რას არ მოიგონებს!

გრეგერსი. დიახ, ჰედვიგს მხოლოდ ერთი საფიქრალილა ჰქონდა: როგორ დაებრუნებინა შენი სიყვარული, იალმარი. მას ეგონა, რომ უამისოდ ვერ იცოცხლებდა.

გინა (ძლივს იკაევებს ცრემლებს). ახლა ხომ ხედავ, იალმარი?

იალმარი. გინა, სად არის ბავშვი?

გინა (სლუკუნებს). საბრალო... ალბათ სამზარეულოშია, კუთხეში მიკუნქული.

იალმარი (მიღის და სამზარეულოს კარს აღებს). ჰედვიგ! გამოდი! გესმის, ჩემო გოგო? (სამზარეულოში იხედება). აქ რომ არ არის?

გინა. მაშინ, ალბათ, თავის ოთახში იქნება.

იალმარი (მეორე ოთახიდან). არც აქ არ არის. (სახელოსნოში გამოდის). სად წაეიდა?

გინა. რა ვიცი, არსად დააყენე და...

იალმარი. ოჰ, ნეტავი ჩქარა დაბრუნდეს... იმდენი რამე უნდა ვუთხრა!.. ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნება, გრეგერს. ახლა კი მჯერა, რომ მართლაც შეიძლება ახალი ცხოვრება დავიწყოთ.

გრეგერსი (ჩუმად). ასეც ვიცი. აღორძინება ბავშვს უნდა დაეწყო.

თავისი ოთახიდან გამოდის სრულ საპარალო ფორმაში გამოწყობილი მოხუცი ეკალი; ცდილობს წელზე ხმალი შეირტყას.

იალმარი (გაოგნებული). შენ აქა ხარ, მამა?

გინა. ესე იგი, ოთახში ისროდით?

ეკალი (გაბრაზებული). რაო, ახლა მარტო ნადირობ, იალმარ?

იალმარი (დაძაბული, საშინლად აღელვებული). მაშ, შენ არ გისვრია სხვენში?

ეკალი. მე?.. ჰმ!..

გრეგერსი (იალმარს უყვირის). მაშასადამე, მან თვითონვე ესროლა გარეულ იხვს?

იალმარი. არ გადამრიოთ! (კარს მივარდება, გამოსწევს, სხვენში შეიხედავს და ყვირის). ჰედვიგ!

გინა (თვითონაც კარს მივარდება). ღმერთო ჩემო, რა არის ეს?

იალმარი (სხვენში შედის). ძირს აგდია!

გრეგერსი. ვინ? ჰედვიგი? (იალმარისკენ გაბზის).

გინა (იმპედროულად). ჰედვიგ! (სხვენში შევარდება). არა, არა, არა!

ეკალი. ჰო-ჰო! ახლა იმანაც დაიწყო ნადირობა?

იალმარს, გინას და გრეგერსს ფრთხილად გამოაქვთ ჰედვიგი, რომელსაც უსიციოცხლოდ ჩამოგდებულ მარჯვენა ხელში რევოლვერი ჩაუბლუჭავს.

იალმარი (თავზარდაცემული). რევოლვერი გავარდნია... თვითონვე დაჭრილა. გვიშველეთ, გვიშველეთ!

გინა (შემოსასვლელ კარს მივარდება და ქვევით ჩასძახის). რელინგ! რელინგ! ექიმო რელინგ! ჩვენთან ამოდით! ჩქარა! რაც შეიძლება ჩქარა!

იალმარი და გრეგერსი დივანზე აწვენენ ჰედვიგს.

ეკალი (ჩუმად). ტყე შურს იძიებს.

იალმარი (მუხლებზე ემხოზა ჰედვიგის წინაშე). ახლავე გონს მოვა! დიახ, ახლავე!..

გინა (ბრუნდება). სად მოხვედრია? ვერაფერს ვერ ვხედავ.

შემორბის რელინგი, უკან მოღვიკი მოსდევს. ამ უკანასკნელს ფრაკი აცვია, მაგრამ უვილეროდ და უქალსტუზოდ.



რელინგი. რა ამბავია?

გინა. ამბობენ, ჰედვიგმა...

იალმარი. ჩქარა! გვიშველე!

რელინგი. მიმიშვით! (მაგიდას განზე გასწევს და ჰედვიგს სინჯავს).

იალმარი (მუხლებზე დაჩოქილი შიშით ადევნებს თვალს). საშიში ხომ არაფერია? მითხარი, რელინგ! არც კი ჩანს... საშიში ხომ არ არის, რელინგ?

რელინგი. რა მოხდა?

იალმარი. არაფერი არ ვიცი!..

გინა. გარეული იხვის მოკვლა უნდოდა.

რელინგი. გარეული იხვის?

იალმარი. ჰოდა, როგორც ჩანს, რევოლვერი გაუვარდა.

რელინგი. ჰმ... ასე.

ეკდალი. ტყე შურს იძიებს. მაგრამ მე მაინც არ მეშინია (სხვენში გადის და კარს ხურავს).

იალმარი. რას გაჩუმებულხარ?... ხმა ამოიღე, რელინგ!

რელინგი. ტყვიას შიგ გულში გაუელია.

იალმარი. კი მაგრამ?..

რელინგი. ხომ ხედავ, — მკვდარია.

გინა (კივილით). შეილო!.. შეილო!..

გრეგერსი (ხმახალჩილი). ზღვის უფსკრულში...

იალმარი. არა! არა! უნდა იცოცხლოს! რელინგ... ღვთის გულისათვის... ერთი წუთით... თუნდ ერთი წამით... რომ მოვასწრო და ვუთხრა, რა გაგიყვებით მიყვარდა ყოველთვის.

რელინგი. შიგ გულში შინაგანი სისხლის ჩაქცევა. იქვე გათავებულა.

იალმარი. მე კი ხელის კვრით ვიცილებდი თავიდან, როგორც გარეულ მხეცს! მიტომაც მიიყუყა სხვენში და თავი მოიკლა... ჩემი სიყვარულით! (ქვითინებს). არაფერი, არაფერი აღარ ეშველება! ვერც ვერასოდეს ვეტყვი! (ხლებს იბტვრევს და ცას შეპბლავს). ეი, შენ!.. თუკი არსებობ!.. რატომ დაუშვი ეს?

გინა. კარგი, კარგი, ღმერთს მაინც ნულარა ჰგმობ. ალბათ, არ ვიყავით ღირსნი, რომ გვერდით გვეოლოდა.

მოლვიკი. არა, არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს.

რელინგი. ჩუმად!

იალმარი (ჩუმდება, გულხელს დაიკრავს და ჰედვიგს დასცქერის). რა მშვიდად და უშფოთველად წევს!..

რელინგი (ამოდ ცდილობს რევოლუერი გამოქვიჯოს ხელიდან). არა, მინც რა მაგრა...

გინა. გაუშვიტ, რელინგი, თითები არ გადაუმტერიოტ. კქონდეს.

ილმარი. საფლავეშიაც თან ჩაიტანოს!

გინა. დიახ. მაგრამ აქ ხომ არ იწვება? თავის ოთახში უნდა გადავიტანოტ. ხელი მოქიდე, ილმარი.

ილმარი და გინა ხელში იყვანენ ქედეგს.

ილმარი. ო. გინა! გინა! რა გული გიძლებს?

გინა. ერთმანეთს დაეხმაროტ. ახლა რალა გეაქვს გასაყოფი?

მოლვიკი (ხლებს გაიშვერს და ბუტბუტებს). დიდება უფალს!.. მიწა იყავ და მიწასვე მიუბრუნდები!..

რელინგი (ჩურჩულიტ). მოკეტე, — მთვრალი ხარ.

ილმარსა და გინას სამზარეულოში გააქვტ ცხედარი. რელინგი კარს ხურავს; მოლვიკი გასასვლელისაკენ მიემართება.

რელინგი (გრეგერსს უახლოვდება). მე კი ვერავინ დამარწმუნებს, რომ ხელში გაუვარდა.

გრეგერსი (მთელი ამ ხნის მანძილზე თავზარდაცემული და გახვეებული იდგა; ახლა კი უყებ ტანში გააზრილებს). ვერავინ ვერ იტყვის რა მოხდა! საშინელებაა!

რელინგი. ტყვიას გულისპირტან კაბა ამოუწვეავს. როგორც ჩანს, რევოლუერი მქერდზე მიიბჯინა და ისე გამოქკრა ჩახმახს.

გრეგერსი. მაგრამ ამოდ მინც არ მომქვდარა. ხომ დაინახეტ, რა სულიერი სიდიადე გამოავლინა მამამისმა?

რელინგი. მწუხარებაში, სასიკვდილო სარეცელთან, ბვერი იქცევა ასე. მაგრამ როგორ გგონიატ, დიდხანს ეყოფა თუ არა ილმარს ეს სულიერი სიდიადე?

გრეგერსი. ნუთუ მართლა არ შერჩება და თანდათანობიტ არ გაიზრდება მთელი სიცოცხლის მანძილზე?

რელინგი. სამი ტვეც არ გაივლის, რომ საბრლო ქედეგი მისთვის მხოლოდ დეკლამაციის მომხიბლავ თემად იქცევა.

გრეგერსი. როგორ ბედავტ ილმარ ეკდალზე ასე ლაპარაკს?

რელინგი. ამაზე მაშინ ვილაპარაკოტ, როცა ქედეგის საფლავეზე პირველი ბალახი ამოყოფს თავს. აბა, მაშინ დაუკვირდიტ, რა კვევიტ დაუწყებტ ცოხნას თავის მწუხარებას და როგორ გამოგიქედავტ ყურებტ „მამის მქერდიდან უდროოდ მოგლეჯილ საბრლო ბავშვზე“ ყბედობიტ. თქვენი თვალითა ნახავტ, რა ცვილივიტ დადნება და დაიღვენთება საკუთარი თავის

მიმართ აღტაცებისა და სიბრაულისაგან გულშეძრული.  
დიახ, თქვენი თვალით.

**გრეგერსი.** თუ თქვენ მართალი ხართ, ხოლო მე ვცდები, მაშინ  
სიცოცხლე ნამდვილად არ ღირს ამქვეყნად.

**რელინგი.** ო, სიცოცხლე, ასე თუ ისე, მაინც ასატანი იქნებოდა,  
თავს რომ დაგვანებებდნენ ეს კეთილმოსურნე კრედიტორები,  
რომლებიც კარს გვიტალახიანებენ უბრალო მოკვდავთ და  
თავიანთ იდეალურ მოთხოვნებს გვჩრიან.


**გრეგერსი** (სივრცეს გაჟურებს). თუ ასეა, მაშინ მე ჩემი დანიშნუ-  
ლებით კმაყოფილი ვარ.

**რელინგი.** ნება მიბოძეთ, გკითხოთ, მაინც რა არის ეს დანიშნუ-  
ლება?

**გრეგერსი** (მიღის). მეცამეტე სტუმრისა.

**რელინგი** (ფეხდაფეხ მისდევს). დალახვროს ეშმაკმა! ერთბაშად არ  
დაგიჭერონ!





რესპერს-  
კოლგი

## დრამა ოთხ მოქმედებად

### მოქმედი პირნი

იუჰანეს როსმერი — როსმერსკოლმის მფლობელი, ყოფილი პასტორი.

რებეკა ვესტი — როსმერის სახლში ცხოვრობს.

რეკტორი კროლი — როსმერის ცოლისძმა.

ულრიკ ბრენდელი.

პეტერ მორტენსპორი.

მადამ ჰელსეტი — მწე ქალი როსმერსკოლმში.

მოქმედება მიმდინარეობს როსმერსკოლმში, ძველებურ მამულში, პატარა ქალაქის მახლობლად, რომელიც დასავლეთ ნორვეგიაში ერთ-ერთი ფიორდის პირას მდებარეობს.



## პირველი მოქმედება

ერკელი, მჭედრო, ძველებური გემოვნებით მორთული სასტუმრო ოთახი როსპერსპოლში. წინ, მარჯვენა კედელთან, ახლად მომტვერული არყის ხის ტოტებითა და მინდვრის ყვავილებით შემკული ლუმელია. ცოტა მოშორებით — კარი. შუა კედელში ორსაგდულიანი შემოსასვლელი კარია, მარცხენა კედელში დატანებულ ფანჯარასთან — საყვავილე. ლუმელთან მაგიდა, დივანი და სავარძლები დგას. კედლებზე პასტორების, ოფიცრებისა და მუნდირში გამოწყობილი მოხელეების ძველი თუ ახალი პორტრეტები ჰკიდია. ფანჯარაცა და ორივე კარიც ღიაა. შემოსასვლელიდან ტანმალაღი, ბებური ხეების ხეივანი მოჩანს, რომელიც ეზომდე უწევს. ზაფხულის საღამოა, მზის ჩასვლის შემდეგ.

ფანჯარასთან, სავარძელში ზის რებეკა და მატულის ხელმანდილს ქსოვს, რომელიც თითქმის უკვე მზადაა. დროდადრო ყვავილებს შუა იმზირება ფანჯარაში, თითქოს ხეივნის მზრიდან ვილაცას მოელისო. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის მადამ ჰელსეტი.

**მადამ ჰელსეტი.** ეახშობამაც მოაწია; ნელ-ნელა ხომ არ გავშალო სუფრა, ფრიოკენ?

**რებეკა.** დიახ, გაშალებ; პასტორი, ალბათ, მალე მოვა.

**მადამ ჰელსეტი.** არ გაცივდეთ, ფრიოკენ, საშინლად უბერავს.

**რებეკა.** დიახ, დახურეთ, თუ შეიძლება.

**მადამ ჰელსეტი** (შემოსასვლელ კარს ხურავს და ფანჯრის დასაყეტად მიემართება; ერთხანს ჩერდება და ფანჯარაში იუყრება). რა ვქნა, პასტორი ხომ არ არის?

**რებეკა** (სწრაფად). სად? (დგება). დიახ, ის არის. (ფარდას ეფარება). აქეთ გამოდით. არ დაგვინახოს.

**მადამ ჰელსეტი** (ფანჯარას სცილდება). წარმოგიდგენიათ? კვლავ წისკვილის ბილიკით დაიწყო სიარული, ფრიოკენ.

**რებეკა.** გუშინწინაც ამ გზით გამოიარა. (ფარდას და ფანჯრის წირთხლს შორის დარჩენილ კუპრუტანაში იყუტება). მაგრამ ენახოთ, რას იზამს დღეს...

**მადამ ჰელსეტი.** ნეტა თუ ეყოფა გამბედაობა, რომ ბოგირზე გადმოიაროს.

რებეკა. მეც სწორედ ეგ მაინტერესებს. (ცოტა ხნის შემდეგ). არა, გვერდი აუქცია. როგორც ჩანს, დღეს ზემოდან მოუვლის. (ფანჯარას სცილდება).

მადამ ჰელსეტი. ო, ღმერთო ჩემო. ალბათ, ძალიან უჭირს ბოგირზე გადმოვლა. თუმცა იმ უბედურების შემდეგ, რაც იქ დატრიალდა...

რებეკა (ხელსაქმეს გვერდზე გადადებს). როგორც ჩანს, აქ, როსმერსპოლში, დიდხანს ვერ ელევით თქვენს მიცვალებულებს.

მადამ ჰელსეტი. პირიქით, მე თუ მკითხავთ, მიცვალებულები ვერ ელევინ როსმერსპოლში.

რებეკა (უყურებს). მიცვალებულები?..

მადამ ჰელსეტი. დიახ, როგორც ჩანს, ვერასდიდებით ვერ სცილდებიან ცოცხლად დარჩენილთ.

რებეკა. ეგ რამ გაფიქრებინათ?

მადამ ჰელსეტი. რამ და... მაშ, რაღა მაინცდამაინც ახლა გამოჩნდა ეს თეთრი ცხენი?

რებეკა. პო მართლა, ეს თეთრი ცხენი რაღაა, მადამ ჰელსეტი?

მადამ ჰელსეტი. აბა, რა გითხრათ? თქვენ ხომ არაფერი ამდაგვარი არ გჭერათ?

რებეკა. თქვენ კი გჭერათ?

მადამ ჰელსეტი (ფანჯრის მიხურვას აპირებს). რაღა მე ამომიჩემეთ?.. (ფანჯარაში იყურება). ვაი!.. ამას რას ვხედავ? პასტორი ისევ წისქვილის ბილიკს დაადგა?

რებეკა (თავისი ადგილიდან იყურება ფანჯარაში). აგერ, ის კაცი! (ფანჯარასთან მიდის). არა, ეს ხომ რექტორია!

მადამ ჰელსეტი. მართლა ის არის.

რებეკა. მადლობა ღმერთს! ნამდვილად ჩვენთან მოდის.

მადამ ჰელსეტი. თანაც, პირდაპირ ბოგირი გადმოიარა!.. არადა, ის ჩვენი საცოდავი ხომ მისი ღვიძლი და იყო?.. მე წავალ, სუფრას გავაწყობ, ფრიოკენ. (ხელმარჯვნივ გადის).

რებეკა ერთხანს უძრავად დგას და ფანჯარაში იყურება, შემდეგ ილიმება და თავს აქნევს. ბინდდება.

რებეკა (მარჯვენა კარს უახლოვდება და მეორე ოთახში გასძახის). ძვირფასო მადამ ჰელსეტი, თუ ღმერთი გწამთ, ნურაფერს დაიშურებთ. ხომ იცით, ყველაზე მეტად რა უყვარს რექტორს?

მადამ ჰელსეტი (მეორე ოთახიდან). კეთილი, ფრიოკენ. ვეცდები.

რებეკა (შემოსასულელ კარს აღებს). როგორც იქნა!.. საღამო მშვიდობისა, ძვირფასო რექტორო!

კროლი (წინკარში; ჯოხს კუთხეში აყულებს). გმადლობთ. მყუდროებას ხომ არ დაგირღვევთ?

რებეკა. თქვენ? როგორ არა გრცხვენიათ?

კროლი (შემოდის). ყოველთვის თაეაზიანი ბრძანდებით. (აქეთ-იქით იხედება). კი მაგრამ, როსმერი სადღაა, თავის ოთახში?

რებეკა. არა, სასეირნოდ წავიდა და, ცოტა არ იყოს, შეაგვიანდა, რაც მას ნაკლებად სჩვევია. მაგრამ, ალბათ, ახლავე მოვა. (ღივანზე ანიშნებს). დაბრძანდით, დაელოდეთ...

კროლი (ქუდს მაგიდაზე დებს). დიდი მადლობა. (ღება და თვალს მიმოაულებს ოთახს). რა ლამაზად მოგირთავთ ეს ძველი ოთახი? თვალს უხარია. თანაც, ამდენი ყვავილები.

რებეკა. როსმერს ძალიან სიამოვნებს, როცა გარშემო ახლად დაკრეფილ, ქორთა ყვავილებს ხედავს.

კროლი. როგორც ჩანს, თქვენც.

რებეკა. დიახ. ისეთი მათრობელა სუნი აქვთ. უწინ კი ამ სიამოვნებისაგან თავს ვიკავებდით.

კროლი (სევდიანად აქნევს თავს). საწყალი ბეატა ვერ იტანდა ყვავილების სუნს.

რებეკა. ვერც ფერს. თავბრუ ეხვეოდა...

კროლი. მახსოვს, მახსოვს. (ჩვეულებრივ სასაუბრო კილოზე გადადის). აბა, ახლა როგორაა საქმე?

რებეკა. გმადლობთ, ნელ-ნელა: დღე დღეს მისდევს და ყველაფერი ჩვეული გზით მიედინება. თქვენ თვითონ რაღასა იქმთ? თქვენი მეუღლე ხომ კარგად ბრძანდება?

კროლი. ეჰ, ჩემო ძვირფასო ფრიოკენ ვესტ, ჩემს ამბავს ნულარ იკითხავთ. ოჯახში უსიამოვნებას რა გამოაღვეს, მით უმეტეს, ამ ჩვენს დროში?

რებეკა (ცოტა ხნის შემდეგ ღივანის გვერდით, სავარძელში ჯდება). რატომ ერთხელაც არ შემოგვიარეთ მთელი ამ არდადეგების მანძილზე?

კროლი. არა, ხალხს თავს ხომ არ მოვაბეზრებ?..

რებეკა. რომ იცოდეთ, როგორ მოგვენატრეთ!..

კროლი. ... და, თანაც, წასული ვიყავი...

რებეკა. სულ ორი კვირით, ყრილობას ესწრებოდით?

კროლი (თავს უქნევს). დიახ. რას იტყვით ამაზე? თუ წარმოიდგენდით, რომ ამ სიბერისას პოლიტიკურ აგიტატორებში ჩავეწერებოდი?

რებეკა (იღიშება). ისე, კაცმა რომ თქვას, ცოტ-ცოტას ყოველთვის აგიტატორობდით, ბატონო რექტორო.



- კროლი.** დიახ, მაგრამ მხოლოდ თავშესაქცევად. ახლა კი იძულებული ვარ, სერიოზულად მოვკიდო ხელი საქმეს... რადიკალურ გაზეთებს თუ კითხულობთ?
- რებეკა.** დიახ, ძვირფასო რექტორო, არ დაგიმაღავთ...
- კროლი.** არა, დასამალი რა არის, ძვირფასო ფრიოკენ ვესტ? მით უმეტეს, თქვენთვის...
- რებეკა.** მეც აგრე მგონია. დროს ხომ ვერ ჩამორჩები? უნდა იცოდე...
- კროლი.** ყოველ შემთხვევაში, თქვენ, ქალებს, ვერ მოგთხოვთ იმას, რომ გადაჭრით მიემხროთ რომელიმე პარტიას ამ შინააშლილობაში, ან, უფრო სწორად, სამოქალაქო ომში, რომელიც ჩვენში მძვინვარებს... მაშასადამე, თქვენთვის ცნობილია, რა გააფთრებით მესხმიან თავს ეს „ხალხოსანი“ ვაჟბატონები; რა უხამსსა და უტიფარ გამოხდომებს მიმართავენ ჩემს წინააღმდეგ.
- რებეკა.** მე მგონია, არც თქვენ რჩებით ვალში.
- კროლი.** დიახ, დიახ. ახლა მეც ვილესავ ბრკყალებს, მიფრთხილდნენ! მე ის კაცი არა ვარ, რომ მორჩილად მიუშვირო ზურგი მათ დარტყმებს... (ალარ ამთავრებს). მაგრამ მოვეშვათ ამ უსიამო თემაზე საუბარს.
- რებეკა.** კეთილი, როგორც გნებავთ, ბატონო რექტორო.
- კროლი.** ერთი ეს მითხარით, როგორ აეწყო ცხოვრება ახლა, როცა მარტონი დარჩით? საწყალი ბეატას სიკვდილის შემდეგ?..
- რებეკა.** გმადლობთ. არა უშავს რა. რა თქმა უნდა, უმისოდ სახლი თითქოს დაცარიელდა, ყველაფერმა მოიწყინა, პირქუში და სევედიანი გახდა, მაგრამ საერთოდ...
- კროლი.** აქ დარჩენას ხომ არ აპირებთ? ესე იგი, სამუდამოდ-მეთქი, მინდოდა მეთქვა.
- რებეკა.** აჰ, ძვირფასო რექტორო, ჯერჯერობით არაფერსაც არ ვაპირებ. თუმცა ისე კი შევეჩვიე როსმერსპოლმს, რომ ხანდახან შინაური მგონია თავი.
- კროლი.** შინაური ხართ, აბა, რა?
- რებეკა.** ამიტომ, სანამ ბატონი როსმერი თვლის, რომ შემიძლია ცოტათი მაინც გამოვადგე და ცხოვრება შევუმსუბუქო, მე აქ დავრჩები.
- კროლი** (აღელვებული უცქერის). იცით, რას ვაფასებ ქალში ყველაზე მეტად? — იმის უნარს, რომ სხვებს შესწიროს თავისი ახალგაზრდობა.
- რებეკა.** აჰ! მაშ, რისთვისღა უნდა ვიცოცხლო ამქვეყნად?

**კროლი.** ჯერ იყო და, დღე და ღამ თავზე დაჰკანკალებდით ამ თქვენს ენინან, უცნაურსა და დამბლადაცემულ მამინაცვალს...

**რებეკა.** არა, იცით, რა? სანამ ფინმარკენში ვცხოვრობდით, ექიმი ვესტი სულაც არ ყოფილა ასეთი აუტანელი. საცოდავს იმან მოუთავა ხელი, რომ ერთთავად გზას იყო გაკრული. ხოლო როცა აქ გადმოვსახლდით... მართალი გითხრათ, ორი თუ სამი წელი ძალიან გამიჭირდა, სანამ საშინელი წამებით არ დალია სული.

**კროლი.** კი მაგრამ, განა შემდგომი წლები უფრო მძიმე არ იყო თქვენთვის?

**რებეკა.** არა, რას ამბობთ? მე ისე გულწრფელად მიყვარდა ბეატა... და საცოდავს ისე სჭირდებოდა მუდმივი ზრუნვა და მოვლა-პატრონობა, რომ...

**კროლი.** ღმერთმა მოგაგოთ იმის სანაცვლოდ, რომ ასეთი თანაგრძნობითა და სიყვარულით იგონებთ.

**რებეკა** (უფრო ახლო მიიწევს). ძვირფასო რექტორო, ეს ისე გულითადად თქვით, რომ დარწმუნებული ვარ, თქვენი სიტყვების მიღმა უკმაყოფილების ნატამალიც არ იმალება.

**კროლი.** უკმაყოფილებისაო? ამით რისი თქმა გნებავთ?

**რებეკა.** სულაც არ გამიკვირდებოდა, თუ უსიამოვნოდ დაგრჩებოდათ ის, რომ როსმერსპოლმის დიასახლისის როლში თქვენი დის მაგივრად მე გეხილეთ.

**კროლი.** რას ამბობთ? ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!..

**რებეკა.** ესე იგი, ჩემი ექვი უსაფუძვლოა! (ხელს უწვდის). გმადლობთ, ძვირფასო რექტორო! სულით და გულით გმადლობთ.

**კროლი.** ღმერთო დიდებულო, როგორ შეიძლებოდა, რომ ამნაირი აზრი მოგსელოდათ თავში?

**რებეკა.** რა ვიცი, ცოტა არ იყოს, შეეშინდი, ისე დაგვიძვირეთ სტუმრობა.

**კროლი.** ამ შემთხვევაში, ღმერთმანი, სასტიკად სცდებით, ფრიოკენ ვესტ. ეგეც არ იყოს... კაცმა რომ თქვას, რა შეიცვალა? განა თქვენ მარტოდმარტო არ განაგებდით მთელ სახლს საწყალი ბეატას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში?

**რებეკა.** ო, მაშინ მე მხოლოდ მის მაგივრობას ვწევიდი.

**კროლი.** ეგ სულერთია... უნდა მოგახსენოთ, ფრიოკენ ვესტ, რომ მე პირადად, ჩემის მხრივ, არაფერი შექნებოდა საწინააღმდეგო, თუკი თქვენ... თუმცა ამაზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია...

**რებეკა.** მაინც რაზე?

**კროლი.** თუნდაც იმაზე, რომ თქვენ დაგეკავებინათ მისი ადგილი...  
**რებეკა.** მე ის ადგილი მიკავია, რაც თვითონ მსურს, ბატონო რეპტორო.

**კროლი.** ფაქტიურად. მაგრამ არა...

**რებეკა** (აწყვეტივნებს; სერიოზულად). გრცხვენოდეთ, ბატონო კროლ!  
ამაზე ხუმრობა გაგონილა?

**კროლი.** დიახ, ჩვენს ძვირფას იუჰანესს, რა თქმა უნდა, ყელში ამოუვიდა ცოლ-ქმრული ცხოვრება, მაგრამ მაინც...

**რებეკა.** იცით, ეს უკვე სასაცილოა.

**კროლი.** ... მაგრამ მაინც!.. ერთი ეს მითხარით, ფრიოკენ ვესტ...  
თუ შეიძლება გკითხოთ, რამდენი წლისა ხართ?

**რებეკა.** მრცხვენია სიმართლის თქმა, — ოცდაცხრისა, ბატონო რეპტორო, მალე ოცდაათს მიუვუკაჟუნებ.

**კროლი.** მდა-ა. კი მაგრამ, როსმერი რა ხნისაა? მოითმინეთ... ხუთი წლით უმცროსია ჩემზე. მაშასადამე, ზუსტად ორმოცდასამი წლისაა. ჩემის აზრით, სწორედ ერთმანეთის შესაფერისნი ბრძანდებით.

**რებეკა** (დგება). დიახ, დიახ, სწორედ... ჩაის ხომ არ მიირთმევთ?

**კროლი.** გმადლობთ. ისედაც კაი ხანს ვაპირებდი თქვენთან დარჩენას. ერთ საქმეზე უნდა მოველაპარაკო ჩვენს ძვირფას იუჰანესს. ხოლო ასეთი უცნაური აზრები რომ აღარ მოგივიდეთ თავში, ამიერიდან კვლავაც ხშირ-ხშირად შემოგივლით, ფრიოკენ ვესტ.

**რებეკა.** თუ შეიძლება. (ხელს ართმევს). გმადლობთ, გმადლობთ!  
მაინც რა კეთილი ბრძანდებით.

**კროლი.** მართლა? სახლში კი სულ სხვა აზრისანი არიან ჩემზე.  
მარჯვენა კარიდან შემოდის იუჰანეს როსმერი.

**რებეკა.** ბატონო როსმერს... ხედავთ, ვინ გვესტუმრა?

**როსმერი.** მადამ ჰელსეტმა უკვე მითხრა.

**კროლი** დგება.

(ხელს ართმევს; ჩუმად, ალერსით). გამარჯობა, ძალზე მოხარული ვარ, რომ კვლავ ჩვენსას გხედავ, ძვირფასო კროლ. (ხელეებს მხრებზე აწყობს და თვალეებში ჩახედავს). ჩემო ერთგულო მეგობარო! ასეც ვიცოდი, რომ ჩვენს შორის, ადრე თუ გვიან, ყველაფერი კვლავ ძველებურად წარიმართებოდა.

**კროლი.** ჩემო ძვირფასო, ნუთუ შენც ეჭვი შეგეპარა იმაში, თითქოს ჩვენს მეგობრობას ბზარი გაუჩნდა?

**რებეკა** (როსმერს). მადლობა, ღმერთს, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ უსაფუძვლო ეჭვი გამოდგა.

**როსმერი.** მართლა, კროლ? კი მაგრამ, მაშინ რატომაა, რომ ასე მოგვენატრე თავი?

**კროლი** (ხადაბლა, სერიოზულად). იმიტომ, რომ არ მინდოდა ჩემი აქ ყოფნით ძალაუნებურად გამეხსენებინა შენთვის ის უბედური წლები... და ის საცოდავი, წისქვილის წყალვარდნილში რომ დაიხრჩო თავი...

**როსმერი.** როგორც ჩანს, ძალზე კეთილშობილური საბაბი გქონია. შენ ყოველთვის ისეთი გულისხმიერი იყავი, მაგრამ ამის გამო ნამდვილად არ უნდა დაგვშორებოდი. მოდი, დივანზე ჩამოვსხდეთ. (სხდებიან). მე ახლა უკვე სრულიად მშვიდად ვიგონებ ბეატას. ჩვენ ყოველდღე ვლაპარაკობთ მასზე. ის თითქოს დღესაც აქაა, ჩვენს გვერდით.

**კროლი.** მართლა?

**რებეკა** (ლაპაას ანთებს). რა თქმა უნდა.

**როსმერი.** რა გიკვირს? ჩვენ ორივეს სულით და გულით გვიყვარდა იგი. რებეკა... ფრიოკენ ვესტიც და მეც არაფერს ვიშურებდით მისი გულისთვის. ამ მხრივ, ნამდვილად ვერაფერს ვუსაყვედურებთ ჩვენს თავს. ამიტომაც მგონია, რომ ჩვენი მოგონება ყოველთვის ესოდენ ნათელი და მსუბუქი სევდითაა მოსილი.

**კროლი.** აჰ, ჩემო ძვირფასებო, ჩემო კარგებო! ამიერიდან ყოველდღე თქვენთან ვიქნები.

**რებეკა** (სავარძელში წდება). იცოდეთ, სიტყვა სიტყვაა.

**როსმერი** (ცოტა არ იყოს, სიტყვას აკიანურებს). ღმერთმანი, კროლ, რას არ მივცემდი, რომ ჩვენი ურთიერთობა არასოდეს შეწყვეტილიყო. რაც ერთმანეთს ვიცნობთ, ყოველთვის ჩემს უპირველეს მეგობრად მიმაჩნდი. თვით ჩვენი სტუდენტობიდან მოყოლებული.

**კროლი.** მახსოვს. ჩემთვისაც ძალზე ძვირფასია ეს ჩვენი ურთიერთობა... მაგრამ ახლა რაღაც განსაკუთრებული გაქვს სათქმელი?..

**როსმერი.** ბევრი, ძალიან ბევრი რამაა, რაზედაც მინდოდა უკლებლიად მოგლაპარაკებოდი.

**კროლი.** დამერწმუნე, მეც ბევრი რამ მაქვს შენთან სალაპარაკო. ალბათ, მოგეხსენება, რომ აქტიურ პოლიტიკაში ჩავები.

**როსმერი.** ჰო, ვიცი. მაინც რა მოხდა?

**კროლი.** იძულებული შევიქენი. უკვე აღარ შეიძლება პასიურ მკვრეტელად დარჩე. ახლა, როცა რადიკალები ისე გააქტიურდნენ, რომ, სამწუხაროდ, თითქმის მთელი ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, სწორედ რომ დროა... ამიტომაც დავარწმუნე

ჩვენი პატარა წრე ქალაქში, რომ უფრო მკიდროდ შეგვეყრა ჩვენი რიგები. ღმერთმანი, დროა-მეთქი!

რებეკა (ოდნავ შესამჩნევი ლიბლით). ცოტა გვიან ხომ არ არის?

კროლი. რა თქმა უნდა, აჯობებდა დინებისათვის სათავეშივე მოგვეყურა პირი. მაგრამ ვის შეეძლო იმის წინასწარ განკვერტა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მის მომძლავრებას? ყოველ შემთხვევაში, მე ვერ შევეძელი. (წამოდგება და ოთახში ბოლოს ცეპას მოჰყვება). მაგრამ ახლა თვალი ამეხილა. მეამბოხებმა სულისკვეთებამ თვით სკოლაშიც კი შემოაღწია!

როსმერი. როგორ, თვით შენს სკოლაშიც?

კროლი. დიახ, ჩემსაშიც. როგორ მოგწონს? ერთ მშვენიერ დღეს, ვგებულობ, რომ უფროსკლასელ ბიჭბუჭებს, უფრო სწორად, ზოგიერთ მათგანს, საიდუმლო წრე ჩამოუყალიბებიათ და თურმე მთელი ნახევარი წელია, რაც მორტენსპორის გაზეთს იწერენ!

რებეკა. აა, „შუქურას“?

კროლი. დიახ. რას იტყვით? ძალზე სასარგებლო სულიერი საზრდოა, არა, მომავალ მოხელეთათვის? მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ პირი შეუკრავთ და ჩემს წინააღმდეგ შეთქმულება მოუწყვიათ ყველაზე წარჩინებულ მოსწავლეებს! განზე მხოლოდ ყეყეჩებილა დგანან.

რებეკა. და თქვენ ეს ასე ახლოს მიგაქვთ გულთან, ბატონო რექტორო?

კროლი. ახლოსო? ვინც მე ხელს მიშლის, ჩემი სასიცოცხლო საქმის დაუძინებელი მტერია! (ხმას დაუწევს). მაგრამ მე მზადა ვარ ვალიარო, რომ ეს როდია ყველაზე დიდი უბედურება. არა, ყველაზე უარესი ის გახლავთ, რომ... (მიმოიხედავს). იმედია, კარს უკან არავინ გვისმენს.

რებეკა. არავინ, ნუ გეშინიათ.

კროლი. მაშ, იცოდეთ, რომ შფოთმა და განხეთქილებამ ჩემს საკუთარ სახლშიაც შემოაღწია, ჩემს პატარა შინაურულ წრეშიც და ოჯახური ცხოვრების მყუდროება და სიაბტკბილობა დამირღვია.

როსმერი (დგება). რას ამბობ! შენს სახლშიც?..

რებეკა (რექტორს უახლოვდება). მაინც რა მოხდა, ძვირფასო რექტორო?

კროლი. წარმოგიდგენიათ? ჩემი საკუთარი შეილები... ერთის სიტყვით... ჩემი ლაურიცი მოსწავლეთა ამ ბანდის მეთაური გახლავთ, ჰილდას კი წითელი ჩანთა მოუქსოვია და შინ „შუქურას“ ნომრებს ინახავს!

**როსმერი.** ამას კი ველარ წარმოვიდგენდი... შენს ოჯახში... შენს საკუთარ სახლში?..

**კროლი.** განა მარტო შენ? საერთოდ, ვინ წარმოიდგენდა? ჩემს სახლში, სადაც ყოველთვის სუფევდა წესრიგი, მორჩილება, ერთსულოვნება და ერთი ნება...

**რებეკა.** თქვენი მეუღლე როგორღა შეხვდა ამ ამბავს?

**კროლი.** ყველაზე გასაშტერებელი სწორედ ეს არის! მთელი ჩვენი ცოლ-ქმრობის მანძილზე, ოჯახური ცხოვრების ყოველდღიურ წვრილმანებსა თუ სერიოზულ საკითხებშიაც ის ყოველთვის უყოყმანოდ იზიარებდა ჩემს აზრსა თუ შეხედულებას, და, აი, ახლა უცებ ირკვევა, რომ ბევრ რამეში თურმე შეილების მხარე უჭირავს. ის კი არა და, აქეთ მადანაშაულებს იმაში, რაც მოხდა. ამტკიცებს, რომ მე ვთრგუნავ და გასაქანს არ ვაძლევ ახალგაზრდობას. თითქოს ეს აუცილებელი არ იყოს... აი, რანაირი განხეთქილება შემოიპარა ჩემს ოჯახში. მაგრამ მე, რასაკვირველია, შეძლებისდაგვარად, თავს ვარიდებ ამაზე ლაპარაკს. ამ შემთხვევაში, ღუმილი უმჯობესია. (ბოლთას სცემს). ო-ჰო-ჰო-ჰო! (ზურგზე ხელებშემოწყობილი ფანჯარასთან ჩერდება და სივრცეს გასცქერის).

**რებეკა** (როსმერს უახლოვდება და რექტორის ნამალევად ეჩურჩულება) ბარემ უთხარი!

**როსმერი** (ჩურჩულითვე). არა, დღეს არა.

**რებეკა** (უწინდებურად). არა, სწორედ დღეს! (სცილდება და ლამპას ასწორებს).

**კროლი** (შემობრუნდება). მაშ, ასე, ჩემო ძვირფასო როსმერს, ახლა შენ უკვე იცი, რომ დროის სულმა თავისი შავი ფრთების ჩრდილი ჩემს ოჯახურ ცხოვრებასა და ჩემს საზოგადოებრივ ასპარეზსაც გადმოაფინა. მაგრამ მე ის კაცი არა ვარ, რომ თავგანწირვით არ შევებრძოლო დროის არ შავბნელი სულისკვეთების გამბრწნელსა და ყოველსმმუსკრელ ზემოქმედებას, და ამ ბრძოლისას არ გამოვიყენო ყოველგვარი იარაღი, რაზედაც კი ხელი მიმიწვდება. დიახ, მე მტკიცედ გადავწყვიტე, ვიბრძოლო; ვიბრძოლო სიტყვით თუ საქმით.

**როსმერი.** და იმედი გაქვს, რომ ამ გზით სასურველ მიზანს მიაღწევ?

**კროლი.** ყოველ შემთხვევაში, მინდა პირნათლად მოვიხადო მოქალაქის სამხედრო ვალდებულება, ჩემის აზრით, პატრიოტული ვალიც ამასვე მოუწოდებს თვითეულ ჩვენგანს, ვინც სიკეთისა და მართალი საქმის სადარაჯოზე დგას. მეც სწორედ ამ მიზნით გეახელი დღეს.

**როსმერი.** კი მაგრამ, რას მიბრძანებ? მე რა შემიძლია, ჩემო ძვირფასო?

**კროლი.** რა და — დაეხმარო შენს ძველ მეგობრებს; მხარში ამოგვიდგე და ხელიხელჩაკიდებულმა იარო ჩვენთან ერთად.

**რებეკა.** მაგრამ თქვენ ხომ იცით, ძვირფასო რექტორო, რომ ბატონ როსმერისათვის მიუღებელია ყოველივე ეს.

**კროლი.** მეტი გზა არ არის, თავის თავს უნდა მოერიოს. ფეხი ვერ აუწყვე ამ ჩვენს დროს, როსმერ. გამოკეტილხარ ამ შენს მამულში და ისტორიული კვლევა-ძიების მეტი აღარაფერი გახსოვს. არა, ცუდად ნუ გამოიგებ, მე დიდ პატივს ვცემ ამ გენეალოგიებს და სხვა მისთანათ, მაგრამ დღევანდელობა, სამწუხაროდ, სულ სხვა რამეს მოითხოვს ჩვენგან. შენ ვერ წარმოიდგენ, რა დღეშია მთელი ქვეყანა. თითქმის ყველაფერი თავდაყირა დგას, ძირეულად შეიცვალა ყველა ცნება, გაგება, ფასეულობა. საჭიროა თავგანწირული ბრძოლა, რათა ყველაფერი თავ-თავის ადგილას დააყენო, დასძლიო ყოველგვარი ცთომა.

**როსმერი.** გეთანხმები. მაგრამ იმას აღარ კითხულობ, შემიძლია თუ არა ეს თავგანწირული ბრძოლა?

**რებეკა.** ეგეც არ იყოს, თვით ბატონი როსმერი ახლა გაცილებით უფრო ფართო თვალთახედვით აღიქვამს ცხოვრებას.

**კროლი** (გაოგნებული). უფრო ფართო თვალთახედვით?

**რებეკა.** დიახ. ან, თუ გნებავთ, — უფრო თავისუფლად; უფრო დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად.

**კროლი.** რას ნიშნავს ეს? არა, ვერ დავიჯერებ, თითქოს ისეთი სუსტი ხარ, როსმერ, რომ მყვირალა ფრაზებმა დაგაბრმავა და ბრბოს ბელადებმა თუნდაც დროებითი გამარჯვება მოიპოვეს შენზე.

**როსმერი.** ხომ მოგეხსენება, ჩემო ძვირფასო, რომ პოლიტიკის ბევრი არა გამეგება რა. მაგრამ ამ ბოლო დროს, რატომღაც მეჩვენება, რომ ადამიანებმა, ცალკეულმა პიროვნებებმა გაცილებით უფრო დამოუკიდებელი აზროვნების უნარი შეიძინეს.

**კროლი.** და შენ ეს, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, სიკეთედ მიგაჩნია? ფრთხილად იყავი, თორემ სასტიკი იმედგაცრუება გელის, ჩემო ძვირფასო. აბა, კარგად დაუკვირდი, რანაირ აზრებს გამოსთქვამენ რადიკალები, როგორც სოფლად, ისე ქალაქშიც. ზუსტად იმავე „სიბრძნეს“, რასაც ქადაგებს „შუქურა“.

**რებეკა.** დიახ, მორტენსპორს აქ საკმაოდ დიდი გავლენა აქვს.

**კროლი.** ვის? — ესოდენ სამარცხვინო წარსულის მქონე კაცს, რომელსაც უზნეობისათვის მასწავლებლობის უფლება ჩამოერთვა?.. და ეს ვაებატონი ახლა აპირებს ხალხის ბელადის როლში მოგვევლინოს! აპირებს და მიაღწევს კიდევ მიზანს! ღმერთმანი, მიაღწევს! როგორც გავიგე, გაზეთის გაფართოება განუზრახავს. სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ გამოცდილ თანარედაქტორს ეძებს.

**რებეკა.** მიკვირს, რომ თქვენ და თქვენი მეგობრები არავითარ საწინააღმდეგო ზომებს არ იღებთ.

**კროლი.** სწორედ მაგისტრის ვემზადებოდით. დღეს შევიძინეთ „სამხარეო გაზეთი“. ფინანსიური საკითხი თითქმის მთლიანად მოგვარებულია, მაგრამ... (როსმერს მიმართავს). სწორედ აქ მივადექი ჩემი დღევანდელი ვიზიტის ქეშმარიტ მიზანს. საქმის, ანუ თვით გაზეთის გაძლოლა, — აი, რა გვიკირს ყველაზე მეტად. მითხარი, როსმერ... შენ თვითონ ხომ არ ჩაუდგებოდი სათავეში, მართალი საქმის მხარდასაქერად?

**როსმერი** (თითქმის შეშინებული). მე?..

**რებეკა.** ეგ რამ გაფიქრებინათ?

**კროლი.** ჩემთვის გასაგებია შენი შიში სახალხო თავყრილობებისა და ყოველივე იმის წინაშე, რაც ამ ყრილობებს მოსდევს შედეგად, მაგრამ მოღვაწეობა რედაქტორისა, რომელიც, უმეტესწილად, განზე რჩება, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ...

**როსმერი.** არა, არა, ჩემო ძვირფასო, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

**კროლი.** მე თვითონაც დიდი სიამოვნებით მოვსინჯავდი ჩემს ძალას ამ ასპარეზზე. მაგრამ ნამდვილად ვერ ავუვალ. ისედაც ყელამდე ვარ ჩაფლული ათას საქმეში. შენ კი, პირიქით, ამქამად ყოველგვარი სამსახურეობრივი მოვალეობისაგან თავისუფალი ხარ. ჩვენ, შენი მეგობრები და თანამზრახველნი, რა თქმა უნდა, ყოველნაირად შეგიწყობთ ხელს.

**როსმერი.** არ შემიძლია, კროლ. ამ საქმისთვის არ გამოვდგები.

**კროლი.** არ გამოდგები? ამასვე ამბობდი მაშინაც, როცა მამაშენმა პასტორის ადგილი გიშოვა.

**როსმერი.** ვამბობდი და სწორიც ვიყავი. ამიტომაც გადავდექი.

**კროლი.** ოჰ, შენ მხოლოდ იმნაირი რედაქტორობა გასწიე, რანაირი პასტორიც იყავი, და ჩვენ მადლობელნი დაგრჩებით.

**როსმერი.** ერთხელ და სამუდამოდ გეუბნები, ძვირფასო კროლ: ამ საქმეს ხელს არ მოვკიდებ-მეთქი.



**კროლი.** მაშინ იმის უფლება მაინც მოგვეცი, რომ შენი სახელით გამოვაქვეყნოთ გაზეთი.

**როსმერი.** ჩემი სახელით?

**კროლი.** დიახ, იუჰანეს როსმერის მარტოოდენ სახელიც კი დიდი შენაძენი იქნებოდა გაზეთისათვის. ჩვენ, დანარჩენები, ხომ წმინდა წყლის პარტიულ მოღვაწეებად ვითვლებით. რამდენადაც ვიცი, პირადად მე მძვინვარე ფანატიკოსადაც კი მთვლიან. ამიტომაც არა გვაქვს იმის იმედი, რომ რომელიმე ჩვენგანის სახელმა გზა გაუკათოს გაზეთის ისედაც კალაპოტიდან ამოვარდნილსა და თავგზააბნეულ ხალხში. შენ კი, პირიქით, ყოველთვის თავს არიდებდი პარტიათა ბრძოლებს და განზე იდექი. შენი დიდსულოვნება და კეთილშობილება... შენი ნათელი აზრი და ექვეშეული პატიოსნება საყოველთაოდ ცნობილია, აღიარებული და დაფასებული, რასაც ზედ ერთვის ის მოწიწება და პატივისცემა, რაც შენი პასტორობისას მოიხვეჭე ხალხში. და, ბოლოს, ეს ძველისძველი და წარჩინებული გვარიშვილობა...

**როსმერი.** ოჰ, გვარიშვილობა...

**კროლი** (ხელით ანიშნებს კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ პორტრეტებზე). როსმერები ყოველთვის პასტორები, ოფიცრები, ადმინისტრატორები იყვნენ; ყოველთვის მაღალი და საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავათ. ყველა უაღრესად წესიერი და პატიოსანი კაცი იყო; ამიტომაცაა, რომ თქვენი გვარი, აგერ უკვე ორი საუკუნე იქნება, უპირველეს გვარად ითვლება მთელს ჩვენს მხარეში. (ხელს ადებს მხარზე). პირადად შენი ღირსება და მთელი შენი გვარის სახელოვანი ტრადიციები გავალდებულებს, როსმერ, შემოგვიერთდე და მტკიცედ დადგე ყოველივე იმის სადარაჯოზე, რასაც აქამდე სამართლიანობის სახელი ერქვა ჩვენი საზოგადოების თვალში. (შებრუნდება). რას იტყვით, ფრიოკენ ვესტ?

**რებეკა** (ჩაიკნებით). ძვირფასო რექტორო... მართალი გითხრათ, მეცინება...

**კროლი.** რაო? სასაცილოს რას ხედავთ?

**რებეკა.** რასა და... თუმცა ბარემ პირდაპირ მოგახსენებთ...

**როსმერი** (სწრაფად). არა, არა!... ჯერ არა!

**კროლი** (ხან ერთს შეხედავს და ხან მეორეს). რა ამბავია? ღვთის გულისათვის, მითხარით, რა მოხდა?.. (ალარ ამთავრებს). კმ!..

მარჯნიდან შემოდის მადამ ჰელსეტი.

**მადამ ჰელსეტი.** ვილაც კაცია; პასტორის ნახვა მინდაო.

**როსმერი** (შეებით ამოისუნთქავს). აა, სთხოვეთ!

მადამ ჰელსეტი. აქ მიიღებთ?

როსმერი. რა თქმა უნდა.

მადამ ჰელსეტი. რა ვიცი, გარეგნულად ისეთია, რომ, მგონი, სახლში არც შემოიშვება.

რებეკა. მაინც როგორია გარეგნულად, მადამ ჰელსეტ?

მადამ ჰელსეტი. მტრისას.

როსმერი. რა გვარი ვარო, ხომ არ უთქვამს?

მადამ ჰელსეტი. მგონი ჰეკმანიო თუ რაღაც ამგვარი.

როსმერი. პირველად მესმის.

მადამ ჰელსეტი. რა ვიცი, ულდრიკი მქვიაო.

როსმერი (გაოგნებული). ულრიკ ჰეტმანი?

მადამ ჰელსეტი. დიახ, დიახ, ჰეტმანი.

კროლი. თითქოს მეცნობა...

რებეკა. თუ არა ვცდები, ასე აწერდა ხელს ის... ახირებული კაცი...

როსმერი (კროლს). ეს ულრიკ ბრენდელის ფსევდონიმია.

კროლი. აა, იმ წყალწაღებული ულრიკ ბრენდელისა? დიახ, დიახ!

რებეკა. მაშასადამე, ცოცხალია?

როსმერი. მე მეგონა, მოხეტიალე მსახიობების დასთან ერთად დაწაწალობდა.

კროლი. სულ ბოლოს, მგონი, იძულებითი მუშაობა ჰქონდა მისჯილი.

როსმერი. სთხოვეთ, მადამ ჰელსეტ.

მადამ ჰელსეტი. კეთილი. (გაღის).

კროლი. ნეტა თუ მართლა შემოუშვებ სახლში?

როსმერი. რა ვქნა, ხომ იცი, ოდესღაც ჩემი მასწავლებელი იყო.

კროლი. დიახ, ვიცი, რომ ათასნაირი მავნე და მემამბოხური აზრებით გიტენიდა თავს, სანამ მამაშენმა მათრახით არ დაიფრინა სახლიდან.

როსმერი (ცოტა არ იყოს, სიმწრით). მამაჩემი სახლშიაც ისეთივე მაიორი იყო, როგორიც ყაზარმაში.

კროლი. ჰოდა, ღმერთს მადლობა შესწირე, ძვირფასო როსმერ... დი-ი-ახ!

მადამ ჰელსეტი მარჯვენა კარს აღებს, ულრიკ ბრენდელს შემოუშვებს და კვლავ ხურავს მას. ბრენდელი წარმოსადგეი მამაკაცია; ცოტა არ იყოს, გაცრეცილ-გახუნებულ სახეზე მაინც მკვირცხლი და ცოცხალი გამომეტყველება შერჩენია; ქალარა თმა-წვერი აქვს; ჩაცმულობით მაწაწაწალს მოგაგონებთ; დახეული სერთუი, როგორც ჩანს, პირდაპირ შიშველ ტანზე შემოუცვამს; არც ფეხსაცმელებია უკეთესი დღეში. ძველი, კუჭკუიანი ქუდი ილღიაში ამოუჩრია, ხელთათმანიან ხელში კი წერილი ჯოხი უჭირავს.

ბრენდელი (ჭერ ცოტა არ იყოს, გაუბედავად, შემდეგ კი მკვირცხლად მიემართება რექტორისაკენ და ხელს უწვდის). სალამო მშვიდობისა, იუჰანეს!

კროლი. მომიტევეთ...

ბრენდელი. ალბათ, აღარ მოელოდი ჩემთან შეხვედრას! თანაც, ამ ჩემთვის ესოდენ საძულველ ჰერქვეშ!

კროლი. მომიტევეთ... (ხელით ანიშნებს). აი...

ბრენდელი (შეტრიალებს). დიახ, დიახ, აი, იუჰანესი... ჩემი საყვარელი მოწაფე. ჩემი კარგი ბიჭი!

როსმერი (ხელს უწვდის). ჩემო ძვირფასო მასწავლებლო!

ბრენდელი. ზოგიერთი უსიამოვნო მოგონების მიუხედავად, მაინც ვერ შეეძელი ისე ამეველო გვერდი როსმერსპოლმისათვის, რომ არ მენახე.

როსმერი. დიდად მოხარული ვარ. დამერწმუნეთ.

ბრენდელი. ეს მომხიბლავი ქალბატონი?.. (ესალმება). ალბათ, შენი მეუღლე!

როსმერი. ფრიოკენ ვესტი.

ბრენდელი. აა, ახლო ნათესავი? ეს უცნობი კი შენი თანამომე იქნება.

როსმერი. რექტორი კროლი.

ბრენდელი. კროლი! კროლი! მოითმინეთ, ახალგაზრდობაში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ხომ არ სწავლობდით?

კროლი. დაიხ.

ბრენდელი. Donnerwetter! მე ხომ გიცნობდი?!

კროლი. მომიტევეთ...

ბრენდელი. განა შენ არ იყავი...

კროლი. მომიტევეთ...

ბრენდელი. ... სიქველის ერთი იმ ჟანდარმთაგანი, რომლებმაც „სადისკუსიო წრიდან“ გამაძევეს?

კროლი. ადვილი შესაძლებელია. მაგრამ მე პროტესტს ვაცხადებ უფრო ახლო ნაცნობობის წინააღმდეგ.

ბრენდელი. ოჰ, ოჰ! Nach belieben, ბატონო დოქტორო. ჩემთვის სულერთია. ულრიკ ბრენდელს არც რა მოემატება და არც რა დააკლდება ამით.

რებეკა. თქვენ, ალბათ, ქალაქს მიბრძანდებით, ბატონო ბრენდელ.

ბრენდელი. გამოიციანით, ძვირფასო ქალბატონო. დროდადრო, იძულებული ვხდები კვლავ ჩავება ხელჩართულ ომში არსობის პურის მოსაპოვებლად და პატარ-პატარა ბრძოლები

გადავიხადო. ჰირივით მეზარება ეს ამბავი, მაგრამ... enfin!...  
ხომ მოგეხსენებათ, აუცილებლობა...

როსმერი. ძვირფასო ბატონო ბრენდელ... თუ ნებას მომცემთ...  
ხომ არ შემიძლია რითიმე დაგეხმაროთ?.

ბრენდელი. აჰ! ნეტავი ეგ არ გეთქვა! შენ გინდა შებღალთ ის  
წმინდათა-წმინდა კავშირი. რომელიც ერთმანეთთან...  
არასოდეს, იუჰანეს... არასოდეს!

როსმერი. მაგრამ მარტოდმარტო რას გახდებით ქალაქში?..  
დამერწმუნეთ, გაგიჰირდებათ...

ბრენდელი. ჩემი საქმისა მე ვიცი, ჩემო ვაჟკაცო! წილი ნაყარია!  
შენს წინაშე დგას კაცი, რომელიც ხანგრძლივი ლაშქრობი-  
სათვის გამზადებულია. დიახ, უფრო ხანგრძლივი ლაშქრობი-  
სათვის, ვიდრე ყველა ჩემი ძველი თავდასხმა ერთად.  
(რექტორს). თუ შეიძლება გკითხოთ, ბატონო პროფესორო, —  
unter uns, — ხომ არ მოიძებნება ამ თქვენს დიდებულ  
ქალაქში მეტ-ნაკლებად რიგიანი, რესპექტაბელური და ვრც-  
ელი დარბაზი, რომ კაი ბლომად ხალხი დაიტოს?

კროლი. ყველაზე უფრო ტევადი დარბაზი „მუშათა კავშირსა“  
აქვს.

ბრენდელი. ერთი ეს მითხარით, ბატონო დოცენტო, რაიმე  
გავლენით თუ სარგებლობთ ამ ძვირფას „კავშირში“?

კროლი. არავითარი ურთიერთობა არა მაქვს მასთან.

რებეკა (ბრენდელს). ამის თაობაზე პეტერ მორტენსპორს უნდა  
მიმართოთ.

ბრენდელი. Portion, madame, — ეს ვინლა იდიოტია?

როსმერი. რატომ გგონიათ, რომ მაინცდამაინც იდიოტი უნდა  
იყოს?

ბრენდელი. ასეთი მდაბიური სახელის პატრონი თვითონაც  
მდაბიო იქნება.

კროლი. ამნაირ პასუხს კი აღარ ველოდი.

ბრენდელი. მაგრამ მე თვითონ ავმალღებები ჩემსავე თავზე... რა  
გაეწყობა? რაკილა ჩემი ცხოვრების გზა გარდატეხის  
წერტილს მიუახლოვდა... ყველაფერი გადაწყვეტილია. ავღ-  
ები და ურთიერთობას დავამყარებ ზემორე აღნიშნულ  
პიროვნებასთან.

როსმერი. თქვენ მართლა სერიოზულად მიუახლოვდით გარ-  
დატეხის წერტილს?

ბრენდელი. უნდა მოგახსენო, ჩემო ძვირფასო, რომ რასაც  
უახლოვდება, ულრიკ ბრენდელი ყოველთვის სერიოზულად

უახლოვდება. დიახ, მე მინდა ახალ ადამიანად ვიქცე; ხელი ავილო ლოდინის პოზიციაზე, რომელზედაც აქამდე ვიდექი.

როსმერი. როგორ?

ბრენდელი. მინდა ჩემი მძლავრი და ქმედითი ხელით ზემოქმედება მოვახდინო ცხოვრებაზე; თხემით ტერფამდე აღჭურვილი გამოვიდე საასპარეზოდ. მოახლოვდა ქარიშხლისა და მესთატეხის დრო. და მე მსურს ჩემი წვლილიც დავდო თავისუფლების საკურთხეველზე.

კროლი. თქვენც?...

ბრენდელი (ყველას). იცნობთ თუ არა ჩემს აქა-იქ მიმოფანტულ ლიტერატურულ ქმნილებებს?

კროლი. გულახდილად რომ გითხრათ, არა, არ ვიცნობ.

რებეკა. მე კი ზოგი რამ წამიკითხავს. ჩემს მამინაცვალსა ჰქონდა.

ბრენდელი. ჩემო მშვენიერო დიასახლისო, სულ ტყუილად დაგიკარგავთ თქვენი ძვირფასი დრო. ვინაიდან ყოველივე ეს არის მხოლოდ ნაგავი.

რებეკა. მართლა?

ბრენდელი. ის, რაც თქვენ წაგიკითხავთ, — უეჭველად. ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ჯერ არავინ არ იცის, ჩემს გარდა.

რებეკა. რატომ?

ბრენდელი. იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ დამიწერია.

როსმერი. კი მაგრამ, ძვირფასო ბატონო ბრენდელ...

ბრენდელი. შენ მაინც იცი. იუჰანეს, რომ მე, ცოტა არ იყოს, სიბარიტი ვარ, — Feinschmecker. ყოველთვის ასეთი ვიყავი. ყველაფერს მიჩვენია განმარტოებით ტკობა. წინათ კი სხვებთან ერთად ვტკებოდი. რას იზამ, როცა ფრთხილად მხვევოდნენ გარს შთაგონების ოქროსფერი სიზმრები და თავიანთ გამჟღავნებელ ბლონდებში მხვევდნენ; როცა ახალი, თავბრუსმომხვევად თამამი და ლალი აზრები იბადებოდნენ ჩემს თავში და თავიანთი ჰაეროვანი ფრთების ფართქუნით მინანავებდნენ... მაშინ მე პოემის სტრიქონებში, მომხიბლავ სახეებსა თუ სურათებში ვაქსოვდი მათ. რა თქმა უნდა, ზოგადად. გესმით?

როსმერი. დიახ, დიახ.

ბრენდელი. მერედა, როგორ ვტკებოდი საკუთარი ძალმოსილებით! შემოქმედების იღუმალ ნეტარებას — რასაკვირველია, ზოგადად, როგორც უკვე მოგახსენეთ, — წარმატებას, მადლიერებას, ღიღებას, დაფნას, — ყოველივე ამას ხარბად

ეკრეფდი სიხარულით მოცახცახე ხელით, და ჩემს ინტიმურ ზმანებებში მათრობელა ლეინოსავით ვეწაფებოდი ბედნიერებას და ნეტარებას. ერთის სიტყვით, მეცხრე ცაზე ვფრინავდი.

კროლი. კმ...

როსმერი. მაგრამ ქალაღზე კი არათფერი გადაგქონდათ?

ბრენდელი. არცერთი სიტყვა. ეს ვულგარული ჭლაბნა და სუფთა ფურცლების თხუნა, მართალი გითხრათ, გულს მირევდა. ან რატომ უნდა შემებლალა ჩემი საკუთარი იდეალები, როცა შემექლო მარტოდმარტო დავმტკბარიყავი მათი შეურყვენელი და შეუმღვრეველი სიწმინდით? ახლა კი მეტი გზა არ არის, მათი სიწმინდე მსხვერპლად უნდა შევწირო ჩემს მიერ დასახულ მიზანს. მაგრამ, ამასთან, ზუსტად ისეთი განცდა მაქვს, როგორც დედას, თავის უმანკო ასულებს ცოლად რომ აძლევს სასიძოვებს. მიუხედავად ამისა, მაინც მსხვერპლად უნდა მივიტანო ისინი... თავისუფლების საკურთხეველზე. დიდოსტატური ხელოვნებით შედგენილი რამდენიმე ლექცია, რომლებითაც მთელ ქვეყანას მოვივლი...

რებეკა (ცოხლად). ო, ეს იქნება დიადი მსხვერპლი, ბატონო ბრენდელ. ვინაიდან თქვენ გაიღებთ ყველაზე ძვირფასს, რაც გაგაჩნიათ.

როსმერი. ყველაზე ძვირფასს და ერთადერთს.

რებეკა (მრავალმნიშვნელოვნად გადახედავს როსმერს). ბევრი კი გაბედავს ამას?

როსმერი (საპასუხო მზერით). ვინ იცის?

ბრენდელი. საზოგადოება გულაჩუყებულია. ეს მე მალამოსავით მეცხება გულზე და... ნებას მიმტკიცებს, მხნეობას მმატებს. ამიტომაც, შემდგომ ამისა, უშუალოდ გადავდივარ საქმის არსზე... თუმცა მანამდე... (ჩექტორს). ხომ ვერ მეტყვით, ბატონო დამრიგებლო, არის თუ არა ქალაქში სიფხიზლის, აბსოლუტური სიფხიზლის მომხრეთა საზოგადოება? შეუძლებელია, რომ არ იყოს!

კროლი. რა თქმა უნდა. მე თვითონ გახლავართ თავმჯდომარე.

ბრენდელი. ასეც ვიცოდი! კეთილი და პატიოსანი. გამორიცხული არ არის, რომ გეახლებით და, ასე, ერთი კვირით, თქვენნი ღიღებულები საზოგადოების წევრად ჩავეწერები.

კროლი. მომიტევეთ... ჩვენს რიგებში არ ვიღებთ ერთკვირიან წევრებს.

ბრენდელი. A la bonne heure. ბატონო პედაგოგო. ულრიკ ბრენდელს არასოდეს აუტალახიანებია ამნაირ საზოგად-

ოებათა კარი. (ზურგს შეაქცევს). მაგრამ მე ველარ გავებდავ, უფრო მეტ ხანს გავაქიანურო ჩემი ყოფნა ამ სახლში, რომელთანაც ამდენი მოგონება მაკავშირებს. უნდა ვიჩქარო, რომ ქალაქში ჩემი შესაფერისი თავშესაფარი ვიშოვო. იმედია, რიგიანი სასტუმროს მოძებნა არ გამიჭირდება.

**რებეკა.** ხომ არაფერს დალევდით წასვლისას?

**ბრენდელი.** მაინც რას, ჩემო კეთილმოწყალე ქალბატონო?

**რებეკა.** ჩაის, ან...

**ბრენდელი.** მაღლობას მოვახსენებ გულუხვ დიასახლისს. მაგრამ მე იშვიათად ვსარგებლობ კერძო სტუმართმოყვარეობით. (ხელს უქსევს გამოსამშვიდობებლად). კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონებო! (კარამდე მივა და შემობრუნდება). ჰო მართლა!.. იუჰანეს... პასტოროს როსმერ... ჩვენი მრავალწლიანი მეგობრობის ხათრით, პატარა სამსახურს ხომ არ გაუწევდი შენს მასწავლებელს?

**როსმერი.** სულით და გულით.

**ბრენდელი.** კეთილი. მაშინ, თუ შეიძლება, ორიოდ დღით მათხოვე... კარგად გარეცხილი და გახამებული პერანგი.

**როსმერი.** მეტი არაფერი?

**ბრენდელი.** თორემ, ხომ ხედავ?.. ამჯერად ისე ვარ ჩაცმული, როგორც შეშვენის ფეხით მოსიარულეს. ბარგი მოგვიანებით მომივა.

**როსმერი.** კეთილი. იქნებ, სხვა რამეც გნებავთ?

**ბრენდელი.** მაშინ ერთი ზედმეტი, შენ რომ აღარ ხმარობ, ისეთი საზაფხულო სერთუკი თუ გექნებოდა...

**როსმერი.** დიახ, დიახ, რამეს მოვძებნით.

**ბრენდელი.** ერთი წყვილი რიგიანი ფეხსაცმელიც არ მაწყენდა...

**როსმერი.** ეგეც მოიძებნება. თქვენ მხოლოდ თქვენი მისამართი მაცნობეთ, — ყველაფერს ერთად გამოგიგზავნით.

**ბრენდელი.** რას ამბობ? შენ როგორ შეგაწუხებ? ამ ხარახურას მეც მოვერევი.

**როსმერი.** კეთილი. მაშინ იქნებ ზევით ავსულიყავით?

**რებეკა.** ნება მიბოძეთ, მე და მადამ ჰელსეტი უკეთ მოვავგარებთ ყველაფერს.

**ბრენდელი.** ნება გიბოძოთ, რომ თქვენისთანა უკეთილშობილესმა ქალბატონმა ჩემი გულისთვის... აჰ, არა, არა!

რებეკა. კარგით. გეყოფათ! წამობრძანდით. ბატონო ბრენდელ!  
(ხელმარჯვნივ გადის).

როსმერი. (ბრენდელს შეაჩერებს). მითხარით, კიდევ ხომ არაფრით  
შემიძლია გემსახუროთ?

ბრენდელი. აღარც კი ვიცი, ღმერთმანი!.. თუმცა, დალახვროს  
ეშმაკმა, თუ კარგად დავუფიქრდები... იუჰანეს!.. შემთხვევით,  
რვა კრონი ხომ არ გექნება ჩიბეში?

როსმერი. ვნახავ, (საფულეს იღებს). აქ ორი ათკრონიანია.

ბრენდელი. რა უშავს? გამოდგება. ქალაქში ყოველი ფეხის  
ნაბიჯზე შეიძლება დახურდავება. გმადლობ. კარგად დაიხსოვე:  
ორი ათიანი ავიღე. ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო! ღამე  
მშვიდობისა, ღრმად პატივცემულო! (ხელმარჯვნივ მიდის, როსმერი  
კარამდე მიაცილებს, შემდეგ კი კარს ხურავს).

კროლი. ღმერთო დიდებულო! მაშ, ეს სწორედ ის ულრიკ  
ბრენდელია, რომელსაც ოდესღაც ბრწყინვალე მომავალს  
უწინასწარმეტყველებდნენ?

როსმერი. ასეა თუ ისე, მას ეყო გამბედაობა, თავის ნებაზე და  
თავის ჭკუით ეცხოვრა. მე თუ მკითხავ, არც ესაა პატარა  
საქმე.

კროლი. რა? ისე ცხოვრება, როგორც ის ცხოვრობს? ფრთხილად  
იყავი, ერთხელ კიდევ არ აგიბნიოს თავგზა.

როსმერი. შენ დარდი ნუ გაქვს; ახლა ყველაფერში მე თვითონ  
გავერკვიე საფუძვლიანად.

კროლი. ღმერთმა ქნას, რომ ასე იყოს, ძვირფასო როსმერ, თორემ  
ძალზე ადვილად ემორჩილები ყოველგვარ უცხო გავლენას.

როსმერი. მოდი, ჩამოვსხდეთ და ისე ვილაპარაკოთ.

კროლი. მოდი.

ღევანზე სხდებიან.

როსმერი (ხანმოკლე დუმილის შემდეგ). როგორ მოგწონს აქაურობა?

კროლი. ძალიან. ყველგან ისეთი სიფაქიზეა, სიმყუდროვე და  
სიმშვიდე. როგორც ჩანს, ნამდვილი ოჯახური კერა შეიძინე,  
როსმერ. მე კი ჩემი დავკარგე.

როსმერი. ასე ნუ ლაპარაკობ, ძვირფასო კროლ. რაც ახლა  
გათიშულია, კვლავ შეერთდება.

კროლი. აღარასოდეს, აღარასოდეს. ნესტარი რჩება. რაც იყო,  
ველარ დაიბრუნებ.



- როსმერი. ყური მიგდე, რამდენი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ, კროლ. თუ შეგიძლია დაუშვა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი მეგობრობა შეიძლება დაირღვეს?
- კროლი. ამქვეყნად არ მეგულება მისი დამრღვევი ძალა. ეგ რამ გათქმევინა?
- როსმერი. კი მაგრამ, შენ ხომ ასე დიდ მნიშვნელობას ანიჭებ აზრებისა და შეხედულებების ერთობას?
- კროლი. რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენი შეხედულებები ხომ ერთმანეთს თანხვდება? ყოველ შემთხვევაში, ძირითად საკითხებში მაინც.
- როსმერი (ჩუმად). არა, უკვე აღარ თანხვდება.
- კროლი (წამოხტომას აპირებს). რაო?
- როსმერი (ხელით აჩერებს). არა. იჯექი; გეხვეწები, კროლ.
- კროლი. კი მაგრამ, მაინც რა მოხდა? აღარაფერი აღარ მესმის! გარკვევით მითხარი.
- როსმერი. ჩემს გულში ახლა ნამდვილი გაზაფხულია. უჩვეულოდ განახლებული კაბუკური თვალთახედვით აღვიქვამ ცხოვრებას, და მეც იქამდე მივედი...
- კროლი. მაინც, სადამდე?
- როსმერი. სადაც მივიდნენ შენი შვილები.
- კროლი. შენ?! შეუძლებელია! რაო, რა თქვი, სად მივედიო?
- როსმერი. სადაც შენი შვილები — ლაურიცი და ჰილდა მივიდნენ-მეთქი.
- კროლი (თავს აქნევს). განდგომილო!.. იუჰანეს როსმერი — განდგომილი?..
- როსმერი. სიხარულით ფეხზე აღარ უნდა ვიდგე... ფრთაშესხმული იმის შეგნებით, რომ შენივე თქმისა არ იყოს, თურმე განდგომილი ვყოფილვარ... მაგრამ მე იმდენი ვეწამე, იმდენი ვიტანჯე, რადგანაც ვიცოდი, რა სასტიკად გატკენდი გულს.
- კროლი. როსმერ... როსმერ! მე ამას ვერასოდეს შევეურიგდები. (წყრობით უყურებს). და შენ, მათთან ერთად, მზადა ხარ, ხელი შეუწყო ამ ბედუკულმართ ქვეყანაში შფოთისა და განხეთქილების თესლის გავრცელებას?
- როსმერი. ეს განთავისუფლებაა, და მე მინდა, ჩემი წვლილი შევიტანო მასში.
- კროლი. ჰო, ვიცი, ვიცი. განთავისუფლებას უწოდებენ ამას შფოთისთავეები და გზააბნეულნი. მაგრამ ნუთუ მართლა გგონია, როსმერ, რომ თავისუფლებას მოგვიტანს ის

მეამბოხური სულისკვეთება, რომელმაც ახლა მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება მოწამლა?

**როსმერი.** მე არც ამ მეამბოხურ სულისკვეთებასთან მაქვს რაიმე საქმე და არც ერთმანეთის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლაში ჩაბმულ რომელიმე პარტიასთან. მე მინდა ერთად შეეკრიბო და რაც შეიძლება მკიდროდ შევაკავშირო ერთმანეთისაგან გათიშული ადამიანები. მე მინდა მთელი ჩემი ძალა და უნარი, მთელი ჩემი სიცოცხლე მივეძღვნა ქვეშაირიტად სახალხო ხელისუფლების დამყარებას ჩვენს ქვეყანაში.

**კროლი.** რას იტყვი, ნუთუ ჩვენში საკმარისი არ არის ეს სახალხო ხელისუფლება? მე კი მგონია, რომ ჩვენ ყველანი ერთად მივექანებით ქაობისაკენ, სადაც ლალად მარტოოდენ ბრბო თუ გრძნობს თავს.

**როსმერი.** სწორედ ამიტომაც, მე ვაყალიბებ სახალხო ხელისუფლების ქვეშაირიტ ამოცანას.

**კროლი.** რა ამოცანას?

**როსმერი.** კეთილშობილი გავხადო ყველა მოქალაქე.

**კროლი.** ყველა?..

**როსმერი.** ყოველ შემთხვევაში, რაც შეიძლება მეტი.

**კროლი.** მაინც რა გზით?

**როსმერი.** მათი სულის განთავისუფლებითა და ნების განწმენდით.

**კროლი.** შენ მეოცნებე ხარ, როსმერ. შენ გინდა გაანთავისუფლო და განწმინდო ისინი?

**როსმერი.** არა, ძვირფასო მეგობარო... მე მხოლოდ ის მინდა ვცადო, რომ ამ მიზნისკენ სწრაფვა აღეძრა და გავალვიძო მათში. დანარჩენი კი თვითონვე უნდა შესძლონ.

**კროლი.** და შენ გგონია, რომ შესძლებენ?

**როსმერი.** დიახ.

**კროლი.** თავისთავად, თავიანთი საკუთარი ძალებით?

**როსმერი.** დიახ, თავიანთი საკუთარი ძალებით. სხვა ძალა არ არსებობს.

**კროლი (დგება).** განა ასე ლაპარაკი შეშვენის პასტორს?

**როსმერი.** მე უკვე აღარა ვარ პასტორი.

**კროლი.** ჰო, მაგრამ შენი ბავშვური რწმენა?

**როსმერი.** უკვე ჩაქრა და ჩაიფერფლა ჩემში.

**კროლი.** არა!..

**როსმერი.** მე თვითონვე ვთქვი უარი მასზე. ასე იყო საჭირო, კროლ.

**კროლი** (გაოგნებული; ცდილობს თავი შეიკავოს). მაშ, ასე?.. დიახ, დიახ. სადაც ერთი, იქაც მეორე. ამიტომ ხომ არ აიყარე საეკლესიო ხარისხი?

**როსმერი.** დიახ. როცა კარგად გავერკვევ ჩემსავე თავში და დავრწმუნდი, რომ ეს მსწრაფლწარმავალი ცთუნება კი არ არის, არამედ რაღაც ისეთი, რასაც ველარასოდეს დავალწევ თავს, — ავდექი და წამოვედი.

**კროლი.** აი, თურმე რამდენ ხანს მწიფდებოდა შენში ეს აზრი. შენმა მეგობრებმა კი არაფერი ვიცოდით! როსმერ, როსმერ... რატომ დაგვიმალე ეს სამწუხარო ამბავი?

**როსმერი.** ჯერ ერთი, ჩემის აზრით, ეს საქმე მხოლოდ მე მეხებოდა, და, ეგეც არ იყოს, არ მინდოდა, ან შენ და ან ჩემი დანარჩენი მეგობრები ტყუილუმბრალოდ დამემწუხრებინეთ. მე მეგონა, კვლავინდებურად შევძლებდი მეცხოვრა ჩემთვის, მშვიდი და უშფოთველი ცხოვრებით. მე მინდოდა წამეკითხა და შემესწავლა ყველა ის შრომა, რომელიც უწინ აკრძალული ხილი იყო ჩემთვის; მთელის არსებით მივცემოდი ქეშმარიტებისა და თავისუფლების სამყაროს, რომელიც გადაიშალა ჩემს თვალწინ.

**კროლი.** ო, განდგომილო. ყოველი შენი სიტყვა ამას ღაღადებს. მაგრამ მაინც რატომ აღიარებ ამ შენს იღუმალ განდგომილებას? და რატომ მაინცდამაინც ახლა?

**როსმერი.** შენ თვითონ მაიძულე, კროლ.

**კროლი.** მე? მე გაიძულე?

**როსმერი.** დიახ, როცა გავიგე, როგორ მძვინვარებ ყრილობებზე... როცა გავეცანი შენს სიტყვებსა და გააფთრებულ გამოხდომებს მათ წინააღმდეგ. ვინც საპირისპირო მხარეზე დგას... როცა ჩემთვის ცხადი შეიქნა შენი ზიზნარევი სიძულვილი მოწინააღმდეგეთა მიმართ... ო, კროლ! რა შენი საკადრისია ეს?.. აი, სწორედ მაშინ, მთელი სიცხადით შევიგნე ჩემი საკუთარი მოვალეობა. ამ გამუდმებულმა ბრძოლებმა გააბოროტა ადამიანის სული, უნდა ვცადოთ და მშვიდობა, სიხარული, თანხმობა დავამკვიდროთ მასში. აი, ამიტომაც გამოვდივარ და სახალხოდ ვაღიარებ იმას, თუ რად ვიქცე-ეგეც არ იყოს, მე მინდა გამოვცადო ჩემივე თავი. იქნებ გეცადა და... შენც შემოგვერთებოდი, კროლ?

კროლი. არასოდეს! სანამ პირში სული მიდგას, არასოდეს დაუზავდები საზოგადოების დამანგრეველ ელემენტებს!

როსმერი. მაშ, რაკი ბრძოლა გარდუვალი შეიქნა, მოდი, კეთილ-შობილური იარაღით მაინც ვიბრძოლოთ.

კროლი. ვინც ჩემს სასიცოცხლო პრინციპებს არ იზიარებს, მას ჩემს პირად მტრად ვსახავ. მტრის დანდობა კი მე არ მჩევია.

როსმერი. ეს მეც მეხება?

კროლი. შენ თვითონ გაწყვიტე ჩემთან ყოველგვარი კავშირი, როსმერ.

როსმერი. განა ეს კავშირის გაწყვეტაა?

კროლი. ეს? დიახ, ეს კავშირის გაწყვეტაა ყველასთან, ვისაც აქამდე მეგობრად თვლიდი. რაც ამას მოჰყვება შედეგად, შენს თავს დააბრალე.

მარჯნიდან შემოდის რებეკა და ფართოდ აღებს კარს.

რებეკა. აი, ახლა ის უკვე თავისი დიადი მსხვერპლშეწირვის აღსასრულებლად მიემართება. ჩვენ კი დროა, სუფრას მიეუსხდეთ, გთხოვთ, ბატონო რექტორო.

კროლი (ქუღს იღებს). ღამე მშვიდობისა, ფრიოკენ ვესტ. ამ სახლში მე აღარაფერი მესაქმება.

რებეკა (ღამაბულად). რას ნიშნავს ეს? (კარს ხურავს და მათთან მიდის). ილაპარაკეთ?

როსმერი. მან უკვე ყველაფერი იცის.

კროლი. ასე ადვილად ვერ წაგვიხვალ ხელიდან, როსმერ. ჩვენ გაიძულვით, კვლავ დაგვიბრუნდეთ.

როსმერი. მე თქვენ აღარასოდეს დაგვიბრუნდებით.

კროლი. ვნახოთ, შენ ის კაცი არა ხარ, რომ მარტოობას გაუძლო.

როსმერი. მე სულ მარტო არ დავრჩები. ჩვენ ორნი როგორმე გავუძლებთ მარტოობას.

კროლი. აა! (გულში რაღაცა ეპვი გაკრავს). ახლა ესეც?! ბეატას სიტყვები!..

როსმერი. ბეატასი?..

კროლი (თითქოს აბეზარ აზრს იშორებს). არა, არა... ეს რამ მათქმევინა?.. მომიტევე.

როსმერი. რაო? რას ამბობ?

კროლი. სიტყვაც აღარ დავძრათ ამაზე. ფუჰ! მომიტევე. კარგად იყავი! (წინსკარისაკენ მიემართება).

როსმერი (უკან მისდევს). კროლ! ასე ხომ არ დავცილდებით ერთმანეთს? ხვალ შემოგივლი.

კროლი (წინკარში, შემობრუნდება). შენი ფეხი არ ვნახო ჩემს სახლში!  
(ჯობს იღებს და მიღის).

როსმერი ერთხანს უძრავად დგას, შემდეგ კარს ხურავს და მაგიდასთან მიღის.  
როსმერი. რა ვუყოთ, რებეკა. როგორმე გავუძლებთ. ჩვენ ხომ  
ერთგული მეგობრები ვართ. მე და შენ.

რებეკა. როგორ გგონია, რა აზრმა გაუელვა თავში, როცა იყვირა  
„ფუო“?

როსმერი. ყურადღებას ნუ მიაქცევ, ჩემო კარგო. თვითონაც არ  
ენდო თავისსავე აზრს... ხვალ მაინც ვინახულვ. ღამე  
მშვიდობისა.

რებეკა. დღეს, ყოველივე ამის შემდეგაც, ასე აღრე  
განმარტოვდები?

როსმერი. დიახ, როგორც ყოველთვის. გულიდან თითქოს ლოდი  
ამეხსნა, როცა ყოველივე ეს უკან მოვიტოვე. ხომ ხედავ, რა  
მშვიდადა ვარ, ჩემო ძვირფასო? შენც ასევე მშვიდად იყავი,  
ღამე მშვიდობისა.

რებეკა. ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო მეგობარო! ძილი ნებისა!

როსმერი წინკარში გადის, შემდეგ კიბეზე მისი ფეხის ხმა ისმის. რებეკა  
ლუმელთან ზარს ჩამოქრავს და ცოტა ხნის შემდეგ მარჯვნიდან შემოდის მადამ  
ჰელსეტი.

სუფრა აალაგეთ, მადამ ჰელსეტ. პასტორი არაფერს არ  
მიირთმევს... რექტორი კი წავიდა.

მადამ ჰელსეტი. წავიდა? ვითომ რატომო?

რებეკა (ხელსაქმეს დასწვდება). რა ვიცი, ასე თქვა, თავსხმა იქნებო...  
მადამ ჰელსეტი. სასწაული თუ გნებავთ, ეს არის! მთელი საღამო

ერთი ღრუბელიც არ გამოჩენილა ცაზე.

რებეკა. ნეტავი თეთრ ცხენს არსად გადაეყაროს. მე მგონია, ეს  
მოჩვენებები აქ მალე სეირს გვიჩვენებენ.

მადამ ჰელსეტი. ღმერთო დიდებულო! ამ საშინელებაზე ასე  
ლაპარაკი გაგონილა, ფრიოკენ?

რებეკა. აბა, აბა...

მადამ ჰელსეტი (ჩუმად). ნუთუ მართლა გგონიათ, რომ ჩვენსას  
ასე მალე მოკვდება ვინმე?

რებეკა. არა, კი არა მგონია... მაგრამ ამქვეყნად იმდენი თეთრი  
ცხენია, მადამ ჰელსეტ... აბა, ღამე მშვიდობისა! მე წავალ.

მადამ ჰელსეტი. ღამე მშვიდობისა, ფრიოკენ.

რებეკა ხელმარჯვნივ გადის.

(ლამპას აქრობს, თავს აქნევს და ბუტბუტებს). ღმერთო დიდებულო...  
ხანდახან რაღას არ იტყვის ეს ფრიოკენ ვესტი!

## მეორე მოქმედება

იუჰანეს როსმერის კაბინეტი. მარცხენა კედელში დატანებულია შემოსასვლელი კარი. ოთახის სიღრმეში კარის კრილია. აქეთ-იქით გადაწეული პორტიერებით; ამ კართ კაბინეტი საძილე ოთახს უკავშირდება. ხელმარჯვნივ ფანჯარაა, მის წინ კი — მაგიდა, რომელზედაც წიგნები და ქაღალდებია დახვავებული. კედლების გასწვრივ წიგნის თაროები და კარადებია. მთელი ავეჯი და მორთულობა საკმაოდ უბრალოა. ხელმარცხნივ ძველებური კანაპეა, მის წინ კი მაგიდა.

საშინაო სერთუკში გამოწვობილი იუჰანეს როსმერი საწერ მაგიდასთან ზის მაღალზურგიან სკამზე; რომელიღაც თხელყდიან წიგნს კრის და ათვლიერებს. მარცხენა კარზე აკაეუნებენ.

როსმერი (თავის მოუბრუნებლად). მობრძანდით.

რებეკა (შემოდის; საშინაო კაბა აცვია). დილა მშვიდობისა.

როსმერი (ეურნალს ფურცლავს). დილა მშვიდობისა, ძვირფასო, გინდოდა რამე?

რებეკა. მინდოდა გამეგო, როგორ გეძინა.

როსმერი. დიდებულად, სიზმარიც კი არ მინახავს. (შეტრიალდება).  
შენ?

რებეკა. გმადლობ. ისე, გამთენიისას...

როსმერი. იცი რა? დიდიხანია, ასე ლალად აღარ მიგრძენია თავი.  
ო-ო!.. კიდევ კარგი, რომ გუშინ ყველაფრის თქმა მოვასწარი.

რებეკა. დიახ, აქამდე სულ ტყუილად სდუმდი, როსმერ.

როსმერი. მეც არ ვიცი, რისი მეშინოდა.

რებეკა. არა, ეს შიშის ბრალი ხომ არ ყოფილა...

როსმერი. კი მაგრამ... არა, თუ კარგად დაეუკვირდებით, შიშიც  
ერია.

რებეკა. მით უფრო მეტი სიმამაცე იყო შენის მხრივ, რომ ასე  
ერთბაშად გაწყვიტე მათთან კავშირი. (როსმერის გვერდით ჯდება  
სკამზე). მე კი მინდა გიამბო, რა ჩავიღინე... ხომ არ  
გამიჩაერდები?

როსმერი. გაგიჩაერდები?.. ეგ რამ გაფიქრებინა, ჩემო ძვირფასო?

რებეკა. რამ და იმან, რომ, ცოტა არ იყოს, თვითნებურად  
მოვიქეცი.

როსმერი. მაინც?..

რებეკა. წუხელის, ულრიკ ბრენდელმა წასვლა რომ დააპირა,  
წერილი გავატანე მორტენსპორთან.

როსმერი (ცოტა არ იყოს, ჩაფიქრებით). აჰ, ჩემო კარგო... მაინც რა მისწერე?..

რებეკა. მივწერე, რომ დიდ სამსახურს გაგიწვედა, თუკი გარკვეულ თანაგრძნობას გამოიჩენდა ამ უბედური კაცის მიმართ და შეძლებისდაგვარად დაეხმარებოდა მას.

როსმერი. ნეტავი ეგ არ გექნა, ძვირფასო. ამით ბრენდელს მხოლოდ დათვური სამსახური გაუწიე. ეგეც არ იყოს, მორტენსპორი ისეთი კაცია, რომ მე მერჩია, რაც შეიძლება შორს ვყოფილიყავი მისგან. თუ გახსოვს, ერთხელ კი გვარიანი შეტაკებაც მოგვივიდა.

რებეკა. კი მაგრამ, როგორ გგონია, ხომ არ დადგა დრო, რომ მეგობრული ურთიერთობა დაამყარო მასთან?

როსმერი. მე? მორტენსპორთან? ვითომ რატომაო?

რებეკა. იმიტომ, რომ შენი მდგომარეობა, ცოტა არ იყოს, საეკვეო გახდა... მას შემდეგ, რაც კავშირი გაწყვიტე ძველ მეგობრებთან.

როსმერი (უყურებს და თავს აქნევს). ნუთუ მართლა გგონია, რომ კროლი ან რომელიმე მათგანი შურს იძიებს?.. რომ თუნდაც ერთ მათგანს შეუძლია უღირსი რამე იკადროს?..

რებეკა. ცხელ გულზე, ჩემო ძვირფასო, კაცმა არ იცის, ვინ რას მოიმოქმედებს. თუ რექტორის რეაქციის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ...

როსმერი. ო, შენ მაგას აღარ იტყობი, უკეთ რომ იცნობდე რექტორს. კროლი უაღრესად კეთილშობილი კაცია. ნასადილევს ქალაქში წავალ და მოველაპარაკები მასაც და დანარჩენებსაც. აი, ნახავ, ყველაფერს მოვევლება...

მარცხენა კარიდან შემოდის მადამ ჰელსეტი.

რებეკა (წამოდგება). რა მოხდა, მადამ ჰელსეტი?

მადამ ჰელსეტი. წინკარში რექტორი კროლი იცდის.

როსმერი (სწრაფად ღებთ). კროლი?

რებეკა. რექტორი? გესმის?..

მადამ ჰელსეტი. კითხულობს, თუ შეიძლება ზევით ავიდე და პასტორს მოველაპარაკო.

როსმერი (რებეკას). რას გეუბნებოდი?.. რა თქმა უნდა, შეიძლება. (კართან მიდის და ქვევით ჩასძახის). ამოდი, ამოდი, ძმაო და მეგობარო! გამარჯობა! (ღვას და კარი ხელით უჭირავს, რომ არ მიიხუროს).

მადამ ჰელსეტი მიდის. რებეკა პორტიერებს გადმოსწევს და ოთახში რალაცას ალაგებს. შემოდის რექტორი კროლი; ხელში ქუდი უჭირავს.

(ჩუმად, გულაჩუყებით). ვიცოდი, რომ საბოლოოდ არ დაგვიკარგავს ერთმანეთი...

**კროლი.** დღეს ყველაფერი სულ სხვანაირად წარმომიდგება, ვიდრე გუშინ.

**როსმერი.** მართალს ამბობ, კროლ?.. როდისლა მოასწარი?..

**კროლი.** შენ უკულმა გესმის ჩემი სიტყვები. (ქულს კანაქსთან მღვარა მაგიდაზე დებს). დაუყოვნებლივ უნდა მოგელაპარაკო, პირისპირ.

**როსმერი.** ფრიოკენ ვესტიც რომ დაგვესწროს, არ შეიძლება?

**რებეკა.** არა, არა, ბატონო როსმერ, მე წავალ.

**კროლი** (ახელ-დახელავს). ბოდიში უნდა მოვუხადო ფრიოკენ ვესტს, რომ ასე დილაადრიან დაგირღვიეთ მყუდროება. მოულოდნელად დაგადექით თავზე, და თქვენ ისიც კი ვერ მოასწარით, რომ...

**რებეკა** (გაოგნებული). როგორ? თქვენ ასე უჩვეულოდ მიგაჩნიათ, რომ საშინაო კაბა მაცვია დილით?

**კროლი.** როგორ გეკადრებათ? მე ხომ წარმოდგენაც არა მაქვს, რა ხდება ახლა როსმერსპოლში?

**როსმერი.** კი მაგრამ... დღეს ნამდვილად ველარ გცნობ, კროლ!

**რებეკა.** კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო რექტორო. (ხელმარცხნივ გადის).

**კროლი.** შენის ნებართვით... (კანაქსზე ჩამოქდება).

**როსმერი.** დიახ, ჩამოვქდეთ და გულიანად მოვილაპარაკოთ. (რექტორის პირისპირ ჩამოქდება სკამზე).

**კროლი.** წუხანდელს აქეთ თვალი არ მომიხუჭავს. მთელი ღამე ფიქრში გავათენე.

**როსმერი.** დღეს რაღას იტყვი?

**კროლი.** ბევრი რამე მაქვს სათქმელი, როსმერ. ნება მიბოძე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი შესავლით დავიწყო. მინდა რაღაცა გაცნობო ულრიკ ბრენდელზე.

**როსმერი.** შენთან ხომ არ ყოფილა?

**კროლი.** არა. ერთ ბინძურ ღუქანში დაბინავდა და, რაღა თქმა უნდა, გარსაც ყველაზე ბინძური ამფსონები შემოიხვია. სვამდა და სხეებსაც უმასპინძლებოდა, სანამდის ფული იყო. მერე კი გინება დაუწყო თავის ამფსონებს, სულ ღორები და ძაღლიშვილები უძახა. ისე, კაცმა რომ თქვას, მართალიც იყო. მაგრამ კაი გვარიანად ეუფეს და თხრილში ჩააგდეს.

**როსმერი.** სულ მთლად ხელიდან წასულა საწყალი.



კროლი. სერთუეცი დააგირაეა. მაგრამ ამბობენ, გამოისყიდესო.  
აბა, თუ გამოიცინობ, ვინ?

როსმერი. შენ?

კროლი. არა. კეთილშობილმა ბატონმა მორტენსპორმა.

როსმერი. მართლა?

კროლი. როგორც გადმომცეს, ბატონი ბრენდელი ყველაზე უმაღლეს  
სწორედ ამ „ილიოტსა და მდაბიორს“ სწვევია თურმე.

როსმერი. როგორც ჩანს, არც შემცდარა...

კროლი. რა თქმა უნდა, (მაგიდას ეყრდნობა და ოდნავ იხრება  
როსმერისაკენ). მაგრამ აქ ჩვენ მივადექით საკითხს, რომელთან  
დაკავშირებითაც მე, ჩვენი ძველი... ჩვენი ყოფილი  
მეგობრობის სახელით, თავს მოვალედ ვთვლი, გაგაფრთხილო.

როსმერი. კი მაგრამ, მაინც რა მოხდა, ჩემო ძვირფასო?

კროლი. საქმე ისაა, რომ შენს საკუთარ სახლში და, როგორც  
ჩანს, შენს ზურგს უკან რალაცას გიწყობენ...

როსმერი. ეგ რამ გაფიქრებინა? შენ... ფრიოკენ ვესტს ხომ არ  
გულისხმობ?

კროლი. დიახ. ამ შემთხვევაში, მშვენივრად მესმის მისი. რა ხანია  
მიეჩვია იმას, რომ ყველაფერს თვითონ განაგებს აქ. მაგრამ  
მაინც...

როსმერი. ღმერთმანი, სცდები, ჩემო ძვირფასო. ჩვენ არაფერს არ  
ვუმაღავთ ერთიმეორეს.

კროლი. მაშინ მითხარი, თუ გამოგიტყდა, რომ „შუქურას“  
რედაქტორთან მიმოწერა აქვს გაჩაღებული?

როსმერი. აჰ, შენ იმ ბარათს გულისხმობ, ულრიკ ბრენდელს რომ  
გაატანა?

კროლი. მაშ, უკვე იცი? და იწონებ იმას, რომ ფრიოკენ ვესტს  
ურთიერთობა აქვს ამ ბინძურ მკლაბნელთან და ინტრიგანთან,  
რომელიც ყოველ კვირას ცდილობს სამარცხვინო ბოძზე  
გამაკრას და გააფრთხებით ესხმის თავს ჩემს სკოლასაც და  
ჩემს საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც?

როსმერი. ამაზე მას, როგორც ჩანს, არც უფიქრია, ჩემო ძვირფასო.  
ისე კი, ბოლოს და ბოლოს, ფრიოკენ ვესტს ჩემზე არანაკლები  
უფლება აქვს, ისე მოიქცეს, როგორც თვითონ სურს.

კროლი. მართლა? ეს, ალბათ, შენს ახალ მიმართულებას  
უკავშირდება. ფრიოკენ ვესტიც ხომ, რალა თქმა უნდა, იქამდე  
მივიდოდა, სადამდისაც მიხვედი შენ.

როსმერი. დიახ, ისიც. ჩვენ ერთად ვმუშაობდით იმისთვის, რომ  
ახალ გზას დავდგომოდით.

კროლი (უყურებს და ნელა აქნევს თავს). აჰ, შე დაბრმავებულო და მოტყუებულო კაცო!

როსმერი. მე?.. ვინ მოგახსენა?

კროლი. თუმცა მე რა უფლება მაქვს... ან როგორ გავბედავ, რომ უფრო უარესი ვიფიქრო? არა, არა, მხოლოდ ერთი კი მათქმევიწინე... მართლა აფასებ ჩემს მეგობრობას და პატივისცემას, როსმერ?

როსმერი. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ზედმეტად მიმაჩნია.

კროლი. მაშინ სხვა კითხვები მოითხოვენ პასუხსაც და ახსნა-განმარტებასაც. თუ ნებას მომცემ, ერთგვარ დაკითხვას მოგიწვობ.

როსმერი. დაკითხვას?

კროლი. დიახ, თუ ნებას მომცემ, რამდენიმე კითხვას დაგისვამ იმასთან დაკავშირებით, რისი გახსენება, შენთვის, შესაძლოა, ძალზე მტკივნეულიც იყოს. იცი, რა?.. ეს შენი განდგომილება... ანუ, როგორც შენ თვითონ უწოდებ, „განთავისუფლება“... ყოველივე ეს უშუალოდ უკავშირდება ბევრ სხვა რამეს, რაც თუ შენი თავისთვის სიკეთე გასურს, უთუოდ უნდა ამიხსნა.

როსმერი. რაც გინდა, მკითხე, ჩემო ძვირფასო, მე დასამალი არაფერი მაქვს.

კროლი. მაშინ მითხარი, როგორ გგონია, მაინც რატომ მოიკლა თავი ბეატამ? რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი?

როსმერი. ნუთუ მართლა რამე გაეკვებეს? ან, უფრო სწორად, ნუთუ შეიძლება ესოდენ უბედური, შეურაცხადი ავადმყოფების ქცევის მიზეზთა გამოძიება?

კროლი. დარწმუნებული ხარ, რომ ბეატა მართლა აბსოლუტურად შეურაცხადი იყო? ყოველ შემთხვევაში, ექიმებს ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად არ მიაჩნდათ.

როსმერი. ექიმებს რომ იმ დღეში ენახათ, რა დღეშიაც პირადად მე გამუდმებით ვხედავდი მას, საეჭვო აღარაფერი ეჩნებოდათ.

კროლი. უწინ არც მე მეპარებოდა ეკვი.

როსმერი. სამწუხაროდ, ეკვის შეტანა შეუძლებელი იყო. ხომ მითქვამს შენთვის, რა ველური და აღვირახსნილი ჟინი მოუვლიდა ხოლმე... ჩემგან კი მის დაკმაყოფილებას მოითხოვდა... ო, რა თავზარდამცემი იყო ამ დროს!.. შემდეგ კი მთელი ეს მისი უსაფუძვლო სინიდისის ქენჯნა და გამუდმებული თვითგვემა უკანასკნელ წლებში...

კროლი. დიახ, როცა გაიგო, რომ შვილი არ ეყოლებოდა.

- როსმერი.** თავად განსაჯე: ყოველდღე სჯიჯგნიდე, სტანჯავდე და აწამებდე შენსავე თავს, მიუხედავად იმისა, რომ არაფერში არა ხარ დამნაშავე!.. შეურაცხადის საქციელია, აბა, რა არის?
- კროლი.** ჰმ... თუ გახსოვს, ხომ არ გქონდა სახლში წიგნები, რომლებშიაც ჩვენი დროის უახლესი თვალსაზრისით იყო განხილული ქორწინების დანიშნულება და მიზნები?
- როსმერი.** მახსოვს, ფრიოკენ ვესტმა წასაკითხად მომცა ერთი ასეთი თხზულება, როგორც მოგეხსენება, ექიმ ვესტის მთელი ბიბლიოთეკა მის ხელში გადავიდა. მაგრამ ხომ არ გგონია, ძვირფასო კროლ, თითქოს ისეთი წინდაუხედავები ვიყავით, რომ საბრალო ავადმყოფისთვის გაგვეზიარებინა ეს საკითხები. პატიოსნებას გეფიცები, ამ მხრივ ჩვენ არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვის. ყველაფრის მიზეზი მისი აწეწილ-დაწეწილი ნერვები იყო; სწორედ ისინი მიაქანებდნენ მოლიბულის გზით.
- კროლი.** ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ მაინც შემიძლია გაგანდო დღეს. კერძოდ, ის, რომ, საცოდავმა, გაწამებულმა და ეგზალტირებულმა ბეატამ მხოლოდ იმიტომ მოიკლა თავი, რომ საშუალება მოეცა შენთვის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებით გეცხოვრა.
- როსმერი** (ნახევრად წაშიფვეს სკამიდან). მაგით რისი თქმა გნებავს?
- კროლი.** მშვიდად მისმინე, როსმერ. ახლა კი შემიძლია ყველაფერი გითხრა. თავისი სიცოცხლის ბოლო წელს ბეატა ორჯერ იყო ჩემთან, რათა თავისი შიში თუ სასოწარკვეთილება გაენდო და გული მოეოხებინა.
- როსმერი.** ისევ თავის ძველ?..
- კროლი.** არა. პირველად მარწმუნებდა, თითქოს შენ განდგომილების გზას დაადექი და მზადა ხარ უღალატო მამა-პაპათა რწმენას.
- როსმერი** (ფიცხლად). ეს შეუძლებელია, კროლ! ღმერთმანი სცდები.
- კროლი.** რატომ?
- როსმერი.** იმიტომ, რომ ბეატას სიცოცხლეში მე თვითონაც ვეკვივობდი და გამუდმებით ვებრძოდი ჩემს თავს და ეს ბრძოლა მარტოდმარტომ მივიყვანე ბოლომდე, ისე რომ არავისთვის ერთი სიტყვაც არ მითქვამს. არა მგონია, რომ თვით რებეკასაც...
- კროლი.** რებეკასაც?
- როსმერი.** დიახ... ფრიოკენ ვესტს... მე უბრალოდ რებეკას ვეძახი ხოლმე.
- კროლი.** უკვე შევნიშნე.

**როსმერი.** აი, რატომაა, რომ ვერასდიდებით ვერ გამოვიცა, როგორ უნდა მისულიყო ბეატა ამ დასკვნამდე. რატომ მე თვითონ არ მითხრა? ღმერთმანი, არასოდეს, ერთი სიტყვიც არ უხსენებია ეს.

**კროლი.** საცოდავი... მე კი მიხვოდა, მევედრებოდა, მოელაპარაკეო.

**როსმერი.** მერედა, შენ მაინც გეთქვა რამე.

**კროლი.** კი მაგრამ, განა შემეძლო, თუნდაც ერთი წუთით ექვი შემეტანა მის არანორმალურობაში? ამ გაუგონარ ბრალდებას სხვა ვინ წაუყენებდა შენაირ კაცს?.. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კი... მეორედაც მოვიდა. ერთის შეხედვით, თითქოს შშვიდი ჩანდა. მაგრამ წასვლისას მითხრა: „ახლა როსმერსპოლში მალე უნდა ელოდნენ თეთრ ცხენსო“.

**როსმერი.** დიახ, დიახ. თეთრი ცხენი... ხშირად ახსენებდა.

**კროლი.** როცა შევეცადე, ამნაირი სევდიანი ამბები გამექარწყლებინა მისთვის, პასუხად მითხრა: „დიდი დღე აღარ დამრჩენია. იუჰანესმა სასწრაფოდ უნდა შეირთოს რებეკა“.

**როსმერი** (ესა აღარ ემორჩილება). რას ამბობ?.. ვინ უნდა შევიერთო?..

**კროლი.** ეს მითხრა ხუთშაბათს, ნასადილევს. შაბათ საღამოს კი ბოგირიდან წყალვარდნილში გადაეშვა.

**როსმერი.** კი მაგრამ, რატომ არ გაგვაფრთხილე?..

**კროლი.** ხომ იცი, რა ხშირად გადაგვიკრავდა სიტყვას, მალე მოკვდებო.

**როსმერი.** ვიცი, ვიცი... მაგრამ მაინც უნდა გაგეფრთხილებინეთ!

**კროლი.** დავაპირე კიდეც, მაგრამ, საუბედუროდ, დავიგვიანე.

**როსმერი.** მას მერე მაინც რატომღა სდუმდი?

**კროლი.** რა მექნა, ყველაფერზე ხელი ჩამექნია და მეთქვა, კიდეც უფრო მეტანჯე და მეწამებინე? მე ხომ ეს სნეულის უსაგნო და უშინაარსო ზმანება მეგონა... თვით გუშინდლამდე.

**როსმერი.** დღეს კი სხვა რამე გგონია?

**კროლი.** განა ბეატა მართალი არ იყო, როცა ამბობდა, რომ მზად იყავი ხელი აგელო ბავშვობიდანვე შესისხლხორცებულ მრწამსზე?

**როსმერი** (სიკრესს მიაპყრობს მხერას). რა ვქნა, არ მესმის. ყოველივე ეს გონებაშიუწვდომელია ჩემთვის.

**კროლი.** გონებაშიუწვდომელია თუ მისაწვდომი, ეს ასეა. და, აი, მე გეკითხები, როსმერ, რამდენად მართალია მისი მეორე — უკანასკნელი ბრალდება?

**როსმერი.** ბრალდება?.. მაშ, ეს ბრალდება იყო?

- კროლი.** როგორც ჩანს, სათანადო ყურადღება არ მიგიქცევია მისი სიტყვებისათვის. მან თქვა, მალე მოვკვდებიო. კი მაგრამ, რატომ? ა?
- როსმერი.** იმიტომ, რომ რებეკა შემერთო...
- კროლი.** არა, მთლად ასე არ უთქვამს; აი, მისი სიტყვები: „დიდი დღე აღარ დამჩენია. იუჰანესმა სასწრაფოდ უნდა შეერთოს რებეკა“.
- როსმერი** (ერთხანს უსიტყვოდ მისჩერებია, შემდეგ ფეხზე დგება). ახლა კი მიგიხვდი, კროლ.
- კროლი.** მერედა, რას მიპასუხებ?
- როსმერი** (კვლავინდებურად ხმადაბლა და აუშლერეველად). ამ გაუგონარ ბრალდებაზე?.. ერთადერთი პასუხი, ალბათ, ის იქნებოდა, რომ კარი მეჩვენებინა შენთვის.
- კროლი** (დგება). კეთილი.
- როსმერი** (მის წინ ჩერდება). ყური მიგდე. ბეატას სიკვდილის შემდეგ... აგერ უკვე წელზე მეტია... მე და რებეკა ვესტი ერთადა ვცხოვრობთ როსმერსპოლში. მთელი ამ ხნის მანძილზე შენ იცოდი, რაშიაც გვადანაშაულებდა ბეატა, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ გიგრძნობინებია, რომ საძრახისად მიგაჩნდა ჩვენი ერთ ჭერქვეშ ყოფნა.
- კროლი.** წუხანდლამდე აზრადაც არ მომსვლია, რომ ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ განდგომილი და... ქალი, რომელიც თავისუფალ შეხედულებებს იზიარებს.
- როსმერი.** აა! მაშ, შენის აზრით, განდგომილთა და თავისუფლად მოაზროვნეთათვის უცხოა ზნეთა სიწმინდე? არ გჭერა, რომ ისინიც ემორჩილებიან ზნეობის კანონებს თავიანთი ბუნების შინაგან მოთხოვნილებათა შესაბამისად?
- კროლი.** მართალი გითხრა, მე ნაკლებად ვენდობი ზნეობას, რომელიც საეკლესიო სარწმუნოებას არ ეფუძნება.
- როსმერი.** და ამ ადლით გვზომავ როგორც მე და რებეკას, ისე ჩვენს ურთიერთობასაც?
- კროლი.** მე არ შემიძლია თქვენ ორის გამო მცდარად მივიჩნიო ის აზრი, რომ გადაულახავი უფსკრული როდი ძვეს თავისუფალ აზროვნებასა და... ჰმ...
- როსმერი.** დაამთავრე!
- კროლი.** ... თავისუფალ აზროვნებასა და თავისუფალ სიყვარულს შორის, — თუკი ასე ძალიან გაინტერესებს.
- როსმერი** (ჩუხად). არც კი გრცხვენია, რომ ამას მეუბნები. შენ ხომ ბავშვობიდანვე მიცნობ.

**კროლი.** საქმეც ეგაა. მე ვიცი, რა ადვილად ემორჩილები გარეშე ხალხის გავლენას. ეს შენი რებეკა კი... დიახ, ეს ფრიოკენ ვესტი... წარმოდგენაც არა გვაქვს, ვინ არის, რა ადამიანია! ერთის სიტყვით... მე შენ არ უარგყოფ, როსმერ. მაგრამ შენც ეცადე და... დროულად უშველე თავს.

**როსმერი.** თავს ვუშველო? კი მაგრამ, რა მჭირს საშველი?..

მარცხენა კარში შემოიხედავს მადამ ჰელსეტი.

რა გნებავთ?

**მადამ ჰელსეტი.** მინდოდა მეთხოვა ფრიოკენისათვის, იქნებ ქვევით ჩამოსულიყო.

**როსმერი.** აქ რომ არ არის?

**მადამ ჰელსეტი.** არ არის?.. (აქეთ-იქით იუურება). სასწაულია! (მიდის).

**როსმერი.** რას ამბობდი?..

**კროლი.** მომისმინე. რა ხდებოდა აქ მალულად ბეატას სიცოცხლეში... და რაც გრძელდებოდა მისი სიკვდილის შემდეგ, — ამას აღარ გამოვეყიდე. ვიცი, რა უბედურიც იყავი ოჯახურ ცხოვრებაში, და ეს ნაწილობრივ გამართლებს შენ.

**როსმერი.** რა ცუდად გცნობივარ?..

**კროლი.** ნუ მაწყვეტინებ. აი, რას გეტყვი: თუკი ეს შენი ურთიერთობა ფრიოკენ ვესტთან კვლავინდებურად უნდა გაგრძელდეს, ყოვლად აუცილებელია, რომ პირში წყალი ჩაიგუბო და კრინტი არ დასძრა იმ გარდატეხაზე... უფრო სწორად, შენს სავალალო განდგომილებაზე, რაშიაც ამ ქალბატონს მიუძღვის ბრალი... დამამთავრებინე! დამამთავრებინე-მეთქი! მე გეუბნები, თუკი საქმეს ალარაფერი ეშველება, ნება შენია, იფიქრე, იაზროვნე და გწამდეს ისე, როგორც შენ თვითონ გნებავს... როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებითაც. მაგრამ შენი აზრები შენთვისვე შეინახე. ეს ხომ შენი პირადი საქმეა, და სულაც არ არის სავალდებულო, მთელ ქვეყანას მოსდო შენი განდგომილების ამბავი.

**როსმერი.** მე მინდა თავი დავალწიო ამ ყალბსა და ორკოფულ მდგომარეობას.

**კროლი.** მაგრამ შენ შეკრული ხარ მოვალეობით, შენივე გვარის ტრადიციებით, როსმერ. ნუ დაივიწყებ, რომ როსმერსპოლში იმთავითვე ითვლებოდა თავისებურ წმინდა კერად, რომელიც ხელს უწყობდა წესრიგისა თუ კანონიერების განმტკიცებას... და პატივისცემის დანერგვას ყოველივე იმის მიმართ, რასაც საზოგადოების უკეთესი ნაწილი თავის ღირსების საქმედ

აღიარებდა. მთელი ჩვენი მხარის სულიერი ცხოვრება როსმერსპოლმის გავლენითაა აღბეჭდილი. და თუ გავარდა ხმა, რომ შენ თვითონვე აქციე ზურგი იმას, რასაც მე როსმერების საგვარეულო ცხოვრების წესს ვუწოდებდი, ეს გამოიწვევს უკიდურესად მაგნე გავლენას და საზარელ ექვს დათესავს მართლმორწმუნეთა სულში.

**როსმერი.** მე კი სულ სხვანაირად მესახება საქმე... ძვირფასო კროლ. ამიტომაც ჩემს უშუალო მოვალეობად მიმაჩნია სინათლისა და სიხარულის ერთი სხივი მაინც მოვფინო აქაურობას, სადაც როსმერების გვარი ამდენი ხნის მანძილზე მხოლოდ სიბნელესა და მონობას ავრცელებდა ირგვლივ.

**კროლი** (მაკარად უუარებს). ვერაფერს იტყვი, მართლაც, რომ ღირსეული ამოცანაა იმ კაცისათვის, ვის სიკვდილთან ერთადაც მთელი გვარი უნდა გადაეგოს. მოეშვი ამას! ეს შენი საქმე არ არის. შენ იმისთვის ხარ შექმნილი, რომ სწავლულის მყუდრო და უშფოთველი ცხოვრებით იცხოვრო.

**როსმერი.** შესაძლოა. მაგრამ მე მაინც მინდა ჩავერიო ცხოვრებისეულ ბრძოლაში, დიახ, მეც...

**კროლი.** ცხოვრებისეულ ბრძოლაში?... მაგრამ თუ იცი, რითი დამთავრდება ეს ბრძოლა შენთვის? გამარჯვებით კი არა, არამედ განადგურებით, დიახ, შენი და შენი მეგობრების განადგურებით.

**როსმერი** (ჩუმაღ). ყველა შენნაირი ფანატიკოსი ხომ არ იქნება.

**კროლი.** რა გულუბრყვილო ხარ, როსმერ... გულუბრყვილო და გამოუცდელი. წარმოდგენაც არა გაქვს, სრულიად მოულოდნელად, რა მეხი შეიძლება დაგატყდეს თავზე.

**მადამ ჰელსეტი** (მარცხენა კარიდან შემოიხედავს). ქალბატონმა მიბრძანა...

**როსმერი.** რა?

**მადამ ჰელსეტი.** ქვემოთ ვილაც კაცი გელოდებათ, პატარა საქმე აქვს პასტორთანაო.

**როსმერი.** ის ხომ არა, წუხელი რომ იყო?

**მადამ ჰელსეტი.** არა, ამას მორტენსპორი ჰქვია...

**როსმერი.** მორტენსპორი?

**კროლი.** აჰ! ხედავთ, სადამდის მისულა საქმე?

**როსმერი.** რა საქმე აქვს ჩემთან? რატომ უკანვე არ გააბრუნეთ?

**მადამ ჰელსეტი.** ფრიოკენმა მიბრძანა, მეკითხა თქვენთვის, შეიძლება თუ არა, ზევით ამოვიდესო?

**როსმერი.** უთხარით, რომ სტუმარი მყავს...

კროლი (მადამ პელსეტს). ჩემი ნუ მოგერიდებათ. სთხოვეთ, მადამ პელსეტს. (მადამ პელსეტის გასვლისთანავე ქულს დასწკლებს). მე ადგილს ვუთმობ... ჭერჭერობით. მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა ჭერ კიდევ წინ არის.

როსმერი. გეფიცები, კროლ... მორტენსჰორთან არავითარი საქმე არა მაქვს.

კროლი. მე უკვე აღარ მჭერა შენი. ამიერიდან არაფერში აღარ გენდობი. კეთილი! თუ ბრძოლაა, ბრძოლა იყოს, სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა! ჩვენ ვეცდებით განგაიარალოთ... გაგაუენებლოთ!

როსმერი. აჰ, კროლ, კროლ... როგორ დამდაბლდი და დაეცი?

კროლი. მე? შენ უნდა მკადრებდე მაგას? გირჩევნია, შენს თავს დაუყვირდე. აბა, გაიხსენე ბეატა!

როსმერი. კვლავ შენსას გაიძახი?

კროლი. არა, პირადად შენა და შენს სინდისს განდობთ ბეატას სიკვდილის მიზეზში გარკვევას, თუკი, რა თქმა უნდა, სინდისის ნასახი მაინც შეგრჩა.

პეტერ მორტენსჰორი ჩუმად და მოკრძალებით შემოდის მარცხენა კარიდან. კაფანდარა კაცია, ქერა, მეჩხერი თმა-წვერი აქვს.

(მძულვარებით სავსე მზერით ეგებება). აა, როგორც ჩანს „შუქურას“... როსმერსჰოლმში ანათებენ! (სერთუკს იკრავს). რაღას ვყოყმანობ, გასაგებია. რა კურსიც უნდა ავიღო.

მორტენსჰორი (თვინიერად). „შუქურა“ ყოველთვის მზადაა, თავისებურად გაუნათოს გზა ბატონ რექტორს.

კროლი. დიახ, დიახ, რა ხანია დაამტკიცეთ თქვენი მზადყოფნა. არადა, ხომ არსებობს ალექსა, რომელიც მოყვასის მიმართ ცილისწამებას უკრძალავს კაცს.

მორტენსჰორი. თქვენ ვერ მასწავლით ვერცერთ ალექსას.

კროლი. ვერც მეშვიდეს?

როსმერი. კროლ!..

მორტენსჰორი. თუ საქმე საქმეზე მიდგა, ეს უფრო პასტორს შეჰფერის.

კროლი (ირონიით). პასტორს? რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ეს სწორედ პასტორ როსმერს შეჰფერის... წარმატებას გისურვებთ, ბატონებო! (გაღის და კარს გაიჭახუნებს).

როსმერი (კარგა ხანს მისჩერება კარს და თითქოს თავისთვის ამბობს). დიახ, დიახ... რაც არის, არის. (შემობრუნდება). მითხარით, ბატონო მორტენსჰორ, რამ მოგიყვანათ ჩემთან?



- მორტენსჰორი.** მართალი გითხრათ, მე უფრო ფრიოკენ ვესტთან მქონდა საქმე. მინდოდა მადლობა მომეხსენებინა იმ გულთბილი წერილისათვის, რომელიც გუშინ გამომიგზავნა.
- როსმერი.** ვიცი, რომ წერილი მოგწერათ... მერედა, ელაპარაკეთ?
- მორტენსჰორი.** დიახ. (ოდნავ შესაშინევად ეღიბება). ამბობენ, როსმერსჰოლმში, შეხედულებების თვალსაზრისით, გარკვეული ცვლილებები მოხდაო.
- როსმერი.** დიახ, ჩემმა შეხედულებებმა ძირეული ცვლილება განიცადა; თითქმის ყველა საკითხში.
- მორტენსჰორი.** ფრიოკენ ვესტმა ასეც მითხრა. ამიტომაც საჭიროდ მიიჩნია, რომ შეგხვედროდით და ამის თაობაზე გველაპარაკა.
- როსმერი.** კერძოდ, რის თაობაზე, ბატონო მორტენსჰორ?
- მორტენსჰორი.** თუ ნებას მომცემთ. „შუქურაში“ გამოვაქვეყნებთ ცნობას იმის შესახებ, რომ შეხედულებები შეიცვალეთ და ახლა თავისუფალ აზროვნებასა და პროგრესს უჭერთ მხარს.
- როსმერი.** დიდი სიამოვნებით. ნებას მოგცემთ კი არა და, გთხოვთ კიდევ.
- მორტენსჰორი.** თუ ასეა, ხვალ დილითვე გამოვაქვეყნებთ. ეს იქნება სრულიად უჩვეულო, ყველასათვის მოულოდნელი ამბავი: პასტორი როსმერი ახლა სულ სხვანაირ შეხედულებებს იზიარებს და შესაძლებლად მიიჩნევს, ამ თვალსაზრისით ითანამშრომლოს განათლებისათვის ბრძოლის საქმეში.
- როსმერი.** კარგად არ მესმის თქვენი.
- მორტენსჰორი.** მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი პარტია დიდ მორალურ მხარდაჭერას იძენს ყოველი ახალი, სერიოზული და მორწმუნე თანამოაზრის შემომატებით.
- როსმერი** (ცოტა არ იყოს, განციფრებით). მაშ, თქვენ არ იცით? განა ფრიოკენ ვესტს არაფერი უთქვამს?..
- მორტენსჰორი.** მაინც რა უნდა ეთქვა, ბატონო პასტორო? ალბათ არ ეცალა. მხოლოდ ის მითხრა, რომ თქვენთან ამოვსულიყავი; დანარჩენს თვითონ გეტყვითო.
- როსმერი.** მაშინ უნდა მოგახსენოთ, რომ ამიერიდან, თხემით ტერფამდე, თავისუფალ მოაზროვნედ ვთვლი ჩემს თავს. სამუდამოდ ზურგი ვაქციე საეკლესიო მოძღვრებას; საერთოდ აღარაფერი მესაქმება მასთან.
- მორტენსჰორი** (გაოგნებული მისჩერებია). არა... მთვარე რომ დედამიწაზე ჩამოვარდნილიყო, ასე არ... თვით პასტორი განუდგა რწმენას?

**როსმერი.** მე იქ მივედი, სადაც თქვენ უკვე დიდი ხანია დგახართ. აი, ეს აცნობეთ ხვალ თქვენს მკითხველებს.

**მორტენსჰორი.** ესეც?.. არა, ძვირფასო ბატონო პასტორო... მომიტევეთ, მაგრამ უმჯობესია საქმის ამ მხარეს საერთოდ არ შევებოთ.

**როსმერი.** არ შევებოთ?..

**მორტენსჰორი.** ესე იგი, პირველ ხანებში.

**როსმერი.** არ მესმის...

**მორტენსჰორი.** იცით, რას გეტყვით, ბატონო პასტორო?.. როგორც ჩანს, ჩემსავით კარგად არ იცნობთ საქმის ვითარებას. თუკი თქვენ ახლა ლიბერალების მხარეზე გადმოხვედით, და თუ — როგორც ფრიოკენ ვესტმა ბრძანა, — მოძრაობაში მონაწილეობის მიღება გსურთ, ალბათ, მიზნად ისახავთ იმას, მთელს ჩვენს მიმართულებას და თვით მოძრაობას, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოთ.

**როსმერი.** დიახ, სწორედ ეს გახლავთ ჩემი მიზანი.

**მორტენსჰორი.** მაშინ უნდა მოგახსენოთ, ბატონო პასტორო, რომ თუკი ასე ერთბაშად გაამჟღავნებთ თქვენს განზრახვას და მთელ ქვეყანას გააგებინებთ, რომ ეკლესიასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეთ, მაშინ დაუყოვნებლივ თქვენ თვითონვე შეიკრავთ ხელ-ფეხს.

**როსმერი.** თქვენ გგონიათ?

**მორტენსჰორი.** დიახ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. რომ ბევრს ვერაფერს გახდებით ამ ჩვენს მხარეში. ეგეც არ იყოს... თავისუფლად მოაზროვნენი ჩვენს რიგებში ისეც ბევრია, ბატონო პასტორო. მე ვიტყვოდი, მეტისმეტადაც კი მომრავლდა ეს ხალხი. პარტიას ქრისტიანული ელემენტი სჭირდება... ახალი წევრები, რომლებსაც ყველა ანგარიშს გაუწევდა და პატივს სცემდა. ამ მხრივ, მართლაც რომ დიდ ნაკლებობას განვიცდით. ამიტომაც უფრო მიზანშეწონილი იქნება, თქვენთვის შეინახოთ ის, რასთანაც პუბლიკას არაფერი ესაქმება. აი, ჩემი აზრი.

**როსმერი.** მაშასადამე, თქვენ ვერ გაბედავთ ჩემთან საქმის დაქერას, თუკი სახალხოდ ვალიარებ ჩემს განდგომილებას.

**მორტენსჰორი.** (თავს აქნევს). სახიფათოა, ბატონო პასტორო. ამ უკანასკნელ ხანს მე წესად დავრგე, მხარი არ დავუჭირო არავის, ვინც ეკლესიის წინააღმდეგ ილაშქრებს.

**როსმერი.** განა ამ უკანასკნელ ხანს თქვენ კვლავ დაუბრუნდით ეკლესიის წიაღს?

**მორტენსჰორი.** ეგ სულ სხვა საქმეა.

როსმერი. აჰა. მაშინ ყველაფერი გასაგებია.

მორტენსჰორი. ბატონო პასტორო... თქვენ მაინც არ უნდა გავიწყდებოდეთ, რომ მე... დიახ, სწორედ მე... არსებითად, წართმეული მაქვს მოქმედების თავისუფლება.

როსმერი. კი მაგრამ, რატომ?

მორტენსჰორი. იმიტომ, რომ სახელგატეხილი კაცი ვარ.

როსმერი. აა... აი, თურმე...

მორტენსჰორი. დიახ, დიახ, ბატონო პასტორო. თქვენ მაინც უნდა გახსოვდეთ, იმიტომ, რომ ძირითადად სწორედ თქვენ შებღალეთ ჩემი სახელი.

როსმერი. მაშინ რომ იგივე შეხედულებები მქონოდა, რაც ახლა, ალბათ უფრო მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენდი თქვენი შეცოდების შეფასებისას.

მორტენსჰორი. მეც აგრე მგონია. მაგრამ ახლა უკვე გვიანაა. თქვენ სამუდამო დაღი დამასვით, რომელსაც სიკვდილამდე ვერ მოვიცილებ. ალბათ. წარმოდგენაც არა გაქვთ, რა საცოდაობაა ამნაირი კაცის სიცოცხლე. მაგრამ, მე მგონია, მალე საკუთარ თავზე იწვნევთ ამას.

როსმერი. მე?

მორტენსჰორი. დიახ, ხომ არ გგონიათ, რომ რექტორი კროლი და მისი დამქაშები ასე ადვილად გაპატიებენ ამნაირ განხეთქილებას? ო, „სამხარეო გაზეთი“ მწარედ დაგიწყებთ კბენას; ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ, ადვილი შესაძლებელია, რომ თქვენც მოგცხონ ჩირკი.

როსმერი. მე პირადად ჩემი თავი მოუწყვლადი მგონია, ბატონო მორტენსჰორ. ჩემი ქცევა არავითარ საბაზს არ იძლევა თავდასხმისათვის.

მორტენსჰორი (უბიერი ღიმილით). მაგარი ნათქვამია, ბატონო პასტორო.

როსმერი. შეიძლება. მაგრამ მე უფლება მაქვს, ასე ვილაპარაკო.

მორტენსჰორი. მაშინაც კი, თუ ისევე გულმოდგინედ დაიწყებთ ქექვას თქვენს პირად ცხოვრებაში, როგორც ოდესღაც ქექავდით ჩემსას?

როსმერი. თქვენ ისე უცნაური კილოთი ამბობთ ამას, მაინც რას გულისხმობთ? რაიმე ფაქტს?

მორტენსჰორი. დიახ, ერთ, მხოლოდ ერთადერთ ფაქტს. მაგრამ საკმარისია ბოროტმოსურნე მოწინააღმდეგეებმა ალლო აულონ, რომ ყველაფერი უკულმა შეტრიალდეს.

როსმერი. მაშ, იქნებ კეთილ-ინებოთ და მითხრათ, მაინც რომელ ფაქტს გულისხმობთ?

**მორტენსჰორი.** ნუთუ ბატონი პასტორი თვითონ ვერ ხედება?  
**როსმერი.** მართალი გითხრათ, ვერასლიდებით ვერ მივმხდარვარ.

**მორტენსჰორი.** კეთილი. როგორც ჩანს, მე უნდა გითხრათ...  
ჩემთან ინახება ერთი უცნაური წერილი, რომელიც აქ,  
როსმერსჰოლმშია დაწერილი.

**როსმერი.** აა, ფრიოკენ ვესტის წერილი? ნუთუ ასე უცნაურია?

**მორტენსჰორი.** არა, მისი წერილი სულაც არ არის უცნაური.  
მაგრამ მე ერთხელ სხვა წერილიც მივიღე თქვენი სახლიდან.

**როსმერი.** ისიც ფრიოკენ ვესტისაგან?

**მორტენსჰორი.** არა, ბატონო პასტორო.

**როსმერი.** მაშ, ვისგან? ვისგან?

**მორტენსჰორი.** თქვენი განსვენებული მეუღლისაგან.

**როსმერი.** ჩემი მეუღლისაგან? თქვენ მიიღეთ წერილი ჩემი  
მეუღლისაგან?

**მორტენსჰორი.** დიახ, მივიღე.

**როსმერი.** როდის?

**მორტენსჰორი.** მის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. ასე.  
წელიწადნახევარი იქნება. აი, სწორედ ეს წერილია უცნაური.

**როსმერი.** თქვენ, ალბათ, იცით, რომ ჩემი ცოლი იმ დროს სულით  
ავადმყოფი იყო.

**მორტენსჰორი.** დიახ, ვიცი, რომ ბევრს ეგონა ასე. მაგრამ მისი  
წერილის მიხედვით ძნელად თუ იფიქრებ ამას. და თუ მე  
ვამბობ, უცნაური წერილია-მეთქი, სულ სხვა აზრით ვამბობ.

**როსმერი.** ასეთი მაინც რა მოგწერათ ჩემმა საბრალო ცოლმა?

**მორტენსჰორი.** წერილი სახლში მაქვს. დაახლოებით, ასე იწყება:  
შიშისაგან სული მეღევა, იმიტომ, რომ აქ, ამ ჩვენს მხარეში,  
იმდენი ბოროტი ხალხი ცხოვრობს, და ამ ხალხს მხოლოდ  
ერთი საფიქრალი აქვს, როგორმე ავნონ ჩემს ქმარსაო.

**როსმერი.** მე?

**მორტენსჰორი.** დიახ, შავით თეთრზე ასე სწერია. ყველაზე  
უცნაური კი შემდეგ მოდის. ესეც გითხრათ, ბატონო  
პასტორო?

**როსმერი.** აუცილებლად! ყველაფერი! რა თქმა უნდა.

**მორტენსჰორი.** განსვენებული ფრუ როსმერი მთხოვს და  
მევედრება, დიდსულოვანი ვიყო თქვენს მიმართ. ჩემთვის  
ცნობილია, — მწერს იგი, — რომ სწორედ პასტორის  
წყალობით გადაგაყენეს მასწავლებლის თანამდებობიდანო, და  
მთხოვს, შური არ ვიძიო თქვენზე.

**როსმერი.** მაინც რანაირ შურისძიებას უფრთხობდა თქვენი მხრიდან.

**მორტენსჰორი.** მწერდა, თუ თქვენამდე მოაღწევს ხმები იმ ცოდო-ბრალის შესახებ, რაც თითქოს როსმერსჰოლმში ტრიალებს, ყური არ ათხოვოთ მათო; ამ ხმებს განზრახ ავრცელებენ ბოროტი ადამიანები, რომ ჩემი ქმარი დალუპონო.

**როსმერი.** ზუსტად ამ სიტყვებით გწერთ?

**მორტენსჰორი.** თუ გაინტერესებთ, მე შემძლია თვითონვე წაგაკითხოთ.

**როსმერი.** მაგრამ ვერ გამიგია... მაინც რამ მოუარა? რას გულისხმობდა ამ ბოროტ ხმებში?

**მორტენსჰორი.** ჯერ ერთი, იმას, რომ პასტორი თითქოს განუღდა თავის ბავშვობისდროინდელ მრწამსს, რასაც ფრუ როსმერი მაშინ კატეგორიულად უარყოფდა; და მეორეც... ჰმ...

**როსმერი.** სთქვით!

**მორტენსჰორი.** დიახ. ის მწერს... საკმაოდ ბუნდოვნად... რომ წარმოდგენაც არა აქვს არავითარ უკეთურობაზე აქ, როსმერსჰოლმში; რომ მისთვის არასოდეს მიუყენებიათ შეურაცხყოფა. მაგრამ თუ ამნაირი კორები მაინც მოაღწევენ ჩემს ყურამდე, მთხოვს, გაკვრითაც არ მოვიხსენიო ისინი „შუქურაში“.

**როსმერი.** არავის სახელი არ უხსენებია?

**მორტენსჰორი.** არა.

**როსმერი.** ვინ მოგიტანათ ეს წერილი?

**მორტენსჰორი.** პირობა მაქვს დადებული, რომ საიდუმლოდ შევიინახავ. სალამო ხანს გადმომცეს, ბინდბუნდში.

**როსმერი.** მაშინათვე რომ გაგეკითხ-გამოგეკითხათ, გაიგებდით, რომ ჩემი საცოდავი ცოლი თავის ჭკუაზე აღარ იყო.

**მორტენსჰორი.** გავეკითხე კიდევ; მაგრამ, გამოგიტყდებით, სულ სხვანაირი შთაბეჭდილება დამრჩა.

**როსმერი.** სხვანაირი?.. კი მაგრამ, ჩვენში დარჩეს და, რალა ახლა მიყვებით ამ ძველი და ბუნდოვანი წერილის ამბავს?

**მორტენსჰორი.** რათა გირჩიოთ, რომ უკიდურესი სიფრთხილე გმართებთ, პასტორო როსმერ.

**როსმერი.** ჩემს პირად ცხოვრებაში ხომ არა?

**მორტენსჰორი.** დიახ. არ დაგავიწყდეთ, რომ ახლა უკვე აღარა ხართ ის კაცი, რომელსაც ხელს ვერავინ ახლებს.

**როსმერი.** მაშ, თქვენ კვლავინდებურად იმ აზრზე რჩებით, რომ მე ზოგ რამეს მაინც უნდა ვუშალავდე ხალხს?

**მორტენსჰორი.** არ ვიცი, რატომ არ უნდა შეეძლოს თავისუფლად მოაზროვნე კაცს ცხოვრებით ტკობა, თუკი ეს შესაძლებელია. მაგრამ, კვლავ გიმეორებთ, ამიერიდან, სიფრთხილე გმართებთ. რადგან თუ ატყდა მითქმა-მოთქმა

რალაც ისეთზე, რაც აშკარად უპირისპირდება საყოველთაოდ გავრცელებულ ცრურწმენებს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამან შეიძლება ძირი გამოუთხაროს ხალხის სულიერი განთავისუფლების მთელ საქმეს. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო პასტორო.

**როსმერი.** კარგად ბრძანდებოდეთ.

**მორტენსჰორი.** აქედან პირდაპირ ტიპოგრაფიაში გავწევ, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი ცნობა ვაუწყო ჩემს მკითხველებს.

**როსმერი.** მთლიანად გამოაქვეყნეთ.

**მორტენსჰორი.** მე გამოვაქვეყნებ ყველაფერს, რაც უნდა იცოდეს ხალხმა. (თავს უკრავს და გადის).

როსმერი კარში დგას და მზერით აცილებს კიბეზე ჩამავალ სტუმარს. ისმის, როგორ ხურავენ ქვემოთ შემოსასვლელ კარს.

**როსმერი** (კარშივე; ხმადაბლა იძახის). რებეკა. რე... კმ... (ხმადალა). მაღამ პელსეტი, ფრიოკენ რებეკა მანდაა?

**მაღამ ჰელსეტი** (ქვემოდან). არა, ბატონო პასტორო, აქ არ არის.

ოთახის სიღრმეში პორტიერები გადაიწევა და გამოჩნდება რებეკა.

**რებეკა.** როსმერ!

**როსმერი** (შეშობრუნდება). როგორ? შენ ჩემს საძილე ოთახში იყავი? კი მაგრამ, რას აკეთებდი, ჩემო ძვირფასო?

**რებეკა** (უახლოვდება). ყურს გიგდებდით.

**როსმერი.** რას ამბობ, რებეკა? ეს როგორ იკადრე?

**რებეკა.** დიახ, ვიკადრე. ისეთი სიბილწე წამოაყრანტალა... ჩემი საშინაო კაბის გამო, რომ...

**როსმერი.** აა, ესე იგი, შენ აქ იყავი მაშინაც, როცა კროლი...

**რებეკა.** დიახ. მინდოდა გამეგო, რა ჩაიდო გულში.

**როსმერი.** კი მაგრამ, მე ხომ გეტყოდი...

**რებეკა.** არაფერსაც არ მეტყოდი. ყოველ შემთხვევაში, მისი საკუთარი სიტყვებით მაინც არა.

**როსმერი.** მაშ, ყველაფერი გაიგონე?

**რებეკა.** თითქმის. მხოლოდ ერთხელ ჩავედი ქვევით, როცა მორტენსჰორი მოვიდა.

**როსმერი.** მერე ისევ ამოხვედი?..

**რებეკა.** ნუ გამიბრაზდები, ჩემო მეგობარო.

**როსმერი.** ყოველთვის ისე მოიქეცი, როგორც თვითონ მიიჩნევ უმჯობესად და მართებულად. შენ სრულიად თავისუფალი ხარ. მაგრამ ახლა რაღას იტყვი, რებეკა?.. ოჰ, ალბათ, არასოდეს არ მჭირდებოდი ისე ძალიან, როგორც ახლა.

**რებეკა.** მე და შენ ხომ მზად ვიყავით იმისთვის, რაც, კაცმა რომ თქვას, მოსალოდნელიც იყო.

როსმერი. არა, არა... ამისთვის არა.

რებეკა. არა?

როსმერი. მართალი გითხრა. ხანდახან კი მიფიქრია, რომ ჩვენს მშვენიერ, წმინდა და მეგობრულ ურთიერთობას, ერთხელაც იქნებოდა, ექვით დაუწყებდნენ ყურებას და ლაფში ამოსვრიდნენ, მაგრამ კროლისაგან მაინც არ მოველოდი ამას. სულ სხვა საქმეა ეს ტლანქი და გულხენეში ხალხი. დიახ, დიახ... ტყუილად როდი ვმაღავდი ასე საგულდაგულოდ ჩვენს მეგობრობას. ეს იყო საშიში საიდუმლო.

რებეკა. კი მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს, რას ყბედობს ხალხი ჩვენზე? ჩვენ ხომ ვიცით, რომ არავითარი ბრალი არ მიგვიძღვის.

როსმერი. მე? მე არ მიმიძღვის ბრალი? დიახ, მეც ასე ვფიქრობდი, — დღევანდელ დღემდე. მაგრამ ახლა... ახლა, რებეკა...

რებეკა. რა ახლა?

როსმერი. რითი ავხსნა ბეატას ეს საშინელი ბრალდება?

რებეკა (უნებურად). აჰ, ნუ მელაპარაკები ბეატაზე! ნუ, ნულარ ფიქრობ მასზე! აკი თავი დააღწიე მის გაელენას, ხელიდან დაუსხლტი მიცვალებულს!

როსმერი. როგორც კი ყოველივე ეს გავიგე, ბეატა თითქოს გაცოცხლდა... ო, რომ იცოდე, რა საზარელი განცდაა.

რებეკა. არა, არა... არ აყვე ამ განცდას, როსმერ! არ აყვე!

როსმერი. მაშ, რა ვქნა? უნდა ვცადო და როგორმე ყველაფერი გავარკვიო. როგორ შეიძლებოდა, რომ ასე შემცდარიყო? რა უნდა ყოფილიყო ამ საბედისწერო გაუგებრობის მიზეზი?

რებეკა. იქნებ შენც ნელ-ნელა ექვი გეპარება იმაში, რომ ის თითქმის შეშლილი იყო?

როსმერი. დიახ... საქმეც ისაა, რომ უკვე აღარ შემიძლია, სავსებით დარწმუნებული ვიყო ამაში. მაგრამ დაეუშვათ და, ასეც რომ ყოფილიყო...

რებეკა. მერე?

როსმერი. მე მინდა ვთქვა — მაშინ რალაში უნდა ვეძიოთ მთავარი მიზეზი იმისა, რომ საცოდავის სულიერი მდგომარეობა თანდათანობით ნამდვილ შეშლილობაში გადაიზარდა?

რებეკა. კი მაგრამ, თავს რატომ იტანჯავ ამაზე ფიქრით? რა სარგებლობას მოგიტანს ეს?

როსმერი. სხვანაირად არ შემიძლია, რებეკა. ძალიანაც რომ მინდოდეს, თავს ვერ დავაღწევ ამ დამთრგუნველ ექვს.

რებეკა. მაგრამ ეს ხომ საშიშია, გამუდმებით ფიქრობდე ერთსა და იმავეზე, მით უმეტეს, თუ ეს საფიქრალი ესოდენ ძძიძეა.

როსმერი (შეშფოთებული და ღრმად ჩაფიქრებული დააბიჯებს ოთახში). ალბათ, ჩემი თავი გავეცი. როგორც ჩანს, შენიშნა, რა

ბედნიერი ვიყავი მას შემდეგ, რაც შენ ჩვენს სახლში შემოხვედი.

**რებეკა.** კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო მეგობარო. ასეც რომ იყოს, მერე რა?..

**როსმერი.** დამერწმუნე, მხედველობიდან არ გამოჰპარვია, რომ მე და შენ ერთსა და იმავე წიგნებს კვითხულობდით, გამუდმებით დავეძებდით და ჩვენს შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით ერთმანეთს. მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ გამიგია!.. მე ხომ სულ იმას ვცდილობდი, რომ დამენდო და დამეზოგა. უკან ვიხედები და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ერთთავად გაფაციცებული ვიყავი; სიცოცხლეს დავთმობდი და ბეატას კი არ შევამჩნევინებდი იმას, რაც ჩვენს შორის ხდებოდა. ასე არ არის, რებეკა?

**რებეკა.** დიახ, სწორედ ასეა.

**როსმერი.** შენც ზუსტად ჩემსავით იქცეოდი... და მაინც!.. რა საშინელებაა! მაშასადამე, უსიტყვოდ დაძრწოდა აქ... თავისი ავადმყოფური სიყვარულით განაწამები და ჩუმად, მალულად გვითვალთვალებდა... ალბათ, ყველაფერს ამჩნევდა და თავისებურად განმარტავდა კიდევ.

**რებეკა** (მუშტებს კუპავს). ო, ნეტა როსმერსპოლმში არასოდეს დამედგა ფეხი.

**როსმერი.** წარმომიდგენია, როგორ იტანჯებოდა საცოდავი! რა საშინელი წარმოდგენები ამღვრევდნენ მის ავადმყოფ ტვინს!.. ვინ იცის, ალბათ, რაღას არ მოგვაწერდა მე და შენ! შენთან ხომ არ წამოსცდენია ისეთი რამე, რასაც შექლო მიეხვედრებინე?..

**რებეკა** (შეძრწუნებით). ჩემთან?.. და შენ გგონია, რომ ამის შემდეგ თუნდაც ერთი დღე დავრჩებოდი აქ?

**როსმერი.** არა, რა თქმა უნდა, არა... ო! რანაირი ბრძოლა უნდა გადაეტანა... მარტოდმარტოს, თავისივე თავის წინააღმდეგ, რებეკა! სასოწარკვეთილს და მარტოდმარტოს. და ბოლოს, ეს გამაოგნებელი გამარჯვება წყალვარდნილში! გამარჯვება, რომელიც პასუხს მოითხოვს ჩვენგან! (სკამზე ეშვება, იდაყვებით ეყრდნობა საწერ მაგიდას და სახეზე ხელებს აიფარებს).

**რებეკა** (ფრთხილად უახლოვდება უნიდან). მომისმინე, როსმერ, რომ შეგეძლოს უკანვე გამოიხზო და აქ, შენთან, როსმერსპოლმში დააბრუნო ბეატა, სთქვი, იზამდი ამას?

**როსმერი.** აბა, რა ვიცი, ვიზამდი თუ არ ვიზამდი? არაფრის თავი აღარა მაქვს. ჩემი ფიჭვი მხოლოდ ერთ რამეს დასტრიალებს თავს, — იმას, რასაც აღარაფერი ეშველება, რისი გამოსწორებაც შეუძლებელია.



**რებეკა.** შენ ახალი ცხოვრება უნდა დაგეწყო, როსმერ... და დაიწყე კიდევ. ის იყო, თავისუფალი გახდი. ისეთი მხიარული იყავი, ისე ბედნიერად მიგაჩნდა თავი!

**როსმერი.** დიახ, დიახ... მართალი ხარ. მაგრამ სრულიად მოულოდნელად ეს საშინელი სიმძიმე დამემხო თავზე.

**რებეკა** (მის უკან დვას და ხელებით სკამის ზურგს ეყრდნობა). რა ბედნიერები ვიყავით, როცა შებინდებისას ერთად ვისხედით სასტუმრო ოთახში... ერთმანეთს ვეხმარებოდით და ცხოვრების გეგმებს ვაწყობდით. შენ გინდოდა გადაშვებულიყავი ბობოქარი ვნებების ორომპტრიალში, ცხოვრების მორევში. თანამედროვეობის ცოცხალ ცხოვრებაშიო, — ამბობდი შენ. გინდოდა თავისუფლების მაკნედ გველო კარდაკარ. დაგემორჩილებინა ხალხის სული და ნება... გარს შემოგეკრიბა კეთილშობილი ადამიანები... თანდათანობით გეზარდა მათი რიცხვი, გემრავლებინა ისინი.

**როსმერი.** სიხარულით საესე და კეთილშობილი ადამიანები.

**რებეკა.** დიახ, სიხარულით საესე.

**როსმერი.** რადგანაც სიხარული აკეთილშობილებს სულს, რებეკა.

**რებეკა.** კი მაგრამ, მწუხარება? დიდი მწუხარება?

**როსმერი.** დიახ, მწუხარებაც... თუ კაცმა გაუძლო; გადააბიჯა მას.

**რებეკა.** შენც სწორედ ეს გმართებს, როსმერ.

**როსმერი.** მაგრამ მე ვერასოდეს გადავაბიჯებ ამას; ყოველ შემთხვევაში, მთლიანად მაინც. ვერასოდეს დავალწევ თავს სინანულს, საშინელ კითხვას. ვერასოდეს ველარ დავტყებები იმით, რაც თავის მომწესხველ ხიბლს ანიჭებს ცხოვრებას.

**რებეკა** (მისკენ იხრება). მაინც რა, როსმერ?

**როსმერი** (ახედავს). ნათელი, უშფოთველი, უმწიკვლო სინიღისი.

**რებეკა** (ნაბიჯით უკან იხევს). დიახ, უმწიკვლო სინიღისი...

ხანმოკლე დუმილი.

**როსმერი** (იდაყვით მაგიდას ეყრდნობა, ნიკაპი კი ხელისგულზე დაუყრდნია და წინ იყურება). მაინც როგორ მოახერხა ყოველივე ამის კომბინირება? რა სისტემატურად შეუკავშირა ყველაფერი ერთიმეორეს? ჭერ იყო და ეკვი შეიტანა რწმენისა და ეკლესიის მიმართ ჩემს ერთგულებაში. გაოცებას ვარ, როგორ უნდა მიმხვდარიყო მაშინ ამას. მაგრამ ხომ მიხვდა. მერე ეს ეკვი თანდათანობით განმტკიცდა და რწმენად იქცა. შემდეგ კი... შემდეგ ძნელი აღარ იყო, ყოველივე დანარჩენიც წარმოედგინა. (სწორდება და ნერვიულად იწეწავს თმებს). ო, ეს შლეგური აზრები! ველარასოდეს მოვიშორებ თავიდან. ვიცი, მწამს, მჭერა! სრულიად უმიზეზოდ დამაცხრებიან თავს, რათა ხშირ-ხშირად გამახსენონ მიცვალებული.

**რებეკა.** როსმერსპოლმის თეთრი ცხენივით.

**როსმერი.** დიახ, სიბნელესა და სიჩუმეში გაელვებულნი.

**რებეკა.** და ავადმყოფი ტვინის ამ შლეგური ბოდვის გამო მზადა ხარ ხელი აილო ახალ ცხოვრებაზე, რომელსაც ეს-ესაა მოებლაუქე?

**როსმერი.** მართალი ხარ, ძალზე მძიმეა ყოველივე ეს; მძიმე და მწარე. რებეკა. მაგრამ განა არჩევანი ჩემი ნებაა? რა ექნა, რითი ვუშველო თავს?

**რებეკა** (კვლავ მის სკამს უკან დგას). იმით, რომ ცხოვრების ახალი პირობები უნდა შეიქმნა.

**როსმერი** (თავს ასწევს და გაოგნებული ახედავს რებეკას). ცხოვრების ახალი პირობები?

**რებეკა.** დიახ, ახალი დამოკიდებულება გარე სამყაროსადმი. უნდა იცხოვრო, იმოქმედო, იმუშაო, ნაცვლად იმისა, რომ უძრავად იჯდე და გადაუქრელ პრობლემებზე იმტვრევდე თავს.

**როსმერი** (დგება). ახალი დამოკიდებულება? (რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს, კართან ჩერდება და უკანვე ბრუნდება). ერთი კითხვა მიტრიალებს თავში. იქნებ შენც შეკითხვიხარ შენს თავს, რებეკა?

**რებეკა** (მძიმედ სუნთქავს). მითხარი... რას?..

**როსმერი.** როგორ გგონია, რა ხასიათი უნდა მიიღოს ჩვენმა ურთიერთობამ ამიერიდან?

**რებეკა.** მე გგონია, ჩვენი მეგობრობა ყოველგვარ განსაცდელს გაუძლებს.

**როსმერი.** მე სულ სხვა რამეს ვგულისხმობ. მაგრამ ის, რამაც იმთავითვე დაგვაახლოვა... რამაც ასე მკიდროდ დაგვაკავშირა ერთმანეთს... ჩვენი ნათელი რწმენა, რომლის თანახმადაც შესაძლებელია წმინდა და აუზღვრეველი ურთიერთობა კაცსა და ქალს შორის...

**რებეკა.** დიახ, დიახ... მერე?..

**როსმერი.** მე იმის თქმა მსურს, რომ ჩვენნაირი ურთიერთობა... უმეტესწილად შესაძლებელია მაშინ, როცა ადამიანებს მშვიდი და უშფოთველი ცხოვრება აქვთ...

**რებეკა.** მაშასადამე...

**როსმერი.** მე კი წინ მელის ბრძოლით, შფოთითა და მძაფრი ვნებათაღელვით სავსე ცხოვრება. მე ხომ ვაპირებ, ამიერიდან სისხლსავსე ცხოვრებით ვიცხოვრო, რებეკა. ნურავის ექნება იმის იმედი, რომ თავიანთი ბილწი ექვეებით დამამზობენ და ლაფში ამომსვრიან. არავის მივცემ იმის უფლებას, რომ თავიანთი ნება-სურვილი თავს მომახვიონ და მიკარნახონ, რა გზას დავადგე ცხოვრებაში; არც ცოცხლებს და არც... არავის, ვინც უნდა იყოს.

რებეკა. დიახ, დიახ, ნურავის ნუ მისცემ მაგის უფლებას! ბოლომდე თავისუფალი იყავი, როსმერ!

როსმერი. მაგრამ თუ იცი, რა აზრი მომდის თავში? არ იცი? ვერც იმას ხელავ, რა გზით შემოიძლია ყველაზე ადვილად დაეაღწიო თავი მტანჯველ მოგონებებს... მთელს ჩემს უბედურ წარსულს?

რებეკა. მაინც?..

როსმერი. იმით, რომ მკვდარ წარსულს დაეუპირისპირებ ახალსა და სიცოცხლით სავსე აწმყოს.

რებეკა (სკამის ზურგს ჩააფრინდება). სიცოცხლით სავსე აწმყოს?

როსმერი (უახლოვდება). რებეკა... ახლა რომ მეკითხა შენთვის... თანახმა ხარ თუ არა, ჩემი მეორე ცოლი გახდე-მეთქი!

რებეკა (ერთხანს ხმის ამოღებას ვერ ახერხებს, მერე კი სიხარულით შეჰკივლებს). მე?... შენი ცოლი?..

როსმერი. რა იქნება, რომ ვცადოთ? ჩვენ ორნი ერთ არსად შევერწყმებით ერთმანეთს. ცარიელი ადგილიც აღარ უნდა დარჩეს მიცვალებულის შემდეგ.

რებეკა. მე... ბეატას ადგილას?!

როსმერი. მაშინ ის საბოლოოდ ამოიშლება ჩვენი ცხოვრებიდან. მთლიანად. ერთხელ და სამუდამოდ.

რებეკა (ჩუმად; მორთოლავი ხმით). შენ გგონია, როსმერ?

როსმერი. დიახ! დიახ! არ შემოიძლია... არ მინდა მთელი სიცოცხლე მხრებზე აკიდებული გვამით ვიარო. დამეხმარე ამ საშინელი ტვირთის ჩამოსხნაში, რებეკა. მოდი, სიხარულით, თავისუფლებით, ვნებით, შვებით ჩაეახშოთ ყველა მოგონება!.. შენ ჩემი ცოლი იქნები... ჩემი სიცოცხლე... ჩემი ერთადერთი...

რებეკა (თავს ერევა). არასოდეს აღარ გაიმეორო ეგ. არასოდეს მე არ ვიქნები შენი ცოლი.

როსმერი. რა?... არასოდეს?... თუ გგონია, რომ ვერასოდეს ვერ შემოვივარებ? მაგრამ ჩვენს მეგობრობაში განა უკვე არ გამოკრთის სიყვარულის სხივი?

რებეკა (შეძრწუნებული ყურებს იცობს). ნუ ამბობ ამას, როსმერ! ნუ ამბობ ამას!

როსმერი (ხელში ხელს სტაცებს). დიახ, დიახ... ჩვენს ურთიერთობაში უკვე არის სიყვარულის თესლი, რომელიც მზადაა გაღვივდეს და ყლორტად იქცეს... ო, ისე ცხადად ვკითხულობ შენს სახეზე, რომ თვითონაც გრძნობ ამას. ხომ მართალს ვამბობ, რებეკა?

რებეკა (კვლავ გონს ეგება; მტკიცედ). მომიხმინე. აი, რას გეტყვი: თუ კვლავ დაიჭინებ, ავდგები და სულაც წავალ როსმერსპოლმიდან.

როსმერი. წახვალ? შენ? ვერ შესძლებ. ეს შეუძლებელია.

რებეკა. ჩემთვის კიდეც უფრო შეუძლებელია, ცოლად გამოგყვე-  
არასოდეს ეს არ მოხდება. არ შემიძლია.

როსმერი (გაოგნებული უყურებს). შენ ამბობ, არ შემიძლიაო.  
უცნაურია. კი მაგრამ, მაინც რატომ არ შეგიძლია?

რებეკა (ორივე ხელს ჩაავლებს). ჩემო ძვირფასო მეგობარო... ნუ  
მკითხავ, რატომ არ შემიძლია. ასე აჯობებს შენთვისაც და  
ჩემთვისაც. (ხელს გაუშვებს). ასეა, როსმერი. (მარცხენა კარისკენ  
მიდის).

როსმერი. ამიერიდან მხოლოდ ერთი კითხვა მექნება — რატომ?

რებეკა. მაშინ ყველაფერი დამთავრდება.

როსმერი. ჩვენს შორის?

რებეკა. დიახ.

როსმერი. ჩვენს შორის არასოდეს არაფერი არ დამთავრდება.  
არასოდეს შენ არ წახვალ როსმერსპოლშიდან.

რებეკა (კარის სახელურს ჩასკიდებს ხელს). არა, მე, ალბათ, დავრჩები.  
მაგრამ თუ კელავ მკითხავ, მაინც ყველაფერი დამთავრდება.

როსმერი. მაინც დამთავრდება?.. როგორ თუ დამთავრდება?

რებეკა. დიახ. ბეტას კვალს გავყვები... ახლა ხომ გესმის, როსმერი?

როსმერი. რებეკა!..

რებეკა (კარში; ნელა ხრის თავს). ახლა ხომ გესმის! (გადის და კარს  
გაიხურავს).

როსმერი (გაოგნებული მისჩერებია კარს და თავისთვის ამბობს). რა არის?..  
რა არის ეს?..

## მესამე მოქმედება

სანტუმრო ოთახი როსმერსპოლში. კარ-ფანჯარა გაღებულია. მზიანი დღეა.  
რებეკა, ისევე ჩაცმული, როგორც წინა მოქმედებაში, ფანჯარასთან დგას და  
ყვავილებს რწყავს. მაღამ ჰელსეტს ხელში ცოცხი და ჩუარი უჭირავს, ავეჯზე  
მტვერს წმენდს.

რებეკა (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). უცნაურია, რომ პასტორი ამდენ  
ხანს არ ჩამოდის ქვემოთ.

მაღამ ჰელსეტი. კი მაგრამ, განა პირველად იგვიანებს? თუმცა,  
ალბათ, მალე ჩამოვა.

რებეკა. დღეს თუ ნახეთ?

მაღამ ჰელსეტი. თვალი მოვკარი. ყავა რომ შეეუტანე, საძილე  
ოთახში იყო და იცვამდა.

რებეკა. იმიტომ გეკითხებით, რომ გუშინ ვერ იყო კარგად.  
 მადამ ჰელსეტი. დიახ, ეტყობოდა. ნეტავი, ცოლისძმასთან ხომ არ იჩხუბა?

რებეკა. საჩხუბარი რა ჰქონდათ?

მადამ ჰელსეტი. აბა, რა ვიცი? ნამდვილად მორტენსპორმა წაჰკიდა ერთმანეთს.

რებეკა. შეიძლება... ამ პეტერ მორტენსპორს თუ იცნობთ?

მადამ ჰელსეტი. ღმერთმა დამიფაროს! რა მესაქმება მასთან, ფრიოკენ?

რებეკა. იმიტომ, რომ ასეთ საშინელ გაზეთსა`სცემს?

მადამ ჰელსეტი. არა, მარტო მაგიტომ არა... ფრიოკენს, ალბათ, გაუგონია, რომ ერთ გათხოვილ ქალთან ცხოვრობდა, რომელიც ქმარმა მიატოვა. ამ ქალბატონს ბავშვიც კი ეყოლა მისგან.

რებეკა. გამიგონია. მაგრამ, ეს მგონი, დიდი ხნის წინათ იყო, ჯერ კიდევ მანამ, სანამ აქ გადმოვიდოდი.

მადამ ჰელსეტი. რა თქმა უნდა! მორტენსპორი მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, მაგრამ ქალს მაინც სად ჰქონდა კეჟუა? ვაუბატონი იმასაც კი აპირებდა, რომ ცოლად შეერთო, მაგრამ ვინ დააყალბა?.. მერე კი ძვირად დაუჯდა თავისი სისულელე... თუმცა, ბოლოს, როგორც ჩანს, წელში გაიმართა და ფრთებიც გაშალა. ამბობენ, ბევრი მოხოვნელები ჰყავსო.

რებეკა. დიახ. გაჰკირვებულები ხშირად მიმართავენ და თავიანთ უბედურებას შესჩივიან.

მადამ ჰელსეტი. თქვენ გგონიათ, მარტო გაჰკირვებულები?..

რებეკა (შეფარვით გახედავს). აბა?..

მადამ ჰელსეტი (ღივანთან, გულმოდგინედ იქნევს ცოცხს და მტვერსა წმენდს). გაჰკირვებულები კი არა, თვით ისეთებიც, რომ გაგიკვირდებათ, ფრიოკენ.

რებეკა (ყვავილებს დაჟუსფუსებს). ეს მხოლოდ თქვენ გეჩვენებათ, მადამ ჰელსეტ. დაბეჯითებით ხომ არა იცით რა.

მადამ ჰელსეტი. ვინ მოგახსენათ? დიახაც ვიცი. თუ ასეა, ერთხელ მე თვითონ წავუღე წერილი.

რებეკა (შემობრუნდება). მართლა?

მადამ ჰელსეტი. დიახ, დიახ. თანაც, ეს წერილი აქ იყო დაწერილი, როსმერსპოლში.

რებეკა. რას მეუბნებით, მადამ ჰელსეტ?

მადამ ჰელსეტი. ღმერთმანი. ისეთ თხელ ქალაღღზე. ახლა იმას აღარ იკითხავთ, რა საუცხოო წითელი ლუქით იყო დალუქული?

- რებეკა. და თქვენ გაგატანეს? მაშინ, ძვირფასო მადამ ჰელსეტ, ძნელი მისახვედრი როდია, თუ ვისი უნდა ყოფილიყო ეს წერილი.
- მადამ ჰელსეტი. მაინც ვისი?
- რებეკა. ვისი და, რალა თქმა უნდა, საბრალო ფრუ როსმერისა.
- მადამ ჰელსეტი. ამას თქვენ ამბობთ და არა მე, ფრიოკენ.
- რებეკა. მაგრამ მაინც რა ეწერა შიგ? თუმცა თქვენ რა გეცოდინებათ?
- მადამ ჰელსეტი. კმ!.. არც ესაა შეუძლებელი.
- რებეკა. მაშ, თვითონ გითხრათ, რასაცა სწერდა?
- მადამ ჰელსეტი. არა, თვითონ არაფერიც არ უთქვამს. მაგრამ მორტენსჰორმა რომ წაიკითხა, გამოკითხვა დამიწყო; ხან რას მეკითხებოდა და ხან რას... ჰოდა, მეც მივხვდი.
- რებეკა. მაინც რას? ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო მადამ ჰელსეტ, რა იქნება, რომ მითხრათ?
- მადამ ჰელსეტი. არა, არა, ფრიოკენ. ტყუილად ნუ მთხოვთ.
- რებეკა. კი მაგრამ, რა იქნება, მე მაინც მითხრათ? ჩვენ ხომ ისეთი მეგობრები ვართ.
- მადამ ჰელსეტი. ღმერთმა დამიფაროს! ერთ სიტყვასაც ვერ გეტყვით, ფრიოკენ. მხოლოდ ის შემძლია გითხრათ, რომ საცოდავს ძალიან ცუდი რაღაცეებით გამოუქედეს თავი. მეტს ვერაფერს მათქმევინებთ.
- რებეკა. მაინც ვინა ქნა ეგ?
- მადამ ჰელსეტი. ბოროტმა ადამიანებმა, ფრიოკენ ვესტ.
- რებეკა. ბოროტმა ადამიანებმა?..
- მადამ ჰელსეტი. დიახ. ერთხელ კიდევ გავიმეორებ: ძალიან ბოროტმა ადამიანებმა.
- რებეკა. მაგრამ, მაინც ვისზე გაქვთ ეჭვი?
- მადამ ჰელსეტი. ძალიან კარგად ვიცი, ვიზედაც. მაგრამ ღმერთმა დამიფაროს!.. არის ქალაქში ერთი ამნაირი არსება... კმ!..
- რებეკა. როგორც ჩანს, ფრუ კროლს გულსხმობთ.
- მადამ ჰელსეტი. დიახ. კაი გამოქეპილი ვინმეა. მე ყოველთვის ცხვირს მიბზუებდა. ისე, არც თქვენ ახატიხართ გულზე.
- რებეკა. როგორ გგონიათ, ფრუ როსმერი სრულ ჰკუაზე იყო, როცა მორტენსჰორს ამ წერილს სწერდა?
- მადამ ჰელსეტი. რა მოგახსენოთ, სრულ ჰკუაზე იყო თუ არა. მაგრამ, ჩემის აზრით, მთლად შეშლილი ის არ ყოფილა.

რებეკა. მაგრამ თავში ხომ ყველაფერი აერ-დაერია, როცა გაიგო, რომ შვილი არ ეყოლებოდა. განა ჯერ კიდევ მაშინ არ დაეწყო ეს?..

მადამ ჰელსეტი. დიახ, ამან საშინლად იმოქმედა საცოდავზე.

რებეკა (ხელსაქმეს იღებს და მაგიდას უჯდება). თუმცა, რას იტყვიო, განა პასტორისათვის ასე არ სჯობდა, მადამ ჰელსეტი?

მადამ ჰელსეტი. მაინც რა სჯობდა?

რებეკა. რა და, ის, რომ შვილი არ ეყოლებოდათ, ა?

მადამ ჰელსეტი. ჰმ... არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ.

რებეკა. დიახ, დამერწმუნეთ, მისთვის ასე სჯობდა. პასტორი როსმერი ის კაცი არ არის, რომ აქ იჯდეს და ბავშვების კუიპინს უსმინოს.

მადამ ჰელსეტი. როსმერსპოლმში ბავშვები არ ტირიან, ფრიოკენ.

რებეკა (უყურებს). არ ტირიან?

მადამ ჰელსეტი. არა. ამ სახლში, რაც ხალხს თავი ახსოვს, არაეინ მოსწრებია, რომ ბავშვებს ეტიროთ.

რებეკა. უცნაურია.

მადამ ჰელსეტი. მართლაც უცნაურია, არა? რას იზამ, მთელ გვარს ასე მოსდგამს. ერთ უცნაურობასაც მოგახსენებთ: სანამ პატარები არიან, არ ტირიან; გაიზრდებიან და, არ იციანიან. გესმით? არასოდეს არ იციანიან.

რებეკა. გასაშტერებელი ამბავია...

მადამ ჰელსეტი. ერთხელ მაინც თუ გაგიგონიათ, ფრიოკენ, პასტორის სიცილი?

რებეკა. არა, ღმერთმანი. აი, ვიგონებ, ვიგონებ და თანდათანობით ვრწმუნდები, რომ მართალი ხართ. და საერთოდაც, ამ თქვენს მხარეში, აღამიანები ჩემის აზრით, ძალზე იშვიათად იციანიან.

მადამ ჰელსეტი. დიახ, ამბობენ, ამ გაუცინარობის სათავე როსმერსპოლმშია, შემდეგ კი ყველგან მოარული სენივით გავრცელდაო.

რებეკა. ძალზე კევიანი და გამქრიახი ქალი ბრძანდებით, მადამ ჰელსეტი.

მადამ ჰელსეტი. აბა, აბა, რას დამცინით?.. (რალაცას აყურადებს). სისუ... პასტორი მობრძანდება. არ სიამოვნებს, როცა აქ ცოცხით... (მარჯვენა კარში გადის).

წინკარიდან შემოდის იუქან როსმერი; ხელში ჯოხი და ქუდი უპირავს.

როსმერი. გამარჯობა, რებეკა.

რებეკა. გამარჯობა, ძვირფასო. (ქსოვას განაგრძობს; ცოტა ხნის შემდეგ). უკვე მილიხარ?

როსმერი. დიახ.

რებეკა. დღეს მშვენიერი ამინდია.

როსმერი. ამ დილას რატომ არ შემოიხედე ზემოთ?

რებეკა. პო... დღეს არ შემომიხედავს.

როსმერი. ამიერიდან საერთოდ აღარ აპირებ?

რებეკა. არ ვიცი.

როსმერი. ფოსტით ხომ არაფერი მოსულა ჩემთვის?

რებეკა. „სამხარეო გაზეთი“ გამოგიგზავნეს.

როსმერი. მართლა?

რებეკა. მაგიდაზე დევს.

როსმერი (ქულსა და ჯოხს დებს). არის რამე?..

რებეკა. დიახ.

როსმერი. მერედა, რატომ ზევით არ ამომიგზავნე?

რებეკა. მოესწრები.

როსმერი. აჰ, ასე? (გაზეთს იღებს და ფეხზე მდგარი კითხულობს). რაო?.. „განსაკუთრებით უნდა ვუფრთხოდეთ უნებისყოფო მოლაღატეებს“... (რებეკას გადახედავს). გესმის, ისინი მოლაღატედ მნათლავენ, რებეკა.

რებეკა. სახელს არ ახსენებენ.

როსმერი. ეგ სულერთია. (კითხვას განაგრძობს). „... კეთილი საქმის მზაკვარსა და ქვებუდანა გამყიდველებს... იუდას ბუნების ხალხს, რომლებიც თავხედურად აღიარებენ თავიანთ განდგომილებას, როგორც კი ხელსაყრელ მომენტს დაიგულევენ... ესაა წინაპართა ნათელი ხსოვნის ურცხვი ხელყოფა, იმის იმედით, რომ წამის ბატონ-პატრონნი უხვ ჯილდოს არ დაიშურებენ“... (მაგიდაზე დებს გაზეთს). გესმის, რას წერენ ჩემზე? კი მაგრამ, ისინი ხომ ამდენი ხანია და ასე კარგად მიცნობენ? თვითონაც არ სჯერათ თავიანთი სიტყვებისა. იციან, რომ მათ ნაჭლანში სიმართლის ნატამალიც არ ურევია, და მაინც წერენ.

რებეკა. ეს კიდევ რაა?

როსმერი (ხელახლა იღებს გაზეთს). „ასე თუ ისე გასამართლებელ მიზეზად შეიძლება დევასახელოთ მხოლოდ უდისციპლინო აზროვნება... დამლუპველი გავლენა, რაც თვით იმ სფეროებზედაც ვრცელდება, რომლებიც ჭერჯერობით არ გვინდა საზოგადოებრივი მსჯელობისა და განკითხვის საგნად ვაქციოთ“... (რებეკას მისჩერებია). რა არის ეს?

რებეკა. ჩემი ფარული გმობა, სხვა რა უნდა იყოს?

როსმერი (ხელახლა დებს გაზეთს). ეს კი აშკარა უპატიოსნობაა მათის მხრივ, რებეკა!



რებეკა. დიახ, დიახ, მე თუ მკითხავ, არაფრით არ ჩამოუვარდებიან მორტენსპორს.

როსმერი (ოთახში დაბიჯებს). აუცილებლად უნდა გადავარჩინოთ ადამიანები. ყოველივე კარგი, რაც კია მათში, უთუოდ დაილუპება, თუკი საქმეს ასე უპატრონოდ დავტოვებთ. არა, არ შეიძლება ამის დაშვება... ო, რა ბედნიერი ვიქნებოდი, თუკი შევძლებდი ოდნავ მაინც გამეთანტა სიმახინჯის ეს ბურუსი... სინათლის თუნდაც ერთი სხივი შემომეტანა ამ წყვილიადში.

რებეკა (დგება). მართლა? აი, ესეც შენი დიადი და ნათელი მიზანი, რომლის გულისთვისაც ღირს სიცოცხლე ამქვეყნად.

როსმერი. თავად განსაჯე, რა იქნება, რომ შევძლო და გამოვადვიო მათი თვითშეგნება და სინანული აღვუძრა გულში, იმ ზომამდე. რომ თავიანთი თავისა შერაცხვით. ვაიძულო ისინი, ერთმანეთს დაუახლოვდნენ, შემწყნარებლობის სულისკვეთებითა და სიყვარულით განიმსქვალონ ერთუერთის მიმართ, რებეკა.

რებეკა. დიახ, ძალ-ღონეს ნუ დაიშურებ, და გწამდეს, რომ გამარჯვებას მიაღწევ.

როსმერი. მეც აგრე მგონია... ო, რა ბედნიერება იქნება მაშინ სიცოცხლე! არვითარი მტრობა, სისასტიკე, გულმხეცობა! მხოლოდ კეთილშობილური მეტოქეობა! ყველას მზერა ერთი მიზნისკენაა მიმართული. ყველა ნება, ყველა გონება მხოლოდ წინ და მალა ისწრაფვის. თვითეული მიაბიჯებს თავისი საკუთარი, მხოლოდ მისთვის ბუნებრივი გზით. ყველა ქმნის და ამკვიდრებს საყოველთაო ბედნიერებას. (შემთხვევით გაიხედავს ფანჯარაში, შეკრთება და შეძრწუნებული პირქუშად წარმოსთქვამს). ოო!... მხოლოდ მე ვარ გამონაკლისი.

რებეკა. მხოლოდ შენ?

როსმერი. დიახ. ამ ბედნიერების შექმნაში მხოლოდ მე არ ვმონაწილეობ და არც ჩემთვის იქნება იგი.

რებეკა. აჰ, როსმერ, ნუ აჰყვები ამნაირ განცდებს.

როსმერი. ბედნიერება, ძვირფასო რებეკა, დიახ, ბედნიერება, ესაა, უწინარეს ყოვლისა, ნათელი და მშვიდი შეგნება იმისა, რომ შენი სინიღისი ბრალისაგან თავისუფალია.

რებეკა (წინ იყურება). ჰო, რაც შეეხება ბრალს...

როსმერი. აჰ, ეს შენ არ გეხება. მაგრამ მე...

რებეკა. შენ — ყველაზე ნაკლებ.

როსმერი (ფანჯრიდან უჩვენებს). წყალვარდნილი!

რებეკა. ო, როსმერ!

მარჯვენა კარიდან შემოიხედავს მაღამ ჰელსეტი.

მაღამ ჰელსეტი. ფრიოკენ.

რებეკა. მერე, მერე. ახლა არა მცალია.

მაღამ ჰელსეტი. მხოლოდ ერთი სიტყვა, ფრიოკენ.

რებეკა კართან მიდის; მაღამ ჰელსეტი რალაცას ეუბნება და მერე ორიოდ სიტყვას გადაუჩურჩულებენ ერთმანეთს, რის შემდეგაც მაღამ ჰელსეტი თავს უკრავს და მიდის.

როსმერი (შეშფოთებით). ჩემთან ხომ არაა ვინმე?

რებეკა. არა, რალაცა მკითხა ... კარგი იქნებოდა გაგესეირნა, სუფთა ჰაერი ჩაგეყლაპა, როსმერ.

როსმერი. (ქუღს იღებს). ერთად წავიდეთ.

რებეკა. არა, ძვირფასო, ახლა არ შემიძლია. მარტო მოგიწევს წასვლა. აბა, შენ იცი, ერთი კარგად ჩამოიბერტყე ეგ უსიამო ფიქრები. კარგი?

როსმერი. ვშიშობ, რომ ველარასოდეს ველარ ჩამოვიბერტყავ მათ.

რებეკა. კი მაგრამ, ასე როგორ უნდა დააჩაგვრინო თავი რალაც სრულიად უსაფუძვლოს?..

როსმერი. საუბედუროდ, ეს არც ისე უსაფუძვლოა. მთელი ღამე ვიწექი და ამაზე ვფიქრობდი. ბეატა, როგორც ჩანს, არ შემცდარა.

რებეკა. რაში?

როსმერი. რაში და იმაში, რომ მე შენ მიყვარხარ, რებეკა.

რებეკა. მაშ, არ შემცდარა?

როსმერი (მაგიდაზე დააგდებს ქუღს). აი, დაედივარ და სულ ერთი კითხვა მიბურღავს ტინის — ხომ არ ვცდებოდით, როცა მეგობრობად მივიჩნევდით ჩვენს ურთიერთობას?

რებეკა. შენ გგონია, არანაკლები უფლება გექონდა იმისა, რომ მისთვის გვეწოდებინა ...

როსმერი. ... სიყვარული ... დიახ, ჯერ კიდევ ბეატას სიცოცხლეშივე ჩემი ფიქრი მხოლოდ შენ დაგტრიალებდა თავს. მხოლოდ შენ მიზიდავდი ანდამატივით, მხოლოდ შენს გვერდით ვგრძნობდი ამ ჩუმ სიხარულს, ამ ნათელსა და აუღმღრეველ ნეტარებას. თუ კარგად დავუფიქრდებით, რებეკა, გრძნობა, რამაც ჩვენ იმთავითვე დაგვაახლოვა, ბავშვების იღუმალ სიყვარულს ჰგავდა, სიყვარულს, რომელიც არაფერს არ მოითხოვს და არც რას მიელტვის. მითხარი, განა შენ თვითონაც არ გრძნობდი ამას?

რებეკა (თავს ებრძვის). აჰ... არც კი ვიცი, რა გიპასუხო.

როსმერი. და ეს ერთუროთის სიახლოვით ტკობა ჩვენ მეგობრობა გვეგონა ... არა, ჩვენი ურთიერთობა, პირველივე დღეებიდანვე

... სულიერი ქორწინება იყო, აი, ჩემი დანაშაული. მე არა მქონდა ამის უფლება ... თავი უნდა შემეკავებინა ბეატას გამო.

**რებეკა.** თავი უნდა შეგეკავებინა ბედნიერებისაგან? შენ ასე გგონია, როსმერ?

**როსმერი.** ჩვენს ურთიერთობას ის თავისი სიყვარულის თვალთ უცქერდა, თავისი სიყვარულის მიხედვით სჯიდა და მისივე საზომით ზომავდა. სავსებით ბუნებრივია. ბეატას სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო.

**რებეკა.** კი მაგრამ მისი შეცდომა რა შენი ბრალია?

**როსმერი.** სწორედ ჩემდამი სიყვარულის ... მართალია, თავისებური, მაგრამ მაინც სიყვარულის გამო იყო, წყალვარდნილში რომ გადაეშვა. ამ ფაქტს ვერსად წავუვალ, რებეკა. და ვერც ვერასოდეს გადავაბიჯებ ...

**რებეკა.** აჰ, ნურაფერზე ნუ ფიქრობ. იმ დიადი და ნათელი მიზნის გარდა, რომელსაც გადაწყვიტე მთელი სიცოცხლე მიუძღვნა.

**როსმერი (თავს აქნევს).** ამ მიზანს, როგორც ჩანს, ხორცშესხმა არ უწერია. მას შემდეგ, რაც ყოველივე ეს ცნობილი შეიქნა ჩემთვის.

**რებეკა.** ვითომ რატომ არ უწერია?

**როსმერი.** იმიტომ, რომ გამარჯვებას ვერასოდეს ვერ იზეიმებს საქმე, რომელიც ცოდვისაგან იღებს დასაბამს.

**რებეკა (აგზნებით).** აჰ, ეს წინაპართაგან მომდინარე ექვიანობა ... ეს მამა-პაპური სიმბდალე ... მამა-პაპური ცრურწმენა! თქვენ ხომ გწამთ, რომ მიცვალებულნი გრიგალი; ოთ მქროლავი თეთრი ცხენების სახით ბრუნდებიან მიწაზე. ჩემის აზრით, ყველაფერი, რასაც შენ ახლა ფიქრობ, ამ ცრურწმენასა ჰგავს.

**როსმერი.** რასაც უნდა, იმასა ჰგავდეს. განა სულერთი არ არის, თუკი თავიდან ვერ ვიშორებ მას? დამერწმუნე, რებეკა, ყველაფერი მართლა ისეა, როგორც მე ვამბობ. საქმე, რომელსაც გამარჯვება უწერია, შეიძლება ბოლომდე მიიყვანოს მხოლოდ კაცმა, ვისაც სუფთა, მშვიდი სიხარულით სავსე და ყოველგვარი ბრალისაგან თავისუფალი სინიღისი აქვს.

**რებეკა.** ნუთუ ასე ძალიან გჭირდება სიხარული, როსმერ?

**როსმერი.** სიხარული? დიახ.

**რებეკა.** შენ? ... ვისაც არასოდეს გაგიცინია?...

**როსმერი.** მით უმეტეს. დამერწმუნე, ჩემში ისე ძალუბია სიხარულისაკენ ლტოლვა.

რებეკა. აბა, ახლა კი დროა, ჩემო მეგობარო. წადი, გაიარ-  
გამოიარე... რაც შეიძლება, დიდხანს ისეირნე. გესმის? რაც  
შეიძლება, დიდხანს. აი, შენი ქული. აგერ, ჯოხიც.

როსმერი (ქულს და ჯოხს ჩამოართმევს). გმადლობ. შენ არ წამოხვალ?  
რებეკა. არა, არა, ახლა არ შემიძლია.

როსმერი. კეთილი. სულერთია, შენ მაინც ჩემთანა ხარ. (წინკარში  
გაღის).

რებეკა (ცოტა ხნის შემდეგ ღია კარში იხედება, შემდეგ კი მარჯვენა კართან  
მიღის, ალებს და ხმადაბლა ამბობს). აბა, შადამ ჰელსეტ, ახლა კი  
შეგიძლიათ სთხოვოთ.

მალე მარჯვნიდან შემოდის რექტორი კროლი და უხმოდ, ცერემონიულად  
ესალმება რებეკას; ხელში ქული უჭირავს.

კროლი. მაშ, წავიდა?

რებეკა. დიახ.

კროლი. შორს მიღის ხოლმე?

რებეკა. დიახ, მაგრამ დღეს ვერ გეტყვით, რას იზამს. ამიტომ,  
თუ მასთან შეხვედრა არ გნებავთ...

კროლი. არა, არა. მე მინდა თქვენ მოგელაპარაკოთ; პირისპირ.

რებეკა. მაშინ დროს ნულარ ვეარგავთ. დაბრძანდით, ბატონო  
რექტორო. (ფანჯარასთან, სავარძელში ჯდება).

კროლი მის გვერდით ჩამოჯდება სკამზე.

კროლი. ფრიოკენ ვესტ... თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა  
მტკივნეულად იმოქმედა ჩემზე ამ გარდატეხამ... იუჰან  
როსმერის ამ ფერისცვალებამ.

რებეკა. ჩვენ მოველოდით, რომ თავდაპირველად ასეც იქნებოდა.

კროლი. მხოლოდ თავდაპირველად?

რებეკა. როსმერი დარწმუნებული იყო, რომ, ადრე თუ გვიან, მის  
მხარეზე გადახვიდოდით.

კროლი. მე?

რებეკა. თქვენც და მისი დანარჩენი მეგობრებიც.

კროლი. აი, ხომ ხედავთ, რა სუსტი ალლო აქვს; რა ცუდად  
იცნობს ცხოვრებას და ადამიანებს.

რებეკა. თუმცა, რაკი თვლის, რომ მისთვის აუცილებელია  
სრულიად თავისუფალი გახდეს...

კროლი. დიახ... მაგრამ მე სწორედ ეგ მაეჭვებს.

რებეკა. მაშ, თქვენის აზრით?..

კროლი. ჩემის აზრით, ყოველივე ამის უკან დგახართ პირადად  
თქვენ.

რებეკა. ეგ თქვენმა ცოლმა ჩაგაგონათ, ბატონო რექტორო?

**კროლი.** სულერთია, ვინ ჩამაგონა. საქმე ისაა, რომ მე ექვი მეპარება... დიახ, დიახ, სასტიკი ექვი, როცა ვიგონებ და ვუკვირდები თქვენს ქცევას მას აქეთ, რაც როსმერსპოლში გამოჩნდით.

**რებეკა** (მიჩურება). მაგრამ იყო დრო, როცა ჩემზე დიდ იმედებს ამყარებდით, ბატონო რექტორო. დიახ, დიდ იმედებს ამყარებდით და, მე ვიტყვოდი, მთელის არსებითაც მენდობოდით.

**კროლი** (ყრუდ) მიზნად ნუ დაისახავთ, თორემ ვის არ მოაჯადოებთ.  
**რებეკა.** მაშასადამე, მე ეს მიზანი დავისახე?

**კროლი.** დიახ. აღარც ისე მიაბიტი გახლავართ, რომ დავიჭერო, თითქოს რალაც გრძნობისმაგვარი გამოძრავებდათ. თქვენ მხოლოდ ის გინდოდათ, რომ როგორმე შემოგელწიათ როსმერსპოლში, ფეხი მოგეკიდებინათ აქ. აი, რაში გვირდებოდით ჩემი დახმარება. ახლა კი ყველაფერი მესმის.

**რებეკა.** როგორც ჩანს, დაგავიწყდათ, რომ ბეატა თვითონ მთხოვდა, მევედრებოდა, როსმერსპოლში გადმოვსულიყავი.

**კროლი.** დიახ, როცა ისიც მოაჯადოვეთ. მართლაცდა, განა შეიძლება მეგობრობა ეწოდოს იმ გრძნობას, რასაც ის თქვენს მიმართ განიცდიდა? გრძნობას, რომელიც შემდეგ ეგზალტირებულ თავყანისცემად იქცა? გრძნობას, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, სასოწარკვეთილებამდე მისულ, თავდავიწყებულ სიყვარულში გადაიზარდა? ალბათ, ესაა ყველაზე ზუსტი სიტყვა.

**რებეკა.** იქნებ კეთილ-ინებოთ და გაიხსენოთ თქვენი დის მდგომარეობა. რაც შემეხება მე, არა მგონია, ეგზალტირებულ არსებად მივაჩნდე ვინმეს.

**კროლი.** არა, რაც მართალია, მართალია, ამას ვერავინ დაგწამებთ. მაგრამ მით უფრო საშიში ხართ ადამიანებისათვის, რომლებიც გსურთ თქვენს გავლენას დაუმორჩილოთ. სწორედ ამიტომაც მოქმედებთ ასე თამამად და თქვენი უპირატესობის სრული შეგნებით, რომ გულის მაგივრად ქვა გიღვეთ მკერდში.

**რებეკა.** ქვა? დარწმუნებული ბრძანდებით?

**კროლი.** ახლა -- სავსებით. ასე რომ არა, განა შესძლებდით, წლების მანძილზე ასე განუხრელად და დაჟინებით გაგებორცილებინათ თქვენი მიზანი?... დიახ, დიახ... თქვენ მიაღწიეთ იმას, რაც გსურდათ. ყველაფერი ხელთ იგდეთ როსმერსპოლში, და თქვენი მიზნის მისაღწევად უკან არ დაგიხვეიათ იმის წინაშე, რომ გაგეუბელურებინათ მისი პატრონი.

**რებეკა.** სტყუით! მე კი არა, თქვენ გააუბელურეთ.

კროლი. მე?

რებეკა. დიახ, სწორედ თქვენ ჩაუნერგეთ ის აზრი, თითქოს მას მიუძღვის ბრალი ბეატას სიკვდილში.

კროლი. მაშასადამე, ამ აზრმა მაინც ღრმად იმოქმედა მასზე?

რებეკა. ვითომ არ იცით... მასავით გულჩვილი კაცი...

კროლი. მე მეგონა, რომ კაცისთვის, რომელმაც თავიდან მოიშორა ეგრეთ წოდებული ცრურწმენები, უცხო უნდა ყოფილიყო ესოდენ ფაქიზი მგრძობიარობა. მაგრამ, ხომ ხედავთ, მაინც!.. თუმცა რა, ასეც ვიცოდი. იმ ადამიანების შთამომავალი, რომლებიც ამ კედლებიდან გვიმზერენ, ძნელად თუ შესძლებს თავი დააღწიოს ყოველივე იმას, რაც განუხრელად, მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაში.

რებეკა (ჩაფიქრებული იყურება წინ). იუჰანეს როსმერი თავისი გვარის ღვიძლი შვილია, მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. ეს ექვშეუვალი ქეშმარიტება გახლავთ.

კროლი. და თქვენ გმართებდათ, ანგარიში გავეწიათ ამისთვის, მართლაც გული რომ შეგტკიოდეთ მასზე. მაგრამ თქვენ და ამნაირი გულისხმიერება?.. თქვენი დასაბამიერი მონაცემები ძირეულად განსხვავდებიან მისი ამგვარივე მონაცემებისაგან.

რებეკა. ვერ გამოგია, რა მონაცემებზე მელაპარაკებით?

კროლი. მონაცემებზე, რომლებიც განპირობებულნი არიან თვით ბუნებით... ან, თუ გნებავთ, წარმომავლობით, ფრიოკენ ვესტ.

რებეკა. აჰ, ასე?.. თუმცა, რა თქმა უნდა... მე ხომ ღარიბთა წრიდანა ვარ გამოსული. მაგრამ მაინც...

კროლი. არა, წოდებრივსა თუ სოციალურ მდგომარეობას როდი ვგულისხმობ. მე მხოლოდ მორალურ მონაცემებზე ვლაპარაკობ.

რებეკა. მაინც?..

კროლი. მონაცემებზე, რომლებიც საჭირო იყო იმისთვის, რომ თქვენ, საერთოდ, მოვლენოდით ამ ქვეყანას.

რებეკა. რას ამბობთ?

კროლი. ამ მონაცემებზე მხოლოდ იმიტომ ჩამოვაგდე სიტყვა, რომ ისინი შუქს ჰფენენ თქვენს ქვევას.

რებეკა. არაფერი არ მესმის. თუ შეიძლება, მიუკიბ-მოუკიბავად...

კროლი. მე კი რატომღაც მეგონა, რომ ყველაფერი იცოდით... არადა, რით აიხსნება ის, რომ ექიმ ვესტს თავი აშვილებინეთ?..

რებეკა. აჰ, აი, თურმე რას გულისხმობთ. ახლა კი ვხვდები.

კროლი. ... და მისი გვარი მიიღეთ. დედათქვენის გვარი ჰამეიკი იყო.

რებეკა (ოთახის მეორე მხარეს გადაღის). ეს მამაჩემის გვარი გახლავთ, ბატონო რექტორო.

კროლი. დედათქვენს, თავისი საქმიანობის გამო, ალბათ, ხშირად უწევდა ექიმთან შეხვედრა.

რებეკა. ღიახ.

კროლი. და, აი, დედათქვენის სიკვდილისთანავე, ექიმი შვილად გიყვანთ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მკაცრად გექცევით, თქვენ მაინც მასთან რჩებით. ისიც იცით, რომ გახვერტილ გროშსაც არ დაგიტოვებთ. და მართლაც, მისგან გრჩებათ მხოლოდ წიგნებით სავსე ყუთი. ესაა და ეს. მაგრამ მაინც მოთმინებით იტანთ მის ჟინიანობას, გებრალეხათ და სიკვდილამდე თავზე ევლებით.

რებეკა (მაგიდასთან; ზოზოთ უყურებს). და ყოველივე ამას თქვენ იმით ხსნიით, რომ ჩემი მოვლინება ამქვეყნად რალაც ამორალურსა და დამნაშავეობრივთან იყო დაკავშირებული?

კროლი. ყველაფერს, რასაც თქვენ აკეთებდით ექიმისათვის, მე ქვეცნობიერი შვილური გრძნობის გამოვლინებად მიმაჩნია. მთელი თქვენი დანარჩენი ქცევა კი ჩემთვის სხვა არა არის რა, თუ არა თქვენივე წარმომავლობის ანარეკლი.

რებეკა (ცხარად). მაგრამ თქვენს სიტყვებში სიმართლის ნატამალიც არ ურევია. მე შემიძლია დაგიმტკიცოთ ეს. ექიმი ვესტი მხოლოდ ჩემი დაბადების შემდეგ გადმოსახლდა ფინმარკენში.

კროლი. მომიტევეთ, ფრიოკენ. სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ ექიმი ვესტი თქვენს დაბადებამდე ერთი წლით ადრე გადმოსახლდა იქ.

რებეკა. მე კი გეუბნებით, სცდებით-მეთქი!

კროლი. გუშინწინ თქვენ თვითონ ბრძანეთ, ოცდაცხრა წელი შემისრულდა, ოცდამეათეში გადავდექიო.

რებეკა. მართლა ასე ვთქვი?

კროლი. სიტყვასიტყვით. ჰოდა, შეიძლება გამოვთვალოთ...

რებეკა. მოითმინეთ! ვერაფერსაც ვერ გამოთვლით. რას იზამ, გამოგიტყდებით: მე უფრო მეტი ხნისა ვარ, ვიდრე თავს ვასაღებ. მთელი ერთი წლით.

კროლი (უნდოდ იღივება). მართლა? აი, ახალი ამბავი! კი მაგრამ, როგორ?

რებეკა. ოცდახუთისა რომ გავხდი, მომეჩვენა, რომ... გაუთხოვარი ქალის კვალობაზე თითქმის დაებერდი. ჰოდა, ავდექი და წელი ჩამოვიკლე.

- კროლი. ვთქვათ, ასეცაა. მაგრამ ჩემი გამოთვლა მაინც სწორია. ექიმი ვესტი ახალ თანამდებობაზე დანიშნვამდე ერთი წლით ადრე ცოტა ხნით ჩავიდა ფინმარკენში.
- რებეკა (წამოუნთება). ტყუილია!
- კროლი. ტყუილი?
- რებეკა. დიახ. დედაჩემს არაფერი უთქვამს.
- კროლი. მართლა?
- რებეკა. არასოდეს. არც ექიმ ვესტს. არცერთს სიტყვა არ დასცდენია.
- კროლი. იქნებ იმიტომ, რომ მათაც თავისებური მიზეზი ჰქონდათ, როგორმე ერთი წელი დაეკლოთ თქვენსავეთ, ფრიოკენ ვესტ? როგორც ჩანს, ეს ოჯახური თავისებურება უნდა იყოს.
- რებეკა (ოთახში დაღის და ხელებს იბტურავს). შეუძლებელია. თქვენ გინდათ ჩამაგონოთ, რომ... ვერ დამაჯერებთ! ვერასოდეს! ვერასდიდებით! ვერა! ვერა!
- კროლი (ღვება). კი მაგრამ ძვირფასო ფრიოკენ ვესტ... ღეთის გულისათვის... ასე რად ღელავთ? მართალი გითხრათ, მაშინებთ! რა ვიფიქრო, ან რა ვივარაუდო?..
- რებეკა. არაფერი. არც რა უნდა იფიქროთ და არც ივარაუდოთ.
- კროლი. მაშ, ამიხსენით, რატომაა, რომ ეს საქმე... ან, თუნდაც, ეს შესაძლებლობა ასე ახლოს მიგაქვთ გულთან?
- რებეკა (გონს ეგება). რა ახსნა ამას უნდა, რექტორო კროლ? ვინ დათანხმდება იმას, რომ უკანონოდ შობილად გამოაცხადონ?
- კროლი. ასე... კეთილი... ჯერჯერობით ამნაირ ახსნას დავეჯერდეთ, მაგრამ თქვენ, როგორც ჩანს, ამ მხრივაც შემოგრაჩათ ერთგვარი ცრურწმენა.
- რებეკა. ალბათ.
- კროლი. უნდა ვიფიქროთ, რომ იგივე ითქმის ამ თქვენი ყბადაღებული თავისუფლებისა და ბევრი სხვა რამის მიმართაც. იმდენი იკითხეთ, რომ ტვინი გადმოგიბრუნდათ, ათასგვარი აზრებით გამოიქედეთ თავი. გარკვეული წარმოდგენა შეგექმნათ მეცნიერების ზოგიერთ მიღწევაზე, რაც, ერთი შეხედვით, თითქოს თავდაყირა აყენებს ბევრ რამეს, დღევანდელ დღემდე ურყევ ჰემმარიტებად რომ იყო მიჩნეული. მაგრამ ყოველივე ეს თქვენთვის მხოლოდ გარეგან ცოდნად დარჩა, ფრიოკენ ვესტ. თქვენ მხოლოდ ზერელედ და ზედაპირულად შეითვისეთ იგი. ეს ცოდნა არ გაგჯდომიათ ძვალ-რბილში, არ ქცეულა თქვენს სისხლად და ხორცად.
- რებეკა (ჩაფიქრებით). შეიძლება.



კროლი. დიახ, თქვენს თავს დაუყვირდით და დაინახეთ! ხოლო თუ თქვენი საქმე ასეა, იუჰან როსმერზე რაღა ითქმის? გიჟის მეტი ვინ დააჩქარებს თავის დაღუპვას, ვინ გამოაქენებს საკუთარ თავს, ვინ განაცხადებს სახალხოდ განდგომილი ვარო? როსმერისნაირი მხდალი და განდგომილი?! აბა, წარმოიდგინეთ ის მოკვეთილი, შეჩვენებული, მისივე ძველი მეგობრების მიერ დევნილი, საზოგადოების უკეთესი წევრების მხრივ დაუნდობელი თავდასხმების საგნად ქცეული! ვერა, ვერასდიდებით ვერ გაუძლებს ამას, ვერ გადაიტანს.

რებეკა. უნდა გაუძლოს, უნდა აიტანოს. უკან დახევა უკვე გვიანაა.

კროლი. ვინ მოგახსენათ? სრულიადაც არ არის გვიან. რაც მოხდა, შეიძლება მივაჩუმათოთ... ან, ყოველ შემთხვევაში, დროებით, თუმცაღა ძალზე სამწუხარო შეცდომად გამოვაცხადოთ. მაგრამ, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ უნდა შევთანხმდეთ ერთ რამეზე. ხომ იცით, სიფრთხილეს თავი არა სტკივა.

რებეკა. მაინც რაზე?

კროლი. როგორმე უნდა დაიყოლიოთ, რომ თქვენს ურთიერთობას კანონიერი სახე მისცეთ, ფრიოკენ ვესტ.

რებეკა. ჩვენს ურთიერთობას?

კროლი. დიახ. აუცილებლად უნდა დაიყოლიოთ.

რებეკა. მაშასადამე, თქვენ კვლავ იმ აზრზე დგახართ, რომ ჩვენს ურთიერთობას, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია, კანონიერი სახე მიეცეს?

კროლი. არ მინდა ჩაეულრმავდე ამ საკითხს, მაგრამ, ჩემის აზრით, — რამდენადაც შესაძლებლობა მქონდა დაკვირვებოდი, — ეგრეთ წოდებული ცრურწმენების დაძლევა ყველაზე ადვილია იმ სფეროში, რომელსაც... ჰმ...

რებეკა. ... ქალისა და კაცის ურთიერთობა ჰქვია, არა?

კროლი. დიახ... მართალი გითხრათ, ასეთია ჩემი აზრი.

რებეკა (ოთახში დაბორილობს და დროდადრო ფანჯარაში იყურება).  
კინალამ წამომცდა: ნეტავი მართალი იყოთ-მეთქი, რექტორო კროლ.

კროლი. ეგ როგორ გავიგოთ? რაღაც ისე უცნაურად თქვით.

რებეკა. ჰო, თუმცა!.. მოვეშვათ ამას... ვაიმე... მოდის.

კროლი. მოდის? მაშ, მე წავედი.

რებეკა (უახლოვდება). არა, დარჩით. ახლა თქვენ გაიგებთ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანს.

კროლი. არა, ახლა არა. რა ვქნა, არ შემიძლია მისი დანახვა.

რებეკა. გვედრებით... დარჩით. ნუ წახვალთ. თორემ შემდეგ ინანებთ. უკანასკნელად მოგმართავთ თხოვნით.

კროლი (გაოცებული უუარებს და ქულს დებს). კეთილი, ფრიოკენ ვესტრა გაეწეობა, ვრჩები.

ოთახში ერთხანს სიჩუმე ისადგურებს. წინკარიდან შემოდის იუჰანეს როსმერი.

როსმერი (რექტორის დანახვაზე კარშივე ჩერდება). როგორ? თქვენ აქა ხართ?

რებეკა. შენთან შეხვედრა არ უნდოდა, როსმერ.

კროლი (უნებურად). მაშ, „შენობით“?..

რებეკა. დიახ, ბატონო რექტორო. მე და როსმერი „შენობით“ მიემართავთ ერთმანეთს. ეს ჩვენმა ურთიერთობამ განაპირობა.

კროლი. მაშ, ესაა, რაც მე უნდა გამეგო, როგორც აღმითქვით?

რებეკა. ესეც და სხვა რამეც.

როსმერი (ოთახში შემოდის). რისთვის გარჩილხარ?

კროლი. მინდოდა, ერთხელ კიდევ მეცადა, შემეჩერებინე და კვლავ ჩვენს რიგებში დამებრუნებინე.

როსმერი (გაზუთზე უთითებს). ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ დაიბეჭდა?

კროლი. ეგ მე არ დამიწერია.

როსმერი. კი მაგრამ, თუ სცადე მაინც ხელი შეგეშალა, რომ არ დაებეჭდათ?

კროლი. ეგ დაუშვებელი იქნებოდა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ საქმეს, რომელსაც მე ვემსახურები, და, ეგეც არ იყოს, არც შემეძლო.

რებეკა (გაზუთს ნაფლეთებად აქეევს, დაკმუქნის და ლუმელში ავლებს). აი, ასე. თვალიდან შორს — ხსოვნიდან შორს. ამგვარი რამ აღარასოდეს განმეორდება, როსმერ.

კროლი. ნეტავი მართლა შესძლებდეთ მაგას!

რებეკა (როსმერს). მოდი აქ, ჩამოვსხდეთ, ძვირფასო მეგობარო. სამივე. მე თქვენ ყველაფერს გეტყვით.

როსმერი (ანგარიშმიუცემლად ჯდება). რა მოგივიდა, რებეკა? ეს უცნაური სიმშვიდე ... ცოტა არ იყოს, მაშინებ კიდევ!.. რას ნიშნავს ეს?

რებეკა. ეს გადაწყვეტილების სიმშვიდეა. (ჯდება). თქვენც დაბრძანდით, რექტორო კროლ.

კროლი დივანზე ჯდება.

**როსმერი.** გადაწყვეტილების სიმშვიდო, შენ ამბობ. მაინც რა გადაწყვიტე?

**რებეკა.** მე გადაწყვიტე დაგიბრუნო ის, რაც გპირდება, რომ ნამდვილი ცხოვრებით იცხოვრო. შენ კვლავ დაიბრუნებ ნათელი სიხარულით საესე, ბრალისაგან თავისუფალ სინილისს, ძვირფასო მეგობარო.

**როსმერი.** კი მაგრამ?..

**რებეკა.** მე მხოლოდ მოგიყვები. მეტი არც არის საჭირო.

**როსმერი.** აბა!..

**რებეკა.** ფინმარკენიდან რომ ჩამოვედი... ექიმ ვესტთან ერთად ... ჩემს წინაშე თითქოს ახალი, უზარმაზარი სამყარო გადაიშალა. ექიმი ყველაფერს მიხსნიდა და მასწავლიდა ... ცოტ-ცოტა... და მე თანდათანობით დამიგროვდა ცოდნის ნაფლეთები, თავისებური თვალთახედვით აღვიქვამდი საგნებს, მოვლენებს, ცხოვრებას ... (გაპირვებით; ძლივს გასაგონად). და, აი ...

**კროლი.** რა?..

**როსმერი.** კი მაგრამ, რებეკა ... ეგ ხომ უკვე ვიცი?

**რებეკა** (ძალას იკრებს). დიახ, დიახ ... კაცმა რომ თქვას, მართალი ხარ. შენ საკმაოდ ბევრი რამ იცი ამის შესახებ.

**კროლი** (დაჟინებით უსჯერის). მე მგონი, უმჯობესია, წავიდე.

**რებეკა.** არა, ბრძანდებოდეთ, ძვირფასო რექტორო. (როსმერს). და აი... მეც მოვინდომე ვზიარებოდი ახალ დროებას, დაჟინებით რომ აკაკუნებდა კარზე. ვზიარებოდი ყველა იმ ახალ აზრს ... რექტორმა კროლმა ერთხელ მიაშობო, რომ ოდესღაც, შენი პატარაობისას, ულრიკ ბრენდელს უზარმაზარი გავლენა ჰქონია შენზე. პოდა, მე მომეჩვენა, რომ მივავენი ჩემი ცხოვრების მიზანს, — განმეახლებინა ეს გავლენა.

**როსმერი.** მაშ, შენ ფარული განზრახვით მოხვედი აქ?..

**რებეკა.** მე მინდოდა, რომ ჩვენ ხელი-ხელ ჩაკიდებულებს ლაღად და თამამად გვევლო წინ, მხოლოდ წინ, თვით ქვეყნიერების დასასრულამდე ... მაგრამ შენსა და სრულ თავისუფლებას შორის გადაულახავ დაბრკოლებად აღმართული იყო პირქუში გალაყანი.

**როსმერი.** მაინც რა გალაყანს გულისხმობ?

**რებეკა.** მე ვგულისხმობ იმას, რომ ვერასოდეს ვზიარებოდი თავისუფლებას მზისა და ბედნიერების გარეშე. გახევებული იჯექი აქ და უიღბლო ცოლ-ქმრული ცხოვრების ბინდბუნდში თანდათანობით ქცნებოდი.

**როსმერი.** ჩემი და ბეტას ცოლ-ქმრობაზე აქამდე არასოდეს გილაპარაკია ჩემთან ამნაირი ტონით.

რებეკა. ვერ ვბედავდი ... მხოლოდ იმიტომ, რომ არ დამეშინებინე.  
კროლი (როსმერს). გესმის?

რებეკა (განაგრძობს). მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, თუ რას შეეძლო  
შენი ხსნა. მხოლოდ ერთ, ერთადერთ რამეს. და მე მოქმედება  
დავიწყე.

როსმერი. მაინც?..

კროლი. იმის თქმა ხომ არ გნებაუთ, რომ ...

რებეკა. დიახ, როსმერ ... (ღებზა). იჭეკი, იჭეკი. თქვენც, ბატონო  
რექტორო. ახლა კი დროა, ყველაფერი გაგმეღლაწვით ... არა,  
შენ არავეთარი ბრალი არ მიგიძღვის, როსმერ ... ეს მე  
ვაცთუნე ... დიახ. იქამდე მივედი, რომ ვაცთუნე და მცდარ  
გზაზე დავაყენე ბეატა ...

როსმერი (წამობტება). რებეკა!

კროლი (ასევე). მცდარ გზაზე?

რებეკა. გზაზე, რომელმაც ის ... წყალვარდნილამდე მიიყვანა. ახლა  
ორივემ ყველაფერი იცით.

როსმერი (თავზარღაყეული). არ მესმის. რას ამბობს? არაფერი არ  
მესმის.

კროლი. ოო... მე კი, მგონი, თანდათან ვხვდები.

როსმერი. კი მაგრამ, მაინც რა ჩაიდინე? რა უნდა გეთქვა მისთვის?  
რომ არაფერი არ იყო? არაფერი! არაფერი!

რებეკა. მან გაიგო, რომ შენ აპირებდი ზურგი გაქცია ძველი  
ცრურწმენისათვის.

როსმერი. კი მაგრამ, მაშინ ხომ ჯერ კიდევ არ მქონდა  
გადაწყვეტილი.

რებეკა. მე ვიცოდი, რომ მალე საქმედ აქცევიდი იმას, რაც  
განიზრახე.

კროლი (თავს აქნევს). აჰა!

როსმერი. მერე? მერე? მე მინდა ყველაფერი ვიცოდე.

რებეკა. ცოტა ხნის შემდეგ ... თხოვნა დავუწყე. ვევედრებოდი,  
ნება მომეცი როსმერსპოლმიდან წავიდე-მეთქი.

როსმერი. მაშინ მაინც რატომ გინდოდა წასვლა?

რებეკა. პირიქით, წასვლა კი არა, დარჩენა მინდოდა. მაგრამ მე  
ეუთხარი ბეატას, სამივესათვის აჯობებს, თუ დროზე გაგეც-  
ლებით-მეთქი. ვაგრძნობინე, რომ თუკი აქ დავრჩებოდი ...  
შეიძლებოდა მომხდარიყო ... რალაც ისეთი ...

როსმერი. აი, თურმე რა გითქვამს მისთვის.

რებეკა. დიახ, როსმერ.

როსმერი. მაშ, ამ აზრითა თქვი, მოქმედება დაეწყე?

რებეკა (ჩაწვეტილი ხმით). დიახ, ამ აზრით.

როსმერი (ჩანმოკლე პაუზის შემდეგ). უკვე დაამთავრე შენი აღსარება, რებეკა?

რებეკა. დიახ.

კროლი. არა, ჯერ არა.

რებეკა (შეშინებული მისჩერებია). მაშ, რალა დარჩა?

კროლი. ბოლოს. ისიც ხომ არ აგრძნობინეთ ბეატას, რომ უმჯობესი იქნებოდა... არა, უმჯობესი კი არა, თქვენთვისაც და როსმერისთვისაც აუცილებელი გახლდათ, რაც შეიძლება მალე წასულიყავით სადმე? ... ა?

რებეკა (ჩემოდ, ძლივს გასაგებად). შეიძლება რალაც ამგვარი ვუთხარი.

როსმერი (მძიმედ ეშვება სავარძელში ფანჯარასთან). და საცოდავი, სნეულებით გაწამებული თხემით ტერფამდე გაიხლართა სიცრუისა და თვალთმაქცობის ამ ქსელში! ყველაფერი დაიჭერა! მთელის არსებით გენდოთ! ურყევად! (რებეკას გადახედავს). და ერთხელაც არ მოუშარათავს ჩემთვის, ერთხელაც არ დასცდენია არცერთი სიტყვა! ოო, რებეკა ... სახეზე გატყობ, რომ შენ დაუშალე!

რებეკა. მას ხომ აკვიატებული ჰქონდა, რაკილა უშვილო ვარ, ამიტომ აქ დარჩენის უფლებაც არა მაქვსო. წარმოიდგინა, რომ შენი ბედნიერების გულისთვის ადგილი უნდა დაეთმო.

როსმერი. და შენ ... თითიც არ გაგინძრევი, რომ აზრი შეგეცკვლევინებინა მისთვის?

რებეკა. არა.

კროლი. ის კი არადა, ალბათ, კიდევაც განუმტკიცეთ ეს აზრი. მიპასუხეთ! ასე არ არის?

რებეკა. როგორც ჩანს, ასე ესმოდა ჩემი სიტყვები.

როსმერი. დიახ, დიახ. შენს გავლენას კი მთლიანად დაემორჩილა, ქედი მოიხარა მის წინაშე. (წაჰოიკრება). რა გულმა მოგცა?.. რა გულმა მოგცა, ასეთი საშინელი თამაში დაგეწყე?

რებეკა. მე მეგონა, აუცილებელი იყო ორი სიცოცხლიდან ერთ-ერთი ამომერჩია, როსმერ.

კროლი (მკაცრად და მბრძანებლურად). ვინ მოგცათ იმის უფლება, რომ ამნაირი არჩევანი მოგეხდინათ, ფრიოკენ ვესტ?

რებეკა (აგზნებულად). ნუთუ გგონიათ, რომ გულგრილი განსჯისა და აწონ-დაწონის თავი მქონდა? მაშინ ისეთი როდი ვიყავი, როგორსაც ახლა მხედავთ, როცა, აი, აქ, თქვენს წინაშე

ვღვევარ და ყოველივე ამას გიყვებით. ეგეც არ იყოს, ადამიანში, ჩემის აზრით, თითქოს ყოველთვის მოქმედებს ორი ნება. მე მინდოდა ნებისმიერი საშუალებით ჩამომეცილებინა ბეატა. მაგრამ ის კი არასოდეს მიფიქრია, რომ აქამდე მივიდოდა საქმე. ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმისას, რაც პატარა გამბედაობას როდი მოითხოვდა ჩემგან, თითქოს იღუმალი ხმა ჩამჩურჩულებდა: გეყოფა! საკმარისია! მაგრამ მე მაინც ვერასდიდებით ვერ ვახერხებდი შეჩერებას. რალაც წინააღმდეგომელი ძალა მაქეზებდა, ცოტაც, სულ ცოტაც კიდევ გამებედა. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს და, ბოლოს, აღსრულდა... აი, როგორ მოხდა ეს.

ხანმოკლე ღუმბილი.

როსმერი (რებეკას). კი მაგრამ აწი რა გეშველება? ყოველივე ამის შემდეგ?

რებეკა. რაც იქნება, იქნება. ეგ ნაკლებად მადარდებს.

კროლი. ერთი სიტყვით მაინც ამულავნებდეთ სინანულს! თუმცა თქვენ, ალბათ, არც კი გრძნობთ მას.

რებეკა (გულგრილად, პირდაპირ პასუხს თავს არიდებს). მომიტევეთ, ბატონო რექტორო. ეს საქმე არავის არ ეხება, და მე თვითონვე მოვეუვლი მას.

კროლი (როსმერს). და შენ ამნაირ ქალთან ცხოვრობ ერთ ქერქვეშ! თანაც, რა ახლოს ხარ მასთან. (თვალს მოაუღებს პორტრეტებს). ოო, მიცვალებულები რომ ხედავდნენ ამას!

როსმერი. ქალაქში მიდიხარ?

კროლი (ქუდს იღებს). დიახ. და რაც უფრო მალე წავალ, მით უკეთესი.

როსმერი (თვითონაც იღებს ქუდს). მეც მოვდივარ!

კროლი. მართლა? დიახ, ასეც ვიცოდი, რომ საბოლოოდ არ დაგვეკარგვიხარ.

როსმერი. წავიდეთ, კროლ, წავიდეთ! (რებეკას ზედაც არ შეხედავენ, ისე გადიან წინკარში).

ცოტა ხნის შემდეგ რებეკა ნელა უახლოვდება ფანჯარას და ყვაილებს შორის იხედება.

რებეკა (ხმადაბლა). დღესაც ვერ გაბედა ბოგირზე გავლა. შემოუარა. ვერც ვერასოდეს გაბედავს წყალვარდნილზე გადასვლას. ვერასოდეს. (ფანჯარას სცილდება). დიახ, დიახ. (მიდის და რეკავს). მალე მარჯნიდან შემოდის მადამ ჰელსეტი.

მადამ ჰელსეტი. რა გნებავთ, ფრიოკენ?

რებეკა. თუ შეიძლება, ჩემი სამგზავრო ჩემოდანი ჩამოიტანეთ სხენიდან. მადამ ჰელსეტი.

მადამ ჰელსეტი. სამგზავრო ჩემოდანი?

რებეკა. დიახ, ყავისფერი, სელაპის ტყავი რომ აქვს გადაკრული,—  
თქვენ იცით.

მადამ ჰელსეტი. ვიცი, ვიცი. კი მაგრამ, ღმერთო შენ შემეწყალე  
... წასვლას ხომ არ აპირებთ, ფრიოკენ?

რებეკა. დიახ, ვაპირებ და წავალ კიდეც, მადამ ჰელსეტ.

მადამ ჰელსეტი. ახლავე, ამწუთას?

რებეკა. როგორც კი ჩავალაგებ.

მადამ ჰელსეტი. კი მაგრამ, მაინც რა მოხდა? ხომ დაბრუნდებით?

რებეკა. აღარასოდეს აღარ დავბრუნდები.

მადამ ჰელსეტი. აღარასოდეს? ღმერთო დიდებულო! კი მაგრამ,  
რა გვეშველება უთქვენოდ? საწყალ პასტორს როგორც იქნა  
ელირსა სიმშვიდე და სიმყუდროვე.

რებეკა. დღეს რალაც უცნაურმა შიშმა ამიტანა, მადამ ჰელსეტ.

მადამ ჰელსეტი. შიშმა? ღმერთო დიდებულო ... მაინც რამ  
შეგაშინათ?

რებეკა. რა ვიცი, თითქოს თეთრი ცხენები მომეჩვენა ...

მადამ ჰელსეტი. თეთრი ცხენები? დღისით, მზისით?..

რებეკა. აჰ, მგონი, დღედაღამ აქ დასეირნობენ ... ეს თეთრი  
ცხენები. (სხვა ტონით). მაშ, ასე, სამგზავრო ჩემოდანი, მადამ  
ჰელსეტ.

მადამ ჰელსეტი. დიახ, დიახ. სამგზავრო ჩემოდანი.

ორივე ხელმარჯვნივ გადის.

## მეოთხე მოქმედება

სასტუმრო ოთახი როსმერსპოლში. გვიანი საღამოა. მაგიდაზე აბაეურიანი  
ლამპა ანთია. რებეკა ფანჯარასთან დგას და საკვირაეში სხვადასხვა ნივთებს  
ალაგებს. მისი პალტო, ქუდი და მისივე ხელით მოქსოვილი თეთრი თავშალი  
დივანის ზურგზეა გადაკიდებული.

მარჯვნიდან შემოდის მადამ ჰელსეტი.

მადამ ჰელსეტი (ხმადაბლა, ოღნავ თავშეკავებით). ყველაფერი უკანა  
კიბეზე გავიტანე, ფრიოკენ.

რებეკა. მეეტლესაც უთხარით?

მადამ ჰელსეტი. დიახ, კითხულობს, როდის ვეახლოო?

რებეკა. მე მგონია, ასე, თერთმეტ საათზე. გემი შუალამისას გადის.

მადამ ჰელსეტი (ენის ბორძიკით). კი მაგრამ, პასტორი? წასვლამდე რომ ვერ მოგისწროთ?

რებეკა. მე მაინც წავალ. თუ ვერა ენახე, გადაეცით, რომ წერილს მოვწერ. ვრცელ წერილს. დიახ. სწორედ ასე უთხარით.

მადამ ჰელსეტი. დიახ, ისე, წერილიც არ იქნება ურიგო. მაგრამ იქნებ ერთხელ კიდევ გეცადათ და პირადად მოლაპარაკებოდი.

რებეკა. ენახოთ. თუმცა არა, რა საჭიროა?

მადამ ჰელსეტი. არ მეგონა, რომ ამას მოვესწრებოდი.

რებეკა. მაინც რა არ გეგონათ, მადამ ჰელსეტი?

მადამ ჰელსეტი. მართალი გითხრათ, პასტორ როსმერს წესიერ კაცად ვთვლიდი.

რებეკა. წესიერ კაცად?

მადამ ჰელსეტი. დიახ.

რებეკა. კი მაგრამ, მაინც რას გულისხმობთ, ჩემო ძვირფასო?

მადამ ჰელსეტი. სიმართლეს მოგახსენებთ, ფრიოკენ. როგორ იკადრა, რომ ასე მშრალად ამოსულიყო წყლიდან?

რებეკა (მისჩერებია). თუ შეიძლება, გულახდილად მითხარით, მადამ ჰელსეტი, -- როგორ გგონიათ, მაინც რატომ მიედივარ, ა?

მადამ ჰელსეტი. ღმერთო ჩემო, ხომ გაგიგონიათ, გაჰირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ფრიოკენ. ოჰო-ჰო-ჰო! მაგრამ პასტორს მაინც არ ეკადრებოდა!.. მორტენსჰორს რას მოსთხოვდი? გათხოვილ ქალთან ჰქონდა საქმე. ასე რომ, ძალიანაც რომ სდომებოდა, ცოლად ვერ შეირთავდა. მაგრამ პასტორი ... ჰმ!..

რებეკა (ოდნავ შესაჩხრევად იღიბება). ნუთუ მართლა გგონიათ, რომ მე და პასტორი ...

მადამ ჰელსეტი. ჩემს დღეში არ მიფიქრია. ესე იგი ... დღევანდლამდე.

რებეკა. დღეს კი?..

მადამ ჰელსეტი. ოო ... იმდენი უკეთურობის შემდეგ, რაც, თუ ქორებს ვენდობით, გაზეთებში დაიბეჭდა პასტორზე ...

რებეკა. აჰ, აი, თურმე რას გულისხმობთ!

მადამ ჰელსეტი. ჩემის აზრით, იმ კაცისგან, რომელიც მორტენსჰორის რწმენაზე გადავიდა, ყველაფერია მოსალოდნელი.

რებეკა. შეიძლება ... კი მაგრამ, მე? ჩემზე რაღას იტყვიან?



მადამ ჰელსეტი. მომიტევეთ, ფრიოკენ ... თქვენზე რა მეთქმის?  
მარტოხელა ქალს რა წინააღმდეგობის თავი აქვს?.. გასაგ-  
ებია... ყველანი ადამიანები ვართ, ფრიოკენ ვესტ.

რებეკა. მართალს ბრძანებთ, მადამ ჰელსეტი. ყველანი ადამიანები  
ვართ... რა მოგეჩვენათ?

მადამ ჰელსეტი (ჩუმად) ღმერთო დიდებულო... ნამდვილად ისაა.  
რებეკა (შეკრობა). ესე იგი, მაინც?.. (მტკიცედ). რაც არის, არის!  
წინყარიდან შემოდის იუჰანეს როსმერი.

როსმერი (სამგზავრო სამზადისის დანახვისას რებეკას მიუბრუნდება და  
ეკითხება). რას ნიშნავს ეს?

რებეკა. მივდივარ.

როსმერი. ახლავე?

რებეკა (მადამ ჰელსეტს მიუბრუნდება). მაშ, ასე, თერთმეტ საათზე,  
არა?

მადამ ჰელსეტი. კეთილი, ფრიოკენ. (ხელმარჯვნივ გადის).

როსმერი (ხანმოკლე ღებოლის შემდეგ). საით მიემგზავრები, რებეკა?

რებეკა. ჩრდილოეთში, გემს მივყვები.

როსმერი. ჩრდილოეთში? კი მაგრამ, რა დაგრჩენია ჩრდილოეთში?

რებეკა. მე ხომ იქიდან ჩამოვედი.

როსმერი. მაგრამ ახლა რა საქმე გაქვს იქ?

რებეკა. ან აქ რა საქმე მაქვს?

როსმერი. მაინც რას აპირებ?

რებეკა. არ ვიცი. ვეცდები თავი დაეაღწიო ყოველივე ამას.

როსმერი. ყოველივე ამას?

რებეკა. როსმერსპოლმა წელში გამტეხა.

როსმერი. (გაოგნებული) რას ამბობ?..

რებეკა. დიახ, გამტეხა და გამანადგურა ... აქ რომ ჩამოვედი,  
ისეთი ლალი და თამამი ვიყავი. ახლა კი უცხო კანონის  
ულელქვეშ მოვიხარე ქედი. არა მგონია, ამიერიდან კვლავ  
მეყოს გამბედაობა, რაიმე სიძნელეს შევეპილო.

როსმერი. რატომ? მაინც რა არის ეს კანონი, რომლის ულელქვე-  
შაც, შენივე სიტყვებით რომ ვთქვათ ...

რებეკა. მოვეშვათ ამას, ჩემო ძვირფასო ... რა გადაწყვიტეთ შენ  
და რექტორმა?

როსმერი. ზავი დავდეთ.

რებეკა. აა! მაშასადამე, ყველაფერი მაინც ამით დამთავრდა?

როსმერი. მთელ ჩვენს მეგობრებს მოუყარა თავი, და მათ  
თვალნათლივ დაბიძგებულს, რომ ჩემი გეგმა, რომელიც კაცთა

სულეების გაკეთილშობილებას ისახავდა მიზნად. თურმე სულაც არ ყოფილა საჩემო საქმე. და თვით ეს გეგმაც, თავისთავად, იმდენად უიმედოა, რომ... არა, მე ხელს ვიღებ მასზე.

რებეკა. დიახ, დიახ... ალბათ, ასე აჯობებს.

როსმერი. ასე აჯობებს? მაშ. ახლა შენც ამ აზრისა ხარ?

რებეკა. თანდათანობით მივედი ამ აზრამდე. ბოლო ორი დღის განმავლობაში.

როსმერი. სტყუი, რებეკა!

რებეკა. ეტყუი?..

როსმერი. დიახ, სტყუი. შენ არასოდეს არ გწამდა ჩემი. არასოდეს არ გჯეროდა, რომ მე შემეძლო ბოლომდე დამეცვა ეს საქმე და გამარჯვებამდე მიმეყვანა იგი.

რებეკა. მე მეგონა, ორივე ერთად როგორმე თავს გავართმევდით მას.

როსმერი. სტყუი. შენ გეგონა, რომ თვითონვე მიაღწევდი რაღაც არნახულს. მე კი მხოლოდ შენი განზრახვის იარაღად მთვლიდი, რომლის მეშვეობითაც ხორცს შეასხამდი შენს მიერ დასახულ მიზანს. აი, რას ფიქრობდი შენ.

რებეკა. მომისმინე, როსმერ ...

როსმერი (მძიმედ ეშვება ღვიანზე). მორჩი... ახლა კი ყველაფერი ცხადია ჩემთვის. მე მხოლოდ სათამაშო ვიყავი შენს ხელში.

რებეკა. არა, მომისმინე, როსმერ. მოდი, სწორედ ამაზე ვილაპარაკოთ... უკანასკნელად. (ღვიანის გვერდით, სკამზე ჯდება). მე მინდოდა ყველაფერი იქიდან — ჩრდილოეთიდან მომეწერა შენთვის. მაგრამ, როგორც ჩანს, უმჯობესია, პირადად მოვახსენო.

როსმერი. მაშ, ჯერ კიდევ არ გითქვამს ყველაფერი?

რებეკა. ყველაზე მთავარი უთქმელი დამრჩა.

როსმერი. ყველაზე მთავარი?

რებეკა. დიახ, უნდა გაგიმელაწინო ის, რაზედაც წარმოდგენაც არა გაქვს, და რაც ნათელს მოჰქვენს ყოველივე დანარჩენს.

როსმერი (თავს აქნევს). არაფერი არ მესმის.

რებეკა. მართალია, ოდესღაც ცბიერებით ვცდილობდი როსმერსკოლმში მოხვედრას. რადგანაც ვფიქრობდი, რომ სწორედ აქ შევძლებდი მეპოვა ჩემი ილბალი და ბედნიერება. ასე თუ ისე, გესმის?

როსმერი. მერედა, ხომ მიაღწიე საწადალს?

რებეკა. მე მგონია, რასაც კი მოვინდომებდი, ყველაფრის მიღწევა შემეძლო მაშინ. დიახ, მაშინ ჩემი ნება ჭერ კიდევ ლალი, თამამი და თავისუფალი იყო. არავითარი სხვა აზრის გაგონება არ მინდოდა. ვერაფერი გადამახვევინებდა ერთხელ არჩეულ გზიდან. მაგრამ სწორედ მაშინ მეწია ის, რამაც გატეხა ჩემი ნება... სამუდამოდ დამორგუნა და დამაშინა.

როსმერი. მაინც რა? უფრო გასაგებად ვერ მეტყვი?

რებეკა. სწორედ მაშინ დამეუფლა ეს დაუოკებელი, დაუძლეველი ვნება, როსმერი!..

როსმერი. ვნება? შენ?.. ვის მიმართ?..

რებეკა. შენს მიმართ.

როსმერი (მზადაა წამოხტეს). იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ... შეგიყვარდი?..

რებეკა. ეს გრძნობა მაშინ მეც სიყვარული მეგონა, მაგრამ არა. გამოგიტყდები: ეს იყო დაუოკებელი, დაუძლეველი ვნება.

როსმერი (თავს ძალას ატანს). რებეკა... ნუთუ ეს შენა ხარ.... აქ რომ ზიხარ და ყოველივე ამას მიყვები?

რებეკა. დიახ, რას იტყვი, როსმერი?

როსმერი. და სწორედ ამ გრძნობის გავლენით დაიწყე მოქმედება, როგორც თვითონა ბრძანე?..

რებეკა. ეს გრძნობა გრიგალივით დამატყდა თავს. ამნაირი გრიგალი მხოლოდ ჩვენში, ჩრდილოეთში იცის. აგიტაცებს და ეშმაკმა იცის, სად წაგიღებს. წინააღმდეგობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

როსმერი. მაშ, სწორედ ამ გრიგალმა გადაჩეხა საცოდავი ბეატა წყალვარდნილში?

რებეკა. დიახ, მაშინ ხომ ჩვენ გააფთრებით ვებრძოდით ერთმანეთს, როგორც ორი დასახრჩობად განწირული, გადაყირავებულ ნავს რომ ჩაპტერენიან გადასარჩენად.

როსმერი. და, რა თქმა უნდა, უძლიერესი შენ აღმოჩნდი აქ, როსმერსკოლში; უფრო ძლიერი, ვიდრე მე და ბეატა — ორივე ერთად.

რებეკა. მე მოვასწარი შენი გაცნობა და მივხვდი, რომ სიახლოვეს ვერ გაგეკარებოდი, სანამ არ განთავისუფლდებოდი სულიერადაც და ხორციელადაც.

როსმერი. მაგრამ არ მესმის შენი, რებეკა... შენ... მთელი შენი ქცევა — ამოუხსნელი ამოცანაა ჩემთვის. ახლა ხომ თავისუფალი ვარ... სულიერადაც და ხორციელადაც. მაშასადამე, უკვე მიაღწიე იმთავითვე დასახულ მიზანს. მაგრამ მაინც...

რებეკა. არასოდეს ისე შორს არ ვყოფილვარ ჩემი მიზნისგან, როგორც ახლა.

როსმერი. ... მაგრამ მაინც, კვლავ ვიმეორებ, როცა გუშინ შემოგთავაზე, უფრო სწორად, გთხოვე, ჩემი ცოლი გახდი-მეთქი, შენ თითქმის შეშინებულმა და თავზარდაცემულმა წამოიკიეღე. არასოდეს ეს არ მოხდებოდა.

რებეკა. ეს იყო სასოწარკვეთილების კივილი.

როსმერი. რატომ?

რებეკა. იმიტომ, რომ როსმერსპოლმმა უკანასკნელი ძალა წამართვა. აქ დაემსხვრა ფრთები ჩემს ლალსა და თამამ ნებას. აქ დაასახიჩრეს და დაასაპყრეს იგი. წავიდა ის დრო, როცა შემეძლო ყველაფრისათვის შემეებედა. მოქმედების უნარი დავეკარგე, როსმერ.

როსმერი. როგორ თუ დაკარგე?

რებეკა. თვითონ ცხოვრებამ, შენთან ურთიერთობამ დამაკარგვინა.

რებეკა. როცა აქ მარტოკა დავრჩი შენთან... შენ კი ის გახდი, რაც ხარ...

როსმერი. მერე?..

რებეკა. ... რადგან ბეატას სიცოცხლეში ხომ არ ყოფილხარ მთლიანად ის, რაც სინამდვილეში ხარ?

როსმერი. სამწუხაროდ, მართალს ამბობ.

რებეკა. მაგრამ როცა სულ მარტო დავრჩი შენთან... აქ, ამ სიჩუმესა და სიმყუდროვეში... როცა მთლიანად მომენდე და მხოლოდ მე მიზიარებდი შენს სანუკვარ აზრებს, შენი ნაზი და ფაქიზი სულის ყველა მოძრაობას, შენს სიხარულს თუ სევდას. — ჩემს არსებაში უცნაური გარდატეხა მოხდა. რაღა თქმა უნდა, თანდათან, გესმის?.. თითქმის შეუმჩნეველად... მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჩემი სული ძირფესვიანად გადასხვაფერდა.

როსმერი. ოო, რა არის ეს, რა არის ეს, რებეკა?

რებეკა. ის... მახინჯი ხორციელი ვნება უკვალოდ გაქრა, განქარდა. მთელი ჩემი ამღვრეული და ამორგებული ძალა დაცხრა, დამშვიდდა, თავის კალაპოტს დაუბრუნდა. ჩემს სულში ისეთმა სიმშვიდემ და სიმყუდროვემ დაისადგურა, როგორც ჩრდილოეთში, ფრინველებით მოფენილ ქარაფზე შუალამის მქრქალი და მცხრალი მზის ქვეშ.

როსმერი. მერე, მერე? მითხარი, ყველაფერი მითხარი, რისი თქმაც შეგიძლია.

რებეკა. მეტი არც არაფერი მაქვს სათქმელი, გარდა იმისა, რომ სწორედ მაშინ დამეუფლა სიყვარული, დიადი, თავდავიწყებული, ყოვლისმომცველი სიყვარული, რომელიც იმ ერთობლივი ცხოვრებითაც კმაყოფილდება, რომლითაც ვცხოვრობდით ჩვენ.

როსმერი. ო, აზრად მაინც რომ მომსელოდა!..

რებეკა. ასე სჯობს, რაც არის. გუშინ, როცა შენ მკითხე, ცოლად ხომ არ გამომყვებიო, ისეთმა ალტაცებამ შემიპყრო...

როსმერი. ხომ მართალია, რებეკა? მეც ასე მომეჩვენა...

რებეკა. მხოლოდ ერთის წამით. თავდავიწყების უამს. ეს ჩემმა ძველმა, ლალმა და თამამმა ნებამ გაიბრძოლა გალიიდან თავდასაღწევად. მაგრამ მას უკვე ღალატობს ძალა... მალე იღლება.

როსმერი. მაინც რით ახსნი ამ შენს ფერისცვალებას?

რებეკა. ეს როსმერთა საგვარეულო მსოფლმხედველობამ, ან, უფრო სწორად, პირადად შენმა საკუთარმა მსოფლმხედველობამ მოწამლა ჩემი ნება.

როსმერი. მოწამლა?

რებეკა. დიახ, მოწამლა და ჩააქცნო კიდევ. უცხო კანონებს დაუმონა იგი, რომლებსაც ადრე, საერთოდ, არ ვცნობდი... შენთან ურთიერთობამ გააკეთილშობილა ჩემი სული.

როსმერი. აჰ, ნეტა შემეძლოს, მართლა ვირწმუნო ეგ.

რებეკა. თამამად შეგიძლია ირწმუნო. როსმერსპოლმური მსოფლმხედველობა აკეთილშობილებს სულს, მაგრამ... (თავს აქნევს) მაგრამ...

როსმერი. რა მაგრამ?..

რებეკა. ... მაგრამ, იმავდროულად, ჰკლავს ბედნიერებას.

როსმერი. შენ ასე გგონია, რებეკა?

რებეკა. დიახ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე დამემართა.

როსმერი. მაგრამ ნუთუ ასე დარწმუნებული ხარ ამაში? კი მაგრამ, მე რომ კვლავ შემოგთავაზო?.. გთხოვო, შეგევედრო?..

რებეკა. არასოდეს... სიტყვაც აღარ დასძრა ამაზე, ჩემო ძვირფასო. ეს შეუძლებელია!.. იმიტომ, რომ... დიახ, ესეც უნდა იცოდე, როსმერ, - იმიტომ, რომ მე წარსული მაქვს.

როსმერი. გარდა იმისა, რაც უკვე მიაშბე?

რებეკა. დიახ, გარდა იმისა... და უფრო სერიოზული...

როსმერი (ოღნავ შესაშინევი ლიბილით). რა უცნაურია, რებეკა! შენ წარმოიდგინე, ზოგჯერ მეც გამკრავდა ხოლმე ამგვარი ექვი.

რებეკა. მართლა? და შენ, მიუხედავად ამისა, მაინც?..

**როსმერი.** არასოდეს გასაქანი არ მიმიცია ჩემი ექვისთვის -- ისე, ხანდახან, აზრით თუ გავეთამაშებოდი, გესმის?

**რებეკა.** თუ მომთხოვ, არც კი დაფიქრდები, ახლავე გეტყვი ამასაც.

**როსმერი** (ხელის გაქნევით). არა, არა, გაგონებაც არ მინდა. არაფერსაც არა გთხოვ... მე შემიძლია ყველაფერი დავეივიწყო.

**რებეკა.** მე კი არ შემიძლია.

**როსმერი.** ო, რებეკა!..

**რებეკა.** დიახ, ხომ ხედავ, სწორედ ესაა საშინელება: ახლა, როცა ცხოვრება თვითონ მაწადის ბედნიერებით სავსე ფიალას... მე ისეთი გავხდი, რომ თვით ჩემი საკუთარი წარსული მელობება გზაზე.

**როსმერი.** შენი წარსული მოკვდა, რებეკა. მას არავითარი გავლენა აღარა აქვს შენზე. არავითარი კავშირი აღარა აქვს შენთან ... ისეთთან, როგორც ახლა გახდი.

**რებეკა.** აჰ, ჩემო ძვირფასო, ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვებია. კი მაგრამ, ბრალისაგან თავისუფალი სინიდისი? ვინ მომაშავებს?..

**როსმერი** (დათრგუნვილი). დიახ. დიახ... ბრალისაგან თავისუფალი სინიდისი.

**რებეკა.** სწორედ მასშია სიხარული და ბედნიერება. აი, მოძღვრება, რომლისთვისაც გინდოდა სული ჩაგედგა და მომავლის კეთილშობილ, სიხარულით სავსე ადამიანთა მრწამსად გექცია იგი...

**როსმერი.** აჰ, ნულარ გამახსენებ ამას. ეს იყო მხოლოდ უსაგნო ოცნება, რებეკა. მსწრაფლწარმავალი ზმანება, რომელიც მე თვითონაც აღარა მჯერა. ადამიანებს, როგორც ჩანს, გარეშე ძალის ზემოქმედებით ვერ გააკეთილშობილებ.

**რებეკა** (ჩუმად). ვერც თვით უანგარო სიყვარულით?

**როსმერი** (ჩაფიქრებით). დიახ, აი, ეს მართლაც რომ დიდი საქმე იქნებოდა; ჩემის აზრით, ლამის ყველაზე დიადი საქმე მთელს ცხოვრებაში... შესაძლებელი რომ იყოს. (აღელვებული). მაგრამ როგორ გავერკვე ამ საკითხში? როგორ გავიცხადო სიმართლე?

**რებეკა.** არ გჯერა ჩემი, როსმერ?

**როსმერი.** აჰ, რებეკა, როგორ უნდა მჯეროდეს შენი? რამდენს თამაშობდი, ცრუობდი, თვალს მიხვევდი! ახლა კი ამ სიახლეს მიმჟღავნებ. თუ ამაშიაც რაიმე იმალება, ადექი და ბარემ ახლავე მითხარი. აბა, რა ვიცი, იქნებ რალაციის მიღწევა გსურს? მე ხომ არაფერზე არ გეტყვი უარს, რაც კი შემიძლია.

რებეკა (ხელების მტკრევით). აჰ, ეს მომაკვდინებელი იქვენულობა!.. როსმერ!.. როსმერ!..

როსმერი. დიახ! განა საშინელება არ არის ეს? მაგრამ რა ექნა, ვერასოდეს ველარ დავიხსნი თავს ამ ექვისაგან. ვერასოდეს ველარ დავიჭერებ, რომ წმინდა და უანგარო სიყვარულით მეკუთვნი მე.

რებეკა. კი მაგრამ, ნუთუ შენს სულში არაფერი არ მოწმობს იმას, რომ ჩემში მართლაც უცნაური გარდატეხა მოხდა? და რომ ამ გარდატეხის მიზეზი შენა ხარ... მხოლოდ შენ?

როსმერი. ეჰ, რა ექნა, აღარა მჯერა, რომ აღამიანთა გარდაქმნის უნარი შემწევს. საერთოდ აღარა მჯერა ჩემივე თავის. აღარც ჩემი და აღარც შენი, რებეკა.

რებეკა (პირქუში მხერით). როგორღა გინდა იცხოვრო ამის შემდეგ?

როსმერი. თვითონაც არ ვიცი... არ მესმის. არა მგონია, რომ შევძლო... არც არაფერი მეგულება ამქვეყნად ისეთი, რომ მისი გულისთვის ღირდეს ცხოვრება.

რებეკა. ოო, ცხოვრება,— თვით მასშივეა განახლება. ამიტომაც მაგრად ჩაეებლაუქოთ, როსმერ. მასთან გამომშვიდობებას ყოველთვის მოვასწრებთ.

როსმერი (აღღებული წაჰოიკრება). მაშინ დამიბრუნე რწმენა! შენდამი რწმენა, რებეკა! რწმენა შენი სიყვარულისა! საბუთი, საბუთი მომეცი, გესმის?

რებეკა. საბუთი? რა საბუთი შემიძლია მოგცე?

როსმერი. რაც მე მჭირდება! (ოთახში დაბორილობს). არადა, ვერ ავიტან ამ სიცარიელეს... ამ საშინელ სიცარიელეს... ამ... ამ... წინკარზე მკვეთრი კაკუნი ისმის.

რებეკა (სკამიდან წამოხტება). ა!.. გესმის?

კარი იღება და შემოდის ულრიკ ბრენდელი. გახამებული პერანგი, შავი სერთუკი და მალაყელიანი ფეხსაცმელები აცვია, რომლებშიაც შარკლის ტოტები აქვს ჩატნული. დანარჩენი ტანსაცმელი იგივეა, რაც პირველ მოქმედებაში. ცოტა არ იყოს, დაბნულად გამოიყურება.

როსმერი. ა, ეს თქვენა ხართ. ბატონო ბრენდელ?

ბრენდელი. იუჰანეს, ჩემო ძვირფასო... მოგესალმები... და გთხოვ მომიტეო!

როსმერი. ასე გვიან საით გაგიწევიათ?

ბრენდელი. ქვევით, მთის ძირას.

როსმერი. როგორ?..

ბრენდელი. შინ, ჩემო უძვირფასესო შეგირდო, შინ: საოცრად მომენტრა ღიადი „არარაობა“.

**როსმერი.** როგორც ჩანს, რალაცა შეგემთხვათ, ბატონო ბრენდელ!  
მაინც რა?

**ბრენდელი.** მაშ, შენც შენიშნე ჩემი ფერისცვალება? თუმცა, ალბათ, არც ისე ძნელი შესამჩნევია. უკანასკნელად რომ შემოვედი ამ დარბაზში... შენს წინაშე წარვსდექი როგორც მდიდარი კაცი, ამაყად რომ იტყაპუნებდა ჯიბეზე ხელს.

**როსმერი.** როგორ? მართალი გითხრათ, არ მესმის...

**ბრენდელი.** ახლა კი, ამ საღამოს, შენ მხედავ ტახტიდან ჩამოგდებულსა და ჩემი დამწვარ-დანახშირებული სასახლის ფერფლში მუხლებამდე მდგარ მეფეს.

**როსმერი.** თუ შემიძლია რითიმე დაგეხმაროთ...

**ბრენდელი.** დღემდე შემოგრჩა შენი ბავშვური გული, იუჰანეს...  
ცოტაოდენს ხომ ვერ მასესხებ?..

**როსმერი.** დიახ, დიახ, სიამოვნებით!

**ბრენდელი.** ორიოდ ნახმარი და გაცვეთილი იდეალი ხომ არ მოგეძებნება?..

**როსმერი.** რას ბრძანებთ?

**ბრენდელი.** ორიოდ გაცვეთილ იდეალს ხომ ვერ მიწყალობებ-მეთქი? მაღლი იქნება. ამ მხრივ, მე ახლა ნამდვილი ლატაკი ვარ, ჩემო ძვირფასო. ააფრინე ალალიო...

**რებეკა.** მაშ, ვერ მოახერხეთ თქვენი ლექციების წაკითხვა?

**ბრენდელი.** ვერა, ჩემო გონის მიმხედლო ქალბატონო. რას იტყვიო? ის იყო დავაპირე ჩემი სიუხვის რქა გადმომეპირქევაებინა და უცებ, ჩემდა სავალალოდ, შეენიშნე, რომ თურმე ბანკროტი ვარ.

**რებეკა.** კი მაგრამ, თქვენი დაუწერელი თხზულებები?

**ბრენდელი.** ოცდახუთი წელიწადი ნამდვილი კრიჟანგივით ვაჭექი დახურულ სკივრს. და, აი, გუშინ... როცა გავხსენი, რომ ჩემი დაფარული საუნჯე ამომელაგებინა, დავინახე, რომ შიგ არაფერიც არ არის. დროის ბასრმა კბილებმა დაღრღნა და გააცამტვერა ყოველი. აღარაფერი აღარ დარჩა.

**როსმერი.** ვითომ მართლა ასეა? დარწმუნებული ხართ?

**ბრენდელი.** უეჭველად, ჩემო ძვირფასო. პრეზიდენტმა თვალნათლივ დამიმტკიცა ეს.

**როსმერი.** პრეზიდენტმა?

**ბრენდელი.** დიახ... მისმა უდიდებულესობამ.

**როსმერი.** მაინც ვის გულისხმობ?

**ბრენდელი.** რა თქმა უნდა, პეტერ მორტენსჰორს.

**როსმერი.** რაო?!



**ბრენდელი.** (იდუმალი ხმით). სსუ... სსუ!.. პეტერ მორტენსპორი მომავლის წინამძღოლი და მბრძანებელია. არასოდეს არა ვმდგარეარ უფრო შთამბეჭდავი სიდიადის წინაშე. პეტერ მორტენსპორი ყოვლისმძლე კაცი გახდება. მას შეუძლია მიაღწიოს ყველაფერს, რასაც მოისურვებს.

**როსმერი.** არ დაიჭერთ!

**ბრენდელი.** დიახ, დიახ, ჩემო ძვირფასო! რადგან პეტერ მორტენსპორი არასოდეს არ მოისურვებს იმაზე მეტს, რისი მიღწევაც შეუძლია. პეტერ მორტენსპორს შეუძლია იდეალების გარეშე იცხოვროს. ხოლო ეს, დიახ, სწორედ ეს გახლავს მოქმედებისა და წარმატების ერთადერთი დიადი საიდუმლო. აი, ამქვეყნიური სიბრძნის საბოლოო შედეგი. ბასტა!

**როსმერი** (ყრულ). ახლა კი მესმის, რომ უფრო ღარიბი მიდიხართ, ვიდრე მოხვედით.

**ბრენდელი.** Bien! შენი ბებერი მასწავლებლის მაგალითი გაკვეთილად გამოგადგება. ყველაფერი წყალში ჩაიყარა, რასაც ის აქ გასწავლიდა. ქვიშის საძირკველზე ნუ დააშენებ შენს ციხე-კოშკს. თვალი ფხიზლად გეკვიროს. კარგად მოსინჯე ნიადაგი ფეხქვეშ, ვიდრე საბოლოოდ დაეყრდნობოდე ამ მომხიბლავ არსებას, რომელიც ცხოვრებას გიმკობს და გილამაზებს.

**რებეკა.** თქვენ მე მგულისხმობთ?

**ბრენდელი.** დიახ, ჩემო გონის მიმხდელო ზღვის ასულო.

**რებეკა.** მაინც რატომ არ შეიძლება ჩემზე დაყრდნობა?

**ბრენდელი** (ნაბიჯ გადადგამს მისკენ). მე მითხრეს, რომ ჩემს ყოფილ მოწაფეს თავისი მისია აქვს,-- საქმე, რომელიც მას სურს გამარჯვებით დაავიკრივინოს.

**რებეკა.** მერედა, რა?..

**ბრენდელი.** გამარჯვება უზარუნველყოფილი აქვს; მაგრამ, კარგად დაიხსომეთ, მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობით.

**რებეკა.** მაინც?..

**ბრენდელი** (ხელში ფრთხილად ჩაკიდებს ხელს). იმ პირობით, რომ ქალი, რომელსაც ის უყვარს, უყოყმანოდ გავა სამზარეულოში და თავის ნაზ, თოვლივით ქათქათა ნეკს მოიკრის ... აი, აქ ზუსტად ამ შუა სახსრის ზემოთ ... Item, აუცილებელია ისიც, რომ ზემოხსენებულმა შეყვარებულმა ქალბატონმა ... ასევე უყოყმანოდ მოიკრას თავისი უებრო ფორმის მარცხენა ყურიც. (ხელს უშვებს და როსმერს მიუბრუნდება). მშვიდობით, იუქანეს ძღვევამოსილო!

როსმერი. წასვლას აპირებთ? ახლა? ამ ბნელ ღამეში?  
 ბრენდელი. ეს ბნელი ღამე სწორედ ჩემთვისაა ზედგამოკრილი.  
 მშვიდობა თქვენდა! (მიღის).

ოთახში ერთხანს სამარისებური სიჩუმე სუფევს.

რებეკა (მძიმედ სუნთქავს). შეიძლება სული შეეხუთოს ადამიანს!  
 ჴფანჯარასთან მიღის, ალებს და იქვე ჩერდება).

როსმერი (ღუმელის გვერდით, სავარძელში ჯდება). დიახ, როგორც ჩანს,  
 სხვა გამოსავალი არ არსებობს, რებეკა. ახლა კი ვხედავ, რომ  
 უნდა წახვიდე.

რებეკა. ვერც მე ვხედავ სხვა გამოსავალს.

როსმერი. უკანასკნელი წუთებით მაინც ვისარგებლოთ. მოდი აქ,  
 ჩემს გვერდით ჩამოჯექ.

რებეკა (ღიანზე ჯდება). რა გინდა, როსმერ?

როსმერი. უწინარეს ყოვლისა, მე მინდა გითხრა, რომ შენს  
 მომავალზე ზრუნვა არ დაგკირდება.

რებეკა (ილიმება) ჰმ!.. ჩემს მომავალზე!

როსმერი. ყველა შესაძლებლობა გავითვალისწინე ... რა ხანია ...  
 ასეა თუ ისე, შენ უზრუნველყოფილი ხარ.

რებეკა. ამაზეც იზრუნე, ჩემო ძვირფასო?

როსმერი. შენ თვითონ უნდა მიმხედარიყავი.

რებეკა. რა ხანია, ამისთანა რამეებზე აღარ მიფიქრია.

როსმერი. დიახ, დიახ ... შენ, ალბათ, გეგონა, რომ ჩვენი  
 ურთიერთობა აღარასოდეს აღარ შეიცვლებოდა.

რებეკა. დიახ, ასე მეგონა.

როსმერი. მეც. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მე აღარ ვიქნებოდი ...

რებეკა. ო, როსმერ ... შენ ჩემზე დიდხანს იცოცხლებ.

როსმერი. ეს ჩემი უბადრუკი სიცოცხლე ჩემს ხელთაა.

რებეკა. რას ამბობ? თავს ხომ არ გინდა აუტეხო რამე?

როსმერი. კი მაგრამ, ვითომ რა იქნება გასაკვირველი? იმ  
 სამარცხვინო მარცხის შემდეგ, მე რომ განვიცადე!  
 გამარჯვებაზე ვოცნებობდი და ლაჩრულად კი მივატოვე  
 ბრძოლის ველი ... მივატოვე მანამ, სანამ ნამდვილი ბრძოლა  
 დაიწყებოდა!

რებეკა. განაახლე ბრძოლა, როსმერ! სცადე მაინც, და დაინახავ.  
 რომ გამარჯვება შენ დაგრჩება ... შენ გააკეთილშობილებ  
 ათასობით ... ათიათასობით სულს! ოღონდაც სცადე!

როსმერი. ო, რებეკა ... მე თვითონვე აღარა მჭერა ჩემი მისიისა.

- რებეკა. კი მაგრამ, შენ ხომ უკვე ჩააბარე გამოცდა. ერთი ადამიანი მაინც გააკეთილშობილე; კერძოდ, მე,— სამუდამოდ ...
- როსმერი. ეგ რომ მჭეროდეს!..
- რებეკა (ხელების მტკრევით). ო, როსმერ! ნუთუ არ იცი, რითი შემიძლია დაგარწმუნო?
- როსმერი (გველნაკბენივით წაშოვარდება). მეორედ აღარ გაბედო მაგის თქმა! გესმის, რებეკა? აღარასოდეს არ გაბედო!
- რებეკა. არა, სწორედ ეს უნდა გავარკვიო ახლა. იქნება იცი, მაინც რითი შეიძლება მაგ შენი ექვის გაქარწყლება? პირადად მე მთელს ქვეყანაზე არაფერი ამდაგვარი არ მეგულება.
- როსმერი. მაღლობა ღმერთს, რომ არ გეგულება. მით უკეთესი ორივე ჩვენგანისათვის.
- რებეკა. არა, არა და არა! ეგ ვერ დამამშვიდებს. თუ იცი, რა გამამართლებს შენს თვალში, მე მოვითხოვ, უფლება მაქვს მოვითხოვო, რომ მეც მითხრა.
- როსმერი (თითქმის უნებურად). კეთილი, ვნახოთ!.. შენ ამბობ, რომ სულის სიღრმემდე შეგძრა დიადმა სიყვარულმა; რომ ჩემი წყალობით შენი სული გაფაქიზდა და გაკეთილშობილდა, მართლა ასეა? ყველაფერი ზუსტად გაიაზრე? რა იქნება, რომ შევამოწმოთ? ა?
- რებეკა. მე მზადა ვარ.
- როსმერი. ყოველ წამს?
- რებეკა. როდესაც გნებავს. რაც მალე იქნება, მით უკეთესი.
- როსმერი. მაშინ დამიმტკიცე, რებეკა ... რომ შენ ... ჩემი გულისთვის ... ამ საღამოსვე ... (აღარ ამოაგრებს). არა, არა, არა!
- რებეკა. დიახ, როსმერ! დიახ, დიახ! მითხარი, და დაინახავ!
- როსმერი. გეყოფა თუ არა გამბედაობა ... და ნებისყოფა ... რომ უყოყმანოდ, როგორცა თქვა ულრიკ ბრენდელმა ... ჩემი გულისთვის ... ამ ღამესვე ... წახვიდე იქ, სადაც წავიდა ბეატა?
- რებეკა (ნელ-ნელა დგება და ძლივს გასაგონად ამბობს). როსმერ!..
- როსმერი. დიახ, აი, კითხვა, რომელსაც ... შენი წასვლის შემდეგ ... ვერასდიდებით ვერ მოვიცილებ თავიდან. ყოველ დღე, ყოველ წამს, კვლავ და კვლავ მივუბრუნდები მას, ო, თითქოს თვალნათლივ გხედავ ჩემს წინაშე, ბოგირზე მდგარს ... ზედ შუა ბოგირზე... მოაჩირიდან იხრები ... შენს ქვემოთ შმაგად მიგელავს წყალი ... დაუძლეველი ძალით გიზიდავს ... თავბრუ გეცხმის ... არა! ... უკან იხევ ... გამბედაობა არ გყოფნის, არ შეგიძლია ის, რაც შესძლო მან.
- რებეკა. კი მაგრამ, თუ მაინც გავებდე? და თანაც უყოყმანოდ? მაშინ?
- როსმერი. მაშინ კი რა უფლება მექნება, არ გერწმუნო, არ დაგიჭერო?.. კვლავინდებურად არ დამიბრუნდეს ჩემი მისიის რწმენა, კვლავაც არ ვირწმუნო, რომ უნარი მაქვს, გავაკეთილშობილო ადამიანის სული ... და ადამიანის სულსაც,

თავის მხრივ, შესწევს იმის უნარი, რომ კეთილშობილებას ეზიაროს?

**რებეკა** (ნელა დასწვდება თავშალს, მოიხურავს და მტკიცე ხმით ამბობს).  
შენ დაიბრუნებ შენს რწმენას.

**როსმერი**. კი მაგრამ, გამბედაობა და ნებისყოფა გეყოფა, რებეკა?  
**რებეკა**. ამაში ხვალვე ... ან უფრო გვიან დარწმუნდები ... როცა მიპოვნიან და ნაპირზე ამომათრევენ.

**როსმერი** (შებლზე ხელს ისევას). რა საშინელებაა ...

**რებეკა**. არ მინდა, დიღხანს დავრჩე იქ ფსკერზე ... ეცადე, დროზე მიპოვონ.

**როსმერი** (წაბოვარდება). კი მაგრამ ... ეს ხომ... ეს ხომ ... წმინდა წყლის სიგიჟეა! წალი ... ან დარჩი! ამჯერადაც დაგიჭერებ.  
შენი სიტყვაც საკმარისია ჩემთვის.

**რებეკა**. არა, როსმერ! ახლა უკვე გვიანაა უკან დახევა. ამის შემდეგ როგორღა ერწმუნები ჩემს სიტყვას?

**როსმერი**. მაგრამ მე არ მინდა, შენი დამარცხების მოწმე გავხდე, რებეკა.

**რებეკა**. მე არ დავმარცხდები.

**როსმერი**. დამარცხდები. არასოდეს არ გეყოფა გამბედაობა, რომ ბეატას კვალს გაჰყვე.

**რებეკა**. არა გჯერა?

**როსმერი**. არა. შენ არც ბეატა ხარ და არც ცხოვრებაზე ავადმყოფური შეხედულების ტყვე.

**რებეკა**. მაგრამ მე ახლა როსმერსპოლმური მსოფლმხედველობის ტყვე ვარ. ჩემი ცოდვა მევე უნდა გამოვისულო.

**როსმერი** (დაეინებოთ მისჩერებია). კეთილი. მე კი ჩვენი თავისუფალი მსოფლმხედველობის ტყვე ვარ, რებეკა. ჩვენ არა გვყავს მსაჯული. ამიტომ თვითონვე უნდა განვსაჯოთ და განვიკითხოთ ჩვენივე თავი.

**რებეკა** (სწორად ვერ უგებს). დიახ, ესეც. ესეც. ჩემი სიკვდილი გადაარჩენს ყველაფერს, რაც კი კარგია შენში.

**როსმერი**. ო, ჩემში აღარაფერია გადასარჩენი.

**რებეკა**. არის ... მაგრამ მე ... ამიერიდან მხოლოდ ალი თუ ვიქნებოდი, რომელიც თავგანწირვით ებლაუქება ხომალდს, რათა მისი სვლა შეაჩეროს, მაშინ როდესაც ხომალდი ლალად უნდა მიჰქროდეს წინ. ამიტომაც მე განზე უნდა მომისროლოს. ან, იქნებ, მიბრძანებ, დავრჩე და ჩემს უბადრუკ სიცოცხლეს ჩავებლაუქო, რათა სიკვდილამდე დავსტიროდე ბედნიერებას, რომელიც ჩემმავე წარსულმა გამომგლიჯა ხელიდან. არა, მე საბოლოოდ უნდა გავიდე თამაშიდან, როსმერ.

**როსმერი**. გახვალ და მეც თან გამოგყვები.

**რებეკა** (თითქმის შეუძინველად იღივება, მისჩერებია და ჩემად ამბობს). ჰო, გამომყევი და ... მოწმე იყავი.

როსმერი. თან გამოგყვები-მეთქი.

რებეკა. ჰო, ბოგირამდე. ზედ ფეხის შედგმას ხომ ვერასოდეს ვერ გაბედავ.

როსმერი. ესეც შენიშნე?

რებეკა (პირქუშად, სასოწარკვეთით). დიახ, სწორედ ამან მიძხადა სასო ჩემს სიყვარულს.

როსმერი. რებეკა ... ახლა მე ხელს დაგადებ თავზე ... (ასეც იქცევა). და ქეშმარიტი ცოლ-ქმრული კავშირით შეგეუღლები.

რებეკა (ხელს სტაცებს ხელში და თავს მკერდზე მიაყრდნობს). გმადლობ, როსმერ. (ხელს უშვებს). ახლა კი მივდივარ ... უყოყმანოდ.

როსმერი. ცოლ-ქმარი ერთად უნდა წავიდეს!

რებეკა. მხოლოდ ბოგირამდე, როსმერ.

როსმერი. ბოგირზედაც. სადაც შენ, იქაც მე. ახლა მაინც გაგებედავ.

რებეკა. დარწმუნებული ხარ, რომ სხვა გზა არა გაქვს, როსმერ?

როსმერი. დიახ, ეს გზა ერთადერთია.

რებეკა. კი მაგრამ, ვაითუ სცდები? ვაითუ ეს მხოლოდ სიბრმავეა, მირაჟი? როგორც როსმერსპოლმის თეთრი ცხენები?

როსმერი. შესაძლოა. მაგრამ როსმერსპოლმელები ვერსად წავეუვალთ მათ.

რებეკა. მაშ, დარჩი, როსმერ!

როსმერი. ქმარი ცოლს უნდა მიჰყვეს, როგორც ცოლი — ქმარს.

რებეკა. მხოლოდ ეს მითხარი, შენ მომყვები მე თუ მე მოგყვები შენ?

როსმერი. ორივე ერთად მივდივართ, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, რებეკა.

რებეკა. ლამის მეც ასე ვიფიქრო.

როსმერი. ახლა ჩვენ უკვე ერთი ვართ, ერთ სულ და ერთ ხორც.

რებეკა. დიახ, ერთ სულ და ერთ ხორც. წავიდეთ. წავიდეთ ... უყოყმანოდ.

ხელი-ხელ ჩაკიდებულნი გადიან წინკარში და მარცხნივ უხვევენ. კარი ღია რჩება.

ოთახი ერთხანს ცარიელია. შემდეგ მადამ ჰელსეტი შემოაღებს მარჯვენა კარს.

**მადამ ჰელსეტი.** ეტლი გეახლათ — ფრიოკენ — (აქეთ-იქით იყურება).

არავინაა! სად წაიღინენ ასე გვიან? უცნაური!აჰ! ჰმ! (წინკარში გადის,

სიბნელეში იყურება და უკანვე ბრუნდება). არც მერხზე სხედან — არც იქ და

არც აქ — (ფანჯარასთან მიდის და იხედება). ღმერთო დიდებულო! რა არის,

თეთრად რომ მოჩანს?... ღმერთმანი, ისინი არიან — ბოგირზე დგანან!

ღმერთო, შეუნიდე ცოდვილო! მგონი ერთმანეთს ეხვევიან! (შეკივლებს).


ვაიმე! წყალში — ორივე! წყალვარდნილში! გვიშველეთ! გვიშველეთ!

(მუხლმოკვეთილ, ხელუბის ცახცახით ებლაუქება სკამის ზურგს და ძლივსა

ჩურჩულებს). არა -- ვინღა გვიშველის?... მიცვალებულმა წაიყვანა

ორივე.





## დრამა ხუთ მოქმედებად

### მოქმედი პირნი

ექიმი ვანგელი.

ელიდა, მისი ცოლი.

ბოლტა ექიმის ქალიშვილები პირველი ცოლისაგან.

პილდა, მოზარდი

არნჰოლმი, სკოლის ინსპექტორი.

ლიუნგსტრანი.

ბალესტედი.


უცნობი.

ქალაქის ახალგაზრდობა.

ტურისტები.

კურორტის დამსვენებლები.

მოქმედება მიმდინარეობს ზაფხულში, ჩრდილო ნორვეგიის ერთ-ერთი ფიორდის პირას მდებარე პატარა ქალაქში.



## პირველი მოქმედება

ხელმარცხნივ ექიმ ვანგელის სახლი დგას, დიდი დახურული ვერანდით; სახლს გარშემო ბალი აკრავს. ვერანდის წინ, ბალის პოედანზე ფლაგშტოკია აღმართული. ხელმარცხნივ, ბალში, ფანჩატურია, რომელშიაც მაგიდა და სკამები დგას. ბალს ირგვლივ შემოვლებული აქვს ბუჩქების ლობე, რომელშიაც, უკანა მხარეს, კუტიკარია დატანებული. ლობის იქით, ფიორდის გასწვრივ მიიკლაკნება გზა, რომლის ორსავე მხარეს ხეებითა ჩამწყრივებული. ხეებს შორის ფიორდი, მაღალი ქარაფები და შთის მწვერვალები მოჩანს. თბილი, მზიანი დილაა.

ფლაგშტოკთან შუახნის კაცი დგას; ძველი ხავერდის პიჯაკი აცვია და ფართოფარფლიანი ქული ახურავს; ასე, ჩვეულებრივ, მხატვრები იცვამენ. კაცს ბალესტედი ჰქვია. ხელში ალმის თოკი უჭირავს; ალამი მიწაზე აგდია. ცოტა მოშორებით მოღბერტი დგას, ახლად დაწყებული ტილოთი, იქვე, გასაშლელ სკამზე, პალიტრა, ფუნჯები და საღებავები აწყვია.

ოთახიდან ვერანდაზე გამოდის ბოლეტა; ხელში დიდი საყვავილე ლარნაკი უჭირავს, რომელსაც მაგიდაზე დგამს.

**ბოლეტა.** რაო, ბალესტედ, გამოდის რამე?

**ბალესტედი.** დიახ, დიახ, ფრიოკენ. რა დიდი საქმე ესაა?.. ნება მიბოძეთ, გკითხოთ, სტუმრებს ხომ არ ელით?

**ბოლეტა.** დიახ, დილას აქეთ ინსპექტორ არნჰოლმის მოლოდინში ვართ. წუხელის ჩამოვიდა.

**ბალესტედი.** არნჰოლმი? მოითმინეთ ... კი მაგრამ, არნჰოლმი არ ერქვა იმ მასწავლებელს, ამ რამდენიმე წლის წინათ კერძო გაკვეთილებს რომ?..

**ბოლეტა.** დიახ, სწორედ ის გახლავთ.

**ბალესტედი.** აჰა! მაშ, კვლავ დაბრუნდა?

**ბოლეტა.** დიახ, ამიტომაც ვაპირებთ ალმის აღმართვას.

**ბალესტედი.** გასაგებია ... რალა თქმა უნდა.

ბოლეტა კვლავ ოთახში შედის. ცოტა ხნის შემდეგ, ხელმარცხნივ, გზაზე გამოჩნდება ლიუნგსტრანი და მოღობერტსა და მხატვრის სხვა ხელსაწყობებს რომ მოჰკრავს თვალს, ლობესთან ჩერდება; ეტუობა, ყოველივე ამან ძალზე დააინტერესა. ესაა ემაწილი კაცი, გამხდარი, გაღუული, ავადმყოფური გარეგნობისა, ღარიბულად, მაგრამ ფაქიზად და კოხტად ჩაცმული.

**ლიუნგსტრანი** (ლობის იქიდან). გამარჯობათ!



**ბალესტელი** (შემობრუნდება). ა!... გამარჯობათ. (ალამს აღმართავს).  
ესეც ასე! (თოქს ამაგრებს, მოლბერტთან მიდის და სახატავად  
ემზადება). გამარჯობათ, ჩემო ძვირფასო ... თუმცა კი პატივი  
არა მაქვს ...

**ლიუნგსტრანი**. თქვენ, ალბათ, მხატვარი ბრძანდებით.

**ბალესტელი**. რა თქმა უნდა. რატომაც არ უნდა ვიყო?

**ლიუნგსტრანი**. ვხედავ ... შეიძლება, ერთი წუთით შემოვიდე?

**ბალესტელი**. გაინტერესებთ?

**ლიუნგსტრანი**. ძალიან.

**ბალესტელი**. კაცმა რომ თქვას, ჯერჯერობით საინტერესო  
არაფერია. მაგრამ, თუ გნებავთ ... შემოდით, შემოდით.

**ლიუნგსტრანი**. დიდი მადლობა. (ბაღში შემოდის).

**ბალესტელი** (ხატავს). აი, ფიორდის იმ კუთხეს და პატარა კუნძულსა  
ვხატავ.

**ლიუნგსტრანი**. ვხედავ, ვხედავ.

**ბალესტელი**. აქ ადამიანის ფიგურა აკლია. ამ ჩვენს ქალაქში ხომ  
მოდელს ვერსადა ნახავ.

**ლიუნგსტრანი**. მაშ, აქ ფიგურაც იქნება?

**ბალესტელი**. დიახ, აქ, რიფთან, წინა პლანზე, ცოცხალ-მკვდარი  
ზღვის ასული უნდა ეგდოს.

**ლიუნგსტრანი**. რატომ ცოცხალ-მკვდარი?

**ბალესტელი**. იმიტომ, რომ "შერებში" გაიხლართა და უკან,  
გაშლილ ზღვაში ვეღარ გასულა. ჰოდა, საცრდავად აგდია  
აქ და ამ მტკნარ თავთხელში ილუპება, გესმით?

**ლიუნგსტრანი**. აჰ, ასე?

**ბალესტელი**. დიახ; ამ სურათის თემა დიასახლისმა მომცა.

**ლიუნგსტრანი**. რას დაარქმევთ, როდესაც დაასრულებთ?

**ბალესტელი**. ალბათ, "ზღვის ასულის აღსასრულს".

**ლიუნგსტრანი**. ზედგამოჭრილი იქნება... როგორც ჩანს, ძალიან  
კარგად გამოგდით.

**ბალესტელი** (ახედავს). კოლეგა ხომ არა ბრძანდებით?

**ლიუნგსტრანი**. ესე იგი, მხატვარი?

**ბალესტელი**. დიახ.

**ლიუნგსტრანი**. არა, მე მხატვარი არა ვარ. მოქანდაკობას  
ვაპირებ. პანს ლიუნგსტრანი მქვია.

**ბალესტელი**. მოქანდაკობას? დიახ, დიახ, ქანდაკებაც დიდებული  
ხელოვნებაა ... მგონი, ერთი-ორჯერ ქუჩაში შემხვედრიხართ.  
დიდი ხანია აქ ცხოვრობთ?

**ლიუნგსტრანი.** არა, სულ ორი კვირა იქნება. მაგრამ, ვნახოთ, იქნებ მთელ ზაფხულს აქ დავრჩე.

**ბალესტელი.** აა, საზაფხულო სეზონით აპირებთ ტკობას?

**ლიუნგსტრანი.** მე მინდა ცოტა მოვიკეთო.

**ბალესტელი.** ავად ხომ არა ხართ?

**ლიუნგსტრანი.** არა, ჯანმრთელობის მხრივ ცოტა მოვისუსტებ. ისე, საშიში არაფერი მჭირს. ქოშინი მაწუხებს.

**ბალესტელი.** ეგ არაფერი. მაგრამ ერთ კაი მცოდნე ექიმს მაინც უნდა ეჩვენოთ.

**ლიუნგსტრანი.** მეც სწორედ მაგას ვაპირებ; ექიმ ვანგელს მინდა მიემართო.

**ბალესტელი.** დიახ, დიახ. (მარცხნივ იუჯრება). კიდევ ერთი გემი. სულ მთლად გაქედილია. პირდაპირ გაგიკვირდებათ, როგორ გახშირდა ჩვენში ამ ბოლო დროს საზაფხულო მიმოსვლა.

**ლიუნგსტრანი.** დიახ, თქვენი ქალაქი, ეტყობა, ყველაზე ხელსაყრელ ადგილზეა.

**ბალესტელი.** ლამის წაგვლეკონ ამ მოაგარაკებმა. მართალი გითხრათ, ძალიან მეშინია, რომ ეს უცხო ხალხი თავისი მშვენიერი ძველებური იერის ნასახსაც აღარ შეარჩენს ამ ჩვენს კოპწია ქალაქს.

**ლიუნგსტრანი.** თქვენ აქაური ბრძანდებით?

**ბალესტელი.** არა, აქაური არა ვარ, მაგრამ ალკი... აკლიმატიზაცია კი განვიცადე. დრომ და ჩვეულებამ მჭიდროდ მიმაჯაჭვეს ამ ალაგს.

**ლიუნგსტრანი.** დიდი ხანია აქ ცხოვრობთ?

**ბალესტელი.** დიახ, ჩვიდმეტი თუ თვრამეტი წელი იქნება. ცივეს დასს ჩამოვყვევი. მაგრამ საქმე ვერ აეწყო, ჩვენი ამხანაგობა დაიშალა და ყველანი აქეთ-იქით მიმოიფანტნენ.

**ლიუნგსტრანი.** თქვენ კი აქ დარჩით?

**ბალესტელი.** დიახ, და არც ვნანობ. უნდა მოვახსენოთ, რომ მე მაშინ, უპირატესად, დეკორაციებს ვაფორმებდი.

**ბოლეთა** (ვერანდაზე სარწველა გამოაქვს და ოთახში გასძახის). პილდა, მამაჩემის მოქარგული ტაბურეტი მოძებნე, რა!

**ლიუნგსტრანი** (ტერასას უახლოვდება და ესალმება). გამარჯობათ, ფრიოკენ ვანგელ.

**ბოლეთა** (მოაჩირთან). აჰ, ეს თქვენა ხართ, ბატონო ლიუნგსტრან? გამარჯობათ. მომიტევეთ ... სულ ერთი წუთით... (ოთახში შედის).

**ბალესტელი.** მთელ ოჯახს იცნობთ?

- ლიუნგსტრანი.** ისე, რა ქალიშვილებს სხვა ოჯახებში შევხვედრივარ. ამას წინათ კი, მუსიკის სალამოზე, ფლატის პირას, დიასახლისიც გამაცნეს. აქაც სწორედ მან მომიპატიუა.
- ბალესტელი.** მაშინ, იცით, რას გეტყვით? თვალისჩინივით გაუფრთხილდით ამ ნაცნობობას.
- ლიუნგსტრანი.** ვეცდები ... ისე, ვაპირებდი კიდევ ამ მიპატიყებით მესარგებლა, მაგრამ რაიმე საბაბი ხომ გინდა კაცს?..
- ბალესტელი.** მოგცლიათ ერთი, რა საბაბი?.. (მარცხნივ იყურება). დალახეროს ეშმაკმა. (თავის ხელსაწყოებს წამოჰკრეფს). გემი უკვე ნავსადგურს მოადგა. სასტუმროში უნდა გავევარდე. ზოგიერთ ახლად ჩამოსულს შეიძლება ჩემი სამსახური დასჭირდეს. უნდა მოგახსენოთ, რომ აქ პარსევა-კრეკის საქმესაც მე განვაგებ.
- ლიუნგსტრანი.** მრავალმხრივი კაცი ყოფილხართ, ოქროს ხელი, გქონიათ.
- ბალესტელი.** რას იზამ, ასეთ პატარა ქალაქებში სხვადასხვა ასპარეზზე უნდა შეგეძლოს ალკი... აკლიმატიზაცია. თუ ოდესმე თმის საცხი ან სხვა მისთანანი დაგჭირდებათ, ცეკვის მასწავლებელი ბალესტელი იკითხეთ.
- ლიუნგსტრანი.** ცეკვის მასწავლებელი?
- ბალესტელი.** ანდა, თუ გნებავთ, „სასულე მუსიკის მოყვარულთა წრის“ ხელმძღვანელი ... სწორედ ამ სალამოს კონცერტს ვმართავთ ფლატის პირას. ნახვამდის, ნახვამდის. (მთელი თავისი ბარგი-ბარხანით ბალიდან გადის და ხეივანში მარცხნივ გაუხვევს).
- ჰილდას ტერასაზე გამოაქვს ტაბურეტი, ბოლეტას კი — ყვავილები. ლიუნგსტრანი კვლავ ბაღში დგას და ჰილდას ესაღმება.
- ჰილდა** (მოაჩირთან). ბოლეტამ მითხრა, რომ დღეს, ბოლოს და ბოლოს, ველირსეთ თქვენს ხილვას.
- ლიუნგსტრანი.** დიახ, დღეს, როგორც იქნა, გავბედე და შემოვიარეთ.
- ჰილდა.** სეირნობით უკვე გული იჭერთ?
- ლიუნგსტრანი.** არა ... ისე, გავიარ-გამოვიარე.
- ჰილდა.** თუ იბანავეთ მაინც?
- ლიუნგსტრანი.** ცოტა ვიჭყუმპალავე. დედათქვენსაც მოვკარი თვალი. ზღვაში შედიოდა.
- ჰილდა.** ვინ?
- ლიუნგსტრანი.** დედათქვენი.
- ჰილდა.** აა! (ტაბურეტს სარწვევლასთან დებს). მამაჩემის ნავი ხომ არ დაგინახავთ?
- ლიუნგსტრანი.** რა მოგახსენოთ, ერთი იალქნიანი ნავი კი შემოდოდა ფიორდში.

**ბოლექა.** ნამდვილად მამა იქნებოდა. კუნძულებზე ავადმყოფების მოსანახულებლად იყო წასული. (მაგილას ალაგებს).

**ლიუნგსტრანი** (ტერასის პირველ საფეხურზე აღის). რა საზეიმოდ მოგირთავთ აქაურობა!.. რამდენი ყვავილებია!..

**ბოლექა.** მართლა ლამაზია, არა?

**ლიუნგსტრანი.** თვალს ვერ მოსწყვეტ. როგორც ჩანს, რაღაც დღესასწაული გაქვთ.

**ჰილდა.** დიახ.

**ლიუნგსტრანი.** მაშ, არ შევმცდარვარ. მამათქვენის დაბადების დღეა?

**ჰილდა** (ყურადღებას არ აქცევს). არა — დედის.

**ლიუნგსტრანი.** აა! დედის?..

**ბოლექა** (ხმადაბლა, გაბრაზებით). ჰილდა!

**ჰილდა** (იმავე ტონით). თავი დამინებე! (ლიუნგსტრანს). ალბათ, უკვე სასაუზმოდ აპირებთ წასვლას.

**ლიუნგსტრანი.** დიახ, უკვე დროა წავიდე და ცოტა წავიხემსო.

**ჰილდა.** როგორი მომსახურებაა სასტუმროში? კმაყოფილი ხართ?

**ლიუნგსტრანი.** მე უკვე აღარ ვცხოვრობ სასტუმროში. ძალიან ძვირი მიჯდება.

**ჰილდა.** მაშ, სად?

**ლიუნგსტრანი.** მადამ იენსენთან.

**ჰილდა.** რომელ მადამ იენსენთან?

**ლიუნგსტრანი.** ბებიაქალთან.

**ჰილდა.** მომიტყვეთ, ბატონო ლიუნგსტრან, მაგრამ, ღმერთმანი არ მცალია აქ სადგომად და...

**ლიუნგსტრანი.** ო, ალბათ, არ უნდა მეთქვა.

**ჰილდა.** რა?

**ლიუნგსტრანი.** ის, რაცა ვთქვი.

**ჰილდა** (აგრეზით ახელ-დახედავს). არაფერი არ მესმის თქვენი.

**ლიუნგსტრანი.** არა, არა ... კარგად ბრძანდებოდეთ.

**ბოლექა** (ტერასის პირველ საფეხურზე). ნახვამდის, ბატონო ლიუნგსტრან... თუ შეიძლება, დღეს გვაპატიეთ ... სხვა დროს ... როცა გენებოთ ... მოხარულნი ვიქნებით ... რა თქმა უნდა.

**ლიუნგსტრანი.** უღრმესი მადლობა. დიდი სიამოვნებით. (თავს უკრავს და ბალიდან გადის; მარცხნივ, ხეივანში გაუხევეს, ჩერდება და მასპინძლებს ერთხელ კიდევ უკრავს თავს გამოსალმების ნიშნად).

**ჰილდა.** ადიე, მუსიე! ჩემი მოკითხვა გადაეცით თქვენს ბებიას.

**ბოლეთა** (ხმადაბლა, მხარში ხელს ჩააქვებს და ანჭლრევს). ჰილდა!.. შე საზიზღარო! ხომ არ გაგიყდი? რომ გაიგონოს?

**ჰილდა**. (აგღებულად ჩაიფრუტუნებს). მაგაზე დამიდგა დარდი!

**ბოლეთა** (მარჯვნივ იყურება). აი, მამაც მოვიდა.

**ვანგელი** (მარჯვნიდან გამოჩნდება ხეივანში; სამგზავროდ აცვია, ხელში პატარა საკვოიათი უჭირავს). მოვედი, ჩემო კარგებო! (ბაღში შემოდის).

**ბოლეთა** (ბაღში ჩარბის შესაგებებლად). რა კარგია, რომ მოხვედი.

**ჰილდა** (თვითონაც ეგებება მამას). ახლა მთელი დღე თავისუფალი ხარ, მამა?

**ვანგელი**. არა, ცოტა ხანს კანტორაში უნდა შევიარო ... ჰო, მართლა ... არნჰოლმი ჩამოვიდა?

**ბოლეთა**. დიახ, წუხელის. სასტუმროში გვითხრეს.

**ვანგელი**. თვითონ კი არ გინახავთ?

**ბოლეთა**. არა. მაგრამ, იმედია, სადილობამდე გვეწვევა.

**ვანგელი**. ალბათ.

**ჰილდა** (სახელოზე მოქაჩავს მამას). აბა, მიიხედ-მოიხედე.

**ვანგელი**. ვხედავ, ჩემო კარგო ... დიდებულა.

**ბოლეთა**. მართლა ლამაზია, არა?

**ვანგელი**. ძალიან... კი მაგრამ ... მარტონი ხართ?

**ჰილდა**. დიახ. ის ...

**ბოლეთა** (სწრაფად ერევა). დედა საბანაოდ წავიდა.

**ვანგელი** (ალერსით უყურებს ბოლეთას და თავზე ხელს უსვამს, შემდეგ კი თითქოს ენის ბორძიკით ამბობს). მითხარით, ჩემო კარგებო... ყველაფერი ეს მთელი დღე ასე იქნება?... ალამიც?

**ჰილდა**. რა თქმა უნდა, მამა.

**ბოლეთა** (თვალს ჩაუკრავს მამას). ხომ გესმის, ეს ყველაფერი ინსპექტორ არნჰოლმის საპატივეცემულოდ მოვაწყვეთ. როცა ჩვენი ოჯახის ძველი მეგობარი ამდენი ხნის განშორების შემდეგ ჩამოდის ...

**ჰილდა** (იციინს და მამას ელაიცება). როგორ არ გესმის?.. ბოლეთას ყოფილი მასწავლებელი, მამა!

**ვანგელი** (უნებურად ეღიბება). აჰ, თქვე ეშმაკებო ... თუმცა, ღმერთო ჩემო, სავსებით ბუნებრივია, რომ ყოველთვის ვიგონებთ იმას, ვინც უკვე აღარ არის ჩვენთან ... მაგრამ მაინც ... ჩამომართვი, ჰილდა. (საკვოიავს აძლევს). კანტორაში უნდა წავილოთ. არა, არ მომწონს ეს, ჩემო კარგებო ... ესე იგი, თვით წესი. დიახ, არ მომწონს, რომ ჩვენ ყოველ წელიწადს ... თუმცა ... რას იზამ? სხვანაირად არ შეიძლება.

**პილდა** (ხელმარცხნივ მიდის ბაღში და საკვოიაი პიქეს, მაგრამ ჩერდება, შემობრუნდება და ხელით ანიშნებს მამას). უყურე, ვილაცა მოდის. ალბათ, ინსპექტორია.

**ბოლეთა** (იქით იყურება). ვინ? (იციინის). რას არ იტყვი?! მაშ, შენი აზრით, ეს ხნიერი კაცი არანპოლშია?

**ვანგელი**. მოიცა, ჩემო გოგონი... მგონი, მართლა ის უნდა იყოს!.. დიახ, დიახ, ღმერთმანი, ის არის!

**ბოლეთა** (დაინებით მისჩერება, განცვიფრებული). მართლა არანპოლშია! ხელმარცხნივ, გზაზე გამოჩნდება არანპოლში; ელვანტურ საზაფხულო კოსტუმშია გამოწყობილი; ოქროს ჩარჩოიანი სათვალე უკეთია; ხელში ტროსტი უჭირავს. ცოტა არ იყოს, დაღლილი გამოიყურება. გზიდან გადმოიხედავს, მეგობრულად ესალმება მასპინძლებს და ბაღში შემოდის.

**ვანგელი** (შესაგებებლად მიეშურება). გამარჯობათ, ძვირფასო ინსპექტორო! სულითა და გულით მოგესალმებით.

**არანპოლში**. გმადლობთ, გმადლობთ, ექიმო! უღრმეს მადლობას მოგახსენებთ.

ერთმანეთს ხელს ართმევენ და ერთად მოდიან ბაღში.

ესეც თქვენი ქალიშვილები! (ხელს ართმევენ და აკვირდება). ღმერთმანი, ვერცერთს ვეღარ ვიცნობდი.

**ვანგელი**. არცაა გასაკვირველი!

**არანპოლში**. თუმცა არა, ბოლეთა... დიახ, ბოლეთა შეიძლება მაინც მეცნო.

**ვანგელი**. საექვოა. რვა თუ ცხრა წელი იქნება, აღარ გინახავთ. და, საერთოდაც, ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა აქ.

**არანპოლში** (აქეთ-იქით იყურება). მე თუ მკითხავთ, არც ისე! თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ხეებს ტანი აუყრიათ და აგერ ახალი ტალავერიც გაგიმართავთ.

**ვანგელი**. არა, მე ბალს როდი ვგულისხმობ...  
**არანპოლში**. რა თქმა უნდა. ის ცვლილებაცაა, რომ ახლა უკვე ორი გასათხოვარი ქალიშვილი გყავთ სახლში.

**ვანგელი**. ოო, გასათხოვარი ჭერჭერობით მხოლოდ ერთია.

**პილდა**. (ხმადაბლა). ოჰ, ეს მამაჩემი!..

**ვანგელი**. მოდით, ვერანდაზე ჩამოვსხდეთ. იქ უფრო გრილა. გთხოვთ.

**არანპოლში**. გმადლობთ, გმადლობთ, ძვირფასო ექიმო.  
 ვერანდაზე აღიან. ვანგელი სარწველაზე ანიშნებს არანპოლს.

**ვანგელი**. აი, აქ დაბრძანდით და დაისვენეთ. ცოტა არ იყოს, დაღლილი შეჩვენებით. ალბათ, გზამ დაგღალათ.

**არანპოლში**. ეგ არაფერი. ასეთ მშვენიერ გარემოში...

**ბოლეთა** (მამას). სოდიანი ხილის წვენი ხომ არ მოგართვათ ტალავერში? აქ, ალბათ, მალე დაცხება.

**ვანგელი**. დიახ, დიახ, ჩემო კარგებო. მოიტათ ხილის წვენი. კონიაკიც გამოაყოლეთ.

**ბოლეთა**. კონიაკიც?

**ვანგელი**. ცოტა. იქნებ, ვინმეს მოუნდეს.

**ბოლეთა**. კეთილი. რაღას უყურებ, პილდა? კანტორაში გაიტანე საკვოიაჟი. (ოთახში შედის და კარს გაიხურავს).

პილდა ხელმარცხნივ მიდის, თან საკვოიაჟი მიაქვს.

**არნჰოლმი** (თვალს გააყოლებს ბოლეთას). მართლაც, რა მშვენიერი ქალიშვილი... რა მშვენიერი ქალიშვილები დაგზრდიათ, ბატონო ვანგელ.

**ვანგელი** (ჯდება). დიახ, ხომ კარგები არიან?

**არნჰოლმი**. განსაკუთრებით, ბოლეთა... საოცარია, როგორ შეცვლილა. თუმცა, პილდაც... კი მაგრამ, თქვენ თვითონ, ბატონო ექიმო? მთელი სიცოცხლე აქ აპირებთ დარჩენას?

**ვანგელი**. ვერა გამოდის. აქ დავიბადე და, როგორც იტყვიან, აქ გავიზარდე... აქვე ვიყავი ბედნიერი მასთან, ვინც ასე ნაადრევად დაგვტოვა... ვინც თქვენ თვითონაც ნახეთ, როცა უკანასკნელად იყავით აქ.

**არნჰოლმი**. დიახ... დიახ.

**ვანგელი**. ახლა კი ბედნიერი ვარ იმის გვერდით, ვინც ის შეცვალა. დიახ, შემძღვია ვთქვა, რომ ბედი კეთილმოწყალე იყო ჩემს მიმართ.

**არნჰოლმი**. მეორე ცოლთან შეილები არა გყავთ?

**ვანგელი**. მყავდა... ერთი... ამ ორნახევარი წლის წინათ. მაგრამ დიდხანს არ უცოცხლია. ოთხი თუ ხუთი თვისა მოგვიკვდა.

**არნჰოლმი**. თქვენი მეუღლე შინ არ ბრძანდება?

**ვანგელი**. ალბათ, მალე მოვა. საბანაოდაა წასული. ზაფხულობით ერთ დღესაც არ გააძღენს. რანაირი ამინდიც უნდა იყოს.

**არნჰოლმი**. ხომ არაფერი აწუხებთ?

**ვანგელი**. არა, არა, ავადმყოფი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ნამდვილად არ ეთქმის. თუმცა ამ ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე რატომღაც ძალიან ნერვიული გახდა. უფრო სწორად, დროდადრო, უცნაური შემთვითება შეიპყრობს ხოლმე. თვითონაც ვერ გამოიგია, მაინც რა უნდა იყოს ამის მიზეზი. მაგრამ, აი, ზღვის გარეშე გაძღება კი არ შეუძლია.

**არნჰოლმი**. მესმის.

ვანგელი (ოდნავ შესაძნევეი ლიბლით). თუმცა, შოლვიკენში  
მასწავლებლობისას, თქვენც ხომ იცნობდით ელიდას?

არნჰოლმი. რა თქმა უნდა. პასტორის ოჯახში ხშირი სტუმარი  
იყო. უმეტესწილად კი მაშინ ვხვდებოდი, როცა შუქურას  
ვესტუმრებოდი და მამამისსაც შეეუვლიდი ხოლმე.

ვანგელი. დიახ, იმ დრომ, როგორც ჩანს, წარუშლელი კვალი  
დასტოვა მის სულში. აქაურებს ეს არ ესმით. მეტსახელიც  
კი შეარქვეს — „ზღვის ასული“.

არნჰოლმი. მართლაც?

ვანგელი. დიახ. სწორედ ამიტომ... ელაპარაკეთ, წარსული  
გაიხსენეთ, ძვირფასო არნჰოლმ! ძალიან გაუხარდება.

არნჰოლმი (იკენეულად უყურებს). თქვენ გგონიათ?

ვანგელი. რა თქმა უნდა.

ელიდა. (სცენის მიღმიდან). უკვე დაბრუნდი, ვანგელ?

ვანგელი. (დგება). დიახ, ჩემო ძვირფასო.

ბაღში ხელმარჯვნივ, ტალავებს იქით გამოჩნდება ფრუ ელიდა ვანგელი.  
ჩერ ისევ სველი თმები მხრებზე ჩამოშლია; თავსა და მხრებზე მსუბუქი შალი  
აქვს წამოსხმული. არნჰოლმი დგება.

(ლიბლით უწვდის ხელს). აი, ჩვენი ზღვის დედოფალიც.

ელიდა (სწრაფად ამოიბის ტერასაზე). მადლობა ღმერთს, რომ კვლავ  
ჩემთან ხარ! როდის მოხვედით?

ვანგელი. ეს-ესაა. რამდენიმე წუთი იქნება. (არნჰოლმზე ანიშნებს).  
კი მაგრამ, შენს ძველ ნაცნობს არ ესალმები?

ელიდა (ხელს უწვდის არნჰოლმს). აი. თქვენც ჩამობრძანდით.  
გამარჯობათ! მომიტევეთ, რომ შინ არ დაგხვდით.

არნჰოლმი. რას ბრძანებთ...

ვანგელი. წყალი დღეს საკმაოდ გრილი იყო?

ელიდა. გრილიო?... ღმერთო ჩემო, აქ წყალი გრილი კი არა,  
ყოველთვის ისე მტკნარია და თბილი, ნამდვილი ღუბელაა...  
უუ! ამ მხერებში, მგონი, მაწყინარიც კია.

არნჰოლმი. მაწყინარი?

ელიდა. დიახ; შეიძლება დაასწავლოს ადამიანი.

ვანგელი (ლიბლით). მშვენიერი რეკლამაა ჩვენი კურორტისათვის!

არნჰოლმი. მე კი მგონია, ფრუ ვანგელ, რომ თქვენ სრულიად  
თავისებური დამოკიდებულება გაქვთ არა მარტო ზღვის,  
არამედ ბევრი სხვა რამის მიმართაც.

ელიდა. შეიძლება. ხანდახან მეც ასე მგონია... მაგრამ ერთი  
შეხედეთ, რა ლამაზად მოუერთავეთ ვერანდა გოგონებს თქვენი  
ჩამოსვლის აღსანიშნავად.



ვანგელი (დარცხვენით). კმ... (საათს დახედავს). ახლა კი უნდა დაგტოვოთ.

არნჰოლმი. ნუთუ მართლა ჩემი გულისთვის?..

ელიდა. რა თქმა უნდა. ყოველდღე როდი გვაქვს ამნაირი პარადი... უპ, რა საშინელი სიცხეა. (ბაღში ჩადის). აქ ჩამობრძანდით; ნიავე მიინც უბერავს.

არნჰოლმი (ელიდასთან მიდის). აქ კი საკმაოდ გრილა.

ელიდა. თქვენთვის — რა თქმა უნდა. იმ შეხუთულ ქალაქს ნაჩვევი... ამბობენ, ზაფხულობით აუტანელი სიცხე იცისო.

ვანგელი (თვითონაც ბაღში ჩადის). კმ... ძვირფასო ელიდა, თუ შეიძლება, ერთი საათით შეიქცეე ჩვენი სტუმარი.

ელიდა. საქმე გაქვს?

ვანგელი. დიახ, კანტორაში. შემდეგ კი ტანსაცმელს გამოვიცვლი. არ დავიგვიანებ.

არნჰოლმი (ტალავერში ჯდება). ნუ იჩქარებთ, ძვირფასო ექიმო. მე და თქვენი მეუღლე საუბრით შევიქცევთ თავს.

ვანგელი (თავს უქნევს). დიახ, დიახ, იმედი მაქვს... აბა, ნახვამდის. (ხელმარცხნივ მიდის ბაღში).

ელიდა (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). ხომ კარგია აქ ჯდომა?

არნჰოლმი. დიახ, მე პირადად ძალიან მსიამოვნებს.

ელიდა. ამ ტალავერს ჩემი ტალავერი ჰქვია. მე თვითონ მოვაწყობინე. ან, უფრო სწორად, ვანგელმა მოაწყო ჩემთვის.

არნჰოლმი. ხშირად ზიხართ აქ?

ელიდა. დღის უმეტეს ნაწილს აქ ვატარებ ხოლმე.

არნჰოლმი. ალბათ, გოგონებთან ერთად.

ელიდა. არა, გოგონები... ვერანდას ამჯობინებენ.

არნჰოლმი. თვითონ ვანგელი?

ელიდა. ო, ვანგელი ხან აქაა და ხან იქ; ხან ჩემთან, ხან გოგონებთან.

არნჰოლმი. ეს თქვენ დააწესეთ?

ელიდა. ჩემის აზრით, ყველასთვის ასე სჯობია. აქედანაც შეგვიძლია ველაპარაკოთ ერთმანეთს... მთავარია, რაიმე გვექონდეს სათქმელი.

არნჰოლმი (წუთიერი ჩაფიქრების შემდეგ). ჩვენი უკანასკნელი შეხვედრისას... ესე იგი, იქ, შოლვიკენში... კმ... რამდენი დრო გავიდა მას მერე...

ელიდა. მთელი ათი წელი...

არწოლში. დიახ, დაახლოებით. მაგრამ როცა გიხსენებთ იქ, შუქურაზე!... ბებერმა პასტორმა „წარმართი“ შეგარქვათ, იმიტომ, რომ მამათქვენმა ქრისტიანული სახელით კი არ მონათვლინა თქვენი თავი, არამედ -- ხომალდის სახელით...

ელიდა. მაინც რა უნდა გეთქვას ჩემთვის?

არწოლში. მართალი ვითხრათ, ყველაზე ნაკლებ მოველოდი იმას, რომ აქ შეგხედებოდით როგორც ვანგელის მეუღლეს.

ელიდა. დიახ, მაშინ ვანგელი ჭერ კიდევ... მაშინ ჭერ კიდევ ცოცხალი იყო გოგონების დედა... მათი მშობელი დედა...

არწოლში. რა თქმა უნდა. მაგრამ მე ამას როდი ვგულისხმობ. ვანგელი მაშინაც რომ უცოლო ყოფილიყო... ამის მსგავსს მაინც ვერაფერს წარმოვიდგენდი.

ელიდა. ვერც მე. ყოველ შემთხვევაში, მაშინ -- ვერასდობდით.

არწოლში. ვანგელი, რა თქმა უნდა, დიდებული კაცია; ისეთი სუფთა, კეთილშობილი, ალალ-მართალი... ყველას მიმართ გულისხმიერი...

ელიდა (გულწრფელი გრძნობით). დიახ, სწორედ ასეთია!

არწოლში. მაგრამ თქვენს შორის... ჩემის აზრით... ისეთი უზარმაზარი განსხვავება...

ელიდა. მართალი ბრძანდებით. დიახ, დიახ.

არწოლში. მაშ, როგორღა მოხდა ეს თქვენი შეუღლება? როგორ?

ელიდა. აჰ, ნუ მკითხავთ, ძვირფასო არწოლმ. მე თვითონაც ვერ ავიხსნით. მაგრამ კიდევაც რომ შევძლო ახსნა, სულერთია, მაინც ვერაფერს გაიგებთ...

არწოლში. კმ... (უფრო ხმადაბლა). თქვენი ქმრისათვის ხომ არაფერი გითქვამთ ჩემზე?... მე ვგულისხმობ, რალა თქმა უნდა, იმ უიღბლო ცდას... ერთხელ, თავდავიწყების ჟამს რომ...

ელიდა. არა, რას ბრძანებთ? სიტყვაც არ მითქვამს... იმის თაობაზე, რასაც თქვენ გულისხმობთ.

არწოლში. მადლობა ღმერთს! თორემ, ცოტა არ იყოს, უხერხულად ვგრძნობდი თავს, როცა წარმოვიდგენდი, რომ...

ელიდა. დარდი ნუ გაქვთ. მე მხოლოდ ის ვუთხარი ვანგელს, რომ ძალიან ვაფასებდი თქვენს მეგობრობას, და რომ მაშინ თქვენზე სანდო და ერთგული არავინ მყავდა.

არწოლში. დიდი მადლობა. მაგრამ მითხარით, რატომ ერთხელაც არ მომწერეთ წერილი ჩემი წასვლის შემდეგ?

ელიდა. მე მეგონა, არაფრად გეპიტნავენოდათ მისი წერილი, ვინც ცოლობაზე უარი ვითხრათ. ჩემის აზრით, ეს ცეცხლზე ნავთის დასხმას ემგვანებოდა.

არნჰოლმი. კმ... დიახ, დიახ, კაცმა რომ თქვას, სწორი ბრძანდებით. ელიდა. კი მაგრამ, თქვენ მაინც რატომ აღარ მომწერეთ?

არნჰოლმი (მისჩერებია და თითქოს ყვედრებით ილიშება). მე?.. მე გადმომედგა პირველი ნაბიჯი, რომ თქვენ გეფიქრათ, თითქოს ყველაფრის თავიდან დაწყებას ვაპირებ? ამ ცივი უარის შემდეგ?

ელიდა. დიახ, გასაგებია... გასაგები. მას მერე ცოლის შერთვაზე აღარ გიფიქრიათ?

არნჰოლმი. არასოდეს. ჩემი მოგონებების ერთგული დავრჩი.

ელიდა (ნახევრად ხუმრობის კილოთი). კარგით ერთი! მოეშვით მაგ სევდიანსა და დახვესებულ მოგონებებს. არა სჯობია, ბედნიერებაზე ფიქროთ?

არნჰოლმი. მაგაზე ცოტა უფრო აღრე უნდა მეფიქრა, ფრუ ვანგელ. არ დაგავიწყდეთ, — გამხელისაც კი მრცხვენია, — ოცდამეჩვიდმეტეში გადავდექი.

ელიდა. ჰოდა, მით უფრო მეტი სიჩქარე გმართებთ. (ხანმოკლე პაუზის შემდეგ, სერიოზულად, ხმადაბლა). მომისმინეთ, ძვირფასო არნჰოლმ... რალაცა უნდა გითხრათ... რასაც მაშინ ვერასდიდებით ვერ გაგიმხელდით... სიკვდილითაც რომ დამმუქრებოდით.

არნჰოლმი. ასეთი რა უნდა იყოს?

ელიდა. იმ თქვენს უიღბლო ცდაზე, როგორ წელან თვითონვე ბრძანეთ, მაშინ არასდიდებით არ შემეძლო, სხვანაირი პასუხი გამეცა.

არნჰოლმი. ვიცი, ვიცი, არ შეგეძლოთ სხვა რამე შემოგეთავაზებინათ ჩემთვის, გარდა თქვენი მეგობრობისა.

ელიდა. მაგრამ ის კი არ იცით, რომ მაშინ მთელი ჩემი არსება, სული და გული სხვას ეკუთვნოდა.

არნჰოლმი. მაშინ?

ელიდა. დიახ.

არნჰოლმი. შეუძლებელია! რალაც გეშლებათ, მაშინ თქვენ არც კი იცნობდით ვანგელს.

ელიდა. მერე ვინ გითხრათ, რომ ვანგელს ვგულისხმობ?

არნჰოლმი. რაო?.. კი მაგრამ, მაშინ... შოლვიკენში?.. ერთსაც ვერავის ვიგონებ ისეთს, რომ ასე გატაცებით შეგყვარებოდათ.

ელიდა. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს იმდენად უცნაურია...

არნჰოლმი. მაშ, დაწვრილებით მიაბებთ.

ელიდა (აღესიანად). თქვენთვის იმის ცოდნაც საკმარისია, რომ მაშინ თავისუფალი არ ვიყავი. ამით ყველაფერია ნათქვამი.

არნჰოლმი. კი მაგრამ, თავისუფალი რომ ყოფილიყავით?

ელიდა. თქვენ გაინტერესებთ, როგორ მოვიქცეოდი მაშინ?

არნჰოლმი. დიახ. სხვანაირად მიპასუხებდით ჩემს წერილზე?

ელიდა. აბა, რა ვიცი? აი, როცა ვანგელი გამოჩნდა, მაშინ კი შემეძლო სხვანაირი პასუხი გამეცა მისთვის.

არნჰოლმი. მაშ, ახლა რაღა ჩამოაგდეთ სიტყვა იმაზე, რომ მაშინ თავისუფალი არ იყავით?

ელიდა (აღღებულად წამოგება). იმიტომ, რომ ვილაყას უნდა გავენდო... არა, არა, ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ.

არნჰოლმი. როგორ? მაშ, თქვენმა ქმარმა არაფერი არ იცის?

ელიდა. მე მაშინვე გამოვეტყდი, რომ ოდესღაც სხვა მიყვარდა. მეტის გაგება თვითონაც აღარ მოუნდომებია და მას შემდეგ ამაზე, საერთოდ, აღარაფერი გვითქვამს... ისე კი, კაცმა რომ თქვას, ეს იყო ერთგვარი სიგიჟე. და, თანაც ყველაფერს სულ მალე მოედო ბოლო. ესე იგი, გარკვეული თვალსაზრისით.

არნჰოლმი (დგება). გარკვეული თვალსაზრისით? მაშასადამე, არა მთლიანად?

ელიდა. არა, არა, რა თქმა უნდა, მთლიანად! ღმერთო ჩემო, კარგად ვერ გამოიგეთ, არნჰოლმი! თუმცა ამის გაგება არც შეიძლება. მე თვითონაც არ ვიცი, როგორ ავიხსნათ ეს... თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ ავადა ვარ, ან შევიშალე.

არნჰოლმი. ძვირფასო ფრუ ვანგელ... ახლა კი ყველაფერი უნდა მითხრათ.

ელიდა. კეთილი, ვეცდები. ერთი ეს მითხარით, თქვენ, როგორც კიკვიანი კაცი, როგორ ახსნით იმას, რომ... (განზე გაიხედავს და სიტყვა უწყდება). მერე... მგონი სტუმარია.

ხელმარცხნივ, გზაზე გამოჩნდება ლიუნგსტრანი და ბაღში შემოდის. ლიკლოში ყვავილი გაურქვია, ხელში კი ვეებერთელა, ქალღმერთი გახვეული და ბაფთით შეკრული თაიგული უკირავს. ეკრანდასთან მიდის და გაუბედავად ჩერდება.

(ტალავრიდან გამოდის). გოგონებს ხომ არ ეძებთ, ბატონო ლიუნგსტრან?

ლიუნგსტრანი (შემობრუნდება). აჰ, თქვენ აქა ხართ, ფრუ ვანგელ? (ესალმება და ახლოს მიდის). არა, გოგონებს კი არა, თქვენ. გახსოვთ, რომ მომიპატიეთ?

ელიდა. რა თქმა უნდა... ყოველთვის მოხარულნი ვიქნებით.

ლიუნგსტრანი. უღრმესი მადლობა. და რაკი ისეთი ბედნიერი დამხვევაა, რომ ოჯახში ზეიმი გაქვთ...

ელიდა. მაშ, თქვენც იცით?

**ლიუნგსტრანი.** დიახ. ამიტომ გავკადნიერდები და თავს ნებას მივცემ, მოგართვათ... (თავდახრით უწვდის თაიგულს).

**ელიდა** (ლიპლით). კი მაგრამ, ძვირფასო ბატონო ლიუნგსტრან, ხომ არ აჯობებს, თვით ღლეწანდელი ზემის მიზეზს — ბატონ არნჰოლმს მიართვათ ეგ მშვენიერი თაიგული?..

**ლიუნგსტრანი** (განკვიფრებულს არნჰოლმზე გადააქვს მხერა). მომიტევეთ... მაგრამ მე არ ვიცნობ ბატონ... მე მხოლოდ... თქვენი დაბადების დღის აღსანიშნავად, ფრუ ვანგელ...

**ელიდა.** ჩემი დაბადების დღის? გეშლებათ, ბატონო ლიუნგსტრან. ღლეს არავის დაბადების დღე არ არის.

**ლიუნგსტრანი** (ეშმაკური ლიპლით). ოო, ვიცი, ვიცი. მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ ასეთი საიდუმლო იყო?

**ელიდა.** მაინც რა იცით?

**ლიუნგსტრანი.** რომ ღლეს თქვენი დაბადების დღეა.

**ელიდა.** ჩემი?..

**არნჰოლმი** (განკვიფრებული უყურებს). ღლეს? არა, არა მგონია.

**ელიდა** (ლიუნგსტრანს). ვინ გითხრათ?

**ლიუნგსტრანი.** ფრიოკენ ჰილდამ გამიმელავნა ეს საიდუმლო. ნახევარი საათის წინ ვიყავი აქ და ქალიშვილებს ვკითხე, ეს ამდენი ყვავილები და ალამი რას ნიშნავს-მეთქი?

**ელიდა.** მერე?

**ლიუნგსტრანი.** ჰოდა, ფრიოკენ ჰილდამ მითხრა, ღლეს დედაჩემის დაბადების დღეაო.

**ელიდა.** აა! ჰო, დიახ, დიახ...

**არნჰოლმი.** აჰა! (ელიდას გადახედავს). რაკი ყმაწვილ კაცს უკვე სცოდნია, ფრუ ვანგელ...

**ელიდა** (ლიუნგსტრანს). დიახ, რახან უკვე იცით მაშინ...

**ლიუნგსტრანი** (ხელახლა უწვდის თაიგულს). ასე რომ, ნება მიბოძეთ, მოგილოცოთ...

**ელიდა** (თაიგულს ჩამოართმევს). გმადლობთ, გმადლობთ. დაბრძანდით ბატონო ლიუნგსტრან.

სამივენი ტალავერში სხდებიან.

რაც შეეხება დაბადების დღეს... მართლაც საიდუმლოდ ვინახავდით, ბატონო ინსპექტორო.

**არნჰოლმი.** გასაგებია. გარეშე ხალხს ყველაფერს ხომ არ გაანდობთ?

**ელიდა.** რა თქმა უნდა... გარეშე ხალხს...

**ლიუნგსტრანი.** სიტყვას გაძლევეთ, კრინტს არსად დავძრავ.

ელიდა. არა, მე როდი ვგულისხმობ... ერთი ეს მითხარით, როგორ ბრძანდებით? გარეგნულად თითქოს უკეთესობა გეტყობათ.

ლიუნგსტრანი. დიახ, მე მგონია, დღითიღვე უკეთა ვხდები. ხოლო თუ გაისად სამხრეთშიაც მოვახერხე წასვლა...

ელიდა. გოგონები ამბობენ, უთუოდ მოახერხებსო.

ლიუნგსტრანი. დიახ, ბერგენში ერთი მფარველი მყავს. შემპირდა, საგაისოდ დაგეხმარებო.

ელიდა. როგორ გაიცანით?

ლიუნგსტრანი. ოო, ბედმა გამიღიმა. მის ერთ-ერთ გემზე დავიწყე მუშაობა.

ელიდა. მართლა? ძალიან გიყვართ ზღვა?

ლიუნგსტრანი. სულაც არ მიყვარს. მაგრამ დედა რომ გარდამეცვალა. მამაჩემმა სახლში აღარ დამაყენა და გემზე მომაწყო. აქეთობისას, ლამანში მარცხი მოგვივიდა... ჩემდა საბედნიეროდ.

არნჰოლმი. როგორ?

ლიუნგსტრანი. როგორ და ისე, რომ სწორედ მაშინ შემეყარა ეს ჩემი ავადმყოფობა — სულის ხუთვა. წყალი ყინულივით ცივი იყო, ხოლო მე დიდხანს დავყავი შიგ. სანამ არ ამომათრიეს. ეს კი ნამდვილი ბედნიერება იყო ჩემთვის.

არნჰოლმი. ვითომ?

ლიუნგსტრანი. რა თქმა უნდა. საშიში ხომ არაფერი მკირს. სამაგიეროდ, ახლა კი შემიძლია სკულპტორი გავხდე, რასაც მთელი სიცოცხლე ვნატრობდი. წარმოგიდგენიათ, რა ბედნიერებაა სხეულების ძერწვა ამ საოცარი, რბილი თიხისგან, ასე მორჩილად რომ მოგყვება ხელში!

ელიდა. მაინც რის გამოძერწვას აპირებთ? ალების, ზღვის ასულების თუ ძველი ვიკინგებისას?

ლიუნგსტრანი. არცერთის. როგორც კი ოსტატობის საიდუმლოს დავეუფლები, რაღაც დიდის გამოძერწვას ვცდი, ეგრეთწოდებული სკულპტურული ჯგუფისას.

ელიდა. კერძოდ?

ლიუნგსტრანი. რაღაც ისეთს, მე თვითონ რომ განმიცდია.

არნჰოლმი. დიახ, დიახ, საკუთარი განცდილი ყველას სჯობია.

ელიდა. კი მაგრამ, მაინც რას?

ლიუნგსტრანი. ასე მაგალითად, ხშირად მიფიქრია, გამომძერწვა მეზღვაურის ახალგაზრდა ცოლი... საბრალო ქალს ცუდად სძინავს... სიზმრები სტანჯავს. ვფიქრობ, იმდენს კი შეეძლებ, რომ ეს თვალში საცემი იყოს.

**არწოლში.** ნუთუ მხოლოდ ამ ერთ ფიგურას დასჯერდებით?  
**ლიუნგსტრანი.** არა, იქვე იქნება მეორეც... უფრო აჩრდილი,  
ვიდრე ხორცმესხმული ადამიანი. ეს მისი ქმარია, რომელსაც  
ულალატა და კაცი ზღვაში დაიხრჩო.

**არწოლში.** რაო, რა ბრძანეთ?..

**ელიდა.** დაიხრჩო?

**ლიუნგსტრანი.** დიახ, ცურვისას დაიხრჩო. მაგრამ მოხდა  
სასწაული და მიინც დაბრუნდა. იცით, უკვე ღამეა... ის კი  
საწოლთან დგას და ცოლს დასცქერის. დამხრჩვალს  
წურწურით ჩამოსდის წყალი და ძირს გუბდება.

**ელიდა** (სკამის ზურგზე გადაწევა და თვალებს ხუჭავს). ღმერთო ჩემო,  
რა არის ეს? ყველაფერს ისე თვალნათლივ ვხედავ!..

**არწოლში.** კი მაგრამ, ბატონო... ბატონო... აკი თვითონვე  
ბრძანეთ, მხოლოდ იმის გამოძერწვას ვაპირებ, რაც პირადად  
განმიცდიაო?

**ლიუნგსტრანი.** დიახ, ესეც სწორედ ჩემი ცხოვრებისეული  
გამოცდილება გახლავთ. ესე იგი, გარკვეული აზრით.

**არწოლში.** ცხოვრებისეული გამოცდილებაა?.. კი მაგრამ, მკვდარი,  
დამხრჩვალი?..

**ლიუნგსტრანი.** რა თქმა უნდა, უშუალოდ ცხოვრებიდან როდია  
აღებული; ვერ ვიტყვი, თითქოს საკუთარი თვალით მენახოს;  
მაგრამ მიინც...

**ელიდა** (სწრაფად; როგორც ჩანს, ამ ამბავმა ძალიან დააინტერესა). რაც  
შეიძლება დაწერილებით გვიამბეთ. მე მინდა ყველაფერი  
ვიცოდე, ყველაფერი.

**არწოლში** (ლიბლით). დიახ, ეს სწორედ რომ სათქვენოა. სიუჟეტი  
ზღვის კოლორიტით.

**ელიდა.** აბა, გისმენთ, ბატონო ლიუნგსტრან.

**ლიუნგსტრანი.** მოგახსენებთ. იმხანად ქალაქ ჰალიფაქსის  
ნავსადგურში ვიდექით და სამშობლოში გამოსამგზავრებლად  
ეემზადებოდით. მოულოდნელად, ბოცმანი გაგვიხდა ავად.  
იძულებულნი გავხდით, ჰოსპიტალში დაგვეწვინა, მის  
ნაცვლად კი ერთი ამერიკელი მიგვეღო. ჰოდა, ამ ახალმა  
ბოცმანმა...

**ელიდა.** ამერიკელმა?..

**ლიუნგსტრანი.** დიახ, ამერიკელმა, — კაპიტანს ძველი გაზეთები  
გამოართვა წასაკითხად. მთელი დასტა. ყველაფერს  
გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა. თვითონვე გვითხრა,  
ნორვეგიულის სწავლას ვაპირებო.

ელიდა. მართლა? მერე?..

ლიუნგსტრანი. ერთხელ ზღვა საშინლად აღელდა. მთელ ეკიპაჟს ზევით გამოუძახეს. ძირს მხოლოდ მე და ამერიკელი დავრჩით. მან ფეხი იღრძო და სიარული უქირდა; მეც ავად ვიყავი და ვიწვექი, ჰოდა, იჯდა ეს ჩვენი ბოცმანი თავის კაიუტაში და ძველ გაზეთებს კითხულობდა.

ელიდა. მერე, მერე?..

ლიუნგსტრანი. უცებ, ლამის გული შემიღონდა. ისე საზარლად დაიბღაველა თუ დაიდრიალა. შევხედე, მიწის ფერი აღევს სახეზე და გამწვარებით კმუქნის გაზეთს. მერე კი ნეკუწ-ნაკუწ დახია. მაგრამ უკვე ღინჯად, აუჩქარებლად.

ელიდა. და არაფერი არ უთქვამს? არცერთი სიტყვა?

ლიუნგსტრანი. მაშინვე — არაფერი. მაგრამ შემდეგ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: „გათხოვილა. ჩემს იქ არ ყოფნაში სხვას გაჰყოლია.“

ელიდა (თვალეხს დახუკავს; ხმადაბლა). ზუსტად ასე თქვა?

ლიუნგსტრანი. დიახ. და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნორვეგიულად. უაქცენტოდ. როგორც ჩანს, ეადვილებოდა უცხო ენის შესწავლა.

ელიდა. კი მაგრამ, მერე რა მოხდა?

ლიუნგსტრანი. მერე?.. რაღაც ისეთი უცნაური, რომ ვერასოდეს ვერ შევძლებ მის დავიწყებას... დიახ, ისე უცნაურად და ჩუმად დასძინა: „მაგრამ ის მაინც ჩემია და ჩემს იქით გზა არა აქვს. რომც დაეიხრჩო, ზღვის ფსკერიდან ამოვალ, მოვაკითხავ და ისიც უყოყმანოდ გამომეყვება უკან.“

ელიდა (ხელის კანკალით ისხამს წყალს კიკაში). უჰ! როგორ დაცხა...

ლიუნგსტრანი. და ეს ისეთი ძალით თქვა, რომ ნამდვილად დაიჭვრებდით, შეეძლო საქმედ ექცია სიტყვა.

ელიდა. არ იცით, მერე რა დაემართა?

ლიუნგსტრანი. ალბათ, აღარცაა ცოცხალი.

ელიდა (სწრაფად). რატომ გგონიათ?

ლიუნგსტრანი. იმიტომ, რომ სწორედ მაშინ მოგვიხდა მარცხი. მე დიდ ნაევში აღმოვჩნდი, კაპიტანსა და ხუთ მეზღვაურთან ერთად; შტურმანი, ამერიკელი და კიდევ ერთი მეზღვაური — პატარაში.

ელიდა. და მას შემდეგ აღარაფერი გსმენიათ მათზე?

ლიუნგსტრანი. აღარაფერი. ჩემმა მფარველმა ამას წინათაც მომწერა. მაგრამ სწორედ ამიტომ ერთი სული მაქვს, როდის გამოვაქანდაკებ. მეზღვაურის მოღალატე ცოლი ისე



ყოცხლად მიდგას თვალწინ... და ეს შურისმაძიებელიც, რომელიც დაიხრჩო და მიანიც დაბრუნდა. ორივეს თვალნათლივ ვხედავ.

**ელიდა** (დგება). მოდით, შინ შევიდეთ... ან არადა, ვანგელს ვეწვიოთ. აქ მართლა საშინლად ცხელა. (ტალავერიდან გამოდის).

**ლიუნგსტრანი** (თვითონაც დგება). ახლა კი დროა დაგემშვიდობოთ. მე მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ დაბადების დღე მომელოცა.

**ელიდა**. როგორც გენებოთ. (ხელს უწვდის). ნახვამდის, დიდი მადლობა.

ლიუნგსტრანი თავს უკრავს და ხელმარცხნივ გადის ბაღიდან.

**არნჰოლმი** (ელიდას უახლოვდება). როგორც ვატყობ, ამ ამბავმა ძალიან ცუდად იმოქმედა თქვენზე, ფრუ ვანგელ.

**ელიდა**. დიახ, შესაძლოა, თუმცა...

**არნჰოლმი**. კი მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ნუთუ ასე მოულოდნელი იყო თქვენთვის?

**ელიდა** (გაოგნებული). მოულოდნელი?

**არნჰოლმი**. დიახ.

**ელიდა**. როგორ? მაშ, იმის მოლოდინი უნდა მქონოდა, რომ უგზოუკვლოდ დაკარგული კაცი დაბრუნდებოდა, და თანაც, ასე უცნაურად დაბრუნდებოდა?

**არნჰოლმი**. რაო?.. აა, თქვენ ამ დამთხვეული მოქანდაკის ნაამბობს გულისხმობთ?

**ელიდა**. არა, არც ისე დამთხვეულია, ძვირფასო არნჰოლმ.

**არნჰოლმი**. მაშ, თქვენზე მართლა ასე ძალიან იმოქმედა დამბრჩვალნი მეზღვაურის ამბავმა? მე კი მეგონა...

**ელიდა**. რა? რა გეგონათ?

**არნჰოლმი**. მე მეგონა, ამით მხოლოდ თქვენს ნამდვილ განცდებს მალავდით; დიახ, მეგონა, მთელი ამ ხნის განმავლობაში გტანჯავდათ ის, რაც ახლახან გაიგეთ; კერძოდ, ის, რომ მთელი ოჯახი თურმე თქვენს ნამალევედ დღესასწაულობს ერთ თარიღს... აღმოჩენა იმისა, რომ თქვენი ქმარი და მისი შვილები ცხოვრობენ მოგონებებით, რომლებშიაც თქვენ არ შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება.

**ელიდა**. ოჰ, არა, არა. დაე, ყველაფერი ისევე დარჩეს, როგორც არის. რა უფლება მაქვს მოვითხოვო, რომ ჩემი ქმარი მთლიანად და განუყოფლად მე მეკუთვნოდეს?

**არნჰოლმი**. მე კი მგონია, სრული უფლება გაქვთ.

**ელიდა**. დიახ. თითქოს მაქვს და არცა მაქვს... აი, რაშია საქმე. მეც ხომ მაქვს სულში ისეთი კუნკული... სადაც არავის გავაჟაკებ.

**არნჰოლმი.** თქვენ? (ხმას დაუდაბლებს). იქნებ, სწორად ვერ გაგიგეთ?..  
დავიჭერო... ქმარი არ გიყვართ?

**ელიდა.** ოჰ, არა, არა, მიყვარს, მთელი ჩემი არსებით მიყვარს...  
და სწორედ ესაა საშინელება... რალაც გაუგონარი,  
წარმოუდგენელი, დაუჭერებელი!

**არნჰოლმი.** გამიზიარეთ მთელი თქვენი სატკივარი. ნურათფერს  
დამიმალავთ. მენდეთ!

**ელიდა.** არ შემიძლია, ჩემო მეგობარო. ყოველ შემთხვევაში, ახლა  
მაინც. მერე, ვნახოთ...

**ბოლეტა** (ვერანდაზე გამოდის და ბაღში ეშვება). აი, მამაც მოდის  
კანტორიდან. ხომ არ წამობრძანდებით? ერთად დავსხდეთ  
სასტუმრო ოთახში.

**ელიდა.** კეთილი. ახლავე.

**ვანგელი** (მარცხნიდან გამოჩნდება ქილასთან ერთად; ტანსაცმელი  
გამოუცვლია). აი, მეც მოვედი. ახლა კი თავისუფალი ვარ. თითო  
ქიქა გამაგრილებელი სასმელი არ გვაწყენდა.

**ელიდა.** მოითმინე! (ტალავერში შედის და თაგული გამოაქვს).

**ჰილდა.** ერთი შეხედეთ, რა ლამაზი ყვავილებია! ეინ მოგცა?

**ელიდა.** მოქანდაკე ლიუნგსტრანმა მომართვა, ჩემო ძვირფასო.

**ჰილდა** (განკვიფრებით). ლიუნგსტრანმა?

**ბოლეტა** (შეშოთებით). როგორ?.. მეორედაც მოვიდა?

**ელიდა** (ძლივს იკავებს ლიზილს). დიახ, მოვიდა და ყვავილებიც  
მომართვა. დაბადების დღის აღსანიშნავად, გესმის?

**ბოლეტა** (აღმაყვრად გადახედავს ქილას). აა!

**ჰილდა** (ბუზღუნით). ბრიყვი!

**ვანგელი** (საშინლად აფორიაქებული). ჰმ... იცი, რა?.. უნდა გამოგიტყდე,  
ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო, რომ...

**ელიდა** (აწყვეტივნებს). აქ მოდიოთ, გოგონებო! რა იქნება, თქვენი  
ყვავილების გვერდით ჩემი თაიგულიც რომ ჩავდგათ წყალში?

**ბოლეტა** (ქილას). არა, ჩვენში დარჩეს და, მაინც ძალიან  
საყვარელია.

**ჰილდა** (ხმადაბლა, გაბრაზებით). თამაშობს! თავს აწონებს მამას!

**ვანგელი** (ვერანდაზე, ხელს ართმევს ელიდას). გმადლობ, გმადლობ...  
სულით და გულით გმადლობ, ელიდა.

**ელიდა** (ყვავილებს წყალში დებს). რის მადლობა?! რატომ არ შეიძლება,  
მეც შევეუერთდე თქვენს ზეიმს... დედის დაბადების დღის  
აღსანიშნავად?

**ბოლეტა** და **ჰილდა** ბაღში რჩებიან.

## მეორე მოქმედება

ფლატე -- ბუქნარით დაფარული მალღობი ქალაქგარეთ, -- საიდანაც ფართო ხედი იშლება. ფლატის კილიდან ცოტა მოშორებით საზღვაო ნიშანი დგას ფლიუგერიითურთ. ირგვლივ დიდრონი ქვები ყრია, ზედ თავისუფლად შეიძლება ჩამოქდეს კაცი. სიღრმეში მოჩანს შორს გაწოლილი ფიორდი. კუნძულები და გრძელი, ზღვაში შექრილი კონცხი. გაშლილი ზღვა თვალისათვის უხილავია. ზაფხულის ნათელი ღამეა. ცა და ქარათა წვეკები ოქროსფრად და წითლად ღვივან. მარჯვნივ, ქვემოდან, გუნდის ოთხხმიანი სიმღერა ისმის.

საზღვაო ნიშნის გასწვრივ, მარჯვნიდან მარცხნივ წყვილ-წყვილად მიდიან ინტიმურ საუბარში გართული ქალაქელი ახალგაზრდები. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდება ფერადი შალებითა და სამგზავრო ჩანთებით დატვირთული ბალესტელი, რომელიც უცხოელი ტურისტების დიდი ჯგუფის შეგზურის როლს ასრულებს.

**ბალესტელი** (ჯობით ანიშნებს ზემოთ). *Sehen sie, meine Herrschaften, dort* შემდეგ *liegt eine andere* მთა. *Das willen wir* აგრეთვე *bestaigen und so herunter...* (ინგლისურზე გადადის და მთელი ჯგუფი ხელმარცხნივ გაჰყავს).

მარჯვნივ, მთის ფერდზე სწრაფი ნაბიჯით ამოდის ჰილდა, ჩერდება და აქეთ-იქით იუროება. ცოტა ხნის შემდეგ, იმავე მხრიდან გამოჩნდება ბოლეტა.

**ბოლეტა.** კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, რატომ გამოვექეციტ ლიუნგსტრანს?

**ჰილდა.** იმიტომ, რომ ვერ ვიტან მთის კალთებზე ამნაირ ხოხვას. უყურე, უყურე, როგორ მოლოდავს.

**ბოლეტა.** ხომ იცი, რა სუსტია.

**ჰილდა.** ვითომ რამე სერიოზული სკირს?

**ბოლეტა.** დიახ.

**ჰილდა.** ნასადილევს მამამ გასინჯა. ნეტავი მისი აზრი მაცოდინა.

**ბოლეტა.** მამამ მითხრა, ფილტვების გამკვრივება, თუ რაღაც ამგვარი სკირსო. დიდხანს ველარ გაატანსო, -- ასე თქვა.

**ჰილდა.** მამამაც ეგრე თქვა? შენ წარმოიდგინე, მეც ზუსტად ასე ვფიქრობდი.

**ბოლეტა.** თუ ღმერთი გწამს, მასთან არაფერი წამოგცდეს.

**ჰილდა.** შენც იტყვი, რა! (ხმაღაბლა). აი, ჩვენი ჰანსიცი ამოზობლდა.

რას იტყვი, ზედვე ეტყობა, რომ ნამდვილი ჰანსია, არა?

**ბოლეტა** (ჩურჩულით). წესიერად მოიქეცი, გირჩევ!

ლიუნგსტრანი (მარჯნიდან გამოდის, ხელში ქოლგა უჭირავს).  
მომიტყვეთ, ფრიოკენ, რომ ფეხდაფეხ ვერ მოგდიეთ.

ჰილდა. ეს ქოლგა სადღა იშოვეთ?

ლიუნგსტრანი. ჯოხის წამოღება დამავიწყდა და დედათქვენმა  
მომცა საბჯენად.

ბოლეთა. მამაჩემი და დანარჩენები ჯერ კიდევ ქვევით არიან?

ლიუნგსტრანი. დიახ. მამათქვენი რესტორანში შევიდა.  
დანარჩენები კი სხედან და მუსიკას უსმენენ. მაგრამ შემდეგ  
ჩვენც ამოვალთო, დედათქვენმა ბრძანა.

ჰილდა (რომელიც ამ ხნის მანძილზე თვალს არ ამორებდა). ძალიან  
დაიღალეთ?

ლიუნგსტრანი. ისე, რა! ცოტას ჩამოვისვენებ. (წინ, ხელმარჯვნივ,  
ქვაზე ჯდება).

ჰილდა (მის წინ ჩერდება). ხომ არ იცით, ცეკვა-თამაში თუ იქნება?

ლიუნგსტრანი. დიახ, ყური მოვკარი, იქნებაო.

ჰილდა. თქვენ გიყვართ ცეკვა?

ბოლეთა (ყვავილებს კრეფს). აჰ, ჰილდა, რას ჩააცვიდი ბატონ  
ლიუნგსტრანს? დააცადე, სული მოითქვას.

ლიუნგსტრანი (ჰილდას). დიახ, ფრიოკენ, დიდი სიამოვნებით  
ვიცეკვებდი... რომ შემეძლოს.

ჰილდა. აა! არასოდეს არ გისწავლიათ?

ლიუნგსტრანი. არა, არ მისწავლია. მაგრამ ამას როდი  
გგულისხმობ. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ არ შემეძლია  
ცეკვა ჩემი ავადმყოფობის გამო.

ჰილდა. აი, ის... ქოშინი რომ გკირთ?

ლიუნგსტრანი. დიახ.

ჰილდა. ძალიან გაწუხებთ?

ლიუნგსტრანი. არა, ძალიან არა. (ლოპილთ). მე მგონია, სწორედ  
ამ ჩემი ავადმყოფობის გამოა, რომ ყველა ასე ალერსიანად  
და გულისხმიერად მექცევა; ყველა ცდილობს, რალაცით  
დამეხმაროს.

ჰილდა. დიახ, დიახ. და თანაც, საშიში ხომ არაფერი გკირთ.

ლიუნგსტრანი. სრულებით არაფერი. მამათქვენის სიტყვებიდან  
ეს დასკვნა გამოვიტანე.

ჰილდა. ყველაფერი გაივლის, როგორც კი სამოგზაუროდ წახვალთ.

ლიუნგსტრანი. დიახ, მაშინ კი ნამდვილად გაივლის.

ბოლეთა (უახლოვდება და ყვავილებს უწვდის). აი, ბატონო  
ლიუნგსტრან... ლილკილოში გაიკეთეთ.

ლიუნგსტრანი. გმადლობთ, გმადლობთ, ფრიოკენ. რა გულკეთილი ბრძანდებით.

ჰილდა (დაბლა, ხელმარჯვნივ იყურება). აგერ ისინიც მოდიან.

ბოლეთა (თვითონაც იქით იყურება). მაგრამ თუ იციან, სად უნდა გადმოუხვიონ?.. აი, ხომ ხედავ. გზას ასცდნენ.

ლიუნგსტრანი (დგება). მოსახვევამდე ჩავიბრუნ და დავუძახებ.

ჰილდა. ხმას ვერ მიაწვდნენ.

ბოლეთა. არა, არა ტყუილად დაიღლებით.

ლიუნგსტრანი. დაღმართზე ჩასვლით რა დამღლის? (ხელმარჯვნივ ჩადის).

ჰილდა. ჰოო, დაღმართზე... (თვალს აყოლებს). თანაც, რა ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა. იმას კი აღარ ფიქრობს, რომ ისევ უნდა ამობობლდეს.

ბოლეთა. საწყალი.

ჰილდა. ხელი რომ ეთხოვა, გაჰყვებოდი ცოლად?

ბოლეთა. ხომ არ გაგიჟდი?

ჰილდა. არა, რა თქმა უნდა, ასეთი ავადმყოფი რომ არ იყოს და ასე მალე რომ არ ეწეროს სიკვდილი, მაშინ?

ბოლეთა. მე მგონია, შენი შესაფერისი უფროა.

ჰილდა. ეგლა მაკლია სწორედ. გახვრეტილი გროშიც არ გააჩნია.

ბოლეთა. რა ვიცი, გვერდიდან კი არ სცილდები და...

ჰილდა. ო, ეს მხოლოდ მისი ავადმყოფობის გამო.

ბოლეთა. რაღაც ვერ გატყობ, რომ ძალიან გებრალებოდეს.

ჰილდა. მერედა, ვინ მოგახსენა, რომ მებრალება? მხოლოდ ძალიან მაინტერესებს.

ბოლეთა. რა?

ჰილდა. რა და, როცა ეუყურებ და ვამეორებინებ, რომ საშიში არაფერი სჭირს... რომ საზღვარგარეთ წავა და მოქანდაკე გახდება. ისე გულწრფელად სჯერა და ისე უხარია... მთელი სულით და გულით. მაგრამ ვაი რომ ახდენა არ უწყერია. არასოდეს. დღეებიც რომ დათვლილი აქვს. როცა ამაზე ვფიქრობ, ღმერთმანი, სუნთქვა მეკვრის.

ბოლეთა. სუნთქვა გეკვრის?

ჰილდა. დიახ, მე პირადად სუნთქვა მეკვრის, თქვენის ნებართვით.

ბოლეთა. ფუ, ჰილდა, რა საზიზღარი ბავშვი ხარ!

ჰილდა. ვარ და ვიყო! თქვენს ჭინაზე ვიქნები! (ქვევით იყურება). მადლობა ღმერთს! ეტყობა, არნჰოლმს მაინცდამაინც არ ეპიტნავენა ამ მთის კალთებზე ბობლვა. (მოიხედ-მოიხედავს). თუ იცი, რა შევნიშნე სადილზე?

ბოლეთა. რა?

ჰილდა. წარმოგიდგენია, არანჰოლმს ზედ კევაზე სიქაჩლე ეწყება.

ბოლეთა. სისულელეა! ვერ დავიჭერებ.

ჰილდა. მე გეუბნები, ეწყება-მეთქი! აი, აქ, უპეებთანაც ნაოქები აქვს. ღმერთო ჩემო! არადა, როგორ გიყვარდა, როცა გასწავლიდა, ბოლეთა!

ბოლეთა (ლიბლით). რაც მართალია, მართალია. მახსოვს, ერთხელ მითხრა, ბოლეთა უშნო სახელიაო, და მე ცრემლებად დავიღვარე.

ჰილდა. წარმოგიდგენია?.. (კვლავ ქვევით იყურება). ერთი უყურე, ეს ჩვენი „ზღვის ასული“ მოდის და მამას კი არა, არანჰოლმს ელაპარაკება... თუმცა რა გასაკვირია, რომ ერთმანეთს ეკურკურებიან...

ბოლეთა. სირცხვილი შენი, ჰილდა! ელიდაზე მიგის თქმა იქნება? მაღლობა ღმერთს, ახლა მაინც ისე კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს...

ჰილდა. კი, როგორ არა!.. რას არ წარმოიდგენ, სულელო! დამიჯერე, ვერასოდეს ვერ შევეწყობით ერთმანეთს, ის ჩვენი შესაფერისი არ არის, ჩვენ კიდევ -- მისი. ნეტავი გამაგებინა, რაში დასკირდა მამაჩემს მაგისი სახლში შემოთრევა? ღმერთმანი, არ გამიკვირდება, ერთ მშვენიერ დღეს ქკუიდან რომ შეიშალოს.

ბოლეთა. შეიშალოს? რას ბოდავ?

ჰილდა. რა გიკვირს? დედამისიც შეიშალა და, ასე, შეშლილი მოკვდა. ვიცი.

ბოლეთა. ნეტავი ყველაფერში არ ეჩრებოდე! თუ ღმერთი გწამს, ქკუას მოუხმე და ენას კბილი დააქირე... მამას ხათრით, გესმის?

მარჯნიდან ამოდიან ვანგელი, ელიდა, არანჰოლმი და ლიუნგსტრანი.

ელიდა (ქვევით, ფიორღზე უთითებს). იქ?!

არანჰოლმი. დიახ, სწორია, -- იქით.

ელიდა. იქით -- გაშლილი ზღვაა.

ბოლეთა (არანჰოლმს). ხომ ლამაზია აქაურობა?

არანჰოლმი. დიახ, საოცრად ლამაზია, დიდებული.

ვანგელი. უწინ, მგონი, ერთხელაც არ ყოფილხართ აქ.

არანჰოლმი. არც ერთხელ. ჩემს აქ ყოფნაში ამ ფლატეზე გზა კი არა, საცალფეხო ბილიკიც არ ამოდიოდა.

ვანგელი. არც სასეირნო ადგილი იყო სადმე. ყველაფერი ამ ბოლო დროს გაკეთდა.

**ბოლეთა.** ლოკმანის ფლატედან კიდევ უფრო დიდებული ხედი იშლება.

**ვანგელი.** ხომ არ წავიდეთ იქით, ელიდა?

**ელიდა** (ხელმარჯვნივ ჩამოჯდება ქვაზე). არა, გმადლობ. თქვენ წადით; მე კი ერთხანს აქ ვიქნები.

**ვანგელი.** მაშინ მეც შენთან დავრჩები. გოგონებმა კი არანპოლში გააცილონ.

**ბოლეთა.** გნებავეთ, ბატონო არანპოლმ?

**არანპოლში.** სიამოვნებით. როგორი გზაა?

**ბოლეთა.** ოო, მშვენიერი, ფართო.

**ჰილდა.** ისეთი ფართო, რომ თავისუფლად შეგიძლიათ გვერდი-გვერდ, ხელკავით იაროთ.

**არანპოლში** (ხუმრობით). მართლა, ფრიოკენ ჰილდა? (ბოლეთას). ხომ არ შეგვემოწმებინა, მართალს ამბობს თუ არა?

**ბოლეთა** (ლიზილს იკავებს). რატომაც არა? (ხელკავს გამოსდებს და ორივენი მარცხნივ მიდიან).

**ჰილდა** (ლიუნგსტრანს). იქნებ, ჩვენც წავსულიყავით?..

**ლიუნგსტრანი.** ხელკავით?..

**ჰილდა.** რატომაც არა? სიამოვნებით.

**ლიუნგსტრანი** (ხელკავს გამოსდებს, თან სახე უბრწყინავს). რა სასაცილოა!

**ჰილდა.** სასაცილო?

**ლიუნგსტრანი.** დიახ, თითქოს შეეყარებულები ვიყოთ.

**ჰილდა.** თქვენ, მგონი, ხელკავით არასოდეს გივლიათ ქალთან, ბატონო ლიუნგსტრან.

ორივენი მარცხნივ მიდიან.

**ვანგელი** (ნიშნთან დგას). როგორც იქნა მარტო დავრჩით, ჩემო ძვირფასო.

**ელიდა.** დიახ. მოდი გვერდით მომიჯექ.

**ვანგელი** (ქდება). რა სივრცეა და სიჩუმე!.. ახლა მაინც შეგვიძლია ვილაპარაკოთ.

**ელიდა.** რაზე?

**ვანგელი.** შენზე, ჩვენს ურთიერთობაზე, ელიდა. ჩემის აზრით, ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს.

**ელიდა.** მაშ, რა ვქნათ?

**ვანგელი.** ერთმანეთს სრული ნდობა გამოვეუცხადოთ, ჩემო ძვირფასო. და კვლავ ძველებურად ვიცხოვროთ... ერთ-ხორც და ერთ-სულ...

- ელიდა. აჰ, ნეტა შეიძლებოდა... მაგრამ ვაი რომ არ შეიძლება.
- ვანგელი. მე მგონია, ასე თუ ისე, მესმის შენი! ხანდახან ისეთი სიტყვები წამოგცდენია, რომ, ჩემის აზრით, ახლა უკვე ყველაფერს ვხედები.
- ელიდა (აგზნებულად). არა, არა! ნუ იტყვი, რომ ხედები!
- ვანგელი. მაგრამ მე მაინც ვხედები. შენ ისეთი ერთგული, გულწრფელი და ალალ-მართალი ხარ, ელიდა...
- ელიდა. დიახ, ასეა.
- ვანგელი. ამიტომაც მშვიდად და ბედნიერად შეიძლება გრძნობდე თავს მხოლოდ სრული ურთიერთნდობისა და გულწრფელობის ვითარებაში.
- ელიდა (დაძაბული მისჩერებია). მერედა... რა?
- ვანგელი. შენ იმისთვის არა ხარ შექმნილი, რომ მეორე ცოლი იყო.
- ელიდა. ახლა როგორღა მიხვდი ამას?
- ვანგელი. ეს აზრი, ბუნდოვნად, დიდი ხანია მიტრიალებს თავში, მაგრამ მხოლოდ დღეს გამოიკვეთა ნათლად. ბავშვების მიერ დედის ხსოვნის ასე მალულად აღნიშვნა... შენ, ალბათ, თანამონაწილე გგონივარ... რას იზამ, ქმარი ასე ადვილად ვერ ივიწყებს. ყოველ შემთხვევაში, მე, ისეთი კაცი არა ვარ...
- ელიდა. ვიცი, ყველაფერი მშვენიერად ვიცი.
- ვანგელი. და მაინც, შენ სცდები, ელიდა, შენ გგონია, თითქოს ბავშვების დედა ჯერ კიდევ ცოცხალია... თითქოს დღემდე უხილავად დგას ჩვენს შორის... და თითქოს ჩემი სული გაორებულია — შენც გეკუთვნის და მასაც. ასე რომ, ჩვენი ურთიერთობა, გარკვეული აზრით, ერთგვარ უზნეობად თუ ზნედაცემულობად მიგაჩნია. ამიტომაცაა, რომ აღარ შეგიძლია... ან აღარ გინდა, ჩემთან იცხოვრო, როგორც ცოლმა.
- ელიდა (დგება). მაშ, შენ ყველაფერს ამ თვალთ უყურებ? ყველაფერი ასე გესმის?
- ვანგელი. დიახ, როგორც იქნა, ბოლოს მაინც ნათლად დავინახე და ბოლომდე ჩავხვდი.
- ელიდა. მაშ, ბოლომდე ჩახვდი! არა, ოღონდ მაგას ნუ იფიქრებ!
- ვანგელი. თუმცა ისიც მშვენიერად მესმის, რომ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი.
- ელიდა (შეშინებული). გესმის, რომ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი?



**ვანგელი.** დიახ. შენ ვერ იტან აქაურობას. ეს ქარაფები გორგუნავენ და სულს გიხუთავენ. არც სინათლე გყოფნის, არც სივრცე. ჰაერიც გაკლია, რომ ლაღად, მთელი მკერდით ისუნთქო.

**ელიდა.** დიახ, დიახ, მართალი ხარ. დღე და ღამ, ზამთარ-ზაფხულ... მე მღრღნის და მაწამებს უთქმელი სევდა... სამშობლო მენატრება, ზღვა მენატრება.

**ვანგელი.** ვიცი, ვიცი, ჩემო ძვირფასო. (თავზე ხელს ადებს). მაშ, ასე, ჩემი საბრალო, სნეული ბავშვი თავის სახლს, სამშობლოს უნდა დაუბრუნდეს.

**ელიდა.** ეგ როგორ გავიგო?

**ვანგელი.** სულ უბრალოდ: აედგებით და გადავსახლდებით.

**ელიდა.** გადავსახლდებით?

**ვანგელი.** დიახ, სადმე გაშლილი ზღვის პირას... სადაც ისე იგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში.

**ელიდა.** მეორედ აღარ წამოგცდეს. ეს შეუძლებელია, ჩემო ძვირფასო! შენ ვერასოდეს ვერ იგრძნობ თავს ბედნიერად სადმე სხვაგან, სხვანაირ გარემოცვაში.

**ვანგელი.** ოო, მე როგორმე გავძლებ. ან კი აქ. ამ გარემოცვაში რა ბედნიერი უნდა ვიყო -- უშენოდ?

**ელიდა.** მაგრამ მე ხომ აქა ვარ და აქვე დავრჩები. შენი ვარ, გესმის? შენი.

**ვანგელი.** ვითომ, ელიდა?

**ელიდა.** აჰ, ნულარ ვილაპარაკებთ ამაზე... აკი აქაა ყველაფერი, რითაც ცოცხლობ და სულდგმულობ. მთელი შენი სიცოცხლის საქმე.

**ვანგელი.** მე კი გეუბნები, ყველაფერს მოველება-მეთქი. სულერთია, მაინც გადავსახლდებით. სადმე ზღვის პირას. საბოლოოდ გადავწყვიტე. ჩემო ძვირფასო.

**ელიდა.** კი მაგრამ, შენის აზრით, რას მოვიგებთ?

**ვანგელი.** მოიკეთებ, სულიერად გაჯანსაღდები, სიმშვიდეს ჰპოვებ.

**ელიდა.** საექვოა. მაგრამ შენ? შენს თავზეც ხომ უნდა იფიქრო? სთქვი, რას მოიგებ?

**ვანგელი.** კვლავ დაგიბრუნებ, ჩემო ძვირფასო.

**ელიდა.** შეუძლებელია! არა, არა, ვანგელ, ეგ არ მოხდება! მთელი საშინელებაც ესაა სწორედ.

**ვანგელი.** უნდა ვცადოთ. რაკი ასეთი აზრები მოგდის თავში, ამიტომ შენთვის არ არსებობს ხსნის სხვა გზა და საშუალება, გარდა აქედან წასვლისა. და რაც უფრო მალე წავალთ, მით უკეთესი. საბოლოოდ გადაწყვეტილია, გესმის?

- ელიდა. არა! მაშინ, სჯობია, ყველაფერი გულახდილად გითხრა.
- ვანგელი. დიახ, დიახ, მითხარი, აუცილებლად მითხარი.
- ელიდა. ასე ნუ სწუხარ ჩემზე. მით უმეტეს, რომ ეგ წუხილი ვერც ერთს ვერაფერს გვიშველის.
- ვანგელი. შენ შემპირდი, ყველაფერს გულახდილად გეტყვიო.
- ელიდა. შეძლებისდაგვარად, ვეცდები, ყველაფერს ისე გიამბობ, როგორც მე თვითონ მაქვს წარმოდგენილი. მოდი აქ, ჩემს გვერდით ჩამოჯექ.
- ორივენი ქვებზე სხდებიან.
- ვანგელი. აბა, ელიდა!.. გისმენ!..
- ელიდა. იმ დღეს, როცა ცოლობა მთხოვე, ისე გულახდილად და პატიოსნად მიაბე ყველაფერი შენს პირველ ქორწინებაზე. ძალიან ბედნიერი ვიყავიო, — მითხარი შენ.
- ვანგელი. დიახ, ბედნიერი ვიყავი.
- ელიდა. მკერა, მკერა, ჩემო ძვირფასო. შენს წარსულზე ამიტომ როდი ჩამოვადგე სიტყვა. მე მხოლოდ მინდოდა შემეხსენებინა, რომ თვითონაც გულახდილი ვიყავი შენს მიმართ. მეც მაშინვე გამოგიტყდი, რომ ერთხელ უკვე მიყვარდა სხვა... და რომ ჩვენს შორის ლამის ნიშნობამდეც კი მივიდა საქმე.
- ვანგელი. ლამის?..
- ელიდა. დიახ, თუ შეიძლება ასე ითქვას. მაგრამ ჩვენი სიყვარული მალე დამთავრდა. ის წავიდა, და მე ყოველგვარი ურთიერთობა გაეწყვიტე მასთან. ყველაფერი ეს მაშინვე გითხარი.
- ვანგელი. მაშინ რატომღა ვქექავთ წარსულს, ჩემო ძვირფასო? ყოველივე ეს ხომ, არსებითად, არც მეხეზბოდა მე. არც არასოდეს მიკითხავს, ვინ იყო-მეთქი.
- ელიდა. მართალია, არ გიკითხავს. შენ ყოველთვის ისეთი ფაქიზი და გულისხმიერი იყავი ჩემს მიმართ.
- ვანგელი (ლიბლიით). თუ ასეა, მაშინ... მე ხომ თითქმის ვხედებოდი, ვინც იქნებოდა; შემეძლო სახელიც კი მეთქვა შენთვის.
- ელიდა. სახელიც?
- ვანგელი. შოლვიკენსა და მის შემოგარენში არც ისე ბევრი სასიძო იყო, რომ ვერ მივმხვდარიყავი. ბევრი კი არა, მხოლოდ ერთი, ერთადერთი თუ იყო...
- ელიდა. შენ, ალბათ, არნპოლმს გულისხმობ.
- ვანგელი. დიახ. განა ის არ იყო?
- ელიდა. არა.
- ვანგელი. არა? მაშინ მე უკვე ჩიხში ვექცევი.

- ელიდა. თუ გახსოვს, ერთხელ, შემოდგომის დამლევს, შოლვიკენს დიდი ამერიკული გემი მოადგა. რალაც დაზიანებოდა და უნდა შეეკეთებინათ.
- ვანგელი. მახსოვს, როგორ არ მახსოვს. ამ გემზე არ იყო, ერთ დილას, კაპიტანი რომ მოკლული იპოვეს თავის კაიუტაში? მე თვითონ გავკვეთე გვამი.
- ელიდა. დიახ.
- ვანგელი. ამბობდნენ, უმცროსმა შტურმანმა მოკლაო.
- ელიდა. დაბეჭითებით არავინ არაფერი იცოდა. საქმე გაუხსნელი დარჩა.
- ვანგელი. მაგრამ, ცხადია, დამნაშავე მაინც ის იყო. უდანაშაულო კაცი არ გაიქცეოდა და დახრჩობასაც გადარჩებოდა.
- ელიდა. ის არ დამხრჩვალა. ვეშაპთმკერ გემს გაჰყვა ჩრდილოეთში.
- ვანგელი (გაოგნებული). კი მაგრამ, შენ რა იცი?
- ელიდა (თავს ძალას ატანს). დიახ, ვანგელ... სწორედ ის კაცი იყო... ჩემი საქმრო.
- ვანგელი (წამოვარდება). რაო? შეუძლებელია!
- ელიდა. დიახ, ასეა. მე მისი საცოლე ვიყავი.
- ვანგელი. კი მაგრამ, ღვთის გულისათვის, ელიდა!.. რამ გაიძულა, რომ ამნაირ... სრულიად უცნობ კაცს ცოლობაზე დასთანხმებოდრი?... რა ერქვა?
- ელიდა. მე ფრიმანად გამეცნო. წერილებს კი ხელს აწერდა როგორც ალფრედ ჯონსტონი.
- ვანგელი. სადაური იყო?
- ელიდა. ამბობდა, ჩრდილოელი ვარ, ფინმარკენელიო. წარმოშობით ფინელი ყოფილა. პატარაობისას გადმოსახლებულა ნორვეგიაში მამასთან ერთად.
- ვანგელი. მაშასადამე, — კვენი.
- ელიდა. დიახ, ასე უწოდებენ მათ.
- ვანგელი. კიდევ რა იცი მასზე?
- ელიდა. მხოლოდ ის, რომ ადრე დაუწყია მეზღვაურობა; სად არ ყოფილა; რა არ უნახავს, შორეული ქვეყნები მოუვლია.
- ვანგელი. მეტი არაფერი?
- ელიდა. არა, არც ისე ბევრ რამეზე ვლაპარაკობდით.
- ვანგელი. მაინც?..
- ელიდა. უმეტესწილად, — ზღვაზე.
- ვანგელი. ა!.. ზღვაზე?

ელიდა. დიახ, ზღვაზე მბორგავ ქარიშხალსა და ზღვის მყუდრო-  
ებაზე ქარიშხალის ჩადგომის შემდეგ. კუნაპეტ ლამეებში  
მთვლემარე და მზის სხივების ალერსში სიხარულით მოცინარ  
ზღვაზე. უფრო ხშირად, -- ვეშაპებზე, დელფინებსა და  
შხერებში, მზის გულზე, მხიარული დგაფუნით მონებიერე  
სელაპებზე. ვლაპარაკობდით აგრეთვე თოლიებზე, ზღვის  
არწივებსა და სხვა ფრინველებზე. და, რა უცნაურია, --  
მეჩვენებოდა, თითქოს ეს ზღვის ცხოველები და ფრინველები  
მისი მონათესავენი იყვნენ.

ვანგელი. კი მაგრამ, შენ?..

ელიდა. დიახ, თითქოს მეც ნათესავებად მერგებოდნენ.

ვანგელი. გასაგებია... და შენ მისი საცოლე გახდი?

ელიდა. დიახ. ასე მითხრა, უარის თქმის უფლება არა გაქვსო.

ვანგელი. არა გაქვსო? კი მაგრამ, შენი საკუთარი ნება არ გქონდა?

ელიდა. როცა მის გვერდით ვიყავი, -- არა. ეგეც არ იყოს,  
ყველაფერი ისე უცნაური და გაუგებარი მეჩვენებოდა.

ვანგელი. ხშირად ხვდებოდით ერთმანეთს?

ელიდა. არა, არც ისე ხშირად. ერთხელ ჩვენსას მოვიდა, შუქურას  
დასათვალიერებლად. სწორედ მაშინ გავიცანი. შემდეგ  
დროდადრო ვხვდებოდით ერთმანეთს. მერე კი... ეს უბედურ-  
ება მოხდა. იძულებული შეიქნა გაქცეულიყო.

ვანგელი. გასაგებია. მერე, მერე!

ელიდა. დილაუთენია, მისი ბარათი მივიღე. ბრატკამერზე მიბარ-  
ებდა, -- ხომ იცი, ასე ჰქვია კონცხს შუქურასა და უბეს  
შორის.

ვანგელი. ჰო, ვიცი.

ელიდა. ჰოდა, სწორედ იქ დამიბარა, ახლავე მოდიო; უნდა  
მომლაპარაკებოდა.

ვანგელი. და შენც მიხვედი?

ელიდა. დიახ. მიუსვლელია არ შემეძლო. ჰოდა, მიაგზო, წუხელი  
დანა დავარტყი კაპიტანსო.

ვანგელი. თვითონ გიაგზო? მაშასადამე, მაინც გამოტყდა?

ელიდა. დიახ, მაგრამ ისიც დასძინა, მართალი ვიყავიო.

ვანგელი. მართალი ვიყავიო? კი მაგრამ, მაინც რატომ მოკლა?

ელიდა. ეგ აღარ უთქვამს. რა ქალის საქმეაო, -- მითხრა.

ვანგელი. და შენ ეკვიც არ შეგპარვია მის სიმართლეში?

ელიდა. აზრადაც არ მომსვლია ეკვის შეტანა. მაგრამ წასვლით  
კი აუცილებლად უნდა წასულიყო. და, აი, სანამ გამოემეშე-  
ილობებოდა... არა, შენ ვერ წარმოიღგენ, რა მოიგონა!

ვანგელი. მაშინ, მითხარი!

ელიდა. ჯიბიდან გასაღებების რგოლი ამოიღო და თითიდან ბეჭედი წაიძრო, რომელსაც ყოველთვის ატარებდა, მერე მეც წამაძრო ბეჭედი, ორივე გასაღებების რგოლით შეაერთა და მითხრა, ახლა ჩვენ ზღვა შეგვაუღლებსო.

ვანგელი. ზღვა შეგვაუღლებსო?

ელიდა. დიახ, ასე თქვა და ბეჭდები შორს, ზღვაში ისროლა.

ვანგელი. და შენც დაეთანხმე ამას, ელიდა?

ელიდა. დიახ, შენ წარმოიდგინე, დავეთანხმე... მაშინ მეგონა, რომ ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო... მაგრამ, მადლობა ღმერთს... მაშინვე წავიდა.

ვანგელი. მერე?..

ელიდა. შენ ალბათ გესმის, რომ მალე მოვეგე გონს. მივხვდი, რომ ყოველივე ეს სისულელე, უაზრობა იყო.

ვანგელი. მაგრამ შენ წერილები ახსენე. მაშასადამე, შემდეგაც გატყობინებდა თავის ამბავს?

ელიდა. დიახ. ჭერ იყო და, არხანგელსკიდან მივიღე სულ ორიოდ პწკარი. მწერდა, ამერიკაში მივემგზავრებიო და იქაურ მისამართსაც მატყობინებდა. ეს იყო და ეს.

ვანგელი. შენც უპასუხე?

ელიდა. დაუყოვნებლივ. რა თქმა უნდა, ეწერდი, რომ ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრებულია; გთხოვ დამივიწყო, ისევე, როგორც მე დაგივიწყე-მეთქი.

ვანგელი. მაგრამ მან მაინც მოგწერა?

ელიდა. დიახ.

ვანგელი. მერედა, რა გიპასუხა შენს წერილზე?

ელიდა. ერთი სიტყვაც არ უხსენებია. თითქოს ყოველგვარი ურთიერთობა არც გამეწყვიტოს მასთან. მხოლოდ მომწერა -- ისე მშვიდად და დალაგებით, -- დამელოდე და შეგატყობინებ, როდის შევძლებ შენს წაყვანასო. ჩემს იქით გზა არა გაქვს, აუცილებლად უნდა გამომყვეო.

ვანგელი. ესე იგი, შენი ხელიდან გაშვება არ უნდოდა?

ელიდა. დიახ. მაშინ მე კვლავ მივწერე. თითქმის სიტყვა-სიტყვით იგივე, რასაც პირველ წერილში ეწერდი. შესაძლოა, ცოტა უფრო მკვეთრადაც.

ვანგელი. მერე, დაგყაბულდა?

ელიდა. აინუნშიაც არ ჩაუგდია. ისეთივე მშვიდი და აუღელვებელი ტონით მომწერა, თითქოს ჩემი წერილი არც კი მიეღოს. მაშინ მივხვდი, რომ ამ გზით ვერაფერს გავხდებოდი და მეტი აღარ მიმიწერია.

**ვანგელი.** არც მისგან მიგილია წერილი?

**ელიდა.** არა, სამი წერილი კიდევ მივიღე. ერთი — კალიფორნიიდან, მეორე — ჩინეთიდან. უკანასკნელი კი — ავსტრალიიდან. მწერდა, ოქროს საძიებლად მივდივარო. მას შემდეგ მისი არა გამოგია რა.

**ვანგელი.** ამ კაცს უჩვეულო გავლენა ჰქონია შენზე, ელიდა.

**ელიდა.** ჰო, საშინელი კაცია, საშინელი!

**ვანგელი.** მაგრამ ნულარასოდეს გაიხსენებ მას, ნულარასოდეს! სიტყვა მომეცი, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო! ვეცდები, ერთხელ და სამუდამოდ გიხსნა, განგკურნო. შენ უფრო სუფთა და გრილი ჰაერი გჭირდება, ვიდრე ამ ჩვენი უბის ჰაერია. ნოტიო, მლაშე, მაცოცხლებელი, ნამდვილი ზღვის ჰაერი! რას იტყვი?

**ელიდა.** აჰ, ნურათერს მეტყვი, და ნურც იფიქრებ ამაზე! მაინც ვერათერს მიშველი. მე მგონია, ამ საშინელ ტვირთს ვერსად და ვერასოდეს ვერ მოვიცილებ.

**ვანგელი.** მაგრამ შენ უკვე მოიცილე ეს საშინელება. და თანაც, დიდი ხნის წინათ, როცა ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტე მასთან. მაშასადამე, შიშმაც უკვე გაგიარა.

**ელიდა** (წაშოიკრება). არა! საქმეც ისაა, რომ არა! არ გაუვლია!

**ვანგელი.** არა?

**ელიდა.** არა, ვანგელ, არა! ვშიშობ, რომ არც არასოდეს გაივლის! სანამ ცოცხალი ვარ!

**ვანგელი** (ყრუდ). იქნებ, იმის თქმა გსურს, რომ სულის სიღრმეში ვერასოდეს ვერ შესძელი ამ კაცის დაევიწყება?

**ელიდა.** არა, დაევიწყე, მაგრამ თითქოს ისევე დაბრუნდა.

**ვანგელი.** როდის?

**ელიდა.** დაახლოებით სამი წლისა თუ ცოტა მეტი ხნის წინათ. ბავშვს რომ ველოდი.

**ვანგელი.** აა! მაშინ? დიახ, ელიდა!.. ახლა კი ბევრი რამ გასაგებია ჩემთვის.

**ელიდა.** სცდები, ძვირფასო! რაც მაშინ დამემართა... ჩემის აზრით, ვერავენ ვერასოდეს გაიგებს ამქვეყნად!

**ვანგელი** (ღრმად დამწუხრებული მისჩერებია). როგორი გასაგებია, რომ მთელი ამ სამი წლის მანძილზე სხვა გიყვარდა! სხვა! მე კი არა... სხვა!

**ელიდა.** სასტიკად სცდები! არავინ არ მიყვარს შენს გარდა!

**ვანგელი** (ყრუდ). თუ ასეა, მაშინ მთელი ამ ხნის მანძილზე რატომ არ ცხოვრობდი ჩემთან... როგორც ცოლი?

ელიდა. იმ კაცის შიშით.

ვანგელი. შიშით?

ელიდა. დიახ, შიშით და ძრწოლით, რაღაც იდუმალი საშინელების გრძნობით, რომელიც ჩემის აზრით, ადამიანს შეიძლება ჩაუნერგოს მხოლოდ ზღვამ. ყური მიგდე, ვანგელ...

ხელმარცხნივ გამოჩნდებიან მოსეირნე წყვილები, ცოლ-ქმარს ესალმებიან და მარცხნივ მიდიან; მათ შორის არიან არანპოლში, ბოლეტა, კილდა და ლიუნგსტრანი.

ბოლეტა. თქვენ კვლავ აქა ხართ?

ელიდა. დიახ. რა სჯობია აქ ყოფნას! ისეთი სიგრილეა ამ მალლობზე.

არანპოლში. ჩვენ კი საცეკვაოდ მივდივართ ქვემოთ.

ვანგელი. კეთილი. ჩვენც მალე ჩამოვალთ.

ჰილდა. ნახვამდის.

ელიდა. ბატონო ლიუნგსტრან...ერთი წუთით. თუ შეიძლება.

ლიუნგსტრანი ჩერდება, ბოლეტა, არანპოლში და კილდა კი კვალდაკვალ მისდევენ დაწინაურებულთ.

ნუთუ თქვენც ცეკვავთ?

ლიუნგსტრანი. არა, არა მგონია, რომ ეს ჩემთვის ნებადართული იყოს.

ელიდა. დიახ, უმჯობესია, თავს გაუფრთხილდე. თქვენი გულ-მკერდი... ჯერჯერობით ხომ საბოლოოდ არ გამოიმჯობინებულხართ.

ლიუნგსტრანი. არა, საბოლოოდ არა.

ელიდა (ცოტა არ იყოს, ენის ბორძიკით). მაინც რამდენი ხანი გავიდა... იმ თქვენი მარცხის შემდეგ?

ლიუნგსტრანი. როდესაც ავად გაეხდი?

ელიდა. დიახ, დღეს დილით რომ მიაშბეთ.

ლიუნგსტრანი. რამდენი და... მოითმინეთ... დაახლოებით, სამი წელი.

ელიდა. მაშ, სამი წელი?

ლიუნგსტრანი. ან, შეიძლება, ცოტა მეტიც. ამერიკული ნავსადგურიდან თებერვალში გამოვედი, ეს მარცხი კი მარტის თვეში მოგვიხდა. საბუნებო ქარიშხლების ზონაში მოვხვდით.

ელიდა (ვანგელს გადახედავს). აი, როდინდელი ამბავია ეს.

ვანგელი. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო...

ელიდა. მეტს აღარ დაგაყოვნებთ, ბატონო ლიუნგსტრან. წაბრძანდით. ოღონდ არ იცეკვოთ.

- ლიუნგსტრანი.** არა, მარტო ვუყურებ. (ხელმარცხნივ მიდის).
- ვანგელი.** კი მაგრამ, მაგის კითხვა რაში დაგვირდა, ჩემო ძვირფასო?
- ელიდა.** სწორედ იმ გემზე იყო ჯონსტონი, დარწმუნებული ვარ.
- ვანგელი.** ვითომ?
- ელიდა** (მასუხის ნაცვლად). როგორც ჩანს, გემზე გაიგო, რომ სხვას გაეყვი ცოლად. და, აი, სწორედ მაშინ დამატყდა თავს...
- ვანგელი.** ეს საშინელება?
- ელიდა.** დიახ. ხანდახან ცოცხალივით მიდგას თვალწინ. არა, უშუალოდ თვალწინ კი არა, ოდნავ განზე. მხოლოდ მე არასოდეს არ მიყურებს. ისე დგას, თავისთვის.
- ვანგელი.** მაინც როგორ გეჩვენება ხოლმე?
- ელიდა.** ზუსტად იმ სახით, უკანასკნელად რომ ვნახე.
- ვანგელი.** ათი წლის წინათ.
- ელიდა.** დიახ, იქ, კონცხზე. ყველაზე ნათლად მის ჰალსტუხში ჩარკობილ ქინძისთავს ვხედავ, — დიდი, ცისფერი მარგალიტი როგორც ცხადში, ისე კიაფობს. გაგუდული თევზის თვალსა ჰგავს, და ეს თვალი თითქოს დაჟინებით მიცქერის.
- ვანგელი.** ღმერთო ჩემო! შენი ავადმყოფობა უფრო სერიოზულია, ვიდრე მეგონა! უფრო სერიოზული, ვიდრე შენ თვითონ გგონია, ელიდა.
- ელიდა.** დიახ, დიახ. მიშველე, თუ შეგიძლია! ასე მგონია, რომ ეს საშინელება სულ უფრო და უფრო ღრმად მითრევეს, თითქოს მთლიანად მისრუტავს.
- ვანგელი.** და ამ საშინელ განცდებში გაატარე მთელი სამი წელი? ასე სასტიკად იტანჯებოდი და მაინც არაფერი მითხარი მე?
- ელიდა.** არ შემეძლო. სანამ იძულებული არ გავხდი, ისევ და ისევ შენი გულისთვის. ეს რომ მეთქვა, მაშინ ისიც უნდა გამემხილა, რის სათქმელადაც ენა არ მომიბრუნდებოდა... ის, რაც საერთოდ არ ითქმის...
- ვანგელი.** რა?... რა არ ითქმის?..
- ელიდა** (ცდილობს გაერიდოს). არა, არა, არა! ნუ მკითხავ! მხოლოდ ერთს გეტყვი, და მეტს არაფერს... რითი აიხსნება ეს საშინელი გამოცანა, ვანგელ... რომ ჩვენს პატარას... ამნაირი თვალები ჰქონდა?..
- ვანგელი.** დამერწმუნე, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო, ეს მხოლოდ შენი წარმოსახვის ნაყოფია. ჩვენს პატარას ზუსტად ისეთივე თვალები ჰქონდა, როგორც ყველა ჩვეულებრივ ბავშვსა აქვს.



ელიდა. არა! როგორ ვერ შენიშნე? მისი თვალების ფერი იმის მიხედვით იცვლებოდა, თუ როგორი ფერი ჰქონდა ზღვას. როცა მზიანი დარი იდგა და ნაზად მოლივლივე ფიორდი თითქოს იცინოდა, ბავშვის თვალებიც ზუსტად ზღვისფერი იყო. ავდარშიც — ასევე... შენ თუ ვერ ამჩნევდი, ყოველ შემთხვევაში, ჩემს თვალს არაფერი გამოჰპარვია.

ვანგელი (თვინიერად). კმ... ვთქვით და ასეც იყო. მერე რა?

ელიდა (უახლოვდება; ჩუმად). საქმე ისაა, რომ ამნაირი თვალები ადრეც მინახავს.

ვანგელი. სად? როდის?

ელიდა. კონცხზე. ათი წლის წინათ.

ვანგელი (ნაბიჯით უკან იხევს). რაო?..

ელიდა (მთელი სხეული უცახსახებს; ჩურჩულით). ჩვენს პატარას... იმ უცნობი კაცის თვალები ჰქონდა.

ვანგელი (უნებურად შეჰყვირებს). ელიდა!..

ელიდა (სასოწარკვეთილი ხელებს იბტვირებს თავსზემოთ). ახლა ხომ გესმის, რატომ არ მინდა... უფრო სწორად, რატომ ვერ ვბედავ, შენთან ვიცხოვრო როგორც ცოლმა? (სწრაფად შეტრიალდება და ხელმარცხნივ თავქვე ეშვება).

ვანგელი (უკან მისდევს). ელიდა!.. ელიდა!.. ჩემო საბრალო, უბედურო ელიდა!

## მესამე მოქმედება

მიყრუებული კუნძული ექიმ ვანგელის ბაღში; ნესტიანი, ქაობიანი, ტანმალაი, ბებერი ხეებით დაჩრდილული. ხელმარჯვნივ ხავსით დაფარული ტბის ნაპირი ჩანს. დაბალი მესერი ბაღს გზატკეცილისა და სიღრმეში გაწოლილი ფიორდის ნაპირისგან კყოფს. შორს, ფიორდს გაღმა, მთაგრეხილი და ქარაფების წვეტიანი თხემები მოჩანს. საღამოვდება.

ხელმარცხნივ, ქვის მერხზე ჩამოძვარა ბოლეტა და რალაცას კერავს. გვერდით ორი წიგნი და კალათა უდევს. ქილდა და ლიუნგსტრანი ანკესებითა და ჩოგანბადეებით ტბის ნაპირს უტრიალებენ.

შილდა (რალაცას ანიშნებს ლიუნგსტრანს). ჩუმად! ვხედავ!.. რამხელაა!..

ლიუნგსტრანი (იქითვე იყურება). სად, აბა, სად?

შილდა (ხელით უჩვენებს). ნუთუ ვერ ხედავთ? აი, იქ, ქვემოთ... აგერ კიდევ... უყურეთ, უყურეთ!.. ღმერთმანი, მეორეც... (ხეებს შორის იკვიტება). მოდის!.. ოოჰ, თევზებს დაგვიფრთხობს.

ბოლეთა (თავს ასწევს). ვინ მოდის?

პილდა. ვინა და, შენი ინსპექტორი, ქალბატონო!

ბოლეთა. ჩემი?..

პილდა. დიახ, შენი. ყოველ შემთხვევაში, ჩემი არასოდეს ყოფილა.

ხელმარჯვნივ გამოჩნდება არნჰოლმი.

არნჰოლმი. ოჰო, აქ უკვე თევზი მომრავლდა?

პილდა. რა თევზი, გამოყრუებული კარჩხანები დაცურავენ.

არნჰოლმი. დავიჭერო, დღემდე ცოცხლები არიან?

პილდა. ამათ რა მოჰკლავთ! თუმცა ორიოდეს ახლა მოვუსწრაფებთ სიცოცხლეს.

არნჰოლმი. არ გერჩიათ, ფიორდზე გეცადათ ბედი?

ლიუნგსტრანსი. არა, ტბა... უფრო იღუმალია და, როგორც იტყვიან, მეტის აღმთქმელიც.

პილდა. დიახ, აქ გაცილებით უფრო საინტერესოა... თქვენ ნაპირიდან მოდიხართ?

არნჰოლმი. დიახ. ეს-ესაა ვიბანავე.

პილდა. ჰმ... იბანავეთ თუ ნაპირზე იჭყუმპალავეთ?

არნჰოლმი. სწორია, დიდი ვერაფერი მოცურავე გახლავართ.

პილდა. ზურგულით თუ შეგიძლიათ ცურვა?

არნჰოლმი. არა.

პილდა. მე კი შემიძლია. (ლიუნგსტრანსს). მოდიოთ, გალმა ვცადოთ ბედი.

ხელმარჯვნივ მიუყვებიან ტბის ნაპირს.

არნჰოლმი (ბოლეთას უახლოვდება). რა მარტო ზიხართ, ბოლეთა?

ბოლეთა. ოო, მე თითქმის სულ მარტო ვარ.

არნჰოლმი. დედა ბალშია?

ბოლეთა. არა, ალბათ მამასთან ერთად წავიდა სასეირნოდ.

არნჰოლმი. დღეს როგორაა?

ბოლეთა. მართალი გითხრათ, არ ვიცი. დამავიწყდა მეკითხა.

არნჰოლმი. ეგ რა წიგნებია?

ბოლეთა. ერთი — ბოტანიკა, მეორე — ნიადაგმცოდნეობა.

არნჰოლმი. გიყვართ ამნაირი წიგნების კითხვა?

ბოლეთა. დიახ, როცა მცალია... თითქმის მთელი დრო საოჯახო საქმეებს მიაქვს.

არნჰოლმი. კი მაგრამ, დედათქვენი... დედინაცვალი... არ გეხმარებათ?

ბოლეთა. არა, ყველაფერი ჩემს კისერზე გადადის. იმ ორი წლის მანძილზე, როდესაც მამაჩემი ქვრივი იყო, მთელ ოჯახს მე

ვუვლიდი, არც შემდეგ შეცვლილა რამე, ყველაფერი უწინდებურად დარჩა.

**არნჰოლმი.** მაშ, ძველებურად გიყვართ კითხვა?

**ბოლეტა.** დიახ, ვკითხულობ სხვადასხვა საინტერესო და სასარგებლო წიგნებს, რაც ხელში ჩამივარდება. მინდა ვიცოდე, რა ხდება ქვეყნად. აქ, ამ მიყრუებულ კუთხეში ხომ თითქმის ყველაფერს მოწყვეტილნი ვართ.

**არნჰოლმი.** რას ამბობთ, ძვირფასო ბოლეტა?

**ბოლეტა.** რა თქმა უნდა. მე თუ მკითხავთ, ჩვენი ცხოვრება დიდად როდი განსხვავდება ამ ტბორში მოფუთფუთე კარჩხანების ცხოვრებისაგან. გვერდით ფიორდი აქვთ, სადაც ლალად დანავარდობენ თავისუფალი თევზების უზარმაზარი გუნდები. ამ საცოდავმა შინაურმა თევზებმა კი არაფერი იციან მათ ცხოვრებაზე და ვერც ვერასოდეს მიიღებენ მონაწილეობას მასში.

**არნჰოლმი.** არა მგონია, მაინცდამაინც ბედნიერად ეგრძნოთ თავი, ამ ტბორიდან ფიორდშიც რომ გადაგესხათ.

**ბოლეტა.** ო, ჩემის აზრით, ეგ სულერთია.

**არნჰოლმი.** ეგეც არ იყოს, არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს აქ მთლიანად მოწყვეტილი იყოთ ნამდვილ ცხოვრებას. ყოველ შემთხვევაში, ზაფხულობით მაინც, როცა ეს თქვენი ქალაქი არისტოკრატთა ნამდვილ საკრებულოდ იქცევა.

**ბოლეტა** (ლიბლით). ვინც ჩვენს ქალაქში მხოლოდ სტუმრად ჩამოდის, მას, რა თქმა უნდა, ადვილად შეუძლია გაგვაქილიკოს.

**არნჰოლმი.** ვინ?.. მე გაქილიკებთ?.. როგორ გეკადრებათ!

**ბოლეტა.** კი მაგრამ, „არისტოკრატთა საკრებულო“ რომ ამბობთ, რა არის ეს, თუ არა ჩვენი მოქალაქეების საყვარელი გამოთქმის სიტყვასიტყვით გამეორება? საწყლები თავს იწონებენ ამით.

**არნჰოლმი.** მართალი გითხრათ, ეგ მეც შეენიშნე.

**ბოლეტა.** მაგრამ ეს ჩვენთვის, აქაურებისათვის, ხომ მარტოდენ ლიტონი სიტყვებია და მეტი არაფერი. ვითომ რა დიდი ბედენაა, რომ ეს „არისტოკრატები“ ამ ჩვენს პატარა ქალაქზე გაივლიან მხოლოდ იმიტომ, რომ სწორედ აქ გადის გზა, რომლითაც ჩრდილოეთისაკენ ეშურებიან, რათა შუალამის მზე იხილონ? თვითონ ჩვენ ხომ ვერასოდეს შევეუერთდებით მათ კომპანიას? არა, აქაურების ბედი, ალბათ, ისაა, რომ მთელი ჩვენი წუთისოფელი ამ კარჩხანების ტბორში გავლიოთ.

- არნჰოლმი (გვერდით მიუჯდება). ერთი ეს მითხარით, ძვირფასო ბოლეტა... თქვენ, ალბათ, გაქვთ გარკვეული მიზანი, რომლისკენაც ისწრაფით.
- ბოლეტა. რა თქმა უნდა.
- არნჰოლმი. მაინც?..
- ბოლეტა. უწინარეს ყოვლისა, მინდა თავი დავალწიო აქაურობას.
- არნჰოლმი. მაშ, ეს — უწინარეს ყოვლისა?
- ბოლეტა. დიახ. შემდეგ კი — სწავლა განვაგრძო, ნამდვილი ცოდნა შევიძინო.
- არნჰოლმი. როდესაც მე გასწავლიდით, მამათქვენი ამბობდა, ხელს არ შეეუშლი, პირიქით, დავებმარები იმაში, რომ სწავლა გააგრძელოსო.
- ბოლეტა. ეჰ, საწყალი მამა... თქმით კი, იცოცხლეთ, ბევრ რამეს ამბობს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, მაშინ... მამაჩემს ნებისყოფა აკლია.
- არნჰოლმი. სამწუხაროდ. სწორი ბრძანდებით. ნებისყოფა მართლაც აკლია. მაგრამ ოდესმე მისთვისაც თუ გითქვამთ ეს? რა თქმა უნდა, სერიოზულად და დაბეჭითებით?..
- ბოლეტა. არა, მართალი გითხრათ, არ მითქვამს.
- არნჰოლმი. მაშ, ახლა მაინც უთხარით. სანამ გვიან არ არის.
- ბოლეტა. რატომ აკიანურებთ საქმეს?
- ბოლეტა. ალბათ იმიტომ, რომ მე თვითონაც მაკლია ნებისყოფა. როგორც ჩანს, მემკვიდრეობით გადმომეცა მამაჩემისაგან.
- არნჰოლმი. ჰმ... კი მაგრამ, თუ სცდებით და უსამართლოდ მსჯელობთ თქვენს თავზე?
- ბოლეტა. არა, სამწუხაროდ, სავსებით სამართლიანად. ეგეც არ იყოს, მამაჩემს სადა აქვს იმისი დრო, რომ ჩემზე და ჩემს მომავალზე იფიქროს? არც დრო და, სხვათა შორის, არც სურვილი! ამნაირი საქმეები, ცდილობს, ყოველთვის სამერმისოდ გადადოს. ელიდას გარდა არავისთვის აღარ სცალია...
- არნჰოლმი. ელიდას გარდა?..
- ბოლეტა. იმას მოგახსენებთ, რომ მამაჩემს და დედინაცვალს... (აღარ ამთავრებს). დედას და მამას თავიანთი ცხოვრება აქვთ, გესმით?
- არნჰოლმი. მაშინ მით უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ აქედან წასულიყავით.
- ბოლეტა. რა თქმა უნდა, მაგრამ მე მგონია, რომ ამის უფლება არა მაქვს. დიახ, უფლება არა მაქვს, მივატოვო მამა.

- არნჰოლმი.** კი მაგრამ, ძვირფასო ბოლეტა. ერთხელაც იქნება, ხომ მიატოვებთ? ამიტომ, ჩემის აზრით, რაც უფრო მალე გადადგამთ ამ ნაბიჯს, მით უკეთესი...
- ბოლეტა.** როგორც ჩანს, სხვა გამოსავალი არ არის. ჩემს თავზეც ხომ უნდა ვიფიქრო. ვეცადო, რაღაცას მოვექილო ამ ცხოვრებაში. როდესაც მამა აღარ იქნება, ვინლა დამრჩება ამ ქვეყანაზე? არავინ. სრულიად არავინ... მაგრამ საბრალო მამა!.. როგორ მივატოვო?.. ამის გაფიქრებაზეც კი ტანში მზარავს.
- არნჰოლმი.** ტანში გზარავთ?
- ბოლეტა.** დიახ... როცა გავიფიქრებ, რომ მარტო დარჩება.
- არნჰოლმი.** ღმერთო ჩემო, კი მაგრამ თქვენი დედინაცვალი? ის ხომ მასთან იქნება!
- ბოლეტა.** დაუშვათ. მაგრამ ელიდას სრულიად არ შეუძლია ის, რაც ასე კარგად შეეძლო ცხოვრებულ დედაჩემს. ელიდა ბევრ რამეს ვერ ხედავს, ან, შესაძლოა, არა სურს დაინახოს... ან კიდევ, მისთვის სულერთია ყოველივე ეს. ვერ გეტყვით, რომელი ვარაუდია უფრო სწორი.
- არნჰოლმი.** კმ... მე მგონია, ვხვდები, რასაც გულისხმობთ...
- ბოლეტა.** საბრალო მამა... მეცოდება. ცოტა არ იყოს, სუსტი კაცია. ალბათ, თვითონაც შენიშნეთ. იმდენი საქმე არა აქვს, რომ თავისუფალი დრო აღარ დარჩეს. აი, სწორედ მაშინაა ცოდვა. ელიდას კი ნამდვილად არ შესწევს იმის უნარი, რომ მხარში ამოუდგეს. თუმცა ამაში ნაწილობრივ, შეიძლება, თვითონ მამაჩემიც იყოს დამნაშავე.
- არნჰოლმი.** როგორ?
- ბოლეტა.** აჰ, მამას უნდა თავის გარშემო მხოლოდ მხიარულსა და ბედნიერ სახეებს ხედავდეს. ასე ამბობს, სახლში ყოველთვის მზე უნდა იცინოდესო. ამიტომ, მე მგონია, ხშირად აძლევს ელიდას ისეთ წამლებს, რომლებმაც შეუძლებელია დიდი ხნით რაიმე არგოს მას.
- არნჰოლმი.** მართლა?..
- ბოლეტა.** დიახ, რატომღაც თავიდან ვერ ვიცილებ ამ აზრს. ელიდა ზოგჯერ ისეთი უცნაურია. (უეცრად წაშონთება). მაგრამ სადაური სამართალია, მთელი ჩემი დღე და მოსწრება შინ ვიჯდე? კაცმა რომ თქვას, ამით ვითომ რას ვარგებ მამას? ბოლოს და ბოლოს, ჩემი თავის წინაშეც ხომ მაქვს გარკვეული მოვალეობა? ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია.
- არნჰოლმი.** იცით, რას გეტყვით, ძვირფასო ბოლეტა?.. მე და თქვენ გულდასმით უნდა მოვილაპარაკოთ ამაზე.

**ბოლეთა.** არა მგონია, ამან რამე მიშველოს. რა გაეწყობა. ასეთი ყოფილა ჩემი ბედი. როგორც ჩანს, მთელი ჩემი წუთისოფელი აქ უნდა გავლიო და აქვე მოვკვდე. — ამ კარჩხანების ტბორში.

**არნჰოლმი.** რას ბრძანებთ? ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული.

**ბოლეთა** (გამოცოცხლებს). ვითომ?

**არნჰოლმი.** რა თქმა უნდა. დამერწმუნეთ... თქვენი ბედი მთლიანად თქვენსავე ხელთაა.

**ბოლეთა.** ნეტავი მართლა!.. მამასთან ხომ ვერ შემაწვეთ ორიოდ სიტყვას?

**არნჰოლმი.** რატომაც არა. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, მინდა გულახდილად მოგელაპარაკოთ, ძვირფასო ბოლეთა... (მარცხნივ იყურება). სსუ!.. ჭერჭერობით ჩვენს შორის დარჩეს. შემდეგ კვლავ დაეუბრუნდებით ამას.

ხელმარცხნივ გამოჩნდება ელიდა. უქულოდაა, მხრებზე შალი მოუსხამს.

**ელიდა** (აგზნებით). რა სკობია აქაურობას? ღმერთო, რა მშვენიერია!

**არნჰოლმი** (დგება). სეირნობდით?

**ელიდა.** დიახ, ვანგელთან ერთად... იმდენი ვიარეთ... რომ იცოდეთ, რა კარგი იყო! ახლა კი გვინდა ნავით გავისეირნოთ.

**ბოლეთა.** ხომ არ ჩამოგდები?

**ელიდა.** არა, გმადლობ. ერთ ადგილას ჯდომა არ შემიძლია.

**ბოლეთა** (წიგნებს და კალათას თავისკენ მიიჩოჩებს). ადგილი გვეყოფა.

**ელიდა** (მოუსვენრად წრიალებს). არა, არა, არა! არ შემიძლია! არ შემიძლია!

**არნჰოლმი.** როგორც ჩანს, გასეირნება მოგიხდათ. მშვენიერ გუნებაზე ბრძანდებით.

**ელიდა.** რაც მართალია, მართალია! ღმერთო, რა ბედნიერი ვარ!.. და, რაც მთავარია, ისეთი დამშვიდებული, დაწყნარებული!.. (მარცხნივ იყურება). ხედავ, რამხელა გემია?

**ბოლეთა** (წამოღება და ზღვას გასკქერის). ინგლისური საოკეანო გემი უნდა იყოს.

**არნჰოლმი.** ლუზის ჩაშვებას აპირებს. განა აქ ჩერდებიან ხოლმე?

**ბოლეთა.** მხოლოდ ნახევარი საათით. ნავსადგური უფრო შორსაა, ყურეში.

**ელიდა.** ხვალ კი... კვლავ გავა გაშლილ ზღვაში... შორს, ძალიან შორს. ნეტა მეც მისი მგზავრი ვიყო! რა ბედნიერი ვიქნებოდი! რა ბედნიერი!..

**არნჰოლმი.** არასოდეს გიმგზავრიათ გემით, ფრუ ვანგელ?

**ელიდა.** არასოდეს. ისე, მხოლოდ შხერებში.

ბოლექა (ოხვით). დიახ, ჩვენ, როგორც ჩანს, ხმელეთს უნდა დავჯერდეთ.

არნჰოლმი. კი მაგრამ, კაცმა რომ თქვას, განა სწორედ ხმელეთი არაა ჩვენი ნამდვილი ადგილ-სამყოფელი?

ელიდა. არა მგონია.

არნჰოლმი. რა არა გგონიათ? ის, რომ ჩვენი ადგილი ხმელეთზეა?

ელიდა. დიახ. მე თუ მკითხავთ, ადამიანები რომ იმთავითვე მისჩვეოდნენ ზღვაზე, ან, თუ გნებავთ, ზღვაში ცხოვრებას, ჩემის აზრით, ჩვენი ყოფა სულ სხვანაირი იქნებოდა — გაცილებით უფრო სისხლსავსე და სრულყოფილი; დიახ, გაცილებით უფრო უკეთ და ბედნიერად ვიცხოვრებდით.

არნჰოლმი. ნუთუ მართლა აგრე გგონიათ?

ელიდა. დიახ, სწორედ ასე მგონია, და ძალიან მაინტერესებს, მართლა ასეთი იქნებოდა თუ არა ჩვენი ცხოვრება სინამდვილეში. ვანგელთან ხშირად მილაპარაკია ამაზე...

არნჰოლმი. მერედა, თვითონ რა აზრისაა?

ელიდა. სავსებით შესაძლებლად მიაჩნია.

არნჰოლმი (ხუმრობით). დაეუშვათ, რომ სწორი ბრძანდებით. მაგრამ წარსულს უკან ველარ დაიბრუნებ. მაშასადამე, ჩვენ სხვა გზით წავედით და ზღვას კი არა, ხმელეთს მივესადაგეთ. ასე რომ, ახლა უკვე შეუძლებელია ამ შეცდომის გამოსწორება.

ელიდა. დიახ, სამწუხარო კემპარიტებას ბრძანებთ. მე მგონია, ადამიანები ინსტინქტურად გრძნობენ რალაც ამდაგვარს. ამიტომაცაა, რომ განუყრელად თან სდევთ ფარული სევდა და სინანული. დამერწმუნეთ, მხოლოდ ეს თუ აგვიხსნის ღრმა ადამიანური სევდის საიდუმლოს.

არნჰოლმი. კი მაგრამ, ძვირფასო ფრუ ვანგელ... ვერ ვიტყვი, რომ ადამიანებს ასე ძალიან აწამებდეთ ეს ფარული სევდა. პირიქით, მე თუ მკითხავთ, მათი უმრავლესობისათვის ცხოვრება ბედნიერებაა და სიხარული... უჩვეულო, ენითუთქმელი, დიადი სიხარული.

ელიდა. არა, ვერ დაგეთანხმებით. ეს სიხარული იმ გრძნობასა ჰგავს, ზაფხულის გრძელი და ნათელი დღე რომ გვანიჭებს; გრძნობას, რომელსაც განუყრელად თან ახლავს მოგონება ზამთრის წყვილაღზე. კვლავინდებურად რომ განმეორდება. და ეს მოგონება ისევე გვიწამლავს სიხარულს... როგორც ცაზე მოულოდნელად ჩამოწოლილი საადრო ღრუბელი თავის პირქვე ჩრდილს აფენს ფიორდს, სულ ახლახან ნეტარებით რომ გაყურსულიყო, ლურჯი, ნათელი, ნაზად მოლივლივე... და უცებ...

**ბოლექტა.** თუ ღმერთი გწამს. მოეშვი ამ სევდიან ფიქრებს. წელან ისეთი მხიარული და ბედნიერი იყავი.

**ელიდა.** დიახ, ვიყავი. ეს კი... დიდი სისულელეა ჩემის მხრივ. (შეფოთებული მიიხედ-მოიხედავს). ნეტა ვანგელი მალე მოვიდეს. შემპირდა, მაგრამ რომ არსადა ჩანს. ალბათ, დააკვიწყდა. თუ შეიძლება, ბატონო არნჰოლმ, სადმე მოძებნეთ, რა.

**არნჰოლმი.** სიამოვნებით.

**ელიდა.** უთხარით, ახლავე აქ გაჩნდი-თქო... თორემ ველარა ვხედავ...

**არნჰოლმი.** ველარა ხედავთ?..

**ელიდა.** აჰ, ვერ გამიგეთ. როცა ჩემთან არ არის, ველარ წარმოვიდგენ... მის სახეს ველარ ვიხსენებ ხოლმე. და მაშინ მეჩვენება, თითქოს საბოლოოდ დაეკარგე... ეს კი ისეთი მტანჯველი, ისეთი საშინელი განცდაა ჩემთვის... წადით, წადით, გემუდარებით! (მოუსვენრად წრიალებს ტბის ნაპირას).

**ბოლექტა (არნჰოლმს)** მე გაგაცილებთ. გზა რომ არ იცით...

**არნჰოლმი.** არა უშავს რა, თვითონ გაეფენებ...

**ბოლექტა (ხმადაბლა).** არა, არა, მე თვითონაც შიში მიპყრობს, ვაითუ გემისკენ წავიდა.

**არნჰოლმი.** რისი გეშინიათ?

**ბოლექტა.** იშვიათად თუ გაუშვებს გემს, რომ ზედ არ ავიდეს, იქნებ ნაცნობი იყოს ვინმეო... გემზე კი ბუფეტია...

**არნჰოლმი.** აა! წავიდეთ, წავიდეთ (ბოლექტასთან ერთად ხელმარცხნივ მიდის).

ელიდა დგას და ტბას ჩაშტერებია. დროდადრო ჩუმი, გაურკვეველი შეძახილი აღმოხდება. ხელმარცხნივ, გზაზე, ბალის მესერს იქით გამოჩნდება სამგზავროდ ჩაცმული უცნობი კაცი. გაბურძნული თმა და წითური წვერი აქვს. თავზე შორტლანდიური ქუდი ახურავს. მხარზე სამგზავრო ჩანთა მოუგდია.

**უცნობი (ღინჯად მოაბიჯებს მესერის გასწვრივ და ბალში გადმოიხედავს.**  
ელიდას დანახვაზე ჩერდება, დაეინებით მიაპყრობს გამომძლელ მზერას და ხმადაბლა ამბობს). გამარჯობა, ელიდა!

**ელიდა (შემობრუნდება).** აა, ძვირფასო... როგორც იქნა!

**უცნობი.** დიახ, როგორც იქნა.

**ელიდა (შიშითა და განცვიფრებით მიაჩერდება).** ვინა ხართ? აქ რას აკეთებთ?

**უცნობი.** ვითომ არ იცი.

**ელიდა (გაოგნებული).** რას ნიშნავს ეს? როგორ მიბედავთ?.. მაინც რა გნებაეთ?

**უცნობი.** რა თქმა უნდა, შენ.



ელიდა (შეძრწუნებული). ა! (წაბარბაცდება და მოგუდული ყვირილი აღმოხდება). თვალები!.. თვალები!..

უცნობი. ძლივს არ მიცანი? მე კი მაშინვე გიცანი, ელიდა.

ელიდა. თვალები! ასე ნუ მიყურებთ! თორემ ხალხს შეგეყრით!

უცნობი. სუუ!.. სუუ!.. ნუ გეშინია, არაფერს არ გიზამ.

ელიდა (თვალებზე ხელებს იფარებს). ასე ნუ მიყურებთ-მეთქი!

უცნობი (მესერს ჩამოეყრდნობა). ინგლისურ გემს ჩამოეყევი.

ელიდა (შეშინებული აღმაცერად უყურებს). რა გნებავთ ჩემგან?

უცნობი. აკი შეგპირდი, როგორც კი შესაძლებლობა მექნება, დაებრუნდები-მეთქი...

ელიდა. როგორც მოსულხართ, ისევე წადით! ახლავე წადით და ნულარასოდეს დაბრუნდებით, ნულარასოდეს!.. ხომ მოგწერეთ, ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრებულია-მეთქი. ყველაფერი! მაშ, რალა გინდათ?

უცნობი (აუღვრველად). აქამდეც სიამოვნებით ჩამოვიდოდი, მაგრამ არ შემეძლო. ახლა კი, როგორც იქნა, მოვახერხე. და, აი, აქა ვარ, ელიდა.

ელიდა. რა გნებავთ ჩემგან? რას აპირებთ? რისთვის მოხვედით?

უცნობი. ხომ იცი -- შენს წასაყვანად.

ელიდა (შეძრწუნებული უკან იხევს). ჩემს წასაყვანად? აი, თურმე რა გიღვეთ გულში!

უცნობი. რა თქმა უნდა.

ელიდა. მაგრამ თქვენ, ალბათ, იცით, რომ მე ქმარი მყავს.

უცნობი. ვიცი.

ელიდა. და მაინც!.. გაბედეთ და მოხვედით... ჩემს წასაყვანად?

უცნობი. დიახ.

ელიდა (ორივე ხელს თავში იტაცებს). ისევ ეს საშინელება! ეს იღუმალის შიში!

უცნობი. იქნებ, არ გინდა?

ელიდა (თავზარდაცემული). ასე ნუ მიყურებთ!

უცნობი. მე გეკითხები -- იქნებ, არ გინდა-მეთქი?

ელიდა. არა, არა, არა! არ მინდა!.. არასოდეს!.. არ მინდა-მეთქი! არ შემეძლია და არც მინდა! გესმით? (ხმადაბლა). მეშინია.

უცნობი (მესერზე გადმოალაჭებს და ბაღში შემოდის). კეთილი, ელიდა, მაშინ ერთი სიტყვა მაინც მათქმევიწე, სანამ წავიდოდე.

ელიდა (გაქცევა სურს, მაგრამ ფეხები არ ემორჩილება და შიშისაგან გახვეებული უძრავად დგას, ტბის ნაპირას ხეს მიყრდნობილი). არ მომეკაროთ!.. არ მომეკაროთ-მეთქი!

უცნობი (ფრთხილად გადადგამს მისკენ რამდენიმე ნაბიჯს). ნუ გეშინია ჩემი, ელიდა.

ელიდა (თვალეზე ხელს იფარებს). ასე ნუ მიყურებთ!

უცნობი. ნუ გეშინია, ნუ გეშინია-მეთქი!

ხელმარცხნივ, ბალის სიღრმიდან გამოჩნდება ვანგელი.

ვანგელი (სანამ ტბასთან მივიდოდეს). დიდხანს გალოდინე?

ელიდა (მივარდება და ჩაეკვრება). ვანგელ!.. მიშველე! მიშველე, თუ შეგიძლია!

ვანგელი. ელიდა! ღმერთო ჩემო! რა მოგივიდა?

ელიდა. მიშველე! ნუთუ ვერ ხედავ? აგერ აქა დგას! (უცნობზე ანიშნებს).

ვანგელი (იჩით იუფრება). ეს კაცი? (უცნობს უახლოვდება). ნება მომეცით გკითხოთ, ვინა ხართ და აქ რას აკეთებთ?

უცნობი (თავით ანიშნებს ელიდაზე). იმასთან მოსალაპარაკებლად მოვედი.

ვანგელი. აა! მაშ, ეს თქვენა ხართ?.. (ელიდას). გზაში მითხრეს, თქვენსას ვილაც უცხო კაცი შევიდა და შენ გკითხულობდაო.

უცნობი. დიახ, ეს მე ვიყავი.

ვანგელი. კი მაგრამ, რა საქმე გაქვთ ჩემს ცოლთან? (შეტრიალდება). იცნობ, ელიდა?

ელიდა (ჩუმად, ხელების მტერევეით). ეიცნობ თუ არა?.. დიახ, დიახ, დიახ!..

ვანგელი (სწრაფად). მერე?..

ელიდა (ჩუმად, ხელების მტერევეით). ო! ეს ხომ ისაა, ვანგელ! დიახ, ის! მე რომ გითხარი!..

ვანგელი. რაო? რას ამბობ? (შეტრიალდება). მაშ, თქვენ ის ჯონსტონი ხართ, რომელიც ოდესღაც...

უცნობი. თუ გნებავთ, ჯონსტონი მიწოდეთ. თუმცა მე სხვა სახელი მქვია...

ვანგელი. სხვა სახელი?

უცნობი. დიახ.

ვანგელი. კი მაგრამ, რა საქმე გაქვთ ჩემს ცოლთან? თქვენ იცით, რომ უუქურას ზედამხედველის ქალიშვილი დიდი ხანია გათხოვდა, და ვის გაჰყვა, ალბათ, ესეც გეცოდინებათ.

უცნობი. დიახ, სამი წელია, ვიცი.

ელიდა (დაძაბულად). როგორ გაიგეთ?

უცნობი. შინ მოვდიოდი, შენსკენ. ხელში ძველი გაზეთი ჩამივარდა — აქაური ცნობის ფურცელი. აი, ასე გავიგე შენი ქორწილის ამბავი.

- ელიდა (სივრცეს გაყურებს). ქორწილის?.. მაშასადამე, ეს მაშინ იყო?  
**უცნობი.** მე ისე მეუცნაურა. გახსოვს ბექლები, ელიდა? ესეც ერთგვარი ქორწინება იყო.
- ელიდა (ამოიკენესებს და ხელებს აიფარებს სახეზე). ო!..  
**ვანგელი.** რის უფლებას აძლევთ თქვენს თავს?..  
**უცნობი.** ნუთუ დაგავიწყდა?
- ელიდა (გრძნობს, რომ უცნობი უყურებს და თავს ველარ იმაგრებს). ასე  
 ნუ მიყურებთ!
- ვანგელი** (წინ გადაუდგება უცნობს). თქვენ მე უნდა მომმართავედეთ  
 და არა ჩემს ცოლს. მოკლედ, რაკილა საქმის ვითარება  
 იცოდით, აქ რალამ მოგიყვანათ? რატომ დაუწყეთ ძებნა ჩემს  
 ცოლს?
- უცნობი.** მე შეეპირდი ელიდას, რომ, როგორც კი შესაძლებლობა  
 მომეცემოდა, დავბრუნდებოდი.
- ვანგელი.** ელიდა!.. ისევ ელიდა!
- უცნობი.** ელიდა კი შეეპირდა, დაგელოდებო.
- ვანგელი.** თქვენ ჩემს ცოლს სახელით მიმართავთ. ჩვენში ეს  
 მიღებული არ არის.
- უცნობი.** ვიცი. მაგრამ რაკი ის, უწინარეს ყოველისა, ჩემია...  
**ვანგელი.** თქვენი?.. მაინც არ იშლით?..  
 ელიდა (ვანგელს ეფარება). ო! არასოდეს არ მომეშვება!  
**ვანგელი.** მაშ, თქვენია?  
**უცნობი.** ნუთუ არ უამბნია თქვენთვის ორი ბექდის ამბავი, ჩემი  
 და მისი?  
**ვანგელი.** მიაბზო. მერე რა? შემდეგ ხომ ყოველგვარი  
 ურთიერთობა გაწყვიტა თქვენთან? მისი წერილებიდან  
 ყველაფერს გაიგებდით.  
**უცნობი.** მე და ელიდამ გადაწყვიტეთ, რომ ჩვენი ბექლების  
 შეერთებით სამუდამოდ ვაერთებდით ჩვენს სიცოცხლესაც. ეს  
 იყო ერთგვარი ქორწინება.  
**ელიდა.** მაგრამ მე არ მინდა, გესმით? არ მინდა! თვალთ აღარ  
 დამენახოთ! აღარასოდეს! ასე ნუ მიყურებთ! არ მინდა-მეთქი!  
**ვანგელი.** ალბათ სრულ ჭკუაზე აღარა ხართ, რომ თქვენს  
 უფლებას ამნაირ სისულელეზე აფუძნებთ.  
**უცნობი.** უფლება, იმ აზრით, რომლითაც თქვენ მას გულისხმობთ,  
 მართლაც არა მაქვს.  
**ვანგელი.** კი მაგრამ, მაშინ რალა გინდათ? იქნებ, გგონიათ, რომ  
 ძალით წამართმევთ? მისდა უნებურად?

**უცნობი.** არა, ამას რა აზრი აქვს? თუ ელიდას უნდა, რომ ჩემი იყოს, მაშინ თავისი ნებით უნდა გამომყვეს.

**ელიდა** (გაოგნებული). ჩემი ნებით?..

**ვანგელი.** რას სთავაზობთ?..

**ელიდა.** ჩემი ნებით!..

**ვანგელი.** ნამდვილად შეშლილი ხართ. თქვენს გზას ეწიეთ. სალაპარაკო აღარაფერი გვაქვს.

**უცნობი** (სათბე დაიხედავს). გემზე მაგვიანდება. (ნაბიჯს გადადგამს). მაშ, ასე, ელიდა, მე მოვიხადე ჩემი ვალი. (უფრო ახლოს). შენთვის მოცემული სიტყვა შეეასრულე.

**ელიდა** (უკან იხევს; ვედრების კილოთი). არ მომეკაროთ!

**უცნობი.** ახლა კი მოსათქვამად დროს გაძლეე... ხვალ სალამომდის...

**ვანგელი.** რა უნდა მოითქვოს? ახლავე აქედან მიბრძანდით!

**უცნობი** (კვლავინდებურად ელიდას მიმართავს). ახლა გემით გავალ ყურეში, მაგრამ ხვალ სალამოს დაებრუნდები და შემოგივლი. შენ აქ, ბაღში დამელოდები. მე მიჩვენია, მხოლოდ შენთან ერთად გადავწყვიტო საქმე! გასაგებია?

**ელიდა** (ჩუმად, ხმის კანკალით). გესმის, ვანგელ?

**ვანგელი.** ნუ გეშინია. ფეხს არ შემოვადგმევინებ.

**უცნობი.** ახლა კი ნახვამდის, ელიდა. მაშასადამე, ხვალ სალამოს...

**ელიდა** (ვედრებით). ო, არა, არა! ხვალ ნუ მოხეალო! აღარასოდეს აღარ მოხვიდეთ.

**უცნობი.** და თუ ამ დროისთვის ჩემთან ერთად წამოსვლას გადაწყვეტ...

**ელიდა.** ოჰ, ასე ნუ მიყურებთ! ნუ მიყურებთ-მეთქი!

**უცნობი.** მე მხოლოდ ის მინდა გითხრა, რომ მაშინ სამგზავროდ გამზადებული უნდა დამხვედე.

**ვანგელი.** შინ წადი, ელიდა!

**ელიდა.** არ შემიძლია. დამეხმარე! მიშველე, ვანგელ!

**უცნობი.** ერთი რამ დაიმახსოვრე: ხვალ თუ არ გამომყვები, ყველაფერი დამთავრებულად ჩათვალე.

**ელიდა** (მოელი სხეული უცახცახებს). ყველაფერი?.. სამუდამოდ?..

**უცნობი.** დიახ, სამუდამოდ, ელიდა. აღარასოდეს აღარ დაებრუნდები და ვერც ველარასოდეს მიხილავ. ველარც ჩემს ასაველ-დასაველს გაიგებ. სამუდამოდ მკვდარი მიგულე შენთვის.

**ელიდა** (ძლივს იბრუნებს სულს). ო!..

**უცნობი.** მაშ, კარგად დაფიქრდი. ნახვამდის. (მესერზე გადალაჭებს, ჩერდება და აპბობს). ასე რომ, ხვალ სალამოს მზად იყავი გასამგზავრებლად. მე შემოგივლი. (ღიწჯად მიუყვება ბილიკს ხელმარჯვნივ).

**ელიდა** (თვალს აყოლებს). მაშ, ჩემი ნებით?.. გესმის? მან მითხრა, შენი ნებით უნდა გამომყვეო.

**ვანგელი.** დამშვიდდი. ხომ წავიდა. მეტად ველარ ნახავ.

**ელიდა.** ველარ ვნახავ?.. ხვალ სალამოს მოვა.

**ვანგელი.** მოვა და მოვიდეს. ყოველ შემთხვევაში, შენ ველარ ვნახავს.

**ელიდა** (თავს აქნევს). ო, ვანგელ, ხომ არ გგონია, რომ ხელს შეუშლი?

**ვანგელი.** ეგ ჩემზე იყოს, ჩემო ძვირფასო.

**ელიდა** (ჩაფიქრებით; ქმარს უყრს არ უგდებს). მაგრამ თუ ხვალ სალამოს მოვიდა... და შემდეგ გადაიკარგა?

**ვანგელი.** მერედა, რა?

**ელიდა.** მინდა ვიცოდე, აღარასოდეს აღარ დაბრუნდება?

**ვანგელი.** აღარასოდეს. დარდი ნუ გაქვს, ჩემო ძვირფასო. ან კი რა დარჩენია აქ? შენ თვითონ არ უთხარი, თვალთ აღარ დამენახო? მაშასადამე, ყველაფერი დამთავრებულია, — ერთხელ და სამუდამოდ.

**ელიდა** (თავისთვის). მაშ, ხელ. ან აღარასოდეს.

**ვანგელი.** მაგრამ კიდევაც რომ დაბრუნდეს...

**ელიდა** (დაძაბულად). მაშინ რა?..

**ვანგელი.** მისი სული ჩვენს ხელთაა.

**ელიდა.** მაგაზე ფიქრიც კი არ გაბედო.

**ვანგელი.** ჩვენს ხელთაა-მეთქი. თუ სხვა გზით ვერ მოვიშორეთ თავიდან, მაშინ კაპიტნის მკვლელობისთვის ვაგებინებ პასუხს.

**ელიდა** (წამოენთება). არა, არა, არა! არასოდეს! მკვლელობაზე ჩვენ არაფერი არ ვიცით! სრულიად არაფერი!

**ვანგელი.** არ ვიცით? კი მაგრამ, თვითონ არ გამოგიტყდა?

**ელიდა.** არა, კრინტიც არ დასძრა ამაზე! თუ გასთქვამ, ყველაფერს უარყვოფ. მისი ციხეში ჩასმა არ შეიძლება! ის ზღვის შვილია. მისი სტიქია გამწლილი ზღვაა.

**ვანგელი** (მისჩერებია და ჩუმად აპბობს). ეპ, ელიდა... ელიდა!

**ელიდა** (ჩაეკონება). ჩემო ერთგულო, ჩემო ძვირფასო, მიხსენი ამ კაცისაგან.

**ვანგელი** (ფრთხილად ითავისუფლებს თავს). წავიდეთ, ერთად წავიდეთ. მარჯვნიდან შემოდიან ლიუნგსტრანი და ჰილდა.

**ლიუნგსტრანი** (სწრაფად მიემართება ელიდასაკენ). არა, ჩემს თვალებს არ ვუჭერი, ფრუ ვანგელ... შეიძლება გაგიჟდეს კაცი!

ვანგელი. რა მოხდა?

ლიუნგსტრანი. წარმოგიდგენიათ?.. ამერიკელი დავინახე!

ვანგელი. ამერიკელი?

ჰილდა. დიახ, მეც დავინახე.

ლიუნგსტრანი. ბაღს შემოუარა და ინგლისური გემისკენ გასწია.

ვანგელი. თქვენ იცნობთ ამ კაცს?

ლიუნგსტრანი. დიახ, ერთად ვმუშაობდით გემზე. მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ დაიხრჩო, და უცებ, საღსალამათს არ ვხედავ?

ვანგელი. დაწვრილებით ხომ არაფერი იცით მასზე?

ლიუნგსტრანი. არა, მაგრამ. ალბათ, იმიტომ დაბრუნდა, რომ შური იძიოს თავის მოღალატე ცოლზე.

ვანგელი. რაო, რას ამბობთ?

ჰილდა. ლიუნგსტრანი აპირებს თავის ქანდაკების სიუჟეტად გამოიყენოს მისი ამბავი.

ვანგელი. არაფერი არ მესმის.

ელიდა. მერე აგისხნი.

გზატკეცილზე, ბაღის მესერს იქით გამოინდებიათ ბოლეტა და არჩოქი.

ბოლეტა (შორიდანვე). მოდი, აქ მოდი! ინგლისური გემი ყურეში მიემართება.

მოშორებით ინგლისური გემი მიცურავს.

ლიუნგსტრანი (ჰილდას, მესერთან). ალბათ, ამაღამ გამოეცხადება.

ჰილდა (თავს უქნევს). თავის მოღალატე ცოლს.

ლიუნგსტრანი. წარმოგიდგენიათ? — შუალამისას.

ჰილდა. რა საშინელებაა!.. და თანაც რა თავებრუდამხვევად საინტერესო!..

ელიდა (თვალს აყოლებს მიმავალ გემს). მაშასადამე, ხვალ...

ვანგელი. და უკანასკნელად.

ელიდა (ჩუმად, ხმის კანკალით). ო, ვანგელ... მიხსენი, ჩემივე თავისაგან მიხსენი!

ვანგელი (შეშფოთებული მისჩერებია). ელიდა!.. მე ვგრძნობ... რომ აქ სხვა რაღაცაც უნდა იყოს...

ელიდა. დიახ, არის... მომწუსხველი, წინააღმდეგობელი, ყოველის წამლეკი ძალა.

ვანგელი. ყოველის წამლეკი?..

ელიდა. რაღა ზღვა და რაღა ეს კაცი. (ღრმად ჩაფიქრებული ნაბიჯით მიდის ბაღში ხელმარცხნივ).

აღუვებული ვანგელი უკან მიჰყვება და გამომდელად უყურებს.

## მეოთხე მოქმედება

ვერანდის მომიჯნავე ოთახი. მარჯვნივ და მარცხნივ თითო კარია. უკანა კედელს ორი ფანჯარა აქვს დატანებული; მათ შორისაა ვერანდის ღია, მინის კარი, საიდანაც ბალის ერთი კუთხე მოჩანს. ოთახში ხელმარცხნივ მაგიდა და დივანი დგას, ხელმარჯვნივ — ფორტეპიანო, უფრო მოშორებით კი — დიდი ჟარდინიერი ყვავილებითურთ. შუა ოთახში, მრგვალ მაგიდას გარშემო სკამები აქვს შემოწყობილი; მაგიდაზე ვარდები და ქოთნებში ჩარგული ოთახის სხვა ყვავილებია. სადილობა ახლოვდება.

მაგიდის მახლობლად, დივანზე ბოლეტა ზის და ქარგავს. მაგიდის მეორე მხარეს სკამზე ჩამოძვარაა ლიუნგსტრანი. ბალში ბალესტედი ხატავს; იქვე დგას ჰილდა და მის ნამუშევარს ათვალაობს.

**ლიუნგსტრანი** (ხელეხს მაგიდაზე დააწყო და ერთხანს ჩუმად მისჩერებია ბოლეტას). ამნაირი ნაყუმების გამოყენება, ალბათ, ძალიან ძნელია, ფრიოკენ ვანგელ.

**ბოლეტა**. სრულიადაც არა. მხოლოდ ყურადღებით უნდა იყო, რომ სათვალავი არ აგერიოს...

**ლიუნგსტრანი**. სათვალავი?.. მაშ, თელაც უნდა?

**ბოლეტა**. დიახ, გვირისტისათვის. აი, უყურეთ.

**ლიუნგსტრანი**. სწორია! ხედავთ? როგორც ჩანს, ესეც ერთგვარი ხელოვნებაა! ხატავთ კიდევ?

**ბოლეტა**. დიახ, ნიმუშებიდან ვიხატავ.

**ლიუნგსტრანი**. ისე?

**ბოლეტა**. არა, ისე არ შემიძლია.

**ლიუნგსტრანი**. მაშინ ეს ნამდვილი ხელოვნება არა ყოფილა.

**ბოლეტა**. არა, უფრო გამოყენებითი ხელოვნებაა.

**ლიუნგსტრანი**. მაგრამ, მე ვატყობ, თქვენი ნიჭის პატრონს შეგეძლოთ ნამდვილ ხელოვნებასაც დაუფლებოდით.

**ბოლეტა**. არა, არავეითარი მონაცემი არ გამაჩნია.

**ლიუნგსტრანი**. ეგ არაფერი. ერთავად ნამდვილი მხატვრის გვერდით რომ გამოყოფათ...

**ბოლეტა**. თქვენ გგონიათ, რამეს ვისწავლიდი?

**ლიუნგსტრანი**. არა, ჩვეულებრივი გზით, ალბათ, არა, მაგრამ, მე გგონია, თანდათანობით რაღაცა კი გადმოგეცემოდათ მისგან... ერთგვარი სასწაულის ძალით.

**ბოლეტა**. დიდად უცნაური კი იქნებოდა...

ლიუნგსტრანი (ცოტა ხნის შემდეგ). ოდესმე... სერიოზულად და საფუძვლიანად თუ გიფიქრიათ... ქორწინებაზე?

ბოლეთა (ერთს ახედავს). ქორწინებაზე?.. არა.

ლიუნგსტრანი. მე კი მიფიქრია.

ბოლეთა. ოჰო! გიფიქრიათ?

ლიუნგსტრანი. დი-ი-ახ. ამნაირ რამეებზე ხშირად ვფიქრობ ხოლმე. განსაკუთრებით, ქორწინებაზე. რა თქმა უნდა, წიგნებშიაც ბევრი რამ ამომიკითხავს. ჩემის აზრით, ქორწინება ერთგვარი სასწაულია. ცოლი თანდათანობით ფერს იცვლის და ქმარს ემსგავსება.

ბოლეთა. ესე იგი, ქმრის ინტერესები გადაეცემა?..

ლიუნგსტრანი. დიახ, დიახ.

ბოლეთა. კი მაგრამ, ქმრის ნიკი? მისი უნარი და შესაძლებლობა?

ლიუნგსტრანი. კმ... ალბათ, ყველაფერი...

ბოლეთა. მაშ, თქვენის აზრით, ყველაფერი, რაც მას წაუკითხავს... ანდა რისთვისაც მიუკვლევიან... ასევე შეიძლება მის ცოლს გადაეცეს?

ლიუნგსტრანი. დიახ, ეგეც. თანდათანობით. ერთგვარი სასწაულის ძალით. მაგრამ ყოველივე ეს გულისხმობს, რაღა თქმა უნდა, ქეშმარიტად ბედნიერ, ურთიერთთანხმობასა და სიყვარულზე დაფუძნებულ ცოლ-ქმრულ კავშირს.

ბოლეთა. ის კი არასოდეს მოგსვლიათ აზრად, რომ ქმარსაც შეიძლება რაღაცა გადაეცეს ცოლისაგან... და, ამრიგად, ცოლს დაემგვანოს?..

ლიუნგსტრანი. ქმარს?.. არა, მაგაზე არასოდეს არ მიფიქრია.

ბოლეთა. კი მაგრამ, რატომ? თუ ეს შესაძლებელია ერთის მხრივ, მაშინ მეორე მხრივაც შესაძლებელი უნდა იყოს.

ლიუნგსტრანი. არა, კაცს ხომ თავისი მოწოდება აქვს ამ ცხოვრებაში. და სწორედ ეს ანიკებს სიმტკიცეს და სიმხნევეს, ფრიოკენ. დიახ, მას თავისი სასიცოცხლო მოწოდება აქვს.

ბოლეთა. ყველას?

ლიუნგსტრანი. არა. მე, უმეტესწილად, ხელოვან ხალხს ვგულისხმობ.

ბოლეთა. თქვენის აზრით, ხელოვანისთვის მიზანშეწონილია ცოლის შერთვა?

ლიუნგსტრანი. დიახ, მიზანშეწონილი უნდა იყოს. თუკი შეხვდება ქალს, რომელიც გულწრფელად შეიყვარებს, მაშინ...

ბოლეთა. მე კი მგონია, ხელოვანი მხოლოდ თავისი ხელოვნებისთვის უნდა ცხოვრობდეს.



ლიუნგსტრანი. რა თქმა უნდა. მაგრამ ქორწინება რას უშლის ამას?

ბოლეთა. კი მაგრამ, ცოლს რა როლს აკუთვნებთ?

ლიუნგსტრანი. ცოლს?.. როგორ?..

ბოლეთა. დიახ, რისთვის უნდა იცხოვროს?

ლიუნგსტრანი. რისთვის და ქმრის ხელოვნებისთვის... ბედნიერებისათვის სხვა რაღა უნდა?

ბოლეთა. კმ... ვერაფერს გეტყვით...

ლიუნგსტრანი. დამერწმუნეთ, ფრიოკენ. და არა მარტო იმიტომ, რომ შეუძლია ქმრის სახელითა და დიდებით იამაყოს... არც ისე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ამას. მაგრამ ის, რომ შეეძლება მხარში ამოუდგეს, გზის სიძნელე გაუადვილოს, იზრუნოს მასზე, მოუაროს, ცხოვრება გაულამაზოს — ჩემის აზრით, ქეშმარიტად ღირსეული მიზანია ქალისათვის.

ბოლეთა. აჰ, თქვენ თვითონაც არ იცით, რა თვითმოყვარე ბრძანდებით.

ლიუნგსტრანი. თვითმოყვარე?.. ღმერთო ჩემო!.. ცოტა უკეთ რომ მიცნობდეთ... (მისკენ გადაიხრება). ფრიოკენ ვანგელ, როცა თქვენთან აღარ ვიქნები... არადა, რა დიდი დრო მანამდე დარჩა...

ბოლეთა (თანაგრძნობით უცქერის). ნუ, ამ მწუხარე ფიქრს ნუ აპყვებით.

ლიუნგსტრანი. ისე, კაცმა რომ თქვას, რა ისეთი მწუხარე ფიქრი ეს არის?

ბოლეთა. მაინც რა გინდოდათ გეთქვათ?

ლიუნგსტრანი. მე ხომ ერთ თვეში წაველ... აქედან, რაღა თქმა უნდა. შემდეგ კი სამხრეთში გავემგზავრები.

ბოლეთა. აა! კეთილი.

ლიუნგსტრანი. ხანდახან მაინც თუ გამიხსენებთ, ფრიოკენ?

ბოლეთა. სიამოვნებით.

ლიუნგსტრანი (სიხარულით). სიტყვას მაძლევთ?

ბოლეთა. დიახ.

ლიუნგსტრანი. მტკიცე და ურყევე სიტყვას, ფრიოკენ ბოლეთა?

ბოლეთა. დიახ, მტკიცეს და ურყევეს. (სხვა ტონით). კი მაგრამ, რა აზრი აქვს? ან კი რას მოგცემთ?

ლიუნგსტრანი. რას ბრძანებთ! მე ისეთ სიხარულს მომანიჭებს იმის შეგნება, რომ ჩემზე ფიქრობთ.

ბოლეთა. მერედა, რა?

ლიუნგსტრანი. მერე... მე თვითონაც არ ვიცი კარგად...

**ბოლეთა.** არც მე... აქ იმდენი დაბრკოლება და ხელისშემშლელი მიზეზია...

**ლიუნგსტრანი.** კი მაგრამ, ვთქვათ და სასწაული მოხდეს? ყველაფერი სასიკეთოდ შეტრიალდეს... ან რაღაც ამგვარი? ღმერთმანი, მე გგონია, ბედი მწყალობს...

**ბოლეთა** (გამოცოცხლდება). მართლა?

**ლიუნგსტრანი.** დიახ, დარწმუნებული ვარ. და, აი... რამდენიმე წლის შემდეგ... როცა სამშობლოში საჩუქრულად მოქანდაკედ დაებრუნდები, მდიდარი და საღისეობითი...

**ბოლეთა.** დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, იმედი ვიქონიოთ.

**ლიუნგსტრანი.** მაშ, ნუ მოიშლით იმედს. რა იქნება, გამუდმებით იფიქროთ ჩემზე, სანამ სამხრეთში ვიქნები? თუმცა, ხომ შემპირდით.

**ბოლეთა.** შეგპირდით. (თავს გააქნევს). მაგრამ, კვლავ გიმეორებთ, რა აზრი აქვს ამას?

**ლიუნგსტრანი.** აქვს, ფრიოკენ ბოლეთა, თუნდაც ის აზრი აქვს, რომ გაცილებით უფრო ადვილად ვიმუშავებ და, მაშასადამე, უფრო ადრეც დავასრულებ ჩემს ქანდაკებას.

**ბოლეთა.** თქვენ გგონიათ?

**ლიუნგსტრანი.** დიახ, და, ეგეც არ იყოს, თქვენთვისაც უფრო სასიამოვნო იქნება შეგნება, რომ ჩემზე ფიქრით თითქოს ერთგვარად მეხმარებით და შრომას მიაღვილებთ...

**ბოლეთა** (მისჩერება). კი მაგრამ თქვენ, თქვენის მხრივ?..

**ლიუნგსტრანი.** მე?..

**ბოლეთა** (ბალში იყურება). სსუ! სხვა რამეზე ვილაპარაკოთ! ინსპექტორი მოდის.

მარცხენა მხრიდან ბალში შემოდის არნოლმი, ჩერდება და ჰილდას და ბალესტედს ელაპარაკება.

**ლიუნგსტრანი.** გიყვართ თქვენი ყოფილი მასწავლებელი, ფრიოკენ ვანგელ?

**ბოლეთა.** მიყვარს?..

**ლიუნგსტრანი.** ესე იგი, კეთილად ხართ განწყობილი თუ არა მის მიმართ?

**ბოლეთა.** დიახ, დიახ. საუცხოო ადამიანია. ღმერთმა მოგცეთ მრჩევლად და მეგობრად. ყოველთვის მზადაა დაგეხმაროთ, თუკი შეუძლია.

**ლიუნგსტრანი.** განა უცნაური არ არის, რომ აქამდე უცოლოდ დარჩა?

**ბოლეთა.** თქვენის აზრით, უცნაურია?

**ლიუნგსტრანი.** დიახ. ამბობენ, შეძლებული კაციაო.

**ბოლეთა.** როგორც ჩანს. მაგრამ, ალბათ, ვერ შეხვდა ისეთ ქალს, რომელიც ცოლად გაჰყვებოდა.

**ლიუნგსტრანი.** ვითომ რატომაო?

**ბოლეთა.** იმიტომ, რომ თითქმის ყველა ქალიშვილი, ვისაც იცნობდა, მისი მოწაფე იყო. თვითონვე უთქვამს.

**ლიუნგსტრანი.** მერე რა?

**ბოლეთა.** კი მაგრამ, ღმერთო ჩემო, ვინ გაჰყვება თავის მასწავლებელს?

**ლიუნგსტრანი.** თქვენ გგონიათ, რომ ახალგაზრდა ქალიშვილს არ შეიძლება თავისი მასწავლებელი შეუყვარდეს?

**ბოლეთა.** ყოველ შემთხვევაში, არა მაშინ, როცა ის უკვე გასათხოვარი ხდება.

**ლიუნგსტრანი.** ვითომ?

**ბოლეთა** (გამაფრთხილებლად). სსუ!.. სსუ!..

ამასობაში ბალესტედი ჰილდას დახმარებით, თავის ნივთებს აგროვებს და ხელმარჯვნივ გადის. ვერანდაზე გამოჩნდება არნჰოლმი და ოთახში შემოდის.

**არნჰოლმი.** გამარჯობათ, ძვირფასო ბოლეთა. გამარჯობათ, ბატონო... ბატონო... კმ... (უკმაყოფილო იერით ცივად უკრავს თავს ლუნგსტრანს, რომელიც ღებუა და თავის მხრივ ესალმება).

**ბოლეთა** (დგება და არნჰოლმის შესაგებებლად მიეშურება). გამარჯობათ, ბატონო ინსპექტორო.

**არნჰოლმი.** ხომ მშვიდობაა?

**ბოლეთა.** გმადლობთ, არა გვიშავს რა.

**არნჰოლმი.** თქვენი დედინაცვალი დღესაც საბანაოდ წავიდა?

**ბოლეთა.** არა, ზემოთაა, თავის ოთახში.

**არნჰოლმი.** შეუძლოდ ხომ არ არის?

**ბოლეთა.** არ ვიცი. გარეთ არ გამოდის.

**არნჰოლმი.** კმ...

**ლიუნგსტრანი.** ამ ამერიკელმა გუშინ, როგორც ჩანს, ძალიან ცუდ გუნებაზე დააყენა ფრუ ვანგელი.

**არნჰოლმი.** რა იცით?

**ლიუნგსტრანი.** მე თვითონ ვუთხარი, თქვენს ბალთან ცოცხალი და საღსალამათი ვნახე-მეთქი.

**არნჰოლმი.** აა!

**ბოლეთა** (არნჰოლმს). წუხელი თქვენ და მამაჩემი, როგორც ჩანს, დიდხანს საუბრობდით.

**არნჰოლმი.** დიახ, სერიოზული საუბარი გეკონდა.

**ბოლეთა.** ჩემზე თუ უთხარით რამე?

**არნჰოლმი.** არა, ძვირფასო ბოლეტა, ვერ მოვახერხებ. მამათქვენს სულ სხვა საფიქრალი ჰქონდა.

**ბოლეტა** (აჟიოხრებს). დიახ... ყოველთვის ასეა.

**არნჰოლმი** (მრავალმნიშვნელოვნად უყურებს). მაგრამ დღეს მე და თქვენ საფუძვლიანად მოვილაპარაკებთ ამ საქმეზე. სადაა მამათქვენი? სახლში არ არის?

**ბოლეტა.** ალბათ, კანტორაშია. ახლავე ჩავალ.

**არნჰოლმი.** არა, გმადლობთ. არ არის საჭირო. უმჯობესია, თვითონ ჩავიდე.

**ბოლეტა** (რალაცას აყურადებს). მოითმინეთ, ბატონო ინსპექტორო. მგონი, კიბეზე ამოდის... დიახ, ალბათ, ელიდასთან აპირებს ასვლას.

მარცხენა კარიდან ოთახში შემოდის ექიმი ვანგელი.

**ვანგელი** (ხელს უწვდის არნჰოლმს). მაშ, თქვენ უკვე აქა ხართ, ძვირფასო მეგობარო? დიდი თავაზიანობაა თქვენის მხრივ, რომ ასე ადრეიანად გვინახულებთ. ძალიან მინდა, ერთ რამეზე მოგეთათბიროთ.

**ბოლეტა** (ლიუნგსტრანს). ჰილდასთან ხომ არ ჩავიდეთ ბაღში?

**ლიუნგსტრანი.** დიახ, დიახ, დიდი სიამოვნებით, ფრიოკენ.

ბოლეტა და ლიუნგსტრანი ვერანდიდან ჩადიან ბაღში და ხეებს შორის უჩინარდებიან.

**არნჰოლმი** (მზერით აცოლებს მათ და ვანგელს მიუბრუნდება). კარგად იცნობთ ამ ახალგაზრდას?

**ვანგელი.** სულაც არ ვიცნობ.

**არნჰოლმი.** მაგრამ ის კი დასაშვებად მიგაჩნიათ, რომ ერთავედ გოგონების გვერდით ტრიალებს?

**ვანგელი.** ვითომ? მართალი გითხრათ, არ შემიმჩნევია.

**არნჰოლმი.** ჩემის აზრით, ურიგო არ იქნებოდა, რომ შეგემჩნიათ.

**ვანგელი.** დიახ, დიახ, მართალი ბრძანდებით. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა უნდა ექნა მე საცოდავმა? გოგონები უკვე მიეჩვივნენ იმას, რომ თავიანთი თავის ბატონ-პატრონნი იყვნენ. აღარც მე მემორჩილებიან და არც ელიდას.

**არნჰოლმი.** არც ელიდას?

**ვანგელი.** დიახ. ეგეც არ იყოს, რა უფლება მაქვს მოვთხოვო ჩემს ცოლს, რომ ამაში ჩაერიოს? რა მისი საქმეა? (აღარ ამთავრებს) მაგრამ მე სულ სხვა რამეზე ვაპირებდი თქვენთან ლაპარაკს. ერთი ეს მითხარით... ხომ არაფერი მოგიფიქრებიათ? აი, იმის თაობაზე, რაც წუხელ გიამბუთ?

**არნჰოლმი.** წუხანდელს აქეთ, რაც თქვენ დაგმორდით, მხოლოდ ამაზე ვფიქრობ.

**ვანგელი.** მერედა, რას მეტყვი, რა უნდა ექნა?

**არნჰოლმი.** ძვირფასო ექიმო, ჩემის აზრით, თქვენ, როგორც ექიმს, უკეთ მოგეხსენებათ.

**ვანგელი.** აჰ, რომ იცოდეთ, რარეგად უჭირს ექიმს მართებულად იმსჯელოს იმ ავადმყოფზე, რომელიც ასე ძვირფასია მისთვის! ეგეც არ იყოს, ეს ჩვეულებრივი ავადმყოფობა როდია, და ამიტომ ვერც ჩვეულებრივი ექიმი და ვერც ჩვეულებრივი წამალი ვერაფერს გახდება აქ.

**არნჰოლმი.** დღეს როგორ გრძნობს თავს?

**ვანგელი.** ახლახან ვიყავი მასთან და სრულიად დამშვიდებული მომეჩვენა. მაგრამ რა იცი? გარეგნულად რომ ასეთი ჩანს, სულის სიღრმეში შეიძლება სულ სხვა რამეს მალავდეს. ასეთია მთელი მისი ბუნება... ცვალებადი... არამდგრადი. წინასწარ ვერასოდეს ვერ იტყვი დაბეჭიბებით, რას იზამს, რას მოიმოქმედებს.

**არნჰოლმი.** ალბათ, მისი ავადმყოფური სულიერი მდგომარეობის ბრალია.

**ვანგელი.** არა მარტო მაგისი. ბოლოს და ბოლოს, ეს მისი თანდაყოლილი თვისებაა. ელიდა ზღვის შვილია. ესაა თავი და თავი.

**არნჰოლმი.** მაინც რას გულისხმობთ, ძვირფასო ექიმო?

**ვანგელი.** თქვენ, ალბათ, შეგიძინევიათ, რომ გაშლილი ზღვის პირას დაბადებული და გაზრდილი ხალხი სრულიად განსაკუთრებული ხალხია. ისინი თითქოს ზღვის ცხოვრებითა ცხოვრობენ. მათი აზრებისა და გრძნობებისათვის ასევე ნიშნეულია მღელვარება... მიქცევა-მოქცევა... და ისინი ვერასოდეს ვერ ეგუებიან სხვა გარემოს და სხვა ნიადაგს. ეჰ, ამაზე ადრევე უნდა მეფიქრა. ცოდვილი ვარ: რა საჭირო იყო, მშობლიურ ნიადაგს მომეწყვიტა ელიდა და აქ გადმომესახლებინა?

**არნჰოლმი.** ამ დასკვნამდე ახლა მიხვედით?

**ვანგელი.** სულ უფრო და უფრო ღრმად ვრწმუნდები ამაში. თუმცა ეს იმთავითვე უნდა მცოდნოდა და კაცმა რომ თქვას, ვიცოდი კიდევ, მაგრამ ყური არ ვათხოვე შინაგან ხმას, რომელიც წინასწარ მაფრთხილებდა. მე ისე ძალიან შემიყვარდა ელიდა, რომ როგორც ხედავთ, მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობდი. ვინ მომიტყევებს ამ სიყვარულს ჩემივე თავის მიმართ?

- არნჰოლმი.** კმ... ამნაირ შემთხვევაში ყველა კაცს თავისი თავი უყვარს. თუმცა თქვენთვის არასოდეს შემინიშნავს ეს ნაკლი, ექიმო ვანგელ.
- ვანგელი.** რა თქმა უნდა. აკი შემდეგშიაც ასეთი დავრჩი. მე ხომ გაცილებით უფროსი ვარ მასზე. მამად და მრჩეველად უფრო შეეფერი. ყოველნაირად უნდა მეცადა განმევითარებინა და გამენათლებინა მისი სულიერი ცხოვრება. ვაი რომ ვერ შეეძელი. სამწუხაროდ, არც ნებისყოფა მეყო. ეგეც არ იყოს, მე ყოველთვის მერჩია იმნაირი ელიდა, როგორცაა სინამდვილეში. მაგრამ საქმე სულ უკან და უკან მიდიოდა. თავგზააბნეულმა აღარ ვიცოდი, რა მექნა. (ხმას დაუწევს). ამიტომაც მოგმართეთ სასომიხდილმა და ჩამოსვლა გთხოვეთ.
- არნჰოლმი** (განციფრებული მისჩერება). რაო? მაშ, ამ მიზნით მომიწვიეთ?
- ვანგელი.** დიახ. მაგრამ ნურაფერს შეიმჩნევთ.
- არნჰოლმი.** კი მაგრამ, ღვთის გულისათვის, ძვირფასო ექიმო... მაინც რას მოელოდით ჩემგან? რა უნდა მეშველა თქვენთვის? არ მესმის.
- ვანგელი.** რა გასაკვირია. მე თვითონ შევცდი. ასე მეგონა, რომ ელიდა ოდესღაც გულგრილი არ იყო თქვენს მიმართ. და რომ სულის სიღრმეში უწინდებურად... ჰოდა, ვიფიქრე, იქნებ თქვენთან შეხედრა, მშობლიური კუთხისა და წარსულის გახსენება ეამოს მეთქი.
- არნჰოლმი.** მაშ, თქვენს მეუღლეს გულისხმობდით, როდესაც მწერდით, აქ ვიღაცა გელით და... გნატრობთ კიდევო?
- ვანგელი.** რა თქმა უნდა.
- არნჰოლმი** (სწრაფად) ჰო-ო!.. დიახ... დიახ... მაგრამ მე სხვანაირად გავიგე.
- ვანგელი.** სავსებით ბუნებრივია. აკი გითხარით, მე თვითონ შევცდი-მეთქი.
- არნჰოლმი.** და ამის შემდეგ კვლავაც თვითმოყვარეობას სწამებთ თქვენს თავს?
- ვანგელი.** ო, მე ისეთი ცოდვა მაწევს კისერზე; ხომ უნდა გამოვიწყლო? მე მგონია, არავითარი საშუალების წინაშე არ დავიხვე უკან, თუკი არსებობს იმის იმედი, რომ ტანჯვას შევეუმსუბუქებ ელიდას.
- არნჰოლმი.** როგორ გგონიათ, რითი აიხსნება ამ უცნობი კაცის ესოდენ უჩვეულო ზეგავლენა მასზე?
- ვანგელი.** კმ... ძვირფასო მეგობარო... ამ საქმეში, როგორც ჩანს, არის რაღაც ისეთი, რაც ახსნას არ ექვემდებარება.

**არნჰოლმი.** თქვენ გგონიათ, ესაა რაღაც გონებაშიუწვდომელი? სრულიად მიუწვდომელი?

**ვანგელი.** ყოველ შემთხვევაში, ჭერჭერობით მაინც.

**არნჰოლმი.** ნუთუ მართლა გწამთ ეს?

**ვანგელი.** არც მწამს და არც უარეყოფ. უბრალოდ, არ ვიცი. ამიტომაც, საკითხს ღია ვტოვებ.

**არნჰოლმი.** კეთილი, მაგრამ ერთი ეს მითხარით: მისი უცნაური და... საშინელი მტკიცება, თითქოს ჩვილის თვალები...

**ვანგელი (ცხარედ).** აი, ამ თვალების ამბავი კი ნამდვილად არა მწამს, და არც მინდა მწამდეს. ეს მხოლოდ ელიდას წარმოსახვის ნაყოფია და მეტი არაფერი.

**არნჰოლმი.** კი მაგრამ, იმ კაცის თვალებს თუ მიაქციეთ ყურადღება?

**ვანგელი.** რა თქმა უნდა.

**არნჰოლმი.** და ვერავეითარი მსგავსება ვერ აღმოაჩინეთ?

**ვანგელი (პირდაპირ პასუხს თავს არიდებს).** ჰმ... ღმერთო ჩემო, აბა, რა გითხრათ? მე რომ დავინახე, უკვე ბინდბუნდი იყო... და, თანაც, ელიდა იმდენს ლაპარაკობდა ამ მსგავსებაზე. ნამდვილად არ ვიცი, შემეძლო თუ არა, გულგრილად და აუღმღრველად დავეკვირვებოდი მას.

**არნჰოლმი.** დიახ, დიახ, მართალი ხართ. მაგრამ იმ შიშსა და ძრწოლაზე რაღას იტყვით, რომელმაც ზუსტად იმ დროს მოიცივა ელიდა, როცა ეს უცნობი კაცი, როგორც ჩანს, სახლის გზას ადგა?

**ვანგელი.** იცი რა?.. ესეც მისი ამ სამი დღის წინანდელი წარმოსახვის ნაყოფი გახლავთ. არც ისე ანაზღად მოუცავს შიშს, როგორც ახლა ამტკიცებს. ლიუნგსტრანისაგან გაიგო, რომ ჯონსტონი... არა, ფრიმანი... თუ რა ვიცი, რა ჰქვია, სამი წლის წინათ სამშობლოსკენ მოიჩქაროდა... ეს იყო მარტის თვეში... ჰოდა, წარმოიდგინა, რომ სწორედ მაშინ მოიცივა შიშმა და ძრწოლამ.

**არნჰოლმი.** განა ასე არ იყო?

**ვანგელი.** არამც და არამც. სულიერი ძრწოლის სიმპტომებმა მის არსებაში გაცილებით უფრო ადრე იჩინეს თავი... სინამდვილეში ეს სრულიად შემთხვევით მოხდა... ამ სამი წლის წინათ, მარტში.

**არნჰოლმი.** ესე იგი, მაინც ამ დროს?

**ვანგელი.** დიახ, მაგრამ ეს ძალიან მარტივად აიხსნება მისი მაშინდელი ფიზიკური მდგომარეობით.

- არნჰოლმი.** მაშასადამე, ერთი მტკიცება მეორეს აბათილებს?
- ვანგელი** (ხელების მტკრევით) შველა გინდოდეს და ვერ უშველო!  
არ იცოდე, რა გზას დაადგე! ვერსაით ხედავდე საშველს!..
- არნჰოლმი.** საცხოვრებელი ადგილი რომ გამოგეცვალათ? სხვაგან გადასახლებულიყავით, რათა იმნაირ გარემოში გეცხოვრათ, უფრო მეტად რომ მოაგონებდა თავის მშობლიურ კუთხეს?
- ვანგელი.** ეჰ, ჩემო ძვირფასო, განა არ შევთავაზე? ეუთხარი, შოლვიკენში ვიცხოვროთ-მეთქი. შორს დაიქირა.
- არნჰოლმი.** შორს დაიქირა.
- ვანგელი.** დიახ. არ სჯერა, რომ ამან შეიძლება რაიმე არგოს. ალბათ, არც სცდება.
- არნჰოლმი.** კმ... და თქვენც მზადა ხართ, კვერი დაუკრათ?
- ვანგელი.** დიახ. ეგეც არ იყოს, კარგად რომ დაეფიქრდები, არც კი ვიცი, როგორ მოვაბა თავი ამ საქმეს. ჩემის აზრით, გოგონების გამო, არ შეიძლება იმ გადაკარგულში გადასახლება. მათი გულისთვის იქ უნდა ვიცხოვრო, სადაც პატარა იმედი მაინცაა იმისა, რომ შეიძლება გზაზე დააყენო ისინი.
- არნჰოლმი.** გზაზე დააყენოთ? მართლა ასე ძალიან გაწუხებთ ეს?
- ვანგელი.** ო, ღმერთო ჩემო, ესეც ხომ ჩემი საზრუნავია?.. მეორე მხრივ კი, ჩემი საბრალო, ავადმყოფი ელიდა!.. ეჰ, ჩემო ძვირფასო არნჰოლმ, წინ წყალი, უკან მეწყერიო, რომ იტყვიან, სწორედ ისე ვარ.
- არნჰოლმი.** ბოლეტას ბედი მაინცდამაინც ნუ შეგაწუხებთ... (აღარ ამთავრებს) ნეტა ვიცოდე, სად წავიდა?.. უფრო სწორად, სად წავიდნენ? (ღია კართან მიდის და ვერანდაზე გაიხედავს).
- ვანგელი** (ფორტეპიანოსთან მიდის). ო, მე მზადა ვარ ყოველგვარი მსხვერპლი გავიღო... სამივეს გულისთვის. ოღონდ ეს ვიცოდე, რა უნდა ვქნა?
- მარცხენა კარიდან შემოდის ელიდა
- ელიდა** (სწრაფი ნაბიჯით მიემართება ვანგელისკენ). თუ შეიძლება, დღეს სადილობამდე ნურსად წახვალ.
- ვანგელი.** არა, არა, რა თქმა უნდა. შენთან დავრჩები. (ხელით ანიშნებს არნჰოლმზე, რომელიც მათ უახლოვდება). ჩვენს მეგობარს რატომ არ ესალმები?
- ელიდა** (შემობრუნდება). აა, თქვენ აქა ხართ, ბატონო არნჰოლმ? (ხელს უწვდის). გამარჯობათ.
- არნჰოლმი.** გამარჯობათ, ფრუ ვანგელ. როგორც ჩანს, დღეს საბანაოდ არ წასულხართ.



ელიდა. არა, არა. ბანაობის თავი მაქვს? ხომ არ დაბრძანდებით, ერთის წუთით?

არნჰოლმი. არა, გმადლობთ... ახლა არა. (ვანგელს უყურებს). გოგონებს სიტყვა მივეცი, რომ მათთან ჩავიდოდი ბალში.

ელიდა. საკითხავია, ბალში დაგხვდებიან თუ არა. მე, მაგალითად, არასოდეს არ ვიცი, სად ვეძებო ისინი.

ვანგელი. სად წავიდოდნენ, ტბასთან იქნებიან.

არნჰოლმი. როგორმე ვიპოვი. (თავს უკრავს და ვერანდაზე გადის, შემდეგ ბალში ეშვება).

ელიდა. რომელი საათია, ვანგელ?

ვანგელი (საათზე დაიხედავს). თორმეტი.

ელიდა. თორმეტი? ღამის თერთმეტზე თუ თორმეტის ნახევარზე კი გემი მოვა. აჰ, ნეტა უკვე მოსულიც იყოს და წასულიც!

ვანგელი (უახლოვდება). ჩემო ძვირფასო... ერთი რამე მინდოდა მეკითხა შენთვის.

ელიდა. მაინც?

ვანგელი. გუშინწინ სალამოს... ფლატზე... შენ თქვი, რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ისე ცხადად ხედავდი იმ კაცს, თითქოს ცოცხალი მდგარიყოს შენს წინ...

ელიდა. დიახ, ასე იყო, დამერწმუნე.

ვანგელი. მაინც როგორ წარმოგიდგებოდა ხოლმე?

ელიდა. როგორ წარმომიდგებოდა?

ვანგელი. ესე იგი, როგორი იყო გარეგნულად, როცა ასე ნათლად ხედავდი?

ელიდა. ახლა ხომ შენ თვითონაც იცი, როგორია, ჩემო ძვირფასო.

ვანგელი. და შენ ყოველთვის ასეთს ხედავდი წარმოსახვით?

ელიდა. რა თქმა უნდა!

ვანგელი. სწორედ ასეთს, როგორიც წუხელ შენი საკუთარი თვალითა ნახე?

ელიდა. დიახ, დიახ.

ვანგელი. კი მაგრამ, რატომ მიშინვე ვერ იცანი?

ელიდა (განცვიფრებით). ვერ ვიცანი?

ვანგელი. ვერა. შენ მერე მითხარი, რომ თავდაპირველად ვერც კი მიხვდი, ვინ იყო ეს უცნობი კაცი.

ელიდა (გაოგნებული). დიახ, დიახ, მართალი ხარ. რა უცნაურია, ვანგელ! წარმოგიდგენია? ერთბაშად ვერც კი მივხვდი, ვინ იყო!

ვანგელი. შენ მითხარი, მხოლოდ თვალეებით ვიცანიო.

ელიდა. ოჰ, ეს თვალები! თვალები!

ვანგელი. ფლატეზე კი მითხარი. ყოველთვის ისეთი წარმომედგინა, როგორიც განშორების ეპოს დამამახსოვრდაო, ათი წლის წინათ.

ელიდა. ასე გითხარი?

ვანგელი. დიახ.

ელიდა. მაშასადამე, ყოველთვის ისეთი იყო, როგორიც ახლათ.

ვანგელი. არა. გუშინწინ სულ სხვანაირად ამიწერე, როცა შინ ვბრუნდებოდით. ათი წლის წინათ, შენივე თქმით, წვერი არ ჰქონდა და სულ სხვანაირად იყო ჩაცმული. ავიღოთ, თუნდაც, მარგალიტით შემკული ქინძისთავი!.. წუხელის რომ არ ეკეთა.

ელიდა. არ ეკეთა.

ვანგელი (მცდელი თვალით უყურებს). კარგად დაფიქრდი, ჩემო ძვირფასო. ან, იქნებ, ისეთი აღარ გახსოვს, როგორიც უკანასკნელად ნახე ბრეტჰამერზე?

ელიდა (დაფიქრდება და ერთი წუთით თვალს ხუჭავს). არც ისე ცხადად მახსოვს. არა, დღეს საერთოდ აღარ მახსენდება. განა უცნაური არ არის?

ვანგელი. კაცმა რომ თქვას, არც ისე უცნაურია. ახლა უკვე თვალწინ გიდგას ახალი, სინამდვილის შესატყვისი ხატი. ის ჩრდილავს ძველს და ამიტომაც ველარა ხედავ.

ელიდა. შენ ასე გგონია, ვანგელ?

ვანგელი. დიახ. ის ჩრდილავს შენი სწეული წარმოსახვით შექმნილ ხატებას. თუმცა კარგიც კია, რომ საქმეში სინამდვილე ჩაერთო.

ელიდა. კარგი? შენ ამბობ, კარგიო?

ვანგელი. დიახ, კარგია, რომ სინამდვილე ჩაერთო საქმეში. ამან შეიძლება გადაგარჩინოს.

ელიდა (ღივიანზე ჩამოქდება). აქ მოდი, გვერდით მომიჯექ, ვანგელ. ყველაფერს გეტყვი, რასაც ვფიქრობ.

ვანგელი. დიახ, დიახ, ჩემო ძვირფასო. (სკამზე ქდება, მაგიდის მეორე მხარეს).

ელიდა. მართალი გითხრა... დიდი უბედურებაა ორივე ჩვენგანისათვის... რომ ერთმანეთს დაეუკავშირეთ ჩვენი ბედი.

ვანგელი (გაოგნებული). რას ამბობ?

ელიდა. დიახ, ასეა. ყველაფერი თავისთავად ცხადი და გასაგები უნდა იყოს. უბედურების მეტი რა მოჰყვებოდა ამას? თუ გავიხსენებთ, როგორ დაეუკავშირდით ერთმანეთს.

ვანგელი. ვითომ ისეთი რა იყო?

ელიდა. ყური მიგდუ, ვანგელ... ახლა მაინც ნულარ ვატყუებთ ნურც ერთმანეთს და ნურც საკუთარ თავს.

ვანგელი. ნუთუ მართლა ასე ვიქცევით? ესე იგი, შენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ვცრუობთ?

ელიდა. დიახ, ვცრუობთ... ყოველ შემთხვევაში, სიმართლეს ვმალავთ. ვინაიდან სიმართლე, წმინდა და შეულამაზებელი სიმართლე ისაა, რომ შენ მოხვედი და მიყიდე.

ვანგელი. გიყიდე?... შენ ამბობ, რომ გიყიდე?

ელიდა. ო, არც მე მოვქექულვარ უკეთესად: თავი გავყიდე. დიახ, ავდექი და მოგეყიდე.

ვანგელი (ღრმად დამწუხრებული უსქერის). ელიდა... რა გული გაძღვეს, ასე უწოდო ჩვენს ქორწინებას?

ელიდა. სხვა სახელი ამას არა აქვს. შენ აღარ შეგეძლო სიკარიელის ატანა საკუთარ სახლში. ამიტომაც ახალ ცოლს დაუწყე ძებნა.

ვანგელი. და ბავშვების ახალ დედას, ელიდა.

ელიდა. ვთქვათ და, დედასაც. თუმცა შენ არ იცოდი, შემეძლო თუ არა, დედობა გამეწია მათთვის. შენ მხოლოდ ერთი-ორჯერ დამინახე, ორიოდ სიტყვა მითხარი... მოგეწონე და...

ვანგელი. დიახ, რაც გინდა ის დაარქვი.

ელიდა. მე კი, ჩემის მხრივ... სრულიად უმწეო და მარტოხელა ვიყავი... არც მრჩეველი მყავდა და არც გამკითხავი. ჰოდა, რაღა თქმა უნდა, დაგეთანხმე, როცა შემომთავაზე, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე მზრუნველობასა და მოვლა-პატრონობას არ მომაკლებდი.

ვანგელი. მე სულ სხვა რამეს ვგულისხმობდი, ჩემო ძვირფასო. სულით და გულით შემოგთავაზე, ჩემთან და ჩემს ბავშვებთან ერთად გაგეზიარებინა ის მცირეოდენი ავლადიდება, რასაც ჩემს საკუთრებად ვთვლიდი.

ელიდა. დიახ, შენ ასეც მოიქეცი. მაგრამ მე კი არ უნდა დაგეთანხმებოდი, არასდიდებით! არ უნდა გამეყიდა ჩემი თავი. მოახლეობა მერჩია... სილატაკე... მაგრამ ნებაყოფლობით, საკუთარი არჩევანით!

ვანგელი (დგება). მაშ, ჩვენს ერთად ცხოვრებას ამ ხუთი თუ ექვსი წლის მანძილზე არაფრად არ თვლი?

ელიდა. ო, მაგას ნუ იფიქრებ, ვანგელ. მე ისე ბედნიერი ვიყავი შენს გვერდით, როგორც კი შეიძლება ისურვოს ადამიანმა.

მაგრამ ჩემი ნებით როდი შემოვედი შენს სახლში. სწორედ ესაა უბედურება.

**ვანგელი.** მაშ, შენდა უნებურად?

**ელიდა.** დიახ, ჩემდა უნებურად გამოგყევი.

**ვანგელი** (ყრულ). აა... გასაგებია... გუშინაც ასე თქვი.

**ელიდა.** ეთქვი, რაც ყველაზე მეტად მაწუხებს და რამაც ყველაფერს შუქი მოჰფინა. და ახლა ყველაფერს ნათლად ვხედავ.

**ვანგელი.** მაინც?

**ელიდა.** ვხედავ, რომ ჩვენს ერთად ცხოვრებას... ცოლ-ქმრობა არ ეთქმის.

**ვანგელი** (მწარედ). მართალი ხარ. ჩვენს ახლანდელ ცხოვრებას მართლაც ვერ ვუწოდებთ ცოლ-ქმრობას.

**ელიდა.** ვერც უწინდელს. არასოდეს ნამდვილი ცოლ-ქმრობა არა გექონია. (წინ იყურება). აი, ის, ის კი შეიძლებოდა ნამდვილი ცოლ-ქმრობა ყოფილიყო.

**ვანგელი.** რაო? რას გულისხმობ?

**ელიდა.** მასთან ცხოვრებას.

**ვანგელი** (განცვიფრებული მისჩერებია). ნამდვილად არ მესმის შენი.

**ელიდა.** ექ, ჩემო ძვირფასო, ნურც ერთმანეთს მოვატყუებთ და ნურც საკუთარ თავს.

**ვანგელი.** არა, არა. კი მაგრამ, მერე?

**ელიდა.** იცი რა?.. სიტყვა, რომელიც შენი ნებით მიეცი სხვას, ისევე გავალდებულებს, როგორც ქორწინება.

**ვანგელი.** კი მაგრამ!..

**ელიდა** (წამობტება; გულშეურალედ). წასვლის ნება მომეცი, ვანგელ!

**ვანგელი.** ელიდა!.. ელიდა!..

**ელიდა.** დიახ, დიახ... თუ შეიძლება! დამერწმუნე... სხვა გამოსავალი მაინც არ გვრჩება. არავითარი სხვა გზა არა გვაქვს, რაკილა ასე დავუკავშირდით ერთმანეთს.

**ვანგელი** (ტკივილის დაოკებას ცდილობს). აი, სადამდე მივიდა საქმე!

**ელიდა.** უნდა მისულიყო. სხვანაირად არც შეიძლებოდა.

**ვანგელი** (დათრგუნვილი უყურებს). მაშასადამე, მთელი ჩვენი ერთობლივი ცხოვრების მანძილზე ვერ იქნა და ვერ დაგისაკუთრე?.. არასოდეს... არასოდეს მე არ მეკუთვნოდი მთელის არსებით!..

**ელიდა.** ო, ვანგელ, ნეტა შემეძლოს ისე მიყვარდე, როგორც მე მინდა! მთელი სულით და გულით, რისი ღირსიცა ხარ! მაგრამ აშკარად ვგრძნობ, რომ ეს შეუძლებელია.

**ვანგელი.** მაშ, გაყრა? შენ მოითხოვ ფორმალურ, კანონიერ გაყრას?

**ელიდა.** ვერ გამოგე, ჩემო ძვირფასო. რა დროს ფორმალობაა. საქმე გარეგნულ რიტუალს როდი ეხება. მე მხოლოდ იმის მიღწევას ვცდილობ, რომ ორივემ ნებაყოფლობით გაეთავისუფლოთ ერთიმეორე.

**ვანგელი** (სიმწრით; ნელა უქნევს თავს). გარიგება დავარღვიოთ, არა? **ელიდა** (ცოცხლად). დიახ. გარიგება!

**ვანგელი.** კი მაგრამ, მერე, ელიდა?.. თუ დაფიქრებულხარ, რა უნდა ვქნათ ამის შემდეგ, როგორ წარიმართება ჩვენი ცხოვრება?

**ელიდა.** ეგ სულერთია. მერე... რაც მოსახდენია, მოხდეს. მე მხოლოდ ერთ რამესა გთხოვ, გემუდარები, ვანგელ... იმას, რაც ყველაზე არსებითია. დამიბრუნე თავისუფლება! ნება მომეცი, ჩემი თავის სრული ბატონ-პატრონი ვიყო!

**ვანგელი.** საშინელ რამესა მთხოვ, ელიდა. დრო მაინც მომეცი, რომ გონება მოვიკრიბო. გულდასმით მოველაპარაკოთ ერთმანეთს. შენც დრო გჭირდება, რათა კარგად აწონ-დაწონო ყველაფერი, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამდე.

**ელიდა.** მაგრამ დრო აღარა გვაქვს. მე თავისუფალი უნდა ვიყო დღესვე.

**ვანგელი.** რატომ მაინცდამაინც დღესვე?

**ელიდა.** იმიტომ, რომ ის ამაღამ მოვა.

**ვანგელი** (შეკრთება). მოვა? ის მოვა? რა შუაშია ეს უცხო კაცი?

**ელიდა.** მე მინდა თავისუფალი დავხვდე.

**ვანგელი.** კი მაგრამ... მერე რაღას აპირებ?

**ელიდა.** არ მინდა, ის მოვიმიზნეო, გათხოვილი ვარ-მეთქი. არ მინდა, თავი დავიცვა იმით, რომ არჩევანის უფლება არა მაქვს. თორემ საქმე მაინც გადაუწყვეტელი დარჩება.

**ვანგელი.** შენ ამბობ, არჩევანის უფლებათ! ამ საქმეში რა არჩევანზე შეიძლება ლაპარაკი, ელიდა?

**ელიდა.** დიახ, მე მინდა არჩევანის უფლება მქონდეს. უფლება იმისა, რომ ორიდან ერთი ამოვირჩიო: ან მარტოკა გავუშვა იგი, ან მეც თან გავყვე.

**ვანგელი.** შენ თვითონ თუ გესმის, რას ამბობ? თან გაპყვე?! შენი ბედ-იღბალი ჩაუგდო ხელში?!

**ელიდა.** კი მაგრამ, განა შენ არ მოგანდე ჩემი ბედი? და, თანაც, -- განუსჯელად?

**ვანგელი.** ვთქვათ და, ასეც იყო. მაგრამ ეს უცნობი კაცი? შენ ხომ თითქმის არ იცნობ მას?

**ელიდა.** ო, შენ კიდევ უფრო ნაკლებ გიცნობდი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც გამოგყევი.

**ვანგელი.** მაშინ ის მაინც იცოდი, თუ რანაირი ცხოვრება გელოდა ჩემს გვერდით. ახლა კი? კარგად დაფიქრდი. რა იცი ახლა? არაფერი. სრულიად არაფერი. ისიც კი არ იცი, ვინ არის, რა კაცი.

**ელიდა** (სივრცეს გაჟურებს). მართალია. აკი ამიტომაც მეუფლება ესოდენ თავბრუდამხვევად საზარელი განცდა.

**ვანგელი.** რა თქმა უნდა...

**ელიდა.** სწორედ ამიტომ მეჩვენება, რომ უცნაური ძალით მიზიდავს ეს კაცი.

**ვანგელი** (მისჩერებია). მაგ შენი საზარელი განცდის გამო?

**ელიდა.** დიახ.

**ვანგელი.** ყური მიგდე, ელიდა... მაინც რას უწოდებ შენ „თავბრუდამხვევად საზარელ“ განცდას?

**ელიდა** (ჩაფიქრდება). ესაა განცდა, როცა თავზარსა გცემს და, იმავდროულად, გიზიდავს კიდევ რაღაც!

**ვანგელი.** გიზიდავს?

**ელიდა.** ჩემის აზრით, მთავარი მაინც მიზიდულობა გახლავს.

**ვანგელი** (ნელა). შენ ზღვასა ჰგავხარ.

**ელიდა.** ზღვაც თავისებურად საზარელია.

**ვანგელი.** შენსავით... აკი შენც თავზარსა სცემ და იზიდავ კიდევ კაცს.

**ელიდა.** მართლა?

**ვანგელი.** როგორც ჩანს, არასოდეს ისე არ მესმოდა შენი, როგორც საკვირო იყო. ახალაა შევიგნე ეს.

**ელიდა.** მაშ, დამიბრუნე თავისუფლება! გაწყვიტე ყოველგვარი კავშირი ჩვენს შორის, მე ის არა ვარ, ვინც გეგონე. ახლა თავადაც ხედავ. ამიტომაც შეგვიძლია ბოლომდე გავუვოთ და... ჩვენნივე ნებით დავშორდეთ ერთმანეთს.

**ვანგელი** (ნორწამხდარი). როგორც ჩანს, ორივესთვის ასე აჯობებს. მაგრამ რა ვქნა, რომ არ შემიძლია. შენ სწორედ ამ ორმაგ განცდას აღმიძრავ. ჩემო ძვირფასო. და, რაც მთავარია, უძლეველი ძალით მიზიდავ.

**ელიდა.** რას ამბობ?

**ვანგელი.** მოდი, როგორმე გავუძლოთ ამ დღეს. თავშეკავებით აღვიკურვოთ, დღეს მაინც არ შემიძლია თავისუფლება

მოგანიჭო. უფლება არა მაქვს, შენივე გულისთვის გეუბნები ამას, ელიდა. უფლებასაც რომ თავი ვანებოთ, მე ხომ მოვალე ვარ, დაგიცვა.

ელიდა. დამიცვა? კი მაგრამ, ვისგან ან რისგან უნდა დამიცვა? არავითარი გარეშე ძალადობა არ მემუქრება. ამ საზარელ განცდას ფესვი გაცილებით უფრო ღრმადა აქვს გადგმული, ვანგელ. ეს ლტოლვა ჩემივე სულის სიღრმეში იღებს დასაბამს. რას გააწყობ ამის წინააღმდეგ?

ვანგელი. მე შემიძლია მხარში ამოგიდგე, მასთან ბრძოლაში გაგამხნევო და განგამტკიცო.

ელიდა. დიახ, მე რომ მინდოდეს მასთან ბრძოლა.

ვანგელი. მაშ, შენ არ გინდა?

ელიდა. აჰ, მე თვითონაც არ ვიცი კარგად.

ვანგელი. ამაღამ ყველაფერი გადაწყდება, ჩემო ძვირფასო.

ელიდა (აგზნებულად). დიახ, ყველაფერი! მოახლოვდა გადამწყვეტი წამი, რომელმაც უნდა შეცვალოს მთელი ჩვენი ცხოვრება.

ვანგელი. ხვალ კი...

ელიდა. დიახ, ხვალ... ხვალ შეიძლება ჩემი ნამდვილი მომავალი დაიღუპოს.

ვანგელი. შენი ნამდვილი მომავალი?..

ელიდა. შეიძლება ხელიდან გამომეცალოს ნამდვილი, სისხლსაცეცე ცხოვრება! და არა მარტო მე, შეიძლება, მასაც!

ვანგელი (ხმადაბლა; ხელს ჩაავლებს). ელიდა, შენ გიყვარს ეს უცხო კაცი?

ელიდა. მიყვარს?.. აბა, რა ვიცი? მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემში ამ ორმაგ განცდასა ბადებს, და რომ...

ვანგელი. რა?..

ელიდა. რა და, მე მეჩვენება, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ შექმნილნი.

ვანგელი (თავდახრით). ახლა კი, მგონი, ვხვდები, რაშია საქმე.

ელიდა. მერედა, რითი შეგიძლია დამეხმარო? რა რჩევას მომცემ?

ვანგელი (დათრგუნვილი უსკერის). ხვალ ის უკვე აღარ იქნება აქ და უბედურებაც ავცდება. მაშინ კი ავღვები და გაგათავისუფლებ. გარიგებას დავარღვევთ, ელიდა.

ელიდა. ო, ვანგელ!.. ხვალ... ხვალ უკვე გვიან იქნება.

ვანგელი (ბაღში იყურება). ბავშვები!.. ბავშვები!.. ისინი მაინც დაეინდოთ, ელიდა.

ბაღში გამოჩნდებიან არსოლმი, ბოლეთა, კალა და ლიუნგსტრანი. ეს უკანასკნელი ემშვიდობება მათ და ხელმარცხნივ მიდის. დანარჩენები ოთახში შემოდიან.

არსოლმი. რომ იცოდეთ, რამდენი ვისეირნეთ და რამდენი გეგმები დაეწყვეთ...

ჰილდა. ამ საღამოს ნავით ვაპირებთ სეირნობას და...

ბოლეთა. არა, ნუ იტყვი!

ვანგელი. ჩვენც აქ ვისხედით და გეგმებს ვაწყობდით.

არსოლმი. მართლა?

ვანგელი. ელიდა ხვალ მიემგზავრება შოლვიკენში და ერთხანს იქ დარჩება.

ბოლეთა. მიემგზავრება?

არსოლმი. ეს კი კვიციანურად მოგიფიქრებიათ, ფრუ ვანგელ.

ვანგელი. თავისი მშობლიური კუთხე მოენატრა. ზღვისკენ გაუწია გულმა.

ჰილდა (ელიდას მივარდება). მიდიხარ? მართლა მიდიხარ?

ელიდა (შეშინებული). კი მაგრამ, ჰილდა! რა მოგივიდა?

ჰილდა (გონს მოეგება). არა, არაფერი. (ზურგს შეაქცევს; ხმადაბლა). მიდიხარ და წადი.

ბოლეთა (შეშფოთებით). მამა... როგორც ვატყობ... შენც შოლვიკენში აპირებ წასვლას.

ვანგელი. აზრადაც არ მომსვლია. მხოლოდ ხანდახან ჩავაკითხავ ელიდას.

ბოლეთა. კი მაგრამ, ჩვენ?

ვანგელი. თქვენც ჩამოგაკითხავთ...

ბოლეთა. ხანდახან, არა?

ვანგელი. საქმე ასე მოითხოვს, ჩემო კარგო. (ბოლთას სცემს).

არსოლმი (ჩურჩულით). შემდეგ მოვილაპარაკებთ, ბოლეთა. (ვანგელთან მიდის და რაღაცას ეუბნება)

ელიდა (ხმადაბლა, ბოლეთას). რა მოუვიდა ჰილდას? ველარა ვცნობ.

ბოლეთა. შენ არასოდეს არ შეგინიშნავს, რომ ჰილდა მხოლოდ ერთ რამეს ნატრობდა...

ელიდა. ნატრობდა?

ბოლეთა. იმ დღიდანვე, რაც ჩვენს სახლში შემოდგი ფეხი...

ელიდა. არა, არა... მაინც რას?

ბოლეთა. შენს ალერსიან სიტყვას.

ელიდა. აა!.. მაშ, საჭირო ვყოფილვარ აქ! (თავზე შემოიწყობს ხელებს და სივრცეს გაყურებს; ეტყობა, საშინლად ღელავს).



ვანგელი და არნჰოლმი ოთახში დააბიჯებენ და ჩურჩულით ელაპარაკებიან ერთმანეთს. ბოლეტა მიდის, მარჯვენა ოთახში შეიხედავს და შემდეგ ფართოდ გამოალებს კარს.

**ბოლეტა.** მამა... სადილი მაგიდაზე! თუკი შენ...

**ვანგელი** (თავს ძალას ატანს). მართლა, ჩემო კარგო? კეთილი, გთხოვთ, ინსპექტორო. მოდი, გამოთხოვებისას თითო კიკა დაეღიოთ... „ზღვის ასული“ ვაღლეგრძელოთ.

ყველანი ოთახში გადიან.

## მეხუთე მოქმედება

ბაღის მიყრუებული კუთხე ტბის მახლობლად. ზაფხულის საღამოა.

არნჰოლმი, ბოლეტა, ლიუნგსტრანი და ჰილდა ნავში სხედან, ნიჩბების კერით შორდებიან მარცხენა ნაპირს და ტბაში მიცურავენ.

**ჰილდა.** აი, აქ თავისუფლად შეიძლება ნაპირზე გადახტეს კაცი.  
**არნჰოლმი.** არა, არ გაბედოთ!

**ლიუნგსტრანი.** მე რომ ვერ გადახტები, ფრიოკენ?

**ჰილდა.** ვერც თქვენ, არნჰოლმ?

**არნჰოლმი.** მირჩევნია გადახტომის გარეშე გავიდე ფონს.

**ბოლეტა.** მაშ, სახტომ კიბესთან მივეცურადეთ.

მარჯვნიდან მიცურავენ. იმედროულად, მარჯვენა მხრიდან, მესერს მიღმა, ბილიკზე გამოჩნდება ბალესტელი; ხელში ვალტორნის ნოტები უჭირავს. ნავში მსხდომთ ესალმება, შემობრუნდება და საუბარს გაუბამს მათ. მოპასუხეთა ხმები სულ უფრო და უფრო ყრუდ მოისმის შორიდან.

**ბალესტელი.** რას ამბობთ?.. რა თქმა უნდა, ინგლისური გემის პატივსაცემად. წლელს უკანასკნელად გვეწვია. მაგრამ თუ მუსიკით დატკობთა გნებავთ, ნუ დაიგვიანებთ (ყვირილით). რაო? (თავს აქნევს). არ მესმის, რას მეუბნებით.

მარცხნიდან შემოდის ელიდა; თავზე შალი მოუხურავს; გვერდით ვანგელი მოჰყვება.

**ვანგელი.** კი მაგრამ, გარწმუნებ, ჯერ კიდევ ბევრი ღრო გვაქვს, ჩემო ძვირფასო.

**ელიდა.** არა, არა, შეიძლება წუთი-წუთზე მოვიდეს.

**ბალესტელი** (მესერს იქიდან). გამარჯობათ, ბატონო ექიმო!  
გამარჯობათ, ფრუ ვანგელ!

**ვანგელი** (დინახავს). ა, ეს თქვენა ხართ? დღესაც მუსიკით გვიპირებთ გამასპინძლებას?

**ბალესტელი**. დიახ, ჩვენი წრე კონცერტსა მართავს. ზეიმის საბაბი ამ წელიწადს, იცოცხლეთ, ბლომადა გვაქვს. დღეს ინგლისური გემის საპატივეცემულოდ ვუკრავთ.

**ელიდა**. ინგლისური გემის პატივსაცემად? უკვე გამოჩნდა?

**ბალესტელი**. არა, ჯერ არა, მაგრამ მალე მოვა, შეხერებს მოჰყვება. ალბათ, რამდენიმე წუთში აქ იქნება.

**ელიდა**. მართლა?

**ვანგელი** (ელიდას). ეს მისი უკანასკნელი რეისია. გაისამდე აღარ მოვა.

**ბალესტელი**. სამწუხაროა, ბატონო ექიმო. ჰოდა, ჩვენ გვინდა ზეიმით გავეცილოთ. რას იზამ. მალე ეს ჩვენი მშვენიერი ზაფხულიც გავა. მალე „დაიხურება ყველა ყურე“, როგორც ერთ დრამაშია ნათქვამი.

**ელიდა**. „დაიხურება ყველა ყურე“? მართლაც!

**ბალესტელი**. რა სამწუხაროა ამაზე ფიქრი. მთელი კვირებისა და თვეების მანძილზე ჩვენ ვტკბებოდით ზაფხულით. ძნელია შეურიგდე იმ აზრს, რომ გვიახლოვდება პირქუში ჟამი. მაგრამ მე მინდა მოგახსენოთ, რომ მხოლოდ ერთხანს გაგვიპირდება შეგუება, ვინაიდან ადამიანს ალკი... აკლიმატიზაციის უნარი შესწევს, ფრუ ვანგელ. დიახ, ასეა. (თავს უკრავს ცოლ-ქმარს და ხელმარჯვნივ მიდის).

**ელიდა** (დაძაბულად იყურება ფიორდის მხარეს). აჰ, ეს მტანჯველი და დაძაბული მოლოდინი! ეს ციებ-ცხელებიანი ნახევარი საათი გადამწყვეტი წამის დადგომამდე!

**ვანგელი**. მაშ, შენსას არ იშლი? გინდა თვითონვე მოელაპარაკო?

**ელიდა**. დიახ, მე თვითონ უნდა ველაპარაკო. თავისუფლად, ჩემივე ნებით უნდა მოვახდინო არჩევანი.

**ვანგელი**. შენ არჩევანის უფლება არა გაქვს, ელიდა. ნებას არ მოგცემ.

**ელიდა**. არჩევანს ვერასოდეს ვერ ამიკრძალავ. ვერც შენ და ვერც სხვა ვინმე. შენ შეგიძლია დამიშალო მასთან წასვლა, თუკი ამ გადამწყვეტილებას მივიღებ. შეგიძლია ძალით დამაკავო, წასვლის ნება არ მომცე. მაგრამ შინაგანი არჩევანის შესაძლებლობას — თუკი მოვისურვებ ავირჩიო ის და არა შენ, — ვერასოდეს ვერ წამართმევ.

**ვანგელი**. ჰო, მართალი ხარ. ამას კი ვერ აგიკრძალავ.

**ელიდა.** ეგეც არ იყოს, რას უნდა ჩავეკიდო, ან რას ჩავებლაუქო? სახლში არაფერი არ მიზიდავს, არაფერი არ მხიბლავს, არ მაკაუებს. ფეხი ვერ მოვიკიდე, ფესვი ვერ გავიღგი, ვანგელ-ბავშვები მე არ მეკუთვნიან; არც არასოდეს მეკუთვნოდნენ... ესე იგი, არ მეკუთვნოდა მათი გული... აქედან წასვლისას -- თუკი ამაღამ მასთან ერთად წავალ, ანდა ხვალ დილას -- შოლვიკენში, -- ერთი გასაღების ჩაბარებაც კი არ მომიწევს... ვერც სამერმისო განკარგულებას დავუტოვებ ვინმეს... აი, რარიგ მოწყვეტილი ვიყავი ყოველგვარ ნიადაგს შენს სახლში! ყველაფრისაგან განაპირებული იმ დღიდანვე, რაც აქ შემოვღ-გი ფეხი!

**ვანგელი.** შენ თვითონვე ინდომე ასე.

**ელიდა.** არა. აქ ჩემს ნდომაზე ან არნდომაზე როდია საქმე. მე მხოლოდ ისე დავტოვე ყველაფერი როგორც ჩემამდე იყო. სხვას კი არა, შენ, დიახ, მხოლოდ შენ გინდოდა, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო.

**ვანგელი.** მე მინდოდა ყველაფერი ისე მომეგვარებინა, რომ უკეთ გეგრძნო თავი.

**ელიდა.** ვიცი, ყველაფერი მშვენივრად ვიცი, ვანგელ. მაგრამ აი, ყოველივე ამის სანაცვლო... წყევლა! სასჯელი!.. ახლა მე უკვე არაფერი აღარ მავალდებულებს... არც ხელ-ფეხს მიკრავს... არც მხარს მიმაგრებს... მე გულგრილი ვარ ყოველივე იმის მიმართ, რაც ჩვენი საერთო, ხელშეუვალი და წმინდათაწმინდა საკუთრება უნდა ყოფილიყო.

**ვანგელი.** ვხედავ, ელიდა, ვხედავ, ამიტომაც ხვალიდანვე თავისუფალი იქნები. შენი საკუთარი ცხოვრებით იცხოვრებ.

**ელიდა.** ჩემი საკუთარი ცხოვრებით? ო, არა, ჩემი საკუთარი, ნამდვილი ცხოვრების კალაპოტიდან მაშინ ამოვეარდი, როცა ცოლობაზე დაგთანხმდი (შეძრწუნებული იბტერევეს ხელებს). და, აი... ამაღამ... ნახევარი საათის შემდეგ... მოვა ის... ვისაც ვულალატე... ვისი ერთგულიც უნდა ვყოფილიყავი ბოლომდე, როგორც ის დარჩა ჩემი ერთგული! ის მოვა და შემომთავაზებს... პირველად და უკანასკნელად -- ახალი ცხოვრება დავიწყო... ნამდვილი ცხოვრება... რომელიც მაშინებს და მიზიდავს კიდევ... და რომელზედაც უარის თქმა არ შემიძლია! არ შემიძლია ჩემი ნებით!

**ვანგელი.** სწორედ ამიტომ საკიროა, რომ შენმა ქმარმა... და, იმავდროულად, შენმა მკურნალმაც... არჩევანის საშუალება წაგართვას და შენს მაგივრად იმოქმედოს.

ელიდა. დიახ, ყველაფერი მშვენივრად მესმის, ვანგელ. დამერწმუნე, ხანდახან მგონია, ჩემი ერთადერთი ხსნა ის იქნებოდა, რომ მფარველობა მეთხოვა შენთვის და... მეცადა წინ აღვდგომოდი ყველა საშინელსა და უცნაურად მიმზიდველ ძალას. მაგრამ ვაი რომ არ შემიძლია! ნამდვილად არ შემიძლია.

ვანგელი. წავიდეთ, ელიდა, ცოტა გავიარ-გამოვიაროთ.

ელიდა. სიამოვნებით. მაგრამ ვერ ვბედავ. მან მიბრძანა, აქ დამელოდო.

ვანგელი. წავიდეთ, დრო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს.

ელიდა. ვითომ?

ვანგელი. დიახ.

ელიდა. მაშინ წავიდეთ, გავიარ-გამოვიაროთ. (მარჯვნივ მიღიან).

იმავდროულად ტბის ნაპირას გამოჩნდებიან არნჰოლმი და ბოლეტა.

ბოლეტა (თვალს მოჰკრავს მიმავალთ). შეხედეთ...

არნჰოლმი (ჩხადაბლა). სუუ... გაუშვით, წავიდნენ.

ბოლეტა. თუ გესმით, რა ემართებათ ამ ბოლო ხანს?

არნჰოლმი. რამე შენიშნეთ?

ბოლეტა. რა თქმა უნდა.

არნჰოლმი. რაიმე განსაკუთრებული?

ბოლეტა. დიახ, ბევრი რამე შევნიშნე. თქვენ?

არნჰოლმი. მართალი გითხრათ, არ ვიცი...

ბოლეტა. ცხადია, შენიშნავდით. მხოლოდ არ გინდათ, რომ გამოტყდეთ.

არნჰოლმი. ჩემის აზრით, თქვენს დედინაცვალს პატარა მოგზაურობა არ აწყენდა.

ბოლეტა. ვითომ?

არნჰოლმი. დიახ. მე მგონია, ყველასთვის დიდი შელავათი იქნებოდა, დროდადრო რომ მოგზაურობდეს სადმე მცირე ხნით.

ბოლეტა. ხვალ თუ შოლვიკენში წავიდა, ალბათ, აღარასოდეს დაბრუნდება ჩვენთან.

არნჰოლმი. კი მაგრამ, ეგ რამ გაფიქრებინათ, ძვირფასო ბოლეტა?

ბოლეტა. ო, დარწმუნებული ვარ. აი, ნახავთ, -- აღარ დაბრუნდება. ყოველ შემთხვევაში, მანამდის, სანამ მე და ჰილდა აქა ვართ.

არნჰოლმი. თქვენ და ჰილდა?

ბოლეტა. ისე, კაცმა რომ თქვას, ჰილდასთან მაინც შეიძლება საერთო ენის გამოხატვა: ჯერ კიდევ ბავშვია და, მე მგონია, აღმერთებს ელიდას. მაგრამ, აი, მე კი სულ სხვა ვარ. თუ დედინაცვალი მხოლოდ ცოტათი უფროსია გერზე...

არნჰოლმი. თქვენ, ძვირფასო ბოლეტა, დიდხანს აღარ მოგიწევთ სახლში ჯდომა.

ბოლეტა (უცხლად). რას ამბობთ? მაშ, მამაჩემს ელაპარაკეთ?

არნჰოლმი. დიახ.

ბოლეტა. კი მაგრამ, მერე?..

არნჰოლმი. ჰმ... მამათქვენს ამ დღეებში სულ სხვა სატიქრალი აქვს...

ბოლეტა. ა, დიახ, დიახ, აკი წინასწარ გითხარით.

არნჰოლმი. მაგრამ ერთი რამ მაინც გავიგე მისგან: მამათქვენის დახმარების იმედი არ უნდა გქონდეთ.

ბოლეტა. არ უნდა მქონდეს?..

არნჰოლმი. დაწვრილებით ამიწერა თავისი მდგომარეობა. მითხრა, ეს ჩემს შესაძლებლობას აღემატებაო.

ბოლეტა (ყველაზე). თქვენ კიდე მასხრად მიგდებდით?

არნჰოლმი. ღმერთმანი, აზრადაც არ მომსვლია თქვენი გამასხრება, ძვირფასო ბოლეტა. მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული — წახვალთ თუ დარჩებით.

ბოლეტა. კი მაგრამ, თქვენის აზრით, მაინც რა არის დამოკიდებული ჩემზე?

არნჰოლმი. რა და, ის, რომ ხალხში გამოსვლის შესაძლებლობა მოიპოვოთ, ისწავლოთ ყველაფერი, რაც განსაკუთრებით გაინტერესებთ, მონაწილეობა მიიღოთ ყოველივე იმაში, რისკენაც ასე ვნებიანად მიილტვით და უფრო ნათელი, ბედნიერი ცხოვრებით იცხოვროთ, ბოლეტა. რას იტყვით?

ბოლეტა (ტაშს შემოკრავს). ღმერთო ჩემო!.. მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია! რაკილა მამას არ უნდა, ან არ შეუძლია. მეტი კი არავინა მყავს მთელს ქვეყანაზე, რომ დახმარება ვთხოვო.

არნჰოლმი. კი მაგრამ, რა იქნება, რომ მეგობრული დახმარება მიიღოთ თქვენი ძვე... ყოფილი მასწავლებლისგან?

ბოლეტა. თქვენგან, ბატონო არნჰოლმ? თქვენ გინდათ?..

არნჰოლმი. დიახ, მე მინდა დაგეხმაროთ. სულით და გულით, სიტყვით და საქმით! თანახმა ხართ?.. გინდათ თუ არა?

ბოლეტა. მინდა თუ არა?.. რა? ის, რომ თავი დავაღწიო აქაურობას?.. ხალხში გამოვიდე... სერიოზულად ვისწავლო რამე?.. მივალწიო ყოველივე იმას, რაც მიუწვდომელ ოცნებად მეჩვენებოდა?

არნჰოლმი. დიახ, ყოველივე ეს შეიძლება სინამდვილედ გექცეთ, თუკი თვითონვე მოიწადინებთ.

**ბოლეთა.** და თქვენ გინდათ დამეხმაროთ იმაში, რომ ამ წარმოუდგენელ ბედნიერებას ველირსო? არა... მითხარით, შემიძლია თუ არა უცხო კაცისგან ამნაირი მსხვერპლის მიღება?

**არნჰოლმი.** ჩემგან შეგიძლიათ, ბოლეთა. დიახ, ჩემგან შეგიძლიათ უყოყმანოდ მიიღოთ ყველაფერი, რასაც ისურვებთ.

**ბოლეთა** (ხელს ჩააქვებს). დიახ, მეც მგონია, რომ შემიძლია, არ ვიცი რატომ, მაგრამ... (ალარ ამთავრებს). აჰ, მე ისე ბედნიერი ვარ, რომ მინდა ვიციხო და, იმავდროულად, ვიტყვო კიდევ!.. ოო! მაშ, ნამდვილი ცხოვრებით ვიცხოვრებ? მე კი უკვე შეშინებული ვფიქრობდი, რომ ველარასოდეს ველირსებოდი ამას.

**არნჰოლმი.** მაგისი შიში არ უნდა გქონდეთ, ძვირფასო ბოლეთა. თუ შეიძლება, გულახდილად მითხარით... აქ არავისთან განშორება არ გიმძიმთ, არაფერი არ გენანება?

**ბოლეთა.** მენანება? არა!

**არნჰოლმი.** არავენ და არაფერი?

**ბოლეთა.** არა. თუმცა, რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, მამა... და ჰილდაც, მაგრამ...

**არნჰოლმი.** ოო, მამასთან განშორება, ადრე თუ გვიან, სულერთია, მაინც მოგიწევთ. ჰილდაც ოდესმე თავის გზას მონახავს. ასე რომ, მათთან განშორება მხოლოდ დროის საკითხია, მეტი არაფერი. მაგრამ მათ გარდა არავისთან განშორება არ გიმძიმთ, ბოლეთა?

**ბოლეთა.** არა. თუ საქმე მხოლოდ ამას ეხება, მე შემიძლია ახლავე წავიდე, სადაც გნებავთ.

**არნჰოლმი.** თუ ასეა, მაშინ... ჩემთან წამოდით ძვირფასო ბოლეთა.

**ბოლეთა** (ტაშს შემოაკრავს). ო, ღმერთო ჩემო! რა ბედნიერებაა!

**არნჰოლმი.** იმედია, თქვენი ნდობის ღირსად მთვლით.

**ბოლეთა.** რა თქმა უნდა.

**არნჰოლმი.** მაშასადამე, უყოყმანოდ მანდობთ თქვენს მომავალს, ბოლეთა? ხომ სწორი ვარ? არ გეშინიათ?

**ბოლეთა.** ცხადია, არა. ეგ რამ გაფიქრებინათ?.. თქვენ ხომ ჩემი ძველი... ჩემი ყოფილი მასწავლებელი ბრძანდებით-მეთქი, მინდოდა მეთქვა.

**არნჰოლმი.** არა მარტო მაგიტომ, ეგ რა შუაშია? მაგრამ... რაკი თავისუფალი ხართ... რაკი არავის არ ეკუთვნით, ბოლეთა... ნება მიბოძეთ, გკითხოთ... რა იქნებოდა, რომ... სამუდამოდ ჩემთვის დაგეკავშირებინათ თქვენი ბელი?

**ბოლეთა** (შეშინებული უკან იხევს). აბა, რას ამბობთ?

**არნჰოლმი**. სამუდამოდ, ბოლეთა! არ გინდათ, ჩემი ცოლი გახდეთ?

**ბოლეთა** (თითქოს თავის თავს მიმართავს). არა, არა, არა! ეს შეუძლებელია! შეუძლებელი!

**არნჰოლმი**. ნუთუ მართლა ასე შეუძლებელია?..

**ბოლეთა**. დიახ, შეუძლებელია, რომ სერიოზულად მთავაზობდეთ ამას, ბატონო არნჰოლმი! (მისჩერებია). თუმცა... მაშ თქვენ ამას გულისხმობდით, როცა ამდენ რამეს შეჰპირდით?

**არნჰოლმი**. მომისმინეთ, ბოლეთა. როგორც ჩანს, ჩემმა წინადადებამ ძალიან განგაცვიფრათ.

**ბოლეთა**. რა თქმა უნდა... ან კი როგორ არ უნდა განვეცვიფრებინე?

**არნჰოლმი**. მართალი ხართ. ალბათ, არ იცით, რომ აქ მხოლოდ თქვენი გულისთვის ჩამოვედი.

**ბოლეთა**. ჩემი გულისთვის?..

**არნჰოლმი**. დიახ, ბოლეთა. ამ გაზაფხულზე მამათქვენის წერილი მივიღე. ამ წერილში იყო ერთი ადგილი, რამაც საბაბი მომცა მეფიქრა... ჰმ... რომ თქვენ დღემდე გახსოვთ თქვენი ყოფილი მასწავლებელი და, ცოტა არ იყოს, სხვანაირი გრძნობით იგონებთ მას. ვიდრე იგონებენ მეგობარს.

**ბოლეთა**. ეგ რამ მოაწერინა?

**არნჰოლმი**. მერე გაირკვა, რომ თურმე სულ სხვა რამეს გულისხმობდა. მაგრამ მე უკვე შევეჩვიე იმ აზრს, რომ აქ მიცდის და ჩემზე ფიქრობს ერთი ყმაწვილი ქალი... მაცადეთ, ნუ მაწყვეტინებთ, ძვირფასო ბოლეთა. და, აი, კაცზე, რომელსაც უკვე აღარ ეთქმის ახალგაზრდა, ამნაირი წარმოდგენა თუ ვარაუდი უჩვეულო ზემოქმედებას ახდენს. ეს წარმოდგენა თანდათანობით იზრდება, ფესვს იდგამს ჩემში და თქვენს მიმართ გულმხურვალე მადლიერებისა და არა მარტო მადლიერების გრძნობად იქცევა. მე ვთვლი, რომ ვალდებული ვარ ჩამოვიდე, გინახულოთ და გითხრათ, რომ მთელის არსებით ვიზიარებ იმ გრძნობას, რასაც, ჩემი წარმოდგენით, თქვენი ყოფილი მასწავლებლის მიმართ განიცდით.

**ბოლეთა**. მაგრამ ახლა, როცა გაიგეთ, რომ ასე არ არის? რომ ეს მხოლოდ გაუგებრობის შედეგი იყო?

**არნჰოლმი**. სულერთია, ბოლეთა. თქვენი ხატება, ესოდენ ღრმად აღბეჭდილი ჩემს სულში, სამუდამოდ შეინარჩუნებს იმ

გრძნეულ ხიბლს, რომელიც მას ჩემმა შეცდომამ მიანიჭა. თქვენ, ალბათ, ვერ გამოგებთ. მაგრამ ეს ასეა.

**ბოლეთა.** ვერასოდეს ამის მსგავსს ვერ წარმოვიდგენდი რასმე.

**არნჰოლმი.** მაგრამ რაკი გაირკვა, რომ ეს შესაძლებელია?... ახლა მაინც რას იტყვი, ბოლეთა? იქნებ, გაგებდათ და... ჩემი ცოლი გამხდარიყავით?

**ბოლეთა.** აჰ, ჩემი აზრით, ეს ყოველად შეუძლებელია, ბატონო არნჰოლმ. თქვენ ხომ ჩემი მასწავლებელი იყავით. სხვანაირი ურთიერთობა ვერც კი წარმომიდგენია ჩვენს შორის.

**არნჰოლმი.** რა გაეწყობა... თუკი ასე წარმოუდგენელი გეჩვენებათ... მაშინ ყველაფერი ძველებურად დარჩეს. ძვირფასო ბოლეთა.

**ბოლეთა.** ესე იგი?

**არნჰოლმი.** მე, რა თქმა უნდა, ჩემს სიტყვას არ გადავალ. ყოველნაირად ვიზრუნებ იმაზე, რომ განათლება მიიღოთ; ისწავლოთ ის, რაც განსაკუთრებით გაინტერესებთ; მიაღწიოთ დამოუკიდებელ მდგომარეობას. თქვენს მომავალსაც უზრუნველყოფ, ბოლეთა. ჩემი სახით ყოველთვის ერთგული და სანდო მეგობარი გეყოლებათ, მენდეთ.

**ბოლეთა.** ღმერთო ჩემო... ბატონო არნჰოლმ!.. ახლა ეს სრულიად შეუძლებელია!

**არნჰოლმი.** ესეც შეუძლებელია?

**ბოლეთა.** ნუთუ არ გესმით? ყოველივე იმის შემდეგ, რაც თქვენ მითხარით... და რაც მე გიპასუხეთ... აჰ, თვითონვე უნდა ხვდებოდეთ, რომ ახლა მე უკვე აღარ შემიძლია ამნაირი დახმარება მივიღო თქვენგან. ვერა, ველარაფერს ველარ მივიღებ. ეს შეუძლებელი გახდა!

**არნჰოლმი.** მაშასადამე, აქ დარჩენასა და ნამდვილ ცხოვრებაზე უარის თქმას ამჯობინებთ?

**ბოლეთა.** ო, ამის გაფიქრებაც კი საშინელია! ტანში მზარავს!

**არნჰოლმი.** თქვენ გინდათ უარი თქვათ ყველაფერზე? იმაზეც, რომ გაიგოთ, რა ხდება ამ ქვეყნად და იმაში მონაწილეობის მიღებაზეც, რისკენაც, თქვენივე საკუთარი აღიარებით, ასე ენებიანად მიილტვით? წინასწარ იცოდეთ, რამდენი რამ გელით და ვერაფერს კი ვერ მიაღწიოთ?.. დაფიქრდით, ბოლეთა.

**ბოლეთა.** დიახ, მართალი ბრძანდებით, ბატონო არნჰოლმ!



**არნჰოლმი.** და მერე... როცა მამათქვენი აღარ იქნება... სულ მარტო, უმწეოდ და უპატრონოდ დარჩეთ? ანდა იძულებული შეიქნეთ სხვას გაპყვეთ ცოლად... ვისითაც, ალბათ, დიდად მოხიბლული როდი იქნებით.

**ბოლეთა.** ოო, ახლა კი თვალნათლივ ვხედავ, რამდენად სწორია ყოველივე ის, რასაც თქვენ ამბობთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა... თუმცა, ვინ იცის?..

**არნჰოლმი (სწრაფად).** რა?

**ბოლეთა** (გაუბედავად მისჩერებია). ვინ იცის, იქნება, არც ისე შეუძლებელია!..

**არნჰოლმი.** რა, ბოლეთა?

**ბოლეთა.** რა და ის... რომ თქვენს წინადადებაზე დაგთანხმდეთ.

**არნჰოლმი.** მაშ, თქვენ გგონიათ, რომ მაინც შეგიძლიათ დათანხმება?.. ყოველ შემთხვევაში, ბედნიერი ვიქნები, თუ იმაზე მაინც დამთანხმდებით, რომ, როგორც ერთგულმა და სანდო მეგობარმა, დახმარება გაგიწიოთ.

**ბოლეთა.** არა, არა! ახლა ეს ყოველად შეუძლებელია... არა, ბატონო არნჰოლმ... მირჩევნია ცოლად გამოგყვეთ.

**არნჰოლმი.** ბოლეთა... ესე იგი, მაინც გინდათ?..

**ბოლეთა.** დიახ... მე მგონია... მინდა...

**არნჰოლმი.** ... ჩემი ცოლი გახდეთ?

**ბოლეთა.** დიახ, თუკი კვლავაც გინდევართ ცოლად.

**არნჰოლმი.** გინდევართო?.. (ხელს ჩააულებს). ო, გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ, ბოლეთა... ხოლო ის, რაც ადრე მითხარი... თქვენი ყოყმანი... მე არ მაშინებს... თუ თქვენი გული ჭერ კიდევ არ მეკუთვნის მთლიანად, იმედია, თანდათანობით დავისაკუთრებ. ო, ბოლეთა, ხელში აყვანილს გატარებთ.

**ბოლეთა.** და მე ხალხში გამოვალ, გავიგებ, რა ხდება ამ ქვეყანაზე, მონაწილეობას მივიღებ ცხოვრებაში? თქვენ ხომ შემპირდით?

**არნჰოლმი.** დიახ, შეგპირდით და კიდევ შეგისრულებთ.

**ბოლეთა.** და ნებას მომცემთ ვისწავლო ყველაფერი, რაც მინდა?

**არნჰოლმი.** მე თვითონ ვიქნები თქვენი მასწავლებელი. როგორც უწინ, ბოლეთა. გახსოვთ სწავლის უკანასკნელი წელი?

**ბოლეთა** (ჩუმად, ფიქრში წასული). წარმოგიდგენიათ?.. თავისუფლად დაიგულო თავი... იმოგზაურო, უცხო ქვეყნები. ნახო... იმედის თვალით შეჰყურებდე მომავალს... აღარ გტანჯავდეს ეს ცხოველური შიში ლუკმა პურის გამო...

**არნჰოლმი.** არა, აღარასოდეს ამაზე აღარ მოგიწევთ ფიქრი. ეს კი... ხომ სწორია, ჩემო ძვირფასო... რალაცას ნიშნავს!

**ბოლეტა.** რა თქმა უნდა. მართალი ხართ.

**არნჰოლმი** (წელზე შემოხვევს ხელს). აი, ნახავთ, რა ბედნიერები ვიქნებით! რა მშვიდად და სიამტკიბილობით ვიცხოვრებთ, ბოლეტა!

**ბოლეტა.** დიახ... ახლა მეც მესმის, რომ თანდათანობით... ყველაფერი მოგვარდება. (მარჯვნივ გაიხედავს და სწრაფად ითავისუფლებს თავს). თუ შეიძლება, ჭრჭერობით ნურაფერს იტყვი!

**არნჰოლმი.** რა მოგდით, ჩემო ძვირფასო!

**ბოლეტა.** აჰ, აი, ეს საცოდავი... (ხელით ანიშნებს). ხედავთ?

**არნჰოლმი.** ვინაა? მამათქვენნი?

**ბოლეტა.** არა, ახალგაზრდა სკულპტორი. ჰილდასთან ერთად მიდის.

**არნჰოლმი.** აა, ლიუნგსტრანი? მერე რა?

**ბოლეტა.** აჰ, თქვენ არ იცით, რა ცუდადაა.

**არნჰოლმი.** თუკი ეს მისი წარმოსახვის ნაყოფი არ არის.

**ბოლეტა.** არა, მართლა ავადაა. დიდი დღე აღარ უწერია. თუმცა ეს, კაცმა რომ თქვას, უმჯობესია მისთვის.

**არნჰოლმი.** რას ამბობთ, ჩემო ძვირფასო, რატომაა უმჯობესი?

**ბოლეტა.** იმიტომ, რომ ნამდვილი ხელოვანი არასოდეს გამოვა მისგან. წაეიდეთ, სანამ აქ არ მოსულან.

**არნჰოლმი.** სიამოვნებით, ჩემო ძვირფასო.

ტბის პირას გამოჩნდებიან ჰილდა და ლიუნგსტრანი.

**ჰილდა.** ეჰეი, იქნებ კეთილ-ინებოთ და დაგვიცადოთ?

**არნჰოლმი.** არა, არა, მე და ბოლეტა შინ წავალთ. (ბოლეტასთან ერთად ხელმარცხნივ მიდის).

**ლიუნგსტრანი** (ჭირჭილით). ეს რა საუცხოო დროა. ყველანი წყვილ-წყვილად დადიან.

**ჰილდა** (თვალს აყოლებს მიმავალთ). დაგენიძლავებით, თუ სიყვარულს არ უხსნის.

**ლიუნგსტრანი.** ვითომ? რამე ისეთი შენიშნეთ?

**ჰილდა.** რა თქმა უნდა. ბრმა უნდა იყო, რომ ვერ შენიშნო.

**ლიუნგსტრანი.** მაგრამ ფრიოკენ ბოლეტა არ გაჰყვება. დარწმუნებული ვარ.

**ჰილდა.** არ გაჰყვება. ბოლეტა ამბობს, ძალიან დაბერებულა და დაუშნობებულა, მალე, ალბათ, სულ მთლად გამელოტდებაო.

ლიუნგსტრანი. არა მარტო მაგიტომ. ისედაც არ გაპყვებოდა.

ჰილდა. რა იცით?

ლიუნგსტრანი. ვიცი. ვილაცას შეჰპირდა, დაგელოდებითო.

ჰილდა. მხოლოდ დაგელოდებითო?

ლიუნგსტრანი. სანამ აქ არ იქნება, — დიახ.

ჰილდა. რა დიდი მიხედვრა მაგას უნდა? ალბათ, თქვენ შეგპირდათ.

ლიუნგსტრანი. ადვილი შესაძლებელია.

ჰილდა. მაშ, თქვენ შეგპირდათ?

ლიუნგსტრანი. დიახ, შემპირდა. მაგრამ, თუ შეიძლება, ნუ ეტყვი, რომ ჩვენი საიღუმლო იცით.

ჰილდა. ღმერთმა დამიფაროს. კრინტსაც არ დავძრავ.

ლიუნგსტრანი. ჩემის აზრით, დიდი გულმოწყალება გამოიჩინა.

ჰილდა. კი მაგრამ, როცა დაბრუნდებით... ხელსა სთხოვთ და ცოლად შეერთავთ?

ლიუნგსტრანი. არა, ეგ არ გამოვა. პირველ ხანებში ამაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ხოლო როცა თანდათანობით გზას გაეკაფავ და წინ წავიწევ, ჩემთვის ალბათ უკვე ხნიერი იქნება.

ჰილდა. მაგრამ თქვენ მაინც გინდათ, რომ არ დაგივიწყოთ?

ლიუნგსტრანი. დიახ. იმიტომ, რომ ჩემთვის ეს დიდად სასარგებლოა; როგორც მხატვრისთვის, გესმით? თვითონ კი რას კარგავს, რაკილა ცხოვრებაში ნამდვილი მოწოდება არ გააჩნია. მაგრამ მაინც დიდი გულმოწყალებაა მისი მხრივ.

ჰილდა. თქვენ გგონიათ, რომ უკეთ იმუშავენ, თუკი ბოლეტა დაგელოდებთ?

ლიუნგსტრანი. დიახ, აგრე გგონია. როცა იცი, რომ სადღაც შორს გელის ახალგაზრდა, ლამაზი, გულჩათხრობილი ქალიშვილი, რომელიც სულის სიღრმეში ოცნებობს შენზე, ეს... ეს... არც კი ვიცი, როგორა ვთქვა...

ჰილდა. ნამდვილი შთაგონების წყაროა, — ალბათ, ამის თქმა გინდოდათ, არა?

ლიუნგსტრანი. შთაგონების წყარო? დიახ, დიახ, სწორედ ეს, ან რაღაც ამგვარი მინდოდა მეთქვა. (ერთხანს უსიტყვოდ მისჩერებია). თქვენ ისეთი ჰკვიანი ხართ, ფრიოკენ ჰილდა, განსაკვიფრებლად ჰკვიანი. სამშობლოში რომ დავბრუნდები, თითქმის იმ ხნისა იქნებით, რამდენისაცაა ახლა თქვენი და. და, ალბათ, მასვე ემგვანებით, არა მარტო გარეგნულად, არამედ ხასიათითაც. ასე რომ თითქოს თქვენც იქნებით და ისიც, ორი არსება — ერთში.

ჰილდა. მერედა, თქვენ გინდათ ეს?

ლიუნგსტრანი. რა მოგახსენოთ. თუმცა, როგორც ჩანს, მინდა. მაგრამ ახლა, ამ ზაფხულს, უმჯობესია ზუსტად იმადვე დარჩეთ, რაცა ხართ.

ჰილდა. ასეთი უფრო მოგწონვართ?

ლიუნგსტრანი. დიახ, საშინლად მომწონხართ სწორედ ასეთი.

ჰილდა. კმ... ერთი ეს მითხარით, როგორც მხატვარმა... როგორ გგონიათ, კარგია თუ ცუდი, რომ ზაფხულობით ყოველთვის ღია ფერის კაბებს ვიცვამ?

ლიუნგსტრანი. ჩემის აზრით, -- ძალიან კარგი.

ჰილდა. მაშ, თქვენ თვლით, რომ ღია ფერი მიხდება?

ლიუნგსტრანი. მე თუ მკითხავთ, პირდაპირ გხატავთ.

ჰილდა. მაშინ ბარემ ისიც მითხარით, შავი ფერიც თუ მომიხდება?

ლიუნგსტრანი. შავი ფერი, ფრიოკენ ჰილდა?

ჰილდა. დიახ, შავები რომ ჩავიცვა?

ლიუნგსტრანი. იცით რა, შავი საზაფხულო ფერი არ არის. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მოხდენით კი მოგიხდებათ.

ჰილდა. თავით ფეხებამდე შავებში რომ გამოვეწყო... შავი მაქმანები... შავი ხელთათმანები... და გრძელი შავი ვუალი...?

ლიუნგსტრანი. ასე რომ ჩაგეცვათ, ფრიოკენ ჰილდა, მაშინ მე ვისურვებდი ფერმწერი ვყოფილიყავი, რათა ახლგაზრდა, მგლოვიარე ლამაზი ქერივის პორტრეტი დამეხატა.

ჰილდა. თუ საცოლისა, რომელიც თავის საქმროს დასტირის?

ლიუნგსტრანი. დიახ, საცოლის როლში უკეთესი იქნებოდით, მაგრამ, ალბათ, არ ისურვებდით ასე ჩაგეცვათ.

ჰილდა. ღმერთმანი, თვითონაც არ ვიცი... თუმცა ძალზე მაცთუნებელი კია.

ლიუნგსტრანი. მაცთუნებელი?

ჰილდა. დიახ, თქვენ წარმოიდგინეთ. (უცებ მარცხნივ გაიშვერს ხელს). ერთი შეხედეთ!..

ლიუნგსტრანი. ინგლისური გემი! უკვე ნაპირს მოადგა.

ტბის პირას გამოჩნდებიან ვანგელი და ელიდა.

ვანგელი. გარწმუნებ, სცდები, ჩემო ძვირფასო. (თვალს მოჰკრავს ჰილდას და ლიუნგსტრანს). აა, თქვენ აქა ხართ? ხომ მართალს ვამბობ, ბატონო ლიუნგსტრან, ჯერ კიდევ არა ჩანს!

ლიუნგსტრანი. ინგლისურ გემზე ბრძანებთ?

ვანგელი. დიახ.

ლიუნგსტრანი (ხელით ანიშნებს). აგერ, აქა დგას, ბატონო ექიმო.

ელიდა. აა!.. ვიცოდი! გული მიგრძნობდა!

ვანგელი. მაშ, უკვე მოვიდა?

ლიუნგსტრანი. დიახ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქურდივით ჩუმად და უხმოდ მოგვეპარა...

ვანგელი. ნავსადგურში გაპყევით ჰილდას. ახლავე! ალბათ, მუსიკის მოსმენა სურს.

ლიუნგსტრანი. ჩვენ სწორედ ახლა ვაპირებდით იქ წასვლას, ბატონო ექიმო.

ვანგელი. მოგვიანებით, ალბათ, ჩვენც მოვალთ.

ჰილდა (ჩურჩულით, ლიუნგსტრანს). აი, კიდევ ერთი წყვილი. ესენიც ერთად დადიან. (ლიუნგსტრანთან ერთად ხელმარცხნივ მიდის ბაღში).

მთელი შემდგომი სცენის მანძილზე შორიდან, ფიორდის მხრიდან, სასულე ორკესტრის ხმა მოისმის.

ელიდა. მოვიდა. უკვე აქაა... დიახ, დიახ, აშკარად ვგრძნობ.

ვანგელი. უმჯობესია, წახვიდე, ელიდა! ნება მომეცი, მე თვითონ მოველაპარაკო.

ელიდა. არა, ეს შეუძლებელია! შეუძლებელი-მეთქი! (შეკიკვლებს) ა!.. აი, ისიც, ვანგელ!

მარცხნივ გამოჩნდება უცნობი კაცი და მესერს იქით, ბილიკზე ჩერდება.

უცნობი (ესალმება). სალამო მშვიდობისა! აი, მეც მოვედი, ელიდა.

ელიდა. დიახ, დიახ... უკვე დროა.

უცნობი. მზადა ხარ თუ არა გასამგზავრებლად?

ვანგელი. ხომ ხედავთ, რომ არა.

უცნობი. მე სამგზავრო კაბებსა თუ სხვა მისთანებზე როდის ვეკითხები. არც ბარგს ვეკითხულობ. ყველაფერი, რაც მას სჭირდება, უკვე გემზეა. კაიუტაც ავიღე მისთვის. (ელიდას). ამრიგად, მე გეკითხები, მზადა ხარ თუ არა გამომყევი?... შენივე ნებით!..

ელიდა (ვედრების კილოთი). ო, ნუ მეკითხებით! ნუ მაცთუნებთ!

შორს, გეშე ზარი რეკავს.

უცნობი. აი, პირველი ზარიც. მითხარი, მზადა ხარ თუ არა?

ელიდა (ხელების მტკრევით). გადაწყვეტილება! მაშ, ახლა უნდა მივიღო საბოლოო გადაწყვეტილება, და მერე უკვე ველარაფერს ველარ შევცვლი?

უცნობი. ველარასოდეს. ნახევარი საათის შემდეგ უკვე გვიან იქნება.

ელიდა (გაუბედავად, მცდელო თვლით მისჩერებია). რას ჩამციებხარ? რად არ მეშვებით?

უცნობი. ნუთუ ვერ გრძნობ, რომ ჩვენ ერთმანეთს ვეკუთვნი?

ელიდა. პირობის ძალით?

- უცნობი.** პირობა არავის არაფერს არ ავალდებულებს. არც კაცს და არც ქალს. თუ არ გეშვები, მხოლოდ იმიტომ, რომ სხეუნიარად არ შემოძლია.
- ელიდა** (ჩუმაღ, ხმის კანკალით). რატომ უფრო აღრე არ მოხვედით? **ვანგელი.** ელიდა!
- ელიდა** (აგზნებულად). ო, ეს უძლეველი, მომნუსხველი და მაცთური ძალა შეუცნობის და განუცდელისა! ზღვის მთელი ძალა თითქოს ერთად შენივთდა მასში!
- უცნობი** მესერზე გაღმობიჭებს.
- (ვანგელს ეფერება). რაო? რა გინდათ?
- უცნობი.** მე ვხედავ... შენი ხმა მიმქლავნებს, ელიდა, რომ... ბოლოს და ბოლოს, მე ამირჩევ.
- ვანგელი** (ნაბიჭს გადაღვამს მისკენ). ჩემს ცოლს არჩევანი არა აქვს. მე აქ იმიტომ ვარ, რომ მის მაგივრად ავირჩიო და დავიცვა კიდევ იგი. დიახ, დავიცვა. თუ ახლავე... სამუდამოდ არ დასტოვებთ ჩვენს ქვეყანას... თვითონაც კარგად იცით, რა ბედი გელით!
- ელიდა.** არა, არა, ვანგელ! მოეშვი!
- უცნობი.** მაინც რა მელის?
- ვანგელი.** თქვენ დაგაპატიმრებენ... როგორც დამნაშავეს. დაუყოვნებლივ! სანამ გემზე ასვლას მოასწრებდეთ! მე ყველაფერი ვიცი. ვიცი, ვინ მოქლა კაპიტანი შოლვიკენში.
- ელიდა.** ო, ვანგელ! ეგ რამ გათქმევიანა?
- უცნობი.** მე ველოდი ამას. და ამიტომ... (გულის ჭიბიდან რევოლვერს იღებს). აი, ეს წამოვიღე.
- ელიდა** (მასა და ვანგელს შუა ჩადგება). არა, არა! არ მოქლა! უმჯობესია, მე მესროლოთ!
- უცნობი.** არც შენ და არც მას. ეს მხოლოდ ჩემთვისაა განკუთვნილი. მე მინდა თავისუფალ კაცად ვიცხოვრო და თავისუფალ კაცადვე მოვეკვდე.
- ელიდა** (უჩვეულო აგზნებით). ვანგელ! ერთი სიტყვა მათქმევიანე... მისი თანდასწრებით... აქვე! შენ შეგიძლია არ გამიშვა! ძალაც ხელთა გაქვს და საშუალებაც. და შენ ასედაც მოიქცევი. მაგრამ ჩემს სულს... ჩემს ზრახვას... ჩემს ვნებიან ლტოლვას კი ბორკილს ვერ დასდებ! მთელს ჩემს არსებას კვლავინდებურად მომნუსხველი ძალით მიიტაცებს იღუმალი და განუცდელი... რისთვისაც მე ვარ შექმნილი... და რისკენაც გზა გადამიღობე.
- ვანგელი** (ჩუმაღ, მწუხარედ). ვხედავ, ელიდა, ვხედავ, რომ თანდათან ხელიდან მისხლტები. უსაზღვროების, უსასრულობისა და მიუწვდომლისაკენ ვნებიანი ლტოლვა, ბოლოს და ბოლოს, განუპკრეტელი უკუნეთისაკენ წარიტაცებს შენს სულს.

**ელიდა.** ო, დიახ, დიახ... მე ვგრძნობ... ჩემს ზემოთ თითქოს უკვე ჩუმად შრიალებენ იღუმალების შავი ფრთები.

**ვანგელი.** არ შეიძლება ამ უკიდურესობამდე მიგიყვანოს კაცმა. ესაა შენი ხსნის ერთადერთი საშუალება. ყოველ შემთხვევაში, მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ... და, აი... ახლავე, აქვე... მე ვარლევე ჩემს გარიგებას... დიახ, ახლა შენ შეგიძლია თავისუფლად, სრულიად თავისუფლად მიიღო გადაწყვეტილება, შენივე ნებით მოახდინო არჩევანი.

**ელიდა** (ერთხანს უხმოდ და დაინებით მისჩერებია, თითქოს ენა ჩუქვარდაო). მაშ, ასე?.. შენ ამას გულწრფელად ამბობ?.. მთელი გულით?..

**ვანგელი.** მთელი ჩემი ტანჯული გულით.

**ელიდა.** და შენ შეგიძლია?.. შეგიძლია დაუშვა ეს?

**ვანგელი.** დიახ, შემიძლია. იმიტომ, რომ თავდავიწყებით მიყვარხარ.

**ელიდა** (ჩუმად, ხმის კანკალით). რამ შეგაყვარა ასე ჩემი თავი?

**ვანგელი.** წლებმა და ერთად ცხოვრებამ.

**ელიდა** (ტაშს შემოჰკრავს). მე კი... თითქმის ვერ ვამჩნევდი ამას!

**ვანგელი.** იმიტომ, რომ სხვაზე ფიქრობდი, სხვა სადარდელი გქონდა. მაგრამ ახლა სრულიად თავისუფალი ხარ, არაფერი აღარ გაკავებს, არავითარი ნაძალადევი კავშირი აღარ გაკავშირებს არც ჩემთან და არც ჩემს ოჯახთან. ახლა შენ შეგიძლია... შენი ნამდვილი ცხოვრებით იცხოვრო... თავისუფლად მიიღო გადაწყვეტილება, შენი ნებით მოახდინო არჩევანი... და შენივე პასუხისმგებლობით, ელიდა.

**ელიდა** (თავზე ხელს იტაცებს და დაინებით მისჩერებია ვანგელს). თავისუფლად... ჩემი ნებით... და ჩემივე პასუხისმგებლობით!.. თანაც, ჩემივე პასუხისმგებლობით?.. ოო, ეს ყოველის განმახლებელი და გარდამქმნელი ძალა!.. (გეზზე კვლავ რეკვენ ზარს).

**უცნობი.** გესმის, ელიდა? უკანასკნელად დარეკეს. წავიდეთ, რაღას ეუყურებთ?

**ელიდა** (მისკენ შერიალდება, ჩიქურ უტკერის და მტკიცე ხმით ამბობს). ამის შემდეგ აღარასოდეს აღარ წამოვალ თქვენთან!

**უცნობი.** არ წამოხვალ?

**ელიდა** (მაგრად ეკვრის ვანგელს). ო, ამის შემდეგ აღარასოდეს აღარ დაგტოვებ!

**ვანგელი.** ელიდა! ელიდა!

**უცნობი.** მაშ, ყველაფერი დამთავრდა?

**ელიდა.** დიახ, სამუდამოდ!

**უცნობი.** ვხედავ. აქ არის რაღაც ისეთი, რაც ჩემს ნებაზე უფრო ძლიერია.

**ელიდა.** თქვენი ნება ამიერიდან უძლეურია ჩემს მიმართ. დღეიდან თქვენ ჩემთვის მკვდარი ხართ, ზღვის ფსკერიდან ამოსული და უკანვე ჩაბრუნებული. თქვენი აღარ მეშინია. აღარც უწინდებურად მიზიდავთ.

**უცნობი.** მშვიდობით, ქალბატონო. (მესერზე გადააბიჯებს). ამიერიდან თქვენ ჩემთვის მხოლოდ ლანდი ხართ, ზღვაზე ოლესლაკ განცდილი მარცხის მოგონება. (ხელმარცხნივ მიდის).

**ვანგელი** (ერთხანს უსიტყვოდ უცქერს ცოლს). შენი სული ზღვასა ჰგავს, ელიდა! თავისი მიქცევა-მოქცევა აქვს. მაგრამ რამ გამოიწვია ეს გამაოგნებელი ცვლილება?

**ელიდა.** აჰ, ნუთუ არ გესმის, რომ ცვლილება გარდაუვალი გახდა, როგორც კი თავისუფალი არჩევანის ნება მომეცი?

**ვანგელი.** ასე რომ, განუცდელი აღარ გიზიდავს?

**ელიდა.** აღარც მიზიდავს და აღარც მაშინებს. მე საშუალება მომცეს ჩამეხედა მის სიღრმეში... ნება დამრჩეს, თუკი თვითონ მოვისურვებდი, მთლიანად მივეცემოდი მას. მე უფლება მქონდა ამერჩია იგი, და სწორედ ამიტომ შეეძელი მისი უარყოფა.

**ვანგელი.** ახლა კი თანდათან ვხვდები. შენ ხატად ქცეული წარმოდგენებით აზროვნებ და ასევე აღიქვამ ყველაფერს... შენი მუდმივი კმუნვა ზღვის გამო... შენი ლტოლვა მისკენ... ამ უცნობი კაცისაკენ... ეს იყო მხოლოდ თავისუფლების წყურვილის გამოვლენა, წყურვილისა, რომელმაც გაიღვიძა შენს სულში და დღითიდღე სულ უფრო და უფრო მძაფრი ხდებოდა.

**ელიდა.** აბა, რა გითხრა? მაგრამ შენმა ექიმობამ გადამარჩინა. შენ მიაგნე და... გაბედვად გამოგეყენებინა ერთადერთი საშუალება, რომელსაც ჩემი სხნა შეეძლო.

**ვანგელი.** დიახ... უკიდურეს შემთხვევაში ჩვენ, ექიმები, დიდ რისკზე მივდივართ ხოლმე... მაგრამ ახლა შენ კვლავ ჩემი ხარ, ელიდა?

**ელიდა.** დიახ, ჩემო ძვირფასო, ჩემო ერთგულო მეგობარო, ახლა მე კვლავ შენი ვარ!... შემძლია შენი ვიყო... მე შენი ვხდები თავისუფალი არჩევანის შედეგად... ჩემი ნებით... და ჩემივე პასუხისმგებლობით.

**ვანგელი** (სიყვარულით უცქერს). ელიდა! ელიდა!.. ღმერთო ჩემო, მაშ, ახლა ჩვენ შეგვიძლია კვლავ მთელის არსებით მივეცეთ ერთმანეთს?

**ელიდა.** და ჩვენს საერთო მოგონებებსაც, შენსას და ჩემსას.

**ვანგელი.** მართლა, ჩემო ძვირფასო?

**ელიდა.** და ვიცხოვროთ ჩვენი ორი გოგონასათვის.

**ვანგელი.** ჩვენი?.. შენ თქვი, ჩვენიო?..

**ელიდა.** ო, ისინი ჭერ კიდევ არ არიან ჩემი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ თანდათანობით მათი გულის მოგებას შეეძლებ.

**ვანგელი.** ჩვენი!.. (მზურვალედ უკოცის ხელებს). ო, გმადლობ, გმადლობ ამ სიტყვისათვის, ათასგზის გმადლობ!

ბაღში, მარცხენა მხრიდან გამოჩნდებიან პილდა, ბალესტელი, ლიუნგსტრანი, არნჰოლმი და ბოლეტა. იმედროულად, მესერს იქით, ბილიკზე გადმოუხვევს ქალაქელი ახალგაზრდებისა და ჩამოსული სტუმრების ჯგუფი.



ჰილდა (ჩურჩულით, ლუნგსტრანს). ერთი ამათ დამიხედეთ! შეყვარებულებს არა ჰგევანან?

ბალესტელი (ყურს მოჰკრავს მის სიტყვებს). ზაფხულია, ზაფხული, ფრიოკენ!

არნჰოლმი (ელიდასა და ვანგელის დანახვაზე). აი, ინგლისური გემიც მიდის.

ბოლეტა (მესერს უახლოვდება). აქედან უკეთა ჩანს.

ლიუნგსტრანი. ეს მისი უკანასკნელი რეისია წლეულს.

ბალესტელი. მალე „დაიხურება ყველა სრუტე“, -- როგორც ამბობს პოეტი. სამწუხაროა, ფრუ ვანგელ! ერთხანს, ალბათ, თქვენც მიგვატოვებთ, როგორც მითხრეს, ხვალ შოლვიკენში მიემგზავრებით.

ვანგელი. არა, არა, ვინ მოგახსენათ? ეს-ესაა გადავიფიქრეთ.

არნჰოლმი (ხან ვანგელს უყურებს და ხან -- ელიდას). მართლა?

ბოლეტა (მათკენ მიიწევს). მართლა, მამა?

ჰილდა (ელიდას მივარდება). მაშ, ჩვენთან რჩები?

ელიდა. დიახ, ჩემო კარგო... თუკი შენ გინდა.

ჰილდა (ალარ იის, იცინოს თუ იტიროს). აჰ!.. ღმერთო ჩემო!.. თუკი შენ გინდაო?!

არნჰოლმი (ელიდას). აი, ეს კი ნამდვილი სიურპრიზია!

ელიდა (ღიმილით, მაგრამ სერიოზული ტონით). აი, ხომ ხედავთ, ბატონო არნჰოლმი... ჩვენი გუშინდელი საუბარი თუ გახსოვთ? რაკილა აღამიანი ხმელეთს შეეგუა და მიესადაგა... უკვე ველარასოდეს დაუბრუნდება ზღვას... ველარ იცხოვრებს ზღვის ცხოვრებით.

ბალესტელი. ჩემი ზღვის ასულისა არ იყოს.

ელიდა. დიახ, თითქმის ასეა.

ბალესტელი. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზღვის ასული ამის გამო კვდება, აღამიანებს კი, პირიქით, ალკი... აკლიმატიზაციის უნარი შესწევთ. დიახ, დიახ, დამერწმუნეთ, ფრუ ვანგელ მათ აკლიმატიზაციის უნარი აქვთ!


ელიდა. დიახ, მაგრამ ამისათვის საჭიროა სრული თავისუფლება, ბატონო ბალესტელ.

ვანგელი. და პირადი პასუხისმგებლობა, ჩემო ძვირფასო.

ელიდა (ოცხლად, ხელს უწევს). კემშარტად!

ვეება გემი ნელა მიუყვება ფიორდს. მუსიკა თანდათანობით ახლოვდება.





### მოქმედი პირები

იორგენ ტესმანი --კულტურის ისტორიის კათედრის ასპირანტი

ფრუ ჰედა ტესმანი -- მისი მეუღლე

ფრიოკენ იულიანე -- მისი მამიდა

ფრუ თეა ელვებელი

ასესორი ბრაკი

ეილერტ ლევბორგი

ბერტა -- ტესმანების მოსამსახურე

მოქმედების ადგილი -- ტესმანების აგარაკი ქალაქის დასავლეთ უბანში.

## პირველი მოქმედება

ლამაზად და გემოვნებით მორთული ვრცელი სასტუმრო ოთახი. მორთულობაში მუქი ფერები ქარბობს. შუა კედელს დატანებული აქვს კარის ქრილი აქეთ-იქით გადაწეული პორტიერებით, საიდანაც მეორე, უფრო მომცრო ოთახი ჩანს, ისეთივე სტილით მორთული, როგორც პირველი. სასტუმროს მარჯვენა კედელში დატანებული კარი შემოსასვლელში გადის, ხოლო მარცხენაში გაკრილი კარიდან, რომელზედაც ასევე გადაწეულია პორტიერები, მოჩანს დასურული ვერანდის ნაწილი და ხეების შემოდგომისპირული სიმწვანე. სასტუმრო ოთახის შუაში ოვალური, სუფრაგადაფარებული მაგიდა დგას, რომელსაც ირგვლივ სკამები აქვს შემოწყობილი. წინ, მარჯვენა კედელთან, შავი შორენკეის ლუმელია, მის მახლობლად კი -- მალალზურგაიანი სავარძელი, რბილი, პატარა სკამი ფეხების შემოსაწყობად და ორი პუფი. შემდეგ, მარჯვენა კედელთანავე, კუთხის პატარა დივანი და ასევე პატარა მაგიდა დგას. წინ, მარცხნივ -- კედლიდან ოდნავ გამოწეული დივანი. მინის კართან -- პიანინო. პატარა ოთახში გამავალი კარის ორსავე მხარეს თითო თაროვლია, რომლებზედაც ტერაკოტისა და მაიოიკის პაწაწინა ფიგურები აწყვია. მეორე ოთახის სიღრმეში ჩანს დივანი, მაგიდა და რამდენიმე სკამი. დივანს ზემოთ ლამაზი, გენერლის მუნდირში გამოწყობილი მოხუცის პორტრეტი კიდია, ხოლო მაგიდის ზემოთ -- რძისფერ აბაჯურიანი ლამა. სასტუმრო ოთახში ყველგან ყვავილების თაიგულებია: ლარნაკებში, მინის ქილებში, ზოგი კი პირდაპირ მაგიდაზე ყრია. ოთახების იატაკზე სქელი ხალიჩებია დაფენილი. დილის სინათლე. მზის სხივები მინის კარიდან იჭრება შინ.

ფრიოკენ იულიანე ტესმანი, გულკეთილი, სათნო იერის მოხუცი ქალი, სამოცდახუთი წლისა; აცვია სადად და ფაქიზად; რუხი ფერის სასეირნო კოსტიუმშია გამოწყობილი. ფარფლებიანი ქელი ახურავს და ხელში ქოლგა უჭირავს. გამოჩნდება ზღურბლზე. უკან მოჰყვება ბერტა, ხანში შესული მოახლე, რომელსაც მიაშიტური და, ცოტა არ იყოს, მდაბიური იერი აქვს. ქალაღში გახვეული თაიგული უჭირავს ხელში.

**ფრიოკენ ტესმანი** (ზღურბლზე ჩერდება, აუურადებს და ხმადაბლა ამბობს). როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ ამდგარან.

**ბერტა.** აკი გეუბნებოდით, ფრიოკენ. თავად დაფიქრდით, გემი წუხელის ძალიან გვიან მოვიდა! მერე კი... ღმერთო, რამდენი ბარგის გახსნა დასჭირდა ახალგაზრდა ქალბატონს, სანამ დაწევბოდა.

- ფრიოკენ ტესმანი.** ჰო, ჰო, კარგად დაისვენონ... მაგრამ, როცა აღდებთან, ოთახი ხომ განიავებული უნდა დახვდეთ. (მინის კართან მიდის და ფართოდ ალებს).
- ბერტა** (მაგიდასთან, უმწეოდ ატრიალებს თაიგულს ხელში). აი, ეს კი, ღმერთმანი, აღარ ვიცი, სად წავიღო. აქ ხომ არ დავდო, ფრიოკენ? (პიანინოზე დებს თაიგულს).
- ფრიოკენ ტესმანი.** აი, შენ ახალი ბატონები გყავს, ჩემო ძვირფასო ბერტა! ღმერთმა ხომ იცის, როგორ გამიჭირდა შენთან დაშორება.
- ბერტა** (ძლივს იკავებს ცრემლებს). ახლა ჩემსას აღარ იკითხავთ, ფრიოკენ?! მე რაღა მეთქმის?! აკი ამდენ წელს გემსახურეთ თქვენცა და თქვენს დასაც.
- ფრიოკენ ტესმანი.** რა გაეწყობა... ბედს უნდა დავმორჩილდეთ, ბერტა! შენ ახლა იორგენისთვის უფრო საჭირო ხარ... აუცილებელი. აკი სულ იმას უვლიდი, ბავშვობიდანვე თავს ევლებოდი.
- ბერტა.** მართალია, მაგრამ, რა ვქნა, ძალიან მებრალება ჩვენი ავადმყოფი! საცოდავი! რაღა ის და რაღა პატარა ბავშვი. ახლა კი უცებ ახალი მოსამსახურე. ვერა, ვერასდიდებით ვერ ისწავლის ავადმყოფის მოვლას.
- ფრიოკენ ტესმანი.** ნუ დარდობ, მე ვასწავლი. ეგეც არ იყოს, ყველაზე მთავარი საზრუნავი ამიერიდან ჩემი საქმე იქნება, გესმის? არა, ჩემი საბრალო ავადმყოფი დის ბედზე ნუ სწუხარ, ძვირფასო ბერტა.
- ბერტა.** მარტო ეს რომ მაწუხებდეს, ფრიოკენ. ღმერთმანი, შიშისგან ტანში მაზრიალებს, ვაითუ ახალგაზრდა ქალბატონს ვერ ვაამო-მეთქი.
- ფრიოკენ ტესმანი.** რას იზამ... თავდაპირველად შეიძლება ისედაც მოხდეს, რომ...
- ბერტა.** რა ვიცი. გარეგნულად ძალზე ამაყად უქირავს თავი.
- ფრიოკენ ტესმანი.** მერედა, გაემტყუნება გენერალ გაბლერის ქალიშვილს? სანამ მამამისი ცოცხალი იყო, ხომ იცი, რა ცხოვრება აქვს ნანახი! გახსოვს, როგორ დააქენებდა ცხენს მამამისის მხარდამხარ, გრძელი, შავი მოსასხამის ფრიალ-ფრიალით, ფარფლებიან ქუდს კი ფრთა უმკობდა.
- ბერტა.** როგორ არ მახსოვს. რას წარმოვიდგენდი მაშინ, რომ ისა და ეს ჩვენი კანდიდატი ერთმანეთის საფეროები იქნებოდნენ.
- ფრიოკენ ტესმანი.** ვერც მე წარმოვიდგენდი... თუმცა, იცი რა, ბერტა, სანამ არ დამეიწყნია, ამიერიდან კანდიდატს ნულარ უწოდებ იორგენს. ახლა ის უკვე დოქტორია.

- ბერტა.** დიახ, დიახ, წუხელის ახალგაზრდა ქალბატონიც ამაზე ლაპარაკობდა... როგორც კი კარში შემოდგეს ფეხი. მართალია?
- ფრიოკენ ტესმანი.** რა თქმა უნდა. წარმოგიდგენია, ბერტა, დოქტორობა იქ, საზღვარგარეთ მიანიჭეს; მათი საქორწინო მოგზაურობისას. მეც არაფერი ვიცოდი, მაგრამ იორგენმა წუხელ ნავსადგურში მითხრა.
- ბერტა.** კეთილი და პატიოსანი... ამნაირი ნასწავლი კაცისაგან შეიძლებოდა ყველაფერი გამოსულიყო. მაგრამ არ მეგონა, რომ ისიც მოინდომებდა ხალხის მკურნალობისათვის მიეყო ხელი.
- ფრიოკენ ტესმანი.** არა ის „დობტური“ კი არ არის, ბერტა, სულ სხენაირი დოქტორია. (მრავალმნიშვნელოვნად აქნევს თავს). თუმცა, რაღა დაგიმალო და, მალე მოგიწევს კიდევ უფრო მაღალი წოდებით მოიხსენიო.
- ბერტა.** მართლა? მაინც როგორ?
- ფრიოკენ ტესმანი** (ლიბლით). ჰმ... რომ იცოდე! (გულაჩუყებული). ო, ღმერთო ჩემო! განსვენებულ იოკუმს რომ ამოახედა თავისი საფლავიდან... რა კაცი დადგა მისი პატარა ბიჭი! (თვალს ავლებს ოთახს). კი მაგრამ, შალითები რატომ შემოაძვრე ავეჯს?
- ბერტა.** ქალბატონმა მიბრძანა... შალითაშემოკრულ საეარძლებს ვერ ვიტანო.
- ფრიოკენ ტესმანი.** ჰოო, თუ გიბრძანა... განა სადაგ დღეებშიაც აქ ისხდებიან?
- ბერტა.** როგორც ჩანს. ესე იგი მხოლოდ ქალბატონი. თვით დოქტორს კი არა უთქვამს რა.
- უკანა ოთახში მხარმარჯვნივ გამოჩნდება იორგენ ტესმანი; ხელში თავახდლი ცარიელი ჩემოდანი უჭირავს; ჩუმად ლილინებს. ოცდაცამეტი წლის კაცია, საშუალო ტანისა, ცოტა მსუქანი; ძალზე ახალგაზრდულად გამოიყურება; მრგვალი, ნათელი პირისახე, ქერა თმა-წვერი და კეთილმოსურნე იერი აქვს; სათვალეს ატარებს; მოხერხებული, ცოტა არ იყოს, დაუდევრად მორგებული საშინაო კოსტიუმი აცვია.
- ფრიოკენ ტესმანი.** გამარჯობა, გამარჯობა, იორგენ.
- ტესმანი** (ზღურბლზე). მამიდა იუღე, ჩემო საყვარელო მამიდა. (უახლოვდება და ხელს ართმევს). ამ სიშორეს... ჩვენთან... და ასე დილაუთენია! ჰა?
- ფრიოკენ ტესმანი.** კი მაგრამ, რა გული მომცემდა, რომ თქვენთვის არ დამეხედა?
- ტესმანი.** ალბათ, ვერც კი გამოიძინე.
- ფრიოკენ ტესმანი.** მერე რა, შეჩვეული ვარ.

**ტესმანი.** წუხელის ხომ მშვიდობით მიხვედი შინ ნავსადგურიდან?  
**ფრიოკენ ტესმანი.** მშვიდობით, მშვიდობით. მადლობა ღმერთს,  
ასესორი ისეთი თავაზიანია... კარამღე მიმაცილა.

**ტესმანი.** ჩვენ ძალიან ვწუხდით, რომ ეტლით ვერ მიგიყვანეთ.  
მაგრამ ხომ შენი თვალით დაინახე... ჰედას იმდენი ყუთი  
ქონდა... ყველა ერთად უნდა წაგვეღო.

**ფრიოკენ ტესმანი.** ჰო, მეტისმეტად ბევრი ყუთი... საუბედუროდ.  
**ბერტა (ტესმანს).** ქალბატონს ხომ არ ვეახლო? იქნებ რამე სჭირდებოდა?  
**ტესმანი.** არა, გმადლობ, ნუ წუხდები, ბერტა. ასე ბრძანა, თუ  
დამჭირდა, მე თვითონ დავურეკავო.

**ბერტა (მარჯვნივ გასვლისას).** ნება მისია.

**ტესმანი.** მოიცა, აი, ეს ჩემოდანი წაიღე.

**ბერტა (ჩემოდანს იღებს).** სხვენზე ავიტან. (წინაარსი გადის).

**ტესმანი.** წარმოგიდგენია, მამიდა, მთელი ჩემოდანი ამონაწერებით  
იყო გატენილი. არც კი მჯერა, იმდენი მასალა შევავსოვე  
სხვადასხვა არქივში! შესანიშნავი ძველებური სიგელ-გუჯრები;  
არავის წარმოდგენა არა აქვს მათზე...

**ფრიოკენ ტესმანი.** მჯერა, მჯერა; ტყუილად არ გაფლანგავდი  
ღროს შენი საქორწინო მოგზაურობისას.

**ტესმანი.** დიახ, შემიძლია თამამად ვთქვა. მაგრამ ქუდს რატომ არ  
იხდი, მამიდა? მოდი, ბაფთებს შეგიხსნი, ჰა?

**ფრიოკენ ტესმანი (ვიღრე ძმისწული ქუდის ბაფთებს უხსნის).** ღმერთო  
ჩემო! ზუსტად ისევე... როცა ჯერ კიდევ ჩვენთან ცხოვრობდი.

**ტესმანი (ხელში ატრიალებს ქუდს).** ეს რა ლამაზი ქუდი შეგიძენია!

**ფრიოკენ ტესმანი.** ჰო, ეს... ჰედას გულისთვის ვიყიდე.

**ტესმანი.** ჰედას გულისთვის? ჰა?

**ფრიოკენ ტესმანი.** დიახ, ქუჩაში ჩემთან ერთად გამოჩენა რომ  
არ ეუხერხულოს.

**ტესმანი (ლოყაზე უთათუნებს ხელს).** რა გულისხმიერი ხარ, მამიდა  
იუღე! (მაგიდის მახლობლად მდგარ სკამზე დებს ქუდს). ახლა კი,  
იცი რა? მოდი, ამ დივანზე ჩამოვსხდეთ და ჰედას  
გამოსვლამდე ვიქუქუქოთ.

**ფრიოკენ ტესმანი (დივანის ახლოს, კუთხეში აყუდებს ქოლგას, ტესმანის  
გვერდით ჯდება, ორივე ხელს აკიდებს და აკვირდება).** რა ბედნიერებაა,  
რომ კვლავ ჩვენთანა ხარ, იორგენ! ჭანმრთელი და  
სალსალამათი! ჩვენი განსვენებული იოკუმის ბიჭი!

**ტესმანი.** ახლა ჩემს სიხარულს აღარ იკითხავე?! არც კი მჯერა,  
რომ კვლავ შენთანა ვარ, მამიდა იუღე! შენ ხომ დედ-მამის  
მაგიერობა გამიწიე.

**ფრიოკენ ტესმანი.** ვიცი, ვიცი, რომ არ მოიძულებ შენს ბებერ მამიდებს.

**ტესმანი.** მამიდა რინა ისევ ისეა?.. არაფერი უკეთესობა ეტყობა, ჰა?

**ფრიოკენ ტესმანი.** არაფერი, ჩემო ძვირფასო. არცაა მოსალოდნელი. საცოდავი! წვეს ძველებურად, როგორც მთელი ამდენი წლის მანძილზე. ღმერთმა ინებოს და ცოტა ხანს კიდევ არ წამართვას იმისი თავი! თორემ არ ვიცი, რა მეშველება, რალა უნდა ვქნა, რალა ვაკეთო? მით უმეტეს, ახლა, როცა შენზე ზრუნვაც აღარ მკირდება.

**ტესმანი** (მხარზე უთათუნებს ხელს). ჰო, კარგი, კარგი...

**ფრიოკენ ტესმანი** (უეცრად იცვლის ტონს). წარმოგიდგენია?.. შენ ახლა ცოლიანი კაცი ხარ, იორგენ! თანაც, ვინ შეირთე ცოლად? — ჰედა გაბლერი! ლამაზი ჰედა გაბლერი! აბა, დაფიქრდი, რამდენი თაყვანისმცემელი ჰყავდა!

**ტესმანი** (თვითკმაყოფილი გამომეტყველებით ილიმება და ლილინებს). ჰო, მართლა, ახლა ამ ჩვენს ქალაქში ბევრი მოშურნე მეგობარი მეყოლება, ჰა!

**ფრიოკენ ტესმანი.** თანაც, ასე ხანგრძლივი საქორწინო მოგზაურობაც რომ მოახერხე?! ხუთ თვეზე მეტი, თითქმის ექვსი თვე...

**ტესმანი.** ჰო, ეს ჩემთვის რალაც სამეცნიერო მივლინებისნაირი იყო. რამდენი არქივის გადაქექვა მოვასწარი! რამდენი წიგნის წაკითხვა!

**ფრიოკენ ტესმანი.** წარმომიდგენია (უფრო იღუშალი კილოთი). ჰო, მართლა, იორგენ!.. არაფერი გაქვს ჩემთვის სათქმელი? არაფერი განსაკუთრებული?..

**ტესმანი.** ჩემი მოგზაურობის ამბავი?

**ფრიოკენ ტესმანი.** დი-ი-ახ...

**ტესმანი.** არა, არაფერი, გარდა იმისა, რასაც უკვე გწერდი. დოქტორის ხარისხი მივიღე... თუმცა ეს ხომ წუხელ გითხარი?

**ფრიოკენ ტესმანი.** არა, ეგ არა... მინდოდა მეკითხა... ხომ არაფრის მოლოდინი გაქვს?.. ანდა იმედი?

**ტესმანი.** იმედი?

**ფრიოკენ ტესმანი.** უფალო ღმერთო ჩემო, იორგენ!.. მე ხომ შენი ღვიძლი მამიდა ვარ?!

**ტესმანი.** ისე, იმედი, რა თქმა უნდა, მაქვს.

**ფრიოკენ ტესმანი.** ა-ა!



ტესმანი. იმედი და მერე რა იმედი! — დღეს თუ არა ხვალ პროფესორი გავხდები.

ფრიოკენ ტესმანი. პროფესორიო? ჰო-ო...

ტესმანი. ესე იგი... რაღა დაგიმალო? დარწმუნებულიც კი ვარ, რომ პროფესორობა არ ამცდება. მაგრამ ეს ხომ თავადაც მოგეხსენება, ჩემო ძვირფასო მამიდა იულე?

ფრიოკენ ტესმანი (ირონიულად იცინის). ცხადია, მომეხსენება, მართალი ბრძანდები (ტონს იცვლის)... მაგრამ თქვენს მოგზაურობაზე ვლავარაკობდით... ალბათ, ძალიან ძვირი დაჯდა, არა, იორგენ?

ტესმანი. მერე რა, სტიპენდიაც კაი გვარიანი მომცეს; სულზე მოსწრებასავით იყო.

ფრიოკენ ტესმანი. მაინც ვერა და ვერ გამიგია, როგორ იმყოფინეთ ორმა?

ტესმანი. მართლაც ძნელი გასაგებია! ჰა?

ფრიოკენ ტესმანი. ხოლო ქალთან ერთად მგზავრობა, როგორც ამბობენ, გაცილებით უფრო ძვირი ჯდება.

ტესმანი. რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ძვირი, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს მოგზაურობა ხომ აუცილებელი იყო ჰედასთვის, ნამდვილად აუცილებელი. თორემ უხერხული იქნებოდა, რას იტყოდა ხალხი?

ფრიოკენ ტესმანი. დიახ, დიახ, მართლა ასეა. საქორწინო მოგზაურობა ახლა თანდათან ჩვევად იქცა. მაგრამ თუ მოასწარი, კარგად დაგეთვალიერებინა ახალი სახლი?

ტესმანი. როგორ არა! დილაუთენია ფეხზე ვიყავი.

ფრიოკენ ტესმანი. მერედა, როგორ მოგეწონა აქაურობა?

ტესმანი. საუცხოოა! დიდებული! მხოლოდ ერთი რამ ვერ გამიგია: ეს ორი ზედმეტი ოთახი რაღად გვინდა, პატარა სასტუმროსა და ჰედას ბუდუარს შორის?

ფრიოკენ ტესმანი (იცინის). ეჰ, ჩემო ძვირფასო იორგენ, დაგჰირდებათ... დროთა განმავლობაში.

ტესმანი. თუმცა, ჰო, მართალი ხარ, მამიდა იულე! ჩემი ბიბლიოთეკა ხომ თანდათანობით გაიზრდება... ჰა?

ფრიოკენ ტესმანი. აი, სწორედ შენს ბიბლიოთეკაზე ვფიქრობდი, ჩემო ძვირფასო.

ტესმანი. ყველაზე მეტად კი ჰედას მაგივრად მიხარია. ჯერ კიდევ ჩვენს დანიშვნამდე ამბობდა, თუ ვიცხოვრებდი, სწორედ აქ,

სახელმწიფო მრჩევლის მეუღლის ფალკის სახლში  
ვიცხოვრებდით.

**ფრიოკენ ტესმანი.** ჰოდა, ბელიც ამასა ჰქვია: თქვენც  
გაემგზავრეთ და სწორედ მაშინ გამოცხადდა, იყიდებო.

**ტესმანი.** დიახ, ძვირფასო მამიდა იუღე, მართლაც რომ ბედმა  
გაგვიღიმა! ჰა!

**ფრიოკენ ტესმანი.** მაგრამ ძვირია, კარგო! ძვირი დაგიჯდება.

**ტესმანი** (ცოტა არ იყოს, ნირწაბლარი, შეშფოთებით უუარებს ქალს).  
მართლა ასეა, მამიდა, ჰა?

**ფრიოკენ ტესმანი.** ო, ღმერთო ჩემო! რა თქმა უნდა!..

**ტესმანი.** მაინც რამდენი? დაახლოებით? ჰა?

**ფრიოკენ ტესმანი.** აბა, რა გითხრა, სანამ ყველა ანგარიში არ  
მიგვიღია.

**ტესმანი.** კიდევ კარგი, რომ ასესორმა ბრაკმა ასეთი შეღავათიანი  
პირობები წამოაყენა. თვითონ მოსწერა ჰედას.

**ფრიოკენ ტესმანი.** ოღონდ შენ ნუ შეშფოთდები, ჩემო  
ძვირფასო... ავეჯისა და ხალიჩების თავდები მე ვარ.

**ტესმანი.** შენ? თავდები? კი მაგრამ, ძვირფასო მამიდა, რანაირად?  
რისი იმედით?

**ფრიოკენ ტესმანი.** იმ წიგნაკისა, რომლითაც ჩვენ ბანკიდან  
პროცენტებს ვიღებთ.

**ტესმანი** (წამოხტება). რაო?! შენი და მამიდა რინას კუთვნილი თანხის  
პროცენტებს?

**ფრიოკენ ტესმანი.** რა მექნა, მეტი ვერაფერი მოვიფიქრე.

**ტესმანი** (მის წინ დგება). მაგრამ მამიდა, შენ რა... ცოტა ხომ არ?!.

ეს ხომ შენი და მამიდა რინას ერთადერთი საარსებო წყაროა?

**ფრიოკენ ტესმანი.** კარგი ერთი, მაგაზე დაგიდგა დარდი. ეს ხომ  
წმინდა წყლის ფორმალობაა, გესმის? ასე თქვა ასესორმა  
ბრაკმა. სწორედ მან გამოიჩინა სიკეთე და... ყველაფერი  
მოაგვარა. თანაც თქვა, წმინდა ფორმალობააო.

**ტესმანი.** შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მაინც...

**ფრიოკენ ტესმანი.** ახლა შენ ხომ ხელფასს დაგინიშნავენ,  
მაშასადამე, გადახდა არ გაგიკირდება, ხოლო ჩვენ თუ  
ცოტაოდენ ხარჯს გავიღებთ და დასაწყისში  
შემოგვშველებით... ეს მხოლოდ სიამოვნებას მოგვანიჭებს.

**ტესმანი.** საყვარელო მამიდა, როდემდის უნდა გაიღო მსხვერპლი  
ჩემთვის?!

**ფრიოკენ ტესმანი** (დგება და ხელს მხრებზე აწყობს). საველი გზა  
გაგაიდვოლო, რა უნდა იყოს ჩემთვის ამაზე სასიამოვნო, ჩემო კარგო,  
უდემამოდ გაზრდილო ბიჭო?! ახლა კი, ლამის უკვე ვეწიეთ

მიზანს. მართალია, ზოგჯერ გვიჰქირდა... მაგრამ, მადლობა უფალს, ახლა უკვე სწორ გზაზე დგახარ, იორგენ!

ტესმანი. ჰო, მართლა საოცარია, როგორ აეწყო ყველაფერი.

ფრიოკენ ტესმანი. ყველა შენი მეტოქე, ვინც გზას გიღობავდა და წინსვლას გიშლიდა... იძულებული შეიქნა ქედი მოეხარა. ყველა პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. განსაკუთრებით, ის ვინც ყველაზე საშიში იყო. რას იზამ, რასაც დასთეს, იმას მოიმკი... გზას ასცდა, საბრალო!

ტესმანი. ეილერტისა ხომ არაფერი გაგიგონია? ესე იგი, მას შემდეგ, რაც ჩვენ გავემგზავრეთ?

ფრიოკენ ტესმანი. მარტო ის გავიგე, ახალი წიგნი გამოუციაო, მეტი არაფერი.

ტესმანი. ვის, ეილერტს? რას ამბობ, ახლახანს?

ფრიოკენ ტესმანი. რა ვიცი, ასე ამბობენ... არა მგონია, რამედ ვარგოდეს... შენ რაღას იტყვი? აი, როცა შენი ახალი წიგნი გამოვა, ის, ალბათ, სულ სხვა იქნება, იორგენ. მაინც რას ეხება?

ტესმანი. შუა საუკუნეების ბრაბანტულ ხელოსნობას.

ფრიოკენ ტესმანი. ღმერთო დიდებულო! ამისთანა საგანზე წერა არ გინდა?

ტესმანი. თუმცა ეს წიგნი არც ისე მალე გამოვა. ჯერ მთელი ის ზღვა მასალა უნდა მოვაწესრიგო, მე რომ შეეკრიბე...

ფრიოკენ ტესმანი. შეკრება და მოწესრიგება შენი საქმეა. მამაშენის შვილი არა ხარ?

ტესმანი. მართალი გითხრა, სული მეღვება, როდის ჩაუუჯდები ამ სამუშაოს. მით უმეტეს, ახლა, როცა, ბოლოს და ბოლოს, ველირსე ჩემს მყუდრო კუთხეს, შეიძლება გულიანად წაიმუშავო.

ფრიოკენ ტესმანი. მით უმეტეს, ახლა, როცა ცოლად შეირთე ის, ვინც გულით გინდოდა, ძვირფასო იორგენ!

ტესმანი. დიახ, დიახ, მამიდა იულე! ჰედა მართლაც რომ ყველაფერს აგვირგვინებს! (განზე იყურება). აი, მგონი, ისიც მოდის! ჰა?

პატარა ოთახში მარცხენა მხრიდან გამოჩნდება ჰედა. ოცდაცხრა წლისაა. სახის კეთილშობილური ნაკეთები, მოხდენილი ტანი, ამაყი მიხრა-მოხრა. ფერმკრთალია. რუხი თვალები ფოლადის ელვარებას აფრქვევენ. მზერა გულგრილობასა და აუმღვრეველ სიმშვიდეს გამოხატავს. ლამაზი, ქერა თმა აქვს, მაგრამ, არც ისე ხშირი. ვემოვნებით აცვია. დილის ხალვათ კაბაშია გამოწყობილი.

ფრიოკენ ტესმანი (ჰედას შესაგებებლად მიემართება). დილა მშვიდობისა, საყვარელო ჰედა! დილა მშვიდობისა!

ჰედა (ხელს უწვდის). გამარჯობათ, ძვირფასო ფრიოკენ ტესმან! ასეთი ადრიანი ვიზიტი! დიდი თავაზიანობაა თქვენის მხრივ.

ფრიოკენ ტესმანი (ცოტა არ იყოს, დარცხენილი). ჰმ... იმედი მაქვს, ახალგაზრდა ქალბატონს კარგად ეძინა ახალ სახლში.

ჰედა. გმადლობთ; ისე რა.

ტესმანი (იციინის). ისე რაო? კი მაგრამ, ჰედა!.. მე რომ ავდექი, მკვდარივით გეძინა.

ჰედა. საბედნიეროდ... თუმცა ყოველივე ახალს ხომ შეჩვევა სჭირდება, ფრიოკენ ტესმან... თანდათანობით. (მარცხნივ იყურება). აჰ, მოახლეს აივნის კარი გაულია. რა მზეა, რა სინათლეა!

ფრიოკენ ტესმანი (კარისკენ მიდის). ხომ არ მივხუროთ?

ჰედა. არა, არა!.. ძვირფასო ტესმან, თუ შეიძლება, ფარდები გადასწიე, ცოტა შეარბილებს სინათლეს.

ტესმანი (კართან). ახლავე. ახლავე... აი, ასე, ჰედა, ახლა ჩრდილიც გაქვს და გრილი ჰაერიც.

ჰედა. დიახ, გრილი ჰაერი აქ სწორედ სულზე მისწრებაა. ეს რამდენი ყვავილებია... კი მაგრამ, ჩემო მეგობარო... ხომ არ დაბრძანდებით, ფრიოკენ ტესმან?

ფრიოკენ ტესმანი. არა, გმადლობთ. ახლა ხომ ვიცი, რომ არაფერი არ გიქირთ! მადლობა ღმერთს! შინ წასვლის დროა! იქ ჩემი საბრალო ავადმყოფი მელოდება.

ტესმანი. თუ შეიძლება, ათასი მოკითხვა გადაეცით ჩემგან და უთხარით, მოგვიანებით თვითონვე გინახულებს-თქო.

ფრიოკენ ტესმანი. კეთილი, აუცილებლად. ჰო, მართლა, იორგენ, კინალამ დამავიწყდა (ჩიბეში იქექება). რალაცა მოგიტანე.

ტესმანი. მაინც რა, მამიდა, ჰა?

ფრიოკენ ტესმანი (გაზეთში გახვეულ თხელ შეკვრას იღებს და აწოდებს). აი, რა, გახსენი, ჩემო ძვირფასო!

ტესმანი (ხსენის). ღმერთო ჩემო! მაინც შეინახე, მამიდა იულე?! ჰედა!.. შეიძლება გაგიუდეს კაცი! ჰა?

ჰედა (მარჯვენა თაროსთან). რა არის, ჩემო მეგობარო?

ტესმანი. ჩუსტები! ჩემი ძველი, საშინაო ჩუსტები!

ჰედა. აჰ, აი, თურმე რა ყოფილა, მოგზაურობისას წამდაუწუმ რომ ახსენებდი.

ტესმანი. რა დამავიწყებდა? (ჰედას უახლოვდება). აი, ისინიც, შეხედე, ჰედა!

ჰედა (ლუმელისკენ მიეშურება). მართალი გითხრა, ნაკლებად მაინტერესებს.

ტესმანი (ფეხდაფეხ მისდევს). წარმოგიდგენია... მამიდა რინამ თავისი ხელით მომიქარგა... საწოლში იწვა ავადმყოფი და ქარგავდა! არც კი დაიჭერებ, რამდენი მოგონება მაკავშირებს მათთან!

ჰელა (მაგიდასთან). ეს შენი მოგონებებია და არა ჩემი.

ფრიოკენ ტესმანი. ჰელა მართალია, იორგენ.

ტესმანი. დიახ, დიახ, მაგრამ, ჩემის აზრით, ახლა, როცა ისიც ჩვენი ოჯახის წევრი გახდა...

ჰელა (აწყვეტივნებს). ამ მოსამსახურეს ნამდვილად ვერ ვიგუებთ, ტესმან.

ფრიოკენ ტესმანი. ვის ვერ იგუებთ... ბერტას?

ტესმანი. ძვირფასო... ეს რამ გათქმევინა? ჰა?

ჰელა (ხელით ანიშნებს). აბა, შეხედე, იქ, სკამზე, თავისი ძველი ქული დაუგდია.

ტესმანი (შეშინებულს ჩუსტები უვარდება ხელიდან). ჰელა!

ჰელა. ვინმე რომ შემოსულიყო და დაენახა?

ტესმანი. კი მაგრამ, ჰელა! ეს ხომ მამიდას ქულია!

ჰელა. მართლა?

ფრიოკენ ტესმანი (ქუდს იღებს). დიახ, ჩემია. და უნდა მოგახსენოთ, რომ სულაც არ არის ძველი, ძვირფასო ფრუ ჰელა.

ჰელა. რა ვქნა, კარგად შეთვალეირება ვერ მოვასწარი, ფრიოკენ ტესმან.

ფრიოკენ ტესმანი (ქუდის ბაფთებს იკრავს). და, თუ სიმართლე გნებავთ, პირველად მახურავს დღეს.

ტესმანი. და მერე, რა ლამაზია, თვალს ვერ მოსწყვეტ კაცი.

ფრიოკენ ტესმანი. არა უშავს რა, არა უშავს რა, ჩემო ძვირფასო. (აქეთ-იქით იუფრება). ქოლგა?.. აგერ ყოფილა! (იღებს). ესეც ჩემია... (ბუზღუნებს), და არა ბერტასი.

ტესმანი. ახალი ქული და ახალი ქოლგა! აბა, დაფიქრდი, ჰელა!

ჰელა. ძალიან ლამაზია, მომხიბლავი.

ტესმანი. რაც მართალია, მართალია; ჰა? შენ კი, მამიდა, წასვლის წინ... კარგად დაუკვირდი ჰელას! რა ლამაზი გვყავს, რა მშვენიერი!

ფრიოკენ ტესმანი. ჩემო ძვირფასო, განა ეს ახალი ამბავია? ჰელა ყოველთვის ლამაზი იყო. (თავს იქნევს და მხარმარჯვნივ მიემართება გასასვლელისკენ).

ტესმანი (ფეხდაფეხ მისდევს). ჰო, მაგრამ, თუ შეამჩნიე, როგორ გაიფურჩქნა და დასრულდა მოგზაურობის დროს?

ჰელა (ოთახის სიღრმისკენ მიემართება). მორჩი!..

ფრიოკენ ტესმანი (შეჩერდება და ბრუნდება). დასრულდა?  
ტესმანი. რა თქმა უნდა, მამიდა იუღე. მხოლოდ ამ კაბაში არ  
ეტყობა. მაგრამ მე ხომ მაქვს საფუძველი, ვიფიქრო, რომ...  
ჰელა (მინის კართან, სხაპასხუპით). აპ, არაფრის საფუძველი შენ არა  
გაქვს!..

ტესმანი. კი მაგრამ ტიროლის მთების სუფთა და გრილი ჰაერი?..  
ჰელა (აწყვეტინებს. მკვეთრად). რაც წასვლამდე ვიყავი, ზუსტად იგივე  
ვარ.

ტესმანი. მაგრამ ამას შენ ამბობ. ჩვენ კი უკეთ ვხედავთ. ხომ  
მართალი ვარ, მამიდა?

ფრიოკენ ტესმანი (დაეინებოთ მისჩერებია ჰელას, სასოებით ხელბეშეტყუ-  
კებული). ჰელა მშვენიერია... მშვენიერი... მშვენიერი! (უახლოვდ-  
ება, ხელისგულებში იქცევს მის თავს და თმაზე ჰკონის). უფალო,  
აკურთხე და დაიფარე ჰელა ტესმანი... იორგენისთვის!

ჰელა (ფრთხილად ითავისუფლებს თავს). კარგი, გეყოფათ...

ფრიოკენ ტესმანი (ხმადაბლა, გულაჩუყებული). ყოველდღე გი-  
ნახულვებთ.

ტესმანი. მოხარულნი ვიქნებით, მამიდა! ჰა?

ფრიოკენ ტესმანი. ნახვამდის, ნახვამდის! (წინკარში გადის).

ტესმანი აცილებს. ნახევრად ღიად დარჩენილი კარიდან მისი ხმა ისმის.  
ჩუსტებისათვის მადლობას მადლობაზე უხდის ფრიოკენ ტესმანს და მამიდა რინას  
მოკითხვას უთვლის. მთელი ამ ხნის მანძილზე ჰელა გამალებით ბოლოსას სცემს  
ოთახში, გაშმაგებული იმტრეკვს თითებს და ხელებს ისრებს. შემდეგ მინის კარს  
უახლოვდება, ფარდებს სწევს და შორეთს გაყურებს. რამდენიმე წუთის შემდეგ  
ტესმანი ბრუნდება და შემოსასვლელის კარს ხურავს.

ტესმანი (იატაკიდან იღებს ჩუსტებს). მანდ რას აკეთებ, ჰელა?

ჰელა (თავს ერევა, მშვიდად). ვდგავარ და ხეებს ვუყურებ. ყველაფერი  
როგორ დაქვანა, გაყვითლდა.

ტესმანი (ჩუსტებს ახვევს და მაგიდაზე დებს). რას იზამ, უკვე  
სექტემბერია.

ჰელა (კვლავ ნერვიულად). წარმოგიდგენია, უკვე სექტემბერი!

ტესმანი. ხომ არ მოგეჩვენა, რომ მამიდა იუღე რალაც უცნაური  
იყო... ჰა? რალაცნაირი ზეაწეული. თითქმის საზვიამო  
განწყობილება ჰქონდა. ნეტავი, რა დაემართა, ჰა?

ჰელა. მე ხომ თითქმის არ ვიცნობ მას. განა ყოველთვის ასეთი  
არ არის?

ტესმანი. არა, დღეს რომ იყო, ასეთი არა.

ჰელა (მინის კარს სცილდება). როგორ გგონია, ნაწყენი დარჩა ქულის  
გამო?

- ტესმანი. არა, არც ისე. მხოლოდ პირველ წამს... ოდნავ.
- ჰედა. კი მაგრამ, რა ჩვეულებაა, სასტუმრო ოთახში მიყარ-მოყარო შენი ნივთები. ასე არ შეიძლება.
- ტესმანი. დარდი ნუ გაქვს. მამიდა იულე მეტს აღარ იზამს.
- ჰედა. თუმცა ჩემს საქციელს გამოვისყიდი.
- ტესმანი. ო, ჩემო ძვირფასო ჰედა, შენ რომ მოინდომო?!
- ჰედა. როცა შეუვლი, ჩვენს დღევანდელ საღამოზე მოიპატიე.
- ტესმანი. აუცილებლად. იცი, კიდევ რა ეამება?
- ჰედა. რა?
- ტესმანი. რომ შეგეძლოს, თავს მოერიო და შენობით ელაპარაკო? რა იქნება, ჩემი გულისთვის. ჰედა! ჰა?
- ჰედა. არა, არა, ტესმან, თხოვნაც კი ზედმეტია. რამდენჯერ მითქვამს შენთვის. მამიდა კიდევ ჰო, ვეცდები დაეუძახო. ეს არის და ეს.
- ტესმანი. როგორც გენებოს. მაგრამ, ჩემის აზრით, ახლა, როცა ჩვენი ოჯახის წევრი გახდი...
- ჰედა. ჰმ... ჯერ კიდევ საკითხავია. (კვლავ ოთახის სიღრმისკენ მიემართება).
- ტესმანი (ცოტაოდენი შეყოვნებით). რა მოგივიდა, ჰედა? რამე ხომ არ გაწუხებს, ჰა?
- ჰედა. აი, ვუყურებ ამ ჩემს ძველ პიანინოს. მაინცდამაინც კარგად როდი ეხამება დანარჩენ მორთულობას.
- ტესმანი. როგორც კი პირველ ხელფასს ავიღებ, ვეცდები გამოვეცალო.
- ჰედა. არა, არა, ვერ შეველევი. უმჯობესია, იქ, პატარა ოთახში დაედგათ, მის ნაცვლად კი ახალი ვიყიდოთ. როცა შეეძლებთ, რა თქმა უნდა.
- ტესმანი (ცოტა არ იყო, ჩავარდნილი ხმით). ჰო... რა თქმა უნდა... რატომაც არა?..
- ჰედა (პიანინოდან იღებს თაიგულს). წუხელის, ჩვენ რომ მოვედით, ეს ყვავილები აქ არ იყო.
- ტესმანი. ალბათ, მამიდა იულემ მოიტანა.
- ჰედა (აკვირდება). სავიზიტო ბარათი. (იღებს და კითხულობს). მოგვიანებით შემოგივლით ... თუ ხვდები, ვინ?
- ტესმანი. ვერა. მაინც ვინ? ჰა?
- ჰედა. ფრუ ელესტედი, ფოგტის მეუღლე.
- ტესმანი. მართლა? ფრუ ელესტედი -- ფრიოკენ რიუსინგი, როგორც უწინ ეძახდნენ.

**ჰელა.** სწორედ ის. თავისი აუტანელი თმით. რომლითაც ყველას ყურადღებას იპყრობდა. შენი ძველი გატაცება, როგორც გადმომცეს.

**ტესმანი (იციის).** ჰო, ეს გატაცება დიდხანს არ გაგრძელებულა. მაშინ ჯერ კიდევ არ გიცნობდი. ჰელა. წარმოვიდგენია, ის აქაა, ქალაქში!

**ჰელა.** საოცარია, რომ მიღებას გვთხოვს. მე მას მხოლოდ ინსტიტუტიდან თუ ვიცნობ.

**ტესმანი.** მეც, ლმერთმა იცის, რამდენი წელია არ მინახავს. ნეტავ როგორ სძლებს იმ მივარდნილსა და მიყრუებულ მხარეში? ჰა?

**ჰელა (მცირედენი ფიქრის შემდეგ).** კი მაგრამ, ტესმან, იქვე, იმ მიყრუებულ მხარეში ხომ არ ტრიალებს ეილერტ ლეებორ-გიც?

**ტესმანი.** იქვე, იქვე, იმავე მხარეში.

წინკარიდან შემოდის ბერტა.

**ბერტა.** ქალბატონო! ისევ ის ქალია... აღრე რომ იყო და თაიგული მოიტანა. აი, ის, ხელში რომ გიჭირავთ.

**ჰელა.** ა! ისა? სთხოვეთ.

ბერტა კარს უღებს თვა ელესტედს, თვითონ კი გადის. თვა პატარა, გამხდარი ქალია, სახის რბილი და ლამაზი ნაკვთებით. ღია ცისფერი, დიდი, მრგვალი, ოდნავ გადმოკარკული თვალები ერთგვარ მიაპიტობას, შიშა და კითხვასაც გამოხატავენ. საუცხოო ქერა, თითქმის ოქროსფერი თმა აქვს, უჩვეულოდ სქელი და დაბალლული. ორიოდ წლით უმცროსია ჰელაზე. აცვია შავი საეიზიტო კაბა, რომელიც გემოვნებითაა შეყვრილი, მაგრამ არა უკანასკნელი მოდის მიხედვით.

**ჰელა (აღერსიანად ეუბნება).** გამარჯობათ, ძვირფასო ფრუ ელესტედ. ძალზე სასიამოვნოა, რომ კვლავ გხედავთ.

**თვა (ნერვიულად, ცდილობს მღელვარება დაიოკოს).** დიახ... რა ხანია, ერთმანეთს არ შეეხვედრივართ.

**ტესმანი (ხელს უწვდის).** არც ჩვენ. ჰა?

**ჰელა.** გმადლობთ, მშვენიერი თაიგულია...

**თვა.** რა სამადლობელია?.. გუშინ დღისითვე მინდოდა თქვენთან შემოვლა, მაგრამ გავიგე, რომ ჯერ კიდევ არ დაბრუნებულ იყავით საქორწინო მოგზაურობიდან.

**ტესმანი.** თქვენ თვითონ დიდხანია აქ ხართ, ქალაქში? ჰა?

**თვა.** მხოლოდ გუშინ ჩამოვედი. კინალამ სასოწარკვეთილებამ შემიპყრო, როცა გავიგე, რომ სახლში არ ბრძანდებოდით.

**ჰელა.** სასოწარკვეთილებამ? რატომ?

**ტესმანი.** კი მაგრამ, ძვირფასო ფრუ რიუსინგ... მიმიტყვეთ... ფრუ ელესტედ...



ჰედა. ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვათ?

თეა. დიახ, შემემთხვა. და თქვენს გარდა კაციშვილს არ ვიცნობ აქ, რომ რჩევა ვკითხო.

ჰედა (მაგიდაზე დებს თაიგულს). გთხოვთ... დივანზე ჩამოვსხდეთ.

თეა. აჰ, ისე ვნერვიულობ. რომ დამჭდარიც ვერ მოვისვენებ.

ჰედა. არაფერია, არაფერი. მოდი, ჩამოვსხდეთ (თეას ხელს ჰკიდებს, დივანზე სვამს და თვითონაც გვერდით უჯდება).

ტესმანი. აბა? რაშია საქმე, ფრუ ელესტედ?

ჰედა. თქვენ რა, იქ მართლა რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეგემთხვათ?

თეა. დიახ... შემემთხვა და არც შემემთხვა. აჰ, როგორ მინდა, რომ სწორად გამიგოთ.

ჰედა. თქვენც ადვიტით და პირდაპირ გვითხარით, ფრუ ელესტედ.

ტესმანი. განა ამისთვის არ მობრძანდით? ჰა?

თეა. დიახ, დიახ... რა თქმა უნდა... აი, რა... თუ არ იცით, უნდა მოგახსენოთ, რომ ეილერტ ლეებორგიც აქაა, ქალაქში.

ჰედა. ლეებორგი!..

ტესმანი. როგორ, ეილერტ ლეებორგი კვლავ აქაა?! გესმის, ჰედა?

ჰედა. ღმერთო ჩემო! ყრუ ხომ არა ვარ?

თეა. დიახ, აქაა. უკვე ერთი კვირა იქნება. წარმოგიდგენიათ? -- მთელი კვირა! აქ. ამ საშინელ ქალაქში! მარტო!.. აქ ხომ ისე ადვილია ცუდ წრეში ამოყო თავი!

ჰედა. ჩემო ძვირფასო ფრუ ელესტედ... მერედა, თქვენ რა?..

თეა (დაბნეული მისჩერებია, სხაპასუპით). ის ბავშვებს ასწავლიდა.

ჰედა. თქვენს ბავშვებს?

თეა. არა, ჩემი ქმრისას, მე უშვილო ვარ.

ჰედა. აა! თქვენს გერებს?

თეა. დიახ.

ტესმანი (დაბნეული). კი მაგრამ... ნუთუ იმდენად გამოსწორდა?.. ესე იგი, არ ვიცი, როგორა ვთქვა?.. იმდენად უკეთ შეიქნა, რომ შეიძლებოდა ამნაირი საქმე მიენდოთ მისთვის? ჰა?

თეა. ამ ბოლი ორი-სამი წლის განმავლობაში მასზე ვერაფერს ისეთს ვერ იტყოდით.

ტესმანი. მართლა? გესმის, ჰედა?!

ჰედა. მესმის.

თეა. ნამდვილად ვერაფერს, მენდეთ. ვერც ისე და ვერც ასე. მაგრამ მაინც... ახლა კი ის კვლავ აქაა... დიდ ქალაქში... თანაც ბევრი ფული აქვს. შიშისაგან სული მიმდის.

- ტესმანი. კი მაგრამ, რატომ იქ არ დარჩა?.. თქვენთან და თქვენს ქმართან? ჰა?
- თეა. რა ვიცი. როგორც კი მისი წიგნი გამოვიდა, ერთ ადგილას ველარა სძლებდა.
- ტესმანი. ჰო, მართლა... მაშიდა იულებაც მითხრა, ახალი წიგნი გამოსცაო.
- თეა. დიახ, დიახ, დიდი წიგნი... მგონი, კულტურის ისტორიას ეხება. უკვე ორი კვირა გავიდა. პირდაპირ იტაცებენ და სულმოუთქმელად კითხულობენ... არნახული წარმატებაა.
- ტესმანი. როგორი ამბავია?! ალბათ თავისი ძველი, კეთილად მოსაგონარი დროის მასალები გამოიყენა.
- თეა. ესე იგი, თქვენის აზრით, ეს მისი ძველი შრომის შედეგია?
- ტესმანი. რა თქმა უნდა.
- თეა. არა, ყველაფერი ჩვენთან ყოფნისას დაწერა... ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე.
- ტესმანი. ძალიან სასიამოვნოა... გესმის, ჰედა?
- თეა. ეჰ, ასე რომ გაგრძელებულიყო!
- ჰედა. უკვე შეხვდით?
- თეა. არა, ჯერ არა. ძალიან გამიჭირდა მისი მისამართის გაგება. მხოლოდ დღეს დილით, როგორც იქნა, მოვახერხე.
- ჰედა (დაეინებოთ მისჩერება). მართალი გითხრათ, ცოტა უცნაური კია, რომ თქვენი ქმარი... ჰმ...
- თეა (ნერვიულად აეროლებს). რა, ჩემი ქმარი?
- ჰედა. ... ამნაირი დავალებით გგზავნით ქალაქში. რატომ თვითონ არ ჩამოვა და მიხედავს თავის მეგობარს?
- თეა. აჰ, რას ამბობთ! ჩემს ქმარს ამის დრო სადა აქვს?.. ეგეც არ იყოს, ქალაქში ცოტაოდენი საყიდლები მქონდა...
- ჰედა (ოდნავ შესაჩნევი ღიმილით), ჰოო, ეს სულ სხვა საქმეა.
- თეა (სწრაფად დგება; ლეღავს). ძალიან გთხოვთ, გვევდრებით, ბატონო ტესმან, თუკი გეწვევათ, რაც შეიძლება... ალერსიანად მიიღეთ ლეებორგი! ისე კი, აუცილებლად გეწვევათ. ღმერთო ჩემო! თქვენ ხომ ოდესღაც ისეთი ახლო მეგობრები იყავით... თანაც, საგანიც ერთი და იგივე გაქვთ; რამდენადაც მე შემიძლია განვსაჯო, მეცნიერების ერთსა და იმავე დარგს ემსახურებით.
- ტესმანი. დიახ, დიახ, ყოველ შემთხვევაში, უწინ ასე იყო.
- თეა. იმიტომაც გთხოვთ ასე დაბეჯითებით... თქვენც გვევდრებით... გაუფრთხილდით ლეებორგს. ხომ მპირდებით, ბატონო ტესმან?
- ტესმანი. სიამოვნებით, ფრუ რიუსინგ...

ჰედა. ელესტედ.

ტესმანი. რაც შემძლია, არაფერს დავიშურებ ეილერტისთვის, მენდეთ.

თეა. რა კეთილი ხართ! (ხელს ართმევს). გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ! (თითქოს რაღაც გაახსენდაო, შეეზუნებოთ). ჩემი ქმარი ისე აფასებს!

ჰედა (ღებება). შენც ადექი და მისწერე, ტესმან, თორემ თვითონ შეიძლება არც კი შემოგვიაროს.

ტესმანი. დიახ, დიახ, ასე აჯობებს, ჰედა! ჰა?

ჰედა. და რაც უფრო მალე მისწერ, მით უკეთესი. მე მგონია, ახლავ, ამწამსვე.

თეა (თხოვნის კილოთი). აჰ, თქვენ რომ?!

ტესმანი. ამ წუთში. მისამართი თანა გაქვთ, ფრუ... ფრუ... ელესტედ?

თეა. დიახ. (ჩიბიდან ჩანაწერს იღებს და აწვდის). ინებეთ.

ტესმანი. კეთილი... ახლავ... უკვე მივდივარ... (აქეთ-იქით იყურება). ჰო, მართლა, ჩემი ჩუსტები? აგერ ყოფილა! (გაზეთში გახვეულ ჩუსტებს იღებს და გასასვლელისკენ მიემართება).

ჰედა. გულთბილი, მეგობრული წერილი მისწერე. რაც შეიძლება ვრცელი... როგორც საქმე მოითხოვს.

ტესმანი. კი, ბატონო.

თეა. მაგრამ თუ ღმერთი გწამთ, არც ერთი სიტყვა იმაზე, რომ მე გთხოვეთ.

ტესმანი. რა თქმა უნდა! ჰა? (მხარმარაჩენივ მიემართება, პატარა ოთახის გავლით).

ჰედა (თეას უახლოვდება, ულიმის და თითქმის ჩურჩულით ეუბნება). ესეც ასე; აი, ამას ჰქვია ერთი გასროლით ორი კურდღლის მოკვლა.

თეა. ეგ როგორ გავიგოთ?

ჰედა. რაო. არ გესმით? ხომ უნდა გაგვესტუმრებინა აქედან?

თეა. დიახ... წერილის დასაწერად...

ჰედა. და იმიტომაც, რომ... პირისპირ მელაპარაკა შენთან.

თეა (დარსხვებით). ისეც იმაზე?

ჰედა. რა თქმა უნდა.

თეა (შეგყრთალი). მაგრამ მეტი რომ არაფერია, ფრუ ტესმან?! ღმერთმანი, არაფერი!

ჰედა. არა, ჩემო ძვირფასო, არის და მერე რამდენი რამ არის! ამდენს კი მივხვდი! მოდი, დავსხდეთ და გულახდილად ვილაპარაკოთ. (თეას თითქმის ძალით სვამს საეარძელში, ლუმელის ახლოს, თვითონ კი იქვე, მის გვერდით, პუფზე ჯდება).

- თეა (შეშფოთებით დაჰყურებს საათს). მაგრამ, ძვირფასო ფრუ ტესმან... მე უკვე წასვლას ვაპირებდი...
- ჰელა. არაფერია, დრო მოითმენს... აბა, ახლა კი მიაშვებ, რასა იქმთ, რას საქმიანობთ სახლში, ოჯახში?
- თეა. აჰ, მომკალით და ამაზე ნუ მალაპარაკებთ.
- ჰელა. კი მაგრამ, მე მერიდებით, ჩემო ძვირფასო?.. ღმერთო ძლიერო, ჩვენ ხომ ერთად ვსწავლობდით?!
- თეა. მართალს ბრძანებთ... მაგრამ თქვენ ერთი წლით წინ იყავით... აჰ, როგორ მეშინოდა თქვენი მაშინ!
- ჰელა. გეშინოდათ? ჩემი?
- თეა. დიახ, სასტიკად. კიბეზე ისე ვერ აგივლიდით გვერდს, რომ ჩემთვის თმები არ მოგეჭაჩათ.
- ჰელა. რას ამბობ, მართლა?
- თეა. ერთხელ ისიც კი მითხარით, თმებზე ცეცხლს წაგიკიდებო.
- ჰელა. ჰო, ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობა იყო!
- თეა. ცხადია, მაგრამ მე ისეთი სულელი ვიყავი მაშინ... მერე კი... ყოველ შემთხვევაში... ჩვენი გზები სულაც გაიყარა... ჩვენ ხომ სრულიად სხვადასხვა წრეს ვეკუთვნოდით.
- ჰელა. მაშ, ახლა მაინც ვცადოთ ერთმანეთთან დაახლოება... მომისმინეთ! ინსტიტუტში ჩვენ შენობით ველაპარაკებოდით და სახელით მივმართავდით ერთიმეორეს.
- თეა. ოჰ, არა, არა, ღმერთმანი, სცდებით.
- ჰელა, არა, არ ვცდები. მშვენიერად მახსოვს! მაშ, მოდი, კვლავ ვიმეგობროთ, უწინდებურად... (ახლოს უჩოჩდება). აი, ასე. (ლოყაზე ჰკოცნის). ახლა შენობით მომმართე და ჰელა დამიძახე!
- თეა (ხელზე ხელს უქერს და უაღერებს)... ამდენი სითბო და თანაგრძნობა!.. ეს ჩემთვის უცხო ხილია!..
- ჰელა. კარგი, გეყოფა... მე შენ უწინდებურად შენობით მოგმართავ და ჩემს საყვარელ თორას გიწოდებ.
- თეა. მე თეა მქვია.
- ჰელა. თუმცა ჰო, რა თქმა უნდა! მეც სწორედ თეა მინდოდა მეთქვა. (თანაგრძნობით უცქერის). მაშ, სითბო და თანაგრძნობა შენთვის უცხო ხილია, თეა? თვით შენს საკუთარ ოჯახშიც?
- თეა. ეჰ, ოჯახი რომ მქონდეს? სად მაქვს ოჯახი? არც არასოდეს მქონია.
- ჰელა. (ერთი წუთით აკვირდება). ჰო, რაღაც ამდაგვარს კი მიგრძნობდა გული.
- თეა. (უშფოლდ იყურება წინ). დიახ... დიახ... დიახ.

ჰედა. ახლა კარგად არც მახსოვს... თავდაპირველად, შენ, მგონი, მნედ მუშაობდი ფოგტის სახლში.

თეა. კაცმა რომ თქვას, პირველად მე აღმზრდელად მიმიწვიეს. მაგრამ ფოგტის პირველი ცოლი... ისეთი ავადმყოფი ქალი იყო... ერთავად ლოგინში იწვა... ჰოდა, ძალაუწებურად, მნეობაც შევითავსე.

ჰედა. ბოლოს და ბოლოს კი... დიასახლისიც გახდი, არა?

თეა (მძიმედ ამოიხრებს). დიახ, დიასახლისი.

ჰედა. მოიცა, რამდენი წელი გავიდა მას მერე?

თეა. მას მერე, რაც მე გავთხოვდი?

ჰედა. დიახ.

თეა. აგერ უკვე ხუთი წელი იქნება.

ჰედა. მართალია, ზუსტად ასეა.

თეა. ო, ეს ხუთი წელიწადი... უფრო სწორად... უკანასკნელი ორი-სამი წელი! აჰ, თქვენ ვერ წარმოიდგენთ!..

ჰედა (წკიპურტს ჰკრავს ხელზე). ისევ თქვენ! ასე არ ვარგა, თეა!

თეა. არა, არა, ვეცდები არ დავივიწყო... აჰ, თქვენ... მომიტყვეთ... შენ რომ იცოდე...

ჰედა (ვითომ სასხვათაშორისოდ). მგონი ეილერტ ლევბორგმაც სამი წელი იქ გაატარა.

თეა (შეცბუნებული მისჩერებია). ეილერტ ლევბორგმაც?.. დიახ.

ჰედა. შენ მას აქ, ქალაქშივე იცნობდი?

თეა. თითქმის არა; ისე, რა თქმა უნდა, სახელი კი გამეგონა.

ჰედა. იქ კი... ხშირად იყო თქვენსას?

თეა. დიახ, ყოველდღე. როგორც ბავშვების მასწავლებელი. მარტო მე ყველაფერს ვერ აუდიოდი.

ჰედა. გასაგებია... ისე, შენი ქმარი? ალბათ, ხშირად უწევს სახლს გარეთ ყოფნა!

თეა. დიახ, თქვენ... შენ ხომ მოგეხსენება, ფოგტს ხშირად უწევს თავისი ოლქის შემოვლა.

ჰედა (სავარძლის სახელურს ვყრდნობა). თეა... ჩემი საბრალო, საყვარელი თეა... ახლა შენ ყველაფერი უნდა მიაბზო, დაუფარავად.

თეა. უმჯობესია, თავად მკითხო.

ჰედა. მაინც რა კაცია ეს შენი ქმარი? ესე იგი, როგორია შინაურობაში? კარგად გეპყრობა?

თეა (პირდაპირ პასუხს თავს არიდებს). თვითონ, რა თქმა უნდა, თვლის, რომ შეუძლებელია უკეთ მოეპყრო ქალს.

**ჰედა.** მე კი მგონია, რომ ის... შენთვის ძალზე ხნიერია. ერთი ოცი წლით შენზე უფროსი ხომ იქნება?

**თეა** (გალიზიანებული). ჰო, ესეცა... ყველაფერი ერთმანეთს ერთვის... სად მე და სად ის... არაფერი გვაქვს საერთო... სრულიად არაფერი.

**ჰედა.** თუ უყვარხარ მაინც? თუნდაც თავისებურად?

**თეა.** არ ვიცი, ლმერთმანი, არაფერი არ ვიცი... ისე, ალბათ, ვკირდები, როგორც დიასახლისი... თანაც, რა ძვირი მე ვარ?.. იაფი ცოლი!..

**ჰედა.** აი, ეს კი სისულელეა, შენის მხრივ.

**თეა** (თავს აჩვენებს). თავს ზევით ძალა არ არის... მით უმეტეს, მის ხელში. მე მგონია, ამქვეყნად არაეინ არ უყვარს, თავისი თავის გარდა; ცოტათი შეიძლება კიდევ -- ბავშვები.

**ჰედა.** ეილერტ ლეებორგიც მიათვალე.

**თეა** (უყურებს). ეილერტ ლეებორგი? ვინ მოგახსენა?

**ჰედა.** კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო... მე მგონია, რახან მის კვალდაკვალ გზავნის... (ოდნა შესაშინევი ლიპლით). ეგეც არ იყოს, აკი თვითონ უთხარი ტესმანს!

**თეა** (ნერვიულად აეჩოლებს). აჰ, ასე?.. ჰო, როგორც ჩანს... (ანაზღეული სიფიცხით). არა, უმჯობესია, ყველაფერი პირდაპირ გითხრა. სულ ერთია, მაინც არაფერი დაიმალება.

**ჰედა.** კი მაგრამ, ჩემი ძვირფასო თეა...

**თეა.** დიახ, აი, ორიოდ სიტყვით: ჩემს ქმარს არც კი გაუგია, რომ წამოვედი.

**ჰედა.** რა-ა? შენს ქმარს არ გაუგია?..

**თეა.** რა თქმა უნდა. არც იყო სახლში. საქმეზე გახლავთ წასული. მე კი ძალა არ მეყო, ჰედა. ველარ გავუძღე. ისეთი სიმარტოვე მელოდა შინ!..

**ჰედა.** კი მაგრამ, როგორ?..

**თეა.** როგორ და ისე, რომ სასწრაფოდ მოვაქუჩე მთელი ჩემი ბარგი-ბარხანა... მხოლოდ ყველაზე აუცილებელი... არავის არაფერი არ გაუგია... და წამოვედი.

**ჰედა.** ასე ჭიქურ ადექი და წამოხვედი?!

**თეა.** დიახ, მატარებელში ჩავჯექი და, აი, ახლა აქა ვარ.

**ჰედა.** თეა, ჩემო ძვირფასო თეა!.. როგორ გაბედე?!

**თეა** (დგება და განზე გადის). მეტი რა გზა მქონდა?

**ჰედა.** კი მაგრამ, როგორ გგონია, რას იტყვის შენი ქმარი, როცა შინ დაბრუნდები?

**თეა** (მაგიდასთან; ჰედას მისჩერებია). მე მასთან... დავბრუნდები?

ჰედა. აბა, რამ იზამ?

თეა. არასოდეს!

ჰედა (დგება და მასთან მიდის). შენ რა... მართლა სცილდები?

თეა. სხვა გამოსავალი არ დამრჩენია.

ჰედა. კი მაგრამ... ასე აშკარად?

თეა. სულერთია, მაინც არაფერი დაიმალება.

ჰედა. მერედა, რას იტყვიან შენზე?.. დაფიქრდი, თეა!

თეა. რაც უნდათ, ის თქვან! (მძივდ, მოღლილი ეშვება სავარძელში). როგორც უნდა მოვქცეულიყავი, ისე მოვიქცევი. ეს არის და ეს.

ჰედა (მცირეოდენი პაუზის შემდეგ). ახლა რაღას აპირებ? რას უნდა მოჰკიდო ხელი?

თეა. აბა, რა გითხრა? ერთი ის ვიცი, რომ იქ უნდა ვიყო, სადაც არის ეილერტ ლევბორგი... თუკი, საერთოდ, მიწერია სიცოცხლე.

ჰედა (მაგიდის კილიდან სკამს იჩოჩებს, თეას გვერდით ჯდება და ხელზე ეფერება). მომისმინე, თეა... როგორ დიწყო ეს. შენი მეგობრობა ეილერტ ლევბორგთან?

თეა. როგორ გითხრა... თანდათანობით, მე თითქოს შევეძელი ერთგვარი გავლენა მომეპოვებინა მასზე.

ჰედა. ოჰო!

თეა. დიახ, თავის ძველ ჩვევებზე აიღო ხელი. არა, ჩემი თხოვნით კი არა, -- მე ვერასოდეს გავბედავდი, რაიმე მეთხოვა მისთვის. როგორც ჩანს შეამჩნია, რომ არ მომწონდა მისი საქციელი და თვითონვე ჩადგა კალაპოტში.

ჰედა (ძალით იოკებს უნებურად გამკრთალ ზიზღნარევ ლიბლს). ასე რომ, შენ, როგორც იტყვიან, დაცემული აღადგინე, ძვირფასო თეა!

თეა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ამბობს, მაგრამ მანაც... თავის მხრივ... თუ შეიძლება ასე ითქვას, ნამდვილ ადამიანად მაქცია. მასწავლა, როგორ მეაზროვნა და... გამეგო.

ჰედა. მაშასადამე, შენც გასწავლიდა?..

თეა. არა, კი არ მასწავლიდა... ისე... მესაუბრებოდა. მერედა, რამდენ რამეზე! და, აი, დადგა ის ბედნიერი, ის ნეტარი ღრო, როცა მე მისი შრომის მონაწილე გავხდი. ნება დამართო, დავხმარებოდი.

ჰედა. რას მეუბნები?

თეა. დიახ, ისე არაფერს დაწერდა, რომ რჩევა არ ეკითხა ჩემთვის. ჩვენ ყოველთვის ერთად ვმუშაობდით.

ჰედა. ნამდვილი მეგობრებივით?

თეა (აღფრთხიანებით). მეგობრებივით! შენ ვერ წარმოიდგენ, ჰედა, როგორ ლაპარაკობდა!.. აჰ, მე მართლაც უბედნიერესად უნდა მიმეჩნია ჩემი თავი. მაგრამ ვაი რომ ვერ ვებედავ! მე ხომ არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს.

ჰედა. განა ასე ნაკლებ ენდობი?

თეა (ძლივძლივობით ითქვამს სულს). ჩემსა და ეილერტ ლევბორგს შორის ერთი ქალის აჩრდილი დგას.

ჰედა (დაძაბული ყურადღებით უსჯერის). ნეტავი ვისი?

თეა. არ ვიცი. როგორც ჩანს... ძველი სიყვარულის, რომელიც მან ვერ იქნა და საბოლოოდ ვერ ამოიგდო გულიდან.

ჰედა. კი მაგრამ... განა თვითონვე გითხრა?

თეა. მხოლოდ ერთხელ გადამიკრა სიტყვა... ისიც სხვათა შორის.

ჰედა. მაინც რა გითხრა?

თეა. მითხრა, განშორებისას კინალამ ტყვია მესროლაო.

ჰედა (თავს ერევა, ცივად). ვითომ? რაღაც აქაურ ზნე-ჩვეულებებს არა ჰგავს.

თეა. დიახ. ამიტომაც მგონია, რომ ეს ქალი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ქერა მომღერალი, რომელსაც ეილერტი ერთხანს...

ჰედა. ჰო, რა თქმა უნდა.

თეა. მახსოვს, მასზე მითხრეს, ერთადად თან დაატარებს გატენილ რევოლვერსო.

ჰედა. დიახ, ისაა, რა თქმა უნდა, ის.

თეა (თითებს იმტერებს). ჰოდა, წარმოგიდგენია, ჰედა, მე გავიგე, რომ ეს მომღერალი... კვლავ აქაა, ქალაქში. აჰ, ისეთი სასოწარკვეთილება მიპყრობს...

ჰედა (აღმაცერად უყურებს პატარა ოთახის კარს). ჩუუ!.. ტესმანი... (დგება, ჩურჩულით). თეა... ყველაფერი ეს ჩვენს შორის უნდა დარჩეს.

თეა. ოჰ, რა თქმა უნდა.

ტესმანი მარჯვენა მხრიდან შემოდის პატარა ოთახის გავლით. ხელში წერილი უჭირავს.

ტესმანი. ესეც ასე... ეპისტოლე მზადაა.

ჰედა. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ფრუ ელესტედი, როგორც ჩანს, წასვლას აპირებს. ერთ წუთს მოიცა. კიშკრამდე მივაცილებ.

ტესმანი. იცი რა, ჰედა, არ შეიძლება, რომ, აი, ეს ბერტამ გაგზავნოს?

წინკარიდან შემოდის ბერტა.



**ბერტა.** ასესორი ბრაკი გეახლათ; ამბობს, ძალიან მინდა ბატონების ნახვაო.

**ჰედა.** სთხოვეთ... მერე კი, აი, ეს წერილი ჩაადეთ საფოსტო ყუთში.

**ბერტა** (წერილს იღებს). ბატონი ბრძანდებით (კარს უღებს ასესორს და მიდის).

ასესორი ბრაკი ორმოცდახუთი წლის კაცია, ტანდაბალი, მაგრამ მოხდენილი აღნაგობისა, მსუბუქი, ელასტიური მიხრა-მოხრით. მრგვალი სახე, კეთილშობილი პროფილი. ჭერ კიდევ თითქმის მთლიანად შავი თმა მოკლედ აქვს შეკრეპილი და საგულდაგულოდ დახვეული. ოცხალი, მკვირცხლი თვალები. სქელი წარბები და ასევე სქელი, ბოლოებშეკრეპილი უღვაშები. ელეგანტურად აცვია, თუმცა, თავისი ასაკის კვალობაზე, ცოტა არ იყოს, ახალგაზრდულად; სასეირნო კოსტიუმშია გამოწყობილი. ზედმეტად აწვალებს -- ხან იკეთებს, ხან იხსნის პენსეს.

**ბრაკი** (ხელში შლაპა უპირავს. თავის დაკვრით ესალმება მასპინძლებს). ხომ მომიტევენთ ესოდენ ნაადრევ ვიზიტს?

**ჰედა.** მოგეიტევენია.

**ტესმანი** (ხელს ართმევს). თქვენ ყოველთვის ჩვენი სასურველი სტუმარი ხართ. (ერთმანეთს აცნობს). ასესორი ბრაკი... ფრიოკენ რიუსინგი.

**ჰედა.** აჰ!

**ბრაკი** (ესალმება). ძალიან სასიამოვნოა...

**ჰედა** (უყურებს და იცინის). მართლა ერთ რამედ ღირს დღის სინათლეზე თქვენი შეხედვა, ასესორო.

**ბრაკი.** რაიმე ცვლილებას მამჩნევთ?

**ჰედა.** დიახ, თქვენ თითქოს გაახალგაზრდავდით.

**ბრაკი.** დიდად გმადლობთ.

**ტესმანი.** ჰედაზე რაღას იტყვით? ჰა? როგორ გალალდა, გალა-მაზდა, ნამდვილი...

**ჰედა.** თუ შეიძლება, მე თავი დამანებე. უმჯობესია მადლობა მოახსენო ასესორს; რაც მან ჩვენი გულისთვის იწვალა...

**ბრაკი.** რას ბრძანებთ... ეს ჩემთვის მხოლოდ სიამოვნებაა...

**ჰედა.** დიახ, თქვენ ნამდვილი გაჭირვების ტალ-კვესი ხართ. მაგრამ, მე ვატყობ, ჩვენს მეგობარს ეჩქარება... ჭერჭერობით, ასესორო. ახლავე დავბრუნდები.

ურთიერთგამოსალმება. თეა და ჰედა წინკარიდან გადიან.

**ბრაკი.** მაშ, ასე... თქვენი მეუღლე, როგორც ჩანს, მთლად უკმაყოფილო არ უნდა იყოს.

ტესმანი. რას ბრძანებთ, ალარც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ  
მადლობა... მართალია, რალაც უნდა გადაადგილდეს... რალაცა  
უნდა შეივსოს. ზოგ-ზოგი წერილმანის შექენა დაგეჰირდება.  
ბრაკი. მართლა?  
ტესმანი. რა თქმა უნდა, თქვენ ალარ შეგაწუხებთ. ჰედას სურს,  
ყველაფერი თვითონვე მოაგვაროს... ხომ არ ჩამოვსდეთ? ჰა?  
ბრაკი. გმადლობთ. სულ ერთი წუთით. (მაგიდასთან ჯდება). რალაც  
უნდა გაცნობოთ, ძვირფასო ტესმან.  
ტესმანი. ა-ა, გასაგებია! როგორც ჩანს, ახლა იწყება ზემის  
საქმიანი ნაწილი! ჰა?  
ბრაკი. ისე, გადახდას ჯერჯერობით გვაცდიან. თუმცა, მე უკვე  
უნანობ, რომ ცოტა მეტი მომჰირნეობა არ გამოვიჩინეთ.  
ტესმანი. კი მაგრამ, სხვანაირად რომ არ შეიძლებოდა? ჰედაზეც  
იფიქრეთ, ძვირფასო ასესორო. თქვენ ხომ კარგად იცნობთ  
მას... განა შემეძლო მდაბიური ცხოვრება შემეთავაზებინა  
მისთვის?  
ბრაკი. არამც და არამც... საუბედუროდ.  
ტესმანი. ეგეც არ იყოს, ჩემი დანიშენაც ხომ, საბედნიეროდ,  
კარზეა მომდგარი.  
ბრაკი. იცით რა?.. ასეთი რამ ზოგჯერ კაი გვარიანად ჰიანურდება.  
ტესმანი. რაო, რამესთვის ხომ არ მოგიკრავთ ყური? ჰა?  
ბრაკი. არა, ისეთი არაფერი... (მკვეთად წყვეტს სიტყვას)... მაგრამ  
ერთი ახალი ამბავი ნამდვილად შემიძლია გაცნობოთ.  
ტესმანი. რა?  
ბრაკი. თქვენი ძველი მეგობარი ეილერტ ლევბორგი კვლავ  
ქალაქშია.  
ტესმანი. ეს უკვე ვიცი.  
ბრაკი. როგორ? ვინ გითხრათ?  
ტესმანი. ვინ და, აი, იმ ქალბატონმა, ჰედამ რომ გააცილა.  
ბრაკი. აჰ, აი, თურმე რა?.. ჰო, მართლა, რა ჰქვია? კარგად ვერ  
გაეიგონე.  
ტესმანი. ფრუ ელვსტედი.  
ბრაკი. ა-ა! ფოგტის ცოლი. ლევბორგი, მგონი, მათთან ცხოვრობდა.  
ტესმანი. დიახ. წარმოგიდგენიათ, რა სასიხარულო იყო იმის გაგება,  
რომ კვლავ წესიერ კაცად ჰქეულა.  
ბრაკი. დიახ, რალაც ამგვარს ამბობენ.  
ტესმანი. და ახალი წიგნიც დაუწერია! ჰა?  
ბრაკი. მაშ, მაშ!

ტესმანი. პოდა დიდი ინტერესიც გამოუწვევია.

ბრაკი. არნახული ინტერესი, დიახ.

ტესმანი, წარმოგიდგენიათ? რა სასიამოვნოა!.. ეილერტი ხომ არაჩვეულებრივად ნიჭიერია... მე კი ლამის ჭვარი დავუსვი.

ბრაკი. განა მარტო თქვენ, მგონი, ყველამ, ვინც მას იცნობდა.

ტესმანი. მხოლოდ ერთი ვერ გამოიგია. ახლა რა უნდა ქნას? თუ ღმერთი გწამთ!.. რითი აპირებს ცხოვრებას? ჰა?

მის უკანასკნელ სიტყვებზე გამოჩნდება უკან დაბრუნებული ჰედა. წინკარიდან შემოდის.

ჰედა (ბრაკს, მსუბუქი, ზიზნარევი დაცინვის კილოთი). ტესმანს სულ ეს კითხვა აწვალებს -- რითი უნდა იცხოვროს კაცმა?

ტესმანი. ღმერთო დიდებულო!.. ჩვენ ხომ იმ საბრალო ეილერტ ლეებორგზე ვლაპარაკობდით!

ჰედა (მცდელი თვალთ შეხდავს ქმარს). მართლა? (სავარძელში ჯდება, ღუმელთან. გულგრილი ტონით). რა დაემართა?

ტესმანი. რა და, თავისი მემკვიდრეობა, ალბათ, რა ხანია გაფლანგა და გაანიავა. ახალ წიგნს კი ყოველ წელს ხომ ვერ დაწერს? ჰა? პოდა, მე გეკითხებით, რა ეშველება-მეთქი?

ბრაკი. ამის თაობაზე მე შემიძლია რალაცა გითხრათ.

ტესმანი. კერძოდ?

ბრაკი. არ დაგავიწყდეთ, რომ მას ნათესაეები ჰყავს და საკმაოდ გავლენიანი ნათესაეებიც.

ტესმანი. სამწუხაროდ, ყველამ ზურგი აქცია.

ბრაკი. მაგრამ ოდესღაც ის ოჯახის სიამაყედ და სასოებად ითვლებოდა.

ტესმანი. დიახ. ოდესღაც! მაგრამ რაც მოხდა, თავის თავს დააბრალოს.

ჰედა. ვინ იცის, ვინ იცის?! (ირონიული ლიპლით). აკი, იქ, ფოგტის სახლში, კეშმარიტ გზაზე დააყენეს...

ბრაკი. ამას დაუმატეთ მისი ახალი წიგნიც.

ტესმანი. დიახ, დიახ. ღმერთმა ქნას, რომ ხელი შეაშველონ. აი, მე, ეს-ესაა, წერილი გავუგზავნე. იცი, ჰედა, დღეს საღამოს ჩვენთან მოვიპატიე.

ბრაკი. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, ხომ შემპირდით, რომ მარტოხელა კაცს პატივს დამდებდით და ჩემთან გაატარებდით დროს? აკი ნაესადგურშივე მომეციოთ სიტყვა?

ჰედა. დაგავიწყდა, ტესმან?

ტესმანი. რა ვქნა, დამავიწყდა!

ბრაკი. თუმცა, მერწმუნეთ, ლევბორგი, ალბათ, არც მოვა.

ტესმანი. ვითომ რატომო? ჰა?

ბრაკი (დგება და სკამის ზურგზე ხელდაყრდნობილი თითქოს ძალაუნებურად ამბობს). იცით რა, ჩემო ძვირფასო ტესმან... და თქვენც ფრუ ტესმან?... ცული მეგობარი ვიქნებოდი, რომ არ მეცნობებინა თქვენთვის რაღაც... რაღაც ისეთი...

ტესმანი. რაც ეილერტ ლევბორგს ეხება?

ბრაკი. მასაც და თქვენც.

ტესმანი. მაინც რა, ძვირფასო ასესროო?

ბრაკი. როგორც ჩანს, მზად უნდა იყოთ იმისთვის, რომ თქვენი დანიშვნა არც ისე მალე მოხდება, როგორც თქვენ გსურთ და მოელოთ.

ტესმანი (შეშფოთებული წამოვარდება სკამიდან). რაიმე უსიამოვნებაა? ჰა?

ბრაკი. ალბათ, კონკურსი გამოცხადდება...

ტესმანი. კონკურსიო? გესმის, ჰედა?!

ჰედა (უფრო ღრმად ეფლობა საეარძელში). ძალიანაც კარგი.

ტესმანი. მაინც ვინაა ეს... ეს კონკურენტი? ნუთუ...

ბრაკი. დიახ, სწორედ ეილერტ ლევბორგი.

ტესმანი (ხელი-ხელს შემოკრავს). არა, ეს დაუყერებელია!.. ეს... ეს... ყოველად შეუძლებელია! ჰა?

ბრაკი. ჰმ... როგორც ჩანს, ამასაც მოვესწრებით.

ტესმანი. კი, მაგრამ, მომისმინეთ! ეს რა გამოდის?! ეს ხომ ისეთი უტაქტობაა ჩემს მიმართ! (ხელებს იქნევს). აბა, დაფიქრდით, მე ცოლიანი კაცი ვარ! ჩვენ ხომ მხოლოდ ამ დანიშვნის იმედით დაექორწინდით!.. რამდენი ფული დავხარჯეთ!.. მამიდა იულესაც ვესესხეთ!.. წარმოგიდგენიათ? მე ხომ თითქმის დაბეჯითებით შემპირდნენ ამ ადგილს! ჰა?

ბრაკი. ნუ ლელავთ... თქვენ მას, ალბათ, მაინც მიიღებთ, მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ კონკურსით.

ჰედა (სავარძელში გაუნძრევლად). აბა, დაფიქრდი, ტესმან... ეს რაღაც რბოლასავით იქნება!

ტესმანი. კი მაგრამ, ძვირფასო ჰედა, ამ დროს ასეთი გულგრილობა ჩემთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარია.

ჰედა. გულგრილობაო? პირიქით, შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ მაინტერესებს შედეგი.

ბრაკი. ყოველ შემთხვევაში, ფრუ ტესმან, კარგია, რომ საქმის ვითარებას იცნობთ... მით უმეტეს, ახლა... ესე იგი, სანამ იმ

პატარა წვრილმანების ყიდვას შეუდგებოდეთ, რასაც, როგორც გადმომცეს, თურმე აპირებთ.

ჰედა. ო-ო! ამ მხრივ, არაფერი არ შეიცვლება!

ბრაკი. მართლა? მაშინ სხვა საქმეა. ეგეც არ იყოს... ნახვამდის (ტესმანს). ნასადილევს მე ყოველთვის ვსეირნობ. ასე რომ, შემოგივლით...

ტესმანი. დიახ, დიახ... დასწყევლოს ღმერთმა, თავგზა ამებნა!

ჰედა (საეარძელში გადაწოლილი, ხელს უწვდის). ნახვამდის ასესორო, პატრის დაგვდებთ, თუ კვლავ გვეწვევით.

ბრაკი. გმადლობთ, ნახვამდის.

ტესმანი (კარამდე მიაცილებს). ნახვამდის, ძვირფასო ასესორო, გთხოვთ მომიტევეთ...

ბრაკი წინკარიდან გადის.

(ბრუნდება). ეჰ, ჰედა! არასოდეს არ უნდა აპყვე ფანტაზიის თამაშს! ჰა?

ჰედა (ღიმილით მისჩერებია). შენ რა, ოდესმე აპყოლიხარ?

ტესმანი. ჰო, იცი, შეუძლებელია არ აღიარო, რომ ფანტასტიური იყო ცოლის შერთვაცა და სახლის გამართვაც ლიტონი იმედის ამარა.

ჰედა. მართალი ხარ.

ტესმანი. თუმცა... ჩვენი კუთხე მაინც გვაქვს, ჰედა... აბა, დაფიქრდი, ორივენი იმდენს ვოცნებობდით ამ სახლზე, შეიძლება ითქვას... თითქმის ვბოდავდით. ჰა?

ჰედა (მოღლილი დგება სეარძლიდან). პირობა ასეთი იყო -- ხელგაშლილად გვეცხოვრა, სტუმრები მიგველო.

ტესმანი. ოჰ, ღმერთო ჩემო, რარიგ მიხაროდა, როცა წარმოვიდგენდი, როგორ დიასახლისობ რჩეულ წრეში. გესმის? ჰა? მაგრამ, რას იზამ? ჯერჯერობით, განმარტოებით უნდა ვიცხოვროთ. მიღებით მხოლოდ მაშიდა იულებს თუ მივიღებთ ხოლმე. ეჰ, შენ სხვანაირი, სულ სხვანაირი ცხოვრების ღირსი იყავი!

ჰედა. ლივრეიანი ლაქია, პირველ ხანებში, რალა თქმა უნდა, არ მეყოლებათ.

ტესმანი. ვაი რომ არა! ჩვენს მდგომარეობაში ლაქიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ჰედა. როგორც ჩანს, საკუთარ ცხენზე...

ტესმანი (შეშინებული). საკუთარ ცხენზე?!

ჰედა. ახლა ოცნებაც არ შეიძლება.

ტესმანი. ღმერთო, შენ დაგვიფარე... რალა თქმა უნდა!

**ჰედა** (ოთახის სიღრმისკენ მიდის)... კეთილი, მაგრამ ჭერჭერობით ერთი გასართობი მაინცა მრჩება...

**ტესმანი** (სახე უნათღება). მაღლობა ღმერთს, მაინც რა, ჰედა? ჰა? ჰედა (პატარა ოთახის კართან; დაცინვით უცქერის). ჩემი რევოლვერები, იორგენ.

**ტესმანი** (შეშინებული). პისტოლეტები!

**ჰედა** (გამყინავი მზერით). გენერალ გაბლერის პისტოლეტები. (მხარმარჯვნივ მიემართება, პატარა ოთახის გველით).

**ტესმანი** (ფეხდაფეხ მისდევს და მისძახის). ჰედა, ჩემო ძვირფასო, საყუარელო ჰედა! ღვთის გულისათვის, ხელი არ ახლო ამ საშინელ საგნებს!.. რა იქნება, ჩემი გულისთვის, ჰედა! ჰა?

## მეორე მოქმედება

იგივე ოთახი, რაც პირველ მოქმედებაში. მხოლოდ პიანინო გაუტანიათ და მის მაგივრად დაუდგამთ ლამაზი საწერი მაგიდა წიგნის თაროთი. მარცხნივ დივანთანაც ახალი პატარა მაგიდა დგას. თაიგულების მჭერი ნაწილი აულაგებიათ. თუა ელესტედის თაიგული ახლა შუა ოთახში მდგარ მაგიდაზე დაუდგამთ.

ნაშუადღევია.

ელეგანტურ მისაღებ კოსტიუმში გამოწყობილი ჰედა მინის გამოღებულ კართან დგას და რევოლვერს ტენის. მეორე ასეთივე რევოლვერი ბუდეში დევს საწერ მაგიდაზე.

**ჰედა** (ქვემოთ, ბალში იყურება). ერთხელ კიდევ მოგესალმებით, ბატონო ასესორო!

**ბრაკი** (ბალიდან). ჩემი სალამი, ფრუ ტესმან!

**ჰედა** (რევოლვერს შემართავს და უმიზნებს). ახლა მე თქვენ გესვრით.

**ბრაკი** (იქიდანვე). აბა, აბა!.. პირდაპირ მაინც ნუ მიმიზნებთ!

**ჰედა**. მაშინ მოეშვით აკრძალული გზით სიარულს. (ჩახმახს გამოკრავს. გასროლა).

**ბრაკი** (ახლოდან). ხომ არ შეიშალეთ!

**ჰედა**. ღმერთო ჩემო!.. ნუთუ მოგარტყით?

**ბრაკი** (უფრო ახლოდან). აბა, მოეშვით ამ სისულელეს!

**ჰედა**. მობრძანდით, ასესორო!

ბრაკი უკვე საღამოს მისაღებ კოსტიუმშია გამოწყობილი. თხელი პალტო მკლავზე გადაუდია. მინის კარიდან შემოდის.

**ბრაკი**. დალახვროს ეშმაკმა!.. თქვენ ჭერ კიდევ მისდევთ ამ სპორტს? მაინც რას ესვრით?

**ჰედა.** არათერს... ისე... ჰაერს ვუბათქუნებ!

**ბრაკი** (ფრთხილად ართმევს რევოლვერს). მიზოძეთ, ქალბატონო! (ათვლიერებს). ა-ა! მეცნობა! (აქეთ-იქით იყურება). ბუდე სადღაა? აი, ისიც, (რევოლვერს ბუდეში დებს და ხურავს). სადღეისოდ საკმარისია.

**ჰედა.** მაშ, რას მიბრძანებთ? რა ვაკეთო?

**ბრაკი.** არავინ ყოფილა?

**ჰედა** (მინის კარს კეტავს). არავინ. ყველა ჩვენი ნაცნობი, როგორც ჩანს, ჯერ ისევ აგარაკზეა.

**ბრაკი.** ალბათ, ტესმანიც არ არის შინ?

**ჰედა** (რევოლვერის ბუდეს მაგიდის უჯრაში დებს). არა. ისადილა თუ არა, თავის მამიდებთან გაიქცა. ასე ადრე არ გელოდათ.

**ბრაკი.** ჰმ... როგორ ვერ მივხვდი? ბრიყვი ვარ, ბრიყვი!

**ჰედა** (თავს იბრუნებს მისკენ). როგორ?

**ბრაკი.** როგორ და ისე, რომ... შემეძლო... უფრო ადრე მოვსულიყავი.

**ჰედა** (შუა ოთახში გამოდის). მაშინ, საერთოდ, ვერავის ნახავდით. ნასადილევს მე ტანსაცმელს ვიცვლიდი ჩემს ოთახში.

**ბრაკი.** კი, მაგრამ, პატარა ქუჭრუტანაც არ მოიძებნებოდა, რომ იქიდან გველაპარაკა?

**ჰედა.** თქვენ ხომ დაგავიწყდათ მისი დატნევა.

**ბრაკი.** ჰმ... მეორედაც ავაცილეთ!

**ჰედა.** მაშ, აქ ჩამოვსხდეთ და ტესმანის დაბრუნებას დაველოდოთ. ალბათ, დაიგვიანებს.

**ბრაკი.** ნება თქვენია, ჩამოვსხდეთ. მოთმინება კი მეყოფა.

ჰედა დივანის კუთხეში ჯდება. ბრაკი ყველაზე ახლოს მღვამი სკამის ზურგზე აკიდებს პალტოს და ისიც ჯდება. შლაპა ხელში უქირავს. მცირეოდენი პაუზა. მათი მზერა ერთმანეთს ხვდება.

**ჰედა.** ა?

**ბრაკი** (იმავე ტონით). ა?

**ჰედა.** მე პირველმა გკითხეთ.

**ბრაკი** (ოდნავ წინ იხრება). მაშ, მოდიეთ, მეგობრულ საუბარში გავატაროთ ეს ერთი საათი, ფრუ ჰედა!

**ჰედა** (დივანის ზურგზე მიწეება). ნუთუ არ გეჩვენებათ, რომ ჩვენი უკანასკნელი საუბრის შემდეგ მთელი საუკუნე გავიდა! ის ორი თუ სამი ფრაზა, რომლითაც წუხელ ნავსადგურში მიემართეთ ერთმანეთს, რა თქმა უნდა, ანგარიშში არ მიითვლება.

**ბრაკი.** მაშასადამე... ჰირისპირ? ინტიმურად, თქვენ გინდათ თქვათ?

ჰედა. დიახ, რალაც ამდაგვარი.

ბრაკი. მე ყოველდღე გიგონებდით და მოუთმენლად მოველოდი თქვენს დაბრუნებას.

ჰედა. მართალი გითხრათ, მეც სულ ამის მოლოდინში ვიყავი.

ბრაკი. თქვენ? მართალს ამბობთ, ფრუ ჰედა? მე კი მეგონა, ისე მხიარულად მოგზაურობდით.

ჰედა. ჰო, მეტი აღარ შეიძლება.

ბრაკი. კი მაგრამ, ტესმანი ხომ სულ ამას ირწმუნებოდა წერილებში.

ჰედა. ტესმანი -- რა თქმა უნდა! მისი აზრით ხომ არ არსებობს უფრო დიდი სიხარული, ვიდრე სხვადასხვა ბიბლიოთეკებისა თუ არქივების ქექვა... და მთელი დღე თავწახრილი ჯდომა ძველი ხელნაწერებისა თუ დაეთრების გადასაწერად..

ბრაკი (ცოტა არ იყოს, გესლიანად). კი მაგრამ, ეს ხომ მისი მოწოდებაა? ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც.

ჰედა. ჰო, რა თქმა უნდა. და მაშინ რა გასაკვირია, რომ... მაგრამ მე? რა დღეში ვიყავი? მართალი გითხრათ, კინალამ მოწყენილობამ მომკლა, ბატონო ასესორო.

ბრაკი (თანაგრძნობით). თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ?

ჰედა. მე მგონია, თავადაც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ! ნახევარი წლის მანძილზე ჩვენი წრისას ვერავის შეხედვე... ვისთანაც შესაძლებელი იქნებოდა ორივე ჩვენგანისათვის საინტერესო ამბებზე გველაპარაკა?!

ბრაკი. დიახ, დიახ... ეს ჩემთვისაც აუტანელი დანაკლისი იქნებოდა.

ჰედა. მაგრამ ყველაზე აუტანელია...

ბრაკი. რა?

ჰედა. სულ მუდამ... ერთი და იმავე კაცის გვერდით ყოფნა.

ბრაკი (მოწონებით უკანტურებს თავს). მდა-ა! დილიდან საღამომდე! წარმოგიდგენიათ?..

ჰედა. მე გითხარით, სულ მუდამ-მეთქი.

ბრაკი. მართალია. მაგრამ, ჩემის აზრით, ხომ შეიძლებოდა ამ ჩვენს ძვირფას ტესმანთან...

ჰედა. ტესმანი -- სპეციალისტია, ბატონო ასესორო.

ბრაკი. უეჭველად.

ჰედა. ხოლო სპეციალისტთან ერთად მოგზაურობა ხუმრობა საქმე არ გეგონოთ. მით უმეტეს, თუ ამნაირი მოგზაურობა დიდხანს გრძელდება.

ბრაკი. თვით იმნაირ სპეციალისტთანაც... რომელიც გიყვარს?

ჰედა. ფუ! ნუ ხმარობთ ამ გაცვეთილ სიტყვას!



**ბრაკი** (გაოგნებული). რას ბრძანებთ, ფრუ ჰედა?

**ჰედა** (ნახევრად ხუმრობით, ნახევრად გალიზიანებული კილოთი). დიახ, აბა, თქვენ თვითონ სცადეთ და ადრე დილიდან გვიან საღამომდე გაუთავებელი ლექსები ისმინეთ კულტურის ისტორიის საკითხებზე.

**ბრაკი**. სულ მუდამ?!

**ჰედა**. დიახ, დიახ, დიახ! თანაც, შუა საუკუნეების ხელოსნობაზე! ყველაზე საშინელი სწორედ ეს არის!

**ბრაკი** (გამომდელად უყურებს). კი მაგრამ, მაშინ ისიც მიბრძანეთ, როგორ მოხდა რომ... ჰმ...

**ჰედა**. რომ მე და იორგენი შევეუღლდით?.. ამის თქმა, გსურთ?

**ბრაკი**. თუნდაც მაგისი.

**ჰედა**. ღმერთო ჩემო! ნუთუ ასე საკვირველია?

**ბრაკი**. საკვირველიცაა და არცაა საკვირველი, ფრუ ჰედა.

**ჰედა**. იცით რა, მე ჩემი წილი უკვე ვიცეკვე, იმდენი ვიცეკვე, რომ ყელში ამომივიდა, ძვირფასო ასესორო! და ჩემი ნეტარი დღეები უკვე წარსულში დარჩა... (უცებ შეკრთება). აჰ, არა, ამას მაინც არ ვიტყვი! ფიქრიც კი არ მსურს.

**ბრაკი**. ან რა საფუძველი გაქვთ, ასე იფიქროთ?

**ჰედა**. ჰმ... საფუძველი... (გამომდელად უყურებს). ასეა თუ ისე, ტესმანს იმას მაინც ვერ წაართმევ, რომ ყოველად წესიერი კაცია.

**ბრაკი**. წესიერიც და დარბაისელიც! როგორ გეკადრებათ!

**ჰედა**. და მე მასში ვერაფერ... სასაცილოს ვერ ვხედავ. თქვენ კი რა, ხედავთ?

**ბრაკი**. სასაცილოს? აჰ, არა... ამას ვერ ვიტყვი.

**ჰედა**. დიახ, დიახ; ყოველ შემთხვევაში, დიდი მშრომელი კაცია, გულმოდგინე შემკრები და შემგროვებელი... ადვილი შესაძლებელია, რომ დროთა ვითარებაში წინაც წაიწიოს...

**ბრაკი** (ცოტა არ იყო, ორკოფულად უყურებს). მე კი მეგონა, რომ თქვენ, ისევე როგორც ბევრი სხვა, დარწმუნებული იყავით, რომ მას დიდი მომავალი ელოდა.

**ჰედა** (დალღილი გამომეტყველებით). დიახ, მეც, მეც... და რაკი მოწყალეებასავით მოითხოვდა იმის უფლებას, რომ ჩემზე ზრუნვის საშუალება მიმეცა... არ ვიცი, რატომ უნდა მეთქვა უარი?

**ბრაკი**. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით...

**ჰედა**. ყოველ შემთხვევაში, ეს ცოტა მეტი იყო, ძვირფასო ასესორო, ვიდრე ის, რისი იმედიც შეიძლება მქონოდა ჩემი გულმოდგინე თაყვანისმცემლებისაგან.

- ბრაკი. სხვებისას ვერაფერს ვიტყვი, ჩემდა თავად კი, როგორც თვითონ მოგეხსენებათ, ყოველთვის რალაცნაირ... საღმრთო შიშს განვიცდიდი საქორწინო კავშირის წინაშე, ფრუ ჰედა.
- ჰედა (ხუმრობით). ო, თქვენზე არც არასდროს ვამყარებდი იმედს.
- ბრაკი. დიდი-დიდი, რაზედაც მე ვოცნებობ, ესაა -- შემოვიკრიბო ნაცნობთა ვიწრო, ინტიმური წრე, სადაც მე შემეძლება სასარგებლო - ვიყო როგორც სიტყვით, ისე საქმითაც... შემეძლება გამოცდილი მეგობრის უფლებით ვსარგებლობდე.
- ჰედა. თქვენ გინდათ თქვათ, ოჯახის უფროსის მეგობრისა?
- ბრაკი (ოდნავ წინ იხრება). გულახდილად რომ მოგახსენოთ, უმჯობესი იქნებოდა -- დიასახლისისა. ისე, ოჯახის უფროსისაც, რალა თქმა უნდა. ერთის სიტყვით, მე ვოცნებობ რალაც ამნაირ... თუ შეიძლება ასე ითქვას... სამკუთხედზე. არსებითად, ეს ხელსაყრელიცაა და სასიამოვნოც სამივე მხრისთვის.
- ჰედა. დიახ, მოგზაურობისას მე სწორედ მესამე პარტნიორი მაკლდა ხოლმე... იჯდე კუბეში სულ ერთი და იმავე კაცის გვერდით... ოჰ!
- ბრაკი. საბედნიეროდ, საქორწინო მოგზაურობა უკვე უკან დარჩა.
- ჰედა (თავს აქნევს). ეჰ, ეს შეიძლება... საკმაოდ დიდხანს გაგრძელდეს. მე მხოლოდ მეზობელ სადგურს მივალწვი.
- ბრაკი. კი მაგრამ, ხომ შეიძლება ჩამოხტეთ და მუხლის გასამართავად გაისეირნოთ, ფრუ ჰედა.
- ჰედა. მე არასოდეს არ ვბტები.
- ბრაკი. არა?
- ჰედა. არა, რადგან ყოველთვის ვილაცა...
- ბრაკი (იციინის). დგას და ფეხებში გიყურებთ, არა?
- ჰედა. დიახ.
- ბრაკი. კი მაგრამ, ღმერთო ჩემო, მერე რა?!
- ჰედა (თითქოს ხელით აბეზარ მწერს იშორებს). რა და არ მიყვარს. მირჩევნია ადგილზე დავერჩე. თუნდაც მხოლოდ ერთ თანამგზავერთან.
- ბრაკი. კი მაგრამ, თუკი მესამე თვითონვე მიუჯდება წყვილს?
- ჰედა. ო-ო!.. ეს სულ სხვა საქმეა.
- ბრაკი. რომელიმე გამოცდილი და გამკრიახი მეგობარი...
- ჰედა. საინტერესოა, ყოველმხრივ სასიამოვნო...
- ბრაკი. და თანაც, არა-სპეციალისტი!
- ჰედა. ო, ეს რა თქმა უნდა, დიდი შეღავათია.
- ბრაკი (გაიგონებს, რომ შემოსასვლელი კარი იღება; აღმაყვრად უყურებს წინკარს). ამრიგად, სამკუთხედი უკვე შეიკრა!

ჰელა (ხმადაბლა). და მატარებელი თავისი გზით მიჰქრის!

წინკარში გამოჩნდება რუხ სასიერნო კოსტუმში გამოწყობილი ტესმანი; თავზე ფეტრის მსუბუქი ქული ახურავს. ჭიბეებში ჩაუწყვია და ილღიაში ამოუწრია თხელუდიანი წიგნების გროვა.

ტესმანი (კუთხის დივანთან მდგარი მაგილისკენ მიემართება). უჰ, ამდენ უბედურებას თრევა არ უნდა?... (მაგილაზე ალაგებს წიგნებს). ოფლად გავიღვარე, ჰელა! ა-ა! თქვენ უკვე აქა ხართ, ძვირფასო ასესორო? ჰა? ბერტას რომ არაფერი უთქვამს?

ბრაკი (ღება). ბალიდან შემოვედი.

ჰელა. ეს რა წიგნები მოიტანე?

ტესმანი (წიგნებს ფურცლავს). სხვადასხვა სპეციალური ლიტერატურა; აუცილებლად უნდა შემეძინა...

ჰელა. სპეციალური ლიტერატურა?

ბრაკი. მდა-ა! პირწმინდად სპეციალური ლიტერატურა, ფრუ ჰელა!

ბრაკი და ჰელა მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით გადახედავენ ერთმანეთს.

ჰელა. ნუთუ კიდევ გკირდება ეს სპეციალური ლიტერატურა?

ტესმანი. რა თქმა უნდა, ჩემო კარგო; ყიდვას ვერ ავეუდივარ. საჭიროა ყველაფერს ადევნო თვალყური, რაც იწერება და იბეჭდება.

ჰელა. ჰო, ალბათ, საჭიროა.

ტესმანი (წიგნებში იქექება). ერთი ნახე, რა შევიძინე -- ეილერტ ლევბორგის ახალი წიგნი (იღებს), ხომ არ გადახედავ, ჰელა? ჰა?

ჰელა. არა, უღრმესად გმადლობ. თუმცა მერე... სხვა დროს, შეიძლება.

ტესმანი. მე გზაში ცოტა გადავფურცლე.

ბრაკი. მერედა, როგორია თქვენი... როგორც სპეციალისტის აზრი?

ტესმანი. საუცხოო - წიგნია!.. ლოგიკური, ნათელი, ცხადი! ასე არასოდეს არ უწერია... (წიგნებს აგროვებს). მაგრამ ყველაფერი ეს უნდა წავილო. რა სჯობია ამათ გაქრას!.. ტანსაცმლის გამოცვლაც ხომ დამკირდება. (ბრაკს). მალე წავალთ? ჰა?

ბრაკი. კაცმა რომ თქვას, რა გვეჩქარება?

ტესმანი. თუ ასეა, მაშინ ცოტას... (წიგნები მოაქვს, მაგრამ კართან ჩერდება). ჰო, მართლა, ჰელა, მამიდა იულე ამ საღამოს არ მოვა.

ჰელა. არ მოვა? რატომ? იმ ქულის გამო?

ტესმანი. აი, ხედავ, რა ცუდად იცნობ მამიდა იულეს? ქული რა შუაშია?.. მამიდა რინა გახდა ცუდად. ესაა და ეს.

ჰელა. კი მაგრამ, ის ხომ სულ ცუდადაა?

- ტესმანი. პო, მაგრამ დღეს რალაც ნამეტანი წუხს საცოდავი.
- ჰედა. მაშინ ყველაფერი რიგზეა. მაშიდა იულე ავადმყოფთან რჩება. რა მეთქმის?
- ტესმანი. შენ ვერ წარმოიდგენ, ჰედა, რა გახარებულია მაშიდა იულე, რომ ასე მოიკეთე მოგზაურობისას.
- ჰედა (დგება, ხმადაბლა). ოპ, ეს მაშიდები!..
- ტესმანი. ჰა?
- ჰედა (მინის კარისკენ მიდის). არაფერი.
- ტესმანი. პო-ო! (მხარმარჩენივ გადის, პატარა ოთახის გავლით).
- ბრაკი. ეს რა ქულზე ლაპარაკობდით?
- ჰედა. იცით, რა? ამ დღით ფრიოკენ ტესმანი იყო აქ. და თავისი ქული, აი, ამ სკამზე დადო. (იღობება). მე კი ისე დავიკირე თავი, ვითომ მოსამსახურის ქული მეგონა.
- ბრაკი (თავს აქნევს). კი მაგრამ, ძვირფასო ჰედა, ეს როგორ აკადრეთ ესოდენ ღირსეულ მოხუცს?
- ჰედა (ნერვიულად, ბოლოს ცემით). იცით, რა?.. ზოგჯერ უცაბედად მომივლის ხოლმე... და მაშინ თავს ველარ ვერევი. (მოწყვებით ეშვება სავარძელში, ლუმელის ახლოს). არც კი ვიცი, რით აიხსნება.
- ბრაკი (მისი სავარძლის უკან ჩერდება). ალბათ, იმით, რომ... მაინცღა- მაინც ბედნიერი არა ხართ.
- ჰედა (წინ იუხრება). კი მაგრამ, რა საბაბი მაქვს საიმიხოდ, რომ ბედნიერი ვიყო? თქვენ ხომ ვერ მეტყვიით?
- ბრაკი. სხვათა შორის, იქნებ იმიტომ, რომ... სწორედ ისე მოეწყეთ, როგორცა გასურდათ?
- ჰედა (უყურებს და იცინის). ასე რომ, თქვენც გჯერათ ამ სურვილის ამბავი?
- ბრაკი. განა მართალი არ არის?
- ჰედა. კაცმა რომ თქვას, კი... ნაწილობრივ.
- ბრაკი. მაინც.
- ჰედა. საქმე ისაა, რომ შარშან ზაფხულს ტესმანი საღამოს წვეულებებიდან ჩემი გამცილებლის როლს ასრულებდა.
- ბრაკი. სამწუხაროდ... მე სხვა გზა მქონდა.
- ჰედა. დიახ, დიახ. შარშან ზაფხულს თქვენ სულ სხვა გზით დადიოდით.
- ბრაკი (იცინის). როგორ არა გრცხვენიათ, ფრუ ჰედა?!. პო-ო... მერე თქვენ და ტესმანი?
- ჰედა. ერთ საღამოს, სწორედ აქ, ამ ადგილას მოვდიოდით... საბრალო ტესმანი ცხრაპირ ტყავში ძვრებოდა, მაგრამ

საუბრის თემა ვერ იქნა და ვერ გამოძებნა. მე შემეცოდა ჩვენი სწავლული...

**ბრაკი** (უნდობლად იღიმება). მაშ, შეგეცოდათ? კმ!..

**ჰედა**. დამერწმუნეთ. და ამ გაკირვებიდან გამოსავლის მოძებნაში როგორმე რომ დავხმარებოდი, საკმაოდ წინდაუხედავად წამომცდა, სიამოვნებით ვიცხოვრებდი, აი, სწორედ ამ სახლში-მეთქი.

**ბრაკი**. მეტი არაფერი.

**ჰედა**. იმ საღამოს, არა!

**ბრაკი**. ესე იგი, შემდეგ!

**ჰედა**. დიახ, ჩემს წინდაუხედაობას თავისი შედეგი მოჰყვა, ძვირფასო ასესორო.

**ბრაკი**. სამწუხაროდ, ჩვენს წინდაუხედავ ნაბიჯს, თქვენ წარმოიდგინეთ, ძალზე ხშირად მოსდევს თავისი შედეგი, ფრუ ჰედა!

**ჰედა**. გმადლობთ!.. ასე რომ, მე და ტესმანი სახელმწიფო მრჩევლის მეუღლის ფალკის სახლზე სწორედ ამ ოცნებამ დაგვაახლოვა. ამას მოჰყვა ნიშნობაც, ქორწილიც, საქორწინო მოგზაურობაც და სხვა დანარჩენიც. დიახ, დიახ, ასესორო, სწორედ ასეა... რასაც დასთეს, იმას მოიმკი, -- გუბუნებით.

**ბრაკი**. საინტერესოა. სინამდვილეში კი ყოველივე ეს სრულიადაც არა გხიბლავდათ?

**ჰედა**. იოტის ოდენად.

**ბრაკი**. კი მაგრამ. ახლა? მე მგონია, არაფერი დაგვიშურებია, რათა მყუდროება შეგვექმნა თქვენთვის.

**ჰედა**. უჰ!.. მე მგონია, აქ ყველა ოთახი ლავანდისა და ვარდის წყლის სუნითაა გაქუნთილი. თუმცა ეს სურნელება, ალბათ, მამიდა იულებ შემოიტანა.

**ბრაკი** (იცინის). უფრო სწორად, ეს გენერლის განსვენებული მეუღლის მემკვიდრეობაა.

**ჰედა**. დიახ, აქაურობას რაღაც დრომოკმულისა და გარდასულის სუნი ასდის. სამეჯლისო ყვავილების სურნელს მაგონებს... მეჯლისის მომდევნო დღეს (თავზე ხელბეშემოწყობილი დივანის ზურგზე გადაწება და ბრაკს უცქერის). აჰ, ჩემო ძვირფასო ასესორო, ვერც კი წარმოიდგენთ, რა უსაშველო მოწყენილობა მელის ამ ქერქვეშ!

**ბრაკი**. კი მაგრამ, განა ცხოვრება ამა თუ იმ ამოცანას არ გისახავთ, ფრუ ჰედა?

**ჰედა**. ესე იგი, რაღაც თავბრუდამხვევს, საინტერესოს?

**ბრაკი**. ეს, რა თქმა უნდა, ყველაფერს აჯობებდა.

- ჰელა.** არ ვიცი... რა ამოცანა, რის ამოცანა! მე ხშირად ვფიქრობ...  
(მკვეთრად წყვეტს სიტყვას). არა, აქედან არაფერი არ გამოვა.
- ბრაკი.** ვინ იცის? აბა, მითხარით.
- ჰელა.** რა იქნება, ტესმანი, რომ ვაიძულო, პოლიტიკას მოჰკიდოს ხელი?
- ბრაკი** (იყინის). ტესმანი? არა, იცით, პოლიტიკა მისი საქმე არ არის.
- ჰელა.** სავსებით გეთანხმებით... მაგრამ მაინც რომ შეეძლო?
- ბრაკი.** მერედა, რას გამოელით? რაკი პოლიტიკისთვის ღმერთს არ უქნია, აბა, რად გინდათ, რომ აიძულოთ?
- ჰელა.** რადა და იმად, რომ მოწყენილობისაგან ვკედები! გესმით? (პატარა პაუზის შემდეგ). როგორ გგონიათ, ტესმანი ვერასდიდებით ვერ მიაღწევს მინისტრობას?
- ბრაკი.** კმ... იცით, რა ძვირფასო ფრუ ჰელა?... საიმისოდ, რომ მინისტრი გახდეს, ის, უწინარეს ყოვლისა, საკმაოდ მდიდარი უნდა იყოს.
- ჰელა** (ღეგბა, გაღიზიანებული). აჰ, აი, თურმე რა?... ო, ეს უბადრუკი პირობები, რომლებშიაც მე აღმოვჩნდი! (ბოლთასა სკემს). სწორედ ესა ხდის ცხოვრებას ესოდენ საწყალობელს, უშინაარსოს, უაზროს! დიახ, სწორედ ეს!
- ბრაკი.** მე მგონია, მიზეზი სულ სხვა რამეა.
- ჰელა.** მაინც?
- ბრაკი.** თქვენ ჯერ კიდევ არ განგიცდიათ რაღაც ისეთი... ნამდვილი, სულის სიღრმემდე შემძვრელი.
- ჰელა.** ესე იგი, თქვენ გინდათ თქვათ, არაფერი სერიოზული?...  
**ბრაკი.** დიახ, რაც გნებაეთ, ის უწოდეთ. მაგრამ ახლა ის, როგორც ჩანს, დიდხანს აღარ დაიგვიანებს, არ გალოდინებთ.
- ჰელა** (თავს მალა სწევს). თქვენ ამ უბადრუკი პროფესურის ამბავს გულისხმობთ? ეს ტესმანის საქმეა და არა ჩემი.
- ბრაკი.** დაუშვათ, რომ ასეა... მაგრამ თუ თქვენ, მაღალფარდოვანი სიტყვით რომ ეთქვათ... სერიოზული, წმინდათაწმინდა მოვალეობანი დაგეკისრებათ? (იღიმება). ახალი მოვალეობანი, ძვირფასო ფრუ ჰელა!
- ჰელა** (ნაწყევბ-ნაწყევბ). მე საამისოდ არავითარი მონაცემები არ გამაჩნია, ბატონო ასესორო. თავი დამანებეთ მაგ თქვენი მოვალეობებით.
- ბრაკი.** ვითომ მართლა არავითარი მონაცემები არ გაგაჩნიათ საიმისოდ, რაც ქალების უმრავლესობისათვის იმნაირ მოწოდებად გვეკვლინება, რომელიც...

ჰედა (მინის კართან). ვის ვეუბნები, მორჩით-მეთქი?!. ღმერთმანი, ხშირად მგონია, თითქოს მხოლოდ ერთი რამისთვის მაქვს მონაცემები...

ბრაკი (უახლოვდება). თუ შეიძლება გკითხოთ... მაინც რისთვის?

ჰედა (ბალში იუჟრება). რისთვის და იმისთვის, რომ მოწყენილობისაგან მოვკვდე. ესეც თქვენი მონაცემები. (პატარა ოთახის კარისკენ ბრუნდება და იცინის). დიახ, ასეა! თვით პროფესორი.

ტესმანს უკვე ტენსაცმელი გამოუცვლია. ხელში შლაპა და ხელთათმანები უკირავს. მარჯვენა მხრიდან, უკანა ოთახის გავლით შემოდის.

ტესმანი. ჰედა, ეილერტ ლევბორგის უარი ხომ არ მიგვიღია? ჰა?

ჰედა. არა.

ტესმანი. აი, ნახავ, თუ მალე თვითონვე არ გაჩნდება აქ!

ბრაკი. მაშასადამე, თქვენ გგონიათ, რომ მაინც მოვა?

ტესმანი. თითქმის დარწმუნებული ვარ. რაც თქვენ აქ ამ დილით გვითხარით, მხოლოდ ჭორია.

ბრაკი. მართლა?

ტესმანი. ყოველ შემთხვევაში, მამიდა იულემ მითხრა, ვერასდიდებით ვერ დავიჭერებ, თითქოს ეილერტი იკადრებს გზა გადაგიღობოსო. გესმით?!

ბრაკი. თუ ასეა, მაშინ ყველაფერი რიგზე ყოფილა.

ტესმანი (შლაპაში აწყობს ხელთათმანებს და მარჯვნივ მდგარ მაგიდაზე დებს). ისე, კაცმა რომ თქვას, კი უნდა დავლოდებოდი.

ბრაკი. დროის მეტი რა გვაქვს? ჩემთან, ასე, შვიდამდე, რვის ნახევრამდე არავინ მოვა.

ტესმანი. მაშინ ჩვენ შეგვიძლია ჰედა არ მოვაწყინოთ, მერე კი ვნახოთ. ჰა?

ჰედა (სკამიდან იღებს ასესორის ქუდსა და პალტოს, რათა კუთხის დივანზე გადაიტანოს). უარეს შემთხვევაში, ბატონ ლევბორგს შეუძლია ჩემთან გაატაროს ეს საღამო.

ბრაკი (თვითონვე აპირებს თავისი ნივთების აღებას). მომიტევეთ, ფრუ ტესმან! მაგრამ უარეს შემთხვევაშიო რომ ამბობთ, მაინც რას გულისხმობთ?

ჰედა. რასა და იმას, თუ ბატონი ლევბორგი არ ისურვებს თქვენ და ტესმანს შემოგიერთდეთ.

ტესმანი (გაოგნებული მისჩერებია ცოლს). კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, უხერხული ხომ არ იქნება, რომ შენთან დარჩეს? ჰა? ხომ იცი, მამიდა იულე ვერ მოვა.

ჰელა. ჰო, მაგრამ ფრუ ელესტელი უთუოდ მოვა. სამივენი ჩაის სმით ვიჭერებთ გულს.

ტესმანი. ჰო-ო, თუ ასეა!..

ბრაკი (ილიმება). თვით ლევბორგისთვისაც ეს უფრო სასარგებლო იქნება.

ტესმანი. ვითომ რატომო?

ბრაკი. ღმერთო ჩემო, განა თქვენ თვითონვე არა ჰგმობდით ჩემს სახლში გამართულ უცოლოთა ღრეობებს? თქვენ ხომ თვლით, რომ მათში მონაწილეობის მიღება მხოლოდ ძალზე მტკიცე ნებისყოფის მქონე მამაკაცებს თუ შეუძლიათ?

ჰელა. მე კი მეგონა, რომ ბატონ ლევბორგს ამჟამად მაინც ნებისყოფა არ აკლია. ახლადმოქცეული ცოდვილი...

წინკარიდან შემოდის ბერტა.

ბერტა. ქალბატონო, ვილაც ბატონს თქვენი ნახვა სურს.

ჰელა. სთხოვეთ.

ბერტა გადის.

წინკარიდან შემოდის ეილერტ ლევბორგი. ასაკით ტესმანის ტოლია, მაგრამ გარეგნულად უფრო ხნირად გამოიყურება. სახეზე ბობოქარი ცხოვრების კვალი ატყუია. გამხდარია და მალალი. მოგრძო, ფერმკრთალი სახე, ლოყებზე ლაქაქა წითელი ლაქები და შავი თმა-წვერი აქვს. ელეგანტურად აცვია; შავ საეიზიტო კოსტრუმშია გამოწყობილი. ხელში შავი ხელთათმანები და ცილინდრი უჭირავს. კართან ჩერდება და სწრაფი თავდახრით ესალმება ოთახში მყოფთ. ცოტა არ იყოს, შემკრთალი და დაბნეული ჩანს.

ტესმანი (უახლოვდება, ხელს ართმევს და მაგრად ანჭრევს). აი, ხომ ხედავ, ძვირფასო ეილერტ... ერთხელ კიდევ შეეხვდით ერთმანეთს!..

ლევბორგი (ხმადაბლა). მალლობელი ვარ მოწვევისათვის! (ჰელასთან მიდის). ნებას მიბოძებთ, თქვენც ჩამოგართვათ ხელი, ფრუ ტესმან?

ჰელა (ხელს უწვდის). გთხოვთ, გთხოვთ, ბატონო ლევბორგი. (ასესორზე ანიშნებს). არ ვიცი, ბატონებო, თქვენ...

ლევბორგი (ოდნავ თავდახრით). თუ არა ვცდები, ასესორი ბრაკი, არა?

ბრაკი (ესალმება). ბრაკი გახლავართ... ამ რამდენიმე წლის წინ...

ტესმანი (ორივე მხარზე ხელს დაკრავს ლევბორგს). ამიერიდან ჩვენნი სახლის კარი შენთვის მუდამ ღიაა, ეილერტ! ასე არ არის, ჰელა? როგორც გავიბე, კვლავ ჩვენს ქალს აპირებ დასახლებას. ჰა?

ლევბორგი. დიახ, ვაპირებ.

ტესმანი. გასაგებია... ჰო, მართლა, შენი ახალი წიგნი შევიძინე, თუმცა, მართალი გითხრა, წაკითხვა ვერ მოვასწარი.



ლევბორგი. თავის შეწუხებად არ ღირს.

ტესმანი. ვითომ რატომო?

ლევბორგი. შიგ, წაკითხვა რომ ღირდეს, ისეთი არა ყრია რა.

ტესმანი. გესმით?! ამას შენ ამბობ, შენ?!

ბრაკი. მაგრამ, როგორც გავიგე, ყველა ძალიან აქებს.

ლევბორგი. მეც მხოლოდ ეს მინდოდა. ერთადერთი, იმ მიზნით ეწერდი, რომ ყველას მოსწონებოდა.

ბრაკი. ძალზე კვიანიურად მოქცეულხართ.

ტესმანი. კი მაგრამ, ძვირფასო ეილერტ!..

ლევბორგი. იცი, რა? რატომღაც მომინდა კვლავ მომეპოვებინა გარკვეული მდგომარეობა; ყველაფერი თავიდან დამეწყო.

ტესმანი (ცოტა არ იყოს, შეპკრთალი). ჰო, რა თქმა უნდა!..

ლევბორგი (ილიმბა, ცილინდრს ღებს და გვერდის ჯიბიდან ქალალში გახვეულ პაკეტს იღებს). აი, როცა ეს გამოვა... ეს კი წაიკითხე, იორგენ. მხოლოდ ესაა ნამდვილი. ეს მე ვარ თვითონ.

ტესმანი. აჰ, აი, თურმე, რა?.. რა არის ეს?

ლევბორგი. გაგრძელება.

ტესმანი. გაგრძელება? კი მაგრამ, რისი?

ლევბორგი. ჩემი წიგნის.

ტესმანი. შენი ახალი წიგნის?

ლევბორგი. დიახ.

ტესმანი. კი მაგრამ, ძვირფასო ეილერტ... შენს წიგნში ხომ თითქმის ამ ჩვენს დრომდე მოხვედი?

ლევბორგი. დიახ; ეს კი მომავალს ეხება.

ტესმანი. მომავალს?! ღმერთო ჩემო, მერედა, რა ვიციოთ ჩვენ მომავალზე?

ლევბორგი. რაღაცა მაინც ვიციოთ. (პაკეტს ხსნის). აი, შეხედე...

ტესმანი. ეს ხომ შენი ხელი არ არის.

ლევბორგი. სხვას ვკარნახობდი. (ხელნაწერს ფურცლავს). აქ ორი ნაწილია... პირველი მომავლის კულტურულ ძალებს ეძღვნება. მეორე კი მომავლის კულტურულ პროგრესს.

ტესმანი. საოცარია! მე აზრადაც არ მომივიდოდა, რაიმე ამნაირ საკითხზე მეწერა.

ჰედა (მინის კართან ღვას და თითებით მინას უკაკუნებს). ჰმ... რა თქმა უნდა!..

ლევბორგი (კვლავ ქალალში ახვევს და მაგილაზე ღებს ხელნაწერს). თან წამოვიდე; მინდოდა ამ საღამოს შენთვის ცოტა რამ წამეკითხა.

ტესმანი. კაი კაცი ხარ! მაგრამ დღეს (... ბრაკს უყურებს). არ ვიცი, როგორა ექნათ.

ლევბორგი. სხვა დროს იყოს; რა საჩქაროა?

ბრაკი. იცით, რა, ბატონო ლევბორგი? ამ საღამოს ჩემთან რამდენიმე კაცი იყრის თავს... ძირითადად ტესმანის გულისთვის; გესმით?

ლევბორგი (თვლებით ქულს ეძებს). ა-ა, თუ ასეა, მაშინ მე...

ბრაკი. არა, არა, მომისმინეთ! დიდ პატივს დამდებთ, თუკი შემოგვიერთდებით.

ლევბორგი (სწრაფად და მტკიედ). არა, არ შემიძლია... დიდი მადლობა.

ბრაკი. კი მაგრამ, რატომ? ძალიან გთხოვთ. თავს იყრის პატარა წრე... ძვირფასი ხალხი... დამერწმუნეთ, დიდი გამოცოცხლება იქნება, როგორც ბრძანებს ხოლმე ფრუ ჰედ... ფრუ ტესმანი.

ლევბორგი. ექვი არ მეპარება. მაგრამ მაინც...

ბრაკი. რა მაინც?.. თან წამოიღეთ ეგ თქვენი ხელნაწერი და, რამდენიც გინდათ, უკითხეთ ტესმანს. ოთახები ბლომდა მაქვს.

ტესმანი. მართლაცდა, ეილერტ, რა გიკირს, რომ წამოხვიდე? ჰა? ჰედა (მათ შორის დგება). კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო... თუკი ბატონ ლევბორგს არ უნდა? დარწმუნებული ვარ, აქ დარჩენა და ჩემთან ვახშობა ურჩევნია.

ლევბორგი (უყურებს). თქვენთან, ფრუ ტესმან?

ჰედა. ჩემთან და ფრუ ელესტედთან.

ლევბორგი. ა-ა!.. (თითქოს გულგრილად). დღეს საღდაც მოვკარი თვალი.

ჰედა. მართლა? ჰოდა, ისიც აქ მოვა. ასე რომ, თქვენ თითქმის ვალდებული ხართ ჩვენსას დარჩეთ, ბატონო ლევბორგი, თორემ ვინ გააცილებს სახლში?

ლევბორგი. მართალს ბრძანებთ. დიდი მადლობა, ქალბატონო... რახან ასეა, მე ვრჩები.

ჰედა. მხოლოდ ერთი წუთით დაგტოვებთ... (შემოსასვლელის კართან მიდის და რეკავს).

შემოდის ბერტა. ჰედა ჩურჩულით ეუბნება რაღაცას და პატარა ოთახზე ანიშნებს. ბერტა თავს უქნევს და გადის.

ტესმანი (იმავდროულად). ჰო, მართლა ეილერტ! სწორედ ესაა შენი ახალი თემა -- მომავლის პროგრესი?.. ამაზე გინდოდა ლექციები წაგეკითხა?

ლევბორგი. დიახ.

ტესმანი. წიგნის მალაზიაში მითხრეს, შემოდგომაზე ლექციების ციკლის წაკითხვას აპირებსო...

ლევბორგი. მართალი უთქვამთ. შენთან კი ბოდში უნდა მოვიხადო, ტესმან.

ტესმანი. არა, საბოდშიო რა არის, მაგრამ...

ლევბორგი. მე ხომ მესმის, რომ ეს ახლა მაინცადამაინც ხელსაყრელი არ არის შენთვის.

ტესმანი (ნირწამხდარი). კი მაგრამ, რა უფლება მაქვს მოგთხოვო, რომ ჩემი გულისთვის...

ლევბორგი. მაგრამ მე, რა თქმა უნდა, შენს დანიშენას დაველოდები.

ტესმანი. დაელოდები?! კი მაგრამ... კონკურსში მონაწილეობას არ აპირებ? ჰა?

ლევბორგი. არა, მე მინდა გავიმარჯვო შენზე... მხოლოდ არა კონკურსში, არამედ საზოგადოებრივი აზრის წინაშე.

ტესმანი. მაგრამ, ღმერთო ჩემო!.. ასე რომ, მაიბადა იულებს მაინც მართალი უთქვამს! ასეც ვიცოდი! ჰედა! გესმის? ლევბორგი სულაც არ აპირებს, გზაზე გადაგველობოს.

ჰედა (უკმეხად). გადაგველობოს!.. თუ შეიძლება შენს საქმეში ნუ გამრევ.

პატარა ოთახის კართან მიდის, სადაც ბერტა ამ დროს მაგიდაზე გრაფინებს და ჭიქებს ალაგებს. ჰედა მოწონების ნიშნად თავს აქნევს და კვლავ სტუმრებს უბრუნდება.

ბერტა გადის.

ტესმანი (იმავედროულად). თქვენ კი, ასესორო... თქვენ რაღას იტყვიოთ? ჰა?

ბრაკი. მხოლოდ იმას, რომ ღირსება და გამარჯვება... ჰმ... ზოგჯერ მეტად სასიამოვნო რამ არის.

ტესმანი. დიახ, დიახ. მაგრამ მაინც...

ჰედა (გაჰყინავი ღიმილით მისჩერებია კმარს). კაცმა რომ შემოგხედოს, თითქოს მეხმა გაგაყრუაო.

ტესმანი. ჰო... ისე... მართლაც...

ბრაკი. მის თავზე მართლაც ქეკა-ქუხილმა გადიგრუხუნა, ფრუ ჰედა.

ჰედა (პატარა ოთახზე ანიშნებს). თითო ჭიქა. ცივ პუნშს ხომ არ ინებებთ, ბატონებო?

ბრაკი (საათს დასცქერის). წასვლის წინ? ურიგო არ იქნებოდა.

ტესმანი. დიდებულია, ჰედა! დიდებული! ჩემს სიხარულს ახლა...

ჰედა. თქვენ, ბატონო ლევბორგი?.. გთხოვთ!

ლევბორგი (თავს იკავებს). დიდი მადლობა. არ გეახლებით.

ბრაკი. ღმერთო ჩემო!.. ცივი პუნში საწამლავი ხომ არ არის?!

**ლევბორგი.** გააჩნია, ვისთვის.

**ჰელა.** მაშინ ვეცდები ცოტა ხანს შევიქციო ბატონი ლევბორგი.

ტესმანი და ბრაკი პატარა ოთახში გადიან, ღივანზე სხდებიან, პუნშს სვამენ, ეწევიან და მთელი მომღვენო სცენის მანძილზე მზიარულად მასლაათობენ. ლევბორგი კვლავ ლუმელთან დგას, ჰელა კი საწერ მაგიდასთან მიდის.

**ჰელა** (ცოტა არ იყოს, ხმამალა). თუ გნებავთ, ფოტოებს გიჩვენებთ, მე და ტესმანმა აქეთობისას ტიროლზე გამოვიარეთ...

საწერი მაგიდიდან ღივანის წინ მდგარ მაგიდაზე გადააქვს ალბომი და თვითონაც ღივანის მარჯვენა კუთხეში ჯდება. ლევბორგი უახლოვდება, ჩერდება და უსიტყვოდ უცქერის, შემდეგ სკამს იღებს და ჰელას მხარმარცხნივ, პატარა ოთახისაკენ ზურგშექცევით ჯდება.

**ჰელა** (ალბომს ფურცლავს). აი, შეხედეთ ამ მწვერვალს, ბატონო ლევბორგ. ეს ორტლერია. ტესმანი თვითონ აწერდა. (კითხულობს). ორტლერი მერანოსთან .

**ლევბორგი** (მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალმოუშორებლად მისჩერებია, ხმადაბლა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოსთქვამს). ჰელა... გაბლერი!

**ჰელა** (სწრაფად, მალულად ახედავს). ჩუუ!

**ლევბორგი** (ხმადაბლა იმეორებს). ჰელა გაბლერი!

**ჰელა** (ალბომს ჩაჰყურებს). დიახ, ასე შეძახდნენ უწინ. იმ დროს... როცა ერთმანეთს ვიცნობდით.

**ლევბორგი.** ამიერიდან კი... მომიწევს სამუდამოდ გადავეჩვიო და აღარასოდეს დაგიძახო... ჰელა გაბლერი?..

**ჰელა** (კვლავინდებურად განაგრძობს ალბომის ფურცლას). დიახ, მოგიწევთ. ჩემის აზრით, უკვე დროა, გადაეჩვიოთ. და რაც უფრო მალე, მით უკეთესი.

**ლევბორგი** (რისხვით მთრთოლავი ხმით). ჰელა გაბლერი სხვისი ცოლია... და მერე ვისი... იორგენ ტესმანის!

**ჰელა.** დიახ, დიახ, რა არ ხდება ამჟვეყნად?

**ლევბორგი.** ო, ჰელა, ჰელა! ასე როგორ გასწირე თავი?

**ჰელა** (კუმტად უყურებს). არ გინდა ასე.

**ლევბორგი.** რაო, რაო? რალაც არ მესმის.

ტესმანი მაგიდიდან დგება და მათკენ მიემართება.

**ჰელა** (ნაბიჯების ხმის გავონებისას, გულგრილი ტონით). ეს კი, ბატონო ლევბორგ, ამპეცოს ხეობაა. აბა, შეხედეთ ამ მთის მწვერვალებს! (აღერსიანად უყურებს ტესმანს). ჰო, მართლა, რა ეწოდება ამ უცნაურ მწვერვალებს?

**ტესმანი.** მიჩვენე. ა-ა, დოლომიტები.

**ჰელა.** დიახ, დიახ, ეს დოლომიტებია, ბატონო ლევბორგ.

ტესმანი. იცი, რა, ჰედა, მინდოდა მეკითხა, თქვენთვისაც ხომ არ მომეტანა პუნში? ეილერტს თუ არ სურს, შენთვის მაინც, ჰა?

ჰედა. გმადლობთ, და თუ შეიძლება, ორიოდ ღვეზელიც.

ტესმანი. პაპიროსებიც?

ჰედა. არა, პაპიროსები არ გინდა.

ტესმანი. კეთილი (მხარმარჯვნივ მიემართება, პატარა ოთახის გავლით).

ბრაკი თავის ადგილიდან დროდადრო ჰედასა და ლევბორგისკენ აპარებს თვალს.

ლევბორგი (ისევ ხმადაბლა). მიპასუხე, ჰედა!.. რამ გადაგადგმევინა ეს ნაბიჯი?

ჰედა (ისეთი სახით, თითქოს ალბომშია ჩაფლული). თუ კვლავ შენობით მომმართავ, აღარ გიპასუხებ.

ლევბორგი. როგორ? შენთან პირისპირ საუბრის დროსაც ღრა მაქვს ამის უფლება?

ჰედა. არა. მხოლოდ -- გულში. ხმამალლა კი არ შეიძლება.

ლევბორგი. ა-ა, გასაგებია. ეს შეურაცხყოფს თქვენს სიყვარულს იორგენ ტესმანისადმი!

ჰედა. (ალმატერად უქკერის; ლომილით). სიყვარულსო? ეს კი კარგად გამოგივიდათ!

ლევბორგი. ჰედა... ერთი ეს მითხარი...

ჰედა. ჩუუ!..

ტესმანი (ხონჩით ბრუნდება და მაგიდაზე დებს მას). აი, ესეც თქვენს სასუსნავე.

ჰედა. რალა შენ თვითონ?..

ტესმანი (კიკებს ავსებს). იცი, რა? მე მსიამოვნებს შენი მომსახურება, ჰედა!

ჰედა. მაგრამ შენ ორი კიქა შეავსე. ბატონი ლევბორგი რომ არ სვამს?

ტესმანი. კი მაგრამ, ფრუ ელესტედი ხომ მალე მოვა?

ჰედა. ჰო, მართლა, ფრუ ელესტედი.

ტესმანი. შენ კი დაგავიწყდა? ჰა?

ჰედა. ჩვენ აქ ისე გავერთეთ... (ერთ ფოტოსურათს უჩვენებს). გახსოვს ეს სოფელი?

ტესმანი. როგორ არა, ბრენერის უღელტეხილის ძირას! აქ ღამე გავათეთ...

ჰედა. და, თანაც, ტურისტების ისეთ მხიარულ ჯგუფს გადავეყარეთ...

**ტესმანი.** დიახ, დიახ... შენ რომ ჩვენთან ყოფილიყავი, ეილერტ აბა! (ასესორ ბრაკთან ბრუნდება).

**ლევბორგი.** მხოლოდ ერთი რამ მითხარით, ჰედა...

**ჰედა.** მაინც?

**ლევბორგი.** არც ჩემთან ურთიერთობას ეთქმოდან... სიყვარული?... არცერთი სხივი?... არც ნაპერწკალი?..

**ჰედა.** როგორ გითხრათ? მე მგონია, ჩვენ მხოლოდ გულითადი მეგობრები ვიყავით; ერთმანეთს მინდობილი მესაიდუმლენი... (ილიძება). განსაკუთრებით... თქვენი გულახდილობა იყო საოცარი.

**ლევბორგი.** თქვენ ასე გსურდათ.

**ჰედა.** ახლა რომ ვიხსენებ... ყველაფერი საოცრად მშვენიერი, მომაქადოებელი მეჩვენება... იყო რალაც თამამი ამ იდუმალ მეგობრობაში... ამ ამხანაგობაში, რაზედაც არავის წარმოდგენაც არა ჰქონდა.

**ლევბორგი.** არა, ხომ მართალია, ჰედა? მართალი! მახსოვს, ნასადილევს შემოვივლიდი ხოლმე მამათქვენთან... გენერალი გაზეთით ხელში მიუჭდებოდა ფანჯარას... ზურგს მოგვაქცევდა.

**ჰედა.** ჩვენ კი კუთხის დივანზე ჩამოვსხდებოდით...

**ლევბორგი.** ხოლო წინ ყოველთვის ერთი და იგივე, სურათებიანი ჟურნალი გვედო...

**ჰედა.** რა გვექნა, ალბომი რომ არა გვქონდა?..

**ლევბორგი.** დიახ, ჰედა!.. და იწყებოდა ჩემი გულის გადაშლა!.. გიამბობდით იმას, რასაც მაშინ არავის არ გაეანდობდი. აღსარებასავით გიმჟღავნებდით ჩემს დამთხვეულობას, ჩემს სიშლეგეს, ჩემს ღამეულ ღრეობებს და გაუთავებელ დროსტარებას. აჰ, ჰედა, რანაირი ძალა უნდა გქონოდათ, რომ ამნაირი გულახდილობისათვის გამოგეწვიეთ?..

**ჰედა.** თქვენ გგონიათ, რომ მე რალაც განსაკუთრებული ძალა მქონდა?..

**ლევბორგი.** მაშ, რითი აიხსნება ყოველივე ეს? მთელი მაცდური ხიბლი... გადაკრული სიტყვები... შემპარავი შეკითხვები, რომლებსაც მე მაძლედი...

**ჰედა.** და რომლებიც ასე კარგად გესმოდათ...

**ლევბორგი.** მაინც რა ძალა გაძლედათ იმის უნარს, რომ ყოველივე ეს გამოგეკითხათ ჩემთვის? ასე თამამად, წარბმეუხრელად?

**ჰედა.** მომიტევეთ! (შეპარავად).

ლევბორგი. და მაინც, თამამად? დიახ, როგორ შეგეძლოთ, რომ ყოველივე ეს გამოგეკითხათ ჩემთვის?..

ჰელა. თქვენ კი?.. თქვენ როგორღა შეგეძლოთ, ამ კითხვებზე გეპასუხათ, ბატონო ლევბორგ?

ლევბორგი. სწორედ ამის გაგება მიჭირს ახლა. მაგრამ, მითხარით, ჰელა... ნუთუ ყოველივე ამის მიღმა არ იმალებოდა სიყვარულის თუნდაც ერთი, ერთადერთი სხივი? ხომ არ გამოძრავებდათ იმის სურვილი, რომ დაცემული აღგედგინეთ და განგეწმინდეთ... ჩემი აღსარებების გზით? მართალს არ ვამბობ? ხომ ასეა, ჰელა?

ჰელა. არცთუ მთლად ასე.

ლევბორგი. კი მაგრამ, მაშინ რალა გამოძრავებდათ?

ჰელა. განა ასე აუხსნელია თქვენთვის, რომ ქალიშვილი... ცდილობს ისარგებლოს შემთხვევით და... ქურდულად მაინც...

ლევბორგი. რა?

ჰელა. ...შეავლოს თუნდაც ერთი თვალი იმ სამყაროს, რომლის...

ლევბორგი. რომლის?..

ჰელა. ...გაცნობაც აკრძალულია მისთვის.

ლევბორგი. აჰ, აი, თურმე რა?..

ჰელა. დიახ, დიახ, ესეც... ნაწილობრივ.

ლევბორგი. მეგობრობა ცხოვრებით ტკბობის წყურვილის ნიადაგზე. მაგრამ რატომღა არ გაგრძელდა თუნდაც ასე?

ჰელა. ამაში თქვენ მიგიძღვით ბრალი.

ლევბორგი. არა, თქვენ თვითონვე მკარით ხელი.

ჰელა. დიახ, როცა ამნაირმა ურთიერთობამ საშიში ხასიათი მიიღო. როგორ არა გრცხვენიათ, ელერტ ლევბორგ? განა შეიძლებოდა ასეთი თავდავიწყება თქვენნი... თამამი მეგობრის წინაშე?

ლევბორგი (მუშტებსა კუმშავს). ო, რატომ მართლა არ მესროლეთ მაშინ, როგორც მემუქრებოდით?

ჰელა. აი, ხომ ხედავთ, როგორ მეშინია სკანდალის.

ლევბორგი. დიახ, ჰელა, არსებითად, თქვენ მხდალი ხართ.

ჰელა. საშინლად მხდალი (ტონს იცვლის). თქვენდა საბედნიეროდ... შემდეგ კი ისე მშვენივრად ინუგეშებდით თავს... ფრუელესტელთან.

ლევბორგი. ჰო, ვიცი, თეა გამოგიტყდათ.

ჰელა. ალბათ, თვითონაც გამოუტყდით ზოგ რამეში?

ლევბორგი. არ დაიჭეროთ. ან კი რას გაიგებდა? მეტისმეტად სულელია.

ჰედა. სულელი?

ლევბორგი. ამ მხრივ, სულელია.

ჰედა. მე კი -- მხდალი! (ოდნავ იხრება მისკენ, ისე, რომ თვალებში არ უყურებს და ხმადაბლა ამბობს). ახლა მეც მინდა... რალაცაში გამოგიტყდეთ.

ლევბორგი (დაძაბულად). მაინც?

ჰედა. მაშინ მე... ვერ გავბედე თქვენთვის მესროლა...

ლევბორგი. ა?!

ჰედა. მაგრამ ყველაზე მეტად ამაში როდი იჩინა თავი ჩემმა სიმხდალემ... იმ საღამოს.

ლევბორგი (ერთხანს უტკერის, შემდეგ რალაცას ხელება და ვნებიანად ჩურჩულებს). ო, ჰედა, ჰედა! ახლა კი მესმის, რა იყო ჩვენი მეგობრობის იღუმალი საფუძველი! შენ და მე! მაშასადამე, შენშიაც მძლავრობდა ვნება.

ჰედა (გამყინავი და ბასრი მზერით კეთს მის სიფიცხეს). ფრთხილად! ნურაფერ ამდაგეარს ნუ წარმოიდგენთ!

ბინდღება. ბერტა შემოსასვლელის კარს აღებს.

ჰედა (ალბომს ხურავს და ალერსიანი ლიბოლით წამოიძახებს). ძლივს არ ველირსეთ? თეა, ჩემო კარგო... შემოდი, რალას უყურებ?

წინკარიდან შემოდის თეა. მოხდენილი საეიზიტო კაბა აცვია. ბერტა კვლავ ხურავს კარს.

(სავარძლიდან წამოუდგომლად უწვდის ხელს). ძვირფასო თეა! შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ გელოდი.

თეა და პატარა ოთახში მსხლოში მამაკაცები თავს უკრავენ და უხმოლ ესალმებიან ერთმანეთს. შემდეგ ფრუ ელვსტედი მაგიდას უახლოვდება და ხელს უწვდის ჰედას. ამ დროს ლევბორგი ღვება და თეას თავის დაკვრას უსიტყუო საღმით პასუხობს.

თეა. ორიოდე სიტყვა მაქვს შენს ქმართან.

ჰედა. რა დროს ეგაა? თავისთვის არიან და ახლავე წავლენ.

თეა. წავლენ.

ჰედა. ჰო, საქეიფოდ.

თეა (სწრაფად ახედავს ლევბორგს). იმეღია, თქვენ მაინც არ წახვალთ? ლევბორგი. არა.

ჰედა. ბატონი ლევბორგი ჩვენთან რჩება.

თეა (სკამს იღებს და ლევბორგის გვერდით დაქდომას აპირებს). აჰ, რა კარგია აქ!

ჰედა. მომიტყევე, ჩემო ძვირფასო! მანდ არა! იქნებ, ჩემს გვერდით ჩამოჭდე? მე მინდა შუაში ვიყო.

თეა. როგორც გნებავს.



თეა მაგიდას უჯლის და დივანზე ჰედას მხარმარჯვნივ ჯდება. ლევბორგი თაის ადგილს იკავებს სკამზე.

**ლევბორგი** (მცირეოდენი ჰაუზის შემდეგ, თეაზე ანიშნებს და ისე მიმართავს ჰედას). არა, ხომ მშვენიერია? უყურებ და თვალს უხარია!

**ჰედა** (თმაზე ხელს უსვამს თეას). მარტო თვალს?..

**ლევბორგი**. დიახ... იმიტომ, რომ... მე და ის... ჩვენ... ნამდვილი მეგობრები ვართ... ბოლომდე ვენდობით და შეგვიძლია ყველაფერი თამამად ვუთხრათ ერთმანეთს.

**ჰედა**. ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე. ბატონო ლევბორგი?

**ლევბორგი**. რა თქმა უნდა...

**თეა** (ალერსიანად ეხუტება ჰედას, ხმადაბლა). რა ბედნიერი ვარ, ჰედა! წარმოგიდგენია?.. ასე მეუბნება, ყველაფერი შენ შთამაგონეო!

**ჰედა** (ლიბილით უსქერის). არა, მართლა? მართლა ასე გეუბნება.

**ლევბორგი**. მერედა, რომ იცოდეთ, რა მამაცია, ფრუ ტესმან!

**თეა**. აჰ, ღმერთო ჩემო! მე და -- მამაცი!

**ლევბორგი**. უსაზღვროდ მამაცი... როცა საქმე ეხება მეგობარს!

**ჰედა**. სიმამაცე!.. კარგი იქნებოდა ყველას ჰქონოდა...

**ლევბორგი**. რისთვის?

**ჰედა**. რისთვის და იმისთვის, რომ მაშინ, ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა ნამდვილი ცხოვრებით გვეცხოვრა. (მოულოდნელად წყვეტს სიტყვას). ახლა კი, ჩემო ძვირფასო, ერთ ჭიქა ცივ პუნშს შემოგთავაზებ.

**თეა**. არა, გამაღობთ, სასმელს ჰირს არ ვაკარებ.

**ჰედა**. არც თქვენ, ბატონო ლევბორგი?

**თეა**. არც ბატონი ლევბორგი.

**ჰედა** (დაჟინებით უსქერის). მაგრამ თუ მე მსურს?!

**ლევბორგი**. სულერთია.

**ჰედა** (იცინის). ასე რომ, მე საბრალოს არავითარი გავლენა აღარ მაქვს თქვენზე?

**ლევბორგი**. ამ მხრივ, -- არა.

**ჰედა**. არა, მართლა, სერიოზულად, თქვენთვისვე აჯობებდა, რომ გაგებდათ!

**თეა**. რას ამბობ, ჰედა?

**ლევბორგი**. ეგ როგორ გავიგოთ?

**ჰედა**. ან არა და, -- სხვების გულისთვის მაინც!

**ლევბორგი**. თქვენ გგონიათ?..

**ჰედა**. თორემ ხომ შეიძლება, ხალხმა იფიქროს რომ... ცოტა არ იყოს, ეჭვი გეპარებათ თქვენს სიმამაცეში... და, საერთოდ, თქვენსავე თავშიც?

თეა (ხმადაბლა). ჰედა, გემუდარები!

ლევბორგი. ხალხმა, რაც უნდა, ის იფიქროს... ჯერჯერობით.

თეა (გახარებული). მართლაც.

ჰედა. მე ისე ნათლად ამოვიკითხე ასესორის სახეზე.

ლევბორგი. რა ამოიკითხეთ?..

ჰედა. მან ისე დამცინავად გაიღიმა, როცა ვერ გაბედეთ მათ სუფრას შეერთებოდით?

ლევბორგი. რაო, მე ვერ გავბედე?.. უბრალოდ, აქ დარჩენა და თქვენთან საუბარი ვარჩიე.

თეა. ეს ხომ საცესებით გასაგებია, ჰედა!

ჰედა. მაგრამ ასესორს, როგორც ჩანს, აზრადაც არ მოსვლია ეს. მე შევნიშნე, როგორ ჩაიციხა და თვალი ჩაუკრა ტესმანს, როდესაც თქვენ შეგეშინდათ მონაწილეობა მიგელოთ მათ მხიარულ დროსტარებაში.

ლევბორგი. შემეშინდა? თქვენ ამბობთ, რომ მე შემეშინდა?!

ჰედა. არა, მე კი არა, ასესორმა გაიგო ასე.

ლევბორგი. ასესორის!..

ჰედა. მაშ, არ შეუერთდებით?

ლევბორგი. არა, მე თქვენთან და თეასთან ვრჩები.

თეა. კი მაგრამ, თავად განსაჯე!..

ჰედა (ილიმება და მოწონების ნიშნად თავს უქნევს ლევბორგს). მაშ, თქვენ სალ კლდესავით ურყევი ხართ?.. და ეს წესი წესად დარგეთ უკუნითი უკუნისამდე?! კაცობაც ამასა ჰქვია! (თეას მიუბრუნდება და ეფერება). აკი გეუბნებოდით ამ დილით, დაფეთებული რომ შემოვარდით...

ლევბორგი (გაოგნებით). დაფეთებული?!

თეა (შეშინებული). ჰედა, ჰედა!..

ჰედა. ახლა ხომ შენი თვალით ხედავ, არავითარი საბაზი არა გაქვს, რომ ერთავად შიშისგან ძრწოდე. (მოულოდნელად წვერბს სიტყვას). აი, ახლა კი სამივეს შეგვიძლია, გულიანად ვიცინოთ. და ვიმხიარულოთ.

ლევბორგი (საშინლად აღელვებული). ა!.. მაინც რას ნიშნავს ყოველივე ეს, ფრუ ტესმან?!

თეა. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რას ამბობ, ჰედა?! რას ამბობ? რას სჩადიხარ?!

ჰედა. ჩუმა! ეს საზიზღარი ასესორი თვალს არ გაშორებთ.

ლევბორგი. მაშ, ერთთავად შიშისგან ძრწოდეს?! ჩემი გულისთვის?!

თეა (ხმადაბლა, საწყალობლად). აჰ, ჰედა, ჰედა! შენ მე დამლუბე, გამაუბედურე!

ლევბორგი (ერთხანს რისხვით შეშლილი სახით უყურებს თეას). აი, ისიც, -- მეგობრის თამამი რწმენა!

თეა (ვეღრების კლოთი). ჩემო ძვირფასო... ჯერ მომისმინე!

ლევბორგი (ერთ-ერთ საესე ჰიქას ხელს სტაცებს, მაღლა სწევს და ჩახლეჩილი ხმით ამბობს). ეს შენ გაგიმარჯოს, თეა! (სვამს და მეორე ჰიქას იღებს).

თეა (ხმადაბლა). აჰ, ჰედა, ჰედა!.. რად გინდოდა ეს?

ჰედა. მინდოდა? მე? ხომ არ გაგიჟდი?

ლევბორგი. ამით კიდევ თქვენ გაგიმარჯოთ, ფრუ ტესმან! მადლობელი ვარ სიმართლისათვის! გაუმარჯოს სიმართლეს! (სვამს და აპირებს კიდევ დაისხას).

ჰედა (ხელში სწვდება). აბა, აბა!.. ჯერჯერობით საკმარისია. წინ სუფრა გელით.

თეა. არა, არა!

ჰედა. ჩუუ! გიყურებენ!

ლევბორგი (ჰიქას ეშვება). მომისმინე, თეა... მხოლოდ იცოდე, მართალი მითხარი.

თეა. რა?

ლევბორგი. ფოგტმა თუ იცოდა, რომ უკან გამომყევი?

თეა (ხელების მტრევით). ოჰ, ჰედა! გესმის, რას მეკითხება?

ლევბორგი. თქვენ რა, შეთანხმდით, რომ ქალაქში სათვალთვ-ალოდ გამომყევბოდი? იქნება, ძალით გაიძულა?.. აჰ, აი, თურმე რა?.. კანცელარიაში ხომ არ ვკირდები?.. ან, იქნებ, მწვანე სუფრაზე ვაკლივარ თვალში?

თეა (ხმადაბლა კენესის). ო, ლევბორგ, ლევბორგ!..

ლევბორგი (ჰიქას ხელს სტაცებს და დასხმას აპირებს). ეს ბებერ ფოგტსაც გაუმარჯოს!

ჰედა (კვლავ ხელში სწვდება). ჯერჯერობით გეყოფათ. ხომ გახსოვთ რა უნდა წაუკითხოთ ტესმანს?

ლევბორგი (მშვილდება და ჰიქას ხელს უშვებს). მომიტევე, რომ გაწყენინე, თეა... ნუ მიბრანდები, ჩემო ძვირფასო მეგობარო... აი, ნახავთ, შენცა და სხვებიც, რომ, მართალია, დავეცი... მაგრამ ისევ მოვახერხე ფეხზე დადგომა! შენი შემწეობით, თეა!

თეა (სიხარულისაგან სახეგაბრწყინებული). მადლობა ღმერთს!

ამასობაში ასესორი ბრაკი საათს დაჰყურებს. შემდეგ ის და ტესმანი დგებიან და სასტუმრო ოთახში გამოდიან.

ბრაკი (ქუდსა და პალტოს იღებს). ჩვენმა საათმა უკვე დაჰკრა, ფრუ ტესმან!

ჰელდა. როგორც ჩანს.

ლევბორგი (ღებმა). ჩემმაც, ბატონო ასესორო.

თეა (ვედრების კილოთი, ხმადაბლა). გეხვეწები, ლევბორგ, არ გინდა!..

ჰელდა (ხელზე ჩქმეტს). გაიგონებენ.

თეა (უნებურად წაშოიკოვლებს). ვაი!

ლევბორგი (ასესოროს). თქვენ ისე თავაზიანად მიმიპატიეთ...

ბრაკი. მაშასადამე, მოდიხართ.

ლევბორგი. დიახ; მაღლობას გწირავთ.

ბრაკი. ძალიან მოხარული ვარ.

ლევბორგი (ჩიბეში იღებს ქალაღში გახვეულ პაკეტს, ტესმანს). მინდა ზოგი რამ წაგიკითხო, სანამ დასაბეჭდად ჩავაბარებდე.

ტესმანი. ლმერთმანი, დიდი ინტერესით მოველი! კი მაგრამ, ძვირფასო ჰელდა, ფრუ ელვსტედს როგორღა მიიყვან სახლში?

ჰელდა. რამეს მოვახერხებთ.

ლევბორგი (ქალებს უყურებს). ფრუ ელვსტედს?.. კი მაგრამ, მე ხომ დავბრუნდები? თვითონვე მივაცილებ (უახლოვდება). ასე, დაახლოებით ათი საათისთვის, ფრუ ტესმან! შეეთანხმდით?

ჰელდა. შეეთანხმდით.

ტესმანი. მაშინ ყველაფერი რიგზეა. მხოლოდ მე ასე ადრე ნუ მელი, ჰელდა!

ჰელდა. დარჩი, დარჩი, ჩემო ძვირფასო... რამდენ ხანსაც გნებაეს.

თეა (მღელვარების დამაღვას ცდილობს). ბატონო ლევბორგ... მე დაგელოდებით.

ლევბორგი (ქუღით ხელში). რა თქმა უნდა, ფრუ ელვსტედ.

ბრაკი. მაშ, ასე, მხიარული მატარებელი დაიძრა. იმედი მაქვს, დიდი გამოცოცხლება იქნება, როგორც ბრძანებს ერთი მშვენიერი ქალბატონი.

ჰელდა. აჰ, ამ მშვენიერ ქალბატონსაც რომ შეეძლოს თქვენთან ყოფნა!..

ბრაკი. რატომაც არა? უჩინმაჩინის ქუღით!

ჰელდა. რათა თქვენი ქეშმარიტი გამოცოცხლებით დატკბეს, ბატონო ასესორო!

ბრაკი (იციინის). არ ვურჩევდი, ამ მშვენიერ ქალბატონს!

ტესმანი (თვითონაც იციინის). ერთი ამას დამიხედეთ, რა მომინდომა? -- დაფიქრდი, ჰელდა!

ბრაკი. კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონებო!

**ლევბორგი** (ერთხელ კიდევ ემშვიდობება). ესე იგი, ათისთვის.

ბრაკი, ლევბორგი და ტესმანი წინკარისკენ მიემართებიან. იმედროულად ბერტას უკანა ოთახიდან ანთებული ლამპა შემოაქვს და მაგიდაზე დგამს; თვითონ კი გადის.

**თეა** (აღელვებული, უმიზნოდ წრიალებს ოთახში). ჰედა, ჰედა... რით დამთავრდება ყოველივე ეს?

**ჰედა**. მაშასადამე, ათზე მოვა... მე უკვე ცხადად, თვალნათლივ ვხედავ მას... ვაზის ფოთლებით შუბლშემკვლს... ამაყს და თამამს...

**თეა**. ღმერთმა ინებოს!

**ჰედა**. და მაშინ, ნამდვილად ვირწმუნებ, რომ... კვლავ თავისი თავის ბატონ-პატრონია... რომ კვლავ თავისუფალი კაცია მთელი სიცოცხლის მანძილზე!

**თეა**. დიახ, დიახ... მხოლოდ ისე დაბრუნდეს, როგორც შენ წარმოგიდგენია.

**ჰედა**. წარმომიდგენია და კიდევაც დაბრუნდება! (დგება და უახლოვდება). რამდენიც გნებავს, ექვის თვალით უყურე მას, მე კი მწამს მისი. მაშ, ასე, ვნახოთ!..

**თეა**. რალაცას აპირებ, ჰედა!

**ჰედა**. დიახ, ვაპირებ, თუნდაც ერთხელ ჩემს სიცოცხლეში ხელთ მეპყრას ადამიანის ბედი!

**თეა**. მერედა, განა გვერდით არ გყავს ამნაირი ადამიანი?..

**ჰედა**. არა, და არც არასოდეს მყოლია.

**თეა**. მაშ, შენი ქმარი?..

**ჰედა**. ჩემი ქმარი?! რომ იცოდე, რა ღარიბი ვარ? შენ კი ბედმა გაგიღიმა და ისეთი მდიდარი გახდი. (ვნებიანად შემოაქვლობს ხელებს). შენს თმებს კი, ღმერთმანი, მაინც დაეწვავ.

**თეა**. გამიშვი! გამიშვი-მეთქი! მე შენი მეშინია, ჰედა!

**ბერტა** (კარში). ჩაი სასადილო ოთახში გაგიწყეთ, ქალბატონო.

**ჰედა**. კარგი. მოვდივართ.

**თეა**. არა, არა! მირჩევნია შინ წავიდე! ახლავ, ამწამსვე!

**ჰედა**. რას როშავ? ჭერ ჩაი უნდა დაგალევირო, ჩემო სულელო გოგო. მერე კი... ათ საათზე... ნადიმიდან დაბრუნდება ეილერტ ლევბორგი... ვაზის ფოთლებით შუბლშემკვლი... (თითქმის ძალით მიათრევს თვას სასადილო ოთახში).

ოგრევე ოთახი. პატარა ოთახში გამაველ კარზე ფარდები გადაწეულია, ისევე როგორც შინის კარზედაც. დივანის წინ მდგარ მაგიდაზე ოღნავ ბეჭეტავს აბაეურიანი ლამა. ღუმელში, რომლის კარიც გამოღებულია, ცეცხლი ინავლება. ღუმელის გვერდით ზის ჩაქმული, გრძელ შალში გამოხვეული, დაბალ სკამზე ფეხებშემოწყობილი და სავარძელში ღრმად ჩაფლული თეა ელვსტიდი. დივანზე, ასევე გაუხდელად, წევს ქედა; სქელი ზეწარი წაუხურავს და სძინავს.

თეა (მცირეოდენი პაუზის შემდეგ სწრაფად იმართება და დაძაბული აყურადებს სივრცეს). არსადა ჩანს!.. ღმერთო ჩემო!.. ღმერთო ჩემო!.. ჭერ კიდევ არსადა ჩანს!..

წინკარიდან ფეხაკრეფით მოიპარება ბერტა. ხელში წერილი უქირავს.

ბერტა (ხმადაბლა). აი, ეს-ესაა გოგომ წერილი მოიტანა.

თეა (სწრაფად უწვდის ხელს). წერილი? მომეცით!

ბერტა. არა, ქალბატონო, წერილი დოქტორის სახელზეა.

თეა. ა-ა!..

ბერტა. ფრიოკენ ტესმანის მოსამსახურემ მოიტანა. აი, აქ, მაგიდაზე დაედებ.

თეა. კარგი.

ბერტა (წერილს ღებს). ლამა კი შეიძლება ჩაეაქროთ... მხოლოდ ხრჩოლავს.

თეა. ჩააქრეთ. მალე გათენდება?

ბერტა (ლაშას აქრობს). უკვე გათენდა, ქალბატონო.

თეა. პოო, მართლა გათენებულა! ის კი არა და არ ჩანს!..

ბერტა. ოჰ, ღმერთო ჩემო, ასეც ვიცოდი...

თეა. იცოდით?

ბერტა. დიახ... როგორც კი დავინახე, რომ ერთი ვაჟბატონი კვლავ აქ ტრიალებს, ქალაქში... სწორედ მან წაიყვანა ისინი... საკმაოდ ბევრი რამ მსმენია ამ ვაჟბატონზე, ვინ მოთელის, რამდენი ხანია.

თეა. ასე ხმამალა ნუ ლაპარაკობ. ქალბატონს გააღვიძებთ.

ბერტა. ცეცხლს ხომ არ შეეუკეთო?

თეა. არა, გმადლობთ, ჩემი გულისთვის ნუ შეწუხდებით.

ბერტა. როგორც გნებავთ. (ფეხაკრეფით გადის წინკარში).

ჰედა (კარის კრიალზე იღვიძებს). რა მოხდა?..

თეა. არაფერი. მოახლე იყო...

ჰედა (აქეთ-იქით იყურება). აჰ, აი, თურმე სადა ვარ!.. ჰო, მართლა! გამახსენდა... (ღივანზე წამოიწევა, აზრობა და თვალებს იფშენებს). რომელი საათია, თეა?

თეა (საათზე იყურება). უკვე რვა დაიწყო.

ჰედა. როდის დაბრუნდა ტესმანი?

თეა. საერთოდ არ დაბრუნებულა.

ჰედა. არ დაბრუნებულა?

თეა (ღგება). არც არავინ მოსულა.

ჰედა. ჩვენ კი ვისხედით და ოთხ საათამდე ველოდებოდით...

თეა (ხელების მტკრევით). არადა, როგორ ველოდი!..

ჰედა (ამოქნარებს, პირზე ხელს იფარებს და ამბობს). დიახ, დიახ, რისთვის მოვიკალით თავი?..

თეა. შემდეგ კი შენ ცოტა ჩაგთვლიმა.

ჰედა. და, როგორც ჩანს, გულიანად გამოვიძინე, შენ კი გეძინა?

თეა. არც ერთი წუთით, ჰედა! თვალის მოხუჭვა ვერ შევძელი.

ჰედა (ღგება და უახლოვდება). კარგი, გეყოფა! ამდენ ნერვიულობად არ ღირს! ყველაფერი სულ ადვილად აიხსნება!

თეა. კი მაგრამ, შენ მაინც რითი ხსნი?

ჰედა. რა დიდი ახსნა ამას უნდა? უბრალოდ, დიდხანს შემორჩნენ იქ, ასესორთან...

თეა. დიახ, დიახ... როგორც ჩანს! მაგრამ მაინც...

ჰედა. მერე კი, იცი რას გეტყვი? ტესმანს, ალბათ, მოერიდა გვიან ღამით შინ დაბრუნება, კარზე რეკვა, აყალმაყალის ატეხვა. (იყინის). ეგეც არ იყოს, როგორც ჩანს, ეუხერხულა მზიარული დროსტარებიდან პირდაპირ ჩვენთან გამოცხადება.

თეა. კი მაგრამ, ძვირფასო... სად შეიძლება წასულიყო?

ჰედა. უთუოდ მამიდებთან შევიდოდა. მისი ძველი ოთახი ხომ კვლავინდებურად თავისუფალია.

თეა. არა, არა, იქ არ იქნება. სწორედ ახლახან მოუტანეს წერილი ფრიოკენ ტესმანისაგან... აგერაა, მაგიდაზე.

ჰედა. ჰოო? (წარწეკას დახედავს). მართლაც მამიდა იუღესგანაა; მისი ხელია... მაშასადამე, ასესორთან დარჩა. ვაზის ფოთლებით შუბლშემკული ლეგებორგიც, ალბათ, იქვე ზის და თავის ხელნაწერს კითხულობს.

თეა. ოჰ, ჰედა, ამას შენ მხოლოდ ამბობ, მაგრამ შენი სიტყვებისა თვითონვე არ გჭერა.

ჰედა. ღმერთმანი, შენ მართლა სულელი ხარ, თეა.

თეა. დიახ, სამწუხაროდ, ასეა.

ჰედა. საშინლად დაღლილი სახე გაქვს.

თეა. ჰო, წარმოუდგენლად დავიღალე...

ჰედა. მაშინ, იცი რას გეტყვი?.. ჩემს საწოლ ოთახში გადი და წამოწეკი.

თეა. აჰ, არა, არა, სულერთია, მაინც ვერ დავიძინებ.

ჰედა. დაიძინებ.

თეა. კი მაგრამ, შენი ქმარი ხომ მალე დაბრუნდება?.. მე ყველაფერი მაშინათვე უნდა შევიტყო...

ჰედა. როგორც კი მოვა, იმწამსვე დაგიძახებ.

თეა. სიტყვას მაძლევ, ჰედა?

ჰედა. დარდი ნუ გაქვს. ახლა კი წადი და დაიძინე.

თეა. დიდი მადლობა. ვეცდები (მხარმარცხნივ გადის, პატარა ოთახის გავლით).

ჰედა მინის კართან მიდის და ფარდებს სწევს. ოთახი ღრის სინათლით ივსება. მერე საწერი მაგიდიდან პატარა სარკეს იღებს, შიგ იყურება და ვარცხნილობას ისწორებს. შემდეგ შემოსასვლელის კართან მიდის და ზარის ღრის ხელს აჭერს. წინკარში სწრაფად გამოჩნდება ბერტა.

ბერტა. რას მიბრძანებთ, ქალბატონო?

ჰედა. ცეცხლს შეუკეთე. სულ მთლად გავიყინე.

ბერტა. აჰ, ღმერთო ჩემო! ახლავე, ახლავე! (ნახშირს ხვეტს და შეშას უკეთებს, მაგრამ უეცრად ჩერდება და კარს აყურადებს). რეკავენ, ქალბატონო.

ჰედა. წადი, გაუღე. ცეცხლს მე თვითონ მივხედავ.

ბერტა. ახლავე დაგუზგუზდება. (წინკარში გადის).

ჰედა პატარა სკამს ეყრდნობა მუხლებით და კიდეე რამდენიმე ნაკერს უკეთებს ცეცხლს. მალე წინკარში გამოჩნდება ტესმანი, დაღლილი და, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული სახით. ფეხის წვერებზე მიიპარება პატარა ოთახის კარისაკენ და ფარდებს შორის გაძვრომას ცდილობს.

ჰედა (ლუმელთან, თავს მალა სწევს). დილა მშვიდობისა.

ტესმანი (სწრაფად შემობრუნდება). ჰედა! (მასთან მიდის). შენ რა, უკვე ფეხზე ხარ? ასე დილაადრიაან? ჰა?

ჰედა. ჰო, დღეს რალაც ადრე ავდეკი.

ტესმანი. მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ჭერ კიდეე გულიანადა გძინავს. აბა, უყურე!

ჰედა. ასე ხმამალა ნუ ლაპარაკობ. ჩემს ოთახში ფრუ ელვსტედი წევს.

ტესმანი. ფრუ ელვსტედმა შენთან გაათია ლამე?



ჰედა. მაშ, რა ექნა, რომ არავინ მოაკითხა?

ტესმანი. თუმცა, ჰო...

ჰედა (ლუმელის კარს ხურავს). კარგი დრო გაატარეთ ასესორთან?

ტესმანი. ჩემი დარდი ხომ არა გქონდა? ჰა?

ჰედა. მეტი საქმე არა მაქვს. მხოლოდ გეკითხები, კარგი დრო გაატარეთ-მეთქი?

ტესმანი. არა უშავს რა... ისე, მრავალფეროვნების გულისთვის. მაგრამ ყველაზე უკეთესი, თუ არა ვცდები, მაინც დასაწყისი იყო. ლეებორგი თავის ხელნაწერს მიკითხავდა. ჩვენ ხომ, ცოტა არ იყოს, ვიჩქარეთ, თითქმის მთელი საათით აღრე მივედით. ასესორს კიდევ პატარა საქმე ჰქონდა... ჰოდა, ეილერტმაც, იცოცხლე. გული იჭერა კითხვით.

ჰედა (ხელმარჯვნივ უჯდება მაგიდას). აბა, მიაშბე...

ტესმანი (პუფზე ჩამოჯდება, ლუმელის ახლოს). აჰ, ჰედა, შენ ვერ წარმოიდგენ, რა არის ეს?! ღმერთმანი, ამისთანა რამე იშვიათად თუ გამოსულა კაცის ხელიდან! გესმის?

ჰედა. ჰო, მაგრამ ახლა ეგ ნაკლებად მაინტერესებს...

ტესმანი. ერთ რამეში უნდა გამოგიტყდე, ჰედა. კითხვას რომ მორჩა, მართალი გითხრა, ჩემში რაღაც უკეთური შეიჩხა.

ჰედა. უკეთური?

ტესმანი. ეილერტისა შემშურდა, რომ ასეთი რაღაცის დაწერა შესძლო. გესმის, ჰედა?

ჰედა. ჰო. მესმის, მესმის!

ტესმანი. და რა სამწუხაროა, რომ ამნაირი ნიჭის კაცი... საბოლოოდ დაღუპულია, ხელიდან წასული.

ჰედა. ესე იგი, შენ გინდა თქვა, რომ სხვებზე ხარბად და თამამად ეწაფება ცხოვრების სიტკბოს?

ტესმანი. კი მაგრამ, ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს.

ჰედა. მაინც რითი დამთავრდა ყოველივე ეს?

ტესმანი. როგორ გითხრა? ჩემის აზრით, ნამდვილი ბაკქანალიით, ჰედა!

ჰედა. ის კი იჭდა, ვაზის ფოთლებით შუბლშემკული?

ტესმანი. ვაზის ფოთლებით? შენც არ მომიკვდე, რის ვაზი, რა ვაზი? ეგ იყო მხოლოდ, რომ საკმაოდ გრძელი და უთავბოლო სიტყვა წარმოსთქვა ვიღაც ქალის პატივსაცემად, რომელმაც, თურმე ნუ იტყვით და, ეს შრომა შთააგონა. დიახ, ზუსტად ასე თქვა.

ჰედა. სახელითაც ახსენა?

ტესმანი. არა, მაგრამ, ჩემის აზრით, სხვა ვინ უნდა იყოს, თუ არა ფრუ ელესტედი?... აი, ნახავ!..

ჰედა. კი მაგრამ... მაინც სად დასცილით ერთმანეთს?

ტესმანი. აქეთობისას რამდენიმე კაცი ერთად გამოვედით... სულ ბოლოს ბრაკიც გამოგვეყვა... ცოტა სუფთა ჰაერს ჩაველაპავო. ჰოდა, გადავწყვიტეთ სახლამდე მიგვეცილებინა ელერტი. უბედურ დღეში იყო.

ჰედა. წარმომიდგენია.

ტესმანი. ახლა კი, ჰედა, საოცარ რამეს გეტყვი, უფრო სწორად, ძალზე სამწუხაროს... მოყოლისაც კი მრცხვენია... ღმერთმანი მრცხვენია საწყალი ელერტის მაგივრად!

ჰედა. მაინც რა არის ამისთანა?

ტესმანი. რა და, აქეთ რომ მოვდიოდით, მე... იცი რა?... ცოტათი ჩამოვრჩი სხვებს... სულ რამდენიმე წუთით, გესმის?

ჰედა. ჰო, მერე, მერე?... .

ტესმანი. მერე ფეხს აუჭქარე, რომ დაწინაურებულებს წამოვწეოდი, და იცი, რა ვნახე გზის პირას? ჰა?

ჰედა. აბა, რა ვიცი?..

ტესმანი. მხოლოდ შენ, თუ შეიძლება, არავეს უთხრა, ჰედა, გესმის? სიტყვა მომეცი... ელერტის გულისთვის... (პალტოს ჯიბიდან იღებს ქალღმერთს გახვეულ პაკეტს). წარმოგიდგენია? აი, რა ვნახე!

ჰედა. ის პაკეტი ხომ არ არის, ლევბორგმა რომ მოიტანა გუშინ?

ტესმანი. დიახ, დიახ, მისი ძვირფასი, განუმეორებელი ხელნაწერი... მთლიანად, უკლებლივ!.. სწორედ ეს დაკარგა და... ვერც კი შენიშნა, წარმოგიდგენია, ჰედა? საცოდაობა არ არის?

ჰედა. რატომ მაშინვე არ მიეცი?

ტესმანი. შემეშინდა... ისე უგონოდ იყო...

ჰედა. ვინმესთვის ხომ არაფერი გითქვამს?

ტესმანი. არა, არაფერი. არ მინდოდა... ელერტის გულისთვის... ხომ გესმის?

ჰედა. მაშასადამე, არავენ არ იცის, რომ ელერტ ლევბორგის ხელნაწერი შენა გაქვს?

ტესმანი. არა, არავენ, და არც უნდა იცოდეს!

ჰედა. მერე რაღაზე ელაპარაკებოდი?

ტესმანი. საერთოდ აღარ მილაპარაკია. ქუჩაში რომ გამოვედით, ელერტი ორ-სამ კაცთან ერთად სადღაც გაქრა. გესმის?

ჰედა. ჰოდა, ისინი, ალბათ სახლამდე მიაცილებდნენ.

ტესმანი. ალბათ... ბრაკიც სადღაც გაქრა.

**ჰედა.** შენ სადღა დაბორიალობდი აქამდის?

**ტესმანი.** მე და კიდევ რამდენიმე კაცმა ერთ-ერთ ჩვენს შეზარხოშებულ თანამეინახესთან შეეუხვიეთ, რომ დილის, უფრო სწორად, ღამის ყავა დაგველია. ჰა? ახლა ცოტა თვალს მოვატყუებ, მერე კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის საბრალო ეილერტიც გამოფხიზლდება, და ხელნაწერით მივაღებები.

**ჰედა** (ხელს იწვდის პაეტისაკენ). არა, ნუ მისცემ. ესე იგი, მე მინდა ვთქვა... ახლა ნუ მისცემ-მეთქი. ჯერ მე მომეცი, წავეიკითხო.

**ტესმანი.** არა, არა, ჩემო ძვირფასო, არ შემიძლია, ღმერთმანი, გული არ მაძლევს.

**ჰედა.** გული არ გაძლევს?

**ტესმანი.** ხომ წარმოგიდგენია, რა დღეში ჩავარდება, როცა გამოფხიზლდება და ხელნაწერს მოიკითხავს? ასლიც კი არა აქვს. თვითონვე მითხრა.

**ჰედა** (მცდელი თვალით უყურებს). კი მაგრამ, განა არ შეიძლება ხელახლა დაწეროს იგივე? მეორედაც?

**ტესმანი.** არა, რალაც არა მგონია... ხომ იცი, შთაგონება...

**ჰედა.** თუმცა, სწორია... (თითქოს სხვათაშორის). ჰო, მართლა, წერილი მოგიტანეს!

**ტესმანი.** რა-ა? წერილი?

**ჰედა** (წერილს აძლევს). დიახ, დილაუთენია მოიტანეს.

**ტესმანი.** მამიდა იუღესაგანაა! ნეტავი, რა დაემართათ? (პაეტს მეორე პუფზე დებს, წერილს ხსნის, თვალს გადაავლებს და წამოხტება) აჰ, ჰედა!... იწერება, მამიდა რინა უკანასკნელ დღეშიაო!..

**ჰედა.** ასეც ვიცოდი.

**ტესმანი.** და, თუ გინდა მოუსწრო, უნდა იჩქაროო. ახლავე გაერბივარ!

**ჰედა** (ძლივს იკაეებს ღიმილს). ახლა სირბილსაც აპირებ?

**ტესმანი.** ეჰ, ძვირფასო ჰედა, რა იქნება, თავს ძალა დაატანო და შენც წამოხვიდე? აბა, დაფიქრდი!...

**ჰედა** (დგება, დაღლილი ხმით). არა, არა, გაგონებაც არ მინდა. ვერ ვიტან ავადმყოფობას და სიკვდილს... თუ შეიძლება... დამიხსენი ყოველგვარი სიმახინჯისგან!

**ტესმანი.** კეთილი, ნება შენია? (ოთახში წრიალებს). სად ჯანდაბაშია ჩემი ქული? პალტო?... ჰო, მართლა, წინკარში!.. იმედია, ცოცხალს მივუსწრებ, ჰედა! ჰა?

**ჰედა.** თუ მაგრა ირბენ!..

წინკარში გამოჩნდება ბერტა.

**ბერტა.** ასესორი ბრაკი კითხულობს, თუ შეიძლებაო?

**ტესმანი.** მაგანაც ნახა რა დრო? არა, ახლა მისი მიღება არასდიდებით არ შემიძლია.

**ჰელა.** სამაგიეროდ, მე შემიძლია. (ბერტას). სთხოვეთ!

ბერტა წინკარში გადის.

(ნაჩქარეულ წასტურჩულებს ტესმანს) პაკეტი, ტესმან! (პუფიდან იღებს პაკეტს).

**ტესმანი.** მომეცი!

**ჰელა.** არა, არა, ჯერჯერობით მე შევინახავ. (საწერ მაგიდასთან მიდის და წიგნის თაროში ჩრის პაკეტს).

ფატიფუტში ტესმანი ვერასდიდებით ვერ ახერხებს ხელთათმანების ჩაცმას. წინკარიდან შემოდის ბრაკი.

(თავის დაკვრით ესაღებება). ასე დილაუთენია რამ მოგიყვანათ?

**ბრაკი.** მართლაც ადრეა, არა? (ტესმანს). მგონი, თქვენც სადღაც მიგეჩქარებათ!

**ტესმანი.** მამიდებთან უნდა გავეარდე. წარმოგიდგენიათ, ჩვენი საცოდავი ავადმყოფი უკანასკნელ დღეშია!

**ბრაკი.** აჰ, ღმერთო ჩემო, უკანასკნელ დღეშია? თუ ასეა, ჩემი გულისთვის ნულარ დაყოვნდებით! აბა, ახლა ჩემთვისა გცხელათ?..

**ტესმანი.** დიახ, დიახ, უნდა გავიქცე... ნახვამდის, ნახვამდის. (სწრაფად გადის წინკარში).

**ჰელა.** როგორც ჩანს, თქვენს წუხანდელ ღრეობას გამოცოცხლება არ აკლდა, ბატონო ასესორო.

**ბრაკი.** თქვენ წარმოიდგინეთ, ტანთ არც კი გამიხდია, ფრუ ჰელა!

**ჰელა.** არც თქვენ?

**ბრაკი.** როგორც ხედავთ. რაო, ტესმანმა უკვე გიამბოთ თავისი წუხანდელი თავგადასავალი?

**ჰელა.** ჰო, რალაცა მიკიბ-მოკიბა; სადღაც შევედიო ყავის დასალ-ვეადო.

**ბრაკი.** დიახ, დიახ, მე უკვე ვიცი ამ ყავის მსმელთა ამბავი. მაგრამ ეილერტ ლევბორგი ხომ არ ყოფილა მათთან?

**ჰელა.** არა, მეგობრებს უფრო ადრე მიუცილებიათ სახლში.

**ბრაკი.** მათ შორის ტესმანსაც?

**ჰელა.** არა, ასე თქვა, სხვებმა მიაცილესო.

**ბრაკი** (ღიმილით). იორგენ ტესმანი, ღმერთმანი, ძალზე მიამიტი ვინმეა, ფრუ ტესმან.

**ჰელა.** რაც მართალია, მართალია, რაო, რამე ისეთი ხომ არ ყოფილა?

ბრაკი. იყო რაღაცა.

ჰელა. მართლაც? მაშ, ჩამოვსხდეთ, ბატონო ასესორო! თქვენზე უკეთეს მოამბეს ვის ვიშოვი? (ხელმარცხნივ უჯდება მაგიდას; ბრაკი მის გვერდით იკავებს ადგილს). აბა!

ბრაკი. მე განსაკუთრებული მიზეზი მქონდა საიმისოდ, რომ თვალყური მედევნებინა, საით გაემართებოდნენ ჩემი სტუმრები, უფრო სწორად, -- ზოგიერთი მათგანი.

ჰელა. მათ შორის, ელერტ ლევბორგიც, არა?

ბრაკი. სულო ცოდვილო, ვერ დაემალავ...

ჰელა. ერთი სული მაქვს, როდის გავიგებ!..

ბრაკი. იცით თუ არა, ფრუ ჰელა, სად გაატარა მან და კიდევ ორმა-სამმა ჩემმა სტუმარმა მთელი დანარჩენი ღამე?

ჰელა. თუ შეიძლება, მიაბზეთ.

ბრაკი. რატომაც არ შეიძლება? უნდა მოგახსენოთ, რომ კიდევ ერთ, მეტისმეტად მხიარულ საღამოზე ამოყვეს თავი!

ჰელა. გამოცოცხლებული თუ იყო მაინც?

ბრაკი. გამოცოცხლებულზე ცოტა მეტიც.

ჰელა. თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით, ასესორო...

ბრაკი. ლევბორგი ადრევე იყო მიპატიყებული. ეს დაბეჯითებით ვიცი, მაგრამ მან თავდაპირველად უარი თქვა... მაშ, როგორ?! ახლა ის ხომ სულ სხვა კაცია, როგორც თავად მოგეხსენებათ.

ჰელა. დიახ, დიახ, ფრუ ელვსტედის წყალობით!... მერე კი, ესე იგი, მაინც წავიდა?

ბრაკი. დიახ; იცით რა, ფრუ ჰელა?.. ჩემს საღამოზე ცოტა ზედმეტი შთაგონება გამოუვიდა...

ჰელა. ჰო, ეგ უკვე მითხრეს... რა შთაგონებითაც აღივსო.

ბრაკი. რაღაც წარმოუდგენლად შმაგი შთაგონებით. ჰოდა, როგორც ჩანს, გადაიფიქრა. სამწუხაროდ, ჩვენ, მამაკაცები, ყოველთვის როდი ვიჩინებ ისეთ სიმტკიცეს ჩვენივე გადაწყვეტილების აღსრულებისას, როგორც საჭიროა...

ჰელა. ო, თქვენ უთუოდ გამონაკლისი ბრძანდებით, ბატონო ასესორო... მოკლედ, ლევბორგი...

ბრაკი. მოკლედ რომ ვთქვათ, მან, ბოლოს და ბოლოს, ღუზა ჩაუშვა ფრიოკენ დიანას სალონში.

ჰელა. ფრიოკენ დიანას სალონში?

ბრაკი. დიახ, სწორედ ის მართავდა საღამოს თავისი მეგობრებისა და თაყვანისმცემლების რჩეული წრის პატივსაცემად.

ჰელა. აი, ის... ისეთი... ქერა რომ არის?

ბრაკი. დიახ, დიახ.

**ჰედა.** მგონი, კიდევაც მღერის!

**ბრაკი.** დიახ, დიახ, სხვათა შორის, მშვენიერი ხმა აქვს. ეგეც არ იყოს, ძალიან საშიში მონადირეა... მამაკაცებზე მონადირე, ფრუ ჰედა. თქვენ, ალბათ, გსმენიათ მასზე. ეილერტ ლევბორგი მისი ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული მფარველი იყო... თავისი კეთილდღეობის ეამს.

**ჰედა.** კი მაგრამ, რითი დამთავრდა ყოველივე ეს?

**ბრაკი.** როგორც ჩანს, არცთუ ისე მშვიდობიანად. ამბობენ, ფრიოკენ დიანა უნაზესი და უგულთბილესი შეხვედრიდან პირდაპირ სილის გაწვნაზე გადავიდაო.

**ჰედა.** ლევბორგს გაართყა?

**ბრაკი.** დიახ, მასპინძელს და მის მეგობრებს ქურდობა დასწამა თურმე. გაჰყვიროდა, საქალაღე, საფულე თუ რაღაც ამგვარი დავეკარგეო... ერთის სიტყვით, როგორც გადმომცეს, წარმოუდგენელი აყალმაყალი აუტეხია.

**ჰედა.** მერედა, რა მოჰყვა ამას?

**ბრაკი.** ამას მოჰყვა წარმოუდგენელი წეწვა-გლეჯა და დაკა-დაკა ქალბატონებსა და ბატონებს შორის. საბედნიეროდ, პოლიციამ დროზე მიუსწრო...

**ჰედა.** პოლიციამდეც მივიდა საქმე?

**ბრაკი.** დი-ი-ახ, როგორც ჩანს, ეილერტ ლევბორგს საკმაოდ ძვირად დაუჯდება თავისი დამთხვეულობა.

**ჰედა.** მართლა?

**ბრაკი.** როგორც ამბობენ, წესრიგის დამცველებისთვის გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწევია. ერთ-ერთი პოლიციელისთვის სილა გაუწნაეს და მუნდირი შემოუხვევია. ბოლოს, როგორც იქნა, პოლიციაში მიაბრძანეს თურმე.

**ჰედა.** ვინ გაამბოთ ყოველივე ეს?

**ბრაკი.** თვით პოლიციაში მითხრეს.

**ჰედა** (სივრცეს გაჰყურებს). აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე? მაშასადამე... არავითარი... ვაზის ფოთლებით შუბლშემკული...

**ბრაკი.** ვაზის ფოთლებით, ფრუ ჰედა?

**ჰედა** (ტონს იცვლის). ახლა კი მითხარით, რატომ უთვალთვალებდით ასე გულმოდგინედ ეილერტ ლევბორგს? მაინც რატომ დასდევდით კუღში?

**ბრაკი.** ჯერ ერთი, ჩემთვის სულერთი როდია, თუ დაკითხვაზე გაირკვევთ, რომ პოლიციაში პირდაპირ ჩემი სუფრიდან ამოჰყო თავი.

**ჰედა.** მაშასადამე, დაკითხვაც მოსალოდნელია?

**ბრაკი.** რა თქმა უნდა... თუმცა მართო დაკითხვის გამო დიდად არ შევიწუხებდი თავს. მაგრამ ვფიქრობდი, რომ ჩემი, როგორც ოჯახის მეგობრის, უშუალო მოვალეობა გახლდათ, ლევბორგის ღამეული ღრეობების ამბავი შემეტყობინებინათქვენთვის და ტესმანისათვის.

**ჰელა.** კაცმა რომ თქვას, რა გრჯიდათ, ბატონო ასესორო?

**ბრაკი.** თუნდაც ის, რომ ექვი მეპარება მის კეთილსინდისიერებაში: ის ცდილობს ნიღბად გამოგიყენოთ თქვენ.

**ჰელა.** ეგ რამ გაფიქრებინათ?

**ბრაკი.** მომიტევეთ, მაგრამ ბრმა ხომ არა ხართ, ფრუ ჰელა? აი, ნახავთ, თუ ფრუ ელესტედი ასე მალე წავა აქედან.

**ჰელა.** მაგრამ თუ მათ შორის მართლა რაღაცა არის, ვითომ რა, არ შეუძლიათ სხვაგან შეხვედრა?

**ბრაკი.** ყოველ შემთხვევაში, ოჯახებში არა. ყველა წესიერი სახლის კარი ამიერიდან კვლავ დაიხურება ვილერტ ლევბორგის წინაშე.

**ჰელა.** და თქვენ გგონიათ, რომ ჩემი ოჯახის კარიც უნდა დაიხუროს?

**ბრაკი.** დიახ, მართალი გითხრათ, ჩემთვის ძალზე უსიამოვნო იქნება, თუკი ეს ვაჟბატონი შემოგეჩვენათ. თუკი ეს სრულიად ზედმეტი... გარეშე კაცი... შემოიქრება...

**ჰელა.** სამკუთხედში?

**ბრაკი.** დიახ. ჩემთვის ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ პირში ჩალაგამოვლებული დავერჩე?

**ჰელა** (ლიპილთ მისჩერებია). ა-ა! მაშასადამე, საქათმეში ერთი მამალი, -- ასეთია თქვენი მიზანი?

**ბრაკი** (ნელა ხრის თავს და ხმის დაწევით ამბობს). რა თქმა უნდა და ამ მიზნის მისაღწევად... მე მზადა ვარ გამოვიყენო ჩემს ხელთ არსებული ყოველგვარი საშუალება.

**ჰელა** (ლიპილი პირზე ამრება). როგორც ირკვევა, საქმე საქმეზე თუ მიდგა, თქვენ საშიში კაცი ბრძანდებით.

**ბრაკი.** თქვენ გგონიათ?

**ჰელა.** დიახ, ახლა უკვე ასე გგონია. და თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვხარობ, რომ ჩემზე ჭერჯერობით არავეითარი ძალა-უფლება არ გააჩნიათ.

**ბრაკი** (ორაზროვნად იღივება). რა მეთქმის, მართალი ბრძანდებით, ფრუ ჰელა... მაგრამ ხომ არ გგონიათ, რომ გულხელდაკრეფილი დავერჩები?..

**ჰელა.** მაგრამ, მომისმინეთ, ბატონო ასესორო! ეს ხომ უკვე მუქარას ჰგავს?

- ბრაკი** (ღგება). როგორ გეკადრებათ? იცით, რას გეტყვით? სამკუთხედი ყველაზე უფრო მტკიცეა მაშინ, როცა ურთიერთ-თანხმობაზეა დაფუძნებული...
- ჰელა.** მეც ასე ვფიქრობ.
- ბრაკი.** მაშ, ასე, მე გითხარით ყველაფერი, რისი თქმაც მსურდა. ახლა კი დროა, ჩემს საკუთარ სახლსაც მივხედო.. კარგად ბრძანდებოდეთ, ფრუ ჰელა. (მინის კარისაკენ მიგზარება).
- ჰელა** (ღგება). თქვენ რა, ბალით აპირებთ გასვლას?
- ბრაკი.** დიახ, ასე უფრო ახლოა.
- ჰელა.** და, თანაც... ეს ხომ აკრძალული გზაა.
- ბრაკი.** მართალს ბრძანებთ... მაგრამ მე მიყვარს აკრძალული გზით სიარული. მოგეხსენებათ, აკრძალული ხილი ტყბილია.
- ჰელა.** მაგრამ ისიც ხომ მოგეხსენებათ, რომ ნაკრძალში შეპარულ ქურდს ხილით კი არა, ტყვიით უმასპინძლდებიან.
- ბრაკი** (კარშივე შემობრუნდება და იცინის). კი მაგრამ, ვინ ესერის ტყვიას თავის შინაურ მამალს?
- ჰელა** (თვითონაც იცინის). მით უმეტეს, როცა ეს მამალი ერთადერთია. ორივენი იცინიან და ერთმანეთს ემშვიდობებიან. ბრაკი მიღის. ჰელა კარს ხურავს, წუთით იქვე ჩერდება და სერიოზული სახით იყურება ბაღში. მერე პატარა ოთახის კართან მიდის, ოდნავ გადასწევს ფარდებს და შიგ იხედება. შემდეგ საწერ მაგიდას უახლოვდება, ლევბორგის ხელნაწერს იღებს და ფურცლავს. ანაზღვეულად წინკარიდან მოისმის ბერტას ხმა. მოსამსახურე ხმაშლით ედავება ვილას -- ჰელა მოტრიალდა, ხმებს აუჟღერებს, შემდეგ ხელნაწერს სწრაფად აგდებს საწერი მაგიდის უკრაში, კეტავს და გასაღებს მაგიდაზე დებს. შემოსასვლელი კარი ძალით იღება და გამოჩნდება ეილერტ ლევბორგი. პალტო აცვია, ქული ხელში უჭირავს, შეწუხებული და აღელვებული ჩანს.
- ლევბორგი** (შეტრიალდება და კარს იქით დარჩენილ ბერტას მიმართავს). მე კი გეუბნებით, რომ შესვლა მინდა და კიდეცაა შევალ! (შემობრუნდება, მაგრამ ჰელას დანახვისთანავე გონს ეგება და ესაღმება).
- ჰელა** (საწერ მაგიდასთან). ოჰო, ბატონო ლევბორგი! ცოტა გვიან კი მოაკითხეთ თეას!
- ლევბორგი.** ესე იგი... ცოტა ადრე მოვედი თქვენთან! გთხოვთ, მომიტყევთ.
- ჰელა.** ვინ მოგახსენათ, რომ თეა კვლავ აქ არის?
- ლევბორგი.** შევუარე და ასე მითხრეს, ღამე შინ არ გაუთევიანო.
- ჰელა** (ღივნის წინ მდგარ მაგიდასთან მიღის). კი მაგრამ, ხომ არ შეგინიშნავთ რაიმე განსაკუთრებული იმათ ტონში, ვინც ეგ მოგახსენათ?
- ლევბორგი** (კითხვის გამოძახებული მზერით უცქერის). რაიმე განსაკუთრებული?..



ჰელა. ესე იგი, მე მინდა გითხრათ... ხომ არ შეგიძინევიათ, ტონის მიხედვით, რომ რალაცას ფიქრობენ მასზე?

ლევბორგი (უეცრად ხელება). ჰო, დიახ! მართალია!.. მე მასაც ტალახში ვსვრი! თუმცა, მართალი გითხრათ, ისეთი არაფერი შემომჩნევია... ტესმანი, ალბათ, ჯერ არ ამდგარა!

ჰელა. მგონი...

ლევბორგი. გვიან დაბრუნდა?

ჰელა. ნულარ იკითხავთ!

ლევბორგი. რაიმე ხომ არ უამბნია თქვენთვის?

ჰელა. ჰო... ისა... ასესორთან ძალზე მხიარულად გავატარეთ დროო.

ლევბორგი. მეტი არაფერი?

ჰელა. მე მგონი, არა... თუმცა ისე მეძინებოდა...

პატარა სასტუმრო ოთახიდან შემოდის თეა და ლევბორგს მივარდება.

თეა. აჰ, ლევბორგ! ძლივს არ გელირსეთ!..

ლევბორგი. დიახ. ძლივს და... ძალიან გვიან.

თეა (შეშინებული უყურებს). რა, გვიან?

ლევბორგი. ახლა ყველაფერი გვიანაა. მე დავიღუპე.

თეა. აჰ, არა, არა, ასე ნუ ლაპარაკობ.

ლევბორგი. თვითონაც ამასვე იტყვი, როცა გაიგებ...

თეა. არაფრის გაგება არ მინდა.

ჰელა. იქნებ, მარტო დარჩენა გსურთ? თუ ასეა, მე წავალ.

ლევბორგი. არა, თქვენ დარჩით. გთხოვთ.

თეა. მაგრამ მე ხომ გითხარი, არაფრის გაგება არ მინდა-მეთქი?

ლევბორგი. ნუ გეშინია, წუხანდელი ამბების მოყოლას როდი ვაპირებ.

თეა. მაშ, რას?

ლევბორგი. რასა და იმას, რომ ჩვენი გზები ამიერიდან უნდა გაიყაროს.

ჰელა (უნებურად). გული მიგრძნობდა!

ლევბორგი. მე შენ აღარ მჭირდები, თეა!

თეა. კი მაგრამ, რა პირით მეუბნები მაგას? აღარ გჭირდები?.. მითხარი, ნუთუ არ შემიძლია უწინდებურად დაგეხმარო? ნუთუ აღარასოდეს ვიმუშავებთ ერთად?

ლევბორგი. არავეითარ მუშაობას აღარ ვაპირებ.

თეა (შეშლილი სახით). კი მაგრამ, მე რა მეშველება? რაღას მოვახმარო ჩემი სიცოცხლე?

ლევბორგი. ეცადე, ისე იცხოვრო, თითქოს არასოდეს არ გცნობივარ.

თეა. არ შემიძლია.

ლევბორგი. უნდა შეიძლოს. სახლში დაბრუნდი, თეა.

თეა (აგზნებულად). არასოდეს, სანამ პირში სული მიდგას! სადაც შენა ხარ, მეც იქ მინდა ვიყო! შენს იქით გზა არა მაქვს! რა იქნება, გვერდითა გყავდე, როდესაც წიგნი გამოვა?

ჰელა (დაძაბულად). აჰ, წიგნი... მართლა!..

ლევბორგი (უყურებს). ჩვენი წიგნი. ჩემი და თეასი. ის ხომ ჩვენი საერთო წიგნია.

თეა. დიახ, დიახ, მეცა ვგრძნობ ამას, და ამიტომაც უფლება მაქვს, შენს გვერდით ვიყო, როცა გამოვა. მე მინდა, ჩემი თვალით ვიხილო, როგორ დაიბრუნებ პატივისცემას, როგორ აღიდგენ ღირსებასა და სახელს... მე მინდა, შენთან ერთად გავიზიარო სიხარულიც... დიახ, სიხარულიც.

ლევბორგი. ჩვენი წიგნი ველარასოდეს ველარ გამოვა, თეა!

ჰელა. ა!

თეა. ველარ გამოვა?!

ლევბორგი. ველარ!

თეა (წინათგრძნობით შეძრწუნებული). ლევბორგ! რა უყავი ხელნაწერს?

ჰელა (დაბნული უცქერის ლევბორგს). ჰო, ხელნაწერი?!

თეა. თქვი, სად წაიღე?

ლევბორგი. აჰ, თეა, უმჯობესია, ნუ მკითხავ!

თეა. არა, არა, მე მინდა ყველაფერი ვიცოდე... მე უფლება მაქვს ყველაფერი ვიცოდე, გესმის?

ლევბორგი. ხელნაწერი?... კეთილი და პატიოსანი. ნაკუწებად ვაქციე.

თეა (წამოიკივლებს). აჰ, არა, არა!

ჰელა (უნებურად). მაგრამ ეს ხომ...

ლევბორგი (უცქერის). სიცრუეა... თქვენ გინდათ თქვათ?

ჰელა (გონს ეგება). არა, რა თქმა უნდა... რაკი თვითონვე ამტკიცებთ. მე მხოლოდ მომეჩვენა, რომ ეს დაუჭერებელია...

ლევბორგი. და მაინც ეს სიმართლე გახლავთ.

თეა (ხელების მტკრევით). ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!.. ჰელა!.. ნაკუწებად აქციო საკუთარი ხელნაწერი?!

ლევბორგი. მე ნაკუწებად ვაქციე ჩემი საკუთარი სიცოცხლე?! ასე რომ, არ გამიჭირდებოდა ნაკუწებად მექცია ამ სიცოცხლის ნაყოფიც!..

თეა. და ეს წუხელის ჩაიდინე?

**ლევბორგი.** ვის ვეუბნები, პო-მეთქი?.. წერილ-წერილ ნაკუწებად. ვაქციე და არხში ჩაყარე. შორს... ყოველ შემთხვევაში, მდგარსა და მტკნარ წყალში მაინც არ ჩამიყრია... დაე, წყალს გაჰყვენენ, სადაც მოეპოვებნებათ... ქარს და დინებას... შემდეგ კი ჩაიძირებიან... სულ უფრო და უფრო ღრმად -- ჩემსავით, თეა!

**თეა.** იცი, რა, ლევბორგი?.. რა უყავი წიგნს?.. მე მთელი სიცოცხლე ვერ მოვიცილებ იმ აზრს, რომ შენ მოჰკალი შენივე შვილი!

**ლევბორგი.** მართალი ხარ! ეს იგივეა, რაც შვილის მკვლელობა!

**თეა.** კი მაგრამ, როგორ მოგიბრუნდა ხელი?.. ის ხომ ჩემი შვილიც იყო?..

**ჰედა** (თითქმის უხმოდ). აჰ, შვილი!..

**თეა** (ძლივს იბრუნებს სულს). მაშასადამე, ყველაფერი დამთავრდა, დიახ, დიახ... ახლა მე წავალ, ჰედა!..

**ჰედა.** იმედია, ცოტა ხანს მაინც დარჩები?

**თეა.** არ ვიცი, არაფერი არ ვიცი! წინ უსხივო წყვილია... (წინაქარში გადის).

**ჰედა** (ცოტა ხნის შემდეგ). თქვენ რა, არ გააცილებთ, ბატონო ლევბორგი?..

**ლევბორგი.** მე? ქუჩა-ქუჩა?! რომ ჩემთან ერთად დაინახონ?

**ჰედა.** მე ხომ არ ვიცი, მაინც რა მოხდა წუხელ? ნუთუ არაფრის გამოსწორება აღარ შეიძლება?

**ლევბორგი.** მარტო წუხანდელით საქმე არ დამთავრდება, ჰედა. ეს დაბეჭითებით ვიცი. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ აღარ მინდა ამნაირი ცხოვრებით ვიცხოვრო, თავიდან დავიწყო იგი. თეამ ჩემში დათრგუნა სიმამაცე. ჩაახშო სასიცოცხლო ძალა.

**ჰედა.** მაშ, ამ ჩვენმა საყვარელმა, ჩვენმა სულელმა, თავისი თათი ჩაპყო აღამიანის ბედში?! (ლევბორგს მიაპყრობს მზერას). მაგრამ მაინც, რა გულმა მოგცათ, ასე სასტიკად მოჰქცეოდით?

**ლევბორგი.** ნუ იტყვით, რომ ეს სისასტიკეა.

**ჰედა.** აიღო და ერთი დაკვრით შემუსრო ყველაფერი, რაც ამდენი ხნის მანძილზე ავსებდა მის სულს! განა ეს სისასტიკე არ არის?

**ლევბორგი.** მე თქვენ მთელი სიმართლე შემიძლია გაგიმელავნოთ, ჰედა!

**ჰედა.** სიმართლე?

**ლევბორგი.** მხოლოდ ჯერ სიტყვა მომეცით, რომ თეა ვერასოდეს გაიგებს, რასაც მე გეტყვი.

**ჰედა.** სიტყვას გაძლევთ.

**ლევბორგი.** კეთილი, აი. რა: რაც მე მას წელან ვუთხარი, სიცრუეა.

ჰედა. ხელნაწერის ამბავი?

ლევბორგი. დიახ. არც ნაკუწ-ნაკუწ მიქცევია და არც არხში ჩამიყრია.

ჰედა. კი მაგრამ... მაშინ სად არის?

ლევბორგი. და მაინც, მე გავანადგურე იგი. მთლიანად, ჰედა!

ჰედა. არ შესმის.

ლევბორგი. თეამ თქვა, შენი საქციელი შეილის მკვლელობას მაგონებსო.

ჰედა. დიახ... ასე თქვა.

ლევბორგი. მაგრამ საკუთარი შეილის მკვლელობა -- ეს ჭერ კიდევ ყველაზე უარესი როდია, რაც შეიძლება ჩაიდინოს მამამ!..

ჰედა. ყველაზე უარესი როდია?

ლევბორგი. დიახ, მე დავინდე თეა და ყველაზე უარესი აღარ ვუთხარი.

ჰედა. კი მაგრამ, მაინც რა არის ეს ყველაზე უარესი!

ლევბორგი. წარმოიდგინე, ჰედა, რომ კაცი... ასე, დილაადრიან, თავაწყვეტილი ღრეობის შემდეგ, თავისი შეილის დედასთან ბრუნდება სახლში და ეუბნება: მე ვიყავი აქა და აქ, ამა და ამ ადგილას... და თანა მყავდა ჩვენი შეილი... ამა და ამ ადგილას... ჰოდა, დაეკარგე, სამუდამოდ დაეკარგე იგი. ეშმაკმა იცის, სად არის ახლა, ვის ხელში მოხვდა... ვინ დაადო თავისი თათი!

ჰედა. ა-ა! მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მხოლოდ წიგნია?..

ლევბორგი. თეას ფაქიზი სული ცხოვრობდა ამ წიგნში.

ჰედა. აჰა, გასაგებია!

ლევბორგი. ალბათ, ისიც გასაგები იქნება თქვენთვის, რომ მე და მას ამიერიდან საერთო მომავალი აღარა გვაქვს.

ჰედა. კი მაგრამ, ახლა რაღას აპირებთ?

ლევბორგი. არაფერს. ვეცდები მხოლოდ, რომ რაც შეიძლება მალე დაეუსვა წერტილი ამ ამბავს. და რაც უფრო მალე დაეუსვამ, მით უფრო უკეთესი იქნება.

ჰედა (ნაბიჯს გადადგამს მისკენ). მომისმინეთ, ეილერტ ლევბორგ... არ შეიძლება, რომ... ლამაზად დაუსვათ?

ლევბორგი. ლამაზად? (იღიმება). ა! ვაზის ფოთლებით შუბლშემკული ... როგორც წარმოდგენაში გეხატებოდით ხოლმე?

ჰედა. ვაზის ფოთლებით შუბლშემკული? არა, ეს უკვე აღარა მჯერა. მაგრამ მაინც, რა იქნება... ლამაზად?!.. თუნდაც ერთხელ?! მშვიდობით! ახლა კი წადით... და აღარასოდეს აღარ მოხვიდეთ!

ლევბორგი. მშვიდობით, ფრუ ტესმან. ჩემი სალამი გადაეცით იორგენს. (წასვლას აპირებს).

**ჰედა.** მოითმინეთ! არაფერს წაიღებთ ჩემს სახსოვრად? (საწერ მაგიდასთან მიდის, უჩრას აღებს, რევოლვერების ბუდიდან ერთ-ერთ რევოლვერს იღებს და ლეეზორგს უახლოვდება).

**ლეეზორგი** (უტკერის). ეს?... ამას მიძღვნი სახსოვრად?

**ჰედა** (ნელა ზრის თავს). ხომ არ გეცნობათ? ოდესღაც ის თქვენსკენ იყო მომართული.

**ლეეზორგი.** სულ ტყუილად არ მესროლეთ მაშინ.

**ჰედა.** ახლა ეს... თვითონვე შეგიძლიათ.

**ლეეზორგი** (სერთუის ჭიბეში მალავს რევოლვერს). გმადლობთ.

**ჰედა.** და გახსოვდეთ... ლამაზად, ეილერტ ლეეზორგ! სიტყვა მომეციო!

**ლეეზორგი.** მშვიდობით, ჰედა! (წინკარში გადის).

ჰედა ერთხანს კარს აყურადებს, მერე საწერ მაგიდას უახლოვდება, დამალულ პაქეტს იღებს, შიგ იხედება, სანახევროდ გლეჯს რამდენიმე ფურცელს და ერთხანს უხმოდ დაჰყურებს. შემდეგ ლუმელისკენ მიემართება, სავარძელში ჭდება და პაქეტს მუხლებზე იღებს. ცოტა ხნის შემდეგ ლუმელის კარს აღებს და პაქეტს ხსნის.

**ჰედა** (ერთ რვეულს ცეცხლში ავლებს; ჩურჩულთ). ახლა მე დაეწვავ შენს შვილს, თმახუქუქა თეა! (კიდევ რამდენიმე რვეულს ავლებს ცეცხლში) შენი და ეილერტ ლეეზორგის შვილს! (დანარჩენსაც ცეცხლში უძახებს). დაეწვავ... დაეფერფლავ თქვენს შვილს!...

## მეოთხე მოქმედება

იგივე ოთახი. საღამო ხანია. დიდ სასტუმრო ოთახში ბნელა. პატარა ოთახი მაგიდის ზემოთ დაკიდებული ლამპითაა განათებული. მინის კარზე ფარლები გადაწეულია.

ჰედას შავი კაბა აცვია; მოუსვენრად წრიალებს ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში. შემდეგ პატარა ოთახში შედის და ხელმარცხნივ უხვევს. მალე იქიდან ფორტეპიანოზე აღებული რამდენიმე აკორდი ისმის. მერე ჰედა კვლავ ბრუნდება სასტუმრო ოთახში.

პატარა ოთახში ხელმარცხნივ გამოჩნდება ბერტა. ხელში ანთებული ლამპა უჭირავს. ნამტირალევი თვალები აქვს და შავ ბაფთაშემოვლებული ჩაჩი ახურავს. ლამპას სასტუმრო ოთახში, დივანის წინ, მაგიდაზე ღვამს და ფეხაკრეფით გადის ხელმარცხნივ. ჰედა მინის კარს უახლოვდება, ოდნავ გადასწევს ფარლებს და სიბნელეს გასცქერის.

მალე წინკარში გამოჩნდება ფრიოკენ ტესმანი. სამგლოვიარო კაბა აცვია და ქელზე შავი კრეპი აქვს შემოვლებული. ჰედა შესაგებებლად მიეშურება და ხელს უწვდის.

**ფრიოკენ ტესმანი.** დიახ, ჰედა. აი, სამგლოვიარო კაბით გეახელით. ჩემმა საბრალო დამ. ბოლოს და ბოლოს, მოისვენა.

ჰედა. როგორც ხედავთ, მე უკვე ვიცი. ტესმანმა ბარათით შემატყობინა.

ფრიოკენ ტესმანი. დიახ, დიახ, ასე შემპირდა. მაგრამ მე მაინც საკიროდ ჩავთვალე, რომ აქ. ჰედასთან... სიცოცხლის ამ საუბანში... თვითონვე მომეტანა სიკვდილის ცნობა.

ჰედა. დიდი თავაზიანობაა თქვენის მხრივ.

ფრიოკენ ტესმანი. რა სამწუხაროა, რომ რინამ სწორედ ახლა დაგეტოვა. ჰედა ხომ სამგლოვიარო კაბას ვერ ჩაიცვამს?

ჰედა (საუბრის თემის გამოცვლას ცდილობს). როგორც გავიგე, მშვიდად დაუღვია სული, ფრიოკენ ტესმან.

ფრიოკენ ტესმანი. ო, დიახ! ისე მშვიდად. ისე უშფოთველად! და რა ბედნიერებაა, რომ სიკვდილის წინ მოასწრო უკანასკნელად შეველო თვალი და სამუდამოდ დამშვიდობებოდა იორგენს!.. ჰო მართლა, თვითონ სადღაა, ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა?

ჰედა. არა, მომწერა, შემაგვიანდებო... არ დაბრძანდებით?

ფრიოკენ ტესმანი. არა, გმადლობთ ჩემო ძვირფასო, ჩემო მშვენიერო! თქვენთან ყოფნას რა სჯობია, მაგრამ დრო რომ არა მაქვს? მიცვალებული უნდა გავაპატიოსნოთ... საიქიოს გასამგზავრებლად გავამზადოთ, როგორც წესი და რიგია.

ჰედა. მე ხომ არაფრით შემიძლია დაგეხმაროთ?

ფრიოკენ ტესმანი. აბა, რას ამბობთ? ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! რა ჰედა ტესმანის საქმეა ეს? თქვენთვის ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლება... ამ დროს.

ჰედა. ეჰ, ფიქრს განა ასე ადვილად დააღწევ თავს?

ფრიოკენ ტესმანი (ობრაეს). მართალია! მაინც რა არის ეს ცხოვრება? იქ ჩვენ ახლა საკერავს ჩავუჯდებით, ჩემი საცოდავი რინასათვის. და აქაც, ალბათ, მალე დაიწყება კრა-კერვა, მხოლოდ, მადლობა ღმერთს, სულ სხენაირი.

წინკარიდან შემოდის იორგენ ტესმანი.

ჰედა. კიდევ კარგი, რომ ბოლოს მაინც მოხვედი.

ტესმანი. ა, შენ აქა 'ხარ, მამიდა იულე? ჰედასთან? წარმოგიდგენიათ?

ფრიოკენ ტესმანი. მე უკვე წასვლას ვაპირებდი, ჩემო ძვირფასო. რა ქენი, ყველაფერი მოაგვარე. როგორც შემპირდი?

ტესმანი. რა ვიცი, მგონი, ნახევარი დამავიწყდა. ხვალ ერთხელ კიდევ შემოვირბენ, მეტი გზა არ არის. დღეს პირდაპირ თავბრუ მხვდება. ვერაფერს თავს ვერ ვაბამ.

ფრიოკენ ტესმანი. ჩემო ძვირფასო იორგენ, ასე არ შეიძლება.

ტესმანი. როგორ ასე?..

ფრიოკენ ტესმანი. თვით მწუხარებაშიაც კი უნდა ხარობდეს  
კაცი, ხარობდეს იმის გამო, რაც მოხდა, როგორც შე ვხარობ...

ტესმანი. პო, მართლა... შენ მამიდა რინაზე ფიქრობ...

ჰელა. რა ცარიელი მოგეჩვენებათ ახლა სახლი, ფრიოკენ ტესმან!

ფრიოკენ ტესმანი. თავდაპირველად. იმედია, დიდი ხნით არა.  
განსვენებული რინას ოთახი ცარიელი არ დარჩება.

ტესმანი. როგორ? ვის შეფარებას აპირებ? ჰა?

ფრიოკენ ტესმანი. ეჰ, ყოველთვის მოიძებნება ვინმე გაჭირვე-  
ბული ავადმყოფი, რომელსაც მოვლა-პატრონობა სჭირდება.

ჰელა. თქვენ რა, მართლა აპირებთ კვლავ იტვირთოთ ამნაირი  
ჯვარი?

ფრიოკენ ტესმანი. ჯვარიო? ღმერთი იყოს თქვენი მფარველი,  
ჩემო მშვენიერო! რა ჯვარი ეს არის ჩემთვის?

ჰელა. მაგრამ ის ხომ თქვენთვის უცხო იქნება?..

ფრიოკენ ტესმანი. ეჰ, რა დიდი დრო საცოდავ ავადმყოფთან  
დაახლოებას უნდა?.. და ეგეც არ იყოს, ვილაციისთვის ხომ  
უნდა ვიცოცხლო ამქვეყნად?.. მერე კი ღმერთია მოწყალე...  
ჩემნაირი ბებრუხუნასათვის, ალბათ, თქვენს სახლშიც  
მოიძებნება საქმე.

ჰელა. აჰ, თუ ღმერთი გწამთ, ჩვენზე ლაპარაკს მოეშვით.

ტესმანი. მაგრამ, დაფიქრდი, რა კარგი იქნებოდა, რომ სამივეს  
ერთად გვეცხოვრა, თუკი...

ჰელა. რა თუკი?..

ტესმანი (შეშინებული). არა... არაფერი. იმედი ვიქონიოთ, რომ...  
თანდათანობით ყველაფერი მოგვარდება, ჰა?

ფრიოკენ ტესმანი წინკარში გადის.

ჰელა (ცოვი და მცდელი მზერით თვალს ადევნებს ტესმანს). ღმერთმანი,  
ეს სიკვდილი შენ უფრო ახლოს მიგაქვს გულთან, ვიდრე  
თვით მას...

ტესმანი. ეჰ, მარტო ეს სიკვდილი რომ იყოს?.. საშინლად მეშინია,  
ეილერტსაც რამე არ დაემართოს.

ჰელა (სასწრაფოდ). როგორ, კვლავ შეემთხვა რამე?

ტესმანი. ნასადილევს შინ შევუარე, რომ მეთქვა, ხელნაწერის  
დარდი არ გექნეს-მეთქი.

ჰელა. მერე, შინ არ დაგხვდა?

ტესმანი. საქმეც ის არის, რომ არა... მერე ფრუ ელესტედი შემხვდა  
და მისგან გავიგე, რომ დილით ჩვენთან შემოუვლია.

ჰელა. ღიახ, შენი წასვლისთანავე.

ტესმანი. და თითქოს უთქვამს, ხელნაწერი დაეხიეო. ჰა?  
ჰელა. ირწმუნებოდა.

ტესმანი. კი მაგრამ, ღმერთო ჩემო! მაშინ კუიდან შეშლილა და  
ესაა! შენ, ალბათ, შეგეშინდა ხელნაწერის მიცემა, ჰელა?

ჰელა. დიახ, ხელნაწერი არ მიმიცია.

ტესმანი. მაგრამ ის ხომ მაინც უთხარი, რომ ჩვენთანაა?

ჰელა. არა (ცოცხლად). შენ კი უთხარი ფრუ ელესტელს?

ტესმანი. არა, რალაც გულმა არ მიქნა... მაგრამ ეილერტისთვის  
კი უნდა გეთქვა, რა ვიცი, გამწარებულმა თავს არაფერი  
აუტეხოს!.. მომეცი ხელნაწერი, ჰელა! ახლავე მასთან გავიქცე-  
ევი. სადა გაქვს?

ჰელა (გაუნძრევლად, ხელით საეარძლის ზურგს ეყრდნობა; ცივად). აღარა  
მაქვს.

ტესმანი. აღარა გაქვს? როგორ თუ აღარა გაქვს?

ჰელა. როგორ და ისე, რომ დავწვი.

ტესმანი (შეძრწუნებული). დაწვი?! ეილერტ ლეებორგის ხელნაწერი  
დაწვი?!

ჰელა. ნუ ყვირი... მოსამსახურე გაიგონებს.

ტესმანი. დაწვი? ღმერთო დიდებულო! არა, არა! ეს შეუძლებელია.

ჰელა. შეუძლებელია თუ არა, დავწვი!

ტესმანი. კი მაგრამ, გესმის, რა ჩაიღინე, ჰელა? ეს ხომ ნაპოვნის  
დამალვაა, კანონსაწინააღმდეგო მოქმედება! გესმის? ასესორ  
ბრაქს ჰკითხე და გაიგებ...

ჰელა. ჩემის აზრით, უმჯობესია არც ასესორს უთხრათ და არც  
სხვა ვინმეს.

ტესმანი. კი მაგრამ, მაინც რამ მოგაფიქრა?.. რამ გაიძულა ჩაგედინა  
ეს გაუგონარი დანაშაული? რა წერამ აგიტანა? მიპასუხე! ჰა?

ჰელა (ძლივს იკაეებს ოდნავ შესაძრწევ ლიპილს). ეს შენი გულისთვის  
ჩაეიღინე, იორგენ.

ტესმანი. ჩემი გულისთვის?

ჰელა. დილით რომ დაბრუნდი, აკი მიაბზე, რომ თავისი ხელნაწერი  
წაგიკითხა?..

ტესმანი. მერე რა?

ჰელა. ისიც ხომ მითხარი, მისი შემშურდაო?

ტესმანი. ღმერთო ჩემო, ასე პირდაპირ გაგება შეიძლება?

ჰელა. ასეა თუ ისე, ჩემთვის აუტანელი შეიქნა ის აზრი, რომ  
ვილაცას შეუძლია დაგჩრდილოს შენ.



ტესმანი (ეჭვსა და სიხარულს შორის ყოყმანობს). ჰედა, ნუთუ მართალს ამბობ!.. კი მაგრამ... რატომ აქამდის არ შემიმჩნევია, რომ... ასე გიყვარდი? რატომ?

ჰედა. მაშ, ახლა ისიც იცოდე რომ მე... (მკვეთრად წყვეტს სიტყვას). არა, არა. უმჯობესია მამიდა იუღეს ჰკითხო. ის გეტყვის.

ტესმანი. აჰ! მგონი თვითონვე ეხედები, ჰედა!.. (ხელი-ხელს შემოაკრავს). ოჰ, ღმერთო ჩემო! ნუთუ ეს მართალია? ჰა?

ჰედა. ნუ ყვირი, გოგო გაიგონებს!

ტესმანი (მზიარულად იცინის). გოგოო! რას არ იტყვი, ჰედა? გოგოო! ეს გოგო ხომ ბერტაა?! მე თვითონ გავიქციე და ყველაფერს ვერტყვი.

ჰედა (სასოწარკვეთილი იბტვრევს ხელებს). აჰ, მეტი აღარ შემიძლია. ნამდვილად დამახჩობს ყოველივე ეს.

ტესმანი. რა ყოველივე ეს, ჰედა? ჰა?

ჰედა (გონს ეგება, სივად). ყოველივე ეს... სასაცილოა, იორგენ!

ტესმანი. სასაცილო? სასაცილოა, რომ სიხარულისაგან ლამის შევიშალო? თუმცა ჰო... მართალია... ბერტას აქ რა ესაქმება?..

ჰედა. რატომაც არა? სადაც ერთი, იქაც მეორე.

ტესმანი. არა, არა, ჯერ ადრეა. მაგრამ მამიდა იუღემ კი უსათუოდ უნდა გაიგოს! ესეც და ისიც, რომ უკვე იორგენს მეძახი! წარმომიდგენია, როგორ გაუხარდება... ნამდვილად გადაიჩრევა!

ჰედა. როცა გაიგებს, რომ მე ეილერტ ლეებორგის ხელნაწერი დაეწვი. შენი გულისთვის?

ტესმანი. დიახ, დიახ... ესეც სწორია. ხელნაწერის ამბავი არავინ არ უნდა იცოდეს. რა თქმა უნდა! მაგრამ ასე ძალიან რომ გიყვარვარ, ეს კი მამიდა იუღემ უსათუოდ უნდა გაიგოს!.. ჰო, მართლა, ნეტა ვიცოდე, ყველა ახალგაზრდა ცოლი ასეა? ჰა?

ჰედა. შენც ადექი და მამიდა იუღეს ჰკითხე!

ტესმანი. რატომაც არა?.. თუ სიტყვამ მოიტანა, აუცილებლად... (კვლავ გაოგნებულ იერს იღებს). არა, ხელნაწერი მაინც... ხელნაწერი!.. ღმერთო ჩემო! შიში მიპყრობს, საწყალი ეილერტი რომ გამახსენდება.

წინკარიდან შემოდის თვა ელესტედი. ისევე აცოია, როგორც პირველი ვიზიტისას. შლაპა ახურავს და მოსასხამი აქვს მოსხმული.

თვა (სწრაფად ესაღება მასპინძლებს, აღელვებული ლაპარაკობს). აჰ, მომიტევე, ძვირფასო ჰედა, რომ კვლავ გაწუხებ...

ჰედა. რა მოგივიდა, თვა?

ტესმანი. ეილერტ ლეებორგს კვლავ ხომ არაფერი შეემთხვა? ჰა?

თეა. აჰ, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მეშინია, მის თავს რაიმე უბედურება არ იყოს!

ჰელა (ხელს სტაცებს ხელში). ა!.. შენ გგონია?

ტესმანი. კი მაგრამ, ღმერთო ჩემო... ეგ რამ გაფიქრებინათ, ფრუ ელესტედ?

თეა. შემთხვევით მოვკარი ყური... ჩვენს პანსიონში შევედი თუ არა, გავიგონე, რომ ეილერტზე ლაპარაკობდნენ. აჰ, დღეს ქალაქში რაღას არ ყვებიან მასზე?

ტესმანი. დიდი ამბავი, მეც გავიგონე. მაგრამ შემიძლია და-გარწმუნოთ, რომ წუხელის პირდაპირ სახლში წავიდა დასაძინებლად. გესმით?

ჰელა. კი მაგრამ, მაინც რას ამბობდნენ პანსიონში?

თეა. რა ვიცი, კარგად ვერ გავიგონე. ან თვითონ არაფერი იციან დანამდვილებით, ანდა... მხოლოდ, დამინახეს თუ არა, ხელად დადუმდნენ. გამოკითხვა კი ვერ გავბედე.

ტესმანი (მოუსვენრად დააბიჯებს ოთახში). იმედი ვიქონიოთ... იმედი ვიქონიოთ, რომ მოგეჩვენათ, ფრუ ელესტედ.

თეა. არა, არა, დარწმუნებული ვარ, რომ მასზე ლაპარაკობდნენ. ჩემი ყურით გავიგონე, საავადმყოფო თუ რაღაც ახსენეს.

ტესმანი. საავადმყოფო?

ჰელა. არა, ეს შეუძლებელია.

თეა. აჰ, მე ისეთი ვლდა მეცა, რომ მაშინვე მასთან გავეარდი, ამბის გასაგებად.

ჰელა. შენ ეს გაბედე, თეა?

თეა. აბა, რა მექნა? ასე მეგონა, ნამდვილად ველარ გავუძლებდი ამ გაუგებრობას.

ტესმანი. ალბათ, სახლში არ დაგხვდათ, ჰა?

თეა. არა და იქაც არაფერი იციან მასზე. მხოლოდ ის მითხრეს, გუშინ დასადილევს გავიდა და ჭერაც არ დაბრუნებულაო.

ტესმანი. გუშინ! წარმოგიდგენიათ? ეს რამ ათქმევინათ?

თეა. არა, ნამდვილად რაღაც უბედურება შეემთხვა.

ტესმანი. რას იტყვი, ჰელა, ხომ არ აჯობებს წავიდე და მივიკითხ-მოვიკითხო?

ჰელა. არა, არა, თუ შეიძლება, ამ საქმეში ნუ ჩაერევი.

ბერტა შემოსასვლელის კარს აღებს. შემოდის ასესორი ბრაკი. სერიოზული სახე აქვს. უხმოდ ესაღმება ყველას. შლაპა ხელში უჭირავს. ბერტა კარს ხურავს, თვითონ კი გადის.

ტესმანი. ა, ეს თქვენა ხართ, ძვირფასო ასესორო?

ბრაკი. დიახ, არ შემეძლო დღესვე არ მოვსულიყავი.

ტესმანი. სახეზე გეტყობათ, რომ უკვე მიგიღიათ ცნობა მამიდა იულესაგან...

ბრაკი. დიახ, მისგანაც.

ტესმანი. ხომ სამწუხარო ამბავია? ჰა?

ბრაკი. იცით, რა, ძვირფასო ტესმან, გააჩნია, ვინ როგორ შეხედავს.

ტესმანი (გაუბედავად უუარებს). რა, კიდეც მოხდა რამე?

ბრაკი. დიახ, მოხდა.

ჰედა (დაძაბულად). რალაც სამწუხარო, ბატონო ასესორო?

ბრაკი. ამასაც გააჩნია, ვინ როგორ შეხედავს, ფრუ ტესმან...

თეა (შეძრწუნებით). აჰ, ეილერტ ლევბორგი?!

ბრაკი (შეხედავს). რალა მაინცდამაინც ლევბორგი, ფრუ ელესტელ? ან, იქნებ, უკვე რალაცა იცით?

თეა (დარცხენით). არა, არა, მაგრამ...

ტესმანი. კი, მაგრამ, ღმერთო ჩემო, თუ რამე იცით, ბოლოს და ბოლოს თქვით!

ბრაკი (მხრების აწევით). დიახ, სამწუხაროდ... ეილერტ ლევბორგი საავადმყოფოში მიიყვანეს, და როგორც ამბობენ, უკვე სულს ებრძვის!

თეა (წამოხტება). ო, ღმერთო, ღმერთო!..

ჰედა (უნებურად). მაშ, ასე მალე?!

თეა (საწყალობლად). შერიგებაც კი ვერ მოვასწარი, ჰედა!

ჰედა (ჩუმად). ო, თეა... თეა!

თეა (ყურადღებას არ აქცევს). ვაიმე! ჩქარა! იქნებ ცოცხალს მაინც მიეუსწრო!

ბრაკი. ტყუილად იჩქარებთ, ქალბატონო; მასთან მაინც არავის უშვებენ.

თეა. ის მაინც მითხარით, რა მოხდა? რა მოუვიდა?

ტესმანი. დიახ, დიახ... იმედია... კი მაგრამ, თვითონვე ხომ არ!.. ჰა?

ჰედა. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ თვითონ...

ტესმანი. რას ამბობ... ჰედა?!

ბრაკი (თვალს არ აშორებს ჰედას). სამწუხაროდ, თქვენ გამოიცანით, ფრუ ტესმან!

თეა. აჰ, ეს რა საშინელებაა!..

ტესმანი. ესე იგი, თვითონვე!.. წარმოგიდგენიათ?

თეა (თავის შეკავებას ცდილობს). მაინც, როდის მოხდა ეს, ბატონო ასესორო?

ბრაკი. დღეს. ნაშუადღევს, ასე, სამს და ოთხ საათს შუა.

ტესმანი. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! კი მაგრამ, სად?... ჰა?  
ბრაკი (ყოყმანით). სად?... ალბათ თავის ბინაში.

თეა. არა, აქ რალაც ისე ვერ არის! მე გუშინ, ასე, ექვსზე თუ  
შვიდ საათზე შევეუარე...

ბრაკი. მაგრამ თუ თავის ბინაში არა, მაშინ სადმე სხვაგან.  
დანამდვილებით ვერ გეტყვით. მხოლოდ ის ვიცი, რომ  
ცოცხალ-მკვდარი იპოვეს... პირდაპირ გულში უსვრია...

ჰელა (ასესორს). გულშიო, თქვენ თქვით?

ბრაკი. დიახ.

ჰელა. და არა საფეთქელში?

ბრაკი. არა, შიგ გულში, ფრუ ტესმან.

ჰელა. ჰო, თუმცა გულშიც არა უშავს რა.

ბრაკი. რა ბრძანეთ, ქალბატონო?

ჰელა (თავს არიდებს). ისე, არაფერი.

ტესმანი. კრილობა სასიკვდილოა? ჰა?

ბრაკი. უეჭველად. ახლა, ალბათ, უკვე ყველაფერი დამთავრდა.

თეა. დიახ, დიახ... მე ვგრძნობ!.. დამთავრდა, დამთავრდა! ო, ჰელა!

ტესმანი. კი მაგრამ, მაინც ვინ გითხრათ ეს?

ბრაკი. პოლიციის მოხელემ, რომელსაც პირადად ველაპარაკე.

ჰელა. ძლივს ერთი თამამი საქციელი!..

ტესმანი (შეშინებული). ღმერთო, შენ შეგვიწყალე!.. რას ამბობ, ჰელა?

ჰელა. მე ვამბობ, რომ ამნაირი საქციელი თავისებურად ლამაზია!

ბრაკი. ჰმ... ფრუ ტესმან.

ტესმანი. ლამაზიო? სიტყვას დაუკვირდი!

თეა. ჰელა, რა სილამაზეზე შეიძლება აქ ლაპარაკი?

ჰელა. ეილერტ ლევბორგმა თავი მოიკლა. მას ეყო სიმამაცე,  
ჩაედინა ის, რაც უნდა ჩაედინა.

თეა. არა, არა! არა მგონია! ეს თუ ჩაიდინა, მაშასადამე, თავის  
კკუაზე აღარ იყო.

ტესმანი. დიახ, დიახ, სასოწარკვეთილების შედეგად...

ჰელა. არა-მეთქი! დარწმუნებული ვარ.

თეა. დიახ, დიახ! გონებაზე აღარ იყო! როგორც მაშინ, როცა ჩვენი  
წიგნი დახია.

ბრაკი (გაოგნებული). წიგნი?... ესე იგი, ხელნაწერი? მართლა დახია?

თეა. დიახ, წუხელ.

ტესმანი (ჩურჩულით). ო, ჰელა, ეს სამუდამო ლაქად დააჩნდება  
ჩვენს სინიდისს.

ბრაკი. ჰმ... დიდად უცნაურია.

ტესმანი (აღღვებული მიმოდის ოთახში). ვინ წარმოიდგენდა, რომ ეილერტ ლევბორგი ასე დაასრულებდა სიცოცხლეს?.. რომ ნაშრომსაც კი აღარ დატოვებდა თავისი სახელის უკვდავ-საყოფად?..

თეა. ეჰ, მისი აღდგენა რომ შეიძლებოდა!

ტესმანი. ნეტავი მართლაც შეიძლებოდა და რას არ მივცემდი!..

თეა. თუმცა... ღმერთმანი, შეიძლება, ბატონო ტესმან.

ტესმანი. როგორ?

თეა (კაბის ჯიბეებში იქებება). აი, ხედავთ? მე შევინახე შავი ჩანაწერები, რომელთა მიხედვითაც თავის შრომას მკარ-ნახობდა.

ჰელა (ნაბიჯს გადადგამს მისკენ). ა!..

ტესმანი. მართლა შეინახეთ, ფრუ ელვსტედ?

თეა. დიახ, დიახ, აი, ისინიც. სახლიდან რომ წამოვედი, თან წამოვიღე... აქამდე ჯიბეში ჩამრჩა...

ტესმანი. მომეცით, ერთი შევხედო.

თეა (ფურცლების გროვას აწვდის). მხოლოდ აქ ყველაფერი არეულ-დარეულია, ყველა ფურცელი -- გადაადგილებული.

ტესმანი. კი მაგრამ, იქნებ მაინც შევძლოთ გარჩევა?.. შეერთებულ-ლი ძალით... თუ ერთმანეთს დავეხმარებით...

თეა. დიახ, დიახ!.. ვცადოთ მაინც!..

ტესმანი. უნდა გამოვიდეს! აუცილებლად! სიცოცხლეს არ დავი-შურებ ამის გულისთვის.

ჰელა. შენ, იორგენ? საკუთარ სიცოცხლეს?

ტესმანი. დიახ, ან, უფრო სწორად, -- მთელ ჩემს დროს. ჩემი შრომა კი ჭერჯერობით მოიცდის. გესმის, ჰელა?.. ჰა? მე ვალდებული ვარ, ეს ჩემი ვალია ეილერტის ხსოვნის წინაშე.

ჰელა. რა თქმა უნდა.

ტესმანი. მაშ, ასე, ძვირფასო ფრუ ელვსტედ, მხნეობა მოვიკ-რიბოთ. რა აზრი აქვს მოთქმა-გოდებას იმის გამო, რაც უკვე მოხდა? ჰა? უმჯობესია, ვცადოთ სიმშვიდის შენარჩუნება და აზრების თავმოყრა, რათა...

თეა. დიახ, დიახ, ბატონო ტესმან, ვეცდები, რამდენადაც შემიძლია.

ტესმანი. მაშ. აქეთ მობრძანდით. ახლავე უნდა გადავხედოთ ამ ჩანაწერებს. სად დავსხდეთ? აქ? არა, იქ სჯობია, უკანა ოთახში. მომიტევეთ, ძვირფასო ასესორო... მობრძანდით, ფრუ ელვსტედ.

თეა. ო, ღმერთო, ნეტავი რამე გამოვიდოდეს...

ტესმანი და თვა უკანა ოთახში გადიან. თვა შლაპასა და მოსასხამს იხდის; შემდეგ ორივენი დაკიდებული ლამპის ქვეშ მდგარ მაგიდას მიუსხდებიან და გულმოდგინედ იქექებიან ქალაღებში. ჰელა მიღის და ლუმელის მახლობლად სავარძელში ჭდება. ცოტა ხნის შემდეგ ასესორი ბრაკი უახლოვდება.

**ჰელა** (ხმადაბლა). აჰ, ბატონო ასესორო, ეილერტ ლევბორგის საქციელი ეს ხომ თვით სიმამაცეა, შემართება, თავისუფლება?!

**ბრაკი**. თავისუფლება, ფრუ ჰელა? ჰო, თუმცა ის, რა თქმა უნდა, განთავისუფლდა...

**ჰელა**. არა, მასზე კი არა, ჩემზე მოგახსენებთ. თითქოს უფრო ლალად სუნთქავ, როდესაც იცი, რომ ამქვეყნად ჭერ კიდევ ხდება რაღაც თამამი, თავისუფალი... რასაც ბუნებრივი, უშუალო სილამაზის ბეჭედი აზის.

**ბრაკი** (ილიშება). ჰმ... ძვირფასო ფრუ ჰელა...

**ჰელა**. ვიცი, ვიცი, რასაც იტყვი. თქვენც ხომ თავისებური სპეციალისტი ბრძანდებით, როგორც...

**ბრაკი** (დაინებით უსქერის). როგორც ჩანს, ეილერტ ლევბორგი თქვენთვის გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე თქვენ გასურთ დაარწმუნოთ თქვენივე თავი. ან იქნებ, ვცდები?

**ჰელა**. ამ კითხვაზე არ გიპასუხებთ. ვიტყვი მხოლოდ რომ ეილერტ ლევბორგს ეყო სიმამაცე, თავის ნებაზე ეცხოვრა... და მერე, სილამაზის ნიშნით აღბეჭდილი მისი უკანასკნელი... დიადი ნაბიჯი! დიახ, მას ეყო ნებისყოფა, ასე ნაადრევად წასულიყო... სიცოცხლის სავეს სუფრიდან!

**ბრაკი**. ძალიან ვწუხვარ, ფრუ ჰელა... მაგრამ იძულებული ვარ თვალი აგხილოთ და დაგანახოთ თქვენი შეცდომა, რასაც სილამაზის მოთხოვნილება უდევს საფუძვლად.

**ჰელა**. შეცდომა?

**ბრაკი**. დიახ, შეცდომა, რომელსაც, სულერთია, მაინც მალე დაგანახებენ.

**ჰელა**. რას ამბობთ?

**ბრაკი**. რასა და იმას, რომ ლევბორგმა თვითონ როდი მოიკლა თავი... ესე იგი, ნებაყოფლობით.

**ჰელა**. როგორ?

**ბრაკი**. მე წელან, ცოტა არ იყოს, შევცვალე და ისე მოგახსენეთ მისი სიკვდილის ამბავი.

**ჰელა** (დაძაბულად). რაღაცა დაგვიმალეთ? მაინც რა?

**ბრაკი**. საბრალო ფრუ ელვსტედი შემეცოდა და თავს ნება მივეცი შემერბილებინა ზოგიერთი გარემოება.

**ჰელა**. მაინც?

**ბრაკი**. ჭერ -- ერთი, ის უკვე მოკვდა.

ჰედა. საავადმყოფოში?

ბრაკი. დიახ. ისე, რომ გონებაზე არ მოსულა.

ჰედა. კიდეც რა დაგვიმალეთ?

• ბრაკი. ეს მის ბინაში როდი მოხდა.

ჰედა. ვითომ რა მნიშვნელობა აქვს ამას?

ბრაკი. თქვენ წარმოიდგინეთ, აქვს!.. უნდა მოგახსენოთ, რომ ეილერტ ლევბორგი ცოცხალ-მკედარი იპოვეს... ფრიოკენ დიანას ბუღუარში.

ჰედა (ზიზლის გამოხატველი მზერით უცქერის). ესლა მაკლდა! რასაც უნდა მოვკიდო ხელი, საითაც უნდა მივბრუნდე, წყველასავით ყველგან თან მდევს სასაცილო და უკეთური!

ბრაკი. ეს ჭერ კიდეც ყველაფერი როდია, ფრუ ჰედა. ამას ზედ ერთვის რალაც ბინძურიც.

ჰედა. ბინძური?

ბრაკი. რეკოლვერი, რომელიც ჩიბეში უპოვეს...

ჰედა (ძლივს ითქვამს სულს). რა?..

ბრაკი. მან, როგორც ჩანს, მოიპარა.

ჰედა (წამოიძახებს). მოიპარა? ტყუილია! არა, არა!

ბრაკი. სხვაგვარად წარმოუდგენელია. ნამდვილად მოიპარა... ჩუ! ტესმანი და თვა მაგილიდან დგებთან და უკანა ოთახიდან სასტუმროში გამოლიან.

ტესმანი (ხელში ფურცლები უჭირავს). იცი რა, ჰედა! მე თითქმის ვერაფერს ვერ ვარჩევ ამ დაკიდებული ლამპის შუქზე, გესმის?

ჰედა. ჰო, მესმის.

ტესმანი. არ შეიძლება, ცოტა ხნით შენს საწერ მაგიდას მიეუსხდეთ. ჰა?

ჰედა. როგორც გნებათ! (სწრაფად). თუმცა, მოიცა, ჭერ მივალავო!

ტესმანი. ნუ შეწუხდები, ჰედა. ადგილი ისეც გვეყოფა.

ჰედა. არა, არა! გეუბნები, ჭერ მივალავებ-მეთქი. მხოლოდ, აი, ამას გადავდებ... ჭერჭერობით, პიანინოზე. (საწერ მაგიდაზე, წიგნების თაროს ქვემოდან ნოტების რვეულებით დაფარულ რალაც საგანს იღებს, ნოტების კიდეც რამდენიმე ფურცელს აფარებს და ხელმარცხნივ გააქვს უკანა ოთახში).

ტესმანი ფურცლებს საწერ მაგიდაზე შლის და კუთხეში მიდგმულ მაგილიდან ლამპა გადმოაქვს. შემდეგ თუასთან ერთად უჭდება საბუშაოს.

ჰედა (ბრუნდება, თუას სკამს უკან დგება და ომაზე ხელს უსვამს). აბა, რას მეტყვი, ჩემო ძვირფასო, როგორ მიდის ეილერტ ლევბორგის ძეგლის საქმე?

თეა (სევდიანად ახედავს). არ ვიცი, ღმერთმანი, არ ვიცი; ძალიან გაგვიჭირდება გარჩევა.

ტესმანი. გამოვა! უსათუოდ გამოვა! სხვისი ქალაქების გარჩევა და მათი მოწესრიგება ხომ ჩემი სპეციალობაა!

ჰელა ღუმელთან მიდის და ჰუფზე ჯდება. ასეოსი ბრაკი გვერდით უდგას, ხელით სავარძლის ზურგს ეყრდნობა.

ჰელა (ჩურჩულით). რაო, რა ბრძანეთ, რევოლვერიო?..

ბრაკი (თვითონაც ხმადაბლა ლაპარაკობს). მე ვთქვი, რომ ლევბორგმა, როგორც ჩანს, მოიპარა.

ჰელა. რატომ მაინცდამაინც მოიპარა?

ბრაკი. იმიტომ, რომ არავეითარი სხვა ახსნა ამას არ ეძებნება, ფრუ ჰელა.

ჰელა. აპ, ასე?

ბრაკი (წუთით უსკჩერის). ეილერტ ლევბორგი ამ დილას აქ იყო, არა?

ჰელა. დიახ.

ბრაკი. თქვენ და ის მარტო იყავით?

ჰელა. დიახ, ცოტა ხანს.

ბრაკი. ოთახიდან არსად გასულხართ, სანამ აქ იყო?

ჰელა. არა.

ბრაკი. გაიხსენეთ, ნამდვილად არ გასულხართ?.. არც ერთი წუთით?

ჰელა. თუმცა, პო... ერთი წუთით... წინკარში.

ბრაკი. კი მაგრამ, სად იღო ამ დროს რევოლვერების ბუდე?

ჰელა. ბუდე?... იმაში...

ბრაკი. რაში, ფრუ ჰელა?

ჰელა. საწერი მაგიდის უჯრაში.

ბრაკი. შემდეგ თუ შეამოწმეთ, ორივე რევოლვერი ადგილზეა?

ჰელა. არა, არ შემოწმებია.

ბრაკი. არცაა საკիրო. მე მიჩვენეს რევოლვერი, რომელიც ლევბორგს უპოვეს. დავხედე თუ არა, ვიცანი. გუშინ რომ ვნახე, ისაა, თუმცაღა აღრეც მინახავს.

ჰელა. თქვენ ხომ არა გაქვთ?

ბრაკი. არა, პოლიციაშია.

ჰელა. მერედა, რას უპირებს პოლიცია?

ბრაკი. ეცდება, პატრონი იპოვოს.

ჰელა. თქვენი აზრით, ეს შესაძლებელია?

ბრაკი (მისკენ იხრება და თითქმის ჩურჩულით ამბობს). არა, ძვირფასო ფრუ ჰელა... სანამ მე ჩუმად ვარ.



ჰელა (შეშინებული უყურებს). ხოლო თუ ჩემად არ იქნებით?

ბრაკი (მზრების აჩეჩით). კმ... არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა: იტყვი, რევოლვერი მომპარესო.

ჰელა (მტკიცედ). მაგას სიკვდილი მიჩვენია!

ბრაკი (ლიბლით). ჩვეულებრივ, ყველანი ასე ამბობენ, მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ასევე როდი იქცევიან.

ჰელა (უპასუხოდ ტოვებს). მაგრამ თუ რევოლვერი არ მოუპარავთ და პატრონს იპოვნიან, მაშინ?..

ბრაკი. დიახ, ჰელა... მაშინ თავიდან ვერ აიცილებთ სკანდალს.

ჰელა. სკანდალს?

ბრაკი. დიახ, სკანდალს, რისაც თქვენ სიკვდილივით გეშინიათ. რალა თქმა უნდა, სასამართლოში დაგიბარებენ... თქვენცა და ფრიოკენ დიანასაც. მას ხომ აუცილებლად ჩამოართმევენ ჩვენებას: გამოჰკითხავენ, რა როგორ მოხდა... რა იყო ეს, ბრმა შემთხვევა თუ აშკარა მკვლელობა?.. რას აპირებდა მსხვერპლი: ცდილობდა ჯიბიდან დაეძრო რევოლვერი, სიკვდილით ემუქრებოდა ქალს და სწორედ ამას მოჰყვა გასროლა? თუ პირიქით, ქალმა ხელიდან გამოსტაცა იარაღი, ესროლა და რევოლვერი ისევ ჯიბეში ჩაუდო?.. იმნაირი დამთხვეულისგან, როგორიცაა ფრიოკენ დიანა, ყველაფერია მოსალოდნელი.

ჰელა. კი მაგრამ, მთელი ეს სიბინძურე მე ხომ არ მეხება?

ბრაკი. არა, მაგრამ თქვენც აუცილებლად მოგიწევთ უპასუხოთ კითხვაზე: რა მიზნით მიეცით რევოლვერი ვილერტ ლეებორგს?.. მერედა, როგორ გგონიათ, რა დასკვნას გამოიტანენ იქიდან, რომ მას რევოლვერი მიეცით?

ჰელა (თაჩაქინდრული). დიახ, მართალი ხართ. ამაზე არ მიფიქრია.

ბრაკი. საბედნიეროდ, საშიში არაფერია... სანამ მე ვლუმვარ.

ჰელა (უყურებს). ასე რომ, ახლა თქვენს ხელთა ვარ. ამიერიდან თქვენი ნების მონა-მორჩილი უნდა ვიყო?

ბრაკი (ჩურჩულით). ძვირფასო ჰელა... დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბოროტად არ გამოვიყენებ ჩემს მდგომარეობას.

ჰელა. და მაინც, თქვენს ხელთა ვარ; თქვენი ნება-სურვილის სათამაშო უნდა ვიყო... ესე იგი, მშვიდობით, თავისუფლებავე... სამუდამოდ!.. არა ამას მე ვერ ავიტან! ვერასოდეს!

ბრაკი (ნახევრად დამცინავი მზერით უცქერის). გარდუვალის წინაშე ყოველთვის ქედს იხრიან და თავიანთ ხვედრს ურიგდებიან.

- ჰელა** (ასეთივე მზერით პასუხობს). შეიძლება. (საწერ მაგიდასთან მიღის, ძლივ იკაეებს დამცინავ ლიპლს და ტესმანის ინტონაციის მიბრუნებით ლაპარაკობს). როგორაა საქმე, იორგენ? ჰა?
- ტესმანი.** ღმერთმა იცის; ყოველ შემთხვევაში, ეს სამეუბლო რამდენიმე თვეს მაინც წაიღებს.
- ჰელა** (იმავე ტონით). წარმოგიდგენიათ? (თითებს თმაში შეუტურებს თვას). განა უცნაური არ არის, თეა? ახლა შენ ისევე ზიზარ ტესმანთან... როგორც ადრე ეილერტ ლეგორგთან იჯექი...
- თეა.** აჰ, ნეტა შევძლო და ისევე შთაეაგონო შენს ქმარსაც!..
- ჰელა.** ნუ გეშინია, უთუოდ შესძლებ... თანდათანობით.
- ტესმანი.** ჰო, იცი, ჰელა... მართლაცდა მე თითქოს ვგრძნობ რაღაც ისეთს... მაგრამ, მიდი, ასესორს მარტო ნუ დატოვებ.
- ჰელა.** ხომ არ შემიძლია რამეთი დაგებმარო?
- ტესმანი.** არა, არაფერი. (ასესორს მიუბრუნდება). თქვენ კი, ძვირფასო ასესორო, გთხოვთ მოწყალება მოიღოთ და არ მომიწყინოთ ჰელა.
- ბრაკი** (სწრაფად შეხედავს ჰელას). უდიდესი სიამოვნებით!
- ჰელა.** გმადლობთ. მაგრამ დღეს ცოტა არ იყოს, დავიღალე. წავალ, დივანზე მივწვები.
- ტესმანი.** წადი, ძვირფასო, წადი. ჰა?
- ჰელა** უკანა ოთახში გადის და ფარდებს გადასწევს. პატარა პაუზა. ანაზღეულად საცეკვაო მუსიკის შლეგური მორტივი მოისმის.
- თეა** (წამობტება). ვაი! ეს რა არის?
- ტესმანი** (ფარდებს მივარდება). ძვირფასო, დღეს მაინც ნუ უკრავ საცეკვაოს! იფიქრე მამიდა რინაზე... და ეილერტზეც...
- ჰელა** (ფარდებიდან გამოჰყოფს თავს). და მამიდა იულებზეც... და ყველაზეც... მეტს აღარ ვიხმაურებ. (ყვავ გადასწევს ფარდებს).
- ტესმანი** (საწერ მაგიდასთან). ჰელამ არ უნდა უყუროს, როგორ ვგრომობთ ჩვენი სამწუხარო მოვალეობის აღსასრულებლად... იცით, რა ფრუ ელესტედ? მამიდა იულებთან გადადიოთ. მეც ყოველ საღამოს იქ მოვალ. მშვენივრად ვიმუშავებთ ერთად, ჰა?
- თეა.** დიახ, დიახ, ეს ყველაფერს აჯობებს.
- ჰელა** (ფარდებს იჭიდან). მესმის, მესმის შენი სიტყვები, ტესმან. კი მაგრამ, მე რაღა ვქნა საღამოობით?
- ტესმანი** (ფურცლებს არჩევს). ო, ჩვენი ძვირფასი ასესორი იმდენ ყურადღებას გამოიჩინეს, რომ უარს არ იტყვის, დრო და დრო მოგინახულოს.

**ბრაკი** (სავარძელში ზის და ალტაცებით ყვირის). სიამოვნებით, თუნდაც ყოველ საღამოს, ფრუ ტესმან! იმედი მაქვს, მხიარულად გავატარებთ ღროს.

**ჰელა** (მკაფიოდ და ხმამაღლა). რატომაც არ გექნებათ იმედი, ასესორო?! თქვენ, ერთადერთ მამალს...

გაისმის გასროლის ხმა. ყველანი ფეხზე წამოცვივდებიან.


**ტესმანი**. არა და არ ეშვება ამ რევოლვერებს (ფარდებს გადასწევს და უკანა ოთახში შევარდება. თვა ფეხდაფეხ მისდევს).

ღივანზე გულაღმა აგღია ჰელა... სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობა. არეულობა, ყვირილი, წივილ-კივილი. მარჯნიდან შემორბის შეშინებული ბერტა.

**ტესმანი** (ასესორს). თავი მოუკლავს! პირდაპირ საფეთქელში უსვრია! წარმოგიდგენიათ?!

**ბრაკი** (ნახევრად გულშეღონებული ჩაესვენება სავარძელში). კი მაგრამ, ღმერთო ჩემო... ასე ხომ არ იქცევიან?!





## ღრამა სამ მოქმედებად

### მოქმედი პირნი

მშენებელი ჰლვარ სოლნესი.

ფრუ ალინა სოლნესი -- მისი ცოლი.

ექიმი ჰერდალი -- შინაური მკურნალი.

კნუტ ბრუვიკი -- ყოფილი არქიტექტორი, ამჟამად სოლნესის თანამემწე.

რეგნარ ბრუვიკი -- მისი ვაჟი, მხაზველი.

კაია ფოსლი -- მოხუცი ბრუვიკის ძმისწული, ბუხპალტერი.

ფრიოკენ ჰილდა ვანგელი.

ქალები.

ბრბო.

მოქმედება მიმდინარეობს მშენებელ სოლნესის სახლში.



### პირველი მოქმედება

ღარიბულად მორთული სამუშაო ოთახი სოლნესის სახლში. მარცხნივ დატანებული ორსაგდულიანი კარი შემოსასვლელში გადის, მარჯვენა კარი კი -- შიდა ოთახებში. უკანა კედელში დატანებული ღია კარიდან სამხაზველო მოჩანს. წინ, ხელმარცხნივ, დახლზე წიგნები, ქაღალდები, კალმისტრები და სამელნეები აწყვია. შემოსასვლელის კართან ღუმელია. მარჯვენა კუთხეში დივანი, მის წინ მაგიდა და რამდენიმე სკამი დგას, მაგიდაზე კი -- წყლით სავსე გრაფინი და კიჭა. წინ, ხელმარჯვნივ, პატარა მაგიდაა, მის გვერდით -- სარწვეველა და სავარძელი. კუთხეში მიდგმულ მაგიდაზე, დახლზე და სამხაზველოში სამუშაო ლამპები ანთია.

სამხაზველოში მაგიდას უსხედან კნუტ ბრუვიკი და მისი ვაჟი რაგნარი. გეგმებს ადგენენ და რალაის ანგარიშობენ. კაბინეტში დახლს იქით დგას კაია ფოსლი და რალაის წერს სახარჯთაღრიცხვო წიგნში. კნუტ ბრუვიკი გამხდარი მოხუცია, ქალარა თმა-წვერი აქვს. ცოტათი გააცეთილი, მაგრამ სუფთა, ფაქიზად მოვლილი სერთუკი აცვია და თეთრი, ოდნავ გაყვითლებული ჰალსტუხი უკეთია; სათვალეს ატარებს. კაია ფოსლი ახალგაზრდა, ასე, ოცი-ოცდაერთი წლის ნაზი, ცოტა არ იყოს, ავადმყოფური გარეგნობის ქალიშვილია; ეტუობა, ჩაძმულობასა და ვარცხნილობას დიდ ყურადღებას უთმობს; მუშაობისას მწვანე თვალსაბურავი უკეთია. ერთხანს სამივე ღუმს.

**ბრუვიკი** (უცებ წამოღება, თითქოს რალაისა შეეშინდაო და მძიმე ხენეშით მიდის კაბინეტის კართან). არა, მეტი აღარ შემიძლია.

**კაია** (მისკენ მიდის). ეტუობა, ღლეს შეუძლოდა ხარ, ძია.

**ბრუვიკი**. ოჰ, ღლითიღლე სულ უფრო უარესად ვხდები.

**რაგნარი** (დგება და უახლოვდება). გირჩევნია სახლში წახვიდე მამა, იქნებ გამოიძინო.

**ბრუვიკი** (გალიზიანებული). ლოგინშიაც ხომ არ ჩაეწვე? შენ, ალბათ, გინდა, რომ მალე ფეხიც გავკიშო.

**კაია**. ცოტა მაინც გაიარ-გამოიარე.

**რაგნარი**. ჰო, მეც თან წამოგყვები.

**ბრუვიკი** (აილილდება). არსადაც არ წავალ, სანამ არ დაბრუნდება! ღლეს ყველაფრის პასუხს მოვთხოვ ამ ჩვენს... (გაბოროტებით) მბრძანებელს.

კაია (შემკრთალი). აჰ, არა, ძია! უმჯობესია, დაიკადო!

რაგნარი. დიახ, დაცდა აჯობებს, მამა!

ბრუვიკი. ოჰ-ოჰო-ჰო!.. იმას კი აღარ კითხულობთ, ამდენი ცდის დრო თულა დამრჩა.

კაია (აეურადებს). სსუ!.. გესმით? უკვე კიბეზე ამოდის!

სამივე კვლავ სამუშაოში ჩარგავს თავს. ხანმოკლე პაუზა. შემოსასვლელში გამოჩნდება პალეარ სოლნესი, უკვე ხანში შესული, მაგრამ ჭერ კიდევ ჩანსალი, ჩაფსკენილი კაცი, მოკლედ შეკრეპილი ხუჭუქა თმით, შავი ულვაშებითა და დაფანჩული, შავი წარბებით. მომწვანო-მორუხო სერთუი აცვია; ყველა ღილი შეკრული აქვს; თავზე მსუბუქი ქუდი ახურავს, ილიაში კი რამდენიმე საქალაღე ამოუჩრია.

სოლნესი (კარშივე, ჩურჩულით, სამხაზველოზე ანიშნებს). უკვე წავიდნენ?

კაია (თავს აქნევს, ჩუმად). არა. (თვალსაბურავს იხსნის).

სოლნესი (რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს, ქუდს სკამზე აგდებს, საქალაღეებს დივანის წინ, მაგიდაზე აწყობს, კვლავ უახლოვდება დახლს და ხმამალა მიმართავს კაიას, რომელიც თავაუღებლივ წერს და, თანაც, ცოტა არ იყოს, ნერვიულად ფუსფუსებს). რა შეგაქვთ წიგნში, ფრიოკენ ფოსლი?

კაია (შეკრთება). ისე... არათერი...

სოლნესი. აბა, მაჩვენეთ, ფრიოკენ (მისკენ იხრება, თითქოს წიგნში ჩახედვას აპირებსო და ჩურჩულებს). კაია!

კაია (წერას განაგრძობს, ჩუმად). რა?

სოლნესი. ჩემი დანახვისთანავე რატომ იხსნით ხოლმე თვალსაბურავს?

კაია (კვლავ ჩუმად). იმიტომ, რომ მაუშნოებს.

სოლნესი. თქვენ კი ეს არა გსურთ, ძალიან არა გსურთ, კაია?

კაია (შეფარვით ახედავს). რა თქმა უნდა. რა სასურველია, მახინჯი ვჩანდე თქვენს თვალში?

სოლნესი (თავზე ხელს უსვამს). საბრალო, საბრალო კაია.

კაია (დახლზე თავდახრილი). სსუ! გაიგონებენ!

სოლნესი (ხელმარჯვნივ მიდის, შემობრუნდება და სამხაზველოს კართან ჩერდება). ვინმეს ხომ არ ვუკითხივარ?

რაგნარი (წამოდგება). დიახ, იმ ახალგაზრდა წყვილმა გიკითხათ, ლიოვესტრანდზე რომ აპირებს აგარაკის აშენებას.

სოლნესი (ბუზღუნით). ა-ა! მოიცდიან... ჭერ კიდევ კარგად არ მომიფიქრებია გეგმა.

რაგნარი (უახლოვდება; ცოტა არ იყოს, გაუბედავად). ძალიან ეჩქარებათ.

სოლნესი (უწინდებურად). ჰო, რა თქმა უნდა!.. ყველას ეჩქარება!

**ბრუვიკი** (თავს მალა სწევს). ამბობენ, ერთი სული გვაქვს, როდის გადავბარგდებით საკუთარ ბუდეშიო.

**სოლნესი**. რა თქმა უნდა! ვიცით! ყველაფერზე თანახმანი არიან; მთავარია თავზევით ჭერი ჰქონდეთ. დიახ, მათ მხოლოდ თავშესაფარი სჭირდებათ და არა სახლი. კი მაგრამ, მე რალა შუაში ვარ? მაშინ ადგნენ და სხვას მიმართონ. ასეც გადაეცით, თუ კვლავ მომაკითხეს.

**ბრუვიკი** (სათვალეს შუბლზე იწევს და განცვიფრებით უყურებს სოლნესს). სხვას მიმართონ? თქვენ რა, ამ დაკვეთაზე უარის თქმას აპირებთ?

**სოლნესი** (გალიზიანებული). დიახ, დიახ, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია! თუ ასეა, უმჯობესია სულაც უარი ვთქვათ, ვიდრე მივაფუჩეჩოთ საქმე. (წაბოუნება). მე ხომ ისიც კი არ ვიცი, თუ ვინ არიან!

**ბრუვიკი**. საკმაოდ სერიოზული ხალხია. რაგნარი იცნობს. ბევრჯერ ყოფილა მათთან. დიახ, ძალზე სერიოზული ხალხია.

**სოლნესი**. სერიოზული... სერიოზული! განა მე ამას ვკითხულობ? ღმერთო, დიდებულო, არა, არც თქვენ გესმით ჩემი. (გაცხარებით). მე არ შემძლია უცნობ ხალხთან საქმის დაჭერა. წავეიდნენ და ვისაც უნდათ, იმას მიმართონ. ჩემთვის სულერთია.

**ბრუვიკი**. თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ?

**სოლნესი** (უკმაყოფილოდ). დიახ... ამჯერად საცესებით სერიოზულად. (ოთახში მიდი-მოდის).

**ბრუვიკი** (შეიღს გადახედავს, რომელიც ანიშნებს, სჯობს ფრთხილად იყავიო, შემდეგ კი წინა ოთახში შემოდის). თუ ნებას მომცემთ, ორიოდ სიტყვა მაქვს თქვენთან.

**სოლნესი**. ბრძანეთ.

**ბრუვიკი** (კაიას). ცოტა ხანს გადი.

**კაია** (შეშფოთებით). აჰ, ძია...

**ბრუვიკი**. გადი, გადი, ჩემო გოგონა. გადი და კარიც გაიხურე.

კაია უხალისოდ გადის სამხაზველოდან, სოლნესს ისე შეხედავს, თითქოს ეშინია და თან შეწყალებას სთხოვსო, შემდეგ კი კარს გაიხურავს. (ხმადაბლა). არ მინდა, საბრალო ბავშვებს გავაგებინო, რა ცუდადა ვარ...

**სოლნესი**. დიახ, ამ ბოლო დროს რალაც არ მომწონხართ...

**ბრუვიკი**. დიდხანს ველარ გავატან... დღითიღვე მაკლდება ძალა.

**სოლნესი**. ჩამოაჯექით.

**ბრუვიკი**. გმადლობთ; შეიძლება?



- სოლნესი (ოღნავ მიუწევს სკამს). აი, აქ დაბრძანდით... გისმენთ!
- ბრუვიკი (ღიღი გაქირვებით ჯდება). მე მინდა, რაგნარის თაობაზე მოგელაპარაკოთ... ესაა ახლა ჩემი ერთადერთი საზრუნავი... არ ვიცი, რა ეშველება!
- სოლნესი. თქვენი შვილი, რა თქმა უნდა, ჩემთან დარჩება... თუ მოისურვებს.
- ბრუვიკი. საქმეც ისაა, რომ არ სურს. იძახის, მეტი აღარ შემიძლიაო.
- სოლნესი. ჩემი აზრით, ჯამაგირს ვერ დაემდურება. მაგრამ თუ მომატებას მოითხოვს, მე, ალბათ, წინააღმდეგი არ ვიქნები...
- ბრუვიკი. არა, არა, ჯამაგირი რა შუაშია? (მოუთმენლად). მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ოდესმე ხომ უნდა დაიწყოს დამოუკიდებელი მუშაობა?
- სოლნესი (ზედაც არ უყურებს). თქვენ გგონიათ, რომ საამისოდ საკმარის მონაცემები აქვს?
- ბრუვიკი. მთელი უბედურებაც ეგაა სწორედ. მე უკვე ეჭვი მეპარება ჩემს ბიჭში. ერთი სიტყვაც არასოდეს წამოგცდენიათ მის გასამხნეველად, წასახალისებლად. მე კი მაინც გგონია, -- ისე როგორ გამწირავს ღმერთი, -- რომ ნიჭი უნდა ჰქონდეს.
- სოლნესი. კი მაგრამ, რომ არაფერი უსწავლია?.. ესე იგი, -- საფუძვლიანად. რა თქმა უნდა, ხატვის გარდა.
- ბრუვიკი (ფარული ზიზღით უცქერის). თქვენ კი ცოდნა თავზე გადაგდიოდათ, ჩემთან რომ მუშაობდით? მაგრამ მაინც შესძელით და გზა გაიკაფეთ. (ძიძველ ამოსუნთქავს). გაიკაფეთ და წინ გაიქერით... მეც უკან ჩამომიტოვეთ და სხვებიც.
- სოლნესი. ეგ, იცით, რა? -- უბრალოდ, ბედმა გამიღიმა.
- ბრუვიკი. მართალია; თქვენ ყოველთვის გიღიმიოდათ ბედი... კი მაგრამ, რა გული მოგცემთ, ისე გამისტუმროთ ამ ქვეყნიდან, რომ ერთხელაც ვერა ვნახო, რისი უნარი აქვს ჩემს შვილს... ეგეც არ იყოს, მინდოდა ჩემს სიცოცხლეშივე დამეოჯახებინა...
- სოლნესი. ეს კაიას სურვილია.
- ბრუვიკი. არა იმდენად კაიასი. მაგრამ რაგნარი... დღე ისე არ გავა, რომ ამაზე არ ჩამომიგდოს სიტყვა. (ვედრების კლოთი). თქვენ უნდა დაეხმაროთ, დიახ, უნდა დაეხმაროთ იმაში, რომ პატარა დაკვეთა მაინც მიიღოს. მეტს თუ არა, ერთ მის დამოუკიდებელ ნამუშევარს ხომ მაინც უნდა მოვესწრო. გესმით?

- სოლნესი (ჩისხვით). კი მაგრამ, რას მიბრძანებთ, მთვარიდან ხომ ვერ მოვართმევ დაკვეთას?
- ბრუვიკი. აი, სწორედ ახლა შეიძლებოდა კაი გვარიანი დაკვეთა მიეღო. ნამდვილი სამუშაო.
- სოლნესი (განკეიფრებით და შეშფოთებით). ვის? რაგნარს?
- ბრუვიკი. დიახ. თუ თქვენ დათანხმდებოდით.
- სოლნესი. მაინც რა სამუშაო?
- ბრუვიკი (გაუბედავად). შეიძლებოდა მისთვის მიენდოთ ამ აგარაკის მშენებლობა ლიოვესტრანდზე.
- სოლნესი. ამ აგარაკის? კი მაგრამ, მის აშენებას ხომ მე ვაპირებ?
- ბრუვიკი. თქვენ ხომ მაინცდამაინც დიდი სურვილი არა გაქვთ?
- სოლნესი (წაშოენება). სურვილი არა მაქვს? მე -- არა მაქვს? ვინ მოგახსენათ?
- ბრუვიკი. აკი თვითონვე ბრძანეთ.
- სოლნესი. არასოდეს, არასოდეს ასე არ გაიგოთ ჩემი ნათქვამი... ესე იგი, ამ სამუშაოს რაგნარს მიანდობდნენ?
- ბრუვიკი. დიახ... თქვენ რომ გადაგეხედათ და დასტური მიგეცათ...
- სოლნესი. მაშინ ამ სამუშაოზე მას მიიწვევდნენ?
- ბრუვიკი. მათ ძალიან მოეწონათ რაგნარის გეგმა. ასე თქვეს, ეს რაღაც სრულიად ახალიაო. დიახ, დიახ, სწორედ ასე თქვეს.
- სოლნესი. ოჰო! ახალი! ესე იგი, არა ისეთი ძველმოდური ხუხულა, მე რომ ვაშენებ?
- ბრუვიკი. მათი აზრით, ეს სულ სხვანაირია.
- სოლნესი (ცდილობს წყენა არ შეიძინოს). ესე იგი, ჩემს აქ არყოფნაში მათ სწორედ რაგნარს მოაკითხეს დღეს?..
- ბრუვიკი. არა, თქვენ მოგაკითხეს. აინტერესებდათ, ხომ არ დათანხმდებოდით იმაზე, რომ... დაგეთმოთ...
- სოლნესი. ვის? მე დამეთმო?
- ბრუვიკი. კი მაგრამ, თუ რაგნარის გეგმა...
- სოლნესი. მე გზა უნდა დაეუთმო თქვენს შვილს?
- ბრუვიკი. მათ მხოლოდ იმის შემოთავაზება უნდოდათ, პირობაზე უარს ხომ არ იტყვისო.
- სოლნესი. ეგ სულერთია. (მწარე სიცილით). მაშ, ასე, ჰალვარ სოლნესმა თავისი დრო მოკვამა! ახლა კი დროა, გზა უტიოს სხვებს! დროა ბიკბუქებს, ძუძუმწოვრებს დაუთმოს ადგილი! ადგილი, ადგილი!
- ბრუვიკი. მაღლობა ღმერთს, ადგილი ყველას ეყოფა...

- სოლნესი.** არა, არც ეგეთი ხალვათობაა. მაგრამ, ასეა თუ ისე, ცოცხალი თავით არავის დაუთმობ ადგილს. არავის, არასოდეს!.. არასდიდებით!
- ბრუვიკი** (რის ვაივაგლახით წამოდგება). მაშასადამე, ისე უნდა დავემშვიდობო სიცოცხლეს, რომ ერთხელაც ვერ ვიგემო სიხარული? ვერ ვირწმუნო რაგნარის ძალა, ვერც ერთ მის ნამუშევარს ვერ შევავლო თვალი? მითხარით!
- სოლნესი** (ნახევრად ზურგს შეაქცევს და კბილებში გამოსცრის). კმ... მეტს ნულარათერსა მკითხავთ.
- ბრუვიკი.** არა, მიპასუხეთ. ასე მათხოვარივით დავემშვიდობო სიცოცხლეს?
- სოლნესი** (ეტყობა თავს ებრძვის, შემდეგ ხმადაბლა, მაგრამ წუნარად ამბობს). როგორც გინდათ, ისე დაემშვიდობეთ.
- ბრუვიკი.** ჯანდაბას, რაც არის, არის. (რამდენიმე ნაბიჯს გალადგამს კარისაკენ).
- სოლნესი** (უკან მისდევს; თითქმის სასოწარკვეთით). კი მაგრამ, თუ სხვანაირად არ შემიძლია?.. გესმით?.. რაცა ვარ, ესა ვარ... ხელახლა ხომ ვერ დავიბადები?
- ბრუვიკი.** არა, არა, როგორც ჩანს, არ შეგიძლიათ. (წაბარბაცლება და ღიანის წინ, მაგიდასთან ჩერდება). თუ შეიძლება, ერთი კიქა წყალი...
- სოლნესი.** ახლაც. (წყალს უსხამს და აძლევს).
- ბრუვიკი.** გმადლობთ. (სვამს და კიქას მაგიდაზე დგამს).
- სოლნესი** (სამხაზუელის კარს შეაღებს). რაგნარ, მამის გაცილება მოგიწევთ სახლში.
- რაგნარი** (წამოვარდება და კაიასთან ერთად გამოდის სამუშაო ოთახში). რა მოგივიდა, მამა?
- ბრუვიკი.** ხელი მომეცი. წავიდეთ.
- რაგნარი.** კარგი. შენც ჩაიცივი, კაია.
- სოლნესი.** ფრიოკენ ფოსლი აქ დარჩება... სულ რამდენიმე წუთით. წერილი უნდა ვუკარნახო.
- ბრუვიკი** (სოლნესს უყურებს). ღამე მშვიდობისა! ძილი ნებისა... თუ შეგიძლიათ.
- სოლნესი.** ღამე მშვიდობისა.
- ბრუვიკი** და **რაგნარი** შემოსასვლელიდან გადიან. კაია დახლთან მიდის. თავჩაქინდრული სოლნესი მხარმარჯვნივ, სავარძელთან დგას.
- კაია** (მორიდებით). თქვენ თქვით... წერილიო?

- სოლნესი** (ფიცხად). არავითარი წერილი... რა თქმა უნდა. (მკაცრად უუარებს). კაია!
- კაია** (შეკრთება, ჩუმად). დიახ!
- სოლნესი** (მბრძანებლური ენით მიიხმობს). აბა, აქ მოდიტ! ჩქარა!
- კაია** (გაუბედავად უახლოვდება). რა?
- სოლნესი** (უწინდებურად). უფრო ახლოს!
- კაია** (მორჩილად). რა გნებავთ?
- სოლნესი** (ერთხანს უსიტყვოდ მისჩერებია). ეს თქვენ უნდა გიმადლოდეთ მთელ ამ ამბავს?
- კაია**. არა, არა, ეგ რამ გაფიქრებინათ?
- სოლნესი**. მაგრამ გათხოვება ხომ გინდათ?
- კაია** (ჩუმად). მე და რაგნარი უკვე ხუთი წლის დანიშნულები ვართ...
- სოლნესი**. და თქვენ ფიქრობთ, რომ ლოდინი კმარა?
- კაია**. რაგნარი და ბიძაჩემი ამბობენ, უკვე ღროაო. მეც, რა მეტი გზა მაქვს, უნდა დავემორჩილო.
- სოლნესი** (უფრო ჩბილად). კი მაგრამ, კაია, ცოტათი მაინც არ გიყვარს რაგნარი?
- კაია**. ოდესღაც ძალიან მიყვარდა... სანამდის თქვენთან დავიწყებლი მუშაობას.
- სოლნესი**. ახლა კი რა, სულ აღარ გიყვართ?
- კაია** (ხელებს ერთმანეთს გადააკლავს და ვნებიანად გაიწეღის მისკენ). თქვენ ხომ იცით, რომ მე ახლა მხოლოდ ერთი, ერთადერთი კაცი მიყვარს მთელს ქვეყანაზე. და სხვას არავის არ შევიყვარებ... არასოდეს!
- სოლნესი**. ასე კი ლაპარაკობთ, მაგრამ მაინც მტოვებთ. ამდენი საქმე მარტო მე დამეყრება თავზე.
- კაია**. კი მაგრამ, ნუთუ არ შეიძლება, რომ თქვენთან დავრჩე, რაგნარი კიდევ რომ...
- სოლნესი**. არა, არა, ეს შეუძლებელია. თუკი რაგნარი წავა და დამოუკიდებლად დაიწყებს მუშაობას, თქვენ მას თვითონვე დასჭირდებით.
- კაია** (ხელების მტკრევით). კი მაგრამ, მე ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა დაგშორდეთ. არა, არა, ეს ყოველად შეუძლებელია!
- სოლნესი**. მაშინ ეცადეთ, ხელი ააღებინოთ რაგნარს ამ სულელურ განზრახვაზე. ცოლად გაკუევიტ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ... (უცებ შეცბება). ჰო... არა, მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩემთან დარჩენაზე დაიყაბულეთ... განა აქ რაიმე აკლია? მაშინ თქვენც ჩემს გვერდით იქნებით, ძვირფასო კაია.

კაია. აჰ, რა კარგი იქნებოდა. რომ შეიძლებოდა!..

სოლნესი (მის თავს ხელებშია მოიკეცვს და ეჩურჩულება). უთქვენოდ გაძლება არ შემიძლია! მე მინდა, რომ ყოველთვის გვერდითა მყავდეთ, გესმით?

კაია (ნერვიული აგზნებით). ღმერთო! ღმერთო!

სოლნესი (თავზე ჰკოცნის). კაია!.. კაია!..

კაია (მუხლებზე იჩოქებს მის წინაშე). ო, ჩემო კეთილო მბრძანებელო!..

სოლნესი (მოუთმენლად). ადექით! ადექით-მეთქი, თქვენ გეუბნებით! მგონი, ვილაყა მოდის!

წამოდგომაში შველის და კაია ფეხთარევით მიდის დახლთან. მარჯვენა კარში გამორჩდება ფრუ სოლნესი, გაშხდარი, ნაადრევად დამკნარი ქალი. ფრუ სოლნესს გრძელი, ქერა თმა აქვს, სახეზე ოდინდელი სილამაზის კვალი შემორჩენია. ელეგანტურად აყვია, მთლიანად შავებშია გამოწყობილი. ლაპარაკისას თითქოს სიტყვასა წელავს და გეგონებათ, ტირის.

ფრუ სოლნესი (კარშივე). ჰალვარ!

სოლნესი (შემობრუნდება). ა, ეს შენა ხარ ძვირფასო?..

ფრუ სოლნესი (თვალს შეაქვებს კაიას). მგონი ხელი შეგიშალეთ.

სოლნესი. როგორ გეკადრება. ფრიოკენ ფოსლის პატარა წერილი დარჩა დასაწერი.

ფრუ სოლნესი. ჰო, ვხედავ.

სოლნესი. გინდოდა რამე, ალინა?

ფრუ სოლნესი. არა, მხოლოდ იმის სათქმელად შემოგვიარე, რომ ექიმი ჰერდალი ჩემთანაა. შენც ხომ არ მოხვალ?

სოლნესი (დაეჭვებით უსჯერის). ჰმ... ექიმს აუცილებელი საქმე აქვს ჩემთან?

ფრუ სოლნესი. არა, აუცილებელი არა. ჩემს სანახავად მოვიდა. მაგრამ რაკი აქაა, ბარემ შენი ნახვაც მოიწადინა.

სოლნესი (ჩუმი ქირკლით). წარმომიდგენია... რას იზამ, მეტი გზა არ არის, სთხოვე, ცოტა ხანს დამელოდოს.

ფრუ სოლნესი. მერე კი მოხვალ?

სოლნესი. ვნახოთ. მერე... მერე, ჩემო ძვირფასო. ცოტა ხნის მერე.

ფრუ სოლნესი (კვლავ კაიასკენ აპარებს თვალს). მხოლოდ არ დაგავიწყდეს, ჰალვარ! (ხელმარჯვნივ გადის და კარს გაიხურავს).

კაია. ო, ღმერთო ჩემო! ვინ იცის, ახლა ფრუ სოლნესი რას ფიქრობს ჩემზე?

სოლნესი. არაფერსაც არ ფიქრობს; ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტს, რასაც ყოველთვის. მაგრამ თქვენთვის ახლა უმჯობესია, წახვიდეთ, კაია.

კაია. დიახ, დიახ; უნდა წავიდე.

სოლნესი (მკაცრად). ესე იგი, ამ საქმეს მომიგვარებთ! გესმით?!

კაია. აჰ, მარტო ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული...

სოლნესი. მე მინდა, რომ მოგვარდეს! ხვალვე!

კაია (შეშინებული). სხვა თუ ვერაფერი გაეაწყვე, მზადა ვარ სულაც ჩამოვიშორო.

სოლნესი (იფეთქებს) ჩამოიშოროთ?! კკუდიდან ხომ არ შეიშალებთ? რას ჰქვია, ჩამოიშოროთ?!

კაია (სასოწარკვეთით). დიახ, ასე აჯობებს! მე თქვენთან უნდა დავრჩე; რომ მომკლათ, ვერ მიგატოვებთ! ეს ყოველად შეუძლებელია.

სოლნესი (მოთმინება ელევა). კი მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, რაგნარი!.. რაგნარი ხომ სწორედ...

კაია (შეშინებული უყურებს). ესე იგი, თქვენთვის მთავარი რაგნარია?..

სოლნესი (გონს ეგება). ოჰ, არა, რა თქმა უნდა, არა! არაფერი თქვენ არ გესმით. (დაყვავებით, ხმადაბლა). რასაკვირველია, თავი და თავი თქვენა ხართ. უწინარეს ყოველისა, თქვენ, კაია! მაგრამ სწორედ ამიტომ უნდა დაიყაბულოთ რაგნარი, რომ თვითონაც ჩემთან დარჩეს. აბა, ახლა კი შინ წადით.

კაია. დიახ, დიახ... ღამე მშვიდობისა. (წასვლას აპირებს).

სოლნესი. ღამე მშვიდობისა... მომისმინეთ, რაგნარის ნახაზები აქაა?

კაია. დიახ, მე მგონია, არ წაუღია.

სოლნესი. მაშინ მოდით და მომიძებნეთ. რაც არის, არის, მაინც გადავხედავ.

კაია (სიხარულით). დიახ, დიახ. ახლავე!

სოლნესი. თქვენი გულისთვის, საყვარელო კაია! აბა, დაუჩქარეთ! გესმით?

კაია (საჩქაროდ გადის სამხაზველოში, შეშინებული იქექება მაგიდის უკრაში, საქალაღეს პოულობს და სოლნესთან მიაქვს). აი, ყველა ნახაზი აქაა!

სოლნესი. კეთილი, მაგიდაზე დამიდეთ.

კაია (საქალაღეს დებს). მშვიდობით. (ვედრების კილოთი). გთხოვთ, ცუდს ნურაფერს იფიქრებთ ჩემზე. შემობრალეთ.

სოლნესი. კარგი, კარგი, მე ხომ ყოველთვის... აბა, ღამე მშვიდობისა, ძვირფასო. (მარჯვნივ იყურება). რაღას უდგებართ, წადით!

ხელმარჯენივ, კარში გამოჩნდებიან ფრუ სოლნესი და ექიმი ჰერდალი, უკვე ხანში შესული, ჩასუქებული კაცი; ექიმს მრგვალი სახე და თვითკმაყოფილი იერი აქვს; უწვევროა, უკვე შეთხელებული, ქერათმიანი. ოქროს ჩარჩოიან სათვალეს ატარებს.

ფრუ სოლნესი (კარშივე). პალეარ, ექიმს ეჩქარება.

სოლნესი. არაფერია, არაფერი. მობრძანდით.

ფრუ სოლნესი (კაიას, რომელიც ლამაზს უწევს დახლზე). წერილის წერას უკვე მორჩით, ფრიოკენ?

კაია (იზნევა). წერილის?..

სოლნესი. დიახ, მოკლე წერილი იყო.

ფრუ სოლნესი. ალბათ, ძალიან მოკლე.

სოლნესი. შეგიძლიათ წახვიდეთ, ფრიოკენ ფოსლი. ხვალ თავის დროზე მოდით.

კაია. რა თქმა უნდა... ღამე მშვიდობისა, ფრუ სოლნეს. (შემოსასვლელიდან გადის).

ფრუ სოლნესი. ალბათ, ძალიან კმაყოფილი ხარ, პალეარ, რომ ასეთი კარგი ქალიშვილი შეგხვდა.

სოლნესი. რა უშავს. საქმეში ვერ დაემდურები.

ფრუ სოლნესი. ეტყობა.

ექიმი. ბუხპალტერია თუ ესმის?

სოლნესი. დიახ, ამ ორი წლის მანძილზე ზოგი რამ ისწავლა. ეგეც არ იყოს, ძალზე თავაზიანია, ყოველთვის მზადაა მოგემსახუროს.

ფრუ სოლნესი. ეს, ალბათ, ძალზე სასიამოვნოა, არა?

სოლნესი. რა თქმა უნდა. მით უმეტეს, თუ ამ მხრივ, მაინცდამაინც განებივრებული არა ხარ.

ფრუ სოლნესი (ოღნავი ყვედრებით). შენ უნდა ამბობდე ამას, პალეარ?

სოლნესი. არა, არა, ძვირფასო აღინა! მომიტევე!

ფრუ სოლნესი. არაფერს... მაშ, თქვენ დაბრუნდებით, ექიმო, და ჩაიზე დაგვეწვევით?

ექიმი. ერთ ჩემს ავადმყოფს ვინახულე და მაშინვე დავბრუნდები.

ფრუ სოლნესი. გმადლობთ. (ხელმარჯენივ გადის).

სოლნესი. გეჩქარებათ, ექიმო?

ექიმი. არა. გნებავთ რამე?

სოლნესი. ცოტა ხომ არ წავისაუბროთ?

ექიმი. სიამოვნებით.

სოლნესი. მაშინ, ჩამოვსხდეთ. (საჩუქველას სთავაზობს, თვითონ კი სავარძელში ჯდება და გამომცდელად შეჰკურებს ექიმს). ერთი ეს მიბრძანეთ... რამე ისეთი ხომ არ შეგიმჩნევიათ ალინასათვის?

ექიმი. ახლა, ამ წუთას?

სოლნესი. დიახ. ჩემდამი დამოკიდებულებაში. მართლა არაფერი შეგიმჩნევიათ?

ექიმი (ელიშბა). დალახეროს ეშმაკმა, რა დიდი ამბავი იმის შემჩნევას უნდა, რომ თქვენს მეუღლეს... ჰმ...

სოლნესი. რა?

ექიმი. ... რომ თქვენს მეუღლეს დიდად როდი ეპიტნავენა ეს ფრიოკენ ფოსლი...

სოლნესი. სულ ეგაა? ეგ ხომ უთქვენოდაც შევნიშნე.

ექიმი. კაცმა რომ თქვას, არცაა გასაკვირი.

სოლნესი. რა?

ექიმი. თუკი თქვენს მეუღლეს არ მოსწონს, რომ მისი ქმრის გვერდით ერთავად სხვა ქალი ტრიალებს.

სოლნესი. დიახ, დიახ, თქვენც მართალი ხართ და ალინაც... მაგრამ რა გაეწყობა?..

ექიმი. ნუთუ არ შეგეძლოთ, სხვა ბუხპალტერი აგეყვანათ?

სოლნესი. მაინც ვის მიბრძანებთ?.. ვილაც უცნობი?.. გამაღობთ. ეს ხელს არ მაძლევს.

ექიმი. კი მაგრამ, თქვენი მეუღლე?.. ხომ მოგეხსენებათ, რა სუსტი ჭანმრთელობის პატრონია... დიახ, თუ თქვენი მეუღლე ვერ იტანს?..

სოლნესი. ვერ იტანს და ნუ იტანს. მე კაია ფოსლი მჭირდება. მხოლოდ ის და მეტი არაფერია.

ექიმი. მეტი არაფერია?

სოლნესი (მკვახედ). დიახ.

ექიმი (უფრო ახლოს მიიწევს მისკენ). ყური მიგდეთ, ძვირფასო ბატონო სოლნეს! თუ შეიძლება, ერთ კითხვაზე მიპასუხეთ... იცით, ჩვენს შორის დარჩება.

სოლნესი. ბრძანეთ.

ექიმი. იცით, რა?.. ქალებს... ზოგ შემთხვევაში... პირდაპირ განსაკვიფრებელი ალღო აქვთ.

სოლნესი. დიახ. მართალს ბრძანებთ. მაგრამ?

ექიმი. კეთილი. მაშ, მომისმინეთ. თუკი თქვენს მეუღლეს ასე ძალიან არ მოსწონს ეს კაია ფოსლი...



სოლნესი. მერე?

ექიმი. ხომ არა აქვს თუნდაც სულ მცირე საფუძველი მის ამნაირ განწყობილებას?

სოლნესი (შეხედავს და ფეხზე წამოდგება). ოჰო!

ექიმი. მომიტევეთ, მაგრამ ხომ არა აქვს რაიმე საბაბი?..

სოლნესი (მოკლედ მოუკრის). არა.

ექიმი. არავითარი?

სოლნესი. არავითარი. მისივე საკუთარი ექვიანობის გარდა.

ექიმი. მე ვიცი, რომ თქვენი ცხოვრების მანძილზე ცოტა ქალი როდი გყოლიათ.

სოლნესი. მართალია.

ექიმი. და ზოგიერთი ძალიან მოგწონდათ.

სოლნესი. ამასაც დაგიდასტურებთ.

ექიმი. ხოლო რაც შეეხება ამ კაია ფოსლის!.. აქ არაფერი ისეთი არა ყოფილა?

სოლნესი. არა, არაფერი... ჩემი მხრივ.

ექიმი. კი მაგრამ, მისი მხრიდან?

სოლნესი. მე მგონია, ამ კითხვის უფლება არა გაქვთ, ექიმო.

ექიმი. მაგრამ ჩვენი საუბარი ხომ თქვენი მეუღლის საოცარ ალლოს მოჰყვა?

სოლნესი. ძვირფასო ექიმო, ახლა მე თქვენ მოგიყვებით ერთ საოცარ ამბავს. გაინტერესებთ?

ექიმი. მართალი გითხრათ, საოცარ ამბებზე უფრო მეტად არაფერი მაინტერესებს.

სოლნესი. მაშ, მისმინეთ. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რომ მე სამუშაოზე მივიღე კნუტ ბრუეიკი და მისი შვილი... როცა ბერიკაცის საქმე უკულმა დატრიალდა.

ექიმი. დიახ, დიახ, რალაც ამგვარი მახსოვს.

სოლნესი. მივიღე იმიტომ, რომ არც ერთს არ აკლია გონიერება და გამჟვრიანობა. ორივე ჰქვიანია, თავისებურად. მაგრამ, აი, შვილმა, ჯერ იყო და საცოლვე გამოჩხრიკა, მერე კი მისი ცოლად შერთვა და... დამოუკიდებელი მუშაობის დაწყებაც მოიწადინა. ყველა ძუძუმწოვარას ამაზე უჭირავს თვალი!

ექიმი (იცინის). რას იზამ, ისეთი უკულმართები არიან, რომ... უერთმანეთოდ ვერ ძლებენ.

სოლნესი. დიახ. მაგრამ ეს ჩემს წისკვილზე როდი ასხამს წყალს. რაგნარი მე თვითონ მჭირდება. თქვენ წარმოიდგინეთ, ბერიკაციც. მართალი გითხრათ, მასალათა წინააღმდეგობის,

დატვირთვის, გამძლეობისა და სხვა ამისთანა ჯანდაბისა და ღონის დიდი მცოდნეა!

ექიმი. დიახ, ამის ცოდნაც საჭიროა.

სოლნესი. საჭიროა, და მერე როგორ? მაგრამ, აი, რაგნარს რალაც ეშმაკი შეუჩნდა და თვითონვე მოინდომა მშენებლობის დაწყება... ყოველ მიზეზს გარეშე, აუცილებლად!

ექიმი. მაგრამ მაინც ხომ თქვენთან დარჩა?

სოლნესი. ყური მიგდეთ... ერთხელ მათთან რალაც საქმეზე მოვიდა კაია ფოსლი. მანამდე ჩვენთან ფეხიც არ შემოუღდამს. შევხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ ერთმანეთი უყვართ და ასეთმა აზრმა გამოიღვა თავში: თუ ღმერთმა ქნა და ჩემთან დაეაწყებინე მუშაობა, რაგნარი აქედან ფეხის მომცვლელი არ არის-მეთქი.

ექიმი. დიდებული აზრია.

სოლნესი. მაგრამ მაშინ ამაზე კინტიც არ დამიძრავს. მხოლოდ ვიდექი, ვუყურებდი კაიას და გულში ვფიქრობდი: როგორ მოვახერხო, რომ ჩემთან დაეაწყებინო მუშაობა-მეთქი. მერე ცოტა ხანს ვილაყებთ, ხან ესა ვთქვით, ხან ისა, და ბოლოს, კაია სახლში წავიდა.

ექიმი. მერე?

სოლნესი. მეორე დღეს კი, ასე, საღამო ხანს, როცა ბრუვიკი და რაგნარი შინ წავიდნენ, მოულოდნელად გამოემეცხადა... ისე ეკირა თავი, თითქოს უკვე შევთანხმებულიყავით...

ექიმი. რაზე?

სოლნესი. რაზე და, სწორედ იმაზე. რასაც იმხანად ვფიქრობდი, და არა მარტო ვფიქრობდი, ვნატრობდი კიდეც, მაგრამ რის თქმასაც ვერასდიდებით ვერ გავუბედავდი.

ექიმი. არა, მართლაც რომ დიდებულია.

სოლნესი. ხომ? და, აი, თავისი ფეხით მოვიდა. რათა გაეგო, რა უნდა ეკეთებინა, შეიძლებოდა თუ არა, მეორე დილიდანვე დაეწყო მუშაობა... და სხვა მისთანანი.

ექიმი. კი მაგრამ, იქნებ მხოლოდ საქმროს გვერდით უნდოდა ყოფნა?

სოლნესი. პირველად მეც ასე მეგონა, მაგრამ მოვტყუედი. ჩემთან მუშაობაც დაიწყო და საქმროზე თანდათან გული აიყარა.

ექიმი. სამაგიეროდ, თქვენსკენ გადმოიხარა, ხომ?

სოლნესი. დიახ, მთელი არსებით. ასე მაგალითად, მე ვატყობ, რომ აშკარად გრძნობს, როცა მისდა შეუმჩნეველად შევხედავ ხოლმე. საკმარისია მივუახლოვდე და მთელი სხეული ციებ-ცხელებიანივით უცახცახებს. რას იტყვით ამაზე?

ექიმი. ჰმ... ასე თუ ისე, გასაგებია.

სოლნესი. მაგრამ მარტო ეს ხომ არ არის?.. რატომღაც წამოიღ-  
გინა, თითქოს მე მეთქვას ის, რაც, სინამდვილეში, მხოლოდ  
ჩემთვის ვინატრე, რამაც მხოლოდ გულის სიღრმეში გამიფა-  
ჩუნა. ამაზე რაღას იტყვი, ექიმო? თუ შეგიძლიათ ამიხსნათ  
ეს?

ექიმი. მართალი გითხრათ, გამიკირდება.

სოლნესი. ასეც ვიცოდი. აი, რატომაა, რომ დღემდე კრინტიც არ  
დამიძრავს ამაზე... მაგრამ რაც დრო გადის, სულ უფრო  
მეტად მიმიძიმს, წარმოუდგენლად მიმიძიმს, -- ხომ გესმით ჩემი?  
იძულებული ვარ ყოველდღე ვიცრუო და ვითვალთმაქცო,  
თითქოს მეც... ერთის სიტყვით, ვცოდავ, აშკარად ვცოდავ  
ამ საცოდავის წინაშე... (ფიხხაღ). მაგრამ რა ვქნა, სხვანაირად  
რომ არ შემიძლია? ის თუ გამეჭკა, რაგნარს შენ დააკაებ?

ექიმი. თქვენი მეუღლისათვის არაფერი გითქვამთ?

სოლნესი. არა.

ექიმი. გავკადნიერდები და გკითხავთ, -- რატომ?

სოლნესი (დაეინებოთ უსკერის; ყრუდ). იმიტომ, რომ... ეს ჩემთვის  
ერთგვარი თვითგვემანა... მე ვტკბები იმით, რომ საშუალებას  
ვაძლევ ალინას, უსაფუძვლოდ მგმოს და შემაჩვენოს.

ექიმი (თავს აქნევს). ეს კი უკვე ნამდვილად აღარ მესმის.

სოლნესი. იცით, რა? ამით თითქოს ჩემს მიერ აღებული და დღემდე  
გადაუხდელი უზარმაზარი ვალის უმნიშვნელო პროცენტებს  
ვუხდი...

ექიმი. ვის? თქვენს მეუღლეს?

სოლნესი. დიახ. და ეს ცოტათი მაინც მიმსუბუქებს სულს. ერთხანს  
თითქოს უფრო ლაღადა ვსუნთქავ, გესმით?

ექიმი. ღმერთმანი, არაფერიც არ მესმის.

სოლნესი (ღგება). დიახ, დიახ, რა თქმა უნდა. მაშ, მოდით, ამაზე  
მეტს ნულარ ვილაპარაკებთ. (რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს ოთახში,  
უკან ბრუნდება, მაგიდასთან ჩერდება და დამკინავი ღიმილით უყურებს  
ექიმს). თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ კაი გვარიანად შორს  
შემიტყუეთ, ექიმო.

ექიმი (წყენით). შეგიტყუეთ? ისეც არაფერი მესმის, ბატონო სოლნეს.

სოლნესი. მორჩით! უმჯობესია, აღიაროთ! ყველაფერს მშვენივრად  
ვხედავ!

ექიმი. მაინც რას ხედავთ?

სოლნესი (ყრუდ, ნელა). თუნდაც იმას, რომ ჩემჩუმი მითვალთვ-  
ალეობთ.

- ექიმი. მე?.. კი მაგრამ, რაში მქირდება თქვენი თვალთვალი?
- სოლნესი. თქვენ გგონიათ, რომ მე... (წამოწონება). დიახ, რა თქმა უნდა... ეშმაკმა დალახვროს, თქვენ იმასვე ფიქრობთ ჩემზე, რასაც ალინა!
- ექიმი. კი მაგრამ, რას ფიქრობს ალინა თქვენზე?
- სოლნესი (გონს ეგება). ის ფიქრობს, რომ მე... მე... ავადა ვარ.
- ექიმი. ავადა ხართ? თქვენ?.. არასოდეს ერთი სიტყვაც არა მსმენია! კი მაგრამ, რა გკირთ?
- სოლნესი (სარწვევლას ზურგზე იხრება და ჩურჩულებს). ალინა ფიქრობს, რომ მე... ცოტა ვურევ... აი, რა!
- ექიმი (დგება). რას ამბობთ, ძვირფასო ბატონო სოლნეს?
- სოლნესი. გეფიცებით, ასეა! ალინამ, როგორც ჩანს, თქვენც დაგარწმუნათ! დიახ, დიახ, ნუ უარყოფთ, ექიმო, -- სახეზე გეტყობათ! უნდა მოვახსენოთ, რომ ჩემი გაცურება არც ისე ადვილია.
- ექიმი (გაოგნებული უყურებს). ღმერთმანი, არასოდეს... არასოდეს ეს აზრი არ მომსვლია თავში.
- სოლნესი (უნდო ღიმილით). ვითომ?
- ექიმი. არასოდეს! არც მე და, რა თქმა უნდა, არც თქვენს მეუღლეს! თითქმის მზადა ვარ, შემოგფიცოთ.
- სოლნესი. უმჯობესია, ჩემს მეუღლეს მოეშვათ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, გარკვეული საფუძველი კი ჰქონდა, რომ ასე ეფიქრა.
- ექიმი. ჩემთვის ნამდვილად არაფერი უთქვამს...
- სოლნესი (ხელის ჩაქნევით აწყვეტინებს). კარგი, კარგი, ძვირფასო ექიმო, მოვეშვათ ამას. უმჯობესია, თვითეული ჩვენგანი თავის საკუთარ აზრზე დარჩეს. (ანაზღეულად გადაღის მშვილსა და მზიარულ ტონზე). კი მაგრამ, მომისმინეთ, ექიმო... ჰმ...
- ექიმი. რა?
- სოლნესი. თუ თქვენ მართლა გგონიათ, რომ მე არც ავადა ვარ, არც შლეგი მეთქმის, არც შეშლილი და ასე შემდეგ...
- ექიმი. მერე?..
- სოლნესი. მაშინ, ალბათ, ფიქრობთ, რომ ჩემზე ბედნიერი კაცი იშვიათად თუ მოიძებნება.
- ექიმი. განა მარტო ვფიქრობ?..
- სოლნესი (იციხის). არა, არა, რა თქმა უნდა! გთხოვთ მომიტეოთ! აბა, დაფიქრდით, -- მშენებელი სოლნესი! ჰალეარ სოლნესი! მეტი რა უნდა ინატროს კაცმა?..
- ექიმი. გამოგიტყდებით და, მართლა ბედნიერ კაცად მიმაჩნისხართ. თქვენ ყოველთვის საოცრად გწყალობდათ ბედი.

სოლნესი (ძლივს იკაეებს სევდიან ღიმილს). დიახ, ბედს ვერ დავემდურები.

ექიმი. დავიწყეთ, თუნდაც, იმით, რომ დაიწვა ეს თქვენი უშნოდ აწოწილი კოშკი, ყაჩაღების ბუნაგს რომ ჰგავდა. ამან სწორედ სულზე მოგისწროთ.

სოლნესი. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ალინას მამა-პაპისეული სახლი იყო.

ექიმი. ალბათ, ძალიან მტკივნეულად განიცადა.

სოლნესი. დღემდე ვერ დაუვიწყრია... თორმეტ-ცამეტი წლის შემდეგ.

ექიმი. მაგრამ რაც ამის შემდეგ განიცადა, მისთვის კიდევ უფრო უარესი იყო.

სოლნესი. დიახ, კირი კირს დაერთო.

ექიმი. სამაგიეროდ პირადად თქვენ... წელში გაიმართეთ და ფრთები გაშალეთ ამ ხანძრის შემდეგ... მიყრუებული პროვინციიდან ჩამოსული ღარიბი ქაბუკი დღეს პირველი კაცი ხართ და ბადალი არ მოგეძებნებად თქვენს საქმეში. დიახ, დიახ, ბატონო სოლნეს, ბედს ნამდვილად ვერ დაემდურებით!

სოლნესი (შეშფოთებული უქერის). მეც სწორედ ეგ მაშინებს და თავზარსა მცემს.

ექიმი. გაშინებთ?.. ის, რომ ბედი გწყალობთ?

სოლნესი. ვერც დღისით და ვერც ღამით შიშისაგან მოსვენებას ველარ ვპოულობ... შიში მკლავს, შიში! რადგან, ადრე თუ გვიან, ხომ შეიძლება ბედი უკულმა შემიტრიალდეს?

ექიმი. სისულელეა! რამ უნდა შეატრიალოს?

სოლნესი (მტკიცედ, დაბეჭთებით). ახალგაზრდობა ყველაფერს გადაატრიალებს.

ექიმი. ახლა კიდევ ახალგაზრდობა! თქვენ რა, ბებერი ხომ არ გგონიათ თავი? არა, ღმერთმანი, ახლა უფრო მტკიცედ დგახართ ფეხზე, ვიდრე ოდესმე.

სოლნესი. შეტრიალდება, ყველაფერი შეტრიალდება. გული მიგრძნობს. სულ მალე მოვა ან ის, ან სხვა, მოვა და მომთხოვს, გზა მიტიეო, მას კი მუქარის ყიჟინით მოჰყვებიან სხვები: გზა, გზა, გზა დაგვიცალე! დაიხსომეთ ჩემი სიტყვები, ექიმო. ერთ მშვენიერ დღეს მომადგება ახალგაზრდობა და კარზე მომიკაკუნებს!

ექიმი (იციის). დიდი ამბავი!

სოლნესი. დიდი ამბავი! ვაი მაშინ მშენებელ სოლნესის ბრალი!

ხელმარცხნივ, კარზე აკაკუნებენ. სოლნესი შეკრთება.

რა არის ეს? გაიგონეთ?

ექიმი. ვილაცა აკაკუნებს.

სოლნესი (ხმაბლლა). მობრძანდით.

წინკარიდან შემოდის პილდა ვანგელი, საშუალო ტანის, მოქნილი და მოხდენილი, ოდნავ მზემოკიდებული ქალიშვილი. ტურისტის ტანსაცმელი აცვია -- მოკლე კაბა, მუზღვარის გადმოფენილი საეელო და მუზღვარისვე ქელი. ზურგზე ჩანთა მოუვლია, ხელში ლედეებით შეკრული პლედი და გრძელი სამგზავრო ჩონი უქირავს.

პილდა (თვალეგაბრწყინებული უახლოვდება სოლნესს). გამარჯობათ!

სოლნესი (გაოცებული უცქერის). გამარჯობათ...

პილდა (იყინის). მგონი, ვერ მიცანით.

სოლნესი. მართალი გითხრათ... ასე უცებ...

ექიმი (უახლოვდება). სამაგიეროდ მე გიცანით, ფრიოკენ...

პილდა (ძალზე კმაყოფილი). აჰ, ეს თქვენა ხართ?..

ექიმი. დიახ, მე ვახლავართ. (სოლნესს). მე და ფრიოკენი ამ ზაფხულს მთაში შევხვდით ერთმანეთს. (პილდას). დანარჩენი ქალბატონები სადღა არიან?

პილდა. ისინი სხვა მხარეს წავიდნენ, დასავლეთისკენ.

ექიმი. როგორც ჩანს, იმ საღამოს დიდად როდი მოეწონათ ჩვენი მხიარულება.

პილდა. მე მგონია, სულაც არ მოეწონათ.

ექიმი (თითო ემუქრება). თუმცა ისიც უნდა გითხრათ, რომ თქვენ მაშინ, ცოტა არ იყოს, გადააქარბეთ: ცდილობდით თავბრუ დაგესხათ ჩვენთვის.

პილდა. ჩემი აზრით, ეს უფრო სახალისოა. ვიდრე სხვა ქალებთან ერთად იჯდე და ქსოვით გამოიღამო თვალი.

ექიმი (იყინის). სავსებით გეთანხმებით.

სოლნესი. ჩვენს ქალაქში ამ საღამოს ჩამობრძანდით?

პილდა. დიახ, ეს-ესაა.

ექიმი. მარტოდმარტო, ფრიოკენ ვანგელ?

პილდა. დიახ.

სოლნესი. ვანგელი? ესე იგი, თქვენი გვარი ვანგელია?

პილდა (მხიარულად და განცვიფრებით უყურებს). დიახ, რა თქმა უნდა.

სოლნესი. მაშასადამე, თქვენ ლიუსანგერელი ექიმის ქალიშვილი ხართ?

პილდა (უწინდებურად). დიახ, დიახ... მაშ, ვისი ქალიშვილი უნდა ვიყო?

სოლნესი. კი მაგრამ, ჩვენ ხომ შევხვედრივართ ერთმანეთს, -- იმ ზაფხულს, როცა თქვენს ძველ ეკლესიას კოშკს ვაშენებდი? ჰილდა (სერიოზულად). რა თქმა უნდა, სწორედ იმ ზაფხულს.

სოლნესი. მაგრამ ეს ძალიან დიდი ხნის წინათ იყო. ჰილდა (დაინებით უცქერის). ზუსტად ათი წლის წინათ.

სოლნესი. მაშინ, რამდენადაც მახსოვს, ჭერ კიდევ ბავშვი იყავით. ჰილდა (დაუღევრად). დიახ, ასე, თორმეტ-ცამეტი წლისა.

ექიმი. ჩვენს ქალაქში პირველად ხართ, ფრიოკენ ვანგელ? ჰილდა. დიახ, პირველად.

სოლნესი. და, ალბათ, არავის არ იცნობთ აქ. ჰილდა. თქვენს გარდა, არავის. თუმცა თქვენს მეუღლესაც ვიცნობ.

სოლნესი. ჩემს მეუღლესაც? ჰილდა. ცოტათი. სანატორიუმში რამდენიმე დღე ერთად ვიყავით... სოლნესი. ა-ა, მთაში!..

ჰილდა. მან მითხრა, როცა ჩვენს ქალაქში ჩამოხვალთ, მოხარული ვიქნები, თუ მეწვევითო. (ილიმება). თუმცა შეეძლო არც დავეპატიეებინე.

სოლნესი. საოცარია, ჩემთვის რომ არაფერი უთქვამს...

ჰილდა ჯოხს ღუმელზე აყუდებს, ჩანთას იხსნის და პლედთან ერთად დივანზე დებს. ექიმი ცდილობს ხელი შეაშველოს. სოლნესი დგას და ჰილდას უუუერებს.

ჰილდა (სოლნესს უახლოვდება). ასე რომ, გთხოვთ ღამე გამათევინოთ. სოლნესი. სიამოვნებით, ადვილი სამსახურია.

ჰილდა. მთელი ჩემი ბარგი-ბარხანა ესაა, რაც ზედ მაცვია, და კიდევ თეთრეული -- ჩანთაში. მაგრამ თეთრეული გასარეცხია, საშინლად გაქუქვიანდა.

სოლნესი. ამასაც ადვილად მოევლება. წავალ, ცოლს ვეტყვი...  
ექიმი. მე კი, ამასობაში, ჩემს ავადმყოფს მოვინახულებ.

სოლნესი. შემდეგ კი დაბრუნდებით, არა?  
ექიმი (ჰილდას გადახედავს, მხიარულად). დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, აუცილებლად დავბრუნდები. (იციინს). არა, მაინც რა ზუსტად იწინასწარმეტყველეთ, ბატონო სოლნეს!

სოლნესი. რა?..  
ექიმი. ახალგაზრდობა მართლაც გამოგეცხადათ და კარზე მოგიკაკუნათ.

სოლნესი (ხალისიანად). ო, ეს სულ სხვანაირი გამოცხადებაა.  
ექიმი. დიახ, რა თქმა უნდა. (წინკარიდან გადის).

სოლნესი (მარჯვენა კარს შეაღებს). ალინა, თუ შეიძლება, ერთი წუთით... აქ შენი ნაცნობია, ფრიოკენ ვანგელი.

**ფრუ სოლნესი.** ვინა? (ჰილდას დანახვაზე). ა, ეს თქვენა ხართ, ფრიოკენ?.. (უახლოვდება და ხელს უწვდის). ბოლოს და ბოლოს, მაინც გვეწვიეთ?

**სოლნესი.** ფრიოკენ ვანგელი ეს წუთია მოვიდა. გეთხოვს, ღამე გამათევინეთო.

**ფრუ სოლნესი.** სიამოვნებით, სიამოვნებით.

**სოლნესი.** ფრიოკენ ვანგელი ნამგზავრია... ხომ გესმის?..

**ფრუ სოლნესი.** მზადა ვარ გემსახუროთ, რითაც შემძლია. ეს ჩემი მოვალეობაა... თქვენს ჩემოდანს, ალბათ, მოგვიანებით მოიტანენ.

**ჰილდა.** არავითარი ჩემოდანი მე არა მაქვს.

**ფრუ სოლნესი.** არა უშავს რა, ყველაფერი მოგვარდება. თუ შეიძლება, ჭერჭერობით, ჩემს კმართან დარჩით. მე კი წავალ და ვეცდები, რაც შეიძლება მყუდრო ოთახი გაგიზადოთ.

**სოლნესი.** ერთ-ერთი საბავშვო ოთახი ხომ არ დაგვეთმო? იქ ყველაფერი თავის რიგზეა.

**ფრუ სოლნესი.** ადგილი გვეყოფა. (ჰილდას). თქვენ კი, გეთაყვა, ჭერჭერობით აქ დაბრძანდით და დაისვენეთ. (ხელმარჯვნივ გადის).

ჰილდა ხელებს ზურგზე შემოიწყობს, ოთახში მიდი-მოდის და იქაურობას ათვალიერებს. სოლნესი მაგიდასთან დგას, ხელები მასაც ზურგზე შემოუწყვია და სტუმარს თვალყურს ადევნებს.

**ჰილდა** (შეჩერდება და უკერძის). განა რამდენი საბავშვო ოთახი გაქვთ?

**სოლნესი.** სამი.

**ჰილდა.** უჰ, რამდენი ბავშვი გყოლიათ.

**სოლნესი.** არა, ჩვენ არც ერთი ბავშვი არა გვყავს. დროებით თქვენ თუ გაგვიწვეთ მათ მაგივრობას.

**ჰილდა.** ამაღამ -- შეიძლება. მაგრამ, ნუ გეშინიათ, არ ვიტყვებ. ის კი არა და, მთელი ღამე გვერდს არ შევიცვლი.

**სოლნესი.** ალბათ, კაი გვარიანად დაილაღეთ.

**ჰილდა.** სრულიადაც არ დავლლილვარ... მაგრამ მაინც... რა სჯობია ლოგინში ნებევრობას?.. წევხარ და ნაირ-ნაირ სიზმრებსა ხედავ.

**სოლნესი.** ხშირად ნახულობთ სიზმრებს?

**ჰილდა.** დიახ... თითქმის ყოველ ღამე.

**სოლნესი.** მერედა, ყველაზე უფრო ხშირად რას ნახულობთ მაგ თქვენს სიზმრებში?



**ჰილდა.** დღეს არ გეტყვით. სხვა დროს, -- ენახოთ. (კვლავ მოჰყვება ოთახში ბორიას, დახლთან ჩერდება და წიგნებსა და ქალაღებზე ათვალიერებს).

**სოლნესი** (უახლოვდება). ეძებთ რამეს?

**ჰილდა.** არა, ისე... ვათვალიერებ. (მისკენ შემობრუნდება). ხომ შეიძლება?

**სოლნესი.** ბატონი ბრძანდებით.

**ჰილდა.** ამ უზარმაზარ წიგნს თქვენ ავსებთ?

**სოლნესი,** არა, ბუხპალტერი.

**ჰილდა.** ქალია?

**სოლნესი** (ელიშება). დიახ.

**ჰილდა.** თქვენთან მუშაობს?

**სოლნესი.** დიახ.

**ჰილდა.** გათხოვილია?

**სოლნესი.** არა, გასათხოვარი.

**ჰილდა.** ა-ა!

**სოლნესი.** მაგრამ, როგორც ჩანს, მალე გათხოვდება.

**ჰილდა.** მით უკეთესი... მისთვის.

**სოლნესი.** მაგრამ არა ჩემთვის. თანაშემწე აღარ მეყოლება.

**ჰილდა.** მერე სხვას ველარ იშოვით?..

**სოლნესი.** იქნებ თქვენ დარჩენილიყავით და... შეგვესოთ ეს წიგნი?

**ჰილდა** (თვალით აზომავს). არა, უმორჩილესად გმადლობთ! ეს ჩემი საქმე არ არის!

ოთახში ბორიას განაგრძობს. შემდეგ სარწვეველაში ჯდება. ამასობაში სოლნესი პატარა მაგიდასთან მიდის.

(თითქოს საუბარს აგრძელებს). აქ, ალბათ, ბევრი რამ მოიძებნება...

გაცილებით უფრო საინტერესო. (ილიშება). არ მეთანხმებით?

**სოლნესი.** რა თქმა უნდა. უწინარეს ყოვლისა, მალაზიები უნდა შემოირბინოთ და ტანსაცმელი და სამკაულები შეიძინოთ.

**ჰილდა** (მზიარულად). მეტი საქმე არა მაქვს, ხომ იცით!

**სოლნესი.** ჰო-ო!..

**ჰილდა.** იცით, რა?.. მთელი ფული შემომეხარჯა.

**სოლნესი** (იციინს). ესე იგი, არც ფული და არც ჩემოდანი!

**ჰილდა.** დიახ, არც ერთი და არც მეორე. მაგაზე დამიდგა დარდი... რა დროს ეგაა?

**სოლნესი.** აი, სწორედ ასეთი მომწონხართ.

**ჰილდა.** მხოლოდ ასეთი?

**სოლნესი.** არა, საერთოდ. (სავარძელში ჯდება). მამათქვენი ცოცხალია?

**ჰილდა.** ცოცხალია.

**სოლნესი.** თქვენ აქ სასწავლებლად დარჩენას ხომ არ აპირებთ?

- პილდა.** აზრადაც არ მომსვლია.
- სოლნესი.** მაგრამ, იმედია, ერთხანს მაინც დარჩებით ჩვენთან, ქალაქში.
- პილდა.** ენახოთ. (ერთხანს ჩუმად ზის, ირწევა და ნახევრად სერიოზულად მისჩერებია სოლნესს; ოდნავ ილიბება; შემდეგ ქუდს იხდის და თავის წინ, მაგიდაზე დებს). ბატონო მშენებელო!
- სოლნესი.** დიახ!
- პილდა.** თქვენ ძალზე გულმავიწყი კაცი ბრძანდებით.
- სოლნესი.** გულმავიწყი? არა მგონია.
- პილდა.** მაშ, რატომ ერთი სიტყვითაც არ ახსენებთ იმას, რაც იქ იყო?..
- სოლნესი** (ერთხანს დუმს, თითქოს რაღაცას იგონებს). სად იქ? ლიუსანგერეში? (დაუღევრად). მოგცლიათ, რა უნდა გავიხსენო?
- პილდა** (ყვედრებით უყურებს). თქვენგან არ მიკვირს?
- სოლნესი.** თუ შეიძლება, თვითონ გამახსენეთ.
- პილდა.** როცა კოშკი უკვე მზად იყო, ქალაქში დიდი ზეიმი გაიმართა...
- სოლნესი.** დიახ, ეს მართლაც რომ დაუვიწყარი დღე იყო.
- პილდა** (ილიბება). მართლა? კიდევ კარგი...
- სოლნესი.** რა, კარგი?..
- პილდა.** სასაფლაოზე მუსიკა უკრავდა. უზომო ხალხმა მოიყარა თავი. მოწაფეებს თეთრი კაბები გვეცვა. ყველას ალმები გვეკირა ხელში.
- სოლნესი.** დიახ, დიახ, ალმები, კარგად მახსოვს.
- პილდა.** თქვენ კი ხარაზოზე ახვედით, სულ მალლა, მალლა!.. წვერზე!.. ხელში უზარმაზარი გვირგვინი გექირათ და ზედ ფლიუგერზე ჩამოჰკიდეთ.
- სოლნესი** (ნაწყვეტ-ნაწყვეტ). დიახ, მაშინ... ყოველთვის ასე ვიქცეოდი... ეს ხომ ძველი ჩვეულებაა.
- პილდა.** თქვენს შემყურეს სუნთქვა ეკვროდა... იქ... ქვემოთ! ვაითუ ჩამოვარდესო! და მერე ვინ? თვით მშენებელი სოლნესიო!
- სოლნესი** (თითქოს ცდილობს სხვა რამეზე გადაიტანოს სიტყვა). დიახ, დიახ, გამორიცხული არ იყო... ერთი ამ მოწაფეთაგანი -- ნამდვილი ალქაჯი -- ისე დახტოდა და მიყვიროდა... ქვემო-დან...
- პილდა** (სახეგაბრწყინებული). ვაშა, მშენებელ სოლნესს! არა?
- სოლნესი.** და ისე დამთხვეულებით იქნედა თავის ალამს, რომ ძირს ჩავიხედე და კინალამ თავებრუ დამეხვა.

ჰილდა (ჩუმად, სერიოზულად). ეს ალქაჯი ხომ მე ვიყავი!

სოლნესი (დაეინებოთ უყურებს). ახლა კი მჯერა! მაშ, სხვა ვინ იქნებოდა?

ჰილდა (ხელახლა გამოცოცხდება). აბა!.. ღმერთო, რა სანახაობა იყო! სუნთქვა მეკვროდა!... ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამქვეყნად მოიძებნებოდა კაცი, რომელიც შესძლებდა ამ უზარმაზარი, ცადაწვდილი კოშკის აღმართვას! და, აი, ახლა სწორედ ეს კაცი ამაყად იდგა სულ მალა, წვერზე! მოჩვენება კი არა, ცოცხალი კაცი! ვითომც არაფერი იყო, ისე ლალად და თამამად იდგა! სწორედ ეს იყო ყველაზე თავბრუდამხვევი და დაუვიწყარი!

სოლნესი. კი მაგრამ, რა იცით, რომ მე თვითონაც არ მესხმოდა თავბრუ?..

ჰილდა (ხელს გაიქნევს). არა! ფუი! რას ამბობთ? მე თვითონ ვგრძნობდი!.. რომ გშინებოდათ, განა შესძლებდით იქ მდგარიყავით და გემღერათ?

სოლნესი (განცოფრებული მისჩერება). მემღერა?.. განა ვმღეროდი?

ჰილდა. რა თქმა უნდა.

სოლნესი (უნდობლად). ჩემს სიცოცხლეში ერთი ნოტიც არ ამიღია.

ჰილდა. იქ კი მღეროდით... თითქოს არფის ბგერები თრთიან პაერშიო...

სოლნესი (ჩაფიქრებით). საოცარია...

ჰილდა (ერთხანს ჩუმად უყურებს, შემდეგ კი ხმადაბლა ამბობს). მაგრამ მთავარი... მთავარი მაინც წინ არის.

სოლნესი. მთავარი?..

ჰილდა (ალტყინებისაგან თვალები უბრწყინავს). იმედია, ამის შესხენება მაინც არ დამჭირდება თქვენთვის.

სოლნესი. არა, თუ შეიძლება, ესეც შემახსენეთ.

ჰილდა. ნუთუ არ გახსოვთ, რომ თქვენს საპატივეცემულოდ დიდი წვეულება გამართეს კლუბში?

სოლნესი. დიახ, დიახ, მგონი, იმავე დღეს. ვინაიდან მეორე დღესსა და მე უკვე წამოვედი.

ჰილდა. კლუბიდან კი ჩვენსას მოგიწვიეს სავაზომოდ.

სოლნესი. სწორია, სწორი, ფრიოკენ. პირდაპირ საოცარია, როგორ დაგახსომდათ ამდენი წვრილმანი.

ჰილდა. წვრილმანი?.. ჰმ!.. იქნებ, იმასაც წვრილმანად თვლით, რომ, როცა მოხვედით, მე მარტო ვიყავი ოთახში.

სოლნესი. მართლა?

ჰილდა (უპასუხოდ ტოვებს). მაშინ თქვენ ალქაჯი არ გიწოდებით ჩემთვის.

სოლნესი. ალბათ.

ჰილდა. თქვენ მითხარით, ეგ თეთრი კაბა პირდაპირ გხატავს და პატარა პრინცესას ჰგავხარო.

სოლნესი. ფრიოკენ ვანგელ. იმ დღეს ისე მიხაროდა და ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ...

ჰილდა. ისიც მითხარით, როდესაც გაიზრდები ჩემი პრინცესა იქნებიო.

სოლნესი (ჩაიკინებს). მართლა?.. ნუთუ ესეც გითხარით?

ჰილდა. დიახ, მითხარით. ხოლო როდესაც მე გკითხეთ, დიდხანს მომიწევს ცდა-მეთქი, თქვენ მიპასუხეთ, ათი წლის შემდეგ ტროლად ქცეული დავბრუნდები და მოგიტაცებო; ესპანეთში თუ პორტუგალიაში წაგიყვან და იქ სამეფოს გიყიდო.

სოლნესი (უწინდებურად). მდა-ა, ნოყიერი სადილის შემდეგ გულუბვი ხდები კაცი. მაგრამ ნუთუ ყოველივე ეს მართლა გითხარით?

ჰილდა (ჩუბად იცინის). დიახ, თქვენ ისიც კი მითხარით, რა ერქმეოდა ამ სამეფოს.

სოლნესი. რა, თუ ღმერთი გწამთ?..

ჰილდა. თქვენ მითხარით, ფორთოხლეთიო.

სოლნესი. გემრიელი სახელია.

ჰილდა. მე კი სულაც არ მომწონს. იმიტომ, რომ მომეჩვენა, თითქოს ჩემს გაბრაზებას ცდილობდით.

სოლნესი. არა მგონია... მაგას გაუბედავდი?

ჰილდა. აჰ, როგორ გაუბედავდით... თუკი შემდეგ ჩაიღინეთ ის, რაც ჩაიღინეთ.

სოლნესი. მოწყალება მოიღეთ და მითხარით, მაინც რა ჩავიღინე შემდეგ?

ჰილდა. ისლა მაკლდა, რომ ეგეც დაგვიწყნოდათ! ამნაირ რამეებს, მე მგონია, არ იეიწყებენ!

სოლნესი. დიახ, დიახ. სულ ცოტა წამებმარეთ და, ვინ იცის, იქნებ კიდევაც გავიხსენო... აბა!

ჰილდა (დაეინებით უყურებს). თქვენ ადექით და მაკოცეთ, ბატონო მშენებელო!

სოლნესი (განცვიფრებისაგან პირდაღებული წამოდგება). გაკოცეთ?..

ჰილდა. დიახ, დიახ, ორივე ხელი მომხვიეთ, წელი გადამიზნიქეთ და მაკოცეთ. თანაც, ერთჯერ კი არა, ბევრჯერ.

სოლნესი. კი მაგრამ, ძვირფასო ფრიოკენ ვანგელ...

**ჰილდა** (დგება). იქნებ გაბედოთ და უარყოთ!

**სოლნესი**. დიახაც უარყოფ.

**ჰილდა** (აგდებულად უუერებს). აჰ, ასე-ე?! (შემობრუნდება და ნელი ნაბიჯით მიდის ლემელისაკენ, რომლის მახლობლადაც ჩერდება. ზურგი სოლნესისკენ აქვს მიქცეული; ხელები უკან შემოუწყვია).

ხანმოკლე პაუზა.

**სოლნესი** (ფრთხილად უახლოვდება). ფრიოკენ ვანგელ!..

**ჰილდა** ღუმს და უძრავად დგას.

ასე ქანდაკებასავით მაინც ნუ დგახართ. ის, რაც ახლა მოყევით, ალბათ, სიზმარში ნახეთ. (ხელზე ეხება). მომისმინეთ...

**ჰილდა** სასწრაფოდ გასწევს ხელს.

(თითქოს უცაბედა აზრმა გაუელვაო). თუმცა... მოითმინეთ!.. არა, აქ რაღაც უფრო სერიოზული იმალება!

**ჰილდა** კვლავ უძრავად დგას.

(ხმადაბლა, მაგრამ ხაზგასმით). მე, ალბათ, ვფიქრობდი ამაზე, ვისწრაფოდი ამისკენ, მინდოდა, მწყუროდა ეს!.. და, აი!.. იქნებ, ესაა პასუხი?..

**ჰილდა** უწინდებურად ღუმს.

(მოუთმენლად). დიახ, დალახვროს ეშმაკმა... მე ეს ჩავივლინე!.. მერე?

**ჰილდა** (ოდნავ შემობრუნებს თავს, მაგრამ ჭერ კიდევ არ უუერებს). ესე იგი, თქვენ აღიარებთ?

**სოლნესი**. დიახ, ყველაფერს, რასაც მიბრძანებთ.

**ჰილდა**. თქვენ მომეხვიეთ!

**სოლნესი**. დიახ!

**ჰილდა**. წელი გადამიზნიკეთ!

**სოლნესი**. დიახ, დიახ, ლამის გაგწყვიტეთ!

**ჰილდა**. და მაკოცეთ!

**სოლნესი**. რამდენიც გნებავთ!

**ჰილდა** (სწრაფად შემობრუნდება მისკენ. თვალები კვლავ სიხარულით უბრწყინავს). აი, ხომ ხედავთ, როგორც იქნა, აღსარებაც გამოგძალეთ!

**სოლნესი** (უნებურად ელიძება). წარმოგიდგენიათ?.. აბა, ამის დავიწყება იქნებოდა?

**ჰილდა** (ოდნავ გაბუტული შორდება). ჰო, რა თქმა უნდა! ვინ მოსთვლის, ალბათ, რამდენი კოცნა დაგირიგებიათ თქვენს სიცოცხლეში...

**სოლნესი**. არა, არა, ეგ რამ გაფიქრებინათ?..

ჰილდა სავარძელში ქდება. სოლნესი დგას და უყურებს; ხელით სარწვევლას ზურგს ეყრდნობა.

ფრიოკენ ვანგელ!..

ჰილდა. რა გნებავთ?

სოლნესი. კი მაგრამ, მერე რაღა იყო? ესე იგი, რითი დამთავრდა ეს ჩვენნი?..

ჰილდა. არაფრითაც არ დამთავრებულა. ვითომ არ იცით. ოთახში შემოვიდნენ, და მე -- გავშპი!

სოლნესი. ჰო, მართლა, ვილაც შემოვიდა!.. ან ამის დავიწყება კი შეიძლებოდა?

ჰილდა. კარგით ერთი!.. არაფერიც არ დავიწყენიათ. მხოლოდ ეგაა, ცოტა არ იყოს, გრცხვენიათ. ამნაირ რამეებს არ ივიწყებენ.

სოლნესი. ალბათ.

ჰილდა (კვლავ თვალანთებული უყურებს). იქნებ, ისიც დავაგიწყდათ, რა დღე იყო?..

სოლნესი. რა დღე?..

ჰილდა. დიახ, რა დღე იყო, კოშკზე რომ გვირგვინი ჩამოჰკიდეთ? აბა, მითხარით!

სოლნესი. ჰმ... აი, დღე კი, ღმერთმანი, დამავიწყდა. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ეს იყო ათი წლის წინათ... ასე, შემოდგომაზე.

ჰილდა (რამდენჯერმე წელა უქნევს თავს). ეს იყო ზუსტად ათი წლის წინათ, ცხრამეტ სექტემბერს.

სოლნესი. დიახ, დიახ; მგონი, მართლაც... ნუთუ ესეც გახსოვთ? (წამით ჩერდება). მოითმინეთ!.. დღესაც ხომ ცხრამეტი სექტემბერია?

ჰილდა. დიახ. ასე რომ, ზუსტად ათი წელი შესრულდა. თქვენ კი არ მოხვედით, როგორც შემპირდით.

სოლნესი. შეგპირდით?.. თუ შეგაშინეთ? -- ამის თქმა გნებავთ?

ჰილდა. არა, მე მგონია, ამით ვერ შემაშინებთ.

სოლნესი. ან არა და, ცოტათი გაგამასხრეთ.

ჰილდა. თქვენ მხოლოდ ეს გინდოდათ? ჩემი გამასხრება?

სოლნესი. ან, უბრალოდ, გაგეხუმრეთ. მართალი ვითხრათ, ახლა თვითონაც არ მახსოვს კარგად. მაგრამ, ალბათ, რაღაც ამგვარი კი იყო. თქვენ ხომ მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი იყავით.

ჰილდა. აჰ, ნუ იტყვი... არც ისეთი ბავშვი... ისეთი პატარა გოგო, როგორც თქვენ ფიქრობთ.

სოლნესი (გამომდელად უყურებს). ესე იგი, თქვენ მართლა სერიოზულად მოელოდით ჩემს დაბრუნებას?

**ჰილდა** (დამცინავ ლიპილს იკავებს). რა თქმა უნდა, ველოდი.  
**სოლნესი**. ელოდით, რომ დაებრუნდებოდი და<sup>1</sup>თან წაგიყვანდით?  
**ჰილდა**. დიახ, დიახ, ზუსტად ისევე, როგორც ტროლი.  
**სოლნესი**. და პრინცესად გაქცევდით?  
**ჰილდა**. აკი აღმიტყვით.  
**სოლნესი**. თან, სამეფოსაც მოგართმევდით?  
**ჰილდა** (კერძო იუჩრება). რატომაც არა? მე ხომ არ მოვითხოვ, რომ ეს იყოს ჩვეულებრივი, ნამდვილი სამეფო.  
**სოლნესი**. არამედ რაღაც სხვა. მაგრამ არანაკლებ დიდებული?  
**ჰილდა**. ყოველ შემთხვევაში, აღთქმულზე უარესი არ უნდა იყოს. (შეხედავს). რაკილა ამქვეყნად ყველაზე მაღალი კოშკების შენება შეგიძლიათ, ვითომ რა გიჭირთ, რომ ჩემთვისაც შექმნათ რაღაც სამეფოს მსგავსი?..  
**სოლნესი**. მართალი გითხრათ, ცოტა არ იყოს, მაკვირვებთ, ფრიოკენ ვანგელ.  
**ჰილდა**. ნუთუ? მე კი მგონია, რომ ყველაფერი ეს ისე მარტივია...  
**სოლნესი**. არა, მართლა ვერ გამიგია, სერიოზულად ამბობთ ამას თუ ხუმრობთ?  
**ჰილდა** (ილიძება). იქნებ გამასხრებთ? გამასხრება -- გამასხრების წილ!..  
**სოლნესი**. სწორედ რომ გამასხრებთ და თავსაც იმასხრებთ... (უყურებს). დიდიხანია იცით, რომ ცოლი მყავს?  
**ჰილდა**. ყოველთვის ვიცოდი... რატომ მეკითხებით?  
**სოლნესი** (გაკერით). არა, არა, ისე... რაღაც გამასხენდა (სერიოზულად უყურებს; ხმადაბლა). მაინც, რისთვის მოხვედით?  
**ჰილდა**. ჩემი სამეფოსათვის! ვადა ხომ ამოიწურა?  
**სოლნესი** (უნებურად ეცინება). ერთი ამას დამიხედეთ!  
**ჰილდა** (მზიარულად). აბა, ბატონო მშენებელო, სასწრაფოდ მომართვით ჩემი სამეფო! (მაგიდაზე თითს აკაჟუნებს). აი, აქ მომართვით!  
**სოლნესი** (სარწვევლას მიიჩიჩებს და ჭდება). არა, მართლა, სერიოზულად, რისთვის მოხვედით? რა გინდათ აქ?  
**ჰილდა**. უწინარეს ყოვლისა, მინდა შემოვირბინო მთელი ქალაქი და დავათვალიერო ყველაფერი, რაც აქ ააშენეთ.  
**სოლნესი**. კაი გვარიანად კი გაიქაფებით.  
**ჰილდა**. ალბათ. თქვენ ხომ სულ აშენებდით და აშენებდით!  
**სოლნესი**. ძალიან ბევრს. მით უმეტეს, ამ ბოლო წლებში.  
**ჰილდა**. და ბევრი საეკლესიო კოშკი ააშენეთ?.. მაღალი, მაღალი!..  
**სოლნესი**. არა, მე აღარც კოშკებს ვაშენებ და... აღარც ეკლესიებს.

ჰილდა. მაშ, რას?

სოლნესი. საცხოვრებელ სახლებს.

ჰილდა (ჩაფიქრებით). კი მაგრამ—ნუთუ არ შეგეძლოთ... რაღაც კომპისებური დაგეშენებინათ მათთვის?

სოლნესი (გაოგნებული). მაინც, რას გულისხმობთ?

ჰილდა. ესე იგი, რაღაც ისეთი... რაშიაც თავს იჩენდა სწრაფვა სიმალლისაკენ... უსასრულო სივრცისაკენ... და, თანაც, თავბრუდამხვევ სიმალლეზე, ფლიუგერით იქნებოდა დაგვირგვინებული?..

სოლნესი (ჩაფიქრებით). საოცარია, რომ ამას მთავაზობთ! ეს ხომ ჩემი ყველაზე სანუკვარი ოცნებაა.

ჰილდა (მოუთმენლად). მერყედა, რატომ არ ააშენებთ?

სოლნესი (თავს აქნევს). არა, ადამიანებს ეს არ უნდათ!

ჰილდა. დიდი ამბავი! არ უნდათ!

სოლნესი (ამოიხვნეშება). მაგრამ მე ახლა ახალ სახლს ვაშენებ. აქვე, პირდაპირ.

ჰილდა. თქვენთვის?

სოლნესი. დიახ; თითქმის უკვე მზადაა; და ზედ კომპი აქვს დაშენებული.

ჰილდა. მაღალი?

სოლნესი. დიახ.

ჰილდა. ძალიან მაღალი?

სოლნესი. ხალხის თვალში, საცხოვრებელი სახლის კვალობაზე, ალბათ, ძალიან მაღალი ჩანს.

ჰილდა. ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ.

სოლნესი (ნიკაპით ხელისგულს ეყრდნობა და დაინებით უცქერის ჰილდას). ის მაინც მითხარით, რა გქვიათ, ფრიოკენ ვანგელ?

ჰილდა. რა მქვია და ჰილდა.

სოლნესი (უწინდებურად). ჰილდა? მართლა?

ჰილდა. აღარც ეს გახსოვთ? აკი თვითონვე მომმართავდით სახელით? -- იმ დღეს, როცა ასე ცუდად მოიქეციით.

სოლნესი. განა სახელითაც მოგმართავდით?

ჰილდა. დიახ. მხოლოდ პაწაწინა ჰილდას მეძახდით, და ეს ძალიან არ მომეწონა.

სოლნესი. აჰა, ესე იგი, არ მოგეწონათ, ფრიოკენ ჰილდა?

ჰილდა. დიახ, მაშინ არ მომეწონა. აი, პრინცესა ჰილდა კი გაცილებით უკეთ ჯღერდა.



სოლნესი. რა თქმა უნდა. პრინცესა ჰილდა ფორ... ფორ...  
ფორთოხლელი! ასე არ იწოდება თქვენი სამეფო?

ჰილდა. კირსაც წაულია! ნულარ გამახსენებთ ამ სულელურ  
სამეფოს! მე სულ სხვა რამ მინდა!

სოლნესი (უფრო ღრმად ეფლობა სარწველაში და თვალს არ აშორებს  
ჰილდას). უცნაურია!.. რაც უფრო მეტს ვფიქრობ ყოველივე  
ამაზე, მით უფრო ამჟამად ვგრძნობ, რომ... მთელი ამ ხნის  
მანძილზე თავს ვიმტვრევდი... ჰმ...

ჰილდა. რაზე?

სოლნესი. რაზე და იმაზე, რომ გამეხსენებინა რაღაც... რაღაც  
უკვე განცდილი, რაზეღაც სასოწარკვეთილი ვფიქრობდი,  
რომ დამავიწყდა... ვწვალობდი და ვერასდობდით ვერ  
გაეხსენე.

ჰილდა. თქვენ, ბატონო მშენებელო, ძაფი უნდა შეგესკვნათ  
ლილზე.

სოლნესი. რათა მევლო და თავი მემტვრია იმაზე, თუ რას  
მოასწავენ ეს ნასკვი?

ჰილდა. დიახ, ამნაირი სასწაულებიც ხდება ამქვეყნად.

სოლნესი (ღგება). რა კარგია, რომ სწორედ ახლა გამომეცხადეთ.

ჰილდა (დაინებით უცქერის). კარგი?

სოლნესი. მე ვიჭეკი აქ... უმწეო და მარტოდმარტო... (ხმის  
დადაბლებით). მართალი გითხრათ, შიშიც კი შემეპარა  
გულში... საშინელი შიში ახალგაზრდობის მიმართ.

ჰილდა. ფი! თქვენც ნახეთ რაღა საშიში!.. ახალგაზრდობა!..

სოლნესი. დიახ, სწორედ ახალგაზრდობა! ამიტომაც ჩავიკეტე ამ  
ჩემს სოროში; დამავიწყდა ყველა შესასვლელი და გამოსა-  
სვლელი. (იღუმალი ხმით). უნდა მოგახსენოთ, რომ ახალგაზრ-  
დობა მომადგება და კარზე ბრახუნს ამიტებს!.. შინ  
შემომეპკრება!

ჰილდა. თუ ასეა, მე მგონია, თქვენ თვითონ უნდა ადგეთ და  
თქვენივე ხელით გაუღოთ კარი...

სოლნესი. ჩემივე ხელით?

ჰილდა. დიახ... რათა ახალგაზრდობის ფეხი კეთილი იყოს თქვენს  
სახლში.

სოლნესი. არა, არა! ახალგაზრდობა -- შურისგებაა! ის გადატ-  
რიალების სათავეში მოაბიჯებს! ახალი დროშის ქვეშ დარაზ-  
მული!

ჰილდა (ღგება და უუარებს; ბაგეები უთრთის). რამეში ხომ არ  
გამოგადგებით, მშენებელო?

სოლნესი. გამომადლებით და მერე როგორ გამომადლებით! თქვენც ხომ მოდიხართ და ახალ დროშას მოაფრიალებთ? მაშ, ასე, ახალგაზრდობა ახალგაზრდობის წინააღმდეგ!..

წინააღმდეგ-შემოდის ექიმო-ქერღალი.

ექიმი. ა-ა, თქვენ ისევ აქა ხართ, ჩვენს ქალიშვილთან?

სოლნესი. დიახ, იმდენ რამეზე ვილაპარაკეთ.

ჰილდა. ძველზეც და ახალზეც.

ექიმი. მართლა?

ჰილდა. რომ იცოდეთ, რა საინტერესო იყო. მშენებელ სოლნესს პირდაპირ განსაცვიფრებელი მენსიერება აქვს. არაფერი არ ავიწყდება. ათასნაირ წვრილმანსაც კი ხელად იხსენებს.

მარჯნიდან შემოდის ფრუ სოლნესი.

ფრუ სოლნესი. ფრიოკენ ვანგელ. თქვენი ოთახი უკვე მზადაა.

ჰილდა. ო, რა გულკეთილი ბრძანდებით!

სოლნესი (ცოლს). საბავშვო ოთახი?

ფრუ სოლნესი. დიახ. შუათანა. მაგრამ ჭერ, მე მგონია, უნდა ვივაზშვოთ.

სოლნესი (თავს უქნევს ჰილდას). ასე რომ, ჰილდა საბავშვო ოთახში დაიძინებს.

ფრუ სოლნესი. ჰილდა?

სოლნესი. დიახ, ფრიოკენ ვანგელს ჰილდა ჰქვია. თურმე რა ხანია ვიცნობ; იმ დროიდან მოყოლებული, როცა ჭერ კიდეც ბავშვი იყო.

ფრუ სოლნესი. რას ამბობ, ჰალვარ... გთხოვთ! სუფრა უკვე გაშლილია. (ექიმს ხელკავს გამოსდებს და მასთან ერთად მხარმარჯვნივ გადის).

ჰილდა (თავის ბარჯს კრეფს; ხმადაბლა, სხაპასხუპით მიაყრის სოლნესს). გახსოვთ, წელან რა მითხარით? მართლა შემოძლია რამეში გამოგადგეთ?

სოლნესი (ბარჯს ჩამოართმევს). ყველაზე მეტად სწორედ თქვენ მაკლდით.

ჰილდა (განცვიფრებითა და ალტაცებით უცქერის; ტაშს შემოკრავს). რა ბედნიერი ვარ!..

სოლნესი (დაძაბულად). ბედნიერი?..

ჰილდა. დიახ, ჩემს სამეფოში!

სოლნესი (უნებურად). ჰილდა!..

ჰილდა (ბავშვები კვლავ მღელვარებისაგან უთრთის). ესე იგი... მე მინდა ეთქვა... თითქმის...

ხელმარჯვნივ გადის. სოლნესი უკან მიჰყვება.

## მეორე მოქმედება

ლამაზად მორთული პატარა სასტუმრო ოთახი სოლნესის სახლში. უკანა კედელში დატანებული კარი ვერანდაზე გადის, რომელიც ბაღს გადაყურებს. ოთახის მარჯვენა და მარცხენა კუთხეები ჩამოჭრილია. მარჯვენა კუთხეში განიერი ფანჯარა და ყვავილებიანი ფარდებია. მარცხენაში -- პატარა, ტყავადაკრული კარი. ორივე გვერდით კედელს ჩვეულებრივი კარი აქვს დატანებული. წინ, მარჯვნივ, მაღალი მაგიდაა, რომელზედაც დიდი სარკეა დამაგრებული. სარკის აქეთ-იქით უამრავი ოთახის მცენარე და ყვავილებია. წინ, ხელმარცხნივ, დივანი ღვას, მის გვერდით კი -- მაგიდა და სკამები. სიღრმეში წიგნის კარადა მოჩანს. შუა ოთახში, ფანჯრის პირდაპირ, პატარა მაგიდა და რამდენიმე სკამი ღვას.

დილაა. პატარა მაგიდას მშენებელი სოლნესი მისჯდომია. წინ რაგნარის ნახაზები გაუშლია და ათვალიერებს. დროდადრო მალულად აპარებს თვალს კოლისაყენ. ფრუ სოლნესს, ისევე როგორც წინაღუეს, შავი კაბა აცვია; ხელში საჩუყავი უჭირავს, უხმაუროდ დააბიჯებს ოთახში და ჩუმად რწყავს ყვავილებს. მისი ქული, მოსასხამი და ქოლგა სარკის წინ, სკამზე აწყვია. ორივე დუმს.

მარცხენა კარიდან მორიდებით შემოდის კაია.

სოლნესი (სტუმრისკენ მიაბრუნებს თავს; გულგრილი ტონით). ა, ეს თქვენა ხართ?

კაია. შემოვიხედე, რომ მეთქვა, მოვედი-მეთქი.

სოლნესი. კარგი, კარგი. რაგნარიც მოვიდა?

კაია. ჯერ არა. ექიმს ელის. ისე კი აპირებდა მოსვლას... უნდოდა გაეგო...

სოლნესი. ბერიკაცი როგორაა?

კაია. ცუდად. დიდ ბოდის გიხდით; ეტყობა, მთელი დღე უნდა ვიწვეო.

სოლნესი. რა საბოდიშოა? იწვეს, იწვეს... თქვენ კი წადით და საქმეს მიხედეთ.

კაია. ახლავე. (კარში ჩერდება). რაგნარი რომ მოვა, ხომ არაფერს ეტყოდით?

სოლნესი. არა, ისეთი არაფერი ჩანს.

კაია ხელმარცხნივ გადის; სოლნესი კი ნახაზების ფურცელას განაგრძობს. ფრუ სოლნესი (ისევ ყვავილებს დაჟეჟუნებს). ალბათ, ისიც მოკვდება.

სოლნესი (უყურებს). ისიც? კიდევ ვინმე აპირებს სიკვდილს?

ფრუ სოლნესი. დიახ, დიახ, ალბათ ბრუეიკსაც დიდი დღე აღარ დარჩენია. აი, ნახავ, ჰალვარ.

სოლნესი. ცოტას ხომ არ გაივლიდი, ალინა?

ფრუ სოლნესი. ისე, კაცმა რომ თქვას, კარგი კი იქნებოდა.  
(ყვეულების ჩწყვას განაგრძობს).

სოლნესი (ნახაზებზე თაუდახრილი). ჩვენს სტუმარს ისევე სძინავს?

ფრუ სოლნესი (უყურებს). ესე იგი, შენ ზიხარ და ფრიოკენ  
ვანგელზე ფიქრობ?

სოლნესი (გულგრილად). რატომღაც გამახსენდა.

ფრუ სოლნესი. ფრიოკენ ვანგელი რა ხანია ადგა.

სოლნესი. მართლა?

ფრუ სოლნესი. მე რომ შევედი, უკვე ტანსაცმელს ისწორებდა.  
(სარკესთან მიდის და ნელა-ნელა იხურავს ქელს).

სოლნესი (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). ერთი საბავშვო ოთახი მაინც  
გამოგვადგა, ალინა.

ფრუ სოლნესი. ჰო, გამოგვადგა.

სოლნესი. ასე არა სჯობია? სულ მთლად ცარიელი მაინც აღარ  
იქნება.

ფრუ სოლნესი. მართალი ხარ. ეს სიცარიელე საშინელია.

სოლნესი (ნახაზებს ალაგებს, დგება და უახლოვდება). აი, ნახავ, ალინა,  
ახლა გაცილებით უკეთ ვიქნებით. უფრო მყუდროდ. უფრო  
იმედიანად. მით უმეტეს, შენ.

ფრუ სოლნესი (უყურებს). რატომ? იმიტომ, რომ სტუმარი გყავს?

სოლნესი (თავს ძალას ატანს). რა თქმა უნდა... მე მხოლოდ იმას  
ვამბობდი... როცა ახალ სახლში გადავალთ-მეთქი.

ფრუ სოლნესი (მოსასხამს იღებს). შენ გგონია, ჰალვარ, რომ იქ  
უკეთ ვიქნებით?

სოლნესი. სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია. იმედია, შენც ასევე  
ფიქრობ.

ფრუ სოლნესი. ამ ახალ სახლზე?.. მართალი გითხრა, არაფერსაც  
არ ვფიქრობ.

სოლნესი (იტყობა, გუნება გაუფუჟდა). ნეტავი ეგ არ გეთქვა, ალინა...  
აბა, ვისთვის ვაშენებ, თუ არა შენთვის?

ფრუ სოლნესი (პასუხს თავს არიდებს). პირდაპირ ჩემზე ხარ  
გადაყოლილი.

სოლნესი. (ცოტა არ იყოს, გაღიზიანებული). შენ ისევე შენსას ამბობ.  
ღმერთმანი, გული მტკივა.

ფრუ სოლნესი. კარგი, ხმას აღარ ამოვიღებ, ჰალვარ.

სოლნესი. მე კი ისევე ჩემსაზე ვდგავარ. აი, ნახავ, რა კარგად  
იქნები ჩვენს ახალ სახლში.

ფრუ სოლნესი. ო, ღმერთო ჩემო! მე და კარგად ყოფნა?..

სოლნესი (მზურვალედ). დიახ, დიახ. დამიჯერე! იქ ხომ ბევრი რამ მოგაგონებს შენს საკუთარ სახლს?..

ფრუ სოლნესი. ჩემს სახლს... ჩემი მშობლების სახლს... რომელიც დაიწვა... ნაცარტუტად იქცა?..

სოლნესი (ყრუდ). ეჰ, ჩემო საბრალო აღინა! რა საშინელი უბედურება დაგატყდა თავს.

ფრუ სოლნესი (საწყალობლად). რამდენიც უნდა აშენო, ჰალვარ, ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ ამიშენებ ხელახლა ჩემს მშობლიურ სახლს.

სოლნესი (ოთახში ბოლთას სცემს). კარგი, კარგი, თუ ღმერთი გწამს, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ.

ფრუ სოლნესი. ან კი როდის ვილაპარაკებთ? შენ ყოველთვის თავს არიდებ.

სოლნესი (ერთბაშად შედგება მის წინ). მე ვარიდებ? რა მკირს ასარიდებელი?..

ფრუ სოლნესი. აჰ, რა მშვენიერად მესმის შენი, ჰალვარ!.. შენ სულ იმის ცდაში ხარ, რომ როგორმე დამინდო, გული არ მატკინო...

სოლნესი (გაოცებული მისჩერებია). შენ დაგინდო?.. ესე იგი, რა?.. შენს თავზე ლაპარაკობ?..

ფრუ სოლნესი. რა თქმა უნდა... აბა, ვისზე უნდა ვილაპარაკებდე?

სოლნესი (უნებურად, თითქოს თავის თავს მიმართავს). ახლა კიდევ ეს!..

ფრუ სოლნესი. ჩემს ძველ სახლზე უკვე აღარაფერს ვამბობ. ამას კიდევ გაუძლებდა ადამიანი. მაგრამ, თუ უბედურება მეწერა...

სოლნესი. მართალი ხარ. როგორც ამბობენ, უბედურებისაგან არავენაა დაზღვეული.

ფრუ სოლნესი. მაგრამ ხანძრის ეს საშინელი შედეგი?.. აი, ეს... დიახ, სწორედ ეს არის, რაც არის.

სოლნესი (გულმზურვალედ). ამაზე ნუ ფიქრობ, აღინა!

ფრუ სოლნესი. აბა, რაზე უნდა ვიფიქრო?.. და არა მარტო ვიფიქრო, უნდა ვილაპარაკო კიდევ... არადა, ღმერთმანი, ველარ გავუძლებ. ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ ვაპატიებ ჩემს თავს...

სოლნესი (უნებურად). შენს თავს ვერ აპატიებ?..

ფრუ სოლნესი. დიახ, მე ხომ ორმაგი ვალი მედო კისრად: ვალი მეუღლისა და ვალი დედისა. უნდა გამეძლო. მერე რა, რომ სახლი დაიწვა. არც შიშს უნდა ავეყოლოდი და არც მწუხარებას დაენებებოდი. (ხელების მტკრევით). აჰ, ამდენი გამძლეობა რომ მქონოდა, ჰალვარ!

- სოლნესი (უახლოვდება; ჩემად, აღეკვებით). სიტყვა მომეცი, რომ არასოდეს აღარ იფიქრებ ამაზე... გესმის?... სიტყვა მომეცი, აღინა!
- ფრუ სოლნესი. ო, ღმერთო ჩემო!.. სიტყა მომეცი, სიტყვა მომეცი! სიტყვის მოცემას რა უნდა?..
- სოლნესი (ოთახში დაღის და ნერვიულად ისრეს ხელებს). არა, მაინც ვინ დაგვწყველა ასე? იმედის არც ერთი სხივი, არც ერთი ნათელი წამი ჩვენს ოჯახში, ჩვენს ცხოვრებაში!..
- ფრუ სოლნესი. ჩვენი ოჯახი რა ოჯახია, ჰალეარ?
- სოლნესი. მართალი ხარ, სად გვაქვს ოჯახი? იმაშიც მართალი ხარ, რასაც ჩვენს ახალ სახლზე ფიქრობ: არც იქ გველირსება უკეთესობა.
- ფრუ სოლნესი. არასოდეს არ გველირსება. იგივე სიცარიელე, იგივე მკვდრული სიჩუმე. რაღა იქ და რაღა აქ.
- სოლნესი (წამოფიქრება). კი მაგრამ, მაშინ რაღას ავაშენეთ? შეგიძლია მიპასუხო ამ კითხვაზე?
- ფრუ სოლნესი. არა, თუ შეიძლება, მაგ კითხვაზე შენ თვითონ უპასუხე შენსავე თავს.
- სოლნესი (დაეკვებით უცქერის). ამით რისი თქმა გსურს, აღინა?
- ფრუ სოლნესი. რისი თქმა მსურს?..
- სოლნესი. დიახ, დიახ... დალახვროს ეშმაკმა! რაღაც ისე უცნაურად თქვი, თითქოს სხვა რამეს გულისხმობდე.
- ფრუ სოლნესი. არა, ღმერთმანი!..
- სოლნესი (უახლოვდება). უღრმესი მადლობა... მე ვიცი, რასაც ვამბობ. ბრმა ან ყრუ ხომ არ გგონივარ? მადლობა უფაღს!..
- ფრუ სოლნესი. რა მოხდა, რა მოგივიდა?
- სოლნესი (მის წინ ჩერდება). ოჰო-ჰო-ჰო! ვითომ ჩემს ყველაზე გულწრფელ სიტყვებშიც კი რაღაც ფარულსა და მზაკვრულ აზრს არა ჩხრეკ!..
- ფრუ სოლნესი. ვინ?.. მე?
- სოლნესი. დიახ, შენ!.. რას იზამ, ყველაფერი გასაგებია, აღინა!.. ავადმყოფი ქმარი ჩემს მტერს...
- ფრუ სოლნესი (შეშფოთებით). ავადმყოფი ქმარი?... შენ ავად ხარ, ჰალეარ?
- სოლნესი (წონასწორობას კარგავს). ავადმყოფი თუ არა, ნახევრად გიჟი! შეშლილი! რაც გინდა, ის მიწოდე...
- ფრუ სოლნესი (ზურგს უკან ხელის ტყეებით მოძებნის სკამს და ღონეშიბილი ჯდება). თუ ღმერთი გწამს... ჰალეარ!..

სოლნესი. მაგრამ ორივენი სცდებით. შენც და ექიმიც. არაფერი მე არა მქირს. (აქეთ-იქით დააბიჯებს ოთახში; ფრუ სოლნესი შეშფოთებით ადევნებს თვალს; ბოლოს, ცოლთან მიდის და უკვე მშვილად ეუბნება). მართლა არაფერი არა მქირს.

ფრუ სოლნესი. რა თქმა უნდა... კი მაგრამ, მაინც რა მოგდის? სოლნესი. რა და ის, რომ ალბათ, მალე წამაქტევეს ამ საშინელი ვალის სიმძიმე...

ფრუ სოლნესი. ვალის?... ვისი რა გმართებს, ჰალვარ?

სოლნესი (ჩუმად, აღელვებით). შენი!.. შენი გადაუხდელი ვალი მაქვს... დიახ, შენი, შენი, ალინა!

ფრუ სოლნესი (ნელა წამოდგება). არა, აქ ნამდვილად რაღაც იმალება. არა სჯობია, ბარემ ერთბაშად მითხრა?

სოლნესი. არაფერიც არ იმალება. მე შენს მიმართ არასოდეს ჩამიდენია რაიმე ავი; ყოველ შემთხვევაში, განზრახ, შეგნებულად. მაგრამ მაინც რაღაც დანაშაულს ვგრძნობ, რაც მე მთრგუნავს და მსრესს.

ფრუ სოლნესი. დანაშაულს -- ჩემს წინაშე?

სოლნესი. დიახ, უმთავრესად, შენს წინაშე.

ფრუ სოლნესი. ესე იგი... შენ მართლა ავად ხარ, ჰალვარ!

სოლნესი (პირქუშად). ჰო, ავად ვარ. ან რაღაც უბედურება მქირს. (მარჯვენა კარს უყურებს, რომელიც ამ დროს იღება). ა! მგონი იწმინდავს!..

მარჯნიდან შემოდის პილდა. ჩაცმულობა ოდნავ შეუჯვლია: ქვედა კაბა აკეცილი კი აღარა აქვს, არამედ -- კოკებაძლე ჩამოშვებული.

პილდა. გამარჯობათ, ბატონო მშენებელო!

სოლნესი (თავს უქნევს). როგორ გეძინათ?

პილდა. დიდებულად! როგორც აკვანში! ვიწექი და ნამდვილი... პრინცესასავით ვნებივრობდი.

სოლნესი (ოდნავ შესაჩხვევად ეღობება). ესე იგი, კმაყოფილი ხართ?

პილდა. უნდა ვიგულისხმოთ.

სოლნესი. სიზმარი თუ ნახეთ?

პილდა. ნახვით კი ვნახე, მაგრამ რაღაც საშინელი სიზმარი იყო.

სოლნესი. მართლა?

პილდა. დიახ... ვითომ თვალუწვდენი სიმაღლიდან ვვარდებოდი... თქვენ თუ ნახულობთ ხოლმე ამნაირ სიზმრებს?

სოლნესი. ხანდახან.

პილდა. საოცარი შეგრძნებაა. ვარდები და ვარდები, დაუსრულ-ებლად ვარდები ძირს... სუნთქვა გეკვირის.

სოლნესი. მე კი მგონია, ძარღვებში სისხლი გეყინება.

ჰილდა. და მაშინ ფეხებს იკეცავთ ხოლმე?  
სოლნესი. დიახ, რაც შეიძლება უფრო მეტად.

ჰილდა. მეც.

ფრუ სოლნესი (ქოლგას იღებს). ახლა კი ქალაქში უნდა გავიდე.  
ჰალვარ. (პილას). ვეცდები, თქვენთვისაც წამოვიძღვანო  
რამე.

ჰილდა (ველზე შემოხვევას უპირებს). აჰ. უძვირფასესო. უსაყვარლესო  
ფრუ სოლნეს! რა კეთილი ხარო ჩემს მიმართ? კეთილზე  
კეთილი.

ფრუ სოლნესი (განზრახვას უხეღებს და თავს არიდებს). რას ბრძანებთ,  
ეს ხომ ჩემი ვალია! ვალის მოხდა კი ყოველთვის სიამოვნებას  
მანიჭებს.

ჰილდა (ეტყობა, ეწყინა, ოდნავ ტუჩაბზუებით). თუმცა, მე მგონია, რაც  
ზედ მაცვია. ამითაც შეიძლება ქუჩაში გასვლა, იმდენი  
ვწვალე, რომ ყველაფერი რიგზე მქონოდა... ან, იქნებ, არ  
შეიძლება?

ფრუ სოლნესი. მართალი გითხრათ. ბევრი, ალბათ. ყურებას  
დაგიწყებთ.

ჰილდა. აი, დარდი! დადგენ და მიყურონ. რამდენიც ნებავეთ.

სოლნესი (ცდილობს წყენა არ შეიძინოს). კი მაგრამ, ხალხმა შეიძლება  
იფიქროს, რომ თქვენც შეიშალეთ.

ჰილდა. შევიშალე?.. თქვენ რა, აბდენი შეშლილი გყავთ?

სოლნესი (შუბლზე ხელს მოიტყაპუნებს). აი... ყოველ შემთხვევაში ერთი  
მაინც თქვენს წინაშე დგას.

ჰილდა. თქვენ, მშენებელო?

ფრუ სოლნესი. აჰ! კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო ჰალვარ!..

სოლნესი. თქვენ რა, ჭერჭერობით არაფერი ისეთი არ შეგიძინე-  
იათ?

ჰილდა. რა თქმა უნდა. არა. (თითქოს რაღაცას იგონებსო, იცინის).  
თუმცა დიახ... მხოლოდ ერთი, ერთადერთი რამ.

სოლნესი. გესმის, ალინა?

ფრუ სოლნესი. მაინც რა შეამჩნიეთ?

ჰილდა. არა, არა, ამას ვერ გეტყვით.

ფრუ სოლნესი. უნდა გვითხრათ.

ჰილდა. მადლობა ღმერთს, ჭერ კიდევ ჩემს კკუაზე ვარ!

ფრუ სოლნესი. როცა შენ და ფრიოკენ ვანკელი მარტო  
დარჩებით, ალბათ, მაშინ მაინც გეტყვის, ჰალვარ.

სოლნესი. შენ გგონია?



- ფრუ სოლნესი. დიახ. თქვენ ხომ ძველი ნაცნობები ხართ? აკი შენ თვითონ მითხარი, -- იმ დროიდან მოყოლებული, როცა ჟერ კიდევ ბავშვი იყო. (ხელმარტხნივ გადის).
- ჰილდა (ოტა ხნის შემდეგ). ნუთუ ასე ძალიან არ მოეწონვარ თქვენს მეუღლეს?
- სოლნესი. ისეთი რა შენიშნეთ?
- ჰილდა. თქვენ თვითონ კი არ შეგინიშნაეთ?
- სოლნესი (ალაირებით). ალინა ამ ბოლო დროს გახდა ასეთი უკარება და გულცივი.
- ჰილდა. მაშ, უკარებაც არის?
- სოლნესი. მაგრამ თუ კარგად გაიცინობ და დაუკვირდები... იცით, სინამდვილეში, რა კეთილია, მზრუნველი, გულისხმიერი?..
- ჰილდა (მოუოშენლად). თუ მართლა ასე კეთილია, ამ ვალზე ლაპარაკი რალა იყო?
- სოლნესი. ვალზე?
- ჰილდა. აკი თქვა, წაეალ და რალაც-რალაცეებს გიყიდით, იმიტომ, რომ ეს ჩემი ვალია? ვერ ვიტან ამ საზიზღარ სიტყვას.
- სოლნესი. რა დაგიშავათ?
- ჰილდა. მასში არის რალაც დამორგუნველი, ცივი, უსულგულო, მშრალი. ვალი, ვალი, ვალი! განა ვერ ამჩნევთ, რა მშრალია?
- სოლნესი. ჰმ... არასოდეს არ დაფიქრებულვარ.
- ჰილდა. გეტყობათ! კი მაგრამ, თუ მართლა ასეთი კეთილია, როგორც თქვენ ამბობთ, რა საჭირო იყო ამის ლაპარაკი?
- სოლნესი. მომიტევეთ, მაშ რა უნდა ეთქვა?
- ჰილდა. ეთქვა, იმიტომ ვაკეთებ ამას, რომ ძალიან შემეყვარდითო; ან რალაც ამგვარი... რალაც ნამდვილად თბილი, გულითადი, -- გესმით?
- სოლნესი (უყურებს). აჰ, აი, თურმე რას მოითხოვთ?
- ჰილდა. დიახ. (ოთანში მიღი-მოდის, წიგნების კარდასთან ჩერდება და ათვალეურებს). რამდენი წიგნი გქონიათ?
- სოლნესი. დიახ. იყო დრო, -- ვყიდულობდი.
- ჰილდა. და ყველაფერ ამას კითხულობთ?
- სოლნესი. ადრე -- ვცდილობდი. თქვენ თუ გიყვართ კითხვა?
- ჰილდა. აჰ, წიგნს რა წამაკითხებს?.. სულერთია, მაინც ვერავითარ შინაგან კავშირს ვერ ეხედავ.
- სოლნესი. დიახ, დიახ. ვერც მე.
- ჰილდა (ოთანში სიარულს განაგრძობს, პატარა მაგიდასთან ჩერდება, საქალღეს ხსნის და ნახაზებს ათვალეურებს). ეს სულ თქვენი ნახატებია?

- სოლნესი. არა, ერთი ახალგაზრდისა; ჩემთან მუშაობს.
- ჰილდა. თქვენი მოწაფეა?
- სოლნესი. დიახ; ზოგი რამ ისწავლა ჩემგან.
- ჰილდა (მაგიდასთან ჯდება). ალბათ, ძალიან ნიჭიერია. (ნახაზებს ათვალეერებს). არა?
- სოლნესი. ისე რა; მე არ ვემდური.
- ჰილდა. გასაგებია... არა, ძალიან ნიჭიერი ჩანს.
- სოლნესი. ნახაზებზე ეტყობა?
- ჰილდა. ფუჰ... ნახაზები კი არა, ნაქლანებია... არა, რაკი თქვენთან სწავლობდა, მაშასადამე...
- სოლნესი. რაც შეეხება ამას... ჩემთან საკმაოდ ბევრი სწავლობდა. მაგრამ რა?..
- ჰილდა. არა, მომკალით, მაგრამ, რა ვქნა. ვერ გამოგია, როგორ შეიძლება, თქვენსავით სულელი იყოს კაცი?
- სოლნესი. სულელი? მართლა ასე სულელი გგონივართ?
- ჰილდა. რა თქმა უნდა! აბა, თქვენსავით სხვა ვინ გადაჰყვება თავზე ბიკბუქებს?..
- სოლნესი. რატომაც არა?..
- ჰილდა (დგება, ნახევრად -- სერიოზულად, ნახევრად -- ხუმრობით). მორჩით, ერთი! რა საჭიროა? მხოლოდ თქვენ ერთს უნდა გქონდეთ შენების უფლება! მხოლოდ თქვენ ერთს, გესმით?
- სოლნესი (უნებურად). ჰილდა!
- ჰილდა. რა?
- სოლნესი. მითხარით, გეთაყვა, ეს თქვენ თვითონვე მოიფიქრეთ?
- ჰილდა. რა? ძალზე სულელური გეჩვენებათ?
- სოლნესი. არა, არა. მაგრამ ახლა მე, ჩემის მხრივაც, რაღაცას გეტყვით.
- ჰილდა. მაინც?..
- სოლნესი. მეც ხომ ყოველდღე ვწრიალებ აქ... სიმარტოვესა და სიჩუმეში... ვწრიალებ და იგივე აზრი მიტრიალებს თავში.
- ჰილდა. მერედა, რა არის ამაში გაუგებარი?
- სოლნესი (გამომდღელად უყურებს). და თქვენ, ალბათ, მოასწარით ამის შემჩნევა.
- ჰილდა. არაფერიც არ შემიმჩნევია.
- სოლნესი. მაგრამ წელან... აკი მითხარით, რომ თქვენის აზრით, ყველაფერი რიგზე ვერა მაქვს... ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ მაინც...
- ჰილდა. აჰ, მე სულ სხვა რამეს ვგულისხმობდი.

სოლნესი. მაინც რას?

ჰილდა. განა თქვენთვის სულ ერთი არ არის. მშენებელი?

სოლნესი (ოთახში მილი-ჰოლის). კეთილი. ნება თქვენი. (ფანჯარასთან ჩერდება). აქ მოდიო. რალაცას გიჩვენებთ.

ჰილდა (მიღის). რას?

სოლნესი. ხედავთ?... აი. იქ. ბალში?..

ჰილდა. დიახ.

სოლნესი (ხელით ეჩვენებს). დიდი ქვისსამტკრევის პირდაპირ.

ჰილდა. ახალ სახლს?

სოლნესი. დიახ. მე რომ ვაშენებ... თითქმის უკვე მზადაა.

ჰილდა. ეტყობა. ძალიან მაღალი კოშკი იქნება.

სოლნესი. ხარაჩოები ჭერ არ ჩამომიხსნია.

ჰილდა. ეს თქვენი ახალი სახლია?

სოლნესი. დიახ.

ჰილდა. რომელშიაც მალე გადახვალთ?

სოლნესი. დიახ.

ჰილდა (უეუერებს). იქაც გექნებათ საბავშვო ოთახები?

სოლნესი. სამი. ისევე. როგორც აქ.

ჰილდა. მაგრამ არც ერთი ბავშვი კი არა გყავთ?

სოლნესი. არც გვეყოლება.

ჰილდა (ელიმება). აკი ვამბობდი...

სოლნესი. რა?..

ჰილდა. რა და ის. რომ თქვენ... ცოტა არ იყოს...

სოლნესი. ესე იგი. თქვენ ამას გულისხმობდით?

ჰილდა. დიახ, ამ ცარიელ საბავშვო ოთახებს, სადაც მე წუხელის მქძინა.

სოლნესი (ხმადაბლა). მე და აღინას... გყავდა ბავშვები.

ჰილდა (დაძაბულად უსაქრის). გყავდათ?..

სოლნესი. დიახ. ორი ბიჭი. ორივე ერთი ხნისა.

ჰილდა. ესე იგი. ტყუპები.

სოლნესი. დიახ. ტყუპები. ახლა უკვე თერთმეტ-თორმეტი წლისანები იქნებოდნენ.

ჰილდა (ღრთხილად). და ორივე?.. ესე იგი, არც ერთი აღარ არის?

სოლნესი (ჩუბად. გულაჩუყებით). მხოლოდ სამი კვირა იცოცხლეს. მგონი, სამიც არა. (უეცარი ავზნებით). აჰ, ჰილდა, რა ბედნიერებაა, რომ გვესტუმრეთ! ხმის გამცემი მაინც მეყოლება!

ჰილდა. კი მაგრამ... თქვენი მეუღლე?..

სოლნესი. რა ჩემი მეუღლე?... ამაზე ველაპარაკო? -- არ შეიძლება.  
(პირქუშად). თუმცა, ან კი რაზე შეიძლება?..

ჰილდა (ხმაღალა). ესე იგი, თქვენ მხოლოდ ამას გულისხმობდით,  
როცა მითხარით, გამომადლებით?

სოლნესი. ძირითადად, ამას. ესე იგი, გუშინ. დღეს კი თვითონაც  
არ ვიცი კარგად... (ალარ ამოაერებს). მოდიო, აქ ჩამოვსხდეთ,  
ჰილდა. აგერ, დივანზე დაბრძანდით; მაშინ ბალი თვალწინ  
გექნებათ.

ჰილდა დივანის კუთხეში ჩდება.

(თავის სკამს დივანთან მისწევს). უურს თუ დამოვდებით?

ჰილდა. დიდი სიამოვნებით.

სოლნესი (ჩდება). მაშინ ყველაფერს გაიმობზო.

ჰილდა. ახლა ბალიც ჩემს თვალწინაა და თქვენც. დაიწყეთ! რაღას  
უყურებთ?

სოლნესი (კუთხეში დატეხულ ფანჯარაზე უთითებს). აი, იმ ბორცვზე,  
სადაც ახლა ახალ სახლს ხედავთ...

ჰილდა. დიახ.

სოლნესი. სულ პირველად. იქ ვცხოვრობდით მე და ალინა. მაშინ  
იქ იდგა დიდი სახლი, რომელიც ალინას დედას ეკუთვნოდა.  
ჩვენ მისი სიკვდილის შემდეგ გვერგო, დიდ ბალთან ერთად.

ჰილდა. კოშკი თუ ჰქონდა?

სოლნესი. არავითარი კოშკი. გარედან ეს იყო დიდი, უშნო,  
პირქუში ხის შენობა. ნამდვილი ფარდული გეგონებოდათ.  
შიგნით კი ძალიან მყუდრო და მოხერხებული გახლდათ.

ჰილდა. თქვენ, ალბათ, დაანგრიეთ...

სოლნესი. არა, დაიწვა.

ჰილდა. მთლიანად?

სოლნესი. დიახ.

ჰილდა. დიდი უბედურება მოგსვლიათ.

სოლნესი. გააჩნია, ვინ როგორ შეხედავს. მე, მაგალითად, როგორც  
მშენებელს, ამ ხანძარმა გზა გამიკაფა.

ჰილდა. კი მაგრამ...

სოლნესი. ჩვენ ის-ის იყო შეგვეძინა ტყუპები.

ჰილდა. საცოდავები.

სოლნესი. რომ იცოდეთ, რა კარგები იყვნენ... ჯანმრთელები,  
მაგრები... გეგონებოდათ, დღეობით კი არა, საათობით  
იზრდებიანო.

**ჰილდა.** დიახ, პატარები ძალიან სწრაფად იზრდებიან პირველ დღეებში.

**სოლნესი.** მათ ყურებას აღარაფერი სჯობდა, როცა დედასთან ერთად გვერდი-გვერდ იწვნენ... სამივენი... მაგრამ ერთ ღამეს გაჩნდა ხანძარი...

**ჰილდა** (დაძაბულად). მერე?.. მითხარით! დაიწვა ვინმე?

**სოლნესი.** არა. მადლობა ღმერთს, ყველა გადაარჩა...

**ჰილდა.** კი მაგრამ, აბა?..

**სოლნესი.** აღინა ღამის შეირყა... ხანძარი... ყვირილი... წივილი-კივილი... შეშლილივით გამოვარდა გარეთ... ზამთრის ღამეში... პატარები კი... პერანგების ამარა გამოიყვანეს.

**ჰილდა.** და ვერ გადაარჩინენ?

**სოლნესი.** არა, გადაარჩინენ. მაგრამ აღინას ელდისაგან ციებ-ციხლება დაემართა და რძე გაუფუქდა. ბავშვები კი მაინც არაუვის არ დაანება, აუცილებლად თვითონვე უნდოდა ექმია ძუძუ. ეს ჩემი ვალიაო, ასე ამბობდა... ჰოდა, ჩვენი ორივე ბიჭი... (ხელეზს იბტკრევს). ორივე... ო-ო!

**ჰილდა.** ვერ გადაიტანეს?

**სოლნესი.** დიახ, ეს კი ველარ გადაიტანეს. აი, ასე დავკარგეთ ორივენი.

**ჰილდა.** წარმომიდგენია, რა საშინელება იქნებოდა თქვენთვის.

**სოლნესი.** დიახ... მაგრამ ათასჯერ უფრო საშინელ დღეში ჩავარდა აღინა. (გაცოფებული იბტკრევს ხელეზს). ხედავთ, რა ხდება ამ ქვეყანაზე? (მკეთრად და მტკიედ). იმ დღიდან მოყოლებული, საბოლოოდ დავკარგე ეკლესიების შენების ყოველგვარი სურვილი.

**ჰილდა.** ალბათ, ჩვენი ეკლესიის კოშკსაც ძალაუნებურად, უხალისოდ მოჰკიდეთ ხელი.

**სოლნესი.** დიახ, ძალაუნებურად. მახსოვს, როგორი კმაყოფილი ვიყავი, როცა ბოლოს და ბოლოს, დავამთავრე.

**ჰილდა.** ეს ხომ მეც მახსოვს.

**სოლნესი.** მას მერე არაფერი ამდაგვარი აღარ მიშენებია. აღარც ეკლესიები, აღარც კოშკები.

**ჰილდა** (ნელ-ნელა უჩნევს თავს). მხოლოდ საცხოვრებელი სახლები, არა?

**სოლნესი.** დიახ; თბილი ოჯახური ბუდეები ადამიანებისთვის, ჰილდა.

**ჰილდა.** მაგრამ აღარც კოშკები და აღარც გუმბათები!

- სოლნესი.** დიახ, ალარც ერთი და ალარც მეორე... (უფრო მშვიდად).  
ჰო, იმას გეუბნებოდი, როგორც მშენებელს, ამ ხანძარმა  
ნამდვილად გზა გამიკაფა-მეთქი.
- ჰილდა.** რატომ სხვებივით არქიტექტორს არ უწოდებთ თქვენსავე  
თავს?
- სოლნესი.** ისეთი საფუძვლიანი განათლება არ მიმიღია. თითქმის  
ყველაფერს, რაც ახლა ვიცი, რაც შემიძლია, ჩემით მივალწიე.
- ჰილდა.** მერედა, განა ცოტას მიალწიეთ, მშენებლო?
- სოლნესი.** დიახ... ხანძრის შემდეგ... მთელი ჩვენი ბალი სააგარაკო  
ნაკვეთებად დავეყავი. აქ კი, რა გინდა, სულო და გულო,  
აშენე, როგორც გაგეხარდება... ჰო, მას მერე ყველაფერი  
კარგად აეწყო.
- ჰილდა** (გამომძვლვალად უყურებს). გეტყობათ, ძალიან ბედნიერი კაცი  
ბრძანდებით.
- სოლნესი** (იღუშება). ბედნიერი?.. რალა თქვენ და რალა სხვები.  
ყველანი ერთსა და იმავეს გაიძახით.
- ჰილდა.** ლმერთმანი, მართლა ასე მგონია... თუკი შესძლებთ და  
თქვენს პატარებზე არ იფიქრებთ, მაშინ...
- სოლნესი** (ნელა). კი მაგრამ, განა ასე ადვილია მათი დავიწყება,  
ჰილდა?
- ჰილდა** (ოდნავ გაუბედავად). ნუთუ დღემდე, ამდენი ხნის შემდეგაც,  
ასე მწვავედ განიცდით?
- სოლნესი** (კითხვას უქასხობდ ტოვებს და დაიწინებთ უცქერის). ბედნიერიო,  
თქვენ ამბობთ...
- ჰილდა.** კი მაგრამ, განა ბედნიერი არა ხართ... სხვა მხრივ?
- სოლნესი** (უწინდებურად უცქერის). წელან, ხანძარზე რომ გიამბობ-  
დით... კმ...
- ჰილდა.** რა?..
- სოლნესი.** ხომ არ ალგექრათ რალაც ისეთი... უჩვეულო აზრი,  
რომლის თავიდან მოცილებაც ველარ შესძელით?
- ჰილდა** (ცდილობს გაიხსენოს). არა. რა აზრი უნდა აღმძვროდა?
- სოლნესი** (ნელა, ხაზგასმით). მხოლოდ ხანძრის წყალობით მომეცა  
იმის შესაძლებლობა, რომ საცხოვრებელი სახლები, ოჯახური  
ბუდეები მეშენებინა ადამიანებისთვის. მყუდრო, ლამაზი,  
ნათელი სახლები, სადაც ბავშვებით გარშემორტყმული დედ-  
მამა იცხოვრებდა მშვიდობით და სიამტკბილობით... ბედნიე-  
რნი იმის შეგნებით, რომ მზის ნათელს შეჰხარიათ, რომ  
ყველანი, დიდიან-პატარიანად, ერთნი არიან.
- ჰილდა** (გატაცებთ). კი მაგრამ, რა შეედრება იმ ბედნიერებას, რომ  
ასეთი თბილი და მყუდრო ბუდეები აშენო ადამიანებისათვის?

სოლნესი. ფასი, ჰილდა! საშინელი ფასი, რაც მე თვითონ დამიჯდა ეს ბედნიერება?

ჰილდა. ნუთუ ვერასდიდებით ვერ იცილებთ თავიდან ამ აზრს?

სოლნესი. ვერა. სხვისი ოჯახური კერების შენება რომ შემძლებოდა, მე თვითონ სამუდამოდ უარი უნდა მეთქვა ჩემს საკუთარ კერაზე... ესე იგი, ნამდვილ ოჯახურ კერაზე, ბავშვებითა და დედ-მამით.

ჰილდა (რბილად). კი მაგრამ, ნუთუ მართლა ასეა საქმე? აღარაფერი ეშველება?

სოლნესი (ნელა უჩვენებს თავს). აი, იმ ბედნიერების ფასი, რაზედაც ამდენს ლაპარაკობს ხალხი. (ძიძველ ამოიხრებს). ეს ბედნიერება... ჰმ... დიახ. ეს ბედნიერება უფრო იაფად ვერ ვიყიდე, ჰილდა.

ჰილდა (უწინდებრად). ნუთუ მართლა არავითარი იმედი აღარ არის, რომ ყველაფერს მოველემა?

სოლნესი. არა, არავითარი. ესეც ხანძრის შედეგი გახლავთ; იმ სნეულების შედეგი, მაშინ რომ შეეყარა აღინას.

ჰილდა (რალაცნაირი გაურკვეველი გამოშეტყველებით). მაგრამ მაინც არ ეშვებით ამ საბავშვო ოთახებს?

სოლნესი (სერიოზულად). ნუთუ არასოდეს შეგიმჩნევიათ, ჰილდა, რომ შეუძლებელი... თითქოს რაღაც იდუმალი ძალით გვეძახის და თავისკენ გვიხმობს?

ჰილდა (ჩაფიქრებით). შეუძლებელი?... (უცებ გამოიოცხლება). დიახ, დიახ! ესე იგი, თქვენც?..

სოლნესი. დიახ, მეც.

ჰილდა. მაშასადამე, თქვენშიაც ზის ერთგვარი ტროლი?

სოლნესი. რატომ მაინცდამაინც ტროლი?

ჰილდა. აბა, მაშ, რა დაეარქვათ ამას?

სოლნესი (დგება). თუმცა, ჰო, მართალი ხართ. (გულფიცხად). კი მაგრამ, როგორ არ ვიყო ტროლი, როცა ყველგან და ყოველთვის ასე ვარ? დიახ, ყველგან და ყოველთვის!

ჰილდა. მაინც როგორ?..

სოლნესი (მღელვარებისაგან ჩახლჩილი ხმით). ყური მიგდეთ, რას გეტყვით, ჰილდა. ყოველივე ლამაზი, მტკიცე, მომხიბვლელი და თუ გნებავთ, დიადი. დიახ. დიადიც, რაც კი შემიქმნია, ამიგია, ამიშენებია... (ხელის მტერებით). ო, გაფიქრებაც კი საზარელია...

ჰილდა. მაინც რა?.. რა არის საზარელი?..

**სოლნესი.** ის, რომ ყოველივე ეს გაშუდრებით უნდა გამოვისყიდო... ყველაფრის საზღაური გადავიხადო... არა ფულით... არამედ ადამიანური ბედნიერებით. და არა მარტო ჩემი, არამედ სხვისი ბედნიერებითაც. ახლა ხომ ხედავთ, ჰილდა? აი, რა დამიჯდა მე, როგორც ხელოვანს, ჩემი საკუთარი ადგალი... მეცა და სხვებსაც. ყოველდღე იძულებული ვარ ჩემი თვალით ვუყურო. როგორ იხდიან ჩემს მაგავრად საზღაურს სხვები. დიახ, ყოველდღე. ყოველდღე... დაუსრულებლივ.

**ჰილდა** (დგება და დაერწიბოთ უსკერის). ახლა თქვენ. ალბათ. ცოლზე ფიქრობთ.

**სოლნესი.** დიახ. უწინარეს ყოვლისა, ალინაზე. მასაც ხომ თავისი მოწოდება ჰქონდა, როგორც მე -- ჩემი. მაგრამ მისი მოწოდება უნდა დათრგუნვილიყო და ნამსხვრევებად ქცეულიყო, რათა ჩემსას ფრთა გაეშალა და მწვერვალების მსგავსი სიმაღლეები დაეპყრო. დიახ. უნდა მოგახსენოთ, რომ ალინასაც ჰქონდა შექმნისა და შენების უნარი.

**ჰილდა.** როგორ? მასაც?

**სოლნესი** (თავს აჩქევს. არა სახლების, კოშკების, ეკლესიების და სხვა მისთანებისა. რასაც მე ვქმნი...)

**ჰილდა.** მაშ, რისა?

**სოლნესი** (გულაჩიყებით). ბავშვების უმანკო სულებისა, ჰილდა. შეეძლო დახმარებოდა ზრდაში, კეთილშობილური თვისებების ჩამოყალიბებაში. ღირსეულ ადამიანებად ქცევაში. აი, რისი უნარი ჰქონდა ალინას. მაგრამ ყველაფერი ფუჭი შეიქნა, სამუდამოდ ჩაქრა. ჩაიფერვლა და რალა დარჩა?... მხოლოდ ნაცარი ხანძრის შემდეგ.

**ჰილდა.** კი მაგრამ, ასეც რომ იყოს...

**სოლნესი.** ასეც რომ იყოს კი არა, ასეა! მე ხომ ვიცი, რომ ასეა?!

**ჰილდა.** ყოველ შემთხვევაში. თქვენ მაინც არ მიგიძღვით ბრალი.

**სოლნესი** (მზურას მიაპყრობს და წელს უჩქევს თავს). საკითხავიც სწორედ ეგ არის. მაგრამ ვაი ამ კითხვას. დღე და ღამე ექვის კია მღრღნის.

**ჰილდა.** ექვის კია?

**სოლნესი.** დიახ. დავუშვათ, რომ... ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. ესე იგი, გარკვეული აზრით.

**ჰილდა.** კი მაგრამ, მაინც რაში? იმაში, რომ ხანძარი გაჩნდა?

**სოლნესი.** ყველაფერში, რაც მოხდა. და, იმავდროულად. შეიძლება არაფერშიც არა ვარ დამნაშავე.

**ჰილდა** (გაოცებული მისიერებით). ეჰ, მშენებელო, მშენებელო... თქვენ, მგონია, მართლა ავადა ხართ.



სოლნესი. ჰმ... ამ აზრით, ვერასოდეს ვერ მოვრჩები.

რაგნარი ფრთხილად შემოაღებს მარცხენა კუთხეში დატანებულ კარს; ამასობაში ჰილდა უკვე შუა ოთახშია.

რაგნარი (ჰილდას დანახვზე). აჰ... მომიტყევთ, ბატონო სოლნეს...  
(წასვლას აპირებს).

სოლნესი. არა, არა, მოიცათ. მოვრჩეთ ამ საქმეს.

რაგნარი. თუ შეიძლება?..

სოლნესი. მამათქვენი უკეთ ყოფილა. როგორც გადმომცეს.

რაგნარი. პირიქით, უფრო ცუდადაა. ამიტომაც გთხოვთ...  
გვედრებით... ორიოდ კეთილი სიტყვა მაინც წააწერეთ  
ერთ-ერთ ჩემს ნახაზს! იქნება წაკითხვა მაინც მოასწროს...

სოლნესი (გალიზიანებით). კრინტიც აღარ დასძრათ თქვენს  
ნახაზებზე.

რაგნარი. თუ გადახედთ მაინც?

სოლნესი. დიახ, გადავხედე.

რაგნარი. მერე, თქვენი აზრით, ყველა უვარგისია? და არც მე  
ვუქნივარ ლმერთს?

სოლნესი (მოიარებით). ჩემთან დარჩით, რაგნარ. რა პირობასაც  
წამომიყენებთ, ყველაფერს შეგისრულებთ. შეგიძლიათ  
ცოლად შეირთოთ კაია. უზრუნველად იცხოვროთ. შეიძლება,  
ბედნიერადაც. მხოლოდ თქვენ თვითონ ნუ დაიწყებთ შენებას.

რაგნარი. დიახ, დიახ... წავიდე და გადავცე მამას... მე კი შევეპირდი...  
ესე იგი, ეს ვუთხრა სიკვდილის წინ?

სოლნესი (შეძრწუნებით). ო-ო! უთხარით... რაც გინდათ, ის  
უთხარით. ყველაფერს აჯობებს, თუ არაფერსაც არ ეტყვიან.  
(ანაზღეული აგზნებით). სხვანაირად არ შემიძლია, რაგნარ.

რაგნარი. ნებას მომცემთ, რომ ნახაზები წავიღო?

სოლნესი. წაიღეთ, წაიღეთ, აგერ, მაგიდაზეა.

რაგნარი (მაგიდასთან მიდის). გმადლობთ.

ჰილდა (ხელებს ადებს საქალაღეს). არა. დატოვეთ.

სოლნესი. რატომ?

ჰილდა. იქნებ, მეც მინდა გადავხედო?

სოლნესი. კი მაგრამ, თქვენ ხომ უკვე... (რაგნარს). მოდით, ჯერ აქ  
იყოს.

რაგნარი. როგორც გნებავთ.

სოლნესი (თითქმის სასოწარკვეთილებით). შეუძლებელს ნუ მომთხოვთ,  
რაგნარ! გესმით? ნუ მომთხოვთ!

რაგნარი. არა, არა. ბოდიშს ვიხდი... (თავს უკრავს და პატარა კარიდან  
გაღის).

- პილდა (მიღის და სარკესთან მდგარ სკამზე ჯდება; გაბრაზებული უყურებს სოლნესს). ეს იყო ნამდვილი სისაძაგლე თქვენის მხრივ.
- სოლნესი. თქვენც ასე გგონიათ!
- პილდა. დიახ, დიახ. სისაძაგლე. საზიზღრობა!.. თუ გნებავთ, გულქვაობაც, სიავეც, დაუნდობლობაც!
- სოლნესი. თქვენ ჩემი მდგომარეობა არ გესმით.
- პილდა. რაც არ უნდა იყოს, ეს მაინც არ გეკადრებათ.
- სოლნესი. კი მაგრამ, აკი წელან თვითონვე მითხარით. მხოლოდ თქვენ ერთს უნდა გქონდეთ შენების უფლებათ?
- პილდა. ამის თქმა მე შემიძლია, მაგრამ არა თქვენ.
- სოლნესი. პირიქით, თუ შემიძლია, მე შემიძლია. განა იაფად ვიყიდე ჩემი ადგილი?
- პილდა. ჰო, რა თქმა უნდა... ოჯახური მყუდროებისა თუ რაღაც ამგვარის ფასად... როგორც თვითონვე ბრძანეთ.
- სოლნესი. ნურც ჩემი სულიერი სიმშვიდის ფასს დაივიწყებთ.
- პილდა (ღებბა). სულიერი სიმშვიდის ფასს?! (გაძნობამორეოთ). აქ კი მართალი ხართ!.. საბრალო მშენებელო, თქვენ ხომ გგონიათ, რომ...
- სოლნესი (ჩემი, მსუსხავე სიცილით). ცოტა ხანსაც ჩამოჯექით და ყური მიგდეთ, პილდა. საინტერესო ამბავს მოისმენთ.
- პილდა (ჯდება; დაძაბულად). გისმენთ.
- სოლნესი. ეს ისეთი უმნიშვნელო, სასაცილო ამბავია... ყველაფერი დაიწყო ლუმელის მიღში გაჩენილი ბზარით.
- პილდა. ეგ იყო და ეგ?
- სოლნესი. დიახ, თავდაპირველად. (პილდას გვერდით მიიჩოჩებს სკამს და ჯდება).
- პილდა (მოუთმენლად; მუხლზე იტყაუნებს ზელს). ესე იგი, ლუმელის მიღში გაჩენილი ბზარი?
- სოლნესი. მე ხანძრის გაჩენამდე დიდი ხნით ადრე შევნიშნე ეს ბზარი. ყოველთვის, როცა სხვენზე მომიწევდა ასვლა, ვსინჯავდი, ისევე აქ არის თუ არა-მეთქი.
- პილდა. მერედა, იყო?
- სოლნესი. დიახ... ჩემს გარდა კაციშვილმა არ იცოდა.
- პილდა. თქვენ კი არავისთვის გითქვამთ?
- სოლნესი. არა, არ მითქვამს.
- პილდა. არც არავისთვის გიბრძანებიათ, რომ ამოეღესათ?
- სოლნესი. რამდენჯერმე კი დაეპირე... მაგრამ ეს იყო და ეს. როგორც კი შეკეთებას დაეპირებდი, იმ წუთშივე თითქოს

ვილაცა მაჩერებდა. რაც არის. არის. დღეს თუ არა, ხვალ მაინც მივხვდეთ-მეთქი. ვამბობდი გულში. მაგრამ დღე დღეს მისდევდა. საქმეს კი საშველი არ ადგებოდა.

**ჰილდა.** კი მაგრამ, რატომ აქიანურებით ასე?

**სოლნესი.** იმიტომ, რომ ვფიქრობდი... (ნელა, ხმადალა) ხომ შეიძლება რომ ამ პაწაწინა ბზარის წყალობით მე, როგორც მშენებელს, გზა გამეხსნას-მეთქი...

**ჰილდა** (წინ იუჟრება). დიახ... არის. ალბათ, ამ აზრში რაღაც მომწესხველი.

**სოლნესი.** საოცრად მომწესხველი. მე ვიტყვოდი, პირდაპირ დაუძლეველი. ამაზე ადვილი და მარტივი რა უნდა იყოს-მეთქი, ასე ვფიქრობდი. მე ვნატრობდი, რომ ეს ზამთარში მომხდარიყო. საღილობამდე კოტა ხნით ადრე, ალინას ციგით გავასეირნებდი. მოსამსახურეები კი შინ დარჩებოდნენ და... მაგრად გაახურებდნენ ლუმელს.

**ჰილდა.** ალბათ, ივარაუდებოდა, რომ დღეც ძალიან ცივი უნდა ყოფილიყო.

**სოლნესი.** დიახ, ყინვას უნდა შემოეჭირა. მსახურები კი გადაწყვეტდნენ, ქალბატონისთვის ეამებინათ და გათოშილისთვის გახურებული სახლი დაეხვედრებინათ.

**ჰილდა.** ალბათ, ძალიან მცივანაა?

**სოლნესი.** საშინლად მცივანა... აქეთობისას კვამლს შევნიშნავდით.

**ჰილდა.** მარტო კვამლს?

**სოლნესი.** პირველად კვამლს; მაგრამ ქიშკარს რომ მიეუახლოვდებოდით, დავინახავდით, რომ მთელი სახლი ცეცხლის ალშია გახვეული... აი, რას ვნატრობდი.

**ჰილდა.** ლმერთო ჩემო! მართლაცდა, რატომ არ უნდა მომხდარიყო სწორედ ასე?

**სოლნესი.** საქმეც ეგაა. ჰილდა.

**ჰილდა.** კი მაგრამ, ეროი ეს მოთხარით, მშენებლო. ექვიც არ გეპარებათ, რომ ხანძარი სწორედ ამ ბზარის შედეგად გაჩნდა?

**სოლნესი.** პირიქით, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბზარი აქ არაფერ შუაში იყო.

**ჰილდა.** ესე იგი?..

**სოლნესი.** როგორც შემდეგ გამოიკვა, თავდაპირველად ხანძარმა თურმე წინკარში იფეთქა, სახლის სულ საპირისპირო მხარეს.

**ჰილდა.** აბა, რაღას დამჭდარხართ და დაგიჩემებიათ, ბზარი, ბზარიო?..

**სოლნესი.** ნება მიბოძეთ, ორიოდ სიტყვაც გითხრათ, ჰილდა.

**პილდა.** ბატონი ბრძანდებით. თუკი ვონიერულს იტყვით რასმე...

**სოლნესი.** ვეცდები. (კლავ უფრო ახლოს მიიწევს სკამზე).

**პილდა.** აბა, ბატონო მშენებელო. ყველაფერი პირწმინდად გადმო-  
ოლაგეთ.

**სოლნესი** (წაღობთ). როგორ გგონიათ, პილდა, არსებობენ თუ არა  
ამქვეყნად განსაკუთრებული, რჩეული ადამიანები, რომელთაც  
აქვთ იმის უნარი, რომ ისე ვნებიანად, ჭიუტად, შეუპოვრად  
სურდეთ, სწყუროდეთ რალაცა, რომ, ბოლოს და ბოლოს,  
ედღევით კიდევ თავიანთი სურვილის საგანი!.. რას იტყვით?

**პილდა** (რალაც უსაზრწ გამოიტივტივლებო). თუ ასეა, ადრე თუ გვიან  
გამოჩნდება, ვეკუთვნი თუ არა ამ რჩეულთა რიცხვს.

**სოლნესი.** დიად საქმეებს ესა თუ ის კერძო პირი, ცალკეული  
ადამიანი როდი ასრულებს. არა, ვერც ერთ ამნაირ საქმეში  
ფონს ვერ გახვალ თანამშრომლებისა და თანამდგომების  
\* გარეშე. მაგრამ ისინი არასოდეს არ მოდიან თავისი ფეხით,  
უნდა შეგვეძლოს, შენ თვითონ გამოიწვიო ისინი... დიდხანს,  
ჭიუტად, დაეინებოთ უნდა უხმობდე და, თუ შეიძლება ასე  
ითქვას, შინაგანად უცდიდე მათ; გესმით?

**პილდა.** ეს რა თანამშრომლები და თანამდგომებია არიან?

**სოლნესი.** მათზე სხვა დროს ვილაპარაკებთ. ახლა კი ისევ ხანძარს  
მივხედოთ.

**პილდა.** ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ ხანძარი მაინც გაჩნდებოდა,  
მიუხედავად იმისა, გსურდათ თუ არა ეს?

**სოლნესი.** სახლი რომ ბრუევიკისა ყოფილიყო, არასოდეს ასე  
დროულად არ დაიწვოდა. დარწმუნებული ვარ, ბრუევიკს არ  
შეუძლია თანამშრომლების გამოწვევა... არც თანამდგომებისა.  
(ღებვა: ნერვიულად). ესე იგი, მაინც ჩემი ბრალია, პილდა, რომ  
ეს ხანძარი ჩემს პატარებს სიცოცხლის ფასად დაუჭდათ. ჩემი  
ბრალია ისიც, რომ აღინა ვერ გახდა ის, რაც შეეძლო და  
კლევაც უნდა გამხდარიყო.

**პილდა.** კი მაგრამ, თუ საქმეში ჩაერვივნენ ეს თანამშრომლები და  
თანამდგომები?..

**სოლნესი.** მერედა, ვინ მოიხმო ისინი? მე!.. მოვიდნენ და ჩემს ნებას  
დაემორჩილნენ. (უფრო აჯიხებულად). აი, რას ეძახის ხალხი  
ბედნიერებას! მაგრამ მე მკიობეთ, რა არის ეს ბედნიერება!  
-- უზარმაზარი, სისხლმდინარი კრილობა მკერდზე. ეს  
თანამშრომლები და თანამდგომები კი ტყავს ხდიან სხვებს,  
რათა ჩემი კრილობა მოაშუშონ. მაგრამ ის არასოდეს არ  
მოშუშდება... არასოდეს... არასოდეს! ო, რომ იცოდეთ,  
ხანდახან როგორ მჭიჭნის და მაწამებს!..

ჰილდა (ყურადღებოთ უყურებს). თქვენ მართლა ავად ხართ, მშენებელი; ღმერთმანი, ძალიან ავად.

სოლნესი. ბარემ მითხარით -- თქვენ კკუაზე აღარა ხართო. მაინც ხომ ასე გგონიათ?

ჰილდა. არა, მე არა გგონია, რომ კკუა გაკლდეთ.

სოლნესი. მაშ, რა? მითხარით!

ჰილდა. რა და ის, რომ უსუსური სინიდისით დაიბადეთ.

სოლნესი. უსუსური სინიდისით? ეს რაღა ჯანდაბაა?

ჰილდა. იმას მოგახსენებთ, რომ თქვენი სინიდისი მეტისმეტად უმწეოა, მეტისმეტად ნაზი. ბრძოლისა და ჰირვეულობის თავე არა აქვს. არ შეუძლია რაიმე სიმძიმეს გაუძლოს.

სოლნესი (ბუზღუნებს). ჰმ... მაშ, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს?

ჰილდა. მე გგონია, აჯობებდა... როგორ გითხრათ... ჯანსაღი, გამძლე სინიდისი გქონოდათ.

სოლნესი. რა? გამძლე სინიდისი? ასე! თქვენ კი გამძლე სინიდისი გაქვთ?

ჰილდა. დიახ. მე გგონია... თუ არა ვცდები.

სოლნესი. ჩემის აზრით, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ შეხვედრია ნამდვილი განსაცდელი.

ჰილდა (ბაგეები უთრთის). განა ასე ადვილი იყო მიმეტოვებინა მამა, რომელიც თავს მირჩევნია?

სოლნესი. დიდი ამბავი! რაღაც ორიოდ თვით...

ჰილდა. მე, ალბათ, აღარასოდეს აღარ დავბრუნდები შინ.

სოლნესი. აღარასოდეს?.. საინტერესოა, რად წამოხვედით?

ჰილდა (ნახევრად -- სერიოზულად, ნახევრად -- ხუმრობით). თქვენ რა, კვლავ დაგაეწყდათ, რომ ათმა წელმა განვლო?

სოლნესი. ე, სისულელეა! ალბათ, უთანხმოება გქონდათ სახლში.

ჰილდა (სავსებით სერიოზულად). რაღაც შინაგანი ძალა გამუდმებით მერეკებოდა. მიხმობდა, მეძახდა აქეთ.

სოლნესი (გულბურჯავდა). აი, ხომ ხედავთ! ხომ ხედავთ, ჰილდა? თქვენშიაც ტროლი ზის, ისევე, როგორც ჩემში. სწორედ ეს სულში ჩაბუდებული ტროლი იწვევს ჩვენს მეოხად გარეგან ძალებს. და ადამიანს სხვა რა დარჩენია?.. ძალაუნებურად უნდა დაემორჩილოს.

ჰილდა. მართალი ხართ, მშენებელი.

სოლნესი (ოთახში მიდი-მოდის). მერედა, რამდენი ასეთი ჰინკაა ჩვენს გარშემო, ჰილდა! უანგარიშო, ურიცხვი!

ჰილდა. ახლა კიდევ ჰინკები!..

**სოლნესი** (ჩერდება). ბოროტი და კეთილი, თეთრი და შავი სულები... ნეტავი გამაგებინა, მაინც რომელი სული შეგიჩნდა -- ნათელი თუ ბნელი? (კვლავ ოთახში სიარულს მოჰყვება). დიახ, დიახ, მაშინ კიდევ არა უშავდა რა!

**ჰილდა** (თვალს ადევნებს). ან კიდევ, ჭანსალი, ღონიერი, ამტანი სინიდიისი მოგცათ, რათა მხნედ ვილოდეთ სასურველი მიზნისაკენ!

**სოლნესი** (სარკესთან ჩერდება). ეგ არაფერია; ამ მხრივ, ადამიანთა უმრავლესობა ჩემზე არანაკლებ უმწეოა.

**ჰილდა**. ადვილი შესაძლებელია.

**სოლნესი** (სარკიან მაგიდას ეყრდნობა). ძველ საგებში... თუ წაგიკითხავთ?

**ჰილდა**. რა თქმა უნდა. იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ვკითხულობდი წიგნებს...

**სოლნესი**. ეს საგები მოგვეთხრობენ ვიკინგებზე, რომლებიც ხომალდებით მიცურავდნენ უცხო ქვეყნებში, ძარცვავდნენ, ანადგურებდნენ, მუსრს ავლებდნენ ხალხს...

**ჰილდა**. და იტაცებდნენ ქალებს...

**სოლნესი**. რომლებიც თან მიჰყავდათ...

**ჰილდა**. დიახ, ხომალდებით...

**სოლნესი**. და ისე ექცეოდნენ მათ, როგორც... როგორც უბოროტესი ტროლები.

**ჰილდა** (ნახევრად დაბნეული მხერით იყურება წინ). დიახ, ამაში არის რაღაც მომნუსხველი.

**სოლნესი** (ჩუმი ქიჩილით). ქალების მოტაცებაში?

**ჰილდა**. იმაში, რომ მოგიტაცონ.

**სოლნესი** (ერთხანს უსკერის). აჰ, ასე?!

**ჰილდა** (თითქოს ცდილობს გააწყვეტინოს). კი მაგრამ, რაში დაგჭირდათ ეს ვიკინგები, მშენებელო?

**სოლნესი**. როგორ გითხრათ... ამ მეკობრეებს ამტანი სინიდიისი ჰქონდათ. შინ დაბრუნებისას ჰამდნენ, სვამდნენ, ღრეობდნენ და პატარა ბალღებით მხიარულობდნენ. ახლა ქალებს აღარ იკითხავთ? უმეტესობას სულაც არ უნდოდა მათგან განშორება. თქვენთვის ეს გასაგებია, ჰილდა?

**ჰილდა**. ქალების ამბავი? ისე გასაგებია, რომ მეტი აღარ იქნება.

**სოლნესი**. ოჰო! იქნებ თქვენც მათთვის მიგებაძათ...

**ჰილდა**. რატომაც არა.

**სოლნესი**. ნებაყოფლობით ცხოვრება აშნაირ მოძალადესთან...

**ჰილდა**. თუკი ძალიან შემოიყვარებოდა ეს მოძალადე, მაშინ...

სოლნესი. კი მაგრამ. შესძლებდით მის შეყვარებას?

ჰილდა. ლმერთო ჩემო! სიყვარული რა, ჩვენი ნებაა? შეგიყვარდება ვინმე და მორჩა!..

სოლნესი (ჩაოქრობით უკუბრუნდება). დიახ, დიახ... აქ ჩვენს ნებას ისევ და ისევ ტროლი წარმართავს.

ჰილდა (ნახევრად ხუმრობით). ამ თქვენს მომხიბლავ კინკებთან, როგორც თეთრებთან, ისე შავებთან ერთად, რომლებსაც თქვენ ასე კარგად იცნობთ.

სოლნესი (ჩუმად, გულბოლილად). სულითა და გულით გისურვებთ, ჰილდა, რომ ამ კინკებმა რაც შეიძლება უკეთესი ბედი ამოგიჩიონ.

ჰილდა. უკვე ამომირჩიეს. ერთხელ და სამუდამოდ.

სოლნესი (გარსობამორეული უცქერს). ჰილდა... თქვენ რალაციტ ტყის ფრინველს ჰგავხართ.

ჰილდა. ვინ მოგახსენათ? მე ბუჩქებში არ ვიმალები.

სოლნესი. არა, არა. უფრო სწორად, -- მტაცებელ ფრინველს.

ჰილდა. დიახ, ეს შედარება უფრო სწორია. (აგზნებით). რატომაც არა? რატომ არ უნდა ვინადირო მეც ნადავლის ხელში ჩასაგდებად? რატომ არ უნდა დავაცხრე მას, ვინც ყველაზე მეტად მიზიდავს? რატომ არ უნდა ჩავასვა კლანკები და... დავიმორჩილო?

სოლნესი. ჰილდა... იცით, თქვენ ვინა ხართ?

ჰილდა. დიახ, ვიცი. -- რალაც ამ უცნაური ფრინველის მსგავსი.

სოლნესი. არა, თქვენ აისსა ჰგავხართ. თქვენ რომ გიყურებთ, ასე მგონია, მზის ამოსვლასა ვხედავ.

ჰილდა (ჩადაბლად). ერთი ეს მითხარით, მშენებელო, დარწმუნებულნი ხართ, რომ არასოდეს არ მეძახდით? ისე... თქვენთვის?

სოლნესი. რა მოგახსენოთ, შეიძლება კიდევ მეძახდით.

ჰილდა. რისთვის?

სოლნესი. თქვენ -- ახალგაზრდობა ხართ, ჰილდა.

ჰილდა (ელღებამ). ახალგაზრდობა, რომლისაც თქვენ ასე გეშინიათ?

სოლნესი (ნელა უქნევს თავს). და რომელიც, მეორე მხრივ, ასე მიზიდავს.

ჰილდა (ღებამ, მაგიდასთან მიდის, რაგნარის საქალაღდეს იღებს და სოლნესს უწვღის). ახლა კი ამ ნახაზების თაობაზე...

სოლნესი (მკვეთრი მოძრაობით განზე სწევს საქალაღდეს). თვალღთ არ დამანახოთ; ყელში ამომღიღღა.

ჰილდა. კი მაგრამ, ერთღ-ორღ სღტყვა ხომ უნდა წააწეროთ?..

სოლნესი. არასოდეს. ჩემს სიცოცხლეში.

პილა. აბა, დაფიქრდით. საწყალი ბერიკაცი სიკვდილის პირასაა. რა გიქირათ, საშაოადისო განშორების წინ უკანასკნელი სიხარული არგუნოთ მამასაც და შვილსაც? ვინ იცის, მერე იქნებ შენების უფლებაც კი მისცენ!

სოლნესი. რა თქმა უნდა! ალბათ. დაკვეთის მიღებაც კი მოასწრო ამ ეშმაკის თეხმა!

პილა. ო, ღმერთო ჩემო! ასეც რომ იყოს... ნუთუ არ შეგეძლოთ, რომ მცირეოდენი გეცრუათ?

სოლნესი. მეცრუა? (მოთმინებას კარგავს). მომაშორეთ ეს წყველი ნახაზები!

პილა (ოდნავ მიიწევს საქალაღეს). აბა, აბა, თუ შეიძლება. არ მიკბინოთ! ერთთავად ტროლები, ტროლებიო, გაიძახით, ჩემი აზრით კი. თვითონვე იქცევით ნამღვილი ტროლივით. (აქეთ-იქით იხედება). სად არის საწერ-კალამი?

სოლნესი. არსადაც არ არის.

პილა (მარცხენა კარისკენ მიდის). იმ ქალიშვილს მაინც ხომ ექნება?

სოლნესი. არ გინდათ, პილა! ესე იგი, თქვენი აზრით, უნდა ვიცრუო? რა გაეწყობა! ბერიკაცის გულისთვის კიდევ შემეძლო; მე ხომ ოდესღაც სარმა გამოვკარა! წავეაქციე!

პილა. ისიც?

სოლნესი. მე თვითონ არ მყოფნიდა ადგილი. მაგრამ ამ რაგნარს... ვერასდობებით ვერ მივცემ გზას.

პილა. საცოდავი! განა შორს წავა?.. თუკი ნიკის ნატამალიც არ გააჩნია...

სოლნესი (უახლოვდება, უუჩრებს და ჩურჩულით ამბობს). თუ რაგნარ ბრუვიკს გზას მივცემ, თვითონ წამაქცევს, მომსპობს, გამანადგურებს, როგორც მე გავანადგურე მამამისი.

პილა. გაგანადგურებთ? ესე იგი, ნიკიერია?

სოლნესი. და მერე, რა ნიკიერი! რაგნარი ის ახალგაზრდობაა, რომელიც მზადაა კარზე მომიკაკუნოს და ბოლო მოუღოს მშენებელ სოლნესს.

პილა (უვერებოთ უუჩრებს). და თქვენ გინდოდათ მისთვის გზა გადაგელობათ? გრცხვენოდეთ. მშენებელო!

სოლნესი. მე დიდხანს ვიბრძოდი გამარჯვებისთვის; სისხლის ფასად დამიჭდა ეს გამარჯვება. ეგეც არ იყოს, ჩემი თანამშრომლები და თანამდგომლებიც მაშინებენ. -- აღარ დამემორჩილებიან.

პილა. მაშასადამე. დრო დადგა, არაფრად ჩააგლოთ შიში. სხვა გამოსავალი არ დაგრჩენიათ.



**სოლნესი.** ყველაფერი ფუჭია, ჰილდა. ადრე თუ გვიან, ყველაფერი უკულმა შეტრიალდება. ნაცელისგება გარდუვალია.

**ჰილდა** (შეძრწუნებული ყურებს ხელებით იცობს). ნუ, ~~ნუ~~ ნუ ამბობთ ამას! თქვენ ჩემი სიკვდილი გსურთ! წამართვათ ის, რაც სიცოცხლეზე ძვირფასია ჩემთვის!

**სოლნესი.** მაინც რა?

**ჰილდა.** სიხარული იმისა, რომ დიადად გთვლიდეთ. გვირგვინით ხელში. მალლა, სულ მალლა, კოშკის წვერზე. (მშვიდად განაგრძობს). აბა, აიღეთ ფანქარი! ფანქარი ხომ მაინც მოგეძებნებათ?

**სოლნესი** (ჩიბიდან წიგნაკს იღებს). აი.

**ჰილდა** (საქალაქის დივანის წინ, მაგიდაზე ღებს). ძალიან კარგი. ახლა, მოდი, ორივე აქ ჩამოვსხდეთ, მშენებელო.

**სოლნესი** მაგიდასთან ჯდება.

(მისი სკამის ზურგს ეყრდნობა) და ორიოდ სიტყვა წაუფეროთ ნახაზებზე... რალაც კეთილი, გულთბილი... ამ საზიზღარ რუარს... თუ რა ვიცი, რა ჰქვია.

**სოლნესი** (რამდენიმე სიტყვას წააწერს, შემდეგ თავს შემოაბრუნებს და ჰილდას უცქერის). ერთი ეს მითხარით, ჰილდა...

**ჰილდა.** რა?

**სოლნესი.** თუკი ასე მელიოდით ამ ათი წლის მანძილზე...

**ჰილდა.** მერე?..

**სოლნესი.** რატომ არაფერი მომწერეთ? ხომ გიპასუხებდით?

**ჰილდა** (სხაპასხუპით). არა, არა, არა. სწორედ ეს არ მინდოდა.

**სოლნესი.** რატომ?

**ჰილდა.** მეშინოდა, რომ ყველაფერი კვამლივით გაქრებოდა და განქარდებოდა... მაგრამ თქვენ ხომ არ დაგიმთავრებიათ, მშენებელო.

**სოლნესი.** დიახ, დიახ.

**ჰილდა** (წინ იხრება და უყურებს, თან წერს). აი, ასე -- კარგია, გულთბილი, გულითადი... აჰ, როგორ მეზიზღება... როგორ მეზიზღება ეს რუალი!

**სოლნესი** (წერას განაგრძობს). თქვენ არავინ არასოდეს არ გყვარებიათ ნამდვილი სიყვარულით, ჰილდა?

**ჰილდა** (მკაცრად). რა?

**სოლნესი.** არავინ არასოდეს არ გყვარებიათ?

**ჰილდა.** თქვენ, ალბათ, იმის თქმა გინდათ, -- სხვა არავინო.

სოლნესი (უყურებს). სხვა არავინ, დიახ... არასოდეს? მთელი ამ ათი წლის მანძილზე. არავინ?

ჰილდა. ისუ... ზანდახან. როცა ძალიან ებრაზობდი თქვენზე, რომ არ მოდიოდით.

სოლნესი. მაშინ სხვებიც მოგწონდათ?

ჰილდა. ცოტათი. ასე, ერთი-ორი კვირით... ო, ღმერთო! თქვენ ხომ იცით, როგორ ხდება ეს, მშენებელი?

სოლნესი. ჰილდა, მაინც რისთვის მოხვედით?

ჰილდა. ტყუილუბრალოდ ნუ კარგავთ დროს. თორემ შეიძლება საწყალი ბერიკაცი ხელში შემოგვაკედეს.

სოლნესი. მიპასუხეთ, ჰილდა. რას მოითხოვთ ჩემგან?

ჰილდა. ჩემს სამეფოს.

სოლნესი. კმ... (თვალს შეაუღებს მარცხენა კარს და წერას განაგრძობს).  
მარცხენა კარიდან შემოდის ფრუ სოლნესი. ხელში რამდენიმე პაკეტი უჭირავს.

ფრუ სოლნესი. აი, რაღაც მოგიტანეთ, ფრიოკენ ვანგელ. რაც უფრო მძიმე იყო, მოგვიანებით გამოგვიგზავნიან სახლში.

ჰილდა. აჰ, რა გულკეთილი ბრძანდებით.

ფრუ სოლნესი. ეს მხოლოდ ჩემი ვალია, მეტი არაფერი.

სოლნესი (დაწერილს კითხულობს). ალინა!

ფრუ სოლნესი. რა?

სოლნესი. ხომ არ დაგინახავს, ბუხალტერი ისევ აქ არის?

ფრუ სოლნესი. რა თქმა უნდა.

სოლნესი (საქალაღღებში აწყობს ნახაზებს). კმ...

ფრუ სოლნესი. დახლს უკან იღვია, როგორც ყოველთვის... როცა მათ ოთახში შევდივარ.

სოლნესი. მაშინ, აი, ამას მივცემ და ვეტყვი, რომ...

ჰილდა (საქალაღღეს ართმებს). არა, არა, ამ სიამოვნებას ნუ მომაკლებთ. (კართან მიდის, მაგრამ ჩერდება). რა ჰქვია?

სოლნესი. ფრიოკენ ფოსლი.

ჰილდა. ფუ, ასე ოფიციალურად? სახელად რა ჰქვია?

სოლნესი. კაია...

ჰილდა (კარს აღებს და უძახის). კაია! ერთი აქ მოდით! ჩქარა! მშენებელს თქვენთან ლაპარაკი სურს.

კაია (შემოდის, მოკრძალებით უყურებს სოლნესს). რა გნებავთ?..

ჰილდა (საქალაღღეს უწვდის). აი, კაია! შეგიძლიათ აიღოთ ეს ნახაზები. მშენებელმა თავისი შეფასება უკვე მისცა.

კაია. მადლობა ღმერთს!

სოლნესი. რაც შეიძლება ჩქარა მიუტანეთ ბურიკაცს.

კაია. ახლავე გავიქვევი.

სოლნესი. დიახ, დიახ. რაგნარს ახლა შეუძლია თეოლოგე დაიწყოს შენება.

კაია. აჰ!.. თუ შეიძლება. მოვიდეს. რომ მადლობა მოგახსენოთ?

სოლნესი (უხეშად). არაავითარი მადლობა არა მკირდება. ასეც გადაეცით.

კაია. დიახ, გადავცემ...

სოლნესი. ჰო, მართლა, უთხარით, რომ აღარ მკირდება... არც ის და არც თქვენ.

კაია (ნელა, მთელი სხეული უცახცახებს). არც მე?..

სოლნესი. ახლა უკვე სხვა საფეკრალი და საზრუნავი გამოგიჩნდებათ. ამას რა სჯობია! მაშ. აიღეთ ნახაზები და შინ წადით, ფრიოკენ ფოსლი. ჩქარა! გესმით?

კაია (უწინდებურად). დიახ. ბატონო სოლნეს. (გადის).

ფრუ სოლნესი. აჰ, რა ცბიერი თვალები აქვს!

სოლნესი. ვის? ამ საცოდავს?

ფრუ სოლნესი. არა, მე ვერაფერს გამომაპარებ, ჰალვარ!.. შენ რა, მართლა ითხოვ რაგნარს?

სოლნესი. დიახ.

ფრუ სოლნესი. ფრიოკენ ფოსლისაც?

სოლნესი. განა შენ ყველაზე მეტად სწორედ ეს არ გსურდა?

ფრუ სოლნესი. კი მაგრამ, შენ რალა გეშველება უმისოდ?.. თუმცა, ჰო... ალბათ, შემცვლელი უკვე მოძებნილი გყავს, ჰალვარ!

ჰილდა (მზიარულად). ყოველ შემთხვევაში, მე დახლს უკან სადგომად არ გამოვდგები.

სოლნესი. შენ დარდი ნუ გაქვს, ყველაფერს მოველება, აღინა. ახლა მხოლოდ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ რაც შეიძლება მალე გადავიდეთ ჩვენს ახალ სახლში. დღეს საღამოსვე დაეკიდებთ გვირგვინს... (ჰილდას მიუბრუნდება). მალლა, სულ მალლა. კომისის წვერზე... რას იტყვიოთ ამაზე, ფრიოკენ ვანგელ?

ჰილდა (თვლებანთებული მისიერება). ღმერთო, რა დიდებული სანახაობა იქნება... კვლავ გიხილოთ ამ სიმალლეზე!

სოლნესი. მე?!

ფრუ სოლნესი. ღმერთო ჩემო! რას არ მოიგონებთ ფრიოკენ ვანგელ! ჩემი ქმარი -- ამ სიმალლეზე?.. მაშინვე თავბრუ დაეხვევა.

ჰილდა. კი, როგორ არა!

ფრუ სოლნესი. მე გეუბნებით.

ჰილდა. კი მაგრამ. მე ხომ ჩემი თვალთ მინახავს ეკლესიის თვალუწედენ კოშკზე?

ფრუ სოლნესი. დიახ. მეც მოთხრეს... მაგრამ ეს ყოველად შეუძლებელია.

სოლნესი (გაღიზიანებით). შეუძლებელია... შეუძლებელია... მე კი მაინც ვიდექი... სულ მალა. წვერზე!

ფრუ სოლნესი. რას ამბობ, აბა. რას ამბობ, ჰალვარ?! შენ მეორე სართულის აივანზეც კი ვერ გახვალ. ყოველთვის ასეთი იყავი.

სოლნესი. დღეს სალამოს სხვა რამის მოწმე გახდები.

ფრუ სოლნესი. არა, არა, ღმერთმა დამიფაროს! ახლავე, ახლავე მივწერ ექიმს. ის გადაგათქმევინებს.

სოლნესი. კი მაგრამ, აღინა!..

ფრუ სოლნესი. მაშ, რა ვქნა? შენ ავადა ხარ. ჰალვარ! სხვა რა ვიფიქრო? ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! (ჩქარი ნაბიჯით გადის ხელმარჯვნივ).

ჰილდა (დასაბუჯად ეყურებს სოლნესს). მართლა ასეა?

სოლნესი. რა? რომ თავბრუ მესხმის?

ჰილდა. რომ ჩემი მშენებელი ვერ შესძლებს... ვერ გაბედავს იმ სიმაღლეზე ასვლას, რომელიც თვითონვე აღმართა?

სოლნესი. აი, თურმე როგორ მიყურებთ.

ჰილდა. დიახ.

სოლნესი. მალე ალბათ სულში აღარ დამჩება არც ერთი კუნჭული, თქვენ რომ დაგემალოთ.

ჰილდა (ფანჯარაში იყურება). მაშ, ასე, მალა... სულ მალა...

სოლნესი (უახლოვდება). სულ მალა. კოშკის წვერზე პატარა სენაკია. ჰილდა. შეიძლებოდა, სწორედ ის ამოგერჩიათ და... პრინცესასავით გეცხოვრათ.

ჰილდა (ძელი გასარჩევია, სერიოზულად ამბობს თუ ზემოზბს). მართლაცდა, აკი აღმითქვით.

სოლნესი. მართლა აღვითქვით?

ჰილდა. გრცხვენოდეთ. მშენებლო! თქვენ ხომ აღმითქვით, ჩემი პრინცესა იქნებით და სამეფოს გაჩუქებთო? შემდეგ კი აიღეთ და... ექ!..

სოლნესი (ფრთხილად). დარწმუნებული ხართ, რომ ეს მხოლოდ სიზმარია, წარმოსახვის თამაში არ იყო?

ჰილდა (გააღმასებით). ესე იგი, თქვენ არათფერი ამდაგვარი არ აღვითქვამთ?..

სოლნესი. თვითონაც არ ვიცი, მართალი გითხრათ... (ხმადაბლა).  
ახლა მხოლოდ ერთი რამ ვიცი დაბეჭილებით...

ჰილდა. რა? ჩქარა მითხარით!..

სოლნესი. რომ უთუოდ უნდა აღმეთქვა.

ჰილდა (ლალად, აგზნებით). და ამნაირ კაცს შეიძლება თავებრუ  
დაესხას?... არასოდეს!..

სოლნესი. ასე რომ, ამ საღამოს გვირგვინს დავკიდებთ, პრინცესა  
ჰილდა!

ჰილდა (ცოტა არ იყოს, სიმწრით). თქვენი ახალი ოჯახური კერის...

სოლნესი. ჩემი ახალი სახლის კოშკზე, რომელიც ჩემთვის  
არასოდეს არ იქცევა ოჯახურ კერად (პატარა კარში გადის).

ჰილდა (მარტოა, დაბინდული მზერით იყურება წინ და თავისთვის რაღაცას  
ჩურჩულებს, მხოლოდ ამის გარჩევა თუ შეიძლება)... სუნთქევა  
გეკერის...

## მესამე მოქმედება

დიდი, განიერი ვერანდა. მარცხენა მხარეს სოლნესის სახლის ერთი კედლის  
ნაწილი ჩანს, ვერანდაზე გამავალი კართ. ხელმარჯვნივ ვერანდას მოაჭირი გასდევს.  
უფრო იქით, ვერანდის ვიწრო მხარეს, კიბეა, რომელიც ბალში ჩადის. ტანმალა,  
ბებერ ხეებს ვერანდასა და სახლის თავზე გადმოუფენიათ თავიანთი ტოტები.  
ვერანდიდან ხელმარჯვნივ, ცოტა მოშორებით, ხეებს შორის მოჩანს ახალი სახლის  
ქვემო სართული და ხარაჩოები, რომლებიც ჭერ კიდევ არ ჩამოუხსნიათ  
კოშკისათვის. უკანა მხარეს ძველი მესურია, რომელიც ბალს ქუჩისაგან ყოფს.  
ქუჩაზე დაბალი, უბადრუკი ქოხმახები ღვას.

ვერანდაზე, კედლის გასწვრივ, გრძელი მერხი ღვას, მის წინ კი -- ასევე  
გრძელი მაგიდა. მაგიდის მეორე მხარეს საეარძელი და რამდენიმე დაბალი სკამი  
დაუდგამთ. მთელი ავეჯი მოწნულია.

საღამოვდება, ღრუბლები ჩამავალი მზის შექითაა განათებული.

ფრუ სოლნესი საეარძელში ჩამჯდარა, გრძელი, თეთრი შალი მოუსხამს და  
მარჯვნივ იყურება. ცოტა ხნის შემდეგ ბალიდან ვერანდაზე ამოდის ჰილდა. იგივე  
კაბა აცვია და იგივე ქუდი ახურავს, რაც წინა მოქმედებაში. მკერდზე მინდვრის  
ყვავილების პაწაწინა თაიგული მიუბნევია.

ფრუ სოლნესი (ოდნავ შემოაბრუნებს თავს). ბალში სეირნობდით,  
ფრიოკენ ვანგელ?

ჰილდა. დიახ. მთელი ბალი შემოვიარე.

ფრუ სოლნესი. ვხედავ, ყვავილებიც დაგიკრეფიათ.

**ჰილდა.** დიახ. ჭერ კიდევ ბლომადაა. განსაკუთრებით, ბუჩქების ძირას.

**ფრუ სოლნესი.** მართლა? ჭერ კიდევ ბლომადაა? მე არასოდეს არ დავდივარ იქ.

**ჰილდა** (უახლოვდება). როგორ, განა ყოველდღე არ ჩარბიხართ ბაღში?

**ფრუ სოლნესი** (ოღნავ შესაძინევი ლიმილით). რალა დროს ჩემი სირბილია ?

**ჰილდა.** არა, მართლა, ნუთუ ხანდახან მაინც არ ჩადიხართ ბაღში, რომ ამ მშვენიერებით დატკბეთ?

**ფრუ სოლნესი.** აქ ყველაფერი ისე უცხო გახდა ჩემთვის. თვალის შეველებისაც კი მეშინია.

**ჰილდა.** თქვენი საკუთარი ბაღის გეშინიათ?

**ფრუ სოლნესი.** მე მას აღარ ვუყურებ როგორც ჩემს საკუთარს.

**ჰილდა.** აბა, რას ამბობთ?..

**ფრუ სოლნესი.** დიახ, დიახ. ეს უკვე აღარ არის ჩემი ბაღი. განა ამნაირი იყო ჩემი მშობლების სიცოცხლეში. აბა, დაფიქრდით, ჭერ იყო და ცალკე ნაკვეთებად დაჰყვეს, მერე სხვისი ბავშვებისთვის სახლები ააშენეს. მე მათ არ ვიცნობ, ისინი კი სხედან და თავ-თავიანთი ფანჯრებიდან მიცქერიან.

**ჰილდა** (ნათელ მზერას მიჰაყრობს). ფრუ სოლნეს...

**ფრუ სოლნესი.** რა?

**ჰილდა.** შეიძლება ცოტა ხანს თქვენს გვერდით ჩამოვჭდე?

**ფრუ სოლნესი.** რა თქმა უნდა, თუ გნებავთ.

**ჰილდა** (ერთ დაბალ სკამს მაგიდასთან მიჰოჩებს და ჭდება). აჰ, რა კარგია... აქ შეიძლება იჭდე და კატასავით თბებოდღე მზებზე.

**ფრუ სოლნესი** (ხელით ოღნავ ეხება კეფაზე). რა კარგია, ჩემს გვერდით ჩამოჭდომა რომ მოისურვეთ. მე მგონია, იქ, ჩემს ქმართან, წახვიდოდით.

**ჰილდა.** რა საქმე მაქვს იქ?

**ფრუ სოლნესი.** რა ვიცი, იქნებ, დახმარებოდით?

**ჰილდა.** არა გმადლობთ. ეგეც არ იყოს, იქ არ არის, მუშებთან წავიდა. ისეთი მძვინვარე სახე ჰქონდა, რომ მართალი გითხრათ, დალაპარაკებისა შემეშინდა.

**ფრუ სოლნესი.** სინამდვილეში კი, იცით, რა მშვიდი და თვინიერია?

**ჰილდა.** ის?

**ფრუ სოლნესი.** თქვენ მას ჭერ კიდევ არ იცნობთ კარგად, ფრიოკენ ვანგელ.

ჰილდა (თანაგრძნობით უკურებს). ახალ სახლში გადასვლა თუ გიხარიათ?

ფრუ სოლნესი. კაცმა რომ თქვას, კი უნდა მიხაროდეს, ჰალვარს ხომ გულით სწადია...

ჰილდა. მე მგონია, არა მარტო ამიტომ.

ფრუ სოლნესი. დიახ. დიახ. ფრიოკენ ვანგელ. ჩემი ვალია, ქმრის მორჩილი ვიყო. მაგრამ რა ვქნა, ზოგჯერ მაინც მიჭირს ეს მორჩილება.

ჰილდა. დიახ. ალბათ. ადვილი როდია...

ფრუ სოლნესი. დამერწმუნეთ. ვისაც იმდენი ნაკლი აქვს, რამდენიც მე...

ჰილდა. ვის გადაუტანია ცხოვრებაში იმდენი რამ, რამდენიც თქვენ?..

ფრუ სოლნესი. ვინ გითხრათ?

ჰილდა. თქვენმა ქმარმა მიაგზო.

ფრუ სოლნესი. ჩემთან იშვიათად თუ ლაპარაკობს ამაზე. დიახ, დამერწმუნეთ. ცოტა რამის გადატანა როდი მომიხდა ცხოვრებაში, ფრიოკენ ვანგელ.

ჰილდა (თანაგრძნობით უსჯერს და ნელა უქხევს თავს). როგორ მეცოდებით! ჭერ იყო და, სახლი დაგეწვიათ...

ფრუ სოლნესი (აპოიოხებას). რაც მქონდა, ყველაფერი დამეწვა.

ჰილდა. შემდეგ კი, უფრო უარესი.

ფრუ სოლნესი (კითხვის გამოძახებული მზერით უსჯერს). უარესი?..

ჰილდა. ყველაზე უარესი.

ფრუ სოლნესი. რას გულისხმობთ?

ჰილდა (ჩუბად). თქვენ ხომ ორივე ბავშვი დაკარგეთ?

ფრუ სოლნესი. ჰო-ო. ეს... იცით, ეს სულ სხვა რამეა. ასე ინება განგებამ. მისი ნების წინაშე კი ქედის მოდრეკა გვმართებს. და არა მარტო ქედის მოდრეკა. მაღლსაც კი უნდა ვწირავდეთ.

ჰილდა. და თქვენ ასე იქცევით?

ფრუ სოლნესი. სამწუხაროდ, ყოველთვის არა. თუმცა კი ვიცი, რომ ეს ჩემი ვალია, მაგრამ, რა ვქნა, მაინც არ შემიძლია.

ჰილდა. რა თქმა უნდა; ჩემი აზრით, საუესებით გასაგებია.

ფრუ სოლნესი. და მე ხშირად იძულებული ვარ, ჩემსავე თავს გავეუმეორო. რომ დიახაც დავიმსახურე ეს სასჯელი.

ჰილდა. კი მაგრამ, რით?

ფრუ სოლნესი. უბედურებაში დიდსულოვნება ვერ გამოვიჩინე.

ჰილდა. ვერ გამოვიდა...

ფრუ სოლნესი. აჰ, არა, არა. ფრიოკენ ვანგელ... ნულარ მელაპარაკებით ჩემს პატარებზე. ახლა ისინი ისე კარგად არიან... დიახ, ძალიან კარგად... მაგრამ. აი. პატარ-პატარა დანაკარგები... სწორედ ისინი მიფლუონ გულს... დაკარგვა ყოველივე იმისა, რაც სხვებს ჩირადაც არ უღირთ...

ჰილდა (მუხლებზე ხელს ადებს და გულობილი თანაგრძნობით ექვიერის). ძვირფასო ფრუ სოლნეს... მითხარით, რა გაწუხებთ.

ფრუ სოლნესი. აკი გითხარით... უბრალო წვრილმანები-მეთქი. ასე მაგალითად, დაიწვა ყველა საოჯახო პორტრეტი... აბრეშუმის ყველა ძველებური კაბა, რომლებიც ადამის დროიდან ინახებოდა ჩვენს ოჯახში... დედაჩემისა და ბებიაჩემის ყველა მაქმანი... და თქვენ წარმოიდგინეთ. ყოველგვარი ძვირფასეულობა! (ყრუღ). ეს კიდეც რაა. -- ყველა თოჯინაც!

ჰილდა. თოჯინა?..

ფრუ სოლნესი (ცრემლებსა წააპავს). ცხრა საუცხოო თოჯინა მყავდა.

ჰილდა. და ცხრავე დაიწვა?

ფრუ სოლნესი. ცხრავე. ეს ისეთი საშინელება იყო ჩემთვის... ისეთი საშინელება...

ჰილდა. ნუთუ ცხრავე თოჯინას ინახავდით, რომლებითაც ბავშვობაში გითამაშნიათ?

ფრუ სოლნესი. ვინახავდი კი არა, მათთან ერთად ვცხოვრობდი... ისევე, როგორც ჩემს ბავშვობაში.

ჰილდა. მას მერეც, რაც დიდი გახდით?

ფრუ სოლნესი. დიახ. ქალიშვილობაშიც.

ჰილდა. და მას მერეც, რაც გაოხოვდით?

ფრუ სოლნესი. რა თქმა უნდა. მხოლოდ ქმარს კი ვუმალავდი... მაგრამ ცხრავე დაიწვა... საცოდავები! არავის შეუწუხებია თავი მათ გადასარჩენად. ეჰ. გაისენებაც კი რა მწარეა... ნუ დამცინით. ფრიოკენ ვანგელ.

ჰილდა. აზრადაც არ მომსვლია თქვენი... ნება.

ფრუ სოლნესი. ეს თოჯინები ჩემთვისაც ცხლები იყვნენ. გულში ჩახუტებულს დავატარებდი, როგორც ჭერ კიდეც დაუბადებელ ბავშვებს...

სახლიდან ვერანდაზე გამოდის ექიმი ჰერალდი. ხელში ქელი ექიპაგს. ფრუ სოლნესისა და ჰილდას დანახვაზე მოკენ გაეშურება.

ექიმი. აჰ სად დამჯდარხართ. გინდათ გაცივდეთ. ფრუ სოლნეს?

ფრუ სოლნესი. მე მგონია, დღეს აჰ ისე მყუდროა, თბილა.

ექიმი. ეგ კი მართალია... მაგრამ რა მოხდა? თქვენი ბარათი მივიღე.



ფრუ სოლნესი (დგება). დიახ, მინდა მოგელაპარაკოთ.

ექიმი. კეთილი. ოთახში ხომ არ შევიდეთ? (პილას). თქვენ დღესაც სამგზავრო მუნდირში ხართ გამოწყობილი, ფრიოკენ?

პილდა (დგება; მზიარულად). დიახ, ჩემს საპარადო ფორმაში! მაგრამ დღეს კისრის მოსატეხად არსად მივდივარ. აქ, ჩვენთვის მშვიდად ვისხდებით და ვუყურებთ, ძვირფასო ექიმო!

ექიმი. კი მაგრამ, რას უნდა ვუყუროთ?

ფრუ სოლნესი (ჩუმაღ; შეშინებული უყურებს პილას). სსუ... სსუ... თუ ღმერთი გწამთ! გადაათქმევინეთ ეს ახირება, და ჩვენ მეგობრები ვიქნებით, ფრიოკენ ვანგელ. ნუთუ არ შეიძლება, რომ მე და თქვენ მეგობრები ვიყოთ?

პილდა (მხურვალედ შემოესვენება ყელზე). აპ, რომ შეგეძლოთ!

ფრუ სოლნესი (ნელა ითავისუფლებს თავს). კარგი, კარგი!.. უკვე მოდის, ექიმო. მე კი ორი სიტყვაც არ მითქვამს თქვენთვის.

ექიმი. განა მას ეხება საქმე?

ფრუ სოლნესი. რა თქმა უნდა. ჩქარა შევიდეთ ოთახში.

ექიმი და ფრუ სოლნესი ოთახში შედიან. ბალიდან ვერანდაზე ამოდის სოლნესი. პილდას სახე უსერიოზულდება.

სოლნესი (აღმაყრად გახედავს კარს, რომელსაც ნელა ხურავენ შიგნიდან). ალბათ, შენიშნეთ, პილდა, როგორც კი მოვალ, ჩემი ცოლი მაშინვე მიდის.

პილდა. დიახ, შევნიშნე: როგორც კი მოხვალთ, მაშინვე აიძულებთ წავიდეს.

სოლნესი. შესაძლოა. მაგრამ რა გაეწყობა? (აკვირდება). ხომ არა გცივათ, პილდა? ისეთი სახე გაქვთ...

პილდა. ეს-ესაა სასაფლაოზე ვიყავი.

სოლნესი. რაო?

პილდა. სულ მთლად გავიყინე, მშენებელი.

სოლნესი. ა-ა, მგონი, ვხედები.

პილდა. რისთვის მოხვედით?

სოლნესი. იქიდან დაგინახეთ.

პილდა. მაგრამ ისიც ხომ დაინახეთ?

სოლნესი. ვიცოდი, რომ ჩემი მოსვლისთანავე წავიდოდა.

პილდა. გული გტკივათ, რომ გაგირბით?

სოლნესი. პირიქით, ერთი მხრივ. გულზეც კი მეშვება ხოლმე.

პილდა. იმიტომ, რომ თავს გარიდებთ?

სოლნესი. დიახ.

პილდა. და ამრიგად, გამუდმებით ველარ ხედავთ, როგორ გლოვობს თავის პატარებს?

სოლნესი. დიახ, უპირატესად, ამის გამო.

ჰილდა ვერანდაზე მოჰყვება სიარულს; ხელები უკან აქვს შემოწყობილი; შემდეგ მოაჩირთან ჩერდება და ბალში იყურება.

(ხანმოკლე პაუზის შემდეგ). დიდხანს საუბრობდით?

ჰილდა უძრავად დგას და ღუმს.

დიდხანს საუბრობდით-მეთქი? თქვენ გეკითხებით!

ჰილდა კვლავ ღუმს.

მაინც რაზე გელაპარაკებოდათ, ჰილდა?

ჰილდა ღუმის განაგრძობს.

საბრალო აღინა!... ალბათ, პატარებზე...

ჰილდას ნერვიული კანკალი იტანს, მოელი სხეული უცახცახებს, შემდეგ რამდენჯერმე უხმოდ უქნევს თავს.

ვერასოდეს ვერ დაივიწყებხ იმ ცოდვის შვილებს, ვერასოდეს... თავის სიცოცხლეში! (ჰილდას უახლოვდება). ახლა თქვენ კვლავ ქანდაკებასავით დგახართ. როგორც წუხელ.

ჰილდა (შემობრუნდება და დიდხანს უცქერის). უნდა წავიდე!

სოლნესი (უხეშად). უნდა წახვიდე?

ჰილდა. დიახ.

სოლნესი. კი, მაგრამ, ვინ გიშვებთ?

ჰილდა. აბა, რა ვაკეთო აქ?

სოლნესი. კეთება რა შუაშია? მხოლოდ აქ იყავით. ჰილდა!

ჰილდა (თვალით აზომაეს). უღრმეს მადლობას მოგახსენებთ. მარტო ჩემი აქ ყოფნით, ალბათ, ყველაფერი არ დამთავრდება.

სოლნესი (უნებურად). მით უკეთესი!

ჰილდა (აგზნებით). არა, არ შემიძლია ვულალატო ადამიანს, რომელსაც ვიცნობ. არ შემიძლია ავიღო ის, რაც მას ეკუთვნის.

სოლნესი. კი მაგრამ, ვინ გაიძულებთ?

ჰილდა (უწინდებურად). უცხო რომ იყოს, კიდევ ჰო! მაშინ სულ სხვა საქმეა!.. ადამიანი, რომელიც ჩემს სიცოცხლეში თვალითაც არ მინახავს... მაგრამ ის, ვინც ახლოს გავიცანი... ფუჰ! არა... არა!

სოლნესი. კი მაგრამ, ერთი სიტყვით თუ ვახსენებ რამე ამგვარი?

ჰილდა. აჰ, მშენებელი, თქვენ ძალიან კარგად იცით, ბოლოს და ბოლოს, რა მოჰყვება ამას. ამიტომაც უნდა წავიდე.

სოლნესი. კი მაგრამ, მე რა მეშველება? რისთვის უნდა ვიცოცხლო თქვენი წასვლის შემდეგ?

პილდა (კვლავ რაღაც უცნაური გამობრუნებებით). თქვენ რა გიპირთ?..  
რამხელა მოვალეობა გაქისრიათ ცოლის წინაშე! პოდა, ამ  
მოვალეობის მოსახდელად უნდა იცოცხლოთ.

სოლნესი. უკვე გვიანაა! ეს წყველი ძალა... ეს... ეს...

პილდა. ეშმაკეული?..

სოლნესი. დიახ. დიახ. ეშმაკეული!.. ო. ეს ეშმაკები. ეს კინკები!  
.. და ეს ტროლი. სულში რომ მიზის! სწორედ მათ გამოსწოვეს  
მთელი სისხლი აღინას! (სასოწარკვეთილი სიცილით). ჩემი ბედნიე-  
რება უნდოდათ და იმიტომ... დიახ. დიახ. ჩემი ბედნიერება!..  
(ყრუღ). და ახლა ის... მკვდარია... ჩემი გულისთვის! მე კი  
იცოცხალი ვარ და ... სამუდამოდ მკვდარს მიჯაჭვეული  
(შეძრწუნებით). მე... მე... მე!.. ვისაც სიცოცხლე არ შემიძლია  
უსიხარულოდ.

პილდა (მაგიდას შემოუჯლის და მერხზე ჯდება: იდაყვებით მაგიდას ეყრდნობა,  
სიკაპით კი -- ხელისგულებს და ეროხანს ასე უცქერის სოლნესს). ახლა  
რის შენებას აპირებთ?

სოლნესი (თავს აქნევს). არა მგონია. რომ ახლა რაიმე დიდის შენება  
შეეძლო.

პილდა. კი მაგრამ, ნათელი, მყუდრო სახლები?.. პაწაწინა ბუდეები  
დედ-მამებისა და შვილებისთვის?

სოლნესი. ნეტავი გამაგებინა, კიდევ დასჭირდება თუ არა ისინი  
ხალხს?

პილდა. საბრალო მშენებელი! მთელი ათი წელი ამას შესწირეთ?..  
ათი წელი კი არა. მთელი სიცოცხლე... მხოლოდ ამას?

სოლნესი. დიახ. თქვენ უფლება გაქეთ, ასე ილაპარაკოთ, პილდა.

პილდა (უეცარი აგზინებით). ოჰ, ღმერთო, რა სისულელეა... რა  
სისულელეა... ყოველივე ეს!

სოლნესი. რა არის სისულელე?

პილდა. რა და ის. რომ არ შეგიძლია ხელი გაუწოდო საკუთარ  
ბედნიერებას! შენს საკუთარ სიცოცხლეს! მხოლოდ იმიტომ,  
რომ გზას გიღობავს ადამიანი, რომელსაც იცნობ!

სოლნესი. შენ კი უფლება არა გაქვს, ხელი ჰკრა და გზიდან  
ჩამოიშორო!

პილდა. სინამდვილეში კი, კაცმა რომ თქვას, ვითომ მართლა არა  
გაქვს უფლება?.. მაგრამ, მეორე მხრივ. მაინც... აჰ! რა იქნება  
დაწვე და დაიძინო, რომ ყველაფერი სიზმარი გეგონოს!  
(მაგიდაზე დადებს ხელს, მარცხენა ლოყით დაესვენება და თვალს  
მიღუღავს).

~~სოლნესი (საეარქველს ჰაეიდესენ ჰქარდობისკუ საბოთუკეთსიარ, --  
პილდა?~~

პილდა (გაუნძირეველად: თითქოს სიზმარშიაო). ბუდე კი არა. გალია  
მქონდა... მხოლოდ გალია.

სოლნესი. და დაბრუნება აღარ გინდათ?

პილდა (ისევ ისე). ტუის ლალ ფრინველს რა მოანატრებს გალიას?

სოლნესი. უმჯობესია ჰაეროვან სივრცეში დაჰქროდე და ნა-  
ღირობდე?..

პილდა. მტაცებელი ფრინველისთვის -- უმჯობესია.

სოლნესი (დაეიხებით უცქერის). ეპ. ამ ცხოვერებაში ვიკინგების  
სიოამამე უნდა-ჰქონდეს კაცს...

პილდა (თვალს ახელს, მაგრამ არ ირჩევს; ისევ თავისი ჩვეულებრივი ხმით).  
და კიდეც რა, თუ იცით? მოიხარით, კიდეც რა?

სოლნესი. გამძლე და ამტანი სინიღისი.

პილდა (სწრაფად სწორდება; თვლები კვლავ უბრწყინავს და მხიარულად  
უქსევს თავს). მე ვიცი, რის შენებასაც დაიწყებთ ახლა.

სოლნესი. ესე იგი, ჩემზე მეტი გცოდნიათ, პილდა.

პილდა. რა თქმა უნდა. მშენებლები ხომ ისეთი სულელები არიან.

სოლნესი. მაინც რის შენებას დაიწყებ?

პილდა (ისევ თავს უქსევს). ციხე-დარბაზისას.

სოლნესი. ვისთვის?

პილდა. ჩემთვის, რალა თქმა უნდა.

სოლნესი. ახლა ციხე-დარბაზი მომინდომა.

პილდა. შეიძლება გკითხოთ, -- აღმოთქვით თუ არა სამეფო?

სოლნესი. დიახ, -- თუ თქვენს სიტყვებს ვენდობით.

პილდა. მაშ. ასე. თქვენ აღმოთქვით სამეფო; ციხე-დარბაზის  
გარეშე კი სამეფო რა სამეფოა?

სოლნესი (სულ ეფრო და ეფრო ზეტი გამოცოცხლება ეტყობა). დიახ,  
დიახ, რა თქმა უნდა!

პილდა. ჰოდა, ამიშენეთ! ცოცხლად!

სოლნესი (იციინის). ახლავე?

პილდა. რა თქმა უნდა. აკი ათი წელი გავიდა. მეტი ცდა აღარ  
შემიძლია. მაშ. მომართვით ჩემი ციხე-დარბაზი, ბატონო  
მშენებელო.

სოლნესი. ჩემს მტერს თქვენი ვალი. პილდა.

პილდა. ამაზე აღრე უნდა გეფიქრათ. ახლა უკვე გვიანაა. ასე  
რომ... (მაგადაზე აკაკუნებს). მომართვით ციხე-დარბაზი! ჩემი  
ციხე-დარბაზი!.. ახლავე! გვისმით?

მინც როგორ წარმოგიდგებოდა? გეგოლაზე აწყობს; სეროზულად).  
პილდა?

**პილდა** (გეგონებათ, თვალზე თანდათან ბინდი ეკვრის და თითქოს შიგნით, თავის თავში იყურებაო; ნელა). ჩემი ციხე-დარბაზი მალალ მთაზე უნდა იდგეს, თვალუწედენ მთაზე... ირგვლივ კი უსასრულო სივრცე იყოს გაშლილი, რათა თვალი შორს უწევდეს. ძალიან შორს... გარშემო, ყოველი მიმართულებით.

**სოლნესი**. და მალლა კოშკი უნდა აგვირგვინებდეს?

**პილდა**. თვალმუდგამი!.. კოშკის წვერზე კი აივანი უნდა იყოს. აი, სწორედ იქ მინდა ვიდგე...

**სოლნესი** (უნებურად თავზე იტაცებს ხელს). რა გინდათ ამ თავბრუ-დამხვევ სიმაღლეზე?

**პილდა**. არა, მხოლოდ იქ!.. ამ სიმაღლეზე მინდა ვიდგე და დაბლა ვიყურებოდე... ვხედავდე. ვინ აშენებს ეკლესიებსა და სახლებს... მყუდრო ოჯახურ ბუდეებს დედ-მამისა და მათი ბარტყებისათვის... ისე კი, ალბათ, მოგიწვევთ და ნებას დაგართავთ, ჩემი სამფლობელოთი დატკბეთ.

**სოლნესი** (ყრუდ). პრინცესა... მიიწვევს მშენებელს?

**პილდა**. თუკი მშენებელი მოისურვებს...

**სოლნესი** (ჩუბად). მე გგონია... მშენებელი მოვა.

**პილდა** (თავს უქნევს). მშენებელი... მოვა.

**სოლნესი**. მაგრამ შენების უფლებას კი, ალბათ, აღარ მომცემენ, მე საცოდავს.

**პილდა** (განცვიფრებით). პირიქით, ჩვენ ერთად ვაშენებთ! იცით, რას? ამქვეყნად ყველაზე საოცარს, ყველაზე ლამაზს, ყველაზე დიადს... ნამდვილ სასწაულს!

**სოლნესი** (დაძაბულად). მითხარით, მინც რა იქნება ეს, პილდა?

**პილდა** (ილიბება, უუერებს და თავს აქნევს; ტუნებს გაბუსხავს და ისე ლაპარაკობს, როგორც ელაპარაკებიან პატარა ბავშვს). ღმერთო, რა სულელი... სულელზე-სულელი ხალხია ეს მშენებლები.

**სოლნესი**. რა თქმა უნდა, სულელზე-სულელი... დიახ! მაგრამ მითხარით, მინც რა იქნება ეს სასწაული? რას ავაშენებთ მე და თქვენ, პილდა?

**პილდა** (ხანმოკლე პაუზის შემდეგ; იღუმალი მზერით). ჰაეროვან კოშკებს!

**სოლნესი**. ჰაეროვან კოშკებს?

**პილდა** (თავს უქნევს). დიახ, ჰაეროვან კოშკებს! იცით, რა არის ჰაეროვანი კოშკი?

**სოლნესი**. ნამდვილი სასწაული... როგორც თქვენ ბრძანებთ.

~~ჰილდა (წამობტება და ისე გაიქნევს ხელს, თოქოს რაფაელს უბრუნობს) ისე უღვილია დამალვა! სხვათა შორის, არც მისი აზვნებაა ძნელი. (დამკინავად უქქერის). სწორედ რომ მისწრებაა მშენებლებისთვის, რომლებსაც სინილისის ქენჯნისაგან თავებრუ ესხმით!~~

სოლნესი (დგება). ამიერიდან ერთად ვაშენებთ, ჰილდა!

ჰილდა (ნახევრად უნდო ლიბლით). ესე იგი... ნამდვილ ჰაეროვან კომქს?

სოლნესი. დიახ. მხოლოდ ქვის საძირკველზე.

სახლიდან გამოდის რაგნარ ბრუეიკი; ხელში მწვანე ტოტებისა და ყვავილების ვეებერთელა გვირგვინი უჭირავს, აბრეშუმის ბაფთებით დამშვენებული.

ჰილდა (გახარებული წამოიძახებს). გვირგვინი! ღმერთო, რა დიდებული სანახავი იქნება!

სოლნესი (განცვიფრებით). გვირგვინი? თქვენ მოიტანეთ, რაგნარ? რაგნარი. დიახ, ათისთავს შევპირდი.

სოლნესი. ა-ა!.. მამათქვენი უკეთა?

რაგნარი. არა.

სოლნესი. ჩემმა წარწერამ ოდნავ მაინც არ გაამხნევა?

რაგნარი. დაგიგვიანდათ.

სოლნესი. დამაგვიანდა?

რაგნარი. ნახაზები რომ მოუტანეს, უკვე უგონოდ იყო. სისხლი ჩაექცა.

სოლნესი. მაშ, აქ რა გინდათ? სახლში წადით და მიხედეთ.

რაგნარი. ჩემი მიხედვა აღარ სჭირდება.

სოლნესი. სულერთია, მაინც მის გვერდით უნდა იყოთ.

რაგნარი. მასთან კაია დარჩა.

სოლნესი (ცოტა არ იყოს, გაუბედავად). კაია?

რაგნარი (პირქუშად უყურებს). დიახ. დიახ, კაია!

სოლნესი. შინ წადით, რაგნარ. მამათქვენთან და კაიასთან. ეგ გვირგვინი კი დამიტოვეთ.

რაგნარი (ძლივს იკაეებს დამკინავ ლიბლს). კი მაგრამ, თვითონ თქვენ ხომ არ?..

სოლნესი. დიახ, მე თვითონ ავიტან (გვირგვინს იღებს). თქვენ კი შინ წადით. დღეს მეტად აღარ მჭირდებათ.

რაგნარი. ვიცი რომ აღარ გჭირდებათ, მაგრამ დღეს მაინც დავრჩები.

სოლნესი. თუ ასე ძალიან გინდათ, დარჩით.

ჰილდა (მოაჭირთან). მშენებელო, მე აქედან გიყურებთ!

ჰილდა. დიახ. ეს იქნება დაუვიწყარი სანახაობა.

სოლნესი. ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. ჰილდა. (ბაღში ჩადის და ხელმარჯვნივ მიემართება; თან გვირგვინი მოაქვს).

ჰილდა (თვალს გააყოლებს სოლნესს და შემდეგ რაგნარს მიუბრუნდება).  
მადლობა მაინც გეთქვათ.

რაგნარი. ვისთვის?.. იმისთვის?

ჰილდა. რა თქმა უნდა. ურიგო არ იქნებოდა.

რაგნარი. თუ მადლობაა. ისევ თქვენი მადლობელი უნდა ვიყო.

ჰილდა. ეგ რა სათქმელია?

რაგნარი (უპასუხოდ ტოვებს). ფრთხილად იყავით, ფრიოკენ. როგორც ჩანს, კარგად არ იცნობთ.

ჰილდა (ოუცხად). ვინ? მე?.. ყველა თქვენგანზე უკეთ ვიცნობ.

რაგნარი (მწარე სიცილით). მადლობა მეთქვა!.. რისთვის? იმისთვის, რომ წლების მანძილზე მახრჩობდა და გასაქანს არ მაძლევდა?.. იმისთვის, რომ საწყალ მამაჩემს არწმუნებდა. შენი შვილი უნიკოაო?.. იმისთვის, რომ, ბოლოს და ბოლოს, მეც ექვი შემეპარა ჩემსავე თავში?.. და ყოველივე ამას მხოლოდ ის მიზანი ჰქონდა, რომ...

ჰილდა (თითქოს გუშინაა რაღაცა უგრძობო). რომ რა?.. ახლავე მითხარით!

რაგნარი. რომ კაია გვერდით ჰყოლოდა.

ჰილდა (ნაბიჯს გადადგამს მისკენ). ვინ, ბუხპალტერი?

რაგნარი. დიახ.

ჰილდა (მუქარით კუმშავს მუშტებს). ტყუილია! თქვენ ცილსა სწამებთ!

რაგნარი. დღევანდლამდე არც მე მჯეროდა... სანამ თვითონ კაიამ არ მითხრა.

ჰილდა (წონასწორობის დაკარგვას ცოტა უკლია). მაინც რა გითხრათ? მე უნდა ვიცოდე! ახლავე მითხარით!.. ახლავე, გესმით?

რაგნარი. მითხრა, მთელი სული ამომაცალა. ნებისყოფის ნატამალიც აღარ შემარჩინაო... მითხრა, უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია, მის გვერდით უნდა ვიყოო...

ჰილდა (თვალბის ბრიალით). ვინ მისცემს ამის ნებას, ვინ?

რაგნარი (გამომცდელიად). მაინც ვინ არ მისცემს?

ჰილდა. თვითონვე არ მისცემს!

რაგნარი. რა თქმა უნდა. ყველაფერი მშვენივრად მესმის! კაია ახლა მხოლოდ ხელს შეუშლიდა.

ჰილდა. არაფერი თქვენ არ გესმით... თორემ მაგას აღარ იტყოდით. სიმართლე თუ გნებავთ, მე მოგახსენებთ, რატომ არ იცილებდა გვერდიდან.

რაგნარი. რატომ?

ჰილდა. იმიტომ, რომ თქვენ არ გაეშვით.

რაგნარი. ეგ თვითონვე გითხრათ?

ჰილდა. არა, მაგრამ ასეა! ასე უნდა იყოს! (წონასწორობას კარგავს).  
მე მინდა... დიახ, მე მინდა, რომ ასე იყოს!

რაგნარი. თქვენც მოხვედით და ისიც მოიცილა.

ჰილდა. ის კი არა, თქვენ... დიახ, თქვენ მოგიცილათ! რაში  
სკირდება ვილაც უცხვირპირო გომბიოები?

რაგნარი (ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ). ნუთუ ჩემი ეშინოდა?

ჰილდა. ეშინოდა?! თავში არ აგვივარდეთ!

რაგნარი. ჰო, მართლა... ალბათ, რახანია, შენიშნა, რომ მეც თავი  
მაბია მხრებზე... შენიშნა და, რალა თქმა უნდა, შეშინდა.  
მართალი გითხრათ, ის ხომ მხდალია?

ჰილდა. მაინც?..

რაგნარი. დიახ, გარკვეული აზრით, მხდალია... ეს ჩვენი სახელოვ-  
ანი მშენებელი. როცა საქმე ეხება ვისიმე ბედნიერების,  
ვთქვათ, ჩემი, ან მამაჩემის ბედნიერების დანგრევას, აქ,  
იციოცხლე, ყოჩალია, უკან არ დაიხევეს. მაგრამ რაც შეეხება  
რალაც უბადრუკ ხარაჩოებზე ასვლას, -- ღმერთმა დაგი-  
ფაროთ!

ჰილდა. ნეტა იმ სიმაღლეზე... იმ საშინელ, თავბრუდამხვევ  
სიმაღლეზე გენახათ, სადაც მე დავინახე ერთხელ!

რაგნარი. თქვენი თვალით დაინახეთ?

ჰილდა. დიახ, დავინახე. ისე მშვიდად და ამაყად იდგა და  
ფლიუგერზე ამაგრებდა გვირგვინს.

რაგნარი. ვიცი, რომ ერთხელ, თავის სიცოცხლეში მხოლოდ  
ერთხელ, სიმამაცემ არ უღალატა. ერთადერთხელ! ჩვენ,  
ახალგაზრდებს, ხშირად გვილაპარაკია ამ შემთხვევაზე. მაგ-  
რამ, რომც მოჰკლათ, ველარ გაიმეორებს.

ჰილდა. დღეს გაიმეორებს!

რაგნარი (ზიზლით). ვნახოთ.

ჰილდა. ვნახოთ!

რაგნარი. ვერაფერსაც ვერ ვნახავთ. ვერც თქვენ და ვერც მე.

ჰილდა (მოთმინება ელევ). მე კი მინდა, მინდა, რომ ვნახო!  
აუცილებლად!

რაგნარი. მეტი არაა ჩემი მტერი! ვერ გაბედავს! სუსტია, ამ მხრივ,  
სუსტი, ჩვენი სახელოვანი მშენებელი.

ფრუ სოლნესი (ვერანდაზე გამოდის და აქეთ-იქით იყურება). სად არის?  
სად წავიდა?



რაგნარი. მუშებთან.

ჰილდა. გვირგვინით.

ფრუ სოლნესი (შეშინებული). გვირგვინით? ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ბრუეკი, თქვენ უნდა წახვიდეთ და დააბრუნოთ!

რაგნარი. ეუთხრა, რომ თქვენ ეძახით?

ფრუ სოლნესი. დიახ, ჩემო ძვირფასო. თუ შეიძლება... თუმცა, არა, არა... ნუ ეტყვი, რომ მე ვეძახი... უთხარით, რომ ვილაც მოვიდა... სასწრაფო საქმე აქვს-თქო.

რაგნარი. კეთილი. ახლავე, ფრუ სოლნეს. (კიბეს ჩაირბენს და ხელმარჯვნივ მიემართება ბალში).

ფრუ სოლნესი. აჰ, თქვენ ვერ წარმოილდგენთ, როგორ მეშინია, ფრიოკენ ვანგელ.

ჰილდა. საშიში რაა?

ფრუ სოლნესი. რა თქმა უნდა... მაგრამ ხომ გესმით? იქნებ მართლა ხარაჩოზე ასეა გადაწყვიტა?

ჰილდა (დაძაბულად). თქვენ გგონიათ, რომ აეა?

ფრუ სოლნესი. ვინ იცის, როდის რა მოეპრიანება; მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

ჰილდა. აჰ! ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ ის...

ფრუ სოლნესი. არ ვიცი, ღმერთმანი, არც კი ვიცი, რა ვიფიქრო... წელან ექიმმა ისეთი რამ მითხრა... და თუ მის ნათქვამს შევადარებთ ყოველივე იმას, რაც მე თვითონ ჩემი ქმრისგან გამიგონია, მაშინ...

ექიმი პერდალი კარში გამოიხედავს.

ექიმი. მალე მოვა?

ფრუ სოლნესი. მე გგონია. ყოველ შემთხვევაში, კაცი წავიდა დასაძახებლად.

ექიმი (ვერანაზე გამოდის). თქვენ ოთახში უნდა შებრძანდეთ.

ფრუ სოლნესი. აჰ, არა, აქ დაველოდები ჰალვარს.

ექიმი. კი მაგრამ, ვილაც ქალბატონები გეახლნენ; თქვენ გკითხულობენ.

ფრუ სოლნესი. ო, ღმერთო ჩემო! მაინცდამაინც ახლა მოუნდათ?

ექიმი. ამბობენ, აუცილებლად უნდა დავესწროთ ზეიმსო.

ფრუ სოლნესი. დიახ, დიახ; ესე იგი, უნდა მივიღო; რას იზამ, ჩემი ვალია.

ჰილდა. კი მაგრამ, არ შეიძლება სთხოვოთ, დღეს ნუ შეგაწუხებენ?

ფრუ სოლნესი. აჰ, არა, არა, როგორ იქნება? რახან მოვიდნენ, ჩემი ვალია, კიდევ მივილო... თქვენ კი აქ დარჩით და პალეართან იყავით, როდესაც მოვა...

ექიმი. ეცადეთ, რაც შეიძლება დიდხანს შეიქცით საუბრით.

ფრუ სოლნესი. დიახ, თუ შეიძლება, ძვირფასო ფრიოკენ ვანგელ, ნურსად გაუშვებთ.

ჰილდა. ხომ არ აჯობებდა, რომ თქვენ თვითონ...

ფრუ სოლნესი. აჰ, ღმერთო ჩემო... რა თქმა უნდა, ესეც ჩემი ვალია... მაგრამ როდესაც ვალი ორად გაქრას მოითხოვს შენგან, მაშინ...

ექიმი (მარჯვნივ იყურება). მოდის!

ფრუ სოლნესი. წარმოგიდგენიათ? -- უნდა წავიდე.

ექიმი (ჰილდას). ნუ ეტყვი, რომ აქა ვარ.

ჰილდა. კეთილი! სათქმელი არ გამომეღევა.

ფრუ სოლნესი. თუ შეიძლება, ერთ ნაბიჯზეც არსად გაუშვათ. ყველაზე უკეთ თქვენ მოახერხებთ ამას.

სახლში შედის. ექიმი უკან მიჰყვება. ჰილდა ვერანდაზე დგას. ბალიდან ამოდის სოლნესი.

სოლნესი. მითხრეს, ვილაცას შენი ნახვა უნდაო.

ჰილდა. დიახ... მე, მშენებლო!

სოლნესი. ა-ა! თქვენ, ჰილდა? მე კი მეშინოდა, ვაითუ ალინა და ექიმი მეძახიან-მეთქი.

ჰილდა. დიახ, თქვენ კაი გვარიანი მშიშარა ბრძანდებით.

სოლნესი. თქვენ გგონიათ?

ჰილდა. ამბობენ, ხარაჩოზე ასვლისა ეშინიაო.

სოლნესი. ო, ეს სულ სხვა რამეა.

ჰილდა. ესე იგი, გეშინიათ.

სოლნესი. დიახ, მეშინია.

ჰილდა. გეშინიათ, რომ ჩამოვარდებით და სასიკვდილოდ დაიმტკრევით?..

სოლნესი. არა, მაგისი არა, ჰილდა.

ჰილდა. მაშ, რისა?

სოლნესი. ნაცელისგების... ნაცელისგებისა მეშინია, ჰილდა.

ჰილდა. ნაცელისგების? (თავს აჩნევს). არ მესმის.

სოლნესი. ჩამოჭექით, რალაცას გიამბობთ.

ჰილდა. დიახ, დიახ, თუ შეიძლება, ახლავე! (მოაჩირთან, დაბალ სკამზე ჯდება და დაეინებით უყურებს სოლნესს).

სოლნესი (ქულს მაგიდაზე აგდებს). ხომ იცით... მე თავდაპირველად მხოლოდ ეკლესიებს ვაშენებდი.

ჰილდა. ვიცი, ვიცი.

სოლნესი. ჩემი მშობლები გლეხები იყვნენ; ორივე გულმხურვალე მორწმუნე გახლდათ. და მე მეგონა, შეუძლებელი იყო უფრო ღირსეული არჩევანი, ვიდრე ეკლესიების შენებაა.

ჰილდა. დიახ, დიახ.

სოლნესი. თამამად შემიძლია გითხრათ: ისეთი გულწრფელი, ისეთი ღრმა მოწიწებით ვაშენებდი ამ პატარა, ღარიბულ ეკლესიებს, რომ...

ჰილდა. რომ რა?..

სოლნესი. მეგონა, თითქოს ის კმაყოფილი უნდა ყოფილიყო ჩემით.

ჰილდა. ის? ვინ ის?

სოლნესი. ის, ვისი გულისთვისაც... ვისი დიდების და სუფევის გულისთვისაც აშენებენ ეკლესიებს.

ჰილდა. გასაგებია... კი მაგრამ, არა გჯეროდათ, რომ ის შეიძლებოდა კმაყოფილი ყოფილიყო თქვენით?

სოლნესი (მწარე სიცილით). კმაყოფილი -- ჩემით?! რას ამბობთ, ჰილდა! რაკილა ნება დართო ტროლს, განუკითხავად ეპარპაშა ჩემს სულში... უბრძანა, ჩემი პირველი დამახებისთანავე გამოცხადებულიყო... დღისით თუ ღამით... და ჩემი სამსახური დაუწესა ვალად ამ... ამ...

ჰილდა. კინკებს?

სოლნესი. დიახ, როგორც თეთრ, ისე შავ კინკებსაც... არა, რამდენჯერ დავრწმუნებულვარ, რომ ის კმაყოფილი არ იყო ჩემით. (იღუპალი ხმით). თორემ რატომ უნდა დამწვარიყო ძველი სახლი?

ჰილდა. ძველი სახლი რა შუაშია?

სოლნესი. ნუთუ არ გესმით? მას სურდა, რომ მე ნამდვილი ოსტატი გავმხდარიყავი ჩემს საქმეში... რათა, ამრიგად, დიდებული ტაძრები ამეგო მისთვის. თავდაპირველად, არ მესმოდა, მაინც რას მოითხოვდა ჩემგან, მაგრამ შემდეგ... უეცრად მივხვდი.

ჰილდა. როდის?

სოლნესი. როცა ეკლესიის კოშკს ვაშენებდი თქვენთან, ლიუსან-გერეში.

ჰილდა. ასეც ვფიქრობდი.

სოლნესი. აჰ, ამ უცხო ქალაქში, ჰილდა, მარტოდმარტო დავდიოდი

და ვფიქრობდი... ჩემთვის ვფიქრობდი. და უცებ ყველაფერი ნათელი გახდა: მივხვდი, თუ რატომ წამართვა ჩემი პატარები. იმიტომ, რომ ველარაფერს მიეტმანებოდი სულით... იმიტომ, რომ ჩემთვის უცხო ყოფილიყო სიყვარულიც და ბედნიერებაც... გესმით? რომ მე მხოლოდ მშენებელი ვყოფილიყავი... მხოლოდ მშენებელი და მეტი არაფერი. რომ მთელი სიცოცხლე მიმეძღვნა მხოლოდ ეკლესიების შენებისათვის! (სიცილით). მაგრამ ვერ მივართვი!..

**ჰილდა.** მაშ, რა ჰქენით?

**სოლნესი.** თაედაპირველად გამუდმებით ვფიქრობდი, ჩემს თავს ვცდიდი...

**ჰილდა.** მერე?

**სოლნესი.** მერე კი შეეძელი შეუძლებელი! რალა მე და რალა ის!

**ჰილდა.** შეუძლებელი?

**სოლნესი.** ადრე არასოდეს არ მყოფნიდა გამბედაობა, რომ თამამად აესულიყავი მალა. იმ დღეს კი მეყო.

**ჰილდა** (წამოხტება). დიახ, ახვედით.

**სოლნესი.** და, აი, როცა იქ ვიდექი, -- მალა, სულ მალა, და ფლიუგერზე გვირგვინს ვამაგრებდი, მე მას ვუთხარი: მომისმინე, მძლეთამძლეო! ამიერიდან მეც მინდა თავისუფალი მშენებელი მერქვას: ჩემს საქმეში იგივე ვიყო, რაც შენ -- შენსაში. აღარ მინდა ტაძრები ვაშენო შენთვის; არამედ მხოლოდ ოჯახური კერები -- ადამიანებისთვის.

**ჰილდა** (შუქჩამდგარი თვალებით). აი, სიმღერა, რომელიც თითქოს ზეციდან ჩამომესმა!

**სოლნესი.** მაგრამ ამით მე მხოლოდ მის წისქვილზე დავასხი წყალი.

**ჰილდა.** როგორ?

**სოლნესი** (სევდიანად). ადამიანებისთვის ოჯახური კერების შენება ჩალადაც არ ღირს, ჰილდა!

**ჰილდა.** აი, როგორ ალაპარაკდით.

**სოლნესი.** დიახ, გონება გამეხსნა და მიტომ. ადამიანებს სულაც არ სჭირდებათ ეს ოჯახური კერები. ის კი არა და, მგონი, ბედნიერებაც არ სჭირდებათ. ალბათ, არც მე დამჭირდებოდა... ოჯახიც რომ მქონდეს! (მწარე სიცილით). ჩემს განვლილ ცხოვრებას რომ გადავხედავ, აი, როგორ მესახება მისი შედეგი. არაფერი მე არ შემეჩნია. არც არავითარი მსხვერპლი არ გამიღია იმისთვის, რომ რამე შემეჩნა. ჰოდა, რა შემრჩა ხელთ? -- არარაობა, ამაოებათა ამაოება.

**ჰილდა.** და აწი არაფრის აშენებას აღარ აპირებთ!

სოლნესი (სწრაფად). პირიქით, ახლა ვაპირებ, თუ ვაპირებ.

ჰილდა. მაინც რას? მითხარით!

სოლნესი. მე მინდა ახლა ხელი მიეყო ერთადერთი რამის შენებას, რაც, ჩემი აზრით, შეიძლება მოიცავდეს ადამიანის ბედნიერებას.

ჰილდა (ჩიქურ უცქერის). ჩვენს ჰაეროვან კოშკებს ხომ არ გულისხმობთ, მშენებელი?

სოლნესი. დიახ, ჩვენს ჰაეროვან კოშკებს.

ჰილდა. კი მაგრამ, ვაითუ თავბრუ დაგეხვეთ, სანამ შუა გზამდე მივალწვედეთ?

სოლნესი. თუ თქვენთან ერთად ხელიხელჩაკიდებული ვივლი, არ დამეხვევა, ჰილდა.

ჰილდა (შეკავებული რისხვით). მხოლოდ ჩემთან ერთად? სხვა თანამგზავრი ხომ არ გკირდებათ?

სოლნესი. მაინც ვინ, თქვენი აზრით?

ჰილდა. აი, თუნდაც, ეს კაია... ბუხპალტერი! ამ საცოდავს ხომ არ დაიმგზავრებდით?

სოლნესი. ოჰო! ეს აღინამ გაგანათლათ?

ჰილდა. ასეა თუ არა?

სოლნესი (წაშინებულად). ამნაირ კითხვებზე არ გიპასუხებთ! თუ ჩემი გწამთ, ბოლომდე უყოყმანოდ უნდა გწამდეთ.

ჰილდა. მე თქვენი ათი წელი მწამდა უყოყმანოდ.

სოლნესი. პოდა, კვლავაც ასევე უნდა გწამდეთ.

ჰილდა. მაშინ მომეცით იმის საშუალება, რომ კვლავ გიხილოთ თავბრუდამხვევ სიმალეზე! ძველებურად თამამი და თავისუფალი!

სოლნესი (პირქუშად). ეჰ, ჰილდა, ყოველდღიურ ცხოვრებაში სად ნახავთ ამას?

ჰილდა. მე კი მინდა, მინდა რომ ვნახო! ერთხელაც, მარტო ერთხელაც! რა იქნება, კვლავ შესძლოთ შეუძლებელი?

სოლნესი (ჩაფიქრებული უცქერის). ეს თუ გავებდე, ჰილდა, იმასვე ვეტყვი მას, რაც უკანასკნელად ვუთხარი.

ჰილდა. მაინც რას ეტყვი?

სოლნესი. ვეტყვი: მომისმინე, მძლეთამძლე მეუფეო, და განმსაჭე, როგორც გნებაეს. მაგრამ ამიერიდან მე მხოლოდ ნამდვილ სასწაულს ვაშენებ!..

ჰილდა (ექსტაზში). დიახ, დიახ, დიახ!

სოლნესი. ...პრიციესასთან ერთად, რომელიც მე მიყვარს!..

ჰილდა. დიახ, დიახ, ასე უთხარით.

სოლნესი. და კიდევ ვეტყვი: ახლა კი ძირს ჩავალ, მოვეხვევი და ვაკოცებ მას...

ჰილდა. ათასჯერ-თქო, -- ასე უთხარით.

სოლნესი. ათი ათასჯერ-მეთქი, -- ვეტყვი მე.

ჰილდა. მერე?

სოლნესი. მერე ქუდს დაგიქნევთ, ძირს ჩამოვალ და... იმას ვიზამ, რაცა ვთქვი.

ჰილდა (ხელებს უწვლის). ახლა მე კვლავ გხედავთ ჩემს წინაშე, როგორც მაშინ, როცა თითქოს ზეციდან ჩამომესმა სიმღერა.

სოლნესი (თავჩაქინდრული უცქერის). ასეთი რამ შეგქმნათ, ჰილდა?

ჰილდა. თქვენ ისა სთქვით, როგორ მაიძულეთ, რომ ასეთი გავმხდარიყავი?

სოლნესი (მტკიცედ, გადაკრით). პრინცესა მიიღებს თავის ციხე-დარბაზს.

ჰილდა (აღტაცებით შემოჰკრავს ტაშს). აჰ, მშენებელი! ჩემი დიდებული, ჩემი დიადი ციხე-დარბაზი! ჩვენი ჰაეროვანი კოშკი!

სოლნესი. ქვის საძირკველზე დაფუძნებული.

ქუჩაზე ცნობისმოყვარეთა ბრბო გროვდება. მათი სილუეტები ოდნავ მოჩანს ხეების ტოტებს მიღმა. შორიდან, ახალი სახლის მხრიდან, დროდადრო ჩასაბერ საკრავთა ხმა აღწევს.

ვერანდაზე გამოდის ფრუ სოლნესი; ბეწვის პელერინა მოუსხამს; მასთან ერთად, ექიმი ჰერდალი და რამდენიმე ქალბატონი. ბალიდან ვერანდაზე აღის რაგნარი.

ფრუ სოლნესი (რაგნარს). ესე იგი, მუსიკაც იქნება?

რაგნარი. დიახ, მშენებელ მუშათა ორკესტრი უკრავს. (სოლნესს). ათისთავმა მთხოვა, გადმომეცა, მზადა ვარ გვირგვინი ავიტანო.

სოლნესი (ქუდს იღებს). კეთილი, მე თვითონ წავალ.

ფრუ სოლნესი. რა გინდა იქ, პალვარ?

სოლნესი. არაფერი... მუშებს დახვებად.

ფრუ სოლნესი. კარგი. მხოლოდ მათთან დარჩი... დაბლა!.. გესმის?

სოლნესი. როგორც ყოველ სამუშაო დღეს. (ბაღში ჩადის და ხელმარჯვნივ მიემართება).

ფრუ სოლნესი (მოაჩირზე გადაყუდებული მისძახის). ათისთავს უთხარი, ასვლისას ფრთხილად იყავი-თქო! ხომ ეტყვი, პალვარ?

ექიმი (ფრუ სოლნესს). ხომ ხედავთ, მართალი მითქვამს. თავისი "ახირება აღარც კი ახსოვს.

ფრუ სოლნესი. აჰ, ღმერთმანი, თითქოს მძიმე ტვირთი მომეხსნა...

უკვე ორჯერ მოგვიხდა მარცხი: ორი კაცი ჩამოვარდა ხარაჩოდან. არც ერთს არ დაჰყოლია სული... დიდი მადლობელი ვარ თქვენი, ფრიოკენ ვანგელ, რომ გადაათქმევინეთ. მე, ჩემდა თავად, ვერასოდეს ვერ მოვთოკავდი.

ექიმი (მზიარულად). დიახ, დიახ, ფრიოკენ ვანგელ, თქვენ თუ მოინდომეთ, ვისაც გინდათ, იმას მოთოკავთ.

ფრუ სოლნესი და ექიმი ქალბატონებთან მიდიან, რომლებიც კიბის თავზე დგანან და ახალი სახლისკენ იუფრებიან. ჰილდა მოაჭირთან რჩება, იმავე ადგილას.

რაგნარი (ჰილდასთან მიდის და ხმადაბლა ელაპარაკება, ძლივს იკავებს სიცილს). ამ ახალგაზრდებს ხომ ხედავთ ქუჩაში, ფრიოკენ?

ჰილდა. დიახ.

რაგნარი. ჩემი ამხანაგები არიან; სეირის საყურებლად მოვიდნენ.

ჰილდა. სასეირო რა არის?

რაგნარი. რა და, ნახავთ, თუ საკუთარი სახლის თავზე ასვლა გაბედოს.

ჰილდა. ხედავთ, რის იმედით ყოფილან ეს ბიკბუქები?

რაგნარი (ზიზნარევი მძულვარებით). დიდხანს არ გვაძლევდა გასაქანს.

მიწაზე ვყავდით გაკრული. ახლა კი ჩვენი ჭერია: ვნახოთ, როგორია მიწის ტკეპნა ერთ ადგილას.

ჰილდა. ამჯერად... ვერ ელირსებით.

რაგნარი. მართლა? აბა, სად ვიხილავთ... ამჯერად?

ჰილდა. სად და -- მაღლა... სულ მაღლა... წვერზე!

რაგნარი (იციინს). მეტი არაა ჩემი მტერი.

ჰილდა. მას უნდა კოშკის წვერზე ავიდეს. მაშასადამე, სწორედ იქ იხილავთ.

რაგნარი. უნდა! ნდომით კი უნდა, მაგრამ ვაი რომ არ შეუძლია.

შუა გზამდეც ვერ მიალწევს, რომ თვალები აუჭრელდება. იძულებული იქნება ფორთხვით ჩამოძვრეს უკან.

ექიმი (მარჯნევი ანიშნებს ხელით). შეხედეთ, ათისტავე უკვე ხარაჩოზე აღის!

ფრუ სოლნესი. ვხედავ! გვირგვინი უჭირავს ხელში!.. ოჰ, ღმერთო ჩემო!.. ფრთხილად!

რაგნარი (ჭერ უნდობლობა ეხატება სახეზე, შემდეგ კი წამოიძახებს). კი მაგრამ, ეს ხომ...

ჰილდა (აღფრთოვანებით). დიახ, ეს თვითონ მშენებელია!

ფრუ სოლნესი (შეძრწუნებით). მართლა ჰალვარია! ღმერთო დიდებულო!.. ჰალვარ! ჰალვარ!

ექიმი. ჩუმად! რა გაყვირებთ?

ფრუ სოლნესი (თავზარდაცემელი). გამიშვით!.. გაგიუდა? სად მიძვრება?

ექიმი (არ უშვებს). ფეხი არ მოიკვალოთ! ნუ ყვირით! ნუ ყვირით-მეთქი!

ჰილდა (უძრავად დგას და თვალს არ აშორებს სოლნესს). ადის! ადის! მალლა... სულ მალლა! შეხედეთ! ერთი შეხედეთ!

რაგნარი. ახლა კი დროა, უკან დაბრუნდეს, თორემ მერე გვიან იქნება.

ჰილდა. ადის, ადის! მალე წვერსაც მიაღწევს!

ფრუ სოლნესი. ღმერთო, შენ შეგვეწიე! არა, მე ამას ვერ გადავიტან!

ექიმი. თქვენც ნუ უყურებთ!

ჰილდა. აი, უკვე სულ ზემოთა ფიცარზე დგას!.. წვერზე!

ექიმი. ფეხი არაეინ მოიკვალოს! გესმით?

ჰილდა (ხმადაბლა, აღფრთოვანებით). როგორც იქნა!.. ძლივს არ ველირსე?.. ახლა კი ისევე ისეთია -- თამამი და თავისუფალი!

რაგნარი (სული ეხუთება). კი მაგრამ... ეს... ეს...

ჰილდა. სწორედ ასეთი იყო ათი წლის წინათ!.. რა თამამად დგას! და მაინც... სუნთქვა გეკვრის! შეხედეთ, წვერზე ამაგრებს გვირგვინს!

რაგნარი. ეს მართლაც შეუძლებელია!

ჰილდა. დიახ. სწორედ ახლა თქვენ ხედავთ, რომ ის შესაძლებლად აქცევს შეუძლებელს!.. (რალაც უცნაური გამოხეტყველებით). სხვას ვერავის ვერ ხედავთ?

რაგნარი. ვინ არის, რომ დაეინახო?

ჰილდა. არა! ვიღაცა ნამდვილად არის, ვისთანაც ახლა ის დაობს!

რაგნარი. გეჩვენებათ.

ჰილდა. არც სიმღერის ხმა გესმით?

რაგნარი. მხოლოდ ქარი აშრიალებს ხეების კენწეროებს.

ჰილდა. მე კი სიმღერა მესმის! ღმერთო, რა ძლიერი ხმაა! (აღტაცებით ყვირის). ხედავთ? ხედავთ? ქუდს გვიქნევს! გვესალმება! რად არ პასუხობთ?.. გესმით, რა მოხდა? რა მოხდა ახლა? (ექიმს ხელიდან გამოსტაცებს თეთრ შალს, იქნევს და ყვირის). ვაშა, მშენებელ სოლნესს, ვაშა!

ექიმი. ჩუმად! თუ ღმერთი გწამთ, ჩუმად!

ვერანდაზე მდგარი ქალბატონები ცხვირსახოცებს აფრიალებენ. ქუჩიდან მოისმის ყვირნი: ვაშა! უცრად ყველა ღუმდება, შემდეგ კი ბრბოს შემზარავი ყვირილი აღმოხდება. ხეებს ლაწა-ლუწით ჩაუქროლებს ფიცარების ნამტვრევები და ადამიანის სხეული.



ფრუ სოლნესი და ქალბატონები. ჩამოვარდა! ჩამოვარდა!

ფრუ სოლნესი წაბარბაცდება და ქალების ხელებზე გადაესვენება. ყვირილი, წივილ-კივილი.

ბრბო მესერს შემოხლევს და ბალში შემოიჭრება. ექიმი ჰერდალიც ბალში ჩარბის; ხანმოკლე პაუზა.

პილდა (გახვეებული ღვას და მალა იყურება). ჩემი მშენებელი...

რაგნარი (მთელი სხული უცახცახებს, მოაჩირს ჩაჭრენია). ალბათ, აღარაფერი ეშველება...

ერთ-ერთი ქალბატონი (ვიდრე ფრუ სოლნესს შინ შეიტანდნენ). ექიმს გაჰყევით.

რაგნარი. ფეხები აღარ მემორჩილება...

მეორე ქალბატონი. ჩასძახეთ მაინც!

რაგნარი (ხმა ღალატობს). ეი! რა ამბავია!.. ცოცხალია?!

ხმა ბალიდან. ნულარ იკითხავთ!

მეორე ხმა (უფრო ახლოდან). მთელი თავის ქალა ჩანგრეული აქვს...


პირდაპირ ქეისამტვრევში ჩავარდა!

პილდა (რაგნარს მიუბრუნდება, ჩუმად). ახლა უკვე ველარა ვხედავ...

რაგნარი. ოჰ, რა უბედურება მოხდა... როგორც ჩანს, მაინც ძალამ უმტყუნა.

პილდა (რალაც უჩვეულო, შლეგური აღფრთოვანებით). მაგრამ წვერს ხომ მიაღწია?! მე გავიგონე, როგორ მღეროდნენ პაერში არფის სიმები! (შალს აქნევს და შეშლილივით ყვირის). ჩემი მშენებელი!.. ჩემი!..





## ღრამა სამ მოქმედებად

### მოქმედი პირნი:

ალფრედ ალმერსი -- მემამულე, ლიტერატორი, ყოფილი მასწავლებელი.

ფრუ რიტა ალმერსი -- მისი ცოლი.


ეოლფი -- მათი ვაჟი, ცხრა წლისა.

ფრიოკენ ახტა ალმერსი -- ალფრედ ალმერსის უმცროსი ნახევარდა.

ბორგჰეიმი -- ინჟინერი.

ვირთხიკერია დედაბერი.

მოქმედება ხდება ალფრედ ალმერსის მამულში, ფიორდის პირას, ქალაქიდან რამდენიმე მილის მანძილზე.



## პირველი მოქმედება

ლამაზად და მდიდრულად მორთული ოთახი, რომელიც ბაღს გადააყურებს. ოთახში ბევრი ავეჯი, ყვავილები და მცენარეებია. სიღრმეში მოჩანს მინის ღია კარი; კარს იქით ვერანდაა, საიდანაც იშლება ფიორდის ფართო ხედი. შორს -- ტყით დაფარული მთის კალთებია. გვერდის თვითულ კედელს თითო კარი აქვს დატანებული. ოთახის სიღრმეში, ხელმარჯვნივ, ორსაგდულიანი კარი მოჩანს. წინ, მარჯვენა კედელთან, რბილი ტახტია; ტახტზე ხალიჩაა გადაფარებული და ზედ ბალიშები აწყვია. ტახტის გვერდით პატარა მაგიდა და რამდენიმე სკამი დგას. წინ, ხელმარცხნივ, მაგიდაა; გარშემო სკამები აქვს შემოწყობილი. მაგიდაზე თავახლილი ჩემოდანი დევს.

ზაფხულია. თბილი მზიანი დღია.

მაგიდასთან, მარჯვენა კედლისკენ ზურგშექცევით დგას რიტა ალმერსი და ჩემოდნიდან ნივთებს ალაგებს. რიტა ლამაზი, მაღალი, ტანსაცემი ქერა ქალია. ოცდაათი წლისა იქნება. ღია ფერის კაბა აცვია.

ოტა ხნის შემდეგ მარჯვნიდან შემოდის ფრიოკენ ასტა ალმერსი, საშუალო სიმაღლის მოხდენილი ქალიშვილი, ოცდახუთი წლისა; შავი თმა და ღრმად ჩამჭდარი, სერიოზულად მზირალი თვალები აქვს. ღია ყაყისფერი საზაფხულო კაბა და ჯაეკეტი აცვია, ქული ახურავს და ხელში ქოლგა უჭირავს, ილიაში კი მოზრდილი, საყვებიანი პორტფელი აქვს ამოღებული.

**ასტა** (შემოდის). გამარჯობა, ძვირფასო რიტა!

**რიტა** (მისკენ შებრუნდება და თავის დაკვრით ესალმება). ა, ეს შენა ხარ, ასტა? ასე დილაუთენია, ამ სიშორეს, რამ ჩამოგიყვანა ქალაქიდან?

**ასტა** (ჯაეკეტსა და ქუდს იხდის და კართან მდგარ სკამზე დებს). რა ვქნა, ერთ ადგილას ვეღარ მოვისვენე, ისე მომენატრა ჩვენი პატარა ეიოლფი და, რა თქმა უნდა, შენც. (ღივანზე დებს პორტფელს). ჰოდა, გემში ჩავჯექი და ჩამოვედი.

**რიტა** (უღიმიის). გემზე კი, ვინ იცის, ალბათ, რამდენ ნაცნობსა და მეგობარს შეხვდი. სრულიად შემთხვევით, რაღა თქმა უნდა.

**ასტა** (მშვიდად). შენ წარმოიდგინე, კაციშვილს არ შეეხვედრივარ. (თვალს მოჰკრავს ჩემოდანს). კი მაგრამ, ეს რა არის, რიტა?

რიტა (ჩემოდნის ამოლაგებას განაგრძობს). ალფრედის ჩემოდანია. რა, ვერ იცანი?

ასტა (უახლოვდება; სიხარულით). როგორ?! ალფრედი ჩამოვიდა?

რიტა. დიახ, შენ წარმოიდგინე, სრულიად მოულოდნელად; ლამის მატარებელს ჩამოჰყვა.

ასტა. გული მიგრძნობდა! აი, რატომ მოვისწრაფოდი თქვენსკენ!.. კი მაგრამ, არაფერი გაცნობათ? ღია ბარათითაც არ გაფრთხილათ?

რიტა. არც ერთი სიტყვით.

ასტა. ნუთუ არც გიდეპეშათ?

რიტა. არა, დეპეშა კი მივიღეთ, ჩამოსვლამდე ერთი საათით ადრე. მოკლე და მშრალი. (იციინს). ხომ არ გეცნობა?

ასტა. დი-ი-ახ. თავის გრძნობებზე ლაპარაკი არ უყვარს.

რიტა. მით უფრო მეტად გაგვახარა მისმა დანახვამ.

ასტა. წარმომიდგენია.

რიტა. მთელი ორი კვირით ადრე, ვიდრე ველოდი!

ასტა. როგორაა? კარგად გრძნობს თავს? 'ძველებურად' გულ-ჩათხრობილი ხომ აღარ არის?

რიტა (ჩემოდანს ხურავს და ილიმება). იცი, კარში რომ შემოდგა ფეხი, სახეზე თითქოს ნათელი გადასდიოდა.

ასტა. არ დადლილა?

რიტა. დადლით, ალბათ, დაიღალა. ის კი არა და, მგონი, მეტიც მოუვიდა. საბრალოს გზის უმეტესი ნაწილი ფეხით უვლია.

ასტა. ალბათ, მთის ჰაერმაც აწყინა, მეტისმეტად მკაცრი გამოდგა მისთვის.

რიტა. არა მგონია. რაც აქაა, ერთხელაც არ დაუხველებია.

ასტა. აი, ხომ ხედავ! მაშასადამე. ექიმი მაინც სწორად მოიქცა, ამ მოგზაურობაზე რომ დაითანხმა.

რიტა. დიახ, ახლა, როცა ყოველივე ეს უკან დარჩა... მაგრამ, მერწმუნე, ჩემთვის ეს საშინელი დრო იყო, ასტა. მხოლოდ ამაზე ლაპარაკი არ მინდოდა. შენც ისეთი იშვიათი სტუმარი გახდი...

ასტა. რას იზამ; ცოტა არ იყოს, დამნაშავე ვარ... მაგრამ...

რიტა. ჰო, ვიცი, ვიცი... სკოლის მიტოვება არ შეგეძლო. (ილიმება). ეგეც არ იყოს, ჩვენი გზის გამყვანიც წავიდა.

ასტა. თუ ღმერთი გწამს, მოეშვი ამას, რიტა.

რიტა. ჰო, კარგი, კარგი! მოვეშვით გზის გამყვანს. მაგრამ, რომ იცოდე, როგორ მენატრებოდა ალფრედი! რა ცარიელი მეჩვენებოდა სახლი! თითქოს მიცვალებული გაასვენესო...

ასტა. კი მაგრამ, ღმერთო ჩემო, რალაც ექვსი თუ შვიდი კვირა...

რიტა. დიახ, დიახ, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებ, რომ ამ ათი წლის მანძილზე არასოდეს დავშორებდითვარ ალფრედს... არც ერთი დღით... არც ერთხელ...

ასტა. ჰოდა, ღმერთმანი, დრო იყო, რომ ცოტა გული გადაეყოლებინა... ის კი არა და, ყოველ ზაფხულს უნდა ემოგზაურა მთაში...

რიტა (ცალკედ იცინის). შენ რა გენაღვლება. მე რომ შენსავით ჭკვიანი ვიყო... ვინ იცის, იქნებ უფრო ადრეც დამერთო ნება, მაგრამ სულ ისეთი განცდა მქონდა, რომ ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. ასე მეგონა, ველარასოდეს ვიხილავ-მეთქი. ნუთუ არ გესმის?

ასტა. არა. ალბათ, იმიტომ, რომ მარტოხელა ვარ. (მკეთილად წყვეტს სიტყვას). მაგრამ მითხარი, რიტა, სად არის ალფრედი? ხომ არა სძინავს?

რიტა. სძინავს კი არა!.. დილაუთენია უკვე ფეხზე იყო, როგორც სჩვევია.

ასტა. ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან არ დაღლილა.

რიტა. არა, გუშინდამ საშინლად დაღლილი იყო. ძლივს მოაღწია. მაგრამ ამ დღით უკვე მთელი საათია თავის ოთახშია ეიოლფთან.

ასტა. ჩვენი საბრალო ბიჭი! რა პატარაა და ფერმკრთალი! ნუთუ სულ უნდა ისწავლოს და ისწავლოს?

რიტა. ალფრედს ასე სურს, ხომ იცი.

ასტა. ჰო, მაგრამ, ჩემი აზრით, შენ მაინც უნდა დაგეშალა, რიტა.

რიტა (ცოტა არ იყოს, უკმაყოფილო ტონით). არა, არა, მე ვერ ჩავერევი. ამ საქმეში ალფრედს ჩემზე გაცილებით მეტი ესმის... არადა, მეტი რა დარჩენია ეიოლფს? მე შენ გეტყვი, და, სხვა ბავშვებივით შეუძლია ირბინოს და ითამაშოს!

ასტა (მტკიცედ). ამაზე მე მოველაპარაკები ალფრედს.

რიტა. თუ შეიძლება, ჩემო ძვირფასო. ჰო, მართლა, აი, ისიც...

მარცხნიდან შემოდის ალფრედ ალმერსი, ახოვანი, ხმელ-ხმელი, მოხდენილი გარეგნობის კაცი, ოცდათექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლისა; თვინიერი მზერა, შავი, თხელი თმა-წვერი, სერიოზული და ჩაფიქრებული იერი აქვს. საზაფხულოდაა ჩაცმული. ხელჩაკიდებული მოკაყავს ეიოლფი, რომელსაც სამხედრო მუნდიარის ყაიდაზე შეკერილი კოსტუმი აცვია, ოქროს სირბეებითა და ოქროს ლერბიანი ღილებით; სიარულისას ყავარჩენს ეყრდნობა, რადგანაც მარცხენა ფეხი დაღამბლავებული აქვს; ტანმორჩილ, ავადმყოფური იერის ბიჭუნას საოცრად შეენის ლამაზი, ჭკვიანი თვალები.

აღმერსი (ხელს უშვებს ვიოლეს, სახეგაბრწყინებელი მიემურება და ორივე ხელს იწვდის ასტასაკენ). ასტა! ჩემო ძვირფასო! ასტა! შენ აქა ხარ? რომ იცოდე, როგორ გამახარე!

ასტა. დღეს დილიდანვე გულმა აქეთ გამომიწია... როგორ გიკითხო? აღმერსი (ხელს ართმევს). გმადლობ!

რიტა. რას იტყვი, ხომ კარგად გამოიყურება?

ასტა (თვალს არ ამორებს აღმერსს). საუცხოოდ, დიდებულად! როგორ უცინის თვალები! ეტყობა, გზაში ძალიან ბევრის დაწერა მოასწრო! (სიხარულით). ალბათ, მთელი წიგნი უკვე მზადაა, ალფრედ!

აღმერსი (მხარების აჩეჩით). წიგნი?... კმ...

ასტა. ასეც ვიცი, რომ აქედან გამგზავრების შემდეგ აღარაფერი დაგაბრკოლებდა.

აღმერსი. მეც ასე მეგონა, მაგრამ, იცი რა? ყველაფერი სულ სხვანაირად გამოვიდა. ჩემი წიგნისთვის ერთი პწკარიც არ მიმიმატებია.

ასტა. არც ერთი პწკარი?..

რიტა. ახლა ჩემს გაკვირვებას აღარ იკითხავ? მთელი ქალაქი ხელუხლებელი დევს ჩემოდანში.

ასტა. კი მაგრამ, ალფრედ, რას აკეთებდი მთელი ამ ხნის განმავლობაში?

აღმერსი (ლობლით). ვფიქრობდი... ძალიან ბევრს ვფიქრობდი.

რიტა (მხარზე ადებს ხელს). ცოტას მაინც თუ ფიქრობდი იმათზედაც, ვინც სახლში დარჩა?

აღმერსი. ცოტას კი არა, ვინ იცის, რამდენს! ყოველდღე თქვენზე ვფიქრობდი.

რიტა (ხელს ჩამოუშვებს). მაშასადამე, ყველაფერი რიგზე ყოფილა.

ასტა. მაგრამ მართლა არაფერი დაგიწერია? და მაინც ასე მხიარული და კმაყოფილი ხარ?.. კი მაგრამ, შენ და კმაყოფილი, როცა სამუშაო წინ არ მიიწევს?..

აღმერსი. მართალი ხარ, მაგრამ იცი, რას გეტყვი? ადრე მართლა სულელი ვიყავი. ფიქრის უნარი, -- აი, ყველაზე დიდებული ნიჭი, რაც ადამიანს უწყალობა განგებამ. ხოლო ის, რაც ქალაქზე გადაგვაქვს, ჩირადაც არ ღირს.

ასტა (განცვიფრებით). ჩირადაც არ ღირს?!

რიტა (იცინის). შენს კეუაზე ხარ, ალფრედ?!

ვიოლფი (ნდობით უყურებს მამას). არა, მამა, რასაც შენ წერ, ღირს.

- აღმერსი (ილიმება და თავზე ხელს უსვამს). დიახ, დიახ, თუკი შენ ამბობ... მაგრამ, მერწმუნე, დადგება დრო, მოვა ვიღაც სხვა და კიდევ უფრო უკეთ დაწერს ყოველივე ამას.
- ეიოლფი. ვინ სხვა? მითხარი!
- აღმერსი. მოითმინე. თავის დროზე თვითონვე გაგეცნობს თავს.
- ეიოლფი. კი მაგრამ, შენ რაღას გააკეთებ მაშინ?
- აღმერსი (სერიოზულად). ავდგები და კვლავ მთებს მივაშურებ.
- რიტა. როგორ არა გრცხვენია, ალფრედ?
- აღმერსი. ყველაზე მაღალ მწვერვალებს, სივრცეს.
- ეიოლფი. როგორ გგონია, მამა, მალე მოვრჩები, რომ შენთან ერთად სიარული შევძლო?
- აღმერსი (ჩანს, რომ გული მოუვიდა). ჰო, ალბათ, მალე, ჩემო კარგო ბიჭო.
- ეიოლფი. შენი გულისა! რა იქნება, როცა მეც დავიწყებ მთებში სიარულს!
- ასტა (ცდილობს სხვა რამეზე გადაიტანოს სიტყვა). დღეს რა მორთულ-მოკაზმული ხარ, ეიოლფ!
- ეიოლფი. მართლა, მამიდა?
- ასტა. რას ქვია მართლა?.. შენ რა, მამაშენის ჩამოსვლის აღსანიშნავად ჩაიციე ახალი კოსტუმი?
- ეიოლფი. ჰო, დედას ვთხოვე. მინდოდა მამას ასე გამოწყობილი ვენახე.
- ასტა (ჩუმად -- რიტას). ამნაირ კოსტუმებს ნუ უკერავ.
- რიტა (ხმადაბლა). რა მექნა, გადამეკიდა... საშველი აღარ მომცა.
- ეიოლფი. ჰო, მართლა, მამა, იცი, კიდევ რა? ბორგჰეიმმა მშვილდი მიყიდა და სროლა მასწავლა.
- აღმერსი. აი, ეს კი სწორედ საშენოა, ეიოლფ.
- ეიოლფი. როცა კვლავ გვესტუმრება, შეეცხვეწები, რომ ცურვაც მასწავლოს.
- აღმერსი. ცურვა?.. ეგ რაღად გინდა?
- ეიოლფი. აქ, სანაპიროზე, ყველა ბიჭი ცურავს, ჩემს გარდა.
- აღმერსი (აღელვებული, ეხვევა). ისწავლე, ისწავლე, ჩემო კარგო, ყველაფერი, რაც გინდა, რისკენაც გული მიგიწევს.
- ეიოლფი. თუ იცი, ყველაზე უფრო რა მინდა?
- აღმერსი. რა? მითხარი.
- ეიოლფი. ყველაზე უფრო მე მინდა ჭარისკაცი გამოვიდე.
- აღმერსი. ეჰ, ჩემო ძვირფასო ეიოლფ, რამდენი რამე სჯობია ჭარისკაცობას.



ეიოლფი. ჰო, მაგრამ, სულერთია, როცა გავიზრდები, მაინც  
ჯარისკაცი გამოვალ; ხომ იცი.

ალმერსი (ხელების მტკრევით). ჰო, კარგი, კარგი, ვნახოთ...

ასტა (ხელმარცხნივ უჯდება მაგიდას). აბა, აქ მოდი, ეიოლფ, რა გიამბო!

ეიოლფი (მასთან მიდის). რა, მამიდა?

ასტა. წარმოგიდგენია, ეიოლფ, იცი, ვინ ვნახე? ვირთხიკერია  
დედაბერი.

ეიოლფი. რა? ვირთხიკერია? ამას შენ ისე მეუბნები.

ასტა. არა, ღმერთმანი, მართლა ვნახე, გუშინ.

ეიოლფი. სად ნახე?

ასტა. გზაში, ქალაქგარეთ.

ალმერსი. მეც ვნახე, ერთ სოფელში.

რიტა (ღიანზე ჯდება). მერე რა, ჩვენც ვნახავთ, ეიოლფ.

ეიოლფი. რა უცნაურია, მამიდა, რომ ვირთხიკერიას ეძახიან.

ასტა. იცი, რატომ? ყველგან დადის და ვირთხებს ხოცავს.

ალმერსი. სინამდვილეში კი, თუ არა ვცდები, ფრიოკენ ვარგი  
ქქვია.

ეიოლფი. ვარგი? კი მაგრამ, ეს ხომ მგელს ნიშნავს?

ალმერსი (თავზე ხელს უსვამს). შენ ესეც იცი, ეიოლფ?

ეიოლფი (ჩაფიქრებით). ესე იგი, მართალს ამბობენ, რომ ის კულიანია  
და ლამ-ლამობით მგლად იქცევა? შენ გჯერა ეს, მამა?

ალმერსი. არა, არ მჯერა. მაგრამ წადი, ბაღში გაიარ-გამოიარე  
და ცოტა წაითამაშე.

ეიოლფი. ხომ არ აჯობებს, რაიმე წიგნი წავილო?

ალმერსი. არა, ამას იქით არავითარი წიგნი არ არის საკირო. არ  
გირჩევენია, სანაპიროზე წახვიდე სხვა ბიჭებთან?

ეიოლფი (დარცხვენით). არა, მამა, დღეს სხვა ბიჭებთან წასვლა არ  
მინდა.

ალმერსი. რატომ?

ეიოლფი. იმიტომ, რომ ამნაირი კოსტუმები მაცვია.

ალმერსი (შუბლზეკეზუნით). ისინი, რა, დასცინიან შენს ახალ  
კოსტუმს?

ეიოლფი (ორკოფულად). თუ ბიჭები არიან, ერთი გაბედონ.  
ცხვირ-პირს დავამტკრევე.

ალმერსი. აბა, რაშია საქმე?

ეიოლფი. ისეთი ცუდები არიან. მეუბნებიან, ჯარისკაცი ვერ  
გამოხვალო.

**ალმერსი** (რისხვას იოკებს). კი მაგრამ, როგორ გგონია, რატომ გეუბნებიან მაგას?

**ეიოლფი**. ალბათ, ჩემი შურთ, მამა. ისეთი ღარიბები არიან, ფეხშიშველა დატანტალებენ.

**ალმერსი** (ჩუმად, ჩაწყვეტილი ხმით). ო, რიტა... ამის გაგონება არ შემეძლია.

**რიტა** (წამოღება, ამშვილებს). ჰო, კარგი, კარგი...

**ალმერსი**. მე მათ ვუჩვენებ სეირს; გაავაგებინებ, ვინ არის აქ ბატონ-პატრონი.

**ასტა** (აყურადებს). ვილაცა აკაკუნებს.

**ეიოლფი**. ეს, ალბათ, ბორკეჰიშია.

**რიტა**. მობრძანდით!

მარჯნიდან ჩუმად შემოდის ვირთხიკერია დედაბერი; ტანმოჩილი, გამხდარი, დანაოკებული და ქალარა; გამჭოლი მზერა აქვს. ძველებურადაა ჩაცმული. ჭრელი კაბა აცვია, ხელში ღიღი წითელი ქოლგა და თანხმით თავმოკრული ტომარა უკირავს.

**ეიოლფი** (ასტას ჩუმად ქაჩავს კაბაზე). მამიდა! ეს, ალბათ, ისაა!

**ვირთხიკერია დედაბერი** (კართან ჩაიშუხლებს). უმორჩილესად გთხოვთ, მომიტევეთ, მღრღნელები ხომ არა გყავთ, ბატონებო?

**ალმერსი**. ჩვენ? არა, არა მგონია.

**ვირთხიკერია დედაბერი**. მე კი სულითა და გულით მინდოდა სამსახური გამეწვია თქვენთვის და მათგან დამეხსენით.

**რიტა**. დიახ, მესმის, მაგრამ რომ არა გყავს?

**ვირთხიკერია დედაბერი**. აი, უბედურება, ახლა სწორედ შემოვლავ ვარ. ვინ იცის, როდისლა დაებრუნდები ამ მხარეში. უკ. არაქათი აღარა მაქვს!

**ალმერსი** (სკამზე ანიშნებს). გეტყობათ.

**ვირთხიკერია დედაბერი**. რა მომასვენებს. ხომ უნდა რამეთი შევეწიო ჩემს საცოდავ პაწაწინა ყაჩაღანებს, რომლებიც ყველასა სძულს და ყველა სდევნის. მართალი გითხრათ, არც მე მადგია კაი დღე; განძრევის თავი აღარა მაქვს, ისე ვიღლები.

**რიტა**. ცოტას ხომ არ ჩამოიხვენებთ?

**ვირთხიკერია დედაბერი**. უმორჩილესად გმადლობთ. (სკამზე ჩდება, ტახტსა და კარს შუა). მთელი ღამე ვმუშაობდი.

**ეიოლფი**. მართლა?

**ვირთხიკერია დედაბერი**. დიახ, კუნძულებზე. (ჩუმად კუქკუქებს).

იქაურებმა მთხოვეს... ღმერთმანი. მგონი, თვითონაც არ უნდოდათ. მაგრამ მოთმინების ძაფი გაუწყდათ. პოდა, მეტი რა გზა ჰქონდათ, ადგნენ და მთხოვეს. (ვიოლფს უყურებს და თავს აქნევს). ძალაუნებურად, პატარა ბატონიშვილო, ძალაუნებურად.

ვიოლფი (უნებურად შეკრთება). რატომ?

ვირთხიკერია დედაბერი. რა, რატომ?

ვიოლფი. ძალაუნებურად?

ვირთხიკერია დედაბერი. რა ექნათ? ვირთხებმა სიცოცხლე გაუმწარეს... გლებებს... გესმით, პატარა ბატონიშვილო?

რიტა. საცოდავები! ასე მომრავლდნენ?..

ვირთხიკერია დედაბერი. ნულარ იკითხავთ (ჩუმად, თვითკმაყოფილი სახით ხითხითებს). მთელი ღამე საწოლებზე ბუქნას უვლიდნენ, რძის ქოთნებში ტყაპა-ტყუპით ხტებოდნენ, სოხანებზე დაშლივინობდნენ.

ვიოლფი (ჩუმად -- ასტას). მამიდა, არასოდეს არ წავალ იქ.

ვირთხიკერია დედაბერი. მე. კი მივედი... რომ იტყვიან, პირდაპირ სულზე მივუსწარი... ზოგ-ზოგიერთს. ყველანი თან წამოვასხით. პაწაწინა ყაჩაღები! წამოვასხით და კირიცი მოგკამეს.

ვიოლფი (ყვირილით). მამა, შეხედე, შეხედე!

რიტა (შეძრწუნებული). რა იყო, ეიოლფ?

ვიოლფი (თითო უჩვენებს). ტომარაში რალაც ფართხალებს!

რიტა (მარცხნივ გადაქანდება). უპ, თუ ღმერთი გწამს, აქედან მოაშორე, აღფრედ!

ვირთხიკერია დედაბერი (იციის). ეპ, ძვირფასო ქალბატონო, ამ ცუგრუმელამ როგორ შეგაშინათ?!

ალმერსი. მანდ რა გყავთ?

ვირთხიკერია დედაბერი. რა და, ჩემი კუსპარა... (თავს უხსნის ტომარას). აბა, გამოდი მაგ წკვარამიდან, ჩემო პაწიავე, ჩემო ცუგრუმელავ!..

ტომრიდან გამოძვრება პატარა ფინია; შავი, ფართო ცხვირ-პირი აქვს.

(თავს უქნევს და თითო იხმობს ეიოლფს). აქ მოდი, აქ მოდი, მომიახლოვდი, პატარა დაქრილო ჭარისკაცო. ნუ გეშინიათ, არ იკბინება. მოდი, მოდი.

ვიოლფი (ასტას ეკრის). არა, მეშინია.

ვირთხიკერია დედაბერი. არ მოგწონთ. პატარა ბატონიშვილო? ერთი შეხედეთ, რა ცხვირ-პირი აქვს. სწორედ კალმით დახატულია.

ეიოლფი (განცვიფრებით ანიშნებს ძალზე). ეგ?

ვირთხიჭერია დედაბერი. დიახ, დიახ.

ეიოლფი (ხმადაბლა, თვალს არ ამორებს ფინიას). კალმით დახატული კი არა, ნამდვილი საფრთხობელაა... ამისთანა არსად მინახავს.

ვირთხიჭერია დედაბერი (ტომარას თავს უკრავს). ეგ არაფერი, შეეჩვევით -- შეგიყვარდებით.

ეიოლფი (უნებურად უახლოვდება და ტომარას ფრთხილად უსვამს ხელს). თუმცა, არა, კარგია... მაინც კარგია.

ვირთხიჭერია დედაბერი. ახლა კი მართლა დაიღალა, ქანცი გაუწყდა საბრალოს. არაქათი აღარა აქვს. (აღმერკს უყურებს). ბატონო ჩემო, გაძლება არ უნდა ამნაირ თამაშს?

აღმერკსი. რანაირ თამაშს?

ვირთხიჭერია დედაბერი. რანაირს და -- შეტყუობანას.

აღმერკსი. აჰა, ესე იგი, ვირთხებს ძალლი იტყუებს?

ვირთხიჭერია დედაბერი. კუსპარაც და მეც, ორივე ერთად. და მერე, რა კარგად ვიტყუებთ. ღმერთმანი, ყურებად ღირს. საყელურზე თოკს გამოვავამ და სამჯერ შემოვატარებ სახლის გარშემო. თანაც სალამურს ვუკრავ. საკრავის ხმას გაიგონებენ თუ არა, ვირთხები ერთბაშად დაიძვრიან -- ხვერლებიდან და სოროებიდან, სხვენებიდან და სარდაფებიდან, მოძვრებიან, ჩვენსკენ მოიჩქარიან პაწაწინა ყაჩაღანები.

აღმერკსი. ძალლი კი შესრს აელებს მათ?

ვირთხიჭერია დედაბერი. არა, რატომ? ჩვენ ნავისაკენ მივდივართ, ისინი კი უკან მოგვდევენ, დიდებიც და პატარებიც, ყველანი ერთად.

ეიოლფი (დაძაბულად). მერე?..

ვირთხიჭერია დედაბერი. მერე კი წყალში შევეტურავთ. ცალი ხელით ნიჩაბს ვუსვამ, ცალით კი სალამურს ვაკვნესებ. ჩემი კუსპარა ცურვით მომყვება. (თვლების ბრალით). წრიპინა ფხაქნიების და მღრღნელების მთელი ლაშქარი კი უკან მოგვდევის. მეტი გზა არა აქვთ, უნდა მოგვდიონ... ძალაუნებურად.

ეიოლფი. რატომ ძალაუნებურად?

ვირთხიჭერია დედაბერი. იმიტომ, რომ არ უნდათ. სიკვდილივით უფრთხიან წყალს და სწორედ ამიტომ იზიდავთ წყალი.

ეიოლფი. მერე კი იხრჩობიან?

ვირთხიჭერია დედაბერი. ერთიმეორის მიყოლებით... ყველა, უკლებლივ. (ხმის დადაბლებით). ჰოდა, წევანან თავისთვის, წყნარად, რა უკირთ, კარგად არიან. იქ სიმშვიდეა და სიჩუმე,

წევანან და სძინავთ უშფოთველი და ტკბილი ძილით. სძინავთ, ყველასაგან დევნილთა და მოძულეებულთ. (დგება). ისე კი, ადრე ჩემი კუსპარას დახმარებაც არ მქირდებოდა. მარტოდმარტოც კარგად ვახერხებდი შეტყუებას.

ეიოლფი. ვის იტყუებდით?

ვირთხიჭერია დედაბერი. ადამიანებს. განსაკუთრებით ერთს.

ეიოლფი (დაძაბულად). ვის? გვიაშბეთ...

ვირთხიჭერია დედაბერი. ჩემს შეყვარებულს. პატარა თვალის-ჩინო.

ეიოლფი. ახლა სად არის?

ვირთხიჭერია დედაბერი (მკაცრად). ფსკერზე, ვირთხებთან. (ისევ ირბილებს ხმას). ახლა კი დროა, საქმეს მივხედო. სულ კარდაკარ დაეწანწალებ. (რიტას). ესე იგი, ბატონებს ჩემი სამსახური არ სჭირდებათ. არადა, კარგი კი იქნებოდა, ბარემ ერთბაშად...

რიტა. არა, არა, გმადლობთ. მართლა არა გეჭირდება.

ვირთხიჭერია დედაბერი. კარგით, კარგით, მშვენიერო ქალ-ბატონო... მაგრამ, ვინ იცის... თუ შენიშნავთ, რომ მფხაქნელი და მღრღნელი გაგიჩნდათ, ერთი დამიძახეთ, ჩემს კუსპარასთან ერთად. მშვიდობით, კარგად ბრძანდებოდეთ. (ხელმარჯვნივ გადის).

ეიოლფი (ჩუმად, საზეიმო კლოთი). ხედავ, მამიდა? მეც ხომ ვნახე ვირთხიჭერია!

რიტა ვერანდაზე გადის; ცხვირსახოცით სახეს იწმინდებს. ცოტა ხნის შემდეგ ეიოლფიც უჩუმრად გადის ხელმარჯვნივ.

ალმერსი (დივანიდან მაგიდაზე გადადებს პორტფელს). ეს შენი პორტფელია, ასტა?

ასტა. დიახ, შიგ ძველი წერილები დევს.

ალმერსი. ა-ა! ჩვენი საოჯახო არქივიდან?..

ასტა. შენ ხომ მთხოვე, ჩემს აქ არყოფნაში, გადახედო.

ალმერსი (თავზე უსვამს ხელს). ამისთვისაც გამონახე დრო?

ასტა. რა თქმა უნდა. ხან ამათ ვარჩევდი, ხან ქალაქში ვაკეთებდი ჩემს საქმეს.

ალმერსი. მაღლობელი ვარ, ჩემო ძვირფასო! რაიმე ისეთს თუ მიაკვლიე?

ასტა (გაკერით). პო... იცი, ასეთ ძველ ქალაქებში ყოველთვის მოიძებნება რაღაც. (ხმადაბლა, სერიოზულად). ამ პორტფელში დედის წერილებია.

ალმერსი. ისინი, რა თქმა უნდა, შენ უნდა გქონდეს.

ასტა (თავს ძალას ატანს). არა, მე მინდა, რომ შენც წაიკითხო, ალფრედ... ოდესმე... სხვა დროს. დღეს პორტფელის გასაღები არ წამომიღია.

ალმერსი. არცაა საჭირო, ჩემო ძვირფასო. მე, ყოველ შემთხვევაში, ამ წერილების კითხვას არ შევუდგები.

ასტა (დაინებით უცქერის). მაშინ ოდესმე... ერთ მშვენიერ საღამოს... მე თვითონ გაგაცნობ ზოგიერთის შინაარსს.

ალმერსი. კო, ოდესმე... მაგრამ ეგ წერილები შენ დაიტოვე, რადგან დედა, ალბათ, ოდნავ თუ გახსოვს. (პორტფელს ასტას აწოდის, ის კი სკამზე, თავისი ჯაკეტის ქვეშ ამოდებს მას).

ოთახში შემოდის რიტა.

რიტა. უკ, რა ცუდად გავხდი! ამ დედაბერმა თითქოს მიცვალებულის სუნი შემოიტანა.

ალმერსი. მართლაცდა, მის გვერდით რაღაც ისე ვერა გრძნობ თავს.

რიტა. ლამის ჩემი დამემართა, სანამ აქ იყო.

ალმერსი. თუმცა ჩემთვის ცნობილია ეს მომწესხველი, უძლეველი და მართლაც რომ გრძნეული ძალა, რაზედაც ის ლაპარაკობდა. რაღაც ამდაგვარს განიცდის კაცი მთის მწვერვალებზე განმარტობისას.

ასტა (ყურადღებით უცქერის). რა მოგივიდა, ალფრედ?

ალმერსი (ღიმილით). მე?

ასტა. ველარა გცნობ. თითქოს სულ მთლად გამოიცვალე. აი, რიტამაც შენიშნა.

რიტა. დიახ, შემოდგი თუ არა ფეხი... მაგრამ ეს ხომ სასიკეთო ცვლილებაა, ალფრედ?

ალმერსი. ალბათ, სასიკეთოა, დიახ, დიახ, სასიკეთო უნდა იყოს.

რიტა (უჩვეულო აგზნებით). არა, გზაში ნამდვილად რაღაც შეგემთხვანო უარყოფ. სახეზე გეტყობა.

ალმერსი (თავს აქნევს). ღმერთმანი, არაფერი... ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც. მაგრამ...

რიტა (დაძაბულად). მაგრამ რა?

ალმერსი. შიგნით კი მართლაც ერთგვარი გარდატეხა მოხდა.

რიტა. ღმერთო!..

ალმერსი (დაყვავებით, ხელზე ეფერება). სასიკეთო, ჩემო ძვირფასო. ნუ ლელავ.

რიტა (ღიანზე ჯდება). ახლავე ყველაფერი გვიამბე. ყველაფერი, გესმის?!

**ალმერსი** (ასტასკენ შებრუნდება). მაშინ, მოდი, ჩვენც ჩამოვსხდეთ.  
ვეცდები გიამბოთ, თუკი შევძელი.

რიტას გვერდით ჯდება დივანზე. ასტა სკამს მიიჩოჩებს და ალმერსს გვერდით უჯდება. ხანმოკლე პაუზა.

**რიტა** (დაძაბული მოლოდინით, ალმერსს). აბა!...

**ალმერსი** (წინ იუურება). ცხოვრებას რომ თვალს გადავაველებ და ჩემს ბედზე ვფიქრობ... ამ უკანასკნელი ათი-თერთმეტი წლის მანძილზე ყველაფერი ერთგვარ ზღაპრად თუ ზმანებად წარმომიდგება. ალბათ, შენც, ასტა.

**ასტა**. დიახ, გარკვეული თვალსაზრისით, მეც.

**ალმერსი** (განაგრძობს). როცა დაეფიქრდები, რანი ვიყავით მე და შენ, ასტა. ორი უთვისტომო, საცოდავი ობოლი...

**რიტა** (მოუთმენლად). მაგრამ ეს ხომ დიდი ხნის წინათ იყო.

**ალმერსი** (ყურს არ ათხოვებს). ახლა კი სიმდიდრით და ფუფუნებითა ვარ გარემოცული. შემიძლია ჩემს მოწოდებას მივსდიო. ვიკითხო, ვიმეცადინო, ვიმუშაო... როგორც მომეპრიანება. (ხელს იწვდის). და მთელ ამ უზარმაზარ, წარმოუდგენელ ბედნიერებას შენ გიმაღლით, ძვირფასო რიტა.

**რიტა** (თან იცინის და თან ბრაზობს, ხელს მსუბუქად დაარტყამს ხელზე).  
მორჩი ამ სისულელეს.

**ალმერსი**. ეს მხოლოდ შესაველია...

**რიტა**. არ შეიძლება, გამოტოვო?

**ალმერსი**. ხომ არ გგონია, რიტა, რომ ექიმმა თავის რჩევით წამაქება მთებში სახეტილოდ?

**ასტა**. აბა?

**რიტა**. მაშ, რამ?

**ალმერსი**. რამ და იმან, რომ ჩემს საწერ მაგიდასთან ჯდომა აღარ შემეძლო. ერთ ადგილას ველარა ვძლებდი.

**რიტა**. ველარა ძლებდი? კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, რა გიშლიდა ხელს?

**ალმერსი** (თავს აქნევს). არაფერი... ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად. მაგრამ სულ ისეთი განცდა მქონდა, რომ ბოროტად ვიყენებდი... ან, უფრო სწორად, არაფრად ვაგდებდი ჩემს ნიქს და უნარს; მეჩვენებოდა, რომ სულ ფუჭად ვფლანგავდი დროს.

**ასტა** (განცვიფრებით მისჩერებია). და ეს მაშინ, როცა საქმეში თავჩარგული იქექი და შენს წიგნზე მუშაობდი?

**ალმერსი** (თავს აქნევს). ჰო, მაგრამ, მარტო ეს ხომ არ შემიძლია? სხვა რამისთვისაც ხომ უნდა ვეარგოდე?

რიტა. ესე იგი, ამაზე ფიქრობდი?

ალმერსი. დიახ, ყველაზე მეტად ამაზე.

რიტა. აი, თურმე ამ ბოლო ხანს რატომ იყავი ასე უქმყოფილო; რატომ გალიზიანებდა შენი თავიყა და სხვებიც. ხომ გალიზიანებდით, ალფრედ?

ალმერსი (წინ იუჯრება). მე ვიჭექი და თავაულებლად ვმუშაობდი; ვწერდი და ვწერდი; ხანდახან -- ღამ-ღამობითაც, ვწერდი სქელ, ვეებერთელა წიგნს ადამიანის პასუხისმგებლობის შესახებ. ჰმ!..

ასტა (ხელს ჰკიდებს). კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო... ეს წიგნი ხომ მთელი შენი ცხოვრების ნაყოფი უნდა ყოფილიყო?

რიტა. დიახ, დიახ, რამდენჯერ გითქვამს.

ალმერსი. მეც სულ ასე მეგონა. მას შემდეგ, რაც დავეაჯკაცდი (თვალებში შუკი უდგება). და, აი, შენ მომეცი შესაძლებლობა, ხელი მომეკიდა ამ შრომისთვის; შენ, ჩემო ძვირფასო რიტა.

რიტა. ე, კარგი ერთი!

ალმერსი (უღიმის). შენ დამიხვავე ოქროს მთები.

რიტა (თან იყინის და თან ბრაზობს). თუ ამ სისულელეს არ მოეშვები, იცოდე, გცემ.

ასტა (შეწუხებული უსქარის). კი მაგრამ, წიგნი, შენი წიგნი, ალფრედ?

ალმერსი. ის ჩემთვის უეცრად რაღაც უცხო გახდა, სადღაცა შორს გადაინაცვლა. სამაგიეროდ ჩემს სულს თანდათანობით დაეუფლა აზრი უფრო მაღალი მოვალეობის შესახებ; აზრი, რომელიც ახალ მოთხოვნებს მიყენებდა.

რიტა (სახეგაბრწყინებული, ხელს სტაცებს). ალფრედ!

ალმერსი. ეს აზრი თავს დასტრიალებს ჩვენს პატარა ეიოლფს, რიტა.

რიტა (იბეღაგრუებული, ხელს უშვებს). ა-ა! ეიოლფს?!

ალმერსი. ჩენი საბრალო ბიჭი სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს ჩემს გულში. იმ უბედური შემთხვევის შემდეგ, მაგიდიდან რომ გადმოვარდა... განსაკუთრებით მას მერე, რაც დავრწმუნდით, რომ აღარაფერი ეშველებოდა...

რიტა. კი მაგრამ, შენ ხომ ზრუნავ მასზე, ამეცადინებ, როგორც შეგიძლია, ალფრედ!

ალმერსი. დიახ, როგორც მასწავლებელი, და არა როგორც მამა. ახლა კი მინდა, ეიოლფს ნამდვილი მამობა გავუწიო.

რიტა (უუჯრებს და თავს აქნევს). მართალი გითხრა, არ მესმის შენი.



- ალმერსი.** მე იმის თქმა მსურს, რომ ამიერიდან ყოველნაირად ვეცდები მძიმე ხვედრი შევეუმსუბუქო, უფრო ასატანი გავხადო მისთვის ის, რასაც აღარაფერი ეშველება...
- რიტა.** კარგი, გეყოფა. მაღლობა ღმერთს, რომ თვითონაც ასე მტკივნეულად არ განიცდის.
- ასტა** (აღღებებით). არა, არა, რიტა, განიცდის.
- ალმერსი.** დიახ, დამერწმუნე, განიცდის და მერე როგორ განიცდის.
- რიტა** (გაღიზიანებული). კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო... რაც შენ მისთვის გაგიკეთებია, მეტს რაღას გაუკეთებ?
- ალმერსი.** ვეცდები დაეხმარო და გავუადვილო იმ უთვალავ უნარში გარკვევა, რომლებიც თვლემენ მის ბავშვურ სულში. ვეცდები სიკეთის თესლი გავადვივო მასში... ძალ-ღონეს არ დავზოგავ, რომ ამ თესლმა თავისი ყვაველი და ნაყოფი გამოიღოს. (ღგება და უფრო მგზნებარედ განაგრძობს). მეტიც, ყოველნაირად შევეუწყობ ხელს, რომ თავისი სურვილები შეუთანხმოს იმას, რაც ამქვეყნად ხელმისაწვდომია მისთვის. ახლა კი ასე არ არის: ის მთელი არსებით ისწრაფვის იმისკენ, რაც მთელი სიცოცხლის მანძილზე მიუწვდომელი დარჩება მისთვის. მე კი მინდა, რომ მის სულში დავამკვიდრო კმაყოფილებისა და ბედნიერების გრძნობა.
- ღგება და ბოლთის ცემას იწყებს ოთახში. ასტა და რიტა თვალს არ აშორებენ.
- რიტა.** ამ საქმეში მეტი სიმშვიდე გმართებს, ალფრედ.
- ალმერსი** (ხელმარცხნივ ჩერდება მაგიდასთან და ქალებს უყურებს). ეიოლფი გააგრძელებს ჩემს შრომას. რა თქმა უნდა, თუ მოისურვებს. ან არა და, ახალ საქმეს მოჰკიდებს ხელს. ალბათ, ასე აჯობებს. ყოველ შემთხვევაში, ჩემს შრომას თავს ვანებებ.
- რიტა** (ღგება). კი მაგრამ, ძვირფასო ალფრედ... ვითომ რა გიშლის ხელს, რომ არც შენს შრომას მოსწყდე და ეიოლფსაც მიხედო?
- ალმერსი.** არა, არა, არ შემძლია! ორად ვერ გავიჭრები. და ამიტომ ეიოლფის გულისათვის ხელს ვიღებ ჩემს შრომაზე. მე მინდა, რომ ეიოლფი ყველაზე სრულყოფილი იყოს ჩვენს გვარში. ახალ საქმეს შეეწირავ ჩემს სიცოცხლეს -- ეიოლფს დავეხმარები იმაში, რომ ყველაზე სრულყოფილი გახდეს.
- ასტა** (ღგება და მასთან მიდის). ამნაირი გადაწყვეტილება რომ მიგელო, ალბათ, დიდი ბრძოლის გადატანა მოგიხდა, ალფრედ.
- ალმერსი.** მართალი ხარ. აქ, სახლში, ვერასდიდებით ვერ შეეძლებდი ამას, ვერ დავძლევდი საკუთარ თავს. იცი, რა ძნელია თვითგანდგომა? შინაურებში კი -- შეუძლებელიც!
- რიტა.** და შენც სწორედ ამიტომ მიაშურე მთებს?

**ალმერსი** (თვალეგაბრწყინებული). დიახ! იქ მე აღმოჩნდი სიჩუმისა და სიმარტოვის უსაზღვრო სამეფოში. ვხედავდი, რა გრძნეული შუქით მოსავდა აისი მთის მწვერვალებს, უფრო ახლოს ვიყავი ვარსკვლავებთან. თითქოს მესმოდა მათი ლაპარაკი, ვერწყმოდი მათ. და, აი, როგორც ხედავთ, შევძელი!

**ასტა** (შეწუხებული უყურებს). და აღარასოდეს, აღარასოდეს, აღარასოდეს მიუბრუნდები შენს წიგნს ადამიანის პასუხისმგებლობის შესახებ?

**ალმერსი**. აღარასოდეს, ასტა. ორად ხომ ვერ გავიქრები ორ სხვადასხვა ამოცანას შორის? არა, მე მინდა საქმით დავამტკიცო ადამიანის პასუხისმგებლობა, -- ცხოვრებაში შევასხა ხორცი იდეას.

**რიტა** (ღიმილით). კი მაგრამ, თუ შესძლებ, რომ შენს კეთილშობილურ განზრახვას არ უღალატო აქ, შინაურებს შორის?

**ალმერსი** (ხელს ჩაკიდებს). შენთან ერთად -- შევძლებ. (მეორე ხელს იწვდის). რა თქმა უნდა, შენთანაც, ასტა.

**რიტა** (ხელს გამოსტაცებს). ესე იგი ორთან. მაშასადამე, მაინც შეგიძლია ორად გაყოფა!

**ალმერსი**. კი მაგრამ, რიტა...

რიტა გაეცლება და კართან, ვერანდის ზღურბლზე ჩერდება. ხელმარჯვნივ, კარზე გამაღებული კაქუნი ისმის, შემდეგ კი სწრაფად შემოდის ინჟინერი ბორგჰეიმი, ახალგაზრდა, ოცდაათი წლის კაცი; შემოდის გამართული ნაბიჯით, მოხდენილი აგარეგნობა, მზიარული და გულლია კაცის იერი აქვს.

**ბორგჰეიმი**. გამარჯობათ, გამარჯობათ, ფრუ ალმერს! (ჩერდება და ალმერსის დანახვისას სიზარულითა და განკვიფრებით წამოიძახებს). ამას ვის ვხედავ! უკვე დაბრუნდით, ბატონო ალმერს?

**ალმერსი** (ხელს ართმევს). დიახ, წუხელის.

**რიტა** (მზიარულად). მეტი დაგვიანება ველარ გაბედა, ბატონო ბორგჰეიმი!

**ალმერსი**. კი მაგრამ, ეს ხომ ტყუილია, რიტა...

**რიტა** (უახლოვდება). როგორ გეკადრება?.. მისი შვებულების დრო ამოიწურა.

**ბორგჰეიმი**. ასე მტკიცედ იცავთ, ფრუ ალმერს, თქვენს ქმარს მანვე გაველენისაგან?

**რიტა**. მე ჩემს უფლებებს ვიცავ! ეგეც არ იყოს, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ხომ თავისი დასასრული აქვს?

**ბორგჰეიმი**. არა, იმედია, ყველაფერს არა... გამარჯობათ, ფრიოკენ ალმერს!

**ასტა** (თითქოს გაურბის). გამარჯობათ.

**რიტა**. მაშ, თქვენ ამტკიცებთ, რომ...

ბორგჰეიმი. დიახ, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამქვეყნად ყველაფერს როდი აქვს დასასრული.

რიტა. თქვენ, ალბათ, გულისხმობთ სიყვარულს... და სხვა მისთანათ.

ბორგჰეიმი (გზნებით). მე ვგულისხმობ ყოველივე მშვენიერს.

რიტა. რასაც დასასრული არა აქვს? კეთილი და პატიოსანი. მოდიტ, მართლა ასე ვიფიქროთ... იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა.

ალმერსი (უახლოვდება). საგზაო სამუშაოებს, ალბათ, მალე მორჩებით აქ.

ბორგჰეიმი. გუშინ უკვე მოვრჩით. ისედაც საკმაოდ გაგვიგრძელდა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამას მაინც დაადგა დასასრული.

რიტა. იმიტომაცა ხართ ასე მხიარული?

ბორგჰეიმი. დიახ, დიახ, გამოგიტყდებით!

რიტა. კი მაგრამ...

ბორგჰეიმი. რა მაგრამ, ფრუ ალმერს?

რიტა. ეს არც ისე დიდი თავაზიანობაა თქვენის მხრივ, ბატონო ბორგჰეიმ.

ბორგჰეიმი. მართლა? რატომ?

რიტა. იმიტომ, რომ დღეიდან, ალბათ, იშვიათად თუ გვესტუმრებთ.

ბორგჰეიმი. მართალი ხართ. ამაზე არ მიფიქრია.

რიტა. თუმცა, იმედია, ხანდახან მაინც მოახერხებთ ჩვენთან შემოვლას.

ბორგჰეიმი. სამწუხაროდ, დიდხანს, ალბათ, ვერასდიდებით ვერ მოვახერხებ.

ალმერსი. კი მაგრამ, რატომ?

ბორგჰეიმი. იმიტომ, რომ ახალ სამუშაოს მანდობენ; უნდა მოვახსენოთ, რომ დიდად საპასუხისმგებლო საქმეა და, როგორც ჩანს, დაუყოვნებლივ უნდა შევუდგე.

ალმერსი. მართლა? (ხელს ართმევს). მოხარული ვარ.

რიტა. მომილოცავს, მომილოცავს, ბატონო ბორგჰეიმ.

ბორგჰეიმი. ჩუ-უ! -- კაცმა რომ თქვას, ჯერ კიდევ არა მაქვს იმის უფლება, რომ ამაზე ვილაპარაკო. მაგრამ, რა ექნა, სულმა წამძლია... ძალიან ძნელი საქმეა, -- გზის გაყვანა ჩრდილოეთში, უღელტეხილზე. წარმოუდგენელი სიძნელებების გადალახვა მოგვიწევს. (გატაცებით). ო, რომ იცოდეთ, რა საოცარი, რა დიდებული მხარეა! და რა შეედრება იმ ბედნიერებას, რომ ახალ-ახალი გზები გაკვალო და გაიყვანო მის წიაღში!

- რიტა** (ილიშება, ოდნავ დამცინავი კილოთი). და თქვენ დამდულრულივით სწორედ იმიტომ შემოვარდით ასე დილაადრიან, რომ ეს ახალი ამბავი გეცნობებინათ ჩვენთვის?
- ბორგჰეიმი**. არა, მარტო ამიტომ -- არა: მინდოდა თქვენთვის გამეზიარებინა იმ საოცნებო მომავლის სურათი, რომელიც ამ ახალი საქმის წყალობით იშლება ჩემს წინაშე.
- რიტა** (იმავე კილოთი). აჰა!.. ესე იგი, ისახება რაღაც კიდევ უფრო მშვენიერი?
- ბორგჰეიმი** (ალმაყერად გახედავს რიტას). როგორ გითხრათ?.. თუ ბედნიერებაა, ბედნიერება იყოს. (ასტას მიუბრუნდება). ძველებურად ხომ არ გავეცესირნა, ფრიოკენ აღმერს?
- ასტა** (ნაჩქარევად). არა, არა, გმადლობთ... ახლა... დღეს არ შემიძლია.
- ბორგჰეიმი**. გვედრებით! სულ ცოტა ხნით... რომ იცოდეთ, გამგზავრების წინ რამდენი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი.
- რიტა**. ალბათ, კვლავ რაღაც ისეთი, რისი ხმამალა თქმის უფლებაც ჭერ არა გაქვთ.
- ბორგჰეიმი**. ჰმ... ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ...
- რიტა**. ყურში კი თავისუფლად შეგიძლიათ ჩასჩურჩულოთ, არა? (ხმადაბლა). ასტა, თუ ღმერთი გწამს, გაჰყევი.
- ასტა**. კი მაგრამ, რიტა...
- ბორგჰეიმი** (ვედრების კილოთი). ფრიოკენ ასტა... ხომ იცით, ეს იქნება ჩვენი უკანასკნელი გასეირნება... ალბათ, ძალიან დიდხანს...
- ასტა** (ქუდსა და ქოლგას იღებს). კარგი, კარგი, მოდით, ბალში გაეისეირნოთ.
- ბორგჰეიმი**. გმადლობთ, გმადლობთ.
- ალმერსი**. თან ეიოლფსაც თვალყურს ადევნებთ.
- ბორგჰეიმი**. ჰო, მართლა, სად არის ეიოლფი? პატარა საჩუქარი მოვუტანე.
- ალმერსი**. ალბათ, ბალში თამაშობს.
- ბორგჰეიმი**. ბიკოს! თამაშიც დაიწყო? ადრე სულ სახლში იქდა და წიგნებს ჩაჰკირკიტებდა.
- ალმერსი**. მორჩა, ამას ბოლო მოელო. მე მინდა, ამას იქით სულ გარეთ იყოს, სუფთა ჰაერზე, ირბინოს, ილალოს, ითამაშოს.
- ბორგჰეიმი**. სწორია! ბავშვს თავისუფლება, სუფთა ჰაერზე ყოფნა და თამაში სჭირდება. ღმერთო ჩემო! რა სჯობია თამაშს? მე რომ მკითხოთ, მთელი ცხოვრება თამაშად მეჩვენება... აბა, წავიდეთ, ფრიოკენ ასტა.
- ბორგჰეიმი** და **ასტა** ვერანდაზე გადიან და ბალში ეშვებიან.

- აღმერსი. როგორ გგონია, რიტა... მათ შორის რაღაცა არის?  
 რიტა. არ ვიცი, რა გიპასუხო. ადრე მეგონა, რომ იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს ასტა რაღაც უცნაური გახდა. მართალი გითხრა, აღარაფერი მესმის მისი.
- აღმერსი. ერთი ამას უყურე! ჩემს არყოფნაში?  
 რიტა. დიახ, მე გგონია, ამ უკანასკნელი ორი-სამი კვირის მანძილზე.
- აღმერსი. მაშ, შენი აზრით, ასტას აღარ უყვარს?  
 რიტა. სერიოზულად, გატაცებით, მთელი არსებით -- არა. ამას ვერ ვამჩნევ. (მცდელი თვალით უყურებს). მაგრამ კიდევაც რომ უყვარდეს, შენ რა... მოგეწონება?
- აღმერსი. არ ვიცი, მომეწონება თუ არა, მაგრამ... უნდა გამოგიტყდე... ცოტა არ იყოს, გული მეთანაღრება.  
 რიტა. გეთანაღრება?
- აღმერსი. ნუ დაგავიწყდება, რომ მე პასუხს ვაგებ ასტაზე, მის ბედნიერებაზე.
- რიტა. კარგი ერთი, -- პასუხს აგებ! ასტა რა, პატარა ხომ აღარ გგონია? მაღლობა ღმერთს, შეუძლია ყველაფერი აწონ-დაწონოს და, რაც უნდა, თვითონვე გადაწყვიტოს.
- აღმერსი. პო, იმედი ვიქონიოთ, რიტა.  
 რიტა. მართალი გითხრა, ბორგკეიმს არაფერი აქვს დასაწუნი.  
 აღმერსი. რას ამბობ, ჩემო ძვირფასო. პირიქით... მაგრამ მაინც...  
 რიტა (განაგრძობს). და მე სიხარულით ცას ვეწევი, თუ ასტა დათანხმდება.
- აღმერსი (უკმაყოფილო ტონით). ასეთი გადასარევი ვითომ რა ნახე?  
 რიტა (სულ უფრო მეტი მღელვარებით). რა და, ის, რომ მაშინ თან წაჰყვება, შორს, ძალიან შორს. და ჩვენთან ასე ხშირ-ხშირად აღარ იქნება.
- აღმერსი (განაცვიფრებით უსკერის). შენ რა, ასტას თავიდან მოშორება გინდა?  
 რიტა. პო, მინდა, აღფრედ!
- აღმერსი. კი მაგრამ, რატომ?  
 რიტა (ვნებოანად ვხვევა ყელზე). იმიტომ, რომ მაშინ მაინც ჩემი იქნები, მხოლოდ ჩემი და მეტი არავისი. თუმცა არა!.. მთლიანად მაინც არ იქნები ჩემი. (კეთილი აუვარდება). ო, აღფრედ, აღფრედ!.. არ შემიძლია!.. არ შემიძლია სხვას დავეთმო შენი თავი.
- აღმერსი (ფრთხილად ითავისუფლებს თავს). კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო... გონიერებასაც მოუხმე!

რიტა. ჩანდაბას გონიერება! მე მხოლოდ ერთი რამ მინდა. -- რომ ჩემი იყო, ჩემი, მხოლოდ შენ მკირდები ამქვეყნად! (ხელახლა ჩამოეკიდება ყელზე). შენ, შენ, შენ!

ალმერსი. გამიშვი... დამახრჩობ!

რიტა (ხელს უშვებს). აჰ, რა იქნება, რომ შემეძლოს!.. (თვალეზანთებული უცქერის). ო, რომ იცოდე, როგორ მძულდი!..

ალმერსი. გძულდი?!

რიტა. დიახ, როცა კარჩაკეტილი იჯექი და შენს წიგნს ჩაკირკ-იტებდი. შუალამემდე... (საწყალობლად). იმდენხანს... იმდენხანს იჯექი, ალფრედ... ო, როგორ მძულდა შენი წიგნი!

ალმერსი. მაგრამ ახლა ხომ ამას ბოლო მოვლო?

რიტა (ნერვიულად იცინის). კი, როგორ არა! ახლა ახალი საქმე გაგიჩნდა -- უფრო უარესი.

ალმერსი (აღშოთებით). უარესი! შენი აზრით, ბავშვი -- უარესია?!

რიტა (გამწარებით). დიახ, როცა ჩვენს ურთიერთობას ეხება საქმე. ბავშვი, ბავშვი!.. ბავშვი რა, ცოცხალი ადამიანი არ არის? (სულ უფრო და უფრო მეტად ენთება). მე ამას ვერ ავიტან, ალფრედ! ვერ ავიტან-მეთქი!

ალმერსი (თვალს არ აშორებს, ხმადაბლა). ხანდახან მე თითქმის მეშინია შენი, რიტა.

რიტა (პირქუშად). ხშირად მე თვითონ მეშინია ჩემივე თავის. ამიტომაც ფრთხილად იყავი, ბოროტ ძალებს ნუ გააღვიძებ ჩემში.

ალმერსი. კი მაგრამ, განა ჩემზე ეგ ითქმის?

რიტა. დიახ, ითქმის, როცა ჩვენი წმიდათა-წმიდა კავშირის გაწყვეტას ცდილობ.

ალმერსი (შთამაგონებლად). რას ამბობ, დაფიქრდი, რიტა. ეს ხომ შენი საკუთარი შვილია... ჩვენი ერთადერთი შვილი?

რიტა. ის მხოლოდ ნახევრადაა ჩემი. (ხელახლა წამოენთება). შენ კი მთლიანად ჩემი უნდა იყო, მხოლოდ ჩემი! მე უფლება მაქვს, ეს მოვიტხოვო!

ალმერსი (მზრების აჩეჩვით). ეჰ, ჩემო ძვირფასო რიტა... რა აზრი აქვს მოტხოვნას? ყველაფერი ნებაყოფლობით უნდა ხდებოდეს.

რიტა (დამაბულად უცქერის). და სწორედ ეს არ შეგიძლია ახლა?

ალმერსი. არ შემიძლია. მე მოვალე ვარ ორად გავიქრა შენსა და ეიოლფს შორის.

რიტა. კი მაგრამ, ეიოლფი რომ საერთოდ არ იყოს, მაშინ?

აღმერსი (პირდაპირ პასუხს თავს არიდებს). მაშინ სულ სხვა საქმე იქნებოდა.

რიტა (ჩუმად, მორთოლვარე ხმით). თუ ასეა, ნეტა სულაც არ გამჩენოდა.

აღმერსი (წამოვარდება). რიტა!.. შენ თვითონ თუ გესმის, რას ამბობ?

რიტა (მღელვარებისაგან მთელი სხეული უცახცახებს). იცი, რა ტანჯვითა და ტკივილით ვშობე? მაგრამ ყველაფერი უდრტვინველად და უშფოთველად გადავიტანე, -- შენი გულისათვის.

აღმერსი (გულთბილად). ჰო, ვიცი, ვიცი.

რიტა (მტკიცედ). მაგრამ ეს -- საკმარისია. მე მინდა ვიცხოვრო, ვიცხოვრო შენთან ერთად... ერთ სულ და ერთ ხორც. მე არ შემიძლია მხოლოდ ეიოლფის დედა ვიყო! მხოლოდ ეიოლფის დედა და მეტი არაფერი! არ მინდა-მეთქი, შენ გეუბნები! არ მინდა და არც შემიძლია! მე მინდა ყველაფერი ვიყო შენთვის! მხოლოდ შენთვის, ალფრედ!

აღმერსი. მაგრამ ეს ხომ თავისთავადაც ასეა, რიტა? ჩვენი შვილის წყალობით...

რიტა. აჰ, ეს მხოლოდ გაცვეთილი, ლიტონი სიტყვებია და მეტი არაფერი!.. არა, ეს საჩემო არ არის! ჩემი დანიშნულება ის გახლდათ, რომ დედა გავმხდარიყავი! და არა ის, რომ დედა ვიყო! რა ექნა, რაცა ვარ, ესა ვარ! ასეთი უნდა გიყვარდე, ალფრედ!

აღმერსი. კი მაგრამ, ადრე ხომ გაგიყვებით გიყვარდა ეიოლფი?

რიტა. მეცოდებოდა. შენ ხომ საერთოდ არ გეცალა მისთვის. წიგნს მისცემდი და ეტყოდი, წაიკითხეო; ეს იყო და ეს. ხშირად თითქმის არც ნახულობდი.

აღმერსი (ნელი თავის ქნევით). ჰო, ბრმა ვიყავი. მაშინ ჭერ კიდევ არ დამდგარიყო ჩემი დრო.

რიტა (უყურებს). ახლა კი დადგა?

აღმერსი. დიახ, ბოლოს და ბოლოს, ახალა ვხედავ: ჩემი უზენაესი დანიშნულება ამქვეყნად ისაა, რომ ნამდვილი მამა ვიყო ეიოლფისათვის.

რიტა. კი მაგრამ ჩემთვის? ჩემთვის რაღა იქნები, ალფრედ?

აღმერსი. შენ უწინდებურად მეყვარები მშვიდი, ნათელი, გულითადი სიყვარულით. (ხელის ჩაკიდებას ცდილობს).

რიტა (თავს არიდებს). არ მკირდება მე შენი მშვიდი, ნათელი, გულითადი სიყვარული. მე მინდა მთლიანად ჩემი იყო, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი! როგორც უწინ, იმ ნეტარ დროს! (გააღმასხებით). ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ დავჭერდები მარტოოდენ ნარჩენებს და ნამცეცებს, ალფრედ!

ალმერსი (მშვიდად). მე მეგონა, რომ ბედნიერება თავისუფლად გვეყოფოდა სამივეს, და კიდევაც მოგვექარბდებოდა, რიტა.

რიტა (ზიზლით). შენ, შეიძლება, მკირედიოთაც კმაყოფილი ხარ. (ხელმარცხნივ უძღება მაგდას). მაშ, მომისმინე.

ალმერსი (უახლოვდება). გისმენ.

რიტა (დაბინდული მზერით უცქერის). გუშინ, შენი დეპეშა რომ მივიღე...

ალმერსი. მერე?..

რიტა. ...თეთრად მოვირთე...

ალმერსი. ჰო, შემოსვლისთანავე შევნიშნე: თეთრი კაბა გეცვა.

რიტა. ...თმა ჩამოვიშალე...

ალმერსი. შენი ნაზი, სურნელოვანი, მათრობელა თმა!

რიტა. ...და ის შრიალით დამეფინა მხრებსა და ზურგზე...

ალმერსი. დიახ, დიახ. ო, რომ იცოდე, რა ლამაზი იყავი, რიტა!

რიტა. ორივე ლამაზ ვარდისფერი აბაჟურებიდან გვაფრქვევდა სინათლეს. და ჩვენ მარტონი ვიყავით... მარტოდმარტონი... მხოლოდ ჩვენ ორს არ გვეძინა მთელს სახლში. მაგიდაზე კი შამპანური იდგა.

ალმერსი. მე არ დამილევია.

რიტა (ყვედრებით უცქერის). მართალს ამბობ. (ნერვიული სიცილით). შენი თასი სავსე იყო. შენ კი არ შესვი, როგორც ამბობს პოეტი. (საეარძლიდან დგება, დაღლილი ნაბიჯით მიდის დივანთან, ჭდება და ზურგზე გადაწვება).

ალმერსი (უახლოვდება და მის წინ ჩერდება). მე ჩემი საფიქრალი მქონდა. გადავწყვიტე, ჩვენს მომავალზე, უწინარეს ყოვლისა კი, ეიოლფზე მოგლაპარაკებოდი, რიტა.

რიტა (იღიმება). აკი ასეც მოიქეცი, ჩემო ძვირფასო.

ალმერსი. არა, ვინ გაცალა. შენ გახდა დაიწყე.

რიტა (მთლიანად გადაწვება დივანზე და ალმერსს შესქერის). დიახ, ალფრედ...

ალმერსი. რა?..

რიტა. შენი თასი სავსე იყო, შენ კი არ შესვი.

ალმერსი (თითქმის დაუნდობლად). დიახ, არ შეესვი.

შორდება და ვერანდის ზღურბლზე ჩერდება. რიტა ერთხანს უძრავად, თვალდაჩუქული წევს.

რიტა (ანაზღეულად წამოვარდება). მაგრამ ერთს მაინც გეტყვი, ალფრედ!..

ალმერსი (შემობრუნდება). რას?



რიტა. ნუ იქნები ასე თავდაჭერებული.

ალმერსი. თავდაჭერებული?

რიტა. დიახ, თავდაჭერებული და უზრუნველი. აკი დარწმუნებული ხარ, რომ შენ გეკუთვნი... მთელი არსებით!

ალმერსი (უახლოვდება). მაგით რის თქმას აპირებ, რიტა?

რიტა (ბაგეები უორთის). არასოდეს, არცერთხელ, გულშიაც კი არ მილალატნია შენთვის; არ ყოფილა ასეთი წამი, ალფრედ!

ალმერსი. ვიცი, ვიცი. განა არ გიცნობ?

რიტა (თვალს აკვეთს). მაგრამ, თუ დააპირებ, არად ჩამაგდო...

ალმერსი. არად ჩამაგდო?... არ შესმის, რას ამბობ, რიტა.

რიტა. ო, შენ წარმოდგენაც არა გაქვს, რა შემძლია ჩავიდინო, თუკი...

ალმერსი. თუკი?..

რიტა. თუკი ოდესმე შევნიშნავ. რომ შენი გრძნობა ჩემდამი შეიცვალა, რომ უწინდებურად აღარ გიყვარავარ.

ალმერსი. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო... წლები ცვლიან ადამიანს, და ეს ცვლილება ოდესმე ჩვენშიაც, ჩვენს ურთიერთობაშიაც იჩენს თავს. ისევე, როგორც ყველა სხვაში.

რიტა. მხოლოდ არა ჩემში. და ამიტომ შენშიაც არავითარი ცვლილების გაგონებაც არ მინდა. მე ამას ვერ ავიტან, ალფრედ! მე მინდა, რომ ყოველთვის ჩემი იყო, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი!

ალმერსი (გაოგნებული უიკერის). შენ საშინლად ექვიანი ხარ...

რიტა. რაცა ვარ, ესა ვარ. ვერ შევიცვლები, და თუ შენ დააპირებ ორად გაიჭრა ჩემსა და სხვას შორის...

ალმერსი. რას იზამ?

რიტა. შურს ვიძიებ შენზე, ალფრედ.

ალმერსი. კი მაგრამ, როგორ გინდა ჩემზე შური იძიო?

რიტა. არ ვიცი... თუმცა არა, არა, ვიცი!..

ალმერსი. მაინც?..

რიტა. ყველაფერზე ხელს ავიღებ და...

ალმერსი. რა სთქვი?!

რიტა. დიახ, ყველაფერზე ხელს ავიღებ. და ყელზე ჩამოვეკიდები პირველსავე შემხვედრს.

ალმერსი (შუქამდგარი მზერით, თავს აქნევს). ამას ვერასოდეს ვერ შეძლებს ჩემი პატიოსანი, ამაყი, ერთგული ცოლი.

რიტა (ყელზე შემოესვენება). აჰ, შენ წარმოდგენაც არა გაქვს, რად შეიძლება ვიქცე. თუკი ჩემს სიყვარულზე აიღებ ხელს.

ალმერსი. შენს სიყვარულზე ავიღებ ხელს? ეგ რამ გათქმეინა, რიტა?

რიტა (ნერვიულად იცინის, ხელს უშვებს). მე ხომ შემეძლო მახეში შემეტყუებინა... ეს ჩვენი ინჟინერი.

ალმერსი (სულს იბრუნებს). მადლობა ღმერთს, ეს მხოლოდ ხუმრობაა, რიტა.

რიტა. სრულიადაც არა. ან ის, ან სხვა. ვითომ რა განსხვავებაა?

ალმერსი. ის განსხვავებაა, რომ მას, როგორც ჩანს, უკვე სხვა უყვარს.

რიტა. მით უკეთესი. მაშინ მე შემეძლებოდა სხვისთვის წამერთმია იგი. და წავართმევი კიდევ. ზუსტად ისევე. როგორც ეიოლფი მართმევს შენს თავს.

ალმერსი. ეიოლფი გართმევს ჩემს თავს?.. რას ამბობ, რიტა?

რიტა (თითო ანიშნებს). აი, ხომ ხედავ? საკმარისია ეიოლფი ახსენო, რომ შენი ხმა ცვილივით რბილი ხდება, თრთის, კანკალებს. (უკარით კუმშავს მუშტებს). ო, მე მზადა ვარ, ვინატრო, რომ... არა, არა!

ალმერსი (შეშფოთებული უცქერის). რა ინატრო, რიტა?

რიტა (შორდება, გამწარებით). არა, არა... არა... ვერ ვიტყვი! ვერასოდეს!

ალმერსი (უახლოვდება). რიტა! გევედრები! თვითონ შენთვის და ჩემი გულისთვისაც გევედრები... ნუ აპყვები ამ შავბნელ ზრახვებს.

ბალიდან ვერანდაზე ამოდიან ბორგკეიმი და ასტა. ორივეს სერიოზული სახე აქვს; ორივე ნირშეცვლილია და აღელვებული, თუმცა ცდილობენ გარეგნულად მაინც შეინარჩუნონ სიმშვიდე. ასტა ვერანდაზე რჩება, ბორგკეიმი კი ოთახში შემოდის.

ბორგკეიმი. აი, ესეც ჩვენი საბოლოო გასეირნება.

რიტა (გაოგნებული უცქერის). ა-ა! ამ მოგზაურობას უფრო ხანგრძლივი მოგზაურობა ხომ არ მოჰყვება?

ბორგკეიმი. ჩემთვის -- მოჰყვება.

რიტა. მარტო თქვენთვის?

ბორგკეიმი. დიახ, მარტო ჩემთვის.

რიტა (იმედგატარებით, აღმაყრად გახლავს ალმერსს). გესმის, ალფრედ? (ბორგკეიმს მიუბრუნდება). დაგენიძლავებით, თუ ვილაცის ავმა თვალმა არ გაგთვალათ.

ბორგკეიმი (უყურებს). ავმა თვალმა?

რიტა (თავს უქნევს). დიახ, ავმა თვალმა.

ბორგკეიმი. თქვენ გწამთ, რომ არსებობს ავი თვალი, ფრუ ალმერს?

რიტა. ახლა უკვე მწამს. განსაკუთრებით, ბავშვის თვალს.

ალმერსი (ალმუთოებული ჩურჩულით). რას ამბობ, რიტა?

რიტა (ხმადაბლა). ეს შენ მაიძულებ, ასეთი ბოროტი და მოწამლული ვიყო.

შორს, სადღაც ნაპირიდან, ყვირილი მოისმის.

ბორჯაქეიში (კართან მიდის). რა ამბავია?..

ასტა (კარში). შეხედეთ, ყველა ნავმისადგომისკენ გარბის!

ალმერსი. რა მოხდა? (თეთონაც იყურება). ალბათ, ისევ იმ ონავრების ოინებია.

ბორჯაქეიში (მოაჭირზე გადაყულებული ყვირის). ეი, ბიჭებო! რა მოხდა, რა ამბავია?

რამდენიმე ხმა ერთად პასუხობს.

რიტა. რას ამბობენ?

ბორჯაქეიში. რა ვიცი, ბავშვი დაიხრჩო.

ალმერსი. ბავშვი დაიხრჩო?

ასტა (შეშფოთებით). ჰო, პატარა ბიჭიო.

ალმერსი. ოჰ, კარგი ერთი, ყველა იხვივით ცურავს.

რიტა (შეშინებული). კი მაგრამ, ეიოლფი სადაა?

ალმერსი. დაწყნარდი, ეიოლფი ხომ ბალში თამაშობს?

ასტა. არა, ბალში არ არის...

რიტა (ხელებს შემოქრავს). ვაიმე!..

ბორჯაქეიში (ურს უღდებს და ხელახლა ყვირის). ვისი ბავშვია!.. გამაგებინეთ!..

პასუხად კვლავ უთავბოლო ყვირილი ისმის. ბორჯაქეიში და ასტა ყრულ წამოიყვირებენ და ბალში ჩარბიან.

ალმერსი (თავზარდაცემული). ნუ გეშინია, ეიოლფი არ არის! ეიოლფი არ არის, რიტა!

რიტა (ვერანდაზე, სმენადაა ქცეული). ჩუ! ჩუმად! გამაგებინე, რას ამბობენ! (უცებ შემზარავი კვილით შემოვარდება ოთახში).

ალმერსი. რაო, რას ყვირიან?

რიტა (მოცელილივით ეცემა ხელმარცხნივ მდგარ სავარძელში). ყავარჯენი დატურავსო!

ალმერსი (მეხდაცემულივით). არა, არა, არა!..

რიტა (ხაილით). ეიოლფ! ეიოლფ! გვიშველეთ!.. ვილაცამ ხომ უნდა გვიშველოს?!

ალმერსი (თითქმის უგონოდ). რა თქმა უნდა!.. ჩვენი სიცოცხლე!.. ჩვენი სიცოცხლე!.. (ბალში გაეარდება).

## მეორე მოქმედება

პატარა, ეიწრო მინდორი აღმერსის ტყეში, ზღვის პირას. მარცხენა მხრიდან მინდორს ტანშალალი, ბებური ხეები აკრავს. სიღრმეში, ფერდობზე, ნაკადული მოჩუჩჩუხებს და ტყის პირას ლოდებს შორის უჩინარდება. ნაკადულის გასწვრივ საცალფეხო ბილიკი მიიკლავება, ხელმარჯვნივ ხეები დგას, რომელთა შორისაც ფიორდი მოჩანს. წინ, სანავე ფარდულის კუთხესთან, ნაპირზე ამოთრეული ნაი აგდია. ხელმარცხნივ, ბებური ხეების ქვეშ, მაგიდა, მერხები და რამდენიმე სკამი დგას; ყველაფერი არყის ზის წვრილი ტოტებისგანაა გაკეთებული. ავღრიანი, პირქუში დღეა. ცაზე ღრუბლები მიუტრავენ. აღფრედ აღმერსი, ისევე ჩაძმული, როგორც პირველ მოქმედებაში, მერხზე ზის; ხელებით მაგიდას დაყრდნობია. ქუდი წინ უდევს. გახევებული უაზროდ იყურება შორს, ფიორდისკენ.

ოტა ხნის შემდეგ ბილიკზე გაშლილი ქოლგით ეშვება ასტა.

**ასტა** (ფრთხილად უახლოვდება აღმერსს). ამ ავღარში აქ რას უზიხარ, აღფრედ?

აღმერსი ნელა უქნევს თავს, პასუხს არ აძლევს.

(ქოლგას ხურავს). მე კი რამდენი ვიარე, სად არ გეძებე.

**აღმერსი** (ანგარიშმიუცემლად). გმადლობ.

**ასტა** (სკამს მიიწევს და ქდება). ამდენ ხანს სულ აქა ხარ?

**აღმერსი** (ერთხანს დუმს და მხოლოდ შემდეგ პასუხობს). არა, არა... ვერ გამიგია... ვერაფერი ვერ გამიგია.

**ასტა** (თანაგრძნობის ნიშნად ხელზე ხელს ადებს). ჩემო საბრალო აღფრედ!

**აღმერსი** (დაეინებით უტკერის). კი მაგრამ, ნუთუ ეს მართალია, ასტა? ან, იქნებ, ჭკუიდან შევიშალე? იქნებ, სიზმარში ვარ? ეჰ, ნეტაეი სიზმარი იყოს! რა ბედნიერება იქნებოდა გამოღვიძება.

**ასტა**. ნეტაეი მართლა შემეძლოს, რომ გამოვალვიძო.

**აღმერსი** (ცელავ ფიორდს გასტკერის). რა შეუბრალებელი ჩანს დღეს ჩვენი ფიორდი. როგორი მძიმე, მთვლემარე, ყომრალი... თანაც, რანაირი სიყვითლე დაჰკრავს... ეს იმიტომ, რომ საწვიმარ ღრუბლებს ირეკლავს.

**ასტა** (ხეწნით). თუ ღმერთი გწამს, სულ ამ ფიორდს ნუ მისჩერებხარ, აღფრედ.

**აღმერსი** (თვისას განაგრძობს). მაგრამ ასეთია მხოლოდ ზედაპირზე. სიღრმეში კი... იქ, სადაც სწრაფი წყალქვეშა დინება მიიგრავნება...

**ასტა** (შინით). გემუდარები, სიღრმეზე ფიქრს მაინც მოეშვი.

- აღმერსი (მშვიდად მისჩერებია). შენ გგონია, სადღაც ნაპირთან წევს? არა, ასტა. არ დაიჭერო. ხომ იცი, რა სწრაფია დინება! პირდაპირ ზღვისკენ მიექანება.
- ასტა (ხელებს სახეზე იფარებს და ქვითინით ემხოზა მაგიდაზე). ღმერთო ჩემო... ღმერთო ჩემო...
- აღმერსი (ყრულ, გაშწარებით). აი, რატომ დაგვეყარვა პატარა ეიოლფი, ასე შორს რატომ წავიდა ჩვენგან.
- ასტა (თვალეზით ევედრება). ასე ნუ ლაპარაკობ, ალფრედ.
- აღმერსი. თვითონვე შეგიძლია გამოთვალო. შენ ხომ ისეთი კკვიანი ხარ... ოცდარვა თუ ოცდაცხრა საათის განმავლობაში... მოიცა... მომისმინე...
- ასტა (ყურებში თითებს იცობს, სასოწარკვეთილი ყვირლით). ალფრედ?
- აღმერსი (მაგიდას მუშტს დასციხებს). კი მაგრამ, აზრი?.. აზრს მაინც თუ ხედავ ამაში?
- ასტა (მისჩერებია). რაში?
- აღმერსი. იმაში, რაც მე და რიტას დაგვემართა?
- ასტა. აზრი?
- აღმერსი (გაშმაგებით). დიახ, აზრი! ხომ უნდა იყოს ამაში რაღაცა აზრი? განა შეიძლება, რომ სიცოცხლე, არსებობა, ბედისწერა ყოველგვარი აზრისაგან განძარცული იყოს?
- ასტა. ვინ გვეტყვის, ვინ რას გაარკვევს. ან ვინ გავციხადებს ამას?
- აღმერსი (მწარე სიცილით). დიახ, დიახ, შენ მართალი ხარ. ყველაფერი შემთხვევითობაზე ჰკიდია. ყველაფერს განაგებს და თავის ნებაზე ათამაშებს ბრმა ბედისწერა, როგორც გრიგალი -- უსაქო და უიალქნო, დამსხვრეულ ხომალდს. ადვილი შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანს.
- ასტა (დაფიქრებით). კი მაგრამ, თუ ასე მხოლოდ ჩანს?..
- აღმერსი (წამოუნთება). ჰოო?.. ესე იგი, შენ შეგიძლია ამიხსნა ეს? მე არ შემიძლია. (უფრო ზბილად). იყო და არა იყო რა, იყო პატარა ეიოლფი. იცხოვრა, იცხოვრა და იმ ასაკს მიაღწია, როცა შეგნებული სიცოცხლე უნდა დაეწყო. ნიქიერი ბიჭი იყო. ღმერთმანი, დიდად ნიქიერი. შეეძლო სიხარულითა და სიამაყით აევსო ჩემი ცხოვრება. მაგრამ, აი, საიდანღაც გამოტყვრა ნახევრად შეშლილი ბებრუხანა... თავმოკრულ ტომარაში მოფართხალე ფინია აჩვენა და...
- ასტა. ჰო, მაგრამ ჩვენ ხომ თითქმის არაფერი არ ვიცით, თუ როგორ მოხდა...
- აღმერსი. არა, ვიცით. ბიჭები ხედავდნენ, როგორ მიაცურებდა ნავს დედაბერი. ხედავდნენ, რომ ეიოლფი მარტოდმარტო

იდგა ხიდის ყურეში. იმასაც ხედავდნენ, რომ მოჭადლოებულ-  
ვით თვალს ვერ აშორებდა მენავეს. უცებ, თითქოს თავებზე  
დაეხვიაო... (ცახცახებს). წყალში ჩავარდა და იმ წამსვე გაქრა.

ასტა. ჰო, მაგრამ მაინც...

ალმერსი. დამერწმუნე, სწორედ მან გაიტაცა წყლის სიღრმეში.

ასტა. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, რას ერჩოდა?

ალმერსი. საკითხავიც სწორედ ეგ არის! რას ერჩოდა?.. ნაცელის-  
გებაზე აქ ლაპარაკიც კი ზედმეტია. ესე იგი, -- მე მიხდა  
ვთქვა, -- დანაშაულის გამოსყიდვაზე. ეიოლფს მისთვის  
არაფერი დაუშავებია. არასოდეს დასდევნებია, მასხრად არ  
აუგდია. არც ქვები დაუშენია მისი ძაღლისთვის. მეტიც,  
აქამდე თვალითაც არ უნახავს არც ისა და არც მისი ძაღლი.  
ასე რომ, ნაცელისგება გამორიცხულია. არც მიზეზი, არც  
საბაბი, არც აზრის ნატამალი. ასტა... და მაინც ეს საჭირო  
შეიქნა სამყაროული წესრიგის შენარჩუნებისათვის.

ასტა. რიტას თუ ელაპარაკე?

ალმერსი (თავს აქნევს). არა; რატომღაც შენთან უფრო მეადვილება  
ამაზე ლაპარაკი. (მძიმედ ამოიოხრებს). და განა მარტო ამაზე?

ასტა ჭიბიდან იღებს ნემსს, ძაფსა და ქალღმერთში გახვეულ პატარა პაკეტს.  
ალმერსი ზის და ანგარიშმოუცემლად უსქერის.

ალმერსი. ეგ რა არის, ასტა?

ასტა (მის ქუდს იღებს). შავი კრეპი.

ალმერსი. რა საჭიროა?

ასტა. რიტამ მთხოვა, შეიძლება?

ალმერსი. როგორც გინდა. ჩემთვის სულერთია.

ასტა კრეპის ნაჭრებს აყრებს ქუდს.

(უყურებს). რიტა სადაა?

ასტა. მგონი, ბაღში ჩავიდა, ბორგჰეიმთან ერთად.

ალმერსი (ცოტა არ იყოს, განცვიფრებით). ბორგჰეიმი დღესაც  
ჩვენთანაა?

ასტა. დიახ, შუადღის მატარებელს ჩამოჰყვა.

ალმერსი. არ მოველოდი.

ასტა (კერვას განაგრძობს). ხომ იცი, როგორ უყვარდა ეიოლფი?

ალმერსი. ბორგჰეიმი უღალატო კაცია, ასტა.

ასტა (გულთბილად). მართლაც უღალატო კაცია.

ალმერსი (დაჟინებით უსქერის). მე მგონია, შენ გიყვარს იგი.

ასტა. ჰო, მიყვარს.

ალმერსი. და მაინც ვერ გადაგიწყვეტია?..

ასტა (აწყვეტილებს). აჰ, ჩემო ძვირფასო ალფრედ, მოვეშვათ ამას.  
 ალმერსი. დიახ, დიახ... მხოლოდ ერთი ეს მითხარი, რა გიშლის ხელს?..

ასტა. მოვეშვათ-მეთქი! თუ შეიძლება, ნურაფერს მკითხავ. იცი, როგორ ტკივილს მაყენებ?.. აი, ქუდი უკვე მზადაა.

ალმერსი. გმადლობ.

ასტა. ახლა მარცხენა სახელოსაც უნდა მივაკერო.

ალმერსი. აქაც საჭიროა?

ასტა. ჰო, ასეთი წესია.

ალმერსი. კარგი, როგორც გინდა.

ასტა (უფრო ახლოს მიიწევა და კერვას იწყებს). არ გაინძრე, თორემ გიჩხვლევ.

ალმერსი (ოდნავ შესამჩნევი ღიმილით). ზუსტად ისევე, როგორც ძველად.

ასტა. გახსოვს?

ალმერსი. სულ პატარა გოგო იყავი და ჩემს ტანსაცმელს უკვე შენ უვლიდი და პატრონობდი.

ასტა. როგორც შემეძლო.

ალმერსი. პირველად ნემსიც ჩემი გულისთვის აიღე ხელში ... მაშინაც კრები უნდა მიგეკერებინა.

ასტა. მართლა?

ალმერსი. დიახ, ჩემს სტუდენტურ ქუდზე. როცა მამაჩვენი მოკვდა.

ასტა. ა-ა! ესე იგი, მე მიგიკერე? აბა, უყურე, აღარც კი მახსოვს.

ალმერსი. რას გემახსოვრება, ერთი ციკქნა იყავი.

ასტა. ჰო, სულ პატარა.

ალმერსი. ორი წლის შემდეგ კი... როცა დედაშენი მოკვდა... კრები სახელოზედაც მიმიკერე.

ასტა. მე მეგონა, ასე იყო საჭირო.

ალმერსი (ხელზე ეფერება). დიახ, ასე იყო საჭირო, ასტა... და აი, ჩვენ მარტოდმარტო დავრჩით მთელს ქვეყანაზე... მორჩი?

ასტა. დიახ (ნემსს ინახავს). ისე კი, კაცმა რომ თქვას, რა ბედნიერები ვიყავით, ალფრედ... როცა მარტო დავრჩით, სულ მარტოდ-მარტო...

ალმერსი. ნეტავი იმ დროს... თუმცა ბევრს კი ვწვალობდით.

ასტა. მე რა... ყველაფერი შენს კისერზე გადადიოდა.

ალმერსი. არა, არა, არც შენ იზოგავდი თავს... (იღიმება). ჩემი ძვირფასი, ჩემი ერთგული ეიოლფი!

ასტა. აჰ, ნულარ გამახსენებ ამ სულელურ მეტსახელს!

- აღმერსი. კი მაგრამ, ბიკად რომ დაბადებულიყავი, ხომ ეიოლფი უნდა დაგვერქმია?
- ასტა. ჰო, ბიკად რომ დავბადებულიყავი... მაგრამ, როცა სტუდენტი გახდი... (უნებურად ელიმება). ღმერთო ჩემო, ნამდვილი პატარა ბავშვივით იქცეოდი...
- აღმერსი. პატარა ბავშვივით?
- ასტა. რა თქმა უნდა. ახლა რომ მახსენდება... რატომღაც გრცხვენოდა, რომ მარტო და გყავდა, და არა ძმაც.
- აღმერსი. არა, მე კი არა, შენა გრცხვენოდა.
- ასტა. ჰო, ცოტათი მეც... თანაც, ისე მეცოდებოდი...
- აღმერსი. დიახ, დიახ... ჰოდა, სადღაც გამოჩხრიკე ჩემი ძველი კოსტუმი...
- ასტა. ძველი კი არა, ისეთი ლამაზი იყო... გახსოვს? ლურჯი ხალათი და მოკლე, მუხლებამდე, შარვალი?
- აღმერსი. (დაეინებოთ უცქერის). რას ჰქვია, მახსოვს?.. როგორ გიხდებოდა! ..
- ასტა. ჩაცმით კი მხოლოდ მაშინ ვიცმევდი, როცა მარტო ვიყავით სახლში.
- აღმერსი. მერედა, რა სერიოზულად ვემზადებოდით ამ საზეიმო რიტუალისთვის, თავს ვიწონებდით, ვიბლინძებოდით. შე წამდაუწუმ ეიოლფს გეძახდი.
- ასტა. კი მაგრამ, აღფრედ, ეს ამბავი რიტასთვის ხომ არ გაიმბნია?
- აღმერსი. არა, მგონი, ერთხელ ვუამბე...
- ასტა. აჰ, აღფრედ, რა საამბოზი იყო?
- აღმერსი. იცი რა?.. ცოლს ხომ ყველაფერს... ან თითქმის ყველაფერს უამბობ ხოლმე?..
- ასტა. თუმცა, ჰო...
- აღმერსი (თითქოს ბურანიდან გამოერკვაო, მუბლზე იტაცებს ხელს და წამოვარდება). ო-ო! და მე შემიძლია, აქ ვიჭდე და...
- ასტა (წამოდგება და შეშფოთებული უცქერის). რა მოგდის, აღფრედ?
- აღმერსი. ის თითქოს დამცილდა. სულ დამცილდა, გესმის?!
- ასტა. ეიოლფი?
- აღმერსი. მე აქ ვზივარ და წარსულს ვიგონებ. ის კი სად არის?
- ასტა. აჰ, აღფრედ... ამ მოგონებების მიღმა ხომ პატარა ეიოლფი დგას.
- აღმერსი. არა, აბა, სად?.. გონებიდან ამომივარდა... ის კი არა და, მგონი, მესხიერებიდანაც ამოიშალა. სანამ აქ ვისხედით და ვლაპარაკობდით, ერთხელაც არ გამხსენებია... სულ დამავიწყდა, სულ!..



- ასტა. კი მაგრამ, ცოტა შენც ხომ უნდა მოგეშვას გულზე?
- ალმერსი. არა, არა! სწორედ ეს არ შეიძლება! არ შეიძლება! უფლება არა მაქვს! არც გული მაძლევს! (საშინლად აღელვებული ხელმარჯვნივ მიეპარტება). მე მხოლოდ ერთი, ერთადერთი რამ მინდა, -- იქ ვიყო. მასთან... სადაც ის წევს, ან საითაც ღინება მიაქანებს... სიღრმეში, ფსკერზე!..
- ასტა (ფეხდაფეხ მისდევს და არ ეშვება). ალფრედ!.. გონს მოდი, ალფრედ!..
- ალმერსი. გამიშვი, ასტა. ნავში მინდა ჩავჯდე.
- ასტა (მაგიდასთან მიჰყავს). ვის გაუგონია?.. ცოტა დაწყნარდი. მოდი აქ დაესხდეთ!
- ალმერსი. (სკამზე ჩამოქდომას აპირებს). კარგი, როგორც გინდა.
- ასტა. არა, არა, მანდ არა!.. აი, აქ!..
- ალმერსი. არა, გამიშვი!..
- ასტა. არა, არა!.. თორემ ზიხარ და სულ იქით იყურები... (აძულვებს სხვა სკამზე დაქდეს). აი; ასე!.. ასე!.. (თითონ მერჩხე ქდება). მოდი, ცოტა კიდევ ვილაპარაკოთ.
- ალმერსი (მძიმედ სუნთქავს) რა კარგი იყო, ცოტა ხანს მაინც რომ დამავიწყდა მთელი ეს საშინელება.
- ასტა. აი, რა გკირდება შენ, ალფრედ.
- ალმერსი. კი მაგრამ, შენი აზრით, რისი ნიშანია ის, რომ მე შემიძლია დავივიწყო, თუ არა შინაგანი უმწეობის, უნიათობის, სულიერი სიჩლუნგისა?
- ასტა. არა, არა, ჩემი აზრით, შეუძლებელია, რომ ფიქრი სულ მუდამ ერთსა და იმავეს დასტრიალებდეს თავს.
- ალმერსი. დიახ. ჩემთვის -- შეუძლებელია. ვიდრე შენ მოხვიდოდი, მე აქ ვიჯექი და აუტანელი ტკივილისა და მწუხარებისაგან წარმოუდგენლად ვიტანებოდი.
- ასტა. ექ!..
- ალმერსი. და უცებ, იცი, რა შევატყე ჩემსავე თავს, თურმე რას ვფიქრობ: ნეტავი დღეს სადილად რა გვაქვს-მეთქი!
- ასტა. (სდილობს დაამშვიდოს). მერე რა... ნეტა დაწყნარდე და...
- ალმერსი. დიახ, წარმოგიდგენია? ამ აზრმა თითქოს ტანჯვა შემიმსუბუქა... (მაგიდის ერთ კილიდან მუორისკენ უწვდის ხელს). რა კარგია, რომ ჩემთანა ხარ, ასტა; იცი, როგორ მიხარია?.. ჰმ... როგორია ერთად -- ტანჯვა და სიხარული?
- ასტა (სერიოზულად უყურებს). უწინარეს ყოვლისა, უნდა გიხაროდეს, რომ შენ გყავს რიტა.

- ალმერსი.** კო, ეგ თავისთავად... რალა თქმა უნდა. მაგრამ რიტა ხომ ჩემი სისხლი და ხორცი არ არის. და -- სულ სხვა საქმეა.
- ასტა** (დაძაბულად). შენ გგონია, ალფრედ?
- ალმერსი.** დიახ, ჩვენი ოჯახი სრულიად განსაკუთრებული ოჯახია. (ნაძალადევი ხუმრობით). ჩვენი სახელები ყოველთვის ხმოვანი ასოებით იწყებოდა. გახსოვს. წინათ რამდენჯერ გვილაპარაკია ამაზე. ყველა ჩვენი ნათესავი ერთნაირად ღარიბია, და ყველას ერთნაირი თვალები აქვს.
- ასტა.** შენი აზრით, მეც?..
- ალმერსი.** არა, შენ პირწავეარდნილი დედაშენი ხარ. სულ არა გვგავხარ ჩვენ, დანარჩენებს. თვით მამასაც კი... მაგრამ მაინც...
- ასტა.** რა მაინც?..
- ალმერსი.** მე გგონია, რომ ერთად ცხოვრებამ მაინც ურთიერთმსგავსების ნიშნით ალგებეკდა. რა თქმა უნდა, მე ვგულისხმობ სულიერ მსგავსებას.
- ასტა.** აჰ, რას ამბობ, ალფრედ? ეს -- მე დაგემსგავსე შენ. მხოლოდ შენ გიმაღლი ყველაფერს, თუ რამ კარგი მინახავს, ან გამაჩნია ამ ცხოვრებაში.
- ალმერსი** (თავს აქნევს). არაფერს შენ მე არ უნდა მიმადლოდე, ასტა. პირიქით.
- ასტა.** არა, არა, სწორედ შენ გიმაღლი ყველაფერს. არასოდეს დაგიხევია უკან არავითარი მსხვერპლის წინაშე.
- ალმერსი** (აწყვეტილებს). კარგი, ერთი. თუ ღმერთი გწამს, რა მსხვერპლი?.. მორჩი... მე მხოლოდ მიყვარხარ, ასტა. იმ დროიდან მოყოლებული, როცა ის-ის იყო აიღგი ფეხი. (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). ეგეც არ იყოს, მე ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ვალდებული ვიყავი გამომესწორებინა, გამომესყიდა აშკარა უსამართლობა შენს მიმართ.
- ასტა.** (განცვიფრებით). უსამართლობა? შენ?
- ალმერსი.** არა, ჩემი მხრივ კი არა...
- ასტა.** აბა?
- ალმერსი.** ... არამედ მამაჩვენის მხრიდან.
- ასტა** (მერხიდან ღებავს). მამაჩვენის მხრიდან? (კვლავ ჯდება). რას გულისხმობ, ალფრედ?
- ალმერსი.** მამა მაინცდამაინც დიდად როდი განებივრებდა.
- ასტა.** (ცხარედ). აჰ, არა, არა, ამას ნუ იტყვი!
- ალმერსი.** მაგრამ ეს მართალია. მამას არ უყვარდი... ისე, როგორც უნდა ყვარებოდი.

- ასტა (მოიარებით). შეიძლება შენსავით არ ვუყვარდი, მაგრამ ეს ხომ გასაგებია?
- ალმერსი. ის ხშირად ძალიან მკაცრი იყო დედაშენის მიმართ. ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი წლების მანძილზე.
- ასტა (ჩუმაღ). ნუ დაივიწყებ. რომ დედა გაცილებით უფრო ახალგაზრდა იყო მამაზე.
- ალმერსი. შენი აზრით, ისინი ერთმანეთის შესაფერისები არ იყვნენ?
- ასტა. დიახ.
- ალმერსი. მაგრამ მაინც... მამა ხომ ყოველთვის ღვთისნიერი, გულთბილი კაცი იყო... ყველას ეალერსებოდა, ყველა უყვარდა...
- ასტა (უფრო ჩუმაღ). ალბათ, დედა ყოველთვის ისე არ იქცეოდა, როგორც საჭირო იყო.
- ალმერსი. დედაშენი?!
- ასტა. პო, დედაჩემი.
- ალმერსი. მამაჩემის მიმართ?
- ასტა. დიახ.
- ალმერსი. არასოდეს ამგვარი რამ არ შემინიშნავს.
- ასტა (ცრემლებს იკაეებს, ღვება). აჰ, კარგი, ჩემო ძვირფასო ალფრედ... მოვეშვათ, ნულარ ვაშფოთებთ იმათ ხსოვნას... რომლებიც უკვე აღარ არიან. (ხელმარჯვნივ გაღვება განზე).
- ალმერსი (ღვება). მართალი ხარ, მოდი, მოვეშვათ... (ხელების მტკრევით). მაგრამ ისინი... რომლებიც უკვე აღარ არიან... დიახ, ისინი კი მოგვეშვებიან? არა, ასტა. არც დღისით და არც ღამით.
- ასტა (თანაგრძნობით უცქერის). დრო ყველაფრის მკურნალია, ალფრედ.
- ალმერსი (უმწუოდ უყურებს). პო-ო? შენ ასე გგონია? მაგრამ მე რა ვქნა, როგორ გავუძლო ამ პირველ, საშინელ დღეებს?... (ჩახლჩილი ხმით). არა, არა, არაფერი არ მესმის.
- ასტა (ვედრებით, ხელებს მხრებზე აწყობს). გვედრები... მიდი რიტასთან...
- ალმერსი (წამოენთება, თავს არიდებს). არა, არა... გონებაც არ მინდა! არ შემიძლია! (უფრო მშვიდად). ნება მომეცე... აჰ, შენს გვერდით, ვიყო.
- ასტა. კარგი, კარგი, შენთან ვიქნები.
- ალმერსი (მაგრად ჩაბღუჯავს ასტას ხელს). გმადლობ. (ფიორდისკენ იუჯრება). სად არის ახლა ჩემი პატარა ეიოლფი? (სევდიანად ულიშის ასტას). ხომ არ შეუძლია, მითხრას ეს ჩემმა დიდმა, ქკვიანმა ეიოლფმა? (თავს აქნევს). ამ ქვეყნად ვერავინ ვერ

მეტყვის ამას. მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემთან აღარაა... რა მეშველება?

ასტა (მარცხნივ გაიხედავს და ხელს გამოგლეჩს). ისინი მოდიან.

ბილიკზე ჩამოდიან რიტა და ბორჯკეიში. რიტა წინ მოდის. შავი კაბა აცვია, თავზე შავი კრეპის შარფი წაუკრავს. ბორჯკეიშს ილიაში ქოლგა აქვს გაჩრილი.

ალმერსი (რიტას ეგებება). როგორა ხარ, რიტა?

რიტა (გვერდით ჩაუვლის). რა საკითხავი ვარ?

ალმერსი. რატომ მოხვედნი?

რიტა. მინდოდა გამეგო, სად ხარ, რას აკეთებ.

ალმერსი. არაფერს. აგერ ასტასთან ვზივარ.

რიტა. ასტას მოსვლამდე? მთელი დღე არ გაგხსენებია?

ალმერსი. ვიჭექი და წყალს ვუყურებდი.

რიტა. უჰ! რა გული გიძლებს?..

ალმერსი. ახლა მე მარტო ყოფნა მირჩენია.

რიტა (მოუსვენრად წრიალებს). და კიდევ ერთ ადგილას ჯდომა... გაუნძრევლად!..

ალმერსი. კი მაგრამ, სად წავიდე, ან რისთვის წავიდე?

რიტა. მე კი ადგილს ვერსად ვპოულობ. მით უმეტეს, აჰ... ფიორდის პირას...

ალმერსი. მეც სწორედ ეს მჭირდება.

რიტა (ბორჯკეიშს). რას იტყვით, არ ურჩენია, რომ ჩვენთან წამოვიდეს?

ბორჯკეიში (ალმერსს). დიახ, მე მგონია, თქვენთვის ასე აჯობებს.

ალმერსი. არა, არა, თუ შეიძლება მარტო დამტოვეთ.

რიტა. მაშინ მეც შენთან დავრჩები, ალფრედ.

ალმერსი. თუ გინდა, დარჩი... შენც, ასტა.

ასტა (ჩურჩულთ ბორჯკეიშს). ჩვენ წავიდეთ.

ბორჯკეიში (ასტას შეხედავს). ფრიოკენ ალმერს, ხომ არ გაგვევლო... ფიორდისაკენ?.. სულ უკანასკნელად?

ასტა. (თავის ქოლგას იღებს). წავიდეთ, გავიაროთ.

ასტა და ბორჯკეიში მარჯვნივ მიდიან. ალმერსი ერთხანს უმიზნოდ წრიალებს, შემდეგ ხელმარცხნივ, ხეების ქვეშ ჩამოქდება ლოდზე.

რიტა (უახლოვდება და მის წინ ჩერდება; თითებგადაქობილი ხელები დაბლა ჩამოუშვია). ალფრედ, შენ ვერასდობებით ვერ შეპკუებიხარ იმ აზრს, რომ ეიოლფი აღარა გყავს?

ალმერსი (უაზროდ იუბრება წინ). მეტი რა გზაა, უნდა შევეგუო.

რიტა. მე კი არ შემიძლია. არ შემიძლია... და თანაც, ეს საშინელი სურათი!.. ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ.

აღმერსი (უყურებს). რა სურათი? რას ამბობ?  
 რიტა. მე თვითონ არ მინახავს. სხვებმა მიამბეს. ო-ო!..  
 აღმერსი. ბარემ ერთბაშად მითხარი.  
 რიტა. მე და ბორგჰეიმი სანაპიროზე ვიყავით...  
 აღმერსი. რა გინდოდათ?..  
 რიტა. მინდოდა ბიჭებისთვის გამომეკითხა... როგორ მოხდა...  
 აღმერსი. ეგ ხომ უკვე ვიცით.  
 რიტა. ჩვენ უფრო მეტი გავიგეთ.  
 აღმერსი. მაინც?  
 რიტა. თურმე მაშინვე კი არ გამჭკრალა.  
 აღმერსი. ახლა ასე ამბობენ?  
 რიტა. დიახ, ამბობენ, ძალიან ღრმად იყო, მაგრამ მაინც დავინახეთ,  
 ფსკერზე იწვია... წყალი ხომ ისეთი სუფთაა, გამკვირვალე...  
 აღმერსი (კბილებს აღკვილებს). დაინახეს და არ გადაარჩინეს?..  
 რიტა. როგორც ჩანს, ვერ გაბედეს.  
 აღმერსი. კი მაგრამ, ყველა ცურავს... იცი, როგორ ცურავენ?..  
 მაშ. ფსკერზე იწვია?..  
 რიტა. ჰო... პირაღმა... თვალები ფართოდ გახელილი ჰქონდაო.  
 აღმერსი. ფართოდ გახელილი?.. მაგრამ მშვიდად?..  
 რიტა. თურმე სულ მშვიდად... უცებ წყალს აუტაცნია და წაულია...  
 ამბობენ, ქვედა ღინება იყოო.  
 აღმერსი (ნელა აქნევს თავს). აი, თურმე რა უნახავთ უკანასკნელად.  
 რიტა (ცრემლები ახრჩობს). ჰო.  
 აღმერსი (ყრულ). და ვერავენ ველარასოდეს... ველარასოდეს ველარ  
 ნახავს.  
 რიტა (საწყალობლად). დღე და ღამე თვალიდან აღარ მომცილდება  
 ეს სურათი... როგორ იწვა იქ. წყლის სიღრმეში...  
 აღმერსი. ფართოდ თვალგახელილი.  
 რიტა (შეძრწუნებით). ჰო, ფართოდ თვალგახელილი... ვხედავ, ისე  
 ცხადად ვხედავ?..  
 აღმერსი (ნელ-ნელა წამოიმართება, ჩუმად, მუქარით უყურებს, შემდეგ კი  
 ამბობს). მერედა რას. -- ავ თვალსა ხედავ, რიტა?  
 რიტა (გადაფითრდება). ავ თვალს?..  
 აღმერსი (უახლოვდება). ავი თვალი გიციქერის იქიდან?.. წყლის  
 სიღრმიდან?..  
 რიტა (შეძრწუნებული უკან იხევს). აღფრედ!..  
 აღმერსი (მიჰყვება). მიპასუხე! ბავშვის ავი თვალი?  
 რიტა (ყვირის). აღფრედ! აღფრედ!

ალმერსი. აი, ხომ ხედავ. აგეიხდა, რასაც ნატრობდი, რიტა!..

რიტა. მე? რას ვნატრობდი?

ალმერსი. ნეტავი ეიოლფი არ იყოსო.

რიტა. არასოდეს, ჩემს სიცოცხლეში არ მინატრია ეგ. მე მხოლოდ ის მინდოდა, რომ ეიოლფი ჩვენს შორის არ ჩამდგარიყო.

ალმერსი. ჰოდა, რა გინდა... აღარ ჩადგება.

რიტა (ჩუმად, ერთ წერტილს მიშტერებია). არა, ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე... (ძრწოლით). ო, ეს სურათი!..

ალმერსი (თავს უქნევს). ბავშვის ავი თვალი, არა?

რიტა (შეძრწუნებული უკან იხევს). თავი დამანებე, ალფრედ! მე შენ მაშინებ! არასოდეს ამნაირი არ მინახიხარ.

ალმერსი (ცოვად უუკრებს). მწუხარება აბოროტებს და ამახინჯებს ადამიანს.

რიტა (შოშოთ, მაგრამ ჯერ კიდევ თავს იმაგრებს). მეც ამნაირი გრძნობა მაქვს.

ალმერსი მარჯვნივ გადგება და ფიორდს გასცქერის. რიტა მაგიდას უჭდება. ხანმოკლე პაუზა.

ალმერსი (გვერდულად გახედავს რიტას). არასოდეს მთელი სულითა და გულით არ გყვარებია, არასოდეს!

რიტა (თავშეკავებით, ცოვად). თვით ეიოლფიც არასოდეს მოიწევდა ჩემსკენ მთელი სულით და გულით.

ალმერსი. იმიტომ, რომ შენ თვითონ არ გინდოდა გულთან ახლოს გყოლოდა.

რიტა. არა, მინდოდა, ძალიანაც მინდოდა. მაგრამ ვილაცა მიშლიდა ხელს... იმთავითვე.

ალმერსი (მთელი ტანით შეტრიალდება მისკენ). იქნებ თქვა, რომ მე გიშლიდი?

რიტა. ო, არა! ყოველ შემთხვევაში, არა იმთავითვე.

ალმერსი. მაშ, ვინ?

რიტა. მამიდამისი.

ალმერსი. ასტა?

რიტა. დიახ, სწორედ ის გადამელობა გზაზე.

ალმერსი. მაშ, შენ ამტკიცებ, რომ ასტა...

რიტა. დიახ, ვამტკიცებ... ასტა დაეპატრონა ბავშვს... იმ უბედური შემთხვევის -- მაგიდიდან გადმოვარდნის შემდეგ.

ალმერსი. კი მაგრამ, მას ხომ სიყვარული ამოძრავებდა?

რიტა (გაალბასებით). საკმეც ეგაა! მე კი არ შემიძლია ვინმეს გავუნაწილო, ვინმეს გავუყო საყვარელი არსების სიყვარული!

ალმერსი. მაგრამ, აი, ჩვენ -- მე და შენ -- კი უნდა გაგვეყო...

რიტა (ზიზლით უცქერის). ჩვენ!.. ან შენ კი როდის გყვარებია ნამდვილი სიყვარულით?

ალმერსი (გაოგნებით). მე... არ მყვარებია?

რიტა. დიახ, შენ ეიოლფისთვის სად გეცალა. ერთთავად შენს წიგნს ჩაჰკირკიტებდი... პასუხისმგებლობის შესახებ.

ალმერსი (გაშმაგებით). დიახ, ჩაკირკიტებდი, მაგრამ განა სწორედ ის არ ვუმსხვერპლე ეიოლფს?

რიტა. არა მისდამი სიყვარულის გამო.

ალმერსი. მაშ, რის გამო, შენი აზრით?

რიტა. იმის გამო, რომ საკუთარი თავის მიმართ უნდობლობამ შეგვიპყრო, იმის გამო, რომ ექვი შეგეპარა შენს დიად ქმნილებაში.

ალმერსი (მცდელი თვალით უყურებს). შენ რა... რაიმე ამდაგვარი შემნიშნე?

რიტა. დიახ... თანდათანობით. ჭერ იყო და, რალაც სიახლის მოთხოვნილება გაგიჩნდა, რომელსაც, ალბათ, შენს სულში გაჩენილი სიცარიელე უნდა შეევესო. მარტო მე, როგორც ჩანს, უკვე აღარ ვკმაროდი შენთვის:

ალმერსი. ამქვეყნად ყველაფერი იცვლება: გარდაქმნა ცხოვრების კანონია, რიტა.

რიტა. ამიტომაც მონდომე, რომ ჩვენი საბრალო ეიოლფი ნამდვილ სასწაულად გარდაგექმნა?

ალმერსი. არავითარი ამდაგვარი მე არ მომინდომებია. მე მხოლოდ ის მინდოდა, რომ ეიოლფი ბედნიერი ყოფილიყო. მეტი არაფერი.

რიტა. მაგრამ არა მისდამი სიყვარულის გამო. აბა, ერთი, ჩაიხედე შენს სულში... (შიშნეულად). და გაიაზრე ყველაფერი, რაც შენი განზრახვის მიღმა იმალებოდა.

ალმერსი (თვალს არიდებს). შენ ბოლომდე არ ამბობ სათქმელს.

რიტა. არც შენ.

ალმერსი. თუ საქმე მართლა ისეა, როგორც შენ ამბობ, გამოდის, რომ ჩვენი საბრალო შვილი, არსებითად, არასოდეს არ გვეკუთვნოდა არც მე და არც შენ.

რიტა. დიახ, არც ერთ ჩვენთაგანს. თუკი ამ კუთვნილებაში ნამდვილ სიყვარულს გულისხმობ.

ალმერსი. და მაინც თავს იკლავ მის გამო?

რიტა (სიძწრით). დიახ. განა უცნაური არ არის? თავს იკლავდე სხვისი შვილის გულისთვის?

- აღმერსი (წამოენთება). ოკ, სხვისას მაინც ნუ უწოდებ მას!
- რიტა (გულჩაშკვარა). ვერც მე და ვერც შენ, აღფრედ, ვერასდიდებით ვერ მოვახერხებთ დაგვეახლოვებინა ჩვენივე შვილი.
- აღმერსი (ხელების მტკრევით). ახლა კი უკვე გვიანაა! გვიან!
- რიტა. და აღარაფერი გვეშველება!
- აღმერსი (ხელახლა წამოენთება). ყველაფერში შენა ხარ დამნაშავე!
- რიტა (დგება). მე?
- აღმერსი. დიახ, შენ. შენი ბრალია, რომ ამნაირი გახდა; შენი ბრალია, რომ ამოყვინთვა და თავის გადარჩენა ვერ შეძლო.
- რიტა (თითქოს თავს იცავს). არა, აღფრედ, არა! ყველაფერს მარტო მე ნუ გადმომამბრალებ!
- აღმერსი (უკვე ველარაფერს უწევს ანგარიშს). აბა, ვის დავამბრალო, ვის?! ვინ მიატოვა ბავშვი მაგიდაზე უმთვალაყუროდ?
- რიტა. კი მაგრამ; ისე ტკბილად ეძინა, რბილ ბალიშებში ჩაფლულს. თანაც შენ არ შემპირდი, მიხედავო?
- აღმერსი. დიახ, შეგპირდი... (ხმის დაწვეით). მაგრამ შენ მოხვედი... მოხვედი და თავდავიწყების მორევში შემიტყუე... მომაჯადოვე...
- რიტა (გაპოშვევად უსკერის). უფრო სწორი იქნება, თუ იტყვი, რომ შენ დაგავიწყდა ბავშვიცა და ყოველივე დანარჩენიც ამ ქვეყანაზე.
- აღმერსი (შეკაეებული რისხვით). ჰო, მართალია. (ხმას იდაბლებს). შენს ხვეწნაში ბავშვიც დამავიწყდა და თავიც.
- რიტა (აღშოთებით). აღფრედ, აღფრედ!.. ეს უკვე სიბილწეა შენის მხრივ!
- აღმერსი (ჩუმად, მუშტებსა კუმავს). აი, ჯერ კიდევ როდის მიუსაჯე სიკვდილი ეიოლფს!
- რიტა (გაცოფებული). შენთან ერთად, შენთან ერთად -- თუ ასეა!
- აღმერსი. ჰო, ჰო!.. მოდი, პასუხი მაგებიანე, თუკი განკითხვის დღე დადგა... ორივემ ვცოდეთ... მაშასადამე, ეიოლფის სიკვდილი მაინც ნაცვლისგება იყო.
- რიტა. ნაცვლისგება?
- აღმერსი (გონს ეგება). დიახ, ნაცვლისგება. ორივესთვის -- ჩემთვის და შენთვის გამოტანილი განაჩენი... რალაც იღუმალი, ლაჩრული სინანულის გრძნობა გვლრლნიდა ორივეს... აი, რატომ გავურბოდით ჩვენს შვილს, სანამ ცოცხალი იყო... ჩვენ არ შეგვეძლო, არ შეგვეძლო იმ საგნის ცქერა, რომელსაც ერთთავად თან დაათრევდა...
- რიტა (ჩურჩულით). ყავარჩენი...



**ალმერსი.** დიახ, ყავარჩენი... და ის, რაც ჩვენ ახლა გვაწამებს, რასაც მწუხარებას, ტანჯვასა თუ ტკივილს ვეძახით, სხვა არაფერია, თუ არა სინიდისის ქენჯნა; დიახ, დიახ, სხვა არაფერი.

**რიტა** (გაოგნებული უცქერის). მე მგონია, ეს ბოლოს მოგვიღებს... კუვიდან შეგვმლის ორივეს. არა, საშველი არ არის და არც იქნება... ალარასოდეს.

**ალმერსი** (უფრო მშვიდად). წუხელ ეიოლფი ვნახე სიზმარში. ვითომ ნაემისადგომიდან მოდიოდა. სხვა ბიჭებივით მოხტოდა და მოიჩქაროდა. ესე იგი, არაფერი არ მოსვლია, არც დასახიჩრებულა და არც დამხრჩვალა... მაშასადამე, მთელი ეს საზარელი სინამდვილე მხოლოდ სიზმარი ყოფილა-მეთქი, -- ვფიქრობდი მე... ო, რა ბედნიერი ვიყავი, რა გულმხურვალედ ვწირავდი მადლს და ვადიდებდი...

**რიტა** (უუურებს). ვის?

**ალმერსი** (პასუხს თავს არიდებს). ვის?

**რიტა.** დიახ, ვის სწირავდი მადლს, ვის ადიდებდი?

**ალმერსი** (იზნაირადე). მაგრამ ეს ხომ სიზმარში იყო? გესმის, სიზმარში!

**რიტა.** იმას, ვინც შენ თვითონ არა გწამს?

**ალმერსი.** დიახ, მაგრამ მაინც... არ ვიცი, რა დამემართა... სიზმარში ხომ...

**რიტა** (ყვედრებით). არა, არ უნდა შეგერყია ჩემი რწმენა ღვთის მიმართ, ალფრედ!

**ალმერსი.** კი მაგრამ, უმჯობესი იქნებოდა განზე გავმდგარიყავი და გულხელდაკრეფილს მეცქირა, მთელი სიცოცხლის მანძილზე როგორ იტყუებ და იზიარებთ თავს?

**რიტა.** ჩემთვის -- უმჯობესი იქნებოდა. რალაცას მაინც ჩავებლაუტებოდი, რალაცით მაინც ვინუგეშებდი თავს. ახლა კი... მტერსაც არ ვუსურვებ ჩემს ღღეში ყოფნას.

**ალმერსი** (დაეინებოთ უცქერის). მაგრამ არჩევანის წინაშე რომ დაგაყენა?.. თქვეათ და. შეგეძლოს ეიოლფს გაპყვე იქ, სადაც ის არის ახლა?..

**რიტა.** მერე?..

**ალმერსი.** და თან ეკვიც არ გეპარებოდეს, რომ იქ შეხვდები, იცნობ, გულში ჩაიკრავ?..

**რიტა.** რა მერე?

**ალმერსი.** შენივე ნებით გადადგამდი ამ ნაბიჯს? ნებაყოფლობით მიატოვებდი ყველაფერს, რაც კი ამქვეყნად გარს გარტყია?

ხელს აიღებდი მიწიერ ცხოვრებაზე? თქვი, ისურვებდი ამას, რიტა?

რიტა. ასე ერთბაშად?

ალმერსი. დიახ, დღესვე, ამ წამსვე. თქვი, ისურვებდი?

რიტა (პასუხს აყოვნებს). აჰ, არ ვიცი, ალფრედ... არა; მე მგონია, ჯერ ვისურვებდი ცოტა ხანს კიდევ ვეოფილიყავი შენტან ერთად.

ალმერსი. ესე იგი, -- ჩემი გულისთვის?

რიტა. დიახ, მხოლოდ შენი გულისთვის.

ალმერსი. კი მაგრამ, მერე? მერე მაინც თუ ისურვებდი?.. მიპასუხე!

რიტა. აჰ, რა გიპასუხო ამ კითხვაზე? მე ხომ ვერ შევძლებდი შენს მიტოვებას. ვერა, ვერასდროს!

ალმერსი. მაგრამ მე რომ წავესულიყავი ეიოლფთან? შენ კი გქონოდა ურყევი რწმენა იმისა, რომ იქ მასაც შეხვდებოდი და მეც? თქვი, თვითონაც წამოხვიდოდი?

რიტა. თუ რაიმეს ვისურვებდი, ყველაზე უწინ სწორედ ამას ვისურვებდი ამქვეყნად! მაგრამ...

ალმერსი. რა მაგრამ?..

რიტა (კენესით, ხმადაბლა). ვერ შევძლებდი... მე ვგრძნობ... არა, არა... ვერასდღედით ვერ შევძლებდი!

ალმერსი. დიახ. დედამიწა ხომ ჩვენი -- ცოცხალი ადამიანების -- სახლია.

რიტა. და მხოლოდ აქაა ჩვენთვის ხელმისაწვდომი ბედნიერება.

ალმერსი (პირქუშად). ო, ბედნიერება... ბედნიერება...

რიტა. შენ, ალბათ, ფიქრობ, რომ აღარასოდეს გკელირება ბედნიერება (კითხვის გამოშატეული მზერით). კი მაგრამ... (აგზნებულად). არა, არა, ამის თქმა კი არა, გაფიქრებაც საშინელია!

ალმერსი. მაგრამ მაინც მითხარი, რიტა.

რიტა (პასუხს აყოვნებს). იქნებ გვეცადა... ნუთუ ასე შეუძლებელია -- დავივიწყოთ?..

ალმერსი. ვინ... ეიოლფი?

რიტა. არა, მე მინდა ვთქვა, -- სინანული, სინიდისის ქენჯნა...

ალმერსი. და შენ შეგიძლია ნატრობდე ამას?

რიტა. დიახ... რომ შეიძლებოდეს... (აგზნებოთ). რადგან ამნაირ მდგომარეობას მე ნამდვილად ველარ გავუძლებ!.. ნუთუ არაფრის მოგონება არ შეიძლება?.. ნუთუ არსად არის საშველი?..

ალმერსი (თავს აქნევს). რა საშველი?..

რიტა. იქნებ გვეცადა?.. ვთქვათ, სადმე წავსულიყავით... შორს, ძალიან შორს!

ალმერსი. სად?.. შენი სახლის გარეშე ცხოვრება რომ არ შეგიძლია?

რიტა. მაშინ ხშირ-ხშირად მიგველო სტუმრები. ფართოდ გაგველო ჩვენი სახლის კარი. ან რაიმე საქმეს მაინც მოვკიდებოდით, რაშიც შევძლებდით გვეპოვა თავდავიწყება.

ალმერსი. ამნაირი ცხოვრება საჩემო არ არის. არა... ამას მერჩია, ისევე ჩემს წიგნს მივბრუნებოდი.

რიტა (გაბოროტებით). შენს წიგნს!.. რომელიც ასე ხშირად კედელივით იდგა ჩვენს შორის?

ალმერსი (ნელა პასუხობს და თან დაეინებოთ უცქერის). ამიერიდან ჩვენს შორის ყოველთვის იქნება ყრუ კედელი.

რიტა. რატომ?..

ალმერსი. რატომ და... ვინ იცის, დღედაღამ შემოგვცქერიან თუ არა ბავშვის ფართოდ გახელილი თვალები?

რიტა (ჩუმად ცაბახებს). ეგ რამ გათქმევინა... ალფრედ?..

ალმერსი. ჩვენი სიყვარული ყოველისშთანმთქმელ ხანძარსა ჰგავდა. ახლა კი დროა, რომ ჩაქრეს და ჩაიფერფლოს...

რიტა (უახლოვდება). ჩაქრეს?..

ალმერსი (დაუნდობლად). უკვე ჩაქრა, -- ერთ-ერთ ჩვენგანში.

რიტა. და შენ შეგიძლია პირში მომახლო ეს?

ალმერსი (უფრო რბილად). ვნება მოკვდა, რიტა. მაგრამ ის გრძნობა, რომელსაც მე ახლა, როგორც თანამზრახველი, შენს მიმართ განვიციდი, საკუთარი ბრალეულობის შეგნება და დანაშაულის გამოსყიდვის სურვილი, -- მე მესახება მკვდრეთით აღდგომისა და აღორძინების ერთგვარ მათუწყებლად.

რიტა (გაშმაგებით). არავითარი აღდგომა მე არ მპირდება!

ალმერსი. რიტა!

რიტა. მე ცოცხალი ადამიანი ვარ და ჩემს ძარღვებში ცხელი სისხლი ჩქეფს. ზეზეულად როდი მძინავს... არც თევზის სისხლი მიდგას ძარღვებში. (ხელებს იბტვრევს). და მთელი სიცოცხლე ჩაკეტილი ვიყო, როგორც ციხეში!.. სინანულისა და სინიდიისის ქენჭნისთვის განწირული!.. ჩაკეტილი მასთან ერთად. ვინც უკვე აღარ არის ჩემი! აღარ არის ჩემი!..

ალმერსი. ბოლო ეს უნდა ყოფილიყო, რიტა... ადრე თუ გვიან, ასე იყო მოსალოდნელი.

რიტა. ბოლო ეს უნდა ყოფილიყო!.. ჩვენი ვნებიანი სიყვარულის ბოლო?..

ალმერსი. მე იმთავითვე როდი შემყვარებხარ.

- რიტა. მაშ, რას გრძნობდი ჩემს მიმართ... იმთავითვე?  
 ალმერსი. შიშს.
- რიტა. გასაგებია... მაგრამ მაინც რითი მოგხიბლეს?  
 ალმერსი (ყრულ). შენი მომწუხრებელი სილამაზით, რიტა.
- რიტა. (გამომდევალად უეურებს). მხოლოდ ამით? მითხარი, ალფრედ,  
 მხოლოდ ამით?
- ალმერსი (თავს ძალას ატანს). არა, გარდა ამისა, სხვა რამეც იყო.
- რიტა (აგზნებულად). ა-ა! მესმის, მესმის, რასაც გულისხმობ. შენივე  
 სიტყვებით რომ ვთქვათ, ოქროს მთები, ხომ მართალი ვარ,  
 ალფრედ?
- ალმერსი. დიახ.
- რიტა (მწარე ყვედრებით) არც კი გრცხვენია!..
- ალმერსი. ასტაზეც ხომ უნდა მეფიქრა.
- რიტა (წამოწმება). აჰ, ასტაზე!.. (გამწარებით). ესე იგი, მაინც ასტამ  
 დაგეკავშირა?
- ალმერსი. ასტას არაფერი სცოდნია. დღემდე არც არაფერი იცის.
- რიტა. და მაინც, ასტა! (ილიბება და ალმაცერად, ზიზლით უცქერის).  
 თუმცა არა, ასტა კი არა, -- ეიოლფი! პატარა ეიოლფი!
- ალმერსი. ეიოლფი?
- რიტა. აკი პატარაობისას ეიოლფს ეძახდი. შენ თვითონ არ მიამბე?..  
 ჩვენი ერთ-ერთი იღუმალი განმარტობის, ნეტარებით  
 თრობის ეამს... (უახლოვდება). შენ გახსოვს ის მწველი, ის  
 დაუვიწყარი წამი, ალფრედ?
- ალმერსი (შეძრწუნებული უკან იხევს). არა, არა. არაფერი არ მახსოვს!  
 არც მინდა რამე მახსოვდეს!
- რიტა (თან მისდევს). ეს იყო წამი, როცა შენი მეორე პატარა ეიოლფი  
 სახიჩარი გახდა.
- ალმერსი (ყრულ, მაგილას იყრდნობა). ნაცვლისგება!
- რიტა (მუჭარით). დიახ, ნაცვლისგება!
- ასტა და ბორგჰეიმი უკან ბრუნდებიან. ასტას ხელში წყლის შროშანები  
 უჭირავს.
- (გონს ეგება). რაო, ასტა, ყველაფერზე მოელაპარაკე ბატონ  
 ბორგჰეიმს?
- ასტა. ჰო... დაახლოებით. (ქოლგას დებს და ყვავილებს მაგილაზე აწყობს).
- ბორგჰეიმი. ფრიოკენ ალმერსმა ორიოდ სიტყვა ძლივს გაიმეტა...
- რიტა. მართლა? სამაგიეროდ მე და ალფრედმა დღეს იმდენი  
 ვილაპარაკეთ...
- ასტა. რა-ა?..

რიტა. რომ, ალბათ, მთელი სიცოცხლის მანძილზე გვეყოფა. (სიტყვას ალარ ამოაერებს). მოდი, ყველანი შინ დავბრუნდეთ. ახლა ჩვენს გვერდით ვილაცა უნდა იყოს. მარტო მე და ალფრედი ვერ გავეუძლებთ...

ალმერსი (რიტას და ბორგკეიმს). თქვენ წინ წადით... (ასტას მიუბრუნდება). ასტა, შენთან ერთი სიტყვა მაქვს...

რიტა (ალმერსს უცქერის). აჰ, ასე?.. მაშ. წავიდეთ, ბატონო ბორგკეიმ!

რიტა და ბორგკეიმი ბილის მიუყვებიან.

ასტა (აღელვებით). რა მოხდა, ალფრედ?

ალმერსი. ის მოხდა, რომ აქ გაძლება აღარ შემიძლია.

ასტა. აქ? ესე იგი, რიტასთან?

ალმერსი. დიახ, მე და რიტას ერთად აღარ დაგვედგომება.

ასტა (მხრებში ხელს ჩააყვებს და ანჯღრევს). რას ამბობ, ალფრედ?!

ალმერსი. რას და სიმართლეს. ჩვენ მხოლოდ ვალიზიანებთ და ვაწამებთ ერთიმეორეს.

ასტა (აღელვებული და შეწუხებული). ამას კი ველარ წარმოვიდგენდი!..

ალმერსი. ვერც მე წარმოვიდგენდი... დღევანდელ დღემდე.

ასტა. კი მაგრამ, დღეს რაღა მოგივიდა?.. მაინც რას აპირებ, ალფრედ?

ალმერსი. მინდა ყველაფერზე ხელი ავიღო და აქედან გადავიკარგო... რაც შეიძლება შორს.

ასტა. და სულ მარტო, მარტოდმარტო დარჩე?

ალმერსი (თავს უქნევს). დიახ, ძველებურად.

ასტა. მაგრამ შენ რომ მარტობა არ შეგიძლია?

ალმერსი. მაშ, რა ექნა?.. უწინ ხომ მარტო ვიყავი.

ასტა. უწინ ჰო; მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მე მაინც ხომ გვერდითა გყავდი?

ალმერსი (უღიარებლად ხელი ხელში ჩააკიდოს). დიახ; ახლაც სწორედ შენს გვერდით მინდა ვიყო.

ასტა (უკან იხევს). ჩემს გვერდით? არა, არა, ალფრედ! ეს შეუძლებელია.

ალმერსი (დათრგუნვით უცქერის). მაშასადამე, მაინც ბორგკეიმი გვიშლის ხელს?

ასტა. არა, არა! შენ სცდები! ბორგკეიმი რა შუაშია?

ალმერსი. მაშინ მე მოვალ შენთან, ჩემს ძვირფასს, ჩემს საყვარელ დასთან. მე უნდა დავბრუნდე ჩვენს სახლში, შენთან, რათა ამ... აეხორციან ცხოვრებისაგან გავიწმინდო...

ასტა (აღშფოთებით). რიტას მიმართ ნუ სცოდავ, ალფრედ!

- აღმერსი. მე უკვე ვცოდე მის მიმართ. მაგრამ არა ამ მხრივ. ...  
 აბა, დაფიქრდი, ასტა! რა ბედნიერები ვიყავით უწინ! განა  
 ჩვენი ერთად ცხოვრება უწყვეტი დღესასწაული არ იყო?
- ასტა. ჰო, ალფრედ, მაგრამ ეს დღესასწაული აღარასოდეს  
 განმეორდება.
- აღმერსი. შენ გგონია, რომ ცოლ-ქმრულმა ცხოვრებამ საბოლოოდ  
 გადამაგვარა?
- ასტა (მშვიდად). არა, მე ეგ არა მგონია.
- აღმერსი. მაშინ კვლავ ერთად ვიცხოვროთ.
- ასტა. არა, არ შეიძლება, ალფრედ.
- აღმერსი. არა, შეიძლება, შეიძლება. და-ძმური სიყვარული...
- ასტა (დაძაბულად). რა?..
- აღმერსი. ... ერთადერთია, რომელიც ცვალებადობისა და გარდაქ-  
 მნის კანონს არ ექვემდებარება.
- ასტა (ჩუმად, ხმის კანკალით). კი მაგრამ, თუ ჩვენი ურთიერთობა...
- აღმერსი. რა?
- ასტა. ... იმნაირი არ არის...
- აღმერსი. იმნაირი არ არის?.. რას გულისხმობ, ჩემო ძვირფასო?
- ასტა. ჰო, თუმცა უმჭობესია, ყველაფერი ერთბაშად გითხრა,  
 ალფრედ.
- აღმერსი. ჰოდა, მითხარი, რაღას უყურებ?
- ასტა. დედაჩემის წერილები... აი, ის, პორტფელში რომ მიდევს...
- აღმერსი. მერე?..
- ასტა. წაიკითხე... როცა მე წავალ.
- აღმერსი. რისთვის?
- ასტა (თავს ძალას ატანს). წაიკითხე და დაინახავ...
- აღმერსი. რას დაინახავ?
- ასტა... რომ მე უფლება არა მაქვს, მამაშენის გეგარს ვატარებდე.
- აღმერსი (წაბარბაცდება და უკან იხევს). რას ამბობ, ასტა?..
- ასტა. წაიკითხე და თვითონვე დარწმუნდები... დიახ, წაიკითხე და,  
 ვინ იცის... იქნებ კიდევაც მიუტევეო... დედაჩემს.
- აღმერსი (თავში იტაცებს ხელს). არა. ამის გაგება ჩემს ძალ-ღონეს  
 აღემატება ... ესლა მაკლდა... ესე იგი, შენ...
- ასტა. დიახ, მე შენი და არა ვარ, ალფრედ.
- აღმერსი (თვალს არ აშორებს, მტკიცედ). კი მაგრამ, ვითომ ეს რამეს  
 ცვლის ჩვენს ურთიერთობაში? კაცმა რომ თქვას, არაფერს...
- ასტა (თავს აქნევს). ყველაფერს ცვლის, ალფრედ, ყველაფერს. ჩვენი  
 ურთიერთობა უკვე აღარ არის და-ძმური.

- ალმერსი.** ჰო, მაგრამ ხომ ისევ ძველებურად წმინდაა? წმინდაა და სამუდამოდ წმინდად დარჩება.
- ასტა.** ნუ დაგავიწყდება... რომ ის უკვე ემორჩილება ცვალებადობისა და გარდაქმნის კანონს, როგორც წელან შენ თვითონ თქვი.
- ალმერსი** (მცდელი თვალით უყურებს). რაო?... იქნებ, იმას გულისხმობ, რომ...
- ასტა** (ხმაბლა, მღელვარედ). საკმარისია, ჩემო ძვირფასო, ძვირფასო ალფრედ. (მაგილიდან იღებს ყვავილებს). ამ წყლის შროშანებს ხომ ხედავ?
- ალმერსი** (თავს უქნევს). ჰო, წყალქვეშ რომ იზრდებიან, ზედ ფსკერზე.
- ასტა.** ტბაში დაეკრიფე; იმ ადგილას, სადაც ის ფიორდს ერთვის (ყვავილებს უწვდის). ხომ აიღებ, ალფრედ?
- ალმერსი** (ჩამოართმევს). გმადლობ.
- ასტა** (თვალები ცრემლით ევსება). ისე ჩათვალე, თითქოს ეიოლფი უკანასკნელ სალამს გიძღვნიდეს.
- ალმერსი** (უყურებს). რომელი ეიოლფი -- ის თუ შენ?
- ასტა** (ჩურჩულით). ორივე. (ქოლგას დასწვდება). ახლა კი რიტასთან წავიდეთ. (ბილიკს აუყვება).
- ალმერსი** (მაგილიდან ქუდს იღებს და დათრგუნვილი ბუტბუტებს). ასტა! ეიოლფი... პატარა ეიოლფი! (უკან გასყვება).

## მესამე მოქმედება

ბუჩქნარით დაფარული ბორცვი ალმერსის ბაღში. სიღრმეში ციკაბო ფერდობია, რომელსაც ზემოთ მოაჭირი გასდევს. მარცხნივ დაბლა ეშვება კიბე. ბაღიდან ქვემოთ გაწოლილი ფიორდის ფართო ხედი იშლება. მოაჭირთან ფლაგშტოკია, მაგრამ ზედ ალაში არ ფრიალებს. წინ, ხელმარქვნივ, ზვიარა მცენარეებისა და ველური ვაზის თალარია. იქვე მერხი დგას. ზაფხულის სალამოა. მოწმენდილ ცაზე ღრუბლის ნაფლეთიკ არა ჩანს. ნელ-ნელა ეშვება ბინდი.

მერხზე ასტა ზის. ხელები მუხლებზე შემოუწყვია. სამზავროდაა გამოწყობილი. თავზე ქუდი ახურავს და მხარზეც სამზავრო ჩანთა აქვს გადაგდებული. იქვე დევს ქოლგაც. ხელმარცხნივ, სიღრმიდან გამოჩნდება ბორგჭეიმი. მასაც მხარზე სამზავრო ჩანთა მოუგდია. ხელში დახვეული ალაში უჭირავს.

**ბორგჭეიმი** (ასტას დანახვისას). აი, თურმე სად ზიხართ.

**ასტა.** ვზივარ და უკანასკნელად ვუყურებ აქაურობას.

**ბორგჭეიმი.** კიდეც კარგი, რომ აქ შემოვიხედე.

- ასტა. განა მეძებდით?
- ბორჯჭეიში. დიახ, მინდოდა დაგმშვიდობებოდიო. იმედი მაქვს, არა სამუდამოდ.
- ასტა (ოდნავ შესაშინევი ლიბლით). თქვენ მართლაც ძალზე შეუპოვარი ხართ.
- ბორჯჭეიში. სწორედ ასეთი უნდა იყოს ის, ვისაც გზები გაკაყავს.
- ასტა. ალფრედი ან რიტა თუ ნახეთ?
- ბორჯჭეიში. დიახ, ორივე.
- ასტა. ერთად?
- ბორჯჭეიში. არა, ცალ-ცალკე.
- ასტა. ეგ ალამი რალად გინდათ?
- ბორჯჭეიში. ფრუ რიტამ მთხოვა, აღმართეო.
- ასტა. ალმის აღმართვა ამ დროს?..
- ბორჯჭეიში. მხოლოდ სანახევროდ. მითხრა, იფრიალოს დღისითაც და ღამითაცო.
- ასტა (ამოიოხრებს). საცოდავი რიტა! და საცოდავი ალფრედი!
- ბორჯჭეიში (ალამს შლის). ნუთუ თქვენ შეგიძლიათ ამნაირ დღეში მიატოვოთ ისინი? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ვხედავ -- სამგზავროდ გამოწყობილი ბრძანდებით.
- ასტა (ყრულ). მე უნდა წავიდე.
- ბორჯჭეიში. თუ ასეა, მაშინ...
- ასტა. თქვენც ხომ ამაღამ მიდიხართ?
- ბორჯჭეიში. დიახ, საქმე მოითხოვს. მე მატარებლით. თქვენ?
- ასტა. არა, მე გემით.
- ბორჯჭეიში (ალმაყერად შეხედავს). ესე იგი, ორივეს ჩვენ-ჩვენი გზა გვაქვს?
- ასტა. დიახ.
- ასტა ზის და ალმის აღმართვას უყურებს. ბორჯჭეიში სანახევროდ აღმართავს ალამს, შემდეგ კი ასტასთან ბრუნდება.
- ბორჯჭეიში. ფრიოკენ ასტა... თქვენ ვერ წარმოიდგენთ როგორ დამამწუხრა პატარა ეიოლფის დალუკვამ.
- ასტა (შეხედავს). მჭერა.
- ბორჯჭეიში. ძალიან მიმიძის. თუმცა, მართალი გითხრათ, მე ის კაცი არა ვარ. რომ დიდი ხნით დაენებდე მწუხარებას.
- ასტა. დრო ყველაფერს აქარავს! ყოველგვარ მწუხარებასაც.
- ბორჯჭეიში. თქვენ გგონიათ, ყოველგვარს?
- ასტა. სიზმარივით... აი, თქვენც წახვალთ...
- ბორჯჭეიში. საამისოდ ძალზე შორს მომიწევდა წასვლა.



ასტა. ... და თქვენს საქმეს მოჰკიდებთ ხელს.

ბორგჭეიში. მხარში ამომდგომი კი არავინ მეუოლება.

ასტა. ნუ სწუხართ, თქვენც გამოგიჩნდებათ ვინმე.

ბორგჭეიში. არა, არავინ არ გამოგიჩნდება. ვერავის გაუუზიარებ სიხარულს. რაც მთავარია, -- სწორედ სიხარულს.

ასტა. და არა გაკირვებას?

ბორგჭეიში. ეჰ, გაკირვებას მარტოც გაუძლებს კაცი.

ასტა. სიხარული კი, თქვენი აზრით, აუცილებლად ვილაცას უნდა გაუზიარო?

ბორგჭეიში. აბა, ისე სიხარული რა სიხარულია?

ასტა. თუმცა, პო, მართალი ხართ.

ბორგჭეიში. რა თქმა უნდა, ერთხანს შეიძლება შენთვის, გულშიაც გიხაროდეს. მაგრამ ამნაირი სიხარული განა დიდხანს გასტანს? არა, თუ სიხარულია, ორი ერთად უნდა ხარობდეს.

ასტა. მხოლოდ ორი? და არა მრავალი?

ბორგჭეიში. იცით რა?... ეს უკვე სულ სხვანაირი სიხარული იქნება. ფრიოკენ ასტა... ნუთუ ვერასდობებით ვერ გადაგიწყვეტიათ, გაიზიაროთ სიხარული და ბედნიერება... ისე, რა თქმა უნდა, გაკირვებაც... იმასთან ერთად, ვინც...

ასტა. დრო იყო -- ვიზიარებდი.

ბორგჭეიში. თქვენ?

ასტა. დიახ, ჩემს ძმასთან ერთად... როცა მე და ალფრედი ერთად ვცხოვრობდით.

ბორგჭეიში. აჰ, ძმასთან ერთად? მაგრამ ეს ხომ სულ სხვა საქმეა. ჩემი აზრით, ეს უფრო მშვიდი და უშფოთველი არსებობაა, ვიდრე ბედნიერება.

ასტა. და მაინც, რა ბედნიერი დრო იყო!

ბორგჭეიში. აი, ხომ ხედავთ, თვით ესეც კი ბედნიერებად გეჩვენებათ. მაგრამ წარმოიდგინეთ რა იქნებოდა მაშინ... თქვენი ძმა რომ არ ყოფილიყო!

ასტა (წამოდგომას აპირებს, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრებს). მაშინ ერთად არც ვიცხოვრებდით... მე ხომ სულ პატარა გოგო ვიყავი... არც ის იყო ჩემზე ბევრად უფროსი.

ბორგჭეიში (ხანმოკლე დუმილის შემდეგ). კი მაგრამ, ნუთუ მართლა ასე ბედნიერი დრო იყო?

ასტა. და მერე, როგორი ბედნიერი.

ბორგჭეიში. და თქვენს ცხოვრებაში ბევრი იყო კემშარიტად ნათელი და დაუვიწყარი წამი?

ასტა. ო, უთვალავი.

ბორგჭეიში. ცოტა რამ მაინც მიამბეთ, ფრიოკენ ასტა.

ასტა. კაცმა რომ თქვას, ყოველივე ეს მხოლოდ წვრილმანია.

ბორგჭეიში. მაინც?..

ასტა. ასე მაგალითად, როცა აღფრედმა გამოცდები ჩააბარა... იცით, რა კარგად ჩააბარა? ან, როცა გაკვეთილები მისცეს სკოლაში, ჯერ ერთში, შემდეგ კი მეორეშიც. ანდა, როცა თავის სტატიებს წერდა და მე მიკითხავდა. ან კიდევ, როცა ამა თუ იმ ჟურნალში ახერხებდა გამოქვეყნებას.

ბორგჭეიში. ჰო, წარმომიდგენია. ეს ალბათ, მართლაც მშვეიდი და ბედნიერი ცხოვრება იყო. და და ძმა, რომლებიც ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ სიხარულს... მხოლოდ ერთი რამ ვერ გამოიგია: როგორ შეგელიათ თქვენი ძმა, ასტა?

ასტა (მღელვარების დაფარვას ცდილობს). აღფრედმა ხომ ცოლი შეირთო.

ბორგჭეიში. ძალიან გაგიკვირდათ განშორება?

ასტა. ძალიან, სულ პირველად... ასე მეგონა, საბოლოოდ დაკვარაგე-მეთქი.

ბორგჭეიში. არა, მაინც რა გულმა მისცა? ესე იგი, ცოლის შერთვა... ხომ შეეძლო ერთთავად გვერდით ჰყოლოდით!

ასტა (წინ იყურება). როგორც ჩანს, ისიც დაემორჩილა ცვალებადობისა და გარდაქმნის კანონს.

ბორგჭეიში. გარდაქმნის კანონს?

ასტა. დიახ, -- აღფრედის საყვარელი გამოთქმაა.

ბორგჭეიში. ეს რა სულელური კანონია! იოტის ოდენადაც არ მჯერა.

ასტა. მოვა დრო და თქვენც დაიჯერებთ.

ბორგჭეიში. არასოდეს, ჩემს სიცოცხლეში! (დამაჯერებლად). მომისმინეთ, ფრიოკენ ასტა... გონების ხმასაც ხომ უნდა ათხოვოთ ყური... თუნდაც ერთხელ... ესე იგი, ამ საკითხში...

ასტა. (აწყვეტილებს). აჰ, არა, არა... ნულარ მიუღბრუნდებით ამას.

ბორგჭეიში (უწინდებურად). არა. ასტა... მე არასდიდებით არ შემიძლია თქვენზე უარის თქმა... თქვენმა ძმამ ხომ მოიწყო ცხოვრება, როგორც თვითონ მიიჩნია უმჯობესად. ახლა უთქვენოდაც მშვენიერად ცხოვრობს თავისი პირადი ცხოვრებით. თქვენ მას საერთოდ არ სჭირდებით... ახლა კიდევ ეს შემთხვევა, რამაც აქ ყველაფერი ასე ერთბაშად შეცვალა თქვენთვის...

ასტა (შეკრთება). რა შემთხვევა?

ბორგჭეიში. რა და ეს უბედურება. სხვა რა უნდა იყოს?

ასტა (გონს ეგება). ჰო, ეიოლფი აღარ არის.

ბორგჭეიში. მერედა, კაცმა რომ თქვას, რალა დაგრჩენიათ აქ? საბრალო ბავშვს თქვენი მზრუნველობა აღარ სჭირდება. ასე რომ, აქ არავითარი მოვალეობა... არავითარი საქმე აღარ გაქვთ.

ასტა. გვედრებით, ძვირფასო ბორგჭეიმი... ასე ნუ ჩამაცივდებით...

ბორგჭეიში. არა სულელი ვიქნებოდი, რომ თქვენს დასარწმუნებლად ყველა საშუალება არ მეცადა. ამ დღეებში ქალაქიდანაც წავალ. შესაძლოა, იქ ველარც შეგხვდეთ. შესაძლოა, ძალიან დიდხანს საერთოდ ველარ გნახოთ. ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს ამ ხნის მანძილზე?

ასტა (ლიბილით). თქვენ ხომ არ გაშინებთ ცვალებადობისა და გარდაქმნის კანონი?

ბორგჭეიში. ოდნადავაც არა. (მწარე სიცილით). თუმცა, ან კი რა უნდა შეიცვალოს? ესე იგი, თქვენის მხრივ. მე ხომ ვიცი, რომ ბევრს არაფერს ვნიშნავ თქვენთვის.

ასტა. არა, კარგად მოგეხსენებათ, რომ ასე არ არის.

ბორგჭეიში. ყოველ შემთხვევაში, -- ძალიან ბევრს... იმდენს, რამდენსაც მე ვიმსახურებდი... (აგზნებულად). ღმერთო ჩემო, ასტა... ფრიოკენ ასტა... აბა, რასა ჰგავს ეს?! ჩვენს წინაშე სულ რაღაც ერთი თუ ორი დღის შემდეგ შეიძლება გადაიშალოს ბედნიერებით აღსავსე მომავალი... რომელიც გვიხმობს ორივეს ... ჩვენ კი, ნუთუ ნაბიჯსაც არ გადავდგამთ მისკენ?... ვაითუ ბოლოს სანანებლად გაგვიხდეს, ასტა!

ასტა (ჩუმად). არ ვიცი. ჭერჯერობით, იძულებული ვარ მომავალზე ოცნებას თავი ვანებო.

ბორგჭეიში (ერთხანს უყურებს, შემდეგ უფრო მშვიდად). ესე იგი, მარტო მომიწევს გზის გაყვანა?

ასტა (თანაგრძნობით). აჰ, რომ შემეძლოს მხარში ამოვიდგეთ, საქმეში ხელი შემოგაშველოთ, თქვენთან ერთად გავიზიარო სიხარული!

ბორგჭეიში. რომ შეგეძლოთ, მოისურვებდით?

ასტა. დიახ, მოვისურვებდი.

ბორგჭეიში. მაგრამ არ შეგიძლიათ?

ასტა (ენა ებმის). თუ დასჯერდებით იმას, რომ მხოლოდ ნახევრად ვიყო თქვენი?..

ბორგჭეიში. არა, თუ იქნებით, მთლიანად ჩემი უნდა იქნეთ.

ასტა (უტკერის და ჩუმად ამბობს). ასე -- არ შემიძლია.

ბორგჭეიში. მაშ, კარგად ბრძანდებოდეთ, ფრიოკენ ასტა.

წასვლას აპირებს. შორიდან, ხელმარცხნივ, გამოჩნდება აღმერსი. ბორგჭეიმი ჩერდება.

- ალმერსი (ჩერ ისევ აღმაროზე ამოდის; ხმადაბლა, თითოთ ანიშნებს თალარზე).  
რიტა მანდ არის?
- ბორგჰეიმი. არა, აქ არავინ არ არის, ფრიოკენ ასტას გარდა.  
ასტა (ეგებება). ხომ არ წავიდეთ და ვნახოთ, სად არის? ან, იქნებ,  
აქ მოვიყვანოთ?
- ალმერსი (ხელის გაქნევით). არა, არ არის საჭირო. (ბორგჰეიმს). ეს  
თქვენ აღმართეთ ალამი?
- ბორგჰეიმი. დიახ. ფრუ რიტამ მთხოვა. აქაც სწორედ ამისთვის  
მოვედი.
- ალმერსი. ამაღამ კი წასვლას აპირებთ?
- ბორგჰეიმი. დიახ, ყოველ მიზეზს გარეშე.
- ალმერსი (ასტას შეაუღებს თვალს). როგორც ჩანს, სასურველი  
თანამგზავრიც შეგიძენიათ.
- ბორგჰეიმი (თავს აქნევს). არა, მე მარტო მივდივარ.
- ალმერსი (დაბნეულად). მარტო?
- ბორგჰეიმი. და დღეიდან სულ მარტო ვიქნები.
- ალმერსი. სიმარტოვე საშინელია. ამის გაფიქრებაზეც კი სისხლი  
მეყინება ძარღვებში...
- ასტა. კი მაგრამ, შენ ხომ მარტო არა ხარ, ალფრედ?
- ალმერსი. შეიძლება, ესეც საშინელება იყოს, ასტა.
- ასტა. ოჰ, ნუ ამბობ ამას! არც კი იფიქრო!..
- ალმერსი. მაგრამ თუკი შენ მიემგზავრები?.. თუკი აღარაფერი  
გაკავშირებს?.. რატომ არ გინდა, აქ, ჩემთან და რიტასთან  
დარჩე?..
- ასტა. არა, არ შემიძლია; გადაუღებელი საქმე მაქვს ქალაქში.
- ალმერსი. ესე იგი, ქალაქს არ გასცილდები?! გესმის?!
- ასტა. დიახ.
- ალმერსი. სიტყვა მომეცი, რომ მალე დაბრუნდები.
- ასტა (სწრაფად). არა, ამას ვერ შეგპირდები... ყოველ შემთხვევაში,  
ჯერჯერობით.
- ალმერსი. კეთილი. როგორც გნებავს. მაშასადამე, იქ შევხვდებითო.
- ასტა (ვედრების კლოთი). კი მაგრამ, ალფრედ, ახლა შენ ხომ სახლში  
უნდა იყო, რიტასთან?
- ალმერსი (უპასუხოდ ტოვებს; ბორგჰეიმს მიუბრუნდება). ისე კი, ბედი  
თქვენი, რომ თანამგზავრი ჯერ კიდევ არ შეგხვედრიათ...
- ბორგჰეიმი (გაგულისხებით). ამას რად ბრძანებთ?
- ალმერსი. თორემ, ვინ იცის, კიდევ ვის შეხვდებით... გზაში?
- ასტა (უნებურად). ალფრედ!
- ალმერსი. ... თორემ შეიძლება ნამდვილ თანამგზავრს შეხვდეთ...  
მაგრამ უკვე გვიან იქნება... ძალიან გვიან!
- ასტა (ჩუმად, ხმის კანკალით). ალფრედ! ალფრედ!

ბორჯაქეიში (ხან ერთს მიაჩერდება და ხან მეორეს). რა ამბავია? ვერა გამიგია რა...

მარცხნიდან შემოდის რიტა.

რიტა (საწყალობლად). ყველა მაინც ნუ მიმატოვებთ.

ასტა (ეგებება). შენ ხომ თქვი, მარტო ყოფნა მინდაო?..

რიტა. ჰო, მაგრამ მეშინია. უკვე ბნელდება... ასე მგონია, ფართოდ გახელილი თვალები შემომცქერიან სიბნელიდან.

ასტა (ალერსიანად, თანაგრძობით). ასეც რომ იყოს, ამ თვალებისა არ უნდა გეშინოდეს, რიტა!

რიტა. რა სთქვი? არ უნდა მეშინოდეს?

ალმერსი (თხოვნის კილოთი). ასტა... გემუდარები... თუ ღმერთი გწამს, აქ დარჩი... რიტასთან!

რიტა. და ალფრედთანაც!.. დიახ, დარჩი, თუ შეიძლება, დარჩი, ასტა!

ასტა (თავს ებრძვის). აჰ, ნეტა შემეძლოს...

რიტა. რა იქნება, დარჩი!.. მარტო მე და ალფრედი ვერ გავუძლებთ ჩვენს მწუხარებას და სასოწარკვეთას.

ალმერსი (პირქუშად). უფრო სწორი იქნება, თუ იტყვი -- სინანულს და სინიდიისს ქენჯნას.

რიტა. რაც გინდა, ის დაარქვი, -- მარტო ჩვენ ვერ გავუძლებთ... ასტა, გთხოვ, გვედარები, დარჩი ჩვენთან და დაგვეხმარე! რა იქნება, რომ ეიოლფის მაგივრობა გაგვიწიო?

ასტა (წაბარბაცდება). ეიოლფის?!

რიტა. ხომ კარგი იქნება, ალფრედ?

ალმერსი. თუ შეიძლება და მოისურვებს...

რიტა. ბავშვობაში ხომ შენს პატარა ეიოლფს ეძახდი? (ასტას ხელს ჩაბლუჯავს). ამიერიდან შენ ჩვენი ეიოლფი იქნები, ასტა! ეიოლფი... უწინდებურად.

ალმერსი (მლევაარების დამალვას ცდილობს). დარჩი და... ჩვენი ცხოვრება გაიზიარე. ასტა! რიტასთან! ჩემთან!.. შენს ძმასთან დარჩი!

ასტა (ხელს გამოჰკლავს რიტას). არა, არა, არ შემიძლია... (შეტრიალდება). ბორჯაქეიმ, როდის მიდის გემი?

ბორჯაქეიში. სულ მალე.

ასტა. მაშ, უკვე დროა, გინდათ, ერთად წავიდეთ?

ბორჯაქეიში (სიხარულის დამალვას ცდილობს). ღმერთო!.. განა საკითხავია?!

ასტა. მაშ, წავიდეთ.

რიტა (ნელა). აჰ, აი, თურმე რა! თუ ასეა, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენთან ველარ დარჩები.

ასტა (ყელზე ეხვევა). მადლობელი ვარ, ყველაფრისათვის მადლობელი ვარ, რიტა (შემდეგ აღმერსთან მიდის და ხელს ათმევს). მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით, ალფრედ!

აღმერსი (ჩუმად, ძალზე აღელვებული). რა მოგივიდა, ასტა? ეს ხომ გაქცევას ჰგავს?

ასტა (შინაგანი მღელვარებითა და შიშით). დიახ, ალფრედ... ეს სწორედ გაქცევაა.

აღმერსი. გაქცევა... ჩემგან?!

ასტა (ჩურჩულოთ). დიახ, შენგან... და ჩემი თავისგანაც.

აღმერსი (უკან იხევს). ა!..

ასტა კიბზე ეშვება. ბორჯკეიმი უკან მისდევს. თან ქუდს უქნევს ზემოთ დარჩენილთ. რიტა თალარის შესასვლელთან ბოძს ეყრდნობა, ძალზე აღელვებული აღმერსი კი მოაჭირთან მიდის და ქვემოთ იყურება. პაუზა.

(შემობრუნდება და ამბობს, თანაც ცდილობს სიმშვილე შეინარჩუნოს).  
აი, გემიც ახლოვდება, რიტა.

რიტა. მეშინია.

აღმერსი. გეშინია?

რიტა. დიახ, ერთი თვალი წითელი აქვს, მეორე კი მწვანე. დიდი, ცუცხლოვანი თვალები.

აღმერსი. კი მაგრამ, ხომ იცი, რომ ეს მხოლოდ ფარნებია?

რიტა. ჩემთვის -- თვალებია... ამიერიდან. ისინი დაჟინებით მიმზერენ სიბნელიდან... სიბნელიდან სიბნელეში იმზირებიან.

აღმერსი. აი, უკვე ნაპირს ადგება.

რიტა. სად, რა ადგილას?

აღმერსი (უახლოვდება). ნავმისადგომთან, როგორც ყოველთვის, ჩემო ძვირფასო...

რიტა (სწორდება). კი მაგრამ, როგორ უნდა მიაღგეს იქ?

აღმერსი. აბა, რა ქნას?

რიტა. იქ ხომ ეიოლფი... არა, როგორ მიაღგეს იქ?

აღმერსი. რას იზამ, ცხოვრება უღმობელია. რიტა.

რიტა. ადამიანები არიან უღმობელნი. არაფერ და არაფერი არ ენაღვლებათ. არც ცოცხლები და არც მკვდრები.

აღმერსი. მართალი ხარ. ცხოვრება თავისი გზით მიდის. თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს.

რიტა (სივრცეს მიაპყრობს თვალს). ასეცაა, -- არაფერი არ მომხდარა. არაფერი არ მომხდარა... სხვებისთვის. მხოლოდ ჩვენთვის მოხდა, რაც მოხდა.

აღმერსი (სიმწრით). ჰო, რიტა... სულ ტყუილად შობე ამდენი ტანჯვითა და ტკივილით... ისე გაქრა, თითქოს სულაც არ ყოფილიყოს.

რიტა. მხოლოდ ყავარაჭენი გადაარჩინეს.

აღმერსი (წამოუნთხება). ჩუმად!.. ჩემთან ამ სიტყვას ნუ ახსენებ.

რიტა (საწყალობლად). აჰ, როგორ შევეგუო იმ აზრს, რომ აღარა გეყავს?

ალმერსი (გამწარებით, ცივად). რა ვიცი, სანამ გეყავდა, მშვენივრად სძლებდი უმისოდ. ხანდახან მთელი დღე ისე გავიდოდა, რომ ერთხელაც არ მოიკითხავდი.

რიტა. ჰო, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ ყოველთვის შემეძლო მენახა, როცა კი მოვინდომებდი.

ალმერსი. ღმერთმა მოგვცა და ჩვენ ხელი ვკარით.

რიტა (აყურადებს, შიშით). გესმის, ალფრედ? ისე რეკავენ.

ალმერსი (ფიორდისკენ იყურება). ჰო, გემზე რეკავენ. წასვლის ნიშანს იძლევიან.

რიტა. აჰ, ამ რეკვას როდი ვგულისხმობ... მთელი დღე ყურში ჩამესმის რეკვა... აი, ისე...

ალმერსი (უახლოვდება). გეჩვენება, რიტა.

რიტა. არა! ისე მკაფიოდ მესმის! თითქოს სამგლოვიარო ზარების რეკვააო... გაბმული რეკვა... თანაც სულ ერთსა და იმავე სიტყვებს რეკავენ.

ალმერსი. სიტყვებს? რა სიტყვებს?

რიტა (თავის ქნევას აყოლებს ტაქტს). ყა-ვარ-ჩე-ნი და-ცუ-რავს, ყა-ვარ-ჩე-ნი და-ცუ-რავს.. ნუთუ არ გესმის?

ალმერსი. არა, არათფერი არ მესმის, ან კი რა უნდა მესმოდეს?

რიტა. რაც გინდა, ის თქვი, მე კი ისე მკაფიოდ მესმის.

ალმერსი (მოაჩირიდან იყურება). ახლა ისინი უკვე სხდებიან, რიტა. ცოტაც და, გემი ქალაქისკენ აიღებს გეზს.

რიტა. არა, მაინც როგორ არ გესმის? ყა-ვარ-ჩე-ნი და-ცუ-რავს!

ალმერსი. გამოეცალე! ნუ უგდებ ყურს იმას, რაც არ არის. მე გეუბნები, ასტა და ბორგჰეიმი გემში სხდებიან-მეთქი. უკვე მიდიან... ასტა მიდის.

რიტა (შეშინებული უცქერის). ალბათ, შენც მალე წახვალ, ალფრედ.

ალმერსი (სწრაფად). რას გულისხმობ?

რიტა. იმას, რომ შენც დის კვალს გაჰყვები.

ალმერსი. განა ასტამ რაიმე გითხრა?

რიტა. არა, მაგრამ შენ ხომ მითხარი, მხოლოდ ასტამ დაგვაკავშირაო?

ალმერსი. ჰო, მაგრამ შენ თვითონვე მომხიბლე და ჩემი ბედი შენსას დამაკავშირებინე... ერთობლივი ცხოვრებით.

რიტა. ო, შენს თვალში მე უკვე აღარა ვარ ისეთი მომხიბვლელი.

ალმერსი. ვინ იცის, იქნებ ცვალებადობისა და გარდაქმნის კანონმა კვლავ განამტკიცოს ჩვენი კავშირი.

რიტა (ნელა უქნევს თავს). გარდაქმნა ახლა ჩემშიაც ხდება. რომ იცოდეთ, რა მტკივნეულად განვიცდი.

ალმერსი. მტკივნეულად?

რიტა. დიახ. ესეც ხომ ერთგვარი მშობიარობაა.

- აღმერსი. მართლაც, ან უფრო სწორად, -- აღდგომა... სულის უზენაესი ცხოვრებისთვის აღორძინება.
- რიტა (დათრგუნვილი იყურება წინ). ჰო... მიწიერი ბედნიერების დაკარგვის ფასად.
- აღმერსი. ამ დანაკარგით უფრო მეტს ვიძენთ.
- რიტა (წამოენთება). აჰ, კვლავ სიტყვები!.. ღმერთო ჩემო, ჩვენ ხომ მიწის მივლები ვართ?
- აღმერსი. მაგრამ რალაყით ზღვასა და ცასაც ხომ ვგავართ, რიტა?
- რიტა. შენ -- შეიძლება. მე კი არა.
- აღმერსი. არა, შენ წარმოდგენაც არა გაქვს, როგორ ჰგავხარ მათ.
- რიტა (ნაბიჯს გადადგამს მისკენ). იცი რა, ალფრედ. ხელახლა ხომ არ მიუბრუნდებოდი შენს წიგნს?
- აღმერსი. ჩემს წიგნს, რომელიც შენ ასე გძულდა?
- რიტა. ო, მე ახლა უკვე აღარა ვარ ისე მომთხოვნი, შემიძლია წიგნზე აღარ ვიექვიანო.
- აღმერსი. როგორ?..
- რიტა. ოღონდ გვერდით მყავდე... ოღონდაც შევინარჩუნო...
- აღმერსი. მე ბევრს ვერაფერს დაგეხმარები, რიტა.
- რიტა. კი მაგრამ, იქნებ მე დაგეხმარო.
- აღმერსი. წიგნზე მუშაობაში?
- რიტა. არა, ცხოვრებაში.
- აღმერსი (თავს აქნევს). რომელ ცხოვრებაში? სად არის ეს ცხოვრება?
- რიტა. ცხოვრებაში თუ არა, მაშინ -- გაძლებაში, უღლის ბოლომდე გათრევაში.
- აღმერსი (პირქუშად, თითქოს თავის თავს ებრძვის). არა, მე მგონია, ორივესთვის უმჯობესი იქნება, თუ გავიყრებით.
- რიტა (მდღელი თვალით უყურებს). მერე სად წახვალ? ალბათ, ისევ ასტასთან, არა?
- აღმერსი. არა, ასტასთან -- აღარასოდეს.
- რიტა. მაშ, სად?
- აღმერსი. სადაც მარტო ვიქნები.
- რიტა. ესე იგი, მთის მწვერვალზე?
- აღმერსი. დიახ.
- რიტა. მაგრამ ეს ხომ ფუჭი ოცნებაა, ალფრედ. შენ იქ ვერ გასძლებ.
- აღმერსი. და მაინც იქითკენ მიმიწევს გული.
- რიტა. რატომ? ვერ მეტყვი.
- აღმერსი. დაჯექი, რალაცას გიამბობ.
- რიტა. რაც იქ შეგემთხვა?..
- აღმერსი. დიახ.



რიტა. და რაც მაშინ მე და ასტას არ გაგვიმხილეთ?

ალმერსი. დიას.

რიტა. ყველაფერს გულში ინახავ. არ უნდა გექნა ასე.

ალმერსი. დაჯექი, ვიამბობ.

რიტა. ჰო, ჰო, მიაბზე (თალარის გვერდით, მერხზე ჯდება).

ალმერსი. მე იქ მარტო ვიყავი, მთის მწვერვალზე. ერთ დიდ ტბას მივადექი. გაღმა მინდოდა გასვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე: არც ნავი იყო სადმე, და არც კაცის კაპანება ჩანდა.

რიტა. მერე?

ალმერსი. მოვუხვებე და ალაღბედზე ჩავყევი ფერდობს. ფეიქრობდი, ასე განდაგან ვივლი, მერე ჩავუხვებე და ტბას გაღმიდან მოვექცევი-მეთქი.

რიტა. და, ალბათ, გზა დაკარგე, ალფრედ.

ალმერსი. ჰო, მხარი მექცა. იქ ხომ არც გზაა სადმე და არც ბილიკი. მთელი დღე ვიარე. თითქმის მთელი ღამეც. ბოლოს ვიფიქრე, მორჩა, ჩემი საქმე წასულია, ადამიანების ნახვა აღარ მიწერია-მეთქი.

რიტა. ალბათ, ჩვენზე, შენიანებზე ფიქრობდი.

ალმერსი. არა.

რიტა. არა?

ალმერსი. რაგინდ უცნაურიც არ უნდა ჩანდეს, შენცა და ეიოლფიც თითქოს სრულიად უცხონი და შორეულნი გახდით ჩემთვის... ასტაც.

რიტა. აბა, რაზე ფიქრობდი.

ალმერსი. შენ წარმოიდგინე, არაფერზე. მხოლოდ მივდიოდი, კლდე-ღრეში მივიკვლევდი გზას... სული კი უცნაური სიმშვიდით მქონდა სავსე. ეს იყო რაღაც სანეტარო თავდავიწყება, გამოწვეული სრული უგრძობლობით, რომელიც, ალბათ, უშუალოდ სიკვდილის წინ ეუფლება კაცს.

რიტა (წამოხტება). აჰ, ნულარ ლაპარაკობ ამ საშინელებაზე!

ალმერსი. სწორედ ამნაირი განცდა მქონდა. არავითარი შიში, მეჩვენებოდა, რომ სიკვდილი ჩემს გვერდით მოაბიჯებს, როგორც სანდო და კეთილი თანამგზავრი. და ყველაფერი ეს ისე ბუნებრივი იყო, ისე მარტივი... ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენებოდა მაშინ... ჩვენს გვარში, საერთოდ, ყველა დღემოკლეა...

რიტა. აჰ, არა, არა, რას ამბობ, ალფრედ! აკი მშვიდობით დააღწიე თავი განსაცდელს.

ალმერსი. ჰო, ჩემდა მოულოდნელად, გზაზე გავედი, ტბის გაღმა მხარეს.

რიტა. წარმომიდგენია. რა საშინელ ღამეს გაატარებდი, ალფრედ. ახლა, როცა ყველაფერი უკან დარჩა, ალბათ, ისიც კი არ გინდა, რომ შენსავე თავს გამოუტყდე.

- ალმერსი.** სწორედ იმ ღამის შედეგი იყო ჩემი გადაწყვეტილება.  
უკან გამოვბრუნდი და პირდაპირ შინ გამოვწიე, ეიოლფისკენ.
- რიტა** (ჩუმაღ). ვაი რომ დაიგვიანე.
- ალმერსი.** დიახ, ჩემმა თანამგზავრმა დამასწრო და წაიყვანა... ჩვენ  
კი შიშმა აგვიტანა მის წინაშე... ყველას წინაშე... ყოველივე  
ამის წინაშე. სწორედ ამ შიშის გამოა, რომ წასულას ველარა  
ვბედავთ, აი, რა მტკიცე კავშირითა ვართ მიწას მიჭაკვეულნი,  
რიტა.
- რიტა** (თითქოს იმედი ჩაესახაო). ხომ მართალია, შენც მიწისა ხარ,  
არა? რა იქნება, ერთად ვიცხოვროთ; ვიცხოვროთ, სანამ  
შეგვიძლია.
- ალმერსი** (მხრების აჩჩევით). ვიცხოვროთ! კი მაგრამ, რა აზრი აქვს  
ამნაირ ცხოვრებას? საითაც არ გაიხედავ, ყველგან სიცარიე-  
ლეა, აუტანელი სიცარიელე.
- რიტა** (შიშით). ო, აღრე თუ გვიან, შენ მაინც წახვალ ჩემგან. მე  
ვგრძნობ, შენს სახეზე ვკითხულობ... შენ წახვალ ჩემგან,  
აღფრედ!
- ალმერსი.** შენ გგონია -- ჩემს თანამგზავრთან ერთად?
- რიტა.** არა, გული უარესს მიგრძნობს: შენ წახვალ მარტო, შენთვის.  
აკი აქ, ჩემს გვერდით ცხოვრება უაზროდ გეჩვენება. მიპასუხე,  
ასე არ არის?
- ალმერსი** (დაეინებით უცქერის). ასეც რომ იყოს, რა?..
- შორიდან ხმაური და ყვირილი მოისმის; გაბრაზებული და გაბოროტებული  
ხმების ღრიანცელი. ალმერსი მოაჩირს უახლოვდება.
- რიტა.** რა ამბავია? ო, ღმერთო!.. აი, ნახავ, თუ არ იპოვეს!
- ალმერსი.** არა, ჩვენს შვილს ვერასოდეს ვერ იპოვიან.
- რიტა.** აბა, რა ხდება?
- ალმერსი** (მოაჩირს უახლოვდება). ჩხუბობენ, როგორც ყოველთვის.
- რიტა.** ნაპირზე?
- ალმერსი.** ჰო... მთელი ეს ქოხმახები ასალებია. აი, ეს-ესაა კაცები  
შინ დაბრუნდნენ. თავიანთი ჩვეულებისამებრ, დღესაც მთვ-  
რალეები არიან. ბავშვებს დაერივნენ. გესმის, როგორ ყვირიან  
საცოდავები? ქალები კივილით ითხოვენ შევლას...
- რიტა.** ხომ არავინ მივაშველოთ, აღფრედ?
- ალმერსი** (მკაცრად, გაბოროტებით). ვის? იმათ, ვინც არ მიეშველა  
ეიოლფს? ჰირსაც წაუღია ყველანი! სწორედ მათი გამოისო-  
ბით დაიღუპა ეიოლფი!
- რიტა.** ნუ ამბობ ამას, აღფრედ! ამის გაფიქრებაც კი ცოდვია!
- ალმერსი.** არ შემიძლია სხვაგვარად ვიფიქრო... მთელი ეს დამპალი  
ქოხმახები ერთიანად ასალებია.
- რიტა.** კი მაგრამ, რა ეშველებათ ამ საცოდავებს?
- ალმერსი.** აღგნენ და სხვაგან გადასახლდნენ.

რიტა. მერე ბავშვები?

ალმერსი. განა სულერთი არ არის, სად ამოწყდებიან?

რიტა (ჩუმაღ, ყვედრებით). შენ ხომ ასეთი გულქვა არა ხარ, ალფრედ?

ალმერსი (წამოენთება). ამიერიდან მე უფლება მაქვს გულქვა ვიყო!  
ეს ჩემი უფლებაა... და ჩემი მოვალეობაც.

რიტა. მოვალეობა?

ალმერსი. დიახ, ჩემი მოვალეობა ეიოლფის ხსოვნის წინაშე! ვილაცაზე ხომ უნდა ვიძიო შური? ერთის სიტყვით, რიტა, დაუფიქრდი იმას, რაც მე გითხარი: როცა აქ აღარ ვიქნები, მთელი ეს ქობმახები აალებინე.

რიტა (აკვირდება). როცა აქ აღარ იქნები?

ალმერსი. დიახ. საქმე მაინც გექნება ამ უქმსა და უაზრო ცხოვრებაში. ეს საჭიროა შენთვის.

რიტა (მტკიყედ, გადაკრით). მართალი ხარ, ეს საჭიროა ჩემთვის, აბა თუ მიხვდები, რას ვიზამ... როცა აქ აღარ იქნები?

ალმერსი. მაინც რას?

რიტა (ნელა, გადაკრით). როგორც კი აქედან წახვალ, ავდგები და ჩემი ფეხით ჩაეაკითხავ ჩვენს ლატაკ მეზობლებს. ხელს მოვხვევ ამ საცოდავ, ღეთის ანაბარა მიყრილ ბავშვებს და ყველას აქ ამოვიყვან, ყველას, უკლებლივ.

ალმერსი. მერე?..

რიტა. გვერდიდან არ მოვიცილებ.

ალმერსი. შენ?

რიტა. დიახ, მე, როგორც კი შენ წახვალ, ისინი აქ დასახლდებიან... როგორც ჩემი საკუთარი შვილები.

ალმერსი (აღშოთებით). ეიოლფის ადგილს დაიკავენ?

რიტა. დიახ, ეიოლფის ადგილს. მის ოთახებში იცხოვრებენ, მის წიგნებს იკითხავენ, მისი სათამაშოებით ითამაშებენ და მაგიდასთან რიგ-რიგობით დაიკავენ ადგილს მის სკამზე.

ალმერსი. კი მაგრამ, ეს ხომ ნამდვილი სიგიჟეა! დედამიწის ზურგზე არ მეგულება ადამიანი, უფრო ნაკლებად რომ ვარგოდეს ამ როლისათვის, რიტა!

რიტა. რას იზამ, ალბათ, გარდაქმნა მომიწევს! ცოტა რამ მეც ხომ უნდა ვისწავლო და შევითვისო?

ალმერსი. თუ ამას მართლა სერიოზულად ამბობ, მაშინ შენში ძირფესვიანი ცვლილება მომხდარა, ნამდვილი გარდატეხა.

რიტა. ასეა, ალფრედ. შენ იზრუნე, რომ ასე ყოფილიყო. შენ დატოვე ცარიელი ადგილი ჩემს სულში. ჰოდა, რალაცით ხომ უნდა შევაესო? ... რალაც ისეთით, ოღონდ მაინც რომ ჰგავდეს სიყვარულს.

ალმერსი (ერთხანს ჩაფიქრებული დგას და უცქერის). ისე კი, კაცმა რომ თქვას, ჩვენ ჯერ ძალზე ცოტა რამ თუ გავგიკეთებია ამ საცოდავებისათვის.

- რიტა. არაფერიც არ გაგვიკეთებია.
- ალმერსი. იშვიათად თუ გაგვხსენებია ისინი.
- რიტა. არასოდეს არ გაგვხსენებია... ნამდვილი თანაგრძნობით.
- ალმერსი. თუმცა ოქროს მთები კი გექონდა!..
- რიტა. ჩვენ მკიდროდ დავხშეთ მათ წინაშე ჩვენი კარი. ისევე, როგორც ჩვენი გულები.
- ალმერსი (თავს უქნევს). ჰოდა, რა გასაკვირია, რომ თავი არ გასწირეს ეიოლფის გადასარჩენად.
- რიტა (ჩუპად). კარგად დაფიქრდი, ალფრედ... დარწმუნებული ხარ, რომ ჩვენ კი გაეწირავდით?
- ალმერსი (ნერვიულად, უხეშად). ამაში ექვის შეტანა არასოდეს გაბედო, რიტა!
- რიტა. აჰ, ჩვენ, მიწის შვილები, ისე მტკიცედ ვართ მიჯაჭვულნი მიწას!
- ალმერსი. მაინც რის გაკეთებას აპირებ ამ ღეთის ანაბარა მიყრილი ბავშვებისათვის?
- რიტა. უწინარეს ყოვლისა, ვეცდები შევეუმსუბუქო მათ მძიმე ხვედრი...
- ალმერსი. თუ შენ ამას შესძლებ, ეიოლფის სიცოცხლეს რაღაც აზრი მაინც ჰქონია.
- რიტა. ისევე, როგორც მის სიკვდილსაც.
- ალმერსი (დაჟინებით უცქერის). მხოლოდ ერთ რამეს ნუ დაივიწყებ, რიტა. შენს განზრახვას სიყვარული როდი უღვევს საფუძვლად.
- რიტა. არა, მესმის, რომ ეს სიყვარული არ არის. ყოველ შემთხვევაში, ჭერჯერობით მაინც.
- ალმერსი. მაშ, რა?..
- რიტა (პირდაპირ პასუხს თავს არიდებს). შენ ხომ ხშირად ელაპარაკებოდი ასტას ადამიანის პასუხისმგებლობის შესახებ?..
- ალმერსი. იმ წიგნზე, რომელიც შენ გძულდა.
- რიტა. და დღემდე მძულს... მაგრამ მე მესმოდა შენი სიტყვები. და, აი, ახლა მინდა, თვითონვე ერთგვარად წინ წავეწიო საქმე, რასაკვირველია, ჩემებურად.
- ალმერსი (თავს აქნევს). არა ჩემი დაუმთავრებელი წიგნის გულისთვის...
- რიტა. არა, მე სხვა მიზეზიც მაქვს!
- ალმერსი. მაინც?
- რიტა (ჩუპად, სევდიანი ლიმილით). მე მინდა გული მოვუღებო ჩვენს შვილს... ეგებ, კეთილად შემომხედონ მისმა ფართოდ გახელილმა თვალებმა.
- ალმერსი (გაოგნებული, თვალს არ ამორებს). თუ ასეა, მეც ხომ შემეძლო დავხმარებოდი... მხარში ამოგდგომოდი, რიტა!
- რიტა. შენ ამას გულით ამბობ?..

**ალმერსი.** პო... ნეტა კი შევიძლო და...  
**რიტა** (მცირეოდენი ღუმლის შემდეგ). კი მაგრამ, მაშინ ხომ აქ მოგიწევს დარჩენა?  
**ალმერსი** (ჩუმად). მოდი, ვცადოთ, -- იქნებ რამე გამოგვივიდეს, რიტა.  
**რიტა** (ძლივს გასაგონად). ვცადოთ, ალფრედ.  
 ორივე ღუმს. ალმერსი ფლაგშტოკთან მიდის და ბოლომდე მალა სწევს ალამს. რიტა თალართან დგას და ჩუმად უყურებს.  
**ალმერსი** (ბრუნდება). წინ მძიმე სამუშაო დღე გვიძიებს, რიტა.  
**რიტა.** აი, ნახავ, თუ ხანდახან ჩვენც არ გვეღირსოს მშვიდი კვირადღე.  
**ალმერსი** (ჩუმად, ალღევებით). და მაშინ, ჩვენ, შესაძლოა, უფრო ცოცხლად შევიგრძნობთ სულების სიახლოვეს.  
**რიტა** (ჩურჩულით). სულების სიახლოვეს?..  
**ალმერსი** (უწინდებურად). დიახ, ვინ იცის, იქნებ ჩვენს გვერდით დადგნენ ისინი... ვინც ჩვენ დავეკარგეთ?  
**რიტა** (თავს უქნევს). ჩვენი პატარა ეიოლფი... და შენი დიდი ეიოლფი.  
**ალმერსი** (წინ იყურება). ვინ იცის, იქნებ ხანდახან... ცხოვრების გზაზე... ჩვენც შევიძლოთ და თვალი მოვკრათ მათ ანარეკლს...  
**რიტა.** მაინც სად, ალფრედ?.. საით ვიყუროთ?  
**ალმერსი** (თვალს არ აშორებს). მაღლა!  
**რიტა** (თავს უქნევს). პო... მაღლა.  
**ალმერსი.** მაღლა, მთის მწვერვალებისკენ, ვარსკვლავებისკენ, მარადიული ღუმლის სამეფოსაკენ.  
**რიტა** (ხელს უწვდის). გმადლობ.





როცა ჩვენ,  
გვეღრუბო,  
ვიღვიქებთ

## დრამატული ეპილოგი სამ მოქმედებად

### მოქმედი პირნი:

პროფესორი არნოლდ რუბეკი, მოქანდაკე.

ფრუ შაია რუბეკი, მისი ცოლი.

კურორტის ინსპექტორი.

მეზამულე ულფჰაიმი.

ჩამოსული ქალბატონი.

მოწუალების და.

მხახურები, კურორტის დამსვენებლები, ბავშვები.

პირველი მოქმედება მიმდინარეობს ზღვის პირას, მეორე და მესამე -- მთის სანატორიუმის მიდამოებში.



## პირველი მოქმედება

კურორტის სასტუმროს წინ გაშლილი პარკის ნაწილი; ბუჩქები და ტანშალალო, ბებერი ხეები; შადრევანი, მარჯვნივ სასტუმროს მთავარი კორპუსი მოჩანს. მარცხნივ მომცრო პავილიონია, რომლის კედლები თითქმის მთლიანად დაუფარავს ზედ ასული ველური ვაზის ფოთლებს. პავილიონის წინ მაგვიდა და სკამი დგას. უკანა პლანზე ფიორდის ხეღია; იქით გაშლილი ზღვა მოჩანს; უფრო შორს კი -- კონცხები, პატარა-პატარა კენძელები და მომცრო ფიორდები. ზაფხულის წყნარი, მზიანი დღეა.

პროფესორი რუბეკი და მათი სასტუმროს წინ, პატარა მოედანზე, მოწულს სავარძლებში სხედან. წინ გაშლილი მაგვიდა უდგათ. საუბრე მოუთავებიათ და ახლა შამპანურსა და სელტერის წყალს მიირთმევენ. რუბეკი ხანში შესული, წარმოსადგეი კაცია; საერთოდ, საზაფხულო ტანსაცმელშია გამოწყობილი, მაგრამ პიჯაკი შავი ხავერდისა აცვია. მათი ძალზე ახალგაზრდა ქალია, სიცოცხლით სავსე და მზიარული, ეშმაკური თვალები აქვს, თუმცა სახეზე დალილობა ეტყობა. ელეგანტური სამგზავრო კოსტიუმში აცვია.

მაია (ერთხანს ისე ზის, თითქოს ელოდება, როდის დაუწყებს ლაპარაკს პროფესორი, მერე გაზეთს დაუშვებს და ამოიოხრებს). უჰ! არა, არა!..

რუბეკი (გაზეთიდან თავს აიღებს). რა იყო მათი, რა მოგივიდა?

მაია. ერთი უსმინე, რა სიჩუმეა აქ.

რუბეკი (შემწყნარებლური ღიმილით). განა შენ შეგიძლია უსმინო?

მაია. რას?

რუბეკი. სიჩუმეს.

მაია. რა თქმა უნდა, შემიძლია.

რუბეკი. თუმცა შენ სწორი ხარ, mein Kind! სიჩუმის მოსმენა მართლაც შეიძლება.

მაია. მით უმეტეს, მაშინ, თუ ეს სიჩუმე ყველაფერს ისე თრგუნავს, როგორც აქ...

რუბეკი. როგორც აქ, ნაპირზე, არა?

მაია. როგორც აქ, ყველგან, მთელს ჩვენს ქვეყანაში. მართალია, იქ, ქალაქში, დიდი ხმაური და აურზაურია, მაგრამ მაინც... ჩემი აზრით, ამ ხმაურსა და აურზაურშიც არის რაღაც მკვდარული.



რუბეკი (გამომცდელად უყურებს). შენ რა, სამშობლოში დაბრუნება აღარ გიხარია, მაია?

მაია (უყურებს). შენ კი გიხარია?

რუბეკი. არა, მართალი გითხრა, არც ისე, რომ...

მაია (გამოცოცხლდება). აი, ხომ ხედავ! ასეც ვიციდი!

რუბეკი. მე ძალზე დიდხანს მომიწია საზღვარგარეთ ყოფნამ. სულ გადავეჩვიე აქაურობას...

მაია (სავარძელს მისკენ მიიწევს, სხაპასხუპით). აი, ხომ ხედავ, რუბეკ! მაშ, ჩქარა წავიდეთ!.. რაც შეიძლება ჩქარა!

რუბეკი (ოღნავ გაღიზიანებული). ჰო, კარგი, კარგი, წავალთ, ძვირფასო, შენც ხომ იცი, რომ წავალთ?

მაია. მაშ, რატომ ახლავე არ მივდივართ? წარმოიდგინე, რა კარგად ვიქნებით ჩვენს ახალ პალაცოში.

რუბეკი (შემწყნარებლური ღიმილით). ალბათ, გინდოდა გეთქვა: ჩვენს ახალ სახლშიო, არა?

მაია (მკვახედ). მე პალაცოს ვამჯობინებ. გესმის?

რუბეკი (დიდხანს, დაინებით უსქერის). ისე კი, ძალზე უცნაური პატარა არსება ხარ.

მაია. მართლა?

რუბეკი. ჰო, მე ასე მგონია.

მაია. რატომ? იქნებ, იმიტომ, რომ არც აქაურობაზე მელევა სული და არც ამ შემოგარენში ხეტიალზე?

რუბეკი. კი მაგრამ, ვინ დაიჩემა, ზაფხული ჩრდილოეთში გავატაროთო, -- მე თუ შენ?

მაია. დავუშვათ, რომ მე.

რუბეკი. დიახ. ყოველ შემთხვევაში, მე არა.

მაია. ო, ღმერთო! რას წარმოვიდგენდი, რომ აქ, ჩვენში, ყველაფერი ასე საშინლად შეიცვლებოდა? თანაც, ასე მოკლე ხანში. აბა, დაფიქრდი, სულ რაღაც ოთხიოდე წელი გავიდა, რაც მე აქედან წავედი...

რუბეკი. ... როგორც გათხოვილი ქალი, არა?

მაია. გათხოვება რა შუაშია?

რუბეკი (თავისას განაგრძობს). მას შემდეგ, რაც პროფესორის მეუღლე გახდი; შეიძინე მშვენიერი სახლი... ოჰ, მაპატიე, პალაცო უნდა მეთქვა! ამას დავუმატოთ აგარაკი ტაუნის ტბის პირას, ყველაზე მოდურ, არისტოკრატიულ უბანში... იქ ყველაფერი ისე ლამაზია, ისე დახვეწილი, ისე დიდებული... გავბედავ და ვიტყვი, მეტრისმეტად დიდებულიც-მეთქი, მაია. თანაც, რა ხალვათობაა. შეიძლება თვალში აღარ შევეჩხიროთ ერთიმეორეს.

- მაია** (დაუღერად). დიახ, დიახ... ხალვათობაცა და სხვა დანარჩენიც თავზე საყრელადაა. ბედს ვერ დავემღურები...
- რუბეკი**. და საერთოდაც, უფრო უკეთეს ბედში ჩავარდი, უკეთესი პირობები შეგექმნა და უფრო დახვეწილსა და რჩეულ საზოგადოებაში დაიწყე ტრიალი, ვიდრე გათხოვებამდი.
- მაია** (უყურებს). ა-ა, ესე იგი, შენ გგონია, რომ მე შეეიცვალე?
- რუბეკი**. დიახ, მაია.
- მაია**. მარტო მე? და არა აქაურები?
- რუბეკი**. ცოტა არ იყოს, ისინიც. თანაც ამ ცვლილებას უკეთესობა არ ეთქმის. ამაში გეთანხმები.
- მაია**. მეტი რა გზა გაქვს?
- რუბეკი** (ტონს იცვლის). იცი, რანაირ გუნებაზე ვდგები, როცა აქაურ ცხოვრებას და გარშემო ხალხს ვაკვირდები?
- მაია**. არა. მაინც რანაირზე?
- რუბეკი**. ის ღამე მაგონდება, როცა მატარებლით აქეთ, ჩრდილოეთისკენ მოვემგზავრებოდით.
- მაია**. კი მაგრამ, შენ ხომ მთელი გზა გეძინა?
- რუბეკი**. არა... შევნიშნე, რომ ყველა პატარა სადგურზე უჩვეულო სიჩუმე იდგა... მე ვუსმენდი ამ სიჩუმეს... შენსავით... მაია.
- მაია**. კმ... ჩემსავით...
- რუბეკი**. და მიგხვდით, რომ საზღვარი უკან დაგვრჩა; უკვე სამშობლოში ვიყავით. მატარებელი ყველა ბაქანზე ჩერდებოდა, თუმცა არც მგზავრი ჩანდა სადმე და არც ბარგი.
- მაია**. მაშ, რატომღა ჩერდებოდა, თუ არაფერი არ იყო?
- რუბეკი**. რა ვიცი. არც არავინ ამოდიოდა და არც ჩადიოდა. მატარებელი კი იდგა და იდგა, დიდხანს იდგა, უსასრულოდ დიდხანს. ყოველ ბაქანზე მესმოდა, როგორ დააბიჯებდა ორი მეისრე ერთად, -- ერთს ხელში ფარანი ეჭირა, -- და ღამის მღუმარებაში ჩუმად, ხმადაბლა საუბრობდნენ... ისე, არაფერზე.
- მაია**. მართალი ხარ, ყოველთვის ორ-ორნი დადიან და ლაპარაკობენ...
- რუბეკი**. ... არაფერზე. (თითქოს გამოცოცხლდეს). მაგრამ ხვალამდეც მოითმინე. ნავსადგურში დიდი, კომფორტული გემი შემოვა. ჩაესხდებით და სანაპიროს გაეუყვებით... უკიდურეს ჩრდილოეთამდე, თვით ყინულოვან ოკეანემდე.
- მაია**. მაგრამ მაშინ ველარც ქვეყანას ნახავ და ვერც მის ცხოვრებას. შენ კი სწორედ ეს გინდოდა.

რუბეკი (გალიზიანებით). რაც ვნახე, ისიც მეყოფა; უკვე ყელში ამომივიდა.

მაია. შენ გგონია, რომ ზღვაზე მოგზაურობა უფრო მეტ სიამოვნებას მოგანიჭებს?

რუბეკი. რაც არ უნდა იყოს, გარემოს მაინც შევიცვლი.

მაია. კი ბატონო, თუკი რაიმეს გარგებს, მაშინ...

რუბეკი. რაიმეს მარგებს? განა რამე მაკლია?

მაია (დგება და უახლოვდება). ჰო, რუბეკ. ამას შენ თვითონ უნდა გრძნობდე.

რუბეკი. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, შენი აზრით, მაინც რა მაკლია?

მაია (რუბეკის უკან დგას და მისი სავარძლის ზურგისკენ იხრება). ეგ შენ თვითონ მითხარი. გზააბნეულივით დაბორილობ, ადგილი ვერსად გიპოვინია. ვერც შინ ისვენებ და ვერც გარეთ. ამ ბოლო დროს ხომ საერთოდ აღარავის დანახვა აღარ გინდა.

რუბეკი (ცოტა არ იყოს, დაინებით). მართლა?.. შენც შემატყვე?

მაია. ვინც გიცნობს, ყველა შეგატყობს. ეგეც არ იყოს, ჩემი აზრით, ძალიან სამწუხაროა, რომ მუშაობის ხალისი სულ მთლად დაკარგე.

რუბეკი. ეგეც შემატყვე?

მაია. შენ ხომ შეგეძლო შეუსვენებლივ გემუშავა... დილიდან დაღამებამდი!

რუბეკი (პირქუშად). დიახ. უწინ შემეძლო.

მაია. მაგრამ როგორც კი შენი შედეგრი დაამთავრე...

რუბეკი (დაფიქრებული უქნევს თავს). მკვდრეთით აღდგომა ...

მაია. ... რომელმაც ასე შორს გაგითქვა სახელი...

რუბეკი. მთელი უბედურებაც სწორედ ესაა, მაია.

მაია. როგორ თუ უბედურება?

რუბეკი. როცა ეს ჩემი შედეგრი შეეკმენი... (გაცხარებით აიქნევს ხელს). დიახ, მკვდრეთით აღდგომა მართლაც შედეგრია!.. ყოველ შემთხვევაში, ოდესღაც მაინც იყო... თუმცა არა! დღესაც შედეგრია და შედეგრადვე დარჩება, დიახ, დარჩება!

მაია (გაკვირებული უყურებს). დიახ, რუბეკ... ეს ხომ მთელმა ქვეყანამ იცის!

რუბეკი (მკვახელ). მთელმა ქვეყანამ არაფერიც არ იცის! მთელ ქვეყანას არაფერიც არ ესმის!

მაია. ყოველ შემთხვევაში, რაღაცას მაინც ხედება...

რუბეკი. დიახ, იმას, რაც საერთოდ არ არის; იმას, რაც აზრადაც არ მოსვლია. და, რაც მთავარია, სწორედ ესაა მათი

აღტაცების საგანი. (თავისთვის ბუზღუნებს). წვალებად არ ღირს, წელში გაწყდო, ოფლი ღვარო ამ ბრბოის... ამ მთელი ქვეყნის გულისთვის!

**მაია.** მაშ, შენი აზრით, უმჯობესია... ან შენს ღირსებას უფრო შეეფერება, თუ ათასში ერთხელ გამოძერწავ ვინმეს სკულპტურულ პორტრეტს?

**რუბეკი** (თვითმყოფილი, ეშმაკური ღიმილით). კაცმა რომ თქვას, ნამდვილ სკულპტურულ პორტრეტებს მე არც ვძერწავ, მაია.

**მაია.** როგორ არ ძერწავ! ამ ბოლო ორ-სამ წელიწადს... მას შემდეგ რაც ის დიდი სკულპტურული ჯგუფი დაამთავრე და ჩააბარე...

**რუბეკი.** და მაინც, ეს უბრალო სკულპტურული პორტრეტები არ არის, გესმის?

**მაია.** აბა, რა არის?

**რუბეკი.** მათში ჩაქსოვილია რაღაც... რასაც ადამიანები ვერ ხედავენ...

**მაია.** აი, თურმე, რა ყოფილა...

**რუბეკი** (მტკიცე ხმით). მხოლოდ მე ვხედავ, და ეს ძალიან მართობს... ერთის შეხედვით, აქ საქმე თითქოს ეგრეთწოდებული გარეგნული მსგავსებით ამოიწურება, რასაც განცვიფრებისაგან პირდაღებული შეპყურებს ხალხი... (ხმას დაუწევს). სინამდვილეში კი ამ სკულპტურული პორტრეტების სიღრმიდან შემოგვეცქერიან ცხენების დარბაისლური ლაშები, ვირების ჯიუტი თავ-პირი, ყურპანტურა, შუბლვიწრო ძაღლების დრუნჩები, ნასუქი ღორების დინგები... ჩლუნგი, უხეში, პირუტყვეული სიფათები...

**მაია** (გულგრილად). ერთი სიტყვით, -- ჩვენი საყვარელი შინაური ცხოველები.

**რუბეკი.** მხოლოდ საყვარელი შინაური ცხოველები, მაია. ცხოველები, რომლებიც ადამიანებმა დაიმგვანეს, ესე იგი, დაამახინჯეს. და რომლებმაც, სანაცლოდ, დაამახინჯეს ადამიანები. (შამანურის კიჟას ცლის და იცინის). ხელოვნების აი რა ვერაგულ ნიმუშებს მიკვეთავენ დარბაისელი მდიდრები და დაუფიქრებლად იხდიან საფასურს... წარმოუდგენლად გულუხვ საფასურს... თითქმის თავის წონა ოქროს, როგორც ამბობენ ხოლმე.

**მაია** (კიჟას უესვებს). დალიე, რუბეკ, იქნებ ცოტა გამხიარულდე.

**რუბეკი** (რამდენჯერმე გადაისვამს ხელს შუბლზე და სავარძელში გადაწვება). მე ისედაც მხიარულად ვარ, მაია; ღმერთმანი, ოღონდ -- ჩემებურად. (ერთხანს ღუმს). ბედნიერებაა, როდესაც გრძნობ, რომ თავისუფალი და დამოუკიდებელი ხარ; რომ არ გაკლია

არაფერი, რაც კი შეიძლება ისურვოს კაცმა. გარეგნული თვალსაზრისით, რალა თქმა უნდა. ხომ მეთანხმები, მაია?

მაია. ჰო, გეთანხმები. ეს, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის. (უუარებს). მაგრამ თუ გახსოვს, რას შემპირდი იმ დღეს, როცა ვმსჯელობდით... ერთ საცოკმანო საკითხზე?..

რუბეკი. დიახ, ქორწინების თაობაზე, არა? მაშინ შენ მართლაც გაგიჟირდა თანხმობის თქმა, მაია...

მაია. მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ, რომ თან წამოგყვებოდი საზღვარგარეთ... მუდმივ საცხოვრებლად... და ვიცხოვრებდი ჩემს ნებაზე... გახსოვს, რას შემპირდი მაშინ?

რუბეკი (თავს გააქნევს). არა, მართალი გითხრა, არ მახოვს. მაინც რას შეგპირდი მაშინ?

მაია. შენ მითხარი, რომ ამიყვანდი მალალ მთაზე და მიჩვენებდი მსოფლიოს ყველა სამეფოს და მათ დიდებას.

რუბეკი (გაოცებით). ესე იგი, შენც შეგპირდი ამას?

მაია (უუარებს). მეც? მაშ, კიდე ვის?

რუბეკი (გულგრილად). არა, არა, მე მხოლოდ მინდოდა მეთქვა -- ნუთუ მართლა შეგპირდი-მეთქი ჩვენებას?..

მაია. ... მსოფლიოს ყველა სამეფოსი და მათი დიდებისას, -- დიახ, სწორედ ასე მითხარი. და ეს დიდება ჩვენი უნდა იქნეს, -- ჩემი და შენიო, ესეც აღმოთქვი მაშინ.

რუბეკი. ეს მხოლოდ ჩემი საყვარელი გამოთქმა იყო.

მაია. მხოლოდ საყვარელი გამოთქმა?

რუბეკი. დიახ, ჭერ კიდე ჩემი მოწაფეობის დროიდან. ამ სიტყვებით გამოვიტყუებდი ხოლმე შინიდან მეზობლის ბავშვებს, როცა მათთან ერთად ტყეში თუ მთებში ხეტიალი ან თამაში მომინდებოდა.

მაია (დაეინებოთ უსკერის). შენ გინდოდა, მეც ასე გაგეტყუებინე სათამაშოდ?

რუბეკი (ხუმრობაზე გადაღის). მერე, განა ცუდი თამაში გამოგვივიდა, მაია?

მაია (გულგრილად). მე მარტო იმიტომ კი არ წამოგყვევი, რომ მეთამაშა.

რუბეკი. ჰო, მართალი ხარ.

მაია. შენ კი არ ამიყვანე მალალ მთაზე და არ მიჩვენე...

რუბეკი (განაწყენებით). ... მსოფლიოს ყველა სამეფო და მათი დიდება?.. არა, არ მიჩვენებია, იმიტომ, რომ თუ სიმართლე გნებავს, შენ დიდი სიმაღლეების დასაპყრობად არა ხარ გაჩენილი, ჩემო პაწაწინა მაია.

**მაია** (ცდილობს თავს მოერიოს). მე კი მგონია, რომ ოდესღაც სულ სხვას ფიქრობდი.

**რუბეკი**. ხუთიოდე წლის წინათ, კი (იზმორება). ხუთი წელი დიდი დროა, მაია, ძალიან დიდი.

**მაია** (უუურებს; ეტყობა გული ეტანა). ნუთუ ეს ხუთი წელი ასე გრძელი გეჩვენება, რუბეკ?

**რუბეკი** (ამოქნარებს). რა ვიცი, ახლა თითქოს ასე გეჩვენება. (ამოქნარებს). ხანდახან.

**მაია** (კვლავ თავის ადგილს უბრუნდება). თავს აღარ შეგაწყენ. (ჩდება, გაზეთს იღებს და ფურცლავს).

სიჩუმე

**რუბეკი** (იდაყვებით მაგიდას ეყრდნობა და მაიას უუურებს, თითქოს აბრაზებდეს). პროფესორის მეუღლე გაგვინაწყენდა?

**მაია** (ცივად, ზედაც არ უუურებს). ვინ მოგახსენათ?

პარკში, მარჯენიდან მარცხნივ მიემართებთან კურორტის დამსვენებლები, უმეტესწილად, ქალები; ზოგი ერთად, ზოგიც -- ცალ-ცალკე. ლაქები სასტუმროდან პავილიონისკენ ეზიდებიან გამაგრებულ სასმელებს.

გამოჩნდება კურორტის ინსპექტორი, რომელიც პარკში თავის ჩვეულებრივ შემოვლას ამთავრებს. ხელთათმანები აცვია და ხელში ტროსტი უჭირავს. შეხედრისას თავაზიანად ესალმება დამსვენებლებს, ზოგიერთს კი ორიოდ სიტყვითაც გამოელაპარაკება.

**ინსპექტორი** (რუბეკის მაგიდასთან მიდის და თავაზიანად იხდის ქედს). ჩემი უმორჩილესი სალამი, ქალბატონო! გამარჯობათ, ბატონო პროფესორო!

**რუბეკი**. გამარჯობათ, გამარჯობათ, ბატონო ინსპექტორო!

**ინსპექტორი**. გავკადნიერდები და გკითხავთ, ბატონებო, როგორ მოისვენეთ წუხელ?

**მაია**. გმადლობთ. პირადად მე ძალიან კარგად მეძინა. ღამით ყოველთვის ტკბილად მძინავს.

**ინსპექტორი**. ძალიან სასიამოვნოა. ახალ ადგილას, პირველ ღამეს, ზოგს ხშირად ძილი უფრთხება... თქვენ, ბატონო პროფესორო?

**რუბეკი**. მე საერთოდ ცუდი ძილი მაქვს. განსაკუთრებით, ამ ბოლო დროს.

**ინსპექტორი** (ზერელე თანაგრძნობით). ო, ძალიან, ძალიან სამწუხაროა. მაგრამ საკმარისია რამდენიმე კვირა დაისვენოთ ჩვენთან და ყველაფერი გამოსწორდება.

**რუბეკი** (უუურებს). მითხარით, ბატონო ინსპექტორო, თქვენი ერთ-ერთი ავადმყოფი ღამლამობითაც ხომ არ ბანაობს?

**ინსპექტორი**. ღამლამობით? არა, არაფერი გამიგონია.

რუბეკი. არა?

ინსპექტორი. არა, აქ იმდენად მძიმე ავადმყოფი არ მეგულება, რომ ლამითაც სკირდებოდეს ბანაობა.

რუბეკი. მაშ, იქნებ ვინმეს ჩვევადა აქვს ლამლამობით პარკში სეირნობა?

ინსპექტორი (ილიბება და თავს აქნევს). არა, ბატონო პროფესორო, ეს რეჟიმის დარღვევა იქნებოდა.

მაია (მოუთმენლად). ო, ღმერთო ჩემო, რუბეკ, აკი გითხარი დილას, ყველაფერი სიზმარში მოგეჩვენა-მეთქი.

რუბეკი (ცოვად). ესე იგი, სიზმარში, არა? გმადლობთ! (ინსპექტორს მიუბრუნდება). იცით რა, წუხელის ვერასდიდებით ვერ მოვახერხე დაძინება... მერე ვიფიქრე, გავალ, გავხედავ, როგორი ამინდია-მეთქი.

ინსპექტორი (ყურადღებით უსმენს). დიახ, ბატონო პროფესორო, დიახ!.. მერე?

რუბეკი. გავიხედე თანჯარაში და... ხეებს შორის თეთრი ფიგურა შევნიშნე.

მაია (ღიმილით, ინსპექტორს). პროფესორი მიმტკიცებს, საბანაო ხალათი ეცვაო.

რუბეკი. ან რალაც ამგვარი-მეთქი, ასე გითხარი. კარგად ვერ გავარჩიე. მხოლოდ რალაც თეთრს მოვკარი თვალი...

ინსპექტორი. დიდად უცნაურია... ქალი იყო თუ კაცი?

რუბეკი. მე მგონია, ის კი გარკვევით შევნიშნე, რომ ქალი იყო, უკან მეორე ფიგურა მიჰყვებოდა, მთლად შავი... გეგონებოდათ, ჩრდილიაო.

ინსპექტორი (განცვიფრებით). შავი?.. მთლად შავი?

რუბეკი. დიახ, მე ასე მომეჩვენა.

ინსპექტორი (თითქოს რალაცს მიხვდაო). და ეს შავი ფიგურა ფეხდაფეხ მისდევდა თეთრს?

რუბეკი. დიახ, შორიახლო.

ინსპექტორი. აჰა! მე მგონია, მივხვდი, ბატონო პროფესორო.

რუბეკი. შეგიძლიათ მითხრათ, ვინ იყო?

მაია (იმავდროულად). ესე იგი, პროფესორს მართლა ცხადში უნახავს და არა სიზმარში!

ინსპექტორი (უცებ ჩურჩულზე გადადის და მარჯვნივ ანიშნებს მათ). ჩუმად... ბატონებო! იქით გაიხედეთ და ჭერჭერობით ხმამალა ნურაფერს იტყვით.

სასტუმროს კუთხიდან გამოდის ტანკენარი, მოხდენილი გარეგნობის ქალბატონი, თეთრი ქიშპირის კაბა აცვია. უკან მოჰყვება მოწყალების და; გულზე დიდი ვერცხლის ჭვარი ჰქონდა ძეწვეით, ორივენი გადასკრიან პარკს და მარცხნივ, პავილიონისკენ მიემართებიან. ქალს ფერმკრთალი სახე აქვს, ნაკეთები თითქოს გახვევებია, ქუთუთოები დაბლა დაუშვია, გვეგონებათ, თვალის ჩინი დაშრეტიაო. ტანზე მკიდროდ შემოტმანნილი კაბა სწორ ნაკეცებად ეშვება მიწამდე. თავზე, მკერდსა და ზურგზე თეთრი კრეპის დიდი შალი მოუხვევია. ხელები გულზე აქვს დაკრეფილი. სხელი უძრავად მიაქვს, გახვევებზელივით მიაბიჭებს. მოწყალების დაც წელში გამართული მიდის; ეტყობა, ქალს ემსახურება; თაღისფერი თვალებით მიშტერებია და გამქველავ მზერას არ აცილებს. მკლავზე ხელსახოცადაფენილი ლაქიები სასტუმროს კართან გამოფენილან და ცნობისმოყვარეობით უყურებენ ორ უცნობ ქალს. ისინი ყურადღებას არაეის აქცევენ და უკანმოუხედავად შედიან პავილიონში.

**რუბეკი** (ნელა, თითქოს თავისდაუნებურად წამოდგება სავარძლიდან და პავილიონის მიხურულ კარს თვალს არ ამოკრებს). ვინ არის ეს ქალბატონი?

**ინსპექტორი.** ჩამოსულია, ის პატარა პავილიონი აქვს დაქირავებული.

**რუბეკი.** უცხოელია?

**ინსპექტორი.** ალბათ. ყოველ შემთხვევაში. ორივენი საზღვარგარეთიდან ჩამოვიდნენ. ერთი კვირის წინ. ადრე აქ არასოდეს ყოფილან.

**რუბეკი** (ინსპექტორს უცქერის და დაბეჭობით ამბობს). სწორედ ეს ქალბატონი დავინახე წუხელის პარკში.

**ინსპექტორი.** როგორც ჩანს. ასეც ვიფიქრე.

**რუბეკი.** თუ იცით, რა ჰქვია, ბატონო ინსპექტორო?

**ინსპექტორი.** ჩვენთან ჩაეწერა როგორც madame de Satov, კომპანიონ ქალთან ერთად. ამის მეტი არაფერი ვიცი...

**რუბეკი** (ჩაფიქრებული). სატოვა? სატოვა?..

**მაია** (ოდნავ დამცინავად). ამ გვარისას თუ იცნობ ვინმეს, რუბეკ?

**რუბეკი** (თავს გააჩნევს). არავის... სატოვა? გვარი თითქოს რუსული უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, სლავური. (ინსპექტორს). რა ენაზე ლაპარაკობს?

**ინსპექტორი.** ერთმანეთს იმნაირ ენაზე ელაპარაკებიან, რომ კაცი ვერაფერს გაუგებს. ისე კი, ჩინებულად ლაპარაკობს ნორვეგიულად.

**რუბეკი** (განცვიფრებით). ნორვეგიულად? ხომ არ გეშლებათ?

**ინსპექტორი.** არა, შეუძლებელია ეს შემეშალოს.

**რუბეკი** (დაძაბულად უყურებს). თქვენ თვითონ მოისმინეთ?

**ინსპექტორი.** დიახ, რამდენიმეჯერ ორიოდ სიტყვით გამოველაპარაკე. ძალიან სიტყვაძუნწია, მაგრამ...



რუბეკი. ... ნორვეგიულად ლაპარაკობს?

ინსპექტორი. სუფთა, დახვეწილი ნორვეგიულით. შესაძლოა, ოდნავ ნურლანური კილო დაჰკრავდეს.

რუბეკი (დაბნეული გაჟურებას სივრცეს). ახლა კიდევ ეს ნურლანურიც...

მაია (ცოტა არ იყოს, შეურაცხოფილი და გაღიზიანებული). იქნებ ეგ ქალბატონი ოდესღაც შენი მენატურე იყო, რუბეკ? აბა, გაიხსენე!

რუბეკი (თვალს თვალში გაუყრის). მენატურე?

მაია (დამცინავი ღიმილით). ჰო, როცა უფრო ახალგაზრდა იყავი. აკი ამბობენ, რომ მენატურეები ბლომად გყოლია! უწინ, რაღა თქმა უნდა.

რუბეკი (იმავე ტონით). არა, ძვირფასო ფრუ მაია! მე მხოლოდ ერთი, ერთადერთი მენატურე მყავდა. რაც შემეიქმნია, მხოლოდ მისი წყალობით შემეიქმნია.

ინსპექტორი (რომელიც ამ დროს მარცხნივ იყურებოდა). სამწუხაროდ, უნდა დაგემშვიდობოთ: აქ ერთი ვაჟბატონი მობრძანდება, რომელთან შეხვედრაც არცთუ ისე სასიამოვნოა. განსაკუთრებით ქალების თანდასწრებით.

რუბეკი (თვითონაც მარცხნივ იყურება). აი, ის მონადირე, აქეთ რომ მოდის? ვინ არის?

ინსპექტორი. მემამულე ულფჰაიმი გახლავთ...

რუბეკი. ა-ა, მემამულე ულფჰაიმი!

ინსპექტორი. მეტსახელად -- მედათვე...

რუბეკი. ვიცნობ.

ინსპექტორი. ვინღა არ იცნობს!

რუბეკი. ვიცნობ, მაგრამ არც ისე კარგად. ნუთუ ეგეც სამკურნალო გახდა... ბოლოს და ბოლოს?

ინსპექტორი. ჭერ არა, საოცარი კია, მაგრამ ჭერ არა! ისე, წელიწადში ერთხელ ჩამოდის ხოლმე... სანადიროდ მიმავალი შემოგვივლის... მომიტევეთ, კარგად ბრძანდებოდეთ. (სასტუმროში აპირებს შესვლას).

ულფჰაიმის ხმა. (სცენის მიღმიდან). მოიცათ, მოიცათ! დალაზკროს! რა არის, რომ ყოველთვის გამირბიხართ?

ინსპექტორი (ჩერდება). გაქცევა არც მიფიქრია, ბატონო ულფჰაიმ!

მარცხნიდან შემოდის ულფჰაიმი, ეგერისა და მეძებარი ძაღლების თანხლებით. სანადირო კოსტიუმში და მალაყელიანი წალები აცვია, თავზე რბილი ქული ახურავს, რომელშიაც ფრთა აქვს გარკობილი. მაღალია, ხმელ-ხმელი, დაკუნთული, მკეპარე ხმის პატრონი. ხვეული თმა-წვეერი აქვს. ასაკის გამოცნობა ძნელია, თუმცა ახალგაზრდა აღარ ეთქმის.

**ულფ ჰაიმი** (ინსპექტორს თათხავს). ეს რა წესია? განა ასე ხედებიან სტუმრებს? კისრისტეხით გარბიხართ, კულამოძუებული, თითქოს უკან ეშმაკი მოგდევდეთ.

**ინსპექტორი** (მშვიდად; კითხვაზე პასუხის გაცემას თავს არიდებს). თბომავლით ჩამობრძანდით?

**ულფ ჰაიმი** (ბუზღუნით). რის თბომავალი, რა თბომავალი? (დოინჯს შემოიყრის). ვითომ არ იცით, რომ მე საკუთარი იახტით დავცურავ! (ეგერს). კარგად მიხედე მაგ შენს მოყვრებს, ლარს! მაგრამ ეცადე, რომ მაინც მხეცურად დაიმშენ. ახალი ძელები მიეცი, ოლონდ ხორცი ნუ ექნება ზედ, გესმის? სულ მთლად ახალი, სისხლიანი! შენც ამოიყორე მუცელი. (თითქოს პანდურის ამოკვრას უპირებს). ახლა კი მოუსვი, -- ჭანდაბამდისაც გზა გქონია!

ეგერი ძალღებითურთ სასტუმროს კუთხეს მიეფარება.

**ინსპექტორი**. სასადილოში ხომ არ შემობრძანდებით?

**ულფ ჰაიმი**. იმ მიკნავებულ ბუზებთან და ადამიანებთან? უმორ-ჩილესად გმადლობთ, ბატონო ინსპექტორო.

**ინსპექტორი**. როგორც გენებოთ, როგორც გენებოთ!

**ულფ ჰაიმი**. ისე, ჭობია, მებუფეტე ქალს უთხარით, დროზე მოგვხედოს. როგორც ყოველთვის. სასმელ-საჭმელს, განსაკუთრებით კი არაყს ნუ დაიშურებს, უთხარით, დატრიადღეს, თორემ ჩემი და ლარსის ამბავი ხომ იცით?..

**ინსპექტორი** (აწყვეტივნებს). ვიცით, ბატონო, ვიცით... თქვენ ხომ არ გნებავთ რამე, ბატონო პროფესორო? ან თქვენ, ფრუ რუბეკ?

**რუბეკი**. არა, გმადლობთ, არაფერი არ მინდა.

**მაია**. არც მე.

ინსპექტორი სასტუმროში შედის.

**ულფ ჰაიმი** (დაჟინებით უყურებს რუბეკს, მერე ქუდის მოხდით ესალმება). დალახეროს ეშმაკმა! ნუთუ ქოფაკიც ღირსეულ საზოგადოებას მიეტმანსა?

**რუბეკი** (უყურებს). მაგით რისი თქმა გნებავთ?

**ულფ ჰაიმი** (უფრო თავშეკავებით და თავაზიანად). როგორც ჩანს, თვით მოქანდაკე რუბეკს გადავეყარე.

**რუბეკი** (თავს უქნევს). ჩვენ ოდესღაც შევხვედრივართ ერთმანეთს... მახსოვს, იმ შემოდგომაზე, როცა მე უკანასკნელად ვიყავი აქ, სამშობლოში.

**ულფ ჰაიმი.** დიახ, მაგრამ რამდენმა წყალმა ჩაიარა მას მერე. მაშინ თქვენ ჯერ კიდევ არ იყავით ისეთი სახელგანთქმული, როგორიც -- თუ ხალხს დაუჭერებთ, -- დღესა ბრძანდებით. მაშინ უბირი მედათვე ჯერ კიდევ გიბედავდათ მოახლოებას.

**რუბეკი (ლიბილით).** მე არც ახლა ვიკბინები.

**მაია (ცნობისმოყვარეობით მისჩერებია ულფჰაიმს).** თქვენ მართლა მედათვე ბრძანდებით?

**ულფ ჰაიმი (მეორე მაგიდას მიუჯდება, რომელიც უფრო ახლოს დგას სასტუმროსთან).** უმთავრესად მედათვე გახლავართ, ქალბატონო, მაგრამ არც სხვა ნადირსა ვწუნობ. სულერთია, არწივი იქნება, მგელი, ქალი თუ ირემი... მთავარია, ქორფა იყოს, წვნიანი, სუფთა სისხლისა... (სანადირო მათარას მოიყუდებს).

**მაია (თვალს არ აშორებს).** უმთავრესად კი მაინც მედათვე ბრძანდებით?

**ულფ ჰაიმი.** დიახ, იმიტომ, რომ აქ, თუ საჭირო შეიქნა, დანაც უნდა დაატრიალო. (ოდნავ შესაშინევი ლიბილით). ჩვენ, ორივეს, ძნელად დასამორჩილებელ მასალასთან გვაქვს საქმე, მეც და თქვენს ქმარსაც. ის მარმარილოს ებრძვის, მე -- დათვის დაძაბულ, მფეთქავ ძარღვებს. საბოლოოდ კი ორივენი ვიმარჯვებთ, ვიმორჩილებთ ჩვენ-ჩვენს მასალას; უკან არ ვიხევთ, სანამ საბოლოოდ არა ვძლევეთ მათ სიკერპეს.

**რუბეკი (ჩაფიქრებით).** ეს კი კარგად შენიშნეთ.

**ულფ ჰაიმი.** დიახ, ქვასაც აქვს სიკერპის მიზეზი. ის მკვდარია და მთელი ძალით გეწინააღმდეგებათ, როცა ჩაქუჩით ცდილობთ მის გაყოცხლებას. დათვიც ასეა, როცა ბუნაგიდან კეტებით აძევებენ.

**მაია.** მაშ, ახლა ტყეში სანადიროდ აპირებთ წასვლას?

**ულფ ჰაიმი.** მთაში... თქვენ, ალბათ, არასოდეს ყოფილხართ იქ, კლდის წვერებზე.

**მაია.** არასოდეს.

**ულფ ჰაიმი.** დალახვროს ეშმაკმა, მაშინ ამ ზაფხულს მაინც მოახერხებთ ასვლა! ერთად წავიდეთ, თქვენც წამობრძანდით და პროფესორიც.

**მაია.** გმადლობთ, მაგრამ რუბეკი ზღვაზე გასეირნებას აპირებს.

**რუბეკი.** შხერებით, ნაპირის გასწვრივ.

**ულფ ჰაიმი.** ფუჰ! რა ჩანდაბა გინდათ იმ ჩახუთულ, წყეულ თხრილებში? აბა, დაფიქრდით, რა სასიამოვნო უნდა იყოს რწევა და თვლემა წყლის ზედაპირზე, რომელიც არც მლაშეა და არც მტკნარი?... რალა ის და რალა ნარწყევი!

**მაია.** გესმის, რუბეკ?

**ულფ ჰაიმი.** არ გირჩევნიათ, ჩემთან ერთად წამოხვიდეთ მთაში? აი, იქ არის, რაც არის. ადამიანის კაჟანებაც არსადა ჩანს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რას ნიშნავს ეს ჩემთვის. ხოლო ისეთი ქალბატონისთვის... (უცებ ჩუმდება).

პაეილიონიდან გამოდის მოწყალეების და და სასტუმროსკენ მიემართება.

(მზერით აცილებს). შეხედეთ, შეხედეთ! ნამდვილი ყვავი!.. ნეტავი ვის ასაფლავებენ?

**რუბეკი.** არა მგონია, რომ აქ ვინმე მომკვდარიყოს...

**ულფ ჰაიმი.** მაშინ, ალბათ, სულსა ლაფავს. სადმე კუთხეში. რაც უფრო მალე გაქიმავს ფეხს ყველა ეს საპყარი და სნეული, მით უკეთესი!

**მაია.** თქვენ თვითონ თუ გამოგიცდიათ, რა არის სნეულება, ბატონო მონადირე?

**ულფ ჰაიმი.** არასოდეს; თორემ ახლა აქ ხომ ვერ ვიჭდებოდი... აი, ჩემს ახლობლებს კი, იცოცხლეთ, ხშირად... საცოდავები...

**მაია.** მერედა, რით მკურნალობდით?

**ულფ ჰაიმი.** ტყვიით... ცხელი ტყვია შუბლში და მორჩა, მოგკამათ კირი...

**რუბეკი** (უხუჩებს). ტყვიას ესროდით?

**მაია** (თავის სკამიანად განზე გაიწევს). და ხოცავდით?

**ულფ ჰაიმი** (თავს უჩნევს). მე არასოდეს არ ვაცილებ, ქალბატონო.

**მაია.** ისე რამ გაგამხეცათ, რომ ადამიანებს ხოცავთ?

**ულფ ჰაიმი.** კი მაგრამ, როდის გითხარით, ადამიანებს ვხოცავ-მეთქი?

**მაია.** თქვენ არა თქვით, ჩემს ახლობლებსო?..

**ულფ ჰაიმი.** ჩემი ახლობლები ძაღლები არიან.

**მაია.** ძაღლები?

**ულფ ჰაიმი.** დიახ, მათზე ახლობელი არაეინა მყავს. ისინი არიან ჩემი პატიოსანი, ერთგული, კეთილსინდისიერი მეგობრები! როცა რომელიმე მათგანი დასნეულდება, -- ბუჰ! და მორჩა, ჩემი მეგობარი უკვე საიჭიოსაა გასტუმრებული.

სასტუმროდან გამოდის მოწყალეების და; სინით ჩძით სავსე ქიქა და პური მოაქვს; სინს პაეილიონის გვერდით, პატარა მაგდაზე ღებს, თვითონ კი პაეილიონში შედის.

**ულფ ჰაიმი** (ზიზღნარევი სიცილით). აი, მესმის საკმელი! წყალწყა-ლა რძე და ჩაცომებული პური... ერთი განახათ, როგორ თქვლევინ ჩემი მეგობრები! გინდათ, გაჩვენოთ?

**მაია** (ღიმილით გადახედავს პროფესორს და ღებდა). დიახ, ძალიან!

ულფ ჰაიმი (თვითონაც ღვება). აი, ქალიც ამასა ჰქვია! ისინი ვეება ძვლებს მთლიანად ნთქავენ. იხრჩობიან და მაინც ნთქავენ. ამაზე უკეთესს რას ნახავს თვალი? წამობრძანდით, გაჩვენებთ... თან, მთაში გასეირნებაზეც მოვილაპარაკოთ.

სასტუმროს კუთხეს მიუფარება. მაია უკან მისდევს. თითქმის იმავე დროს პავლიონიდან გამოდის თუთკაბიანი ქალი და მაგიდას მიუჯდება, რძიან ქიქას იღებს და აპირებს მოსვას, მაგრამ რუბეკს შენიშნავს, ხელი ჰაერშივე გაუჩერდება და უსიცოცხლო მზერას მიაპყრობს კაცს.

რუბეკი (კვლავ თავის მაგიდას უზის და სერიოზულად, თვალმოუშორებლივ მისჩერებია ქალს. ბოლოს ღვება, რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს მისკენ და ჩუმად ამბობს). გიცანი, ირენ.

ქალი (ქიქას მაგიდაზე დგამს და ჩამქრალი ხმით პასუხობს). მიცანი, არნოლდ?

რუბეკი (კითხვას უპასუხოდ ტოვებს). როგორც ვატყობ, შენც მიცანი. ქალი. შენი ცნობა ადვილია.

რუბეკი. რატომ?

ქალი. შენ ხომ ისევ ცოცხალი ხარ.

რუბეკი (დაბნეული). ცოცხალი?

ქალი (ცოტა დახანებით). ვინ იყო ის, მეორე ქალი, შენთან ერთად რომ უჯდა მაგიდას?

რუბეკი (ძლივს ამოღერღავს). ის ქალი?... ის... ჩემი ცოლია.

ქალი (ნელა, თავს უქნევს). ასე... კარგია, არნოლდ... მაშ, მე იმ ქალთან არაფერი მესაქმება...

რუბეკი (არტუ ისე მტკიცედ). თავისთავად ცხადია...

ქალი. ის შენ მაშინ გაიცანი, როცა მე უკვე ცოცხლებში აღარ ვეწერე.

რუბეკი (უეცრად მიჩერდება). ცოცხლებში აღარ ეწერე?... რას ამბობ, ირენ?

ირენი (კითხვას უპასუხოდ ტოვებს). კი მაგრამ, შვილი? მადლობა ღმერთს, ის ხომ კარგადაა. ჩვენმა შვილმა ჩემზე დიდხანს იცოცხლა. პატივი და დიდება არ მოჰკლებია...

რუბეკი (იღიბება, თითქოს ფიქრით შორეულ წარსულს დაუბრუნდო). ჩვენი შვილი? დიახ, ასე ვეძახდით მას... მაშინ.

ირენი. სიცოცხლეში... დიახ.

რუბეკი (ცდილობს ხუმრობაში გაატაროს). ჰო, ირენ... დამერწმუნე, ჩვენმა შვილმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ალბათ, წაგიკითხავს მისი ამბავი.

ირენი (თავს უქნევს). და სახელი გაუთქვა თავის მამასაც... შენ ხომ სწორედ ამაზე ოცნებობდი?

- რუბეკი (ხმას დაუწევს, აღუვებით). და ყოველივე ამას შენ უნდა გიმადლოდე, ირენ.
- ირენი (ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ). მე რომ მაშინ ისე მოვქცეულიყავი, როგორც საჭირო იყო, არნოლდ...
- რუბეკი. მერე? რა იქნებოდა?
- ირენი. უთუოდ მოვკლავდი ჩვენს შვილს.
- რუბეკი. როგორ თუ მოკლავდი?
- ირენი (ჩურჩულოთ). დიახ მოვკლავდი... სანამ შენ დაგცილდებოდი... დავამტვრევდი, ნამსხვრევებად ვაქცევდი.
- რუბეკი (თავს აქნევს). შენ მაგას ვერ შესძლებდი, ირენ. ძალა არ გეყოფოდა.
- ირენი. ჰო, მაშინ მართლა არ მეყო.
- რუბეკი. მერე?..
- ირენი. მერე კი, ვინ მოსთვლის, რამდენჯერ მომიკლავს... ვკლავდი დღისითაც და ღამითაც, ვკლავდი იმიტომ, რომ მძულდა, იმიტომ, რომ შური მეძია, იმიტომ, რომ ამდენი მტანჯა...
- რუბეკი (მაგიდასთან მიდის და ეკითხება). ირენ, ახლა მაინც მითხარი, ბოლოს და ბოლოს... უკვე რამდენი წელი გავიდა... რატომ მიმატოვე მაშინ? სად გაქრი ისე უგზო-უკვლოდ, რომ ვერსად გიპოვე?
- ირენი (ნელა აქნევს თავს). ოპ, არნოლდ... რად გინდა ამის გაგება ახლა... როცა მე უკვე ამ ქვეყანას აღარ ვეკუთვნი?
- რუბეკი. იქნებ სხვა ვინმე შეგიყვარდა?
- ირენი. ვილაცას მობეზრდა ჩემი სიყვარული... აღარ სჭირდებოდა ჩემი სიცოცხლე.
- რუბეკი (თავს არიდებს). ჰმ... წარსულზე ნულარ ვილაპარაკებთ...
- ირენი. ჰო, ნულარ ვილაპარაკებთ იმაზე, რაც უკან, გაღმა ნაპირზე დარჩა... ჩემთვის.
- რუბეკი. მაინც სად იყავი, ირენ? კვალიც კი არსად დაგიტოვებია, რომ მომეძებნე.
- ირენი. მე ჩავიძირე წყედიადში... როცა ჩენი შვილი აღდგა და ნათელი დაიდგა.
- რუბეკი. ბევრი იმოგზაურე?
- ირენი. დიახ. ვინ მოსთვლის, რამდენ ქვეყანასა და სახელმწიფოში.
- რუბეკი (თანაგრძნობით უცქერის). მერე, რას აკეთებდი, ირენ?
- ირენი (შიამტერდება). მოიცა... დამაცალე... ჰო, გამახსენდა. მბრუნავ დისკოზე ვიდექი სხვადასხვა ვარიეტეში... შიშველ ქანდაკებებს ვანსახიერებდი... დედიშობილა... უამრავ ფულს ვხვეტავდი. შენთან ამას მიჩვეული არ ვიყავი. შენ ფული არ გქონდა... თავბრუს ვახვევდი მამაკაცებს... არც ეს გისწავლებია ჩემთვის, არნოლდ. შენ უფრო მაგარი იყავი.

რუბეკი (ცდილობს ხვა რამეზე გადაიტანოს სიტყვა). კი მაგრამ, მერე ხომ გათხოვდი, ირენ?

ირენი. დიახ, ერთ-ერთ მათგანს გავყვევი.

რუბეკი. ვინ არის შენი ქმარი?

ირენი. სამხრეთ ამერიკელი იყო. ცნობილი დიპლომატი (ბაგეზე შეყინული ლიმილით გასცქერის სივრცეს). სულ შეეშალე ჭკუიდან... მართლა გაგიყდა... ერთხელ და სამუდამოდ... წარმოიდგინე, რა სასაცილო იყო ყველაფერი... რამაც ეს გამოიწვია... გული რომ მქონოდა, შემეძლო დილიდან საღამომდე მეცინა გულში...

რუბეკი. ახლა სად არის?

ირენი. იქ, სადღაც, სასაფლაოზე. გულზე დიდებული ძეგლი ადგას. ტყვიის მარცვლები უჩხრიალებს თავის ქალაში.

რუბეკი. თავი მოიკლა?

ირენი. ჰო, თვითონვე მოისურვა, ჩემთვის დაესწრო.

რუბეკი. არ გებრალემა, ირენ?

ირენი (ვერ მიმხვდარა). ვინ?

რუბეკი. ვინ და, ბატონი ფონ სატოვი.

ირენი. ის სატოვი არ იყო.

რუბეკი. არა?

ირენი. სატოვი ჩემი მეორე ქმარია... რუსი...

რუბეკი. ის სადღაა?

ირენი. შორს, ურალის მთებში. თავის ოქროს საბადოებში.

რუბეკი. მაშ, იქ ცხოვრობს?

ირენი (მხრებს იჩეჩავს). ცხოვრობს! ცხოვრობს! სიმართლე თუ გნებავს, მე ის მოვკალი...

რუბეკი (შეკრთება). მოკალი?..

ირენი. წვრილი, ბასრი ხანჭლით, რომელიც ყოველთვის თანა მაქვს საწოლში.

რუბეკი (სწრაფად). მე შენი არ მჯერა, ირენ!

ირენი (თვინიერი ლიმილით). დამიჯერე, არნოლდ.

რუბეკი (თანაგრძნობით უცქერის). შეილები არა გყოლია?

ირენი. უამრავი.

რუბეკი. მერედა, სად არიან?

ირენი. მე მათ ვხოცავდი.

რუბეკი (მკაცრად). აი, ისევ ტყუიხარ!

ირენი. აკი გეუბნები, ეხოცავდი-მეთქი. სიამოვნებით ეხოცავდი...  
დაბადებისთანავე... და უფრო აღრეც... ერთიმეორის მიყოლ-  
ებით.

რუბეკი (პირქუშად). შენს სიტყვებში რალაც ფარული აზრი დეეს.  
ირენი. რას იზამ. ყველა სიტყვას, რომელსაც მე წარმოვთქვამ,  
ვილაცა ჩამჩურჩულებს ყურში.

რუბეკი. რატომღაც მგონია, რომ მხოლოდ მე ვებდები მათ  
ნამდვილ აზრს.

ირენი. რა გასაკვირია? სწორედ შენ უნდა იყო ერთადერთი.

რუბეკი (მაგიდას ეყრდნობა და დაჟინებით შესსქერის). შენ რალაცა  
ჩაგიწყდა სულში...

ირენი (თვინიერად). ალბათ, ასეა ყოველთვის, როცა ახალგაზრდა,  
სიცოცხლით სავსე ქალი კვდება.

რუბეკი. ოჰ, ირენ, მოეშვი ამ საშინელებას! შენ ხომ ცოცხალი  
ხარ! ცოცხალი! ცოცხალი!

ირენი (ნელა დგება სკამიდან; ხმა უკანკალებს). მე ძალიან დიდხანს  
ვიყავი მკვდარი. ისინი მოვიდნენ და შემკოქეს. ზურგსუკან  
გადამიგრახეს და შემიკრეს ხელები... მერე კი ხაროში  
ჩამაგდეს, რომელიც რკინის ცხაურით იყო ამოგმანილი...  
ხოლო კედლები -- ყრუ და ყოველი მხრიდან დახშული, რათა  
ზემოთ, დედამიწაზე, არავის გაეგონა ცოცხლად დამარხულის  
ყვირილი... მაგრამ ახლა... მე ნელ-ნელა ვიწყებ მკვდრეთით  
აღდგომას. (ხელახლა ქდება).

რუბეკი (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). შენ მე მთელი დამნაშავედ?

ირენი. დიახ.

რუბეკი. დამნაშავედ იმაში, რასაც შენს სიკვდილს უწოდებ?

ირენი. იმაში, რომ მე უნდა მოემკვდარიყავი. (გულგრილად). რატომ  
არ ჩამოჭდები, არნოლდ?

რუბეკი. შეიძლება?

ირენი. დიახ... ნუ გეშინია ამ ცივი ცახცახის. მე მგონია, ჭერ  
მთლიანად არ გაეყინულვარ.

რუბეკი (სკამს მაგიდასთან მიწევს). აი, ირენ, ახლა ჩვენ კვლავ ერთად  
ვართ... უწინდებურად.

ირენი. ერთმანეთის შორიახლოს... უწინდებურად.

რუბეკი (უფრო ახლოს მიიწევს). მაშინ ასე იყო საჭირო.

ირენი. საჭირო?

რუბეკი. დიახ, ერთმანეთს შორის გარკვეული მანძილი უნდა  
დაგვეცვა.

ირენი. ვითომ, მართლა ასე იყო საჭირო, არნოლდ?



- რუბეკი (განაგრძობს). გახსოვს, რა მიპასუხე, როდესაც გკითხე, შეგიძლია თუ არა, შორს, ძალიან შორს, უცხო ქვეყანაში წამომყვე-მეთქი?
- ირენი. მე სამი თითი ავწიე და დავიფიცე, რომ წამოგყვებოდი თუნდაც ქვეყნიერების კიდემდე და სანამ პირში სული მელგმებოდა, ერთგულად გემსახურებოდი...
- რუბეკი. როგორც ჩემი ქმნილებების მოდელი...
- ირენი. ნებაყოფლობით... სულით და გულით... მთელი ჩემი სხეულის სიშიშვლით...
- რუბეკი (მღელვარად). აკი გემსახურებოდი კიდევ. ირენ... ისე ერთგულად... ისეთი თავდადებით და სიხარულით...
- ირენი. დიახ, მე გემსახურებოდი ჩემი ნორჩი, ჩემი ცხელი სისხლის ყოველი წვეთით.
- რუბეკი (თავს უქნევს, მაღლიერი ლიბლით). შენ თამამად შეგიძლია მაგისი თქმა.
- ირენი. მე თავყვანს გცემდი და გემსახურებოდი, არნოლდ! (მუშტებსა კუმშავს). შენ კი... შენ... შენ!..
- რუბეკი (თავს არიდებს). მე შენს წინაშე არასოდეს შემეცოდავს! არასოდეს, ირენ!
- ირენი. სცოდე! ჩემი ბუნების წინაშე სცოდე!..
- რუბეკი (უკან დაიწევს). მე?
- ირენი. დიახ, შენ! მე ვიდექი შენს წინაშე, ჩემი შიშველი სხეულის მთელი მშვენიერებით... შენ მიყურებდი... (ხმას დაუწევს) და ერთხელ, ერთხელაც კი არ შემეხე.
- რუბეკი. ნუთუ ვერ ამჩნევდი, ირენ, რომ შენი მშვენიერება ხშირად თავგზას მაკარგვინებდა?
- ირენი (აუშლვრევლად განაგრძობს). და მაინც... მე მგონია, რომ შემეხებოდი, იქვე, ადგილზევე გაგათავებდი... მე ყოველთვის თან მქონდა გრძელი ნემსი... თმაში გარკობილს ემაღაედი. (დაფიქრებით გადაისევამს ხელს შუბლზე)... და მაინც... და მაინც, შენ შეგეძლო!..
- რუბეკი (მრავალმნიშვნელოვნად უყურებს). მე ხელოვანი ვიყავი, ირენ!
- ირენი (პირქუშად). დიახ, დიახ, საქმეც ეგ არის.
- რუბეკი. უწინარეს ყოვლისა, ხელოვანი. და მაშინ შემოქმედებითი ცეცხლით ვიწვოდი. ჩემი ყველაზე დიადი ქმნილების ჩანაფიქრს ველოლიავებოდი. (მოგონებებში ეფლობა). მინდოდა „მკედრებით აღდგომა“ მეწოდებინა მისთვის... ჩემი წარმოდგენით, ეს უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა, ნორჩი ქალწული, რომელიც საღათას ძილისგან იღვიძებს...

ირენი. პო, ჩენი შეილი...

რუბეკი (განაკობს). ... უმშენიერესი, უსათნოესი და უწმინდესი ქალწულთა შორის. და, აი, მე გიპოვე შენ, ყველაზე სასურველი, ყველაზე საკირო ჩემთვის. მერედა, რა ხალისით დამყვევი ნებას. უყოყმანოდ მიატოვე სახლიც, მშობლებიც, ნაცნობ-ნათესავებიც და მე გამომყვევი.

ირენი. მე სწორედ მაშინ გამოვიღვიძე. ბავშვობის ძილისაგან აღვსდექი, შენ რომ გამოგყვევი.

რუბეკი. ამიტომაც მკირდებოდი უპირატესად, ამიტომაც აუცილებელი იყავი ჩემთვის. მხოლოდ შენ და სხვა არავინ. მე შენ გასახავდი უზენაეს არსებად, რომელსაც მხოლოდ ფიქრში თუ შეეგებებოდი... მოწიწებით... მე ხომ მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ირენ, და ცრურწმენასავით ამეკვიატა რაღაც ავბედითი გრძნობა, რომ თუკი შეეგებებოდი. თუკი გასაქანს მივცემდი ჩემს გულისთქმას, სულს წავიწყებდდი და ჩემი ჩანაფიქრის ხორცშესხმას ველარ შევძლებდი. მე დღემდე მწამს, რომ ნაწილობრივ მაინც სწორი ვიყავი.

ირენი (თავს უქნევს; ცოტა არ იყოს, დამკინაუად). ესე იგი, პირველ რიგში -- ხელოვნების ქმნილება, და მხოლოდ მეორეში -- ადამიანი.

რუბეკი. როგორც გინდა, ისე განსაჯე, ირენ. მაგრამ მე მთლიანად ჩემი ჩანაფიქრის ტყვე გახლდით და უსასრულოდ ბედნიერი ვიყავი ამით.

ირენი. და აკი მიზანსაც მიაღწიე, არნოლდ.

რუბეკი. გმადლობ, გულითადად გმადლობ იმისთვის, რომ მიზანს მიმალწვევინე. მე მინდოდა შემექმნა ქალწულის ხატება, როგორადაც მესახებოდა იგი მკედრეთით აღდგომის დღეს. მას არათფერი უკვირს, არათფერი ეუცხოება, მისთვის არათფერია ახალი, უჩვეულო და მოულოდნელი. ის მხოლოდ უსაზღვრო ნეტარებას განიცდის, რაკილა ხედავს, რომ არ შეცვლილა, რომ მან, მიწიერმა არსებამ, ახალ, ზემიწიერ სინამდვილეშიც, მარადიული სიწმინდის უხრწნელ საუფლოშიც შეინარჩუნა თავისი ძველი იერი... ესოდენ ხანგრძლივი და მკედრული ძილის, უსაზღვრო ძილის შემდეგ... (ხმას დაუნევეს). სწორედ ასეთი შეექმენი იგი, შენს ხატად და მსგავსად შეექმენი, ირენ.

ირენი (ხელეზს მაგიდაზე დააწყობს და სავარძლის ზურგზე გადაწვება). და თავიდან მომიშორე კიდევ...

რუბეკი (ყვედრებით). ირენ!

ირენი. მე უკვე აღარ გკირდებოდი...

რუბეკი. რას ამბობ, რას?

ირენი. ... და აქეთ-იქით დაიწყე ცქერა, სხვა იდეალების საძებნად...  
რუბეკი. მაგრამ რომ ვერავინ ვიპოვე? ვერავინ. შენს შემდეგ,  
ირენ!

ირენი. ვერც მოდელი იპოვე, არნოლდ?

რუბეკი. შენ ჩემთვის მოდელი არ ყოფილხარ. შენ ჩემი  
შემოქმედებითი შთაგონების წყარო იყავი.

ირენი (ცოტა ხნის ღუპილს შემდეგ). მერე რას აკეთებდი? ესე იგი,  
-- მარმარილოსგან? რას აკეთებდი მას მერე, რაც მე  
დაგშორდი?

რუბეკი. არაფერს, ისე, რალაც-რალაცებს ვძერწავდი.

ირენი. ის ქალი, ვისთანაც ახლა ცხოვრობ?..

რუბეკი (აწვევრინებს; ცხარედ). ნუ ლაპარაკობ იმაზე! გული მტკივა!

ირენი. ახლა საით აპირებთ წასვლას?

რუბეკი. რა გითხრა, ალბათ, მოსაწყენ მოგზაურობას შევუდგებით;  
ნაპირ-ნაპირ გავყვებით ზღვას ჩრდილოეთისკენ.

ირენი (უეურებს, ოდნავ შესამჩნევად იღივება და ჩურჩულით ამბობს).  
გირჩევნია მთაში წახვიდე; რაც შეიძლება შალლა... სულ  
შალლა და შალლა, არნოლდ.

რუბეკი (დაძაბული უსმენს). შენც იქ ხომ არ აპირებ წასვლას?

ირენი. მერედა, გაუძლებ იმას, რომ ერთხელ კიდეც შემხვდე?

რუბეკი (თავს ებრძვის; ყოყმანით). რომ შეგვეძლოს... ოპ, რომ  
შეგვეძლოს!

ირენი. რატომაც არ შეგვიძლია, თუკი მოვისურვებთ? (უეურებს და  
გულხელდაკრეფილი ჩურჩულებს). მოდი, მოდი, არნოლდ! იქ მოდი  
ჩემთან!

სასტუმროს კუთხიდან გამოჩნდება სიამოვნებისაგან სახელაწილი მაია და  
ჩქარი ნაბიჯით მიდის მაგილისაკენ, რომელსაც წელან ქმართან ერთად უჭდა.

მაია (კუთხეშივე; წინ არც იუერება). არა, ახლა რაც გინდა, ისა თქვი,  
რუბეკ... (ირენს დაინახავს და შეჩერდება). აჰ, უეცარავად! ... შენ,  
როგორც ვხედავ, ნაცნობობა გაგიბამს.

რუბეკი (შემცბარი). უფრო სწორად, -- განვიახლეთ. (დგება). რას  
მეუბნებოდი?

მაია. რასა და, იმას, რომ შენ რაც გინდა, ისა ჰქენი, მე კი იმ  
აუტანელი გემით სამოგზაუროდ არ წამოგყვები.

რუბეკი. რატომ?

მაია. იმიტომ, რომ მე მთაში მინდა, ტყეში მინდა. (ლაქუცით).  
გამიშვი, რუბეკ. მერე ისეთი დამჭერი ვიქნები, ისეთი ჰკვიანი!

რუბეკი. ასე უცებ მთაში სახეტიალოდ ვინ აგატროვა?

- მაია. ვინ და იმ საშინელმა მედათვემ. ვერც კი წარმოიდგენ. რა საოცრებები მიაშობო მთაზე, იქაურ ცხოვერებაზე. საშინელებაა, საძაგლობაა, საზიზრობაა, რასაც ის ყვება! მე მგონია, ტყუილებს იგონებს. და მაინც, ძალიან მინდა წასვლა. ნება მომეცი, თან წავეყვი; ჩემი თვალით ვნახო ყველაფერი და დავრწმუნდე, მართალს ამბობს თუ არა. გამიშვებ, რუბეკ?
- რუბეკი. რატომაც არა... მთაში გინდა, მთაში წადი... სადაც გინდა და რამდენი ხნითაც გინდა, წადი. შეიძლება მე თვითონაც წამოვიდე.
- მაია (სწრაფად). არა, არა, შენ იქ რა გინდა? ჩემი გულისთვის რატომ უნდა შეწუხდე?
- რუბეკი. მე თვითონ მინდა წამოსვლა. უკვე გადავწყვიტე.
- მაია. დიდი მადლობა. შეიძლება ახლავე ვუთხრა მედათვეს?
- რუბეკი. როგორც გენებოს.
- მაია. გმადლობ, გმადლობ, გმადლობ! (ხელზე წაეტანება, მაგრამ რუბეკი არ ანებებს). რა კეთილი ხარ დღეს, რუბეკ?! (სასტუმროში გაბრძნის).
- იმავე წუთში პავლიონის კარი ჩუმად, უჩუოდ იღება. ზღურბლზე მოწყალების და დგას და ირენს და რუბეკს აკვირდება. მას კი ვერაფერს ამჩნევს.
- რუბეკი (ირენს მიუბრუნდება). მაშ, იქ შევხვდებით?
- ირენი (წამოსადგომად იწევს). დიახ, აუცილებლად შევხვდებით. მე ისე დიდხანს გეძებდი შენ.
- რუბეკი. როდის დაიწყე ჩემი ძებნა, ირენ?
- ირენი (მწარე ირონიით). როცა მივხვდი, რომ შემოგწირე ის, რისი შეწირვაც არ შეიძლებოდა... არც შენთვის და არც არავისთვის.
- რუბეკი (თადახრით). დიახ, ეგ მწარე სიმართლეა. მე შენ შემომწირე შენი ახალგაზრდობის სამი თუ ოთხი წელი.
- ირენი. მეტი, გაცილებით უფრო მეტი! მე მაშინ უგუნური მფლანგველი გახლდით...
- რუბეკი. დიახ, მეტისმეტად გულუხვი იყავი. უშურველად მთავ-აზობდი შენს მომხიბლავ სიშიშვლეს...
- ირენი. მხოლოდ საკვრეტად...
- რუბეკი. და განსაღიღებლად.
- ირენი. დიახ, პირადად შენს განსაღიღებლად. და აგრეთვე -- ჩვენი შვილისაც.
- რუბეკი. შენს განსაღიღებლადაც, ირენ.
- ირენი. ჩემი ყველაზე ძვირფასი ძღვენი კი დაგავიწყდა.
- რუბეკი. ყველაზე ძვირფასი?... მაინც რომელი, ირენ?

ირენი. მე შენ შემოგწირე ჩემი ნორჩი, ჩემი ცოცხალი სული! და აქ, შიგნით, მხოლოდ სიცარიელე დამრჩა... დიახ, მე უსულოდ დავრჩი. (თვალებით მიაცივდება). ამიტომაც მოვკვდი, არნოლდ.

მოწყალების და ფრთხილად გამოალებს კარს, ირენს შესვლას სთავაზობს და ისიც პაეილიონში შედის.

რუბეკი (მზერით აცილებს და ცოტა ხნის შემდეგ ჩურჩულებს). ირენ!

## მეორე მოქმედება

მთის სანატორიუმის შემოგარენი; ვრცელი შიშველი ზეგანი, რომელიც შორს გადაკიპულ მთის ტბას ეკვრის. ტბის გაღმა მხარეს კლდოვანი მწვერვალები აზიდულა, ხეობებში ლურჯად კამკამებს თოვლი. წინა პლანზე, ხელმარჯვნივ, ციცაბო კლდიდან რამდენიმე ტოტად ჩამონადენი ნაკადული მორაკრაკებს, რომელიც ზეგანზე უკვე მღოვრედ მიედინება მარჯვნივ. ნაკადულის ნაპირებზე ლოდები ყრია, მწვანედ ხასხასებს ბუჩქნარი და სხვადასხვა ჯიშის ხეებს აუვრია ტანი. მარჯვნივ ბორცვია, რომლის თხემზეც ქვის მერხი დგას. ზაფხულის დღე იწურება.

ნაკადულს გაღმა, ცოტა მოშორებით, თამაშობენ, მღერიან და ცეკვავენ ბავშვები. ზოგ მათგანს ქალაქურად აცვია, ზოგს კი -- სოფლურად. მომდევნო სცენის განმავლობაში ყრუდ მოისმის მათი მზიარული სიცილი.

რუბეკს მხრებზე პლელი მოუსხამს, მერხზე ზის და ბავშვებს უცქერის. ცოტა ხნის შემდეგ, მარცხნივ, ბუჩქებს შორის გამოჩნდება მაია, ხელით თვალებს მოიჩრდილავს და აქეთ-იქით იყურება. თავზე ტურისტის ბრტყელი ქუდი ახურავს, მოკლე ქვედაკაბა და მალაყელიანი, თასებით შეკრული ფეხსაცმელები აცვია. ხელში გრძელი ჭოხი უჭირავს.

მაია (რუბეკს შენიშნავს და უძახის). პეი! (ჭოხის დახმარებით ნაკადულს გადაახტება და ქოშინით ადის ბორცვზე). ოჰ, რამდენი ვირბინე შენს ძებნაში!

რუბეკი (გულგრილად უქნევს თავს). სანატორიუმიდან მოდიხარ?

მაია. ჰო, პირდაპირ იმ ჩახუთული საუკუნაოდან.

რუბეკი (თვალს შეაელებს). სადილზე ვერ დაგინახე.

მაია. ჩვენ ორმა ერთად ვისადილეთ სუფთა ჰაერზე.

რუბეკი. ორმა ? ვინ ორმა ?

მაია. მე და იმ საძაგელმა მედათვემ, რა თქმა უნდა.

რუბეკი. ჰო, შენ და იმან?

მაია. დიახ, მე და იმან. ხეალ, დილაადრიან კი ისევე მივდივართ.

რუბეკი. დათვებზე?

მაია. პო, დათუნის მოვინადირებთ.

რუბეკი. უკვე შეგულებული გაავთ?

მაია (უპირატესობის შეგნებით). ამ მოტიტვლებულ კლდე-ღრეში დათვებს რა უნდა?

რუბეკი. მაშ, სად არიან?

მაია. სად და, უფრო ქვემოთ, მთის კალთებზე, ხშირ ტყეში, სადაც ყველას როდი შეუძლია შეღწევა.

რუბეკი. ხვალ სწორედ იქ აპირებთ წასვლას?

მაია (ბალახზე წამოწვება). პო, ასე შევეთანხმდით... თუმცა შეიძლება ამ საღამოსვე წავიდეთ... თუ შენ საწინააღმდეგო არაფერი გაქვს.

რუბეკი. მე?.. საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს?..

მაია (სხაპასხუპით). ლარსიც, რა თქმა უნდა, ჩვენთან იქნება, თავის ძაღლებიანად.

რუბეკი. არც ბატონი ლარსი მაინტერესებს და არც მისი ძაღლები. (გაღიზიანებით). იქნებ მერხზე დამჭდარიყავი, როგორც წესი და რიგია?

მაია (მითვლემილი). არა, გმადლობ. რბილ ბალახზეც მშვენივრად ვწეეარ.

რუბეკი. გეტყობა, დაიღალე.

მაია (ამოქნარებს). გგონი მართლაც დაღლილობამ მიწია.

რუბეკი. ეგ ყრველთვის მერე უფრო შესამჩნეეია, როცა ალტაცება გაგივლის...

მაია (მოქნარებით). რა ექნა, მსიამოვნებს ასე თვალდახუჭული წოლა. ხანმოკლე პაუზა.

(უცებ მოუთმენლად). უპ, რუბეკ! ნეტავი შენ, რომ შეგიძლია, ასე გაუნძრეველად იჯდე, ბავშვების ღრიანცელს უსმინო და მათ უშნო ხუნტრუსს უყურო!

რუბეკი. მათ მოძრაობაში ზოგჯერ... რალაც პარმონიული გაკრ-თება ხოლმე... ნამდვილი მუსიკასავით... მთელი მათი მოუქ-ნელობის მიუხედავად. ხანდახან ამის ყურებას მართლა არაფერი შეედრება.

მაია (ზიზნარევი სიცილით). ყველგან და ყოველთვის ხელოვანი ხარ!

რუბეკი. ღმერთმა ნუ მომიშალოს.

მაია (გვერდს იცვლის და ქმარს ზურგს შეაქცევს). ის კი არ არის ხელოვანი. ნატამალიც კი არა სცხია.

რუბეკი (ყურადღებით). ვინ ის?

მაია (ისევ მოქნარებით). ვინ და, ის -- მეორე, რალა თქმა უნდა.

რუბეკი. მედათვე?

მაია. დიახ. იოტის ოდენადაც არ არის ხელოვანი.

რუბეკი (ილიმება). აი, ამას კი მართალს ამბობ, ვერაეინ შეგედავება.

მაია (გაუნძრევლად, აგზნებით). მაგრამ რა მახინჯია! (ბალახს ბლუჯად ამოგლეჯს და ყრის). ღმერთო ჩემო, რა მახინჯია! ფუჰ!

რუბეკი. ალბათ, ამიტომაც არ გაშინებს მასთან ერთად ტყე-ღრეში ხეტიალი.

მაია (აგზნებით). არ ვიცი. (მისკენ გაღმობრუნდება). ისე, კაცმა რომ თქვას, არც შენ მყავხარ კალმით ნახატი.

რუბეკი. ეგ მხოლოდ ახლა შენიშნე?

მაია. არა, დიდი ხანია.

რუბეკი (მხრებს იჩინავს). ვბერდები, ვბერდები, ფრუ მაია.

მაია. ეგ სულაც არ მიგულისხმია. მაგრამ თვალეში რალაცნაირი დაღლილობა დაგეტყო, რალაც მოტეხილობა თუ უიმედობა... როცა ზოგჯერ მოწყალეებს მოიღებ და ასე -- აღმაცერად გადმომხედავ ხოლმე...

რუბეკი. შენ გგონია, რომ რალაც ამდაგვარი შემნიშნე?

მაია (თავს უქნევს). და კიდევ, ამ ბოლო დროს, მზერა რალაცნაირად ბოროტი გაგიხდა... თითქოს რალაც ცუდს მიპირებდე...

რუბეკი. არა, მართლა? (აღერსით, მაგრამ სერიოზულად). მოდი აქ, გვერდით მომიჯექი, მაია. ცოტა წავისაუბროთ.

მაია (წამოიწევის). შეიძლება მუხლებზე ჩამოგიჯდე? ძველებურად.

რუბეკი. არა, არ შეიძლება. სასტუმროდან დაგვინახავენ. (ჩაიჩოჩებს). აი, აქ ჩამოჯექი, ჩემს გვერდით.

მაია. არა, გმადლობ. მაშინ აქ წოლა მირჩევენია. აქაც კარგად მესმის შენი ხმა. (კოხვის გამოხატველ მზერას მიაპყრობს). აბა, რა გინდოდა გეთქვა?

რუბეკი (წელა). როგორ გგონია, რატომ დაგთანხმდი ჩრდილოეთში წამოსვლაზე?

მაია. ჰო-ო... მართლა. შენ. სხვათა შორის, მიმტკიცებდი, რომ ეს მგზავრობა ძალიან სასარგებლო იქნებოდა ჩუქოვის. მაგრამ ...

რუბეკი. მაგრამ რა?

მაია. რა და, ახლა იოტის ოდენადაც არ მჯერა, რომ ეს იყო შენი წამოსვლის მიზეზი..

რუბეკი. მაშ რა?

მაია. მე გგონია, შენ იმ ფერმკრთალი ქალბატონის გულისთვის წამოხვედი და არა ჩემთვის.

რუბეკი. ფრუ ფონ სატოვას გულისთვის?

მაია. დიახ. მისი გულისთვის. რა ვიცი, სულ ლანდივით დაგვდექს. გუშინ აქაც კი ამოვიდა.

რუბეკი. კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს.

მაია. რა იყო? შენ ხომ ოდესღაც კარგად იცნობდი. ჩემზე გაცილებით უფრო ადრე.

რუბეკი. და დაევიწყე კიდევ... შენს გაცნობამდე გაცილებით უფრო ადრე.

მაია (გაიზარება). ყველას ასე ადვილად ივიწყებ, რუბეკ?

რუბეკი. დიახ. (უკმეხად). როცა მინდა დაევიწყო.

მაია. თვით იმ ქალსაც. რომელიც შენი მოდელი იყო?

რუბეკი (პირდაპირ პასუხს თავს არიღებს). როცა აღარ მქირდება, მაშინ...

მაია. ქალს, რომელიც შენს წინაშე შიშველი იდგა?

რუბეკი. სიშიშველე ხელოვანისთვის არაფერსაც არ ნიშნავს. (ტონს იცვლის). ეგეც არ იყოს, ნება მიბოძე, გკითხო, რა უნდა მცოდნოდა, რომ ის აქ იყო?

მაია. შენ შეგეძლო მისი გვარი ჩამოსულთა სიაში ამოგეკითხა... რომელიმე გაზეთში.

რუბეკი. ისიც კი არ ვიცოდი, ვის გვარზე იყო ახლა. ჩემს დღეში არ გამიგონია ბატონ ფონ სატოვის სახელი.

მაია (თავს ისე აჩვენებს, ეთომ დაიღალა). ო, ღმერთო ჩემო, მაშინ, ალბათ, რაღაც სხვა საბაბი გქონდა.

რუბეკი (სერიოზულად). დიახ, მაია... მე მართლაც სხვა საბაბი მქონდა. სულ სხვა. და ამაზე, ადრე თუ გვიან, მაინც უნდა გველაპარაკა.

მაია (თითქოს სიცილს იკავებს). ღმერთო! რა საზეიმო იერი გაქვს!

რუბეკი (გამომცდელად, დაეკვებით). დიახ, უფრო საზეიმო, ვიდრე საკვიროა.

მაია. როგორ?..

რუბეკი. მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი ასე აეწყო, -- შენთვისაც კარგია და ჩემთვისაც.

მაია. ღმერთმანი, ცნობისწადილს მიღვიძებ, რუბეკ.

რუბეკი. მხოლოდ ცნობისწადილს გიღვიძებ? არ გაშფოთებ, არც გალელვებ... ცოტათი მაინც?

მაია. სრულიადაც არა.

რუბეკი. კეთილი. მაშ, მომისმინე... შენ იქ, სასტუმროში, მითხარი, ჩემი აზრით, ამ ბოლო დროს, ძალიან ნერვიული გახდიო...



**მაია.** დიახ, შენ მართლაც ნერვიული გახდი.

**რუბეკი.** მერედა, როგორ გგონია, რა არის ამის მიზეზი?..

**მაია.** აბა, რა ვიცი? (გადაკრით). ალბათ, მოგებზრდა ერთთავად ჩემს გვერდით ყოფნა.

**რუბეკი.** ერთთავად? თუ დაუსრულებლივ?

**მაია.** დიახ, დაუსრულებლივ, ყოველ დღე, ყოველ წამს. მალე ხუთი წელი გახდება, რაც ჩვენ, ორი მარტოსული ადამიანი, ერთად ვცხოვრობთ, გამუდმებით ერთადა ვართ, გვერდიდან არ ვშორდებით ერთიმეორეს. ვართ და ვართ ასე განუყრელად.

**რუბეკი** (ინტერესით). მერე, მერე?

**მაია** (თითქოს ეძნელება). შენ გულჩათხრობილი კაცი ხარ, რუბეკ. ხალხში ყოფნას გაურბიხარ. სულ შენს თავში ხარ ჩაკეტილი და შენსას ფიქრობ... მე კი იმის თავი არა მაქვს, რომ შენს საქმეებზე გელაპარაკო. ხელოვნებაზე და სხვა მისთანებებზე. (ხელს ჩაიქნევს). კაცმა რომ თქვას, დიდად არც მაინტერესებს...

**რუბეკი.** პოდა, მიტომაც არის, რომ დროის უმეტეს ნაწილს ბუხართან ჯდომაში ვატარებთ და შენს საქმეებზე ვსაუბრობთ.

**მაია.** ო, ღმერთო ჩემო... მე რა ისეთი საქმე მაქვს, რომ სალაპარაკოდ ღირდეს.

**რუბეკი.** ან რაღაც უბადრუკ წერილმანებზე. ასე თუ ისე, დრო მაინც გადის, მაია.

**მაია.** პო, მართალია. დრო გადის. შენი დროც ნელ-ნელა მიიპარება, რუბეკ. აი, რა გაწუხებს ყველაზე მეტად...

**რუბეკი** (თავს უქნევს; აგზნებით). დიახ, მაგაზე ფიქრი არ მასვენებს. (თითქოს შინაგანი ტკივილისგან იგრიხება). არა, მალე ველარ გაეუძღლებ ამ უაზრო და უბადრუკ ყოფას.

**მაია** (დგება და ერთხანს უსკეჩის). თუ ჩემი თავიდან მოშორება გინდა, მითხარი, ნუ მომერიდები.

**რუბეკი.** ეგ რამ გაფიქრებინა? რას ქვია, შენი თავიდან მოშორება მინდა?

**მაია.** დიახ, თუ გინდა, რომ ჩამოგეხსნა, ბარემ პირდაპირ მითხარი. ავდგები და მაშინვე წავალ.

**რუბეკი** (ოღნავ შესაშინევი ლიბილით). შენ რა, მემუქრები, მაია?

**მაია.** შენც ერთბაშად არ შეშინდე.

**რუბეკი** (დგება). კაცმა რომ თქვას, მართალი ხარ. (ცოტა ხნის ღუპილის შემდეგ). მე და შენ აზნაირ ცხოვრებას ველარ გავაგრძელებთ...

**მაია.** მაშასადამე...

- რუბეკი. არავითარი მაშასადამე... მე და შენ რომ ამნაირ ცხოვრებას ველარ გავაგრძელებთ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ.
- მაია (ზიზნარევი ლიმილით). მაშ, ისე... შენი აზრით, ორივემ ჩვენ-ჩვენი გზა უნდა მოვნახოთ?
- რუბეკი (თავს გააქნევს). არა, არც ეგ არის საჭირო.
- მაია. მაშ, რა ვქნათ? ბარემ მითხარი, რას მიპირებ, რა გინდა ჩემგან?
- რუბეკი (არც ისე მტკიცედ). ჩემთვის ახლა ისე საჭიროა, იმდენად აუცილებელი, გვერდით მედგეს ადამიანი, რომელიც მართლა სულიერად იქნებოდა დაკავშირებული ჩემთან...
- მაია (აწყვეტინებს; ალღევებული). მე კი ასეთი ადამიანი არა ვარ, ხომ, რუბეკ?
- რუბეკი (ხელს ჩაიქნევს). შენ ვერ გამოიგე. მე მკვირდება ისეთი ადამიანი, რომელიც მთლიანად შემოვა ჩემს არსებაში... შემავსებს... შეერწყმის ჩემს შემოქმედებას.
- მაია. ჰო-ო, ასეთი მაღალი მიზნისთვის მე ნამდვილად არ გამოვდგები.
- რუბეკი. რა თქმა უნდა, სად შენა და სად ეს მიზანი.
- მაია (გალიზიანებით). მეტსაც გეტყვი, -- საამისოდ არავითარი სურვილი არა მაქვს.
- რუბეკი. ვიცი, ვიცი... შენ რომ გირთავდი, არც ვფიქრობდი, რომ ცხოვრებაში ასეთ საყრდენად გამომადგებოდი.
- მაია (აკვირდება). პირდაპირ ცხადად ვხედავ. -- როგორ ფიქრობ ახლა სხვა ქალზე!
- რუბეკი. მართლა? მე კი, ღმერთო შეგცოდე და, არ მეგონა, თუ შენ სხვისი აზრების კითხვა შეგეძლო. მაშ, ცხადად ხედავ?
- მაია. დიახ, ვხედავ, რომ იცოდე, რა კარგად გიცნობ, რუბეკ! რა კარგად!
- რუბეკი. ჰო-ო? იქნებ, იმასაც იცნობ, ვისზედაც მე ვფიქრობ ახლა?
- მაია. რა თქმა უნდა.
- რუბეკი. მაშ, მოწყალეობა მოილე და მითხარი...
- მაია. შენ ფიქრობ იმ... ქალბატონზე, რომელიც ოდესღაც... (სიტყვას აღარ ამთავრებს). იქნებ არც კი იცი, რომ ჩვენს სასტუმროში ყველა ისე უყურებს, როგორც შეშლილს.
- რუბეკი. მართლა? საინტერესოა შენ და მედათვეს როგორღა გიყურებენ ჩვენს სასტუმროში?

**მაია.** ეგ სულ სხვა საქმეა. (შეწყვეტილ სიტყვას აგრძელებს). მაშ, ასე, შენ ფიქრობდი იმ ფერმკრთალ ქალბატონზე.

**რუბეკი** (ბტკიყელ). დიახ, სწორედ მასზე ვფიქრობდი... როცა უკვე აღარ მპირდებოდა... და თვითონაც მიმატოვა... წავიდა... გაქრა... სულ უმიზეზოდ.

**მაია.** მაშინ, მე ჩამებლაუქე, როგორც წყალწალეხული -- ხავსს.

**რუბეკი** (უფრო ბტკიყელ). გულახდილად რომ მოგახსენო, ასე იყო, ჩემო კარგო მაია. მე მაშინ მთელი წელი თუ წელიწად-ნახევარი მარტოდმარტო დავეხეტებოდი, ვფიქრობდი, თავს ვიმტკრევედი, ვხევეწავდი ჩემს ქმნილებას. და, აი, მკვდრეთით აღდგომამ, ბოლოს და ბოლოს, დღის სინათლე იხილა, სახელი, დიდება, პატივი და ვინ მოსთვლის კიდევ რა სიკეთე აღარ მომიხვეჭა... მაგრამ მე უკვე აღარ მიყვარდა ჩემი ქმნილება. გაუთავებელმა ხოტბამ, დაფნის გვირგვინმა, გუნდრუკის კმევამ კინაღამ ბოლო მომიღო, სასოწარკვეთილებამ ლამის უღრან ტყეში შემდენა...(უაქერის). შენ. სხვისი აზრების მკითხველო და გულთამხილველო, აბა, თუ გამოიცინობ, რა აზრმა გამიღვლა მაშინ თავში?

**მაია** (გულგრილად). რატომაც არა? შენ გადაწყვიტე მდიდარი ვაჟბატონების სკულპტურული პორტრეტები გეკეთებინა.

**რუბეკი** (თავს უქნევს). დიახ, დაკვეთით. გადავწყვიტე გამომეძერწა ნიღბები, რომელთა შიგნით პირუტყვეული სახეები იმალებოდა. ამას დამკვეთები მუქთ დამატებად ლებულობდნენ ჩემგან, გესმის? (იღიმება). მაგრამ ახლა სულ სხვა რამის თქმას ვაპირებდი.

**მაია.** მაინც რისას?

**რუბეკი** (კვლავ სერიოზულად). საქმე ისაა, რომ ყველაფერი, რასაც მხატვრული ქმნილება, შემოქმედება და სხვა ამგვარი ეწოდება, უეცრად სრულ უაზრობად, სიბრიყვედ და არარაობად იქცა ჩემს თვალში.

**მაია.** კი მაგრამ, რისი დაყენება დააპირე ყოველივე ამის ადგილას?

**რუბეკი.** სიცოცხლის, მაია.

**მაია.** სიცოცხლის?

**რუბეკი.** დიახ. განა მზით განათებული და მშვენიერებით გასხივოსნებული სიცოცხლე უფრო ფასეული არ არის, ვიდრე ნესტიან კუთხეში თიხის ზილვა, ან ქვასთან ქანცამწყვეტი კიდილი?

**მაია** (მსუბუქად ამოიოხრებს). მე პირადად ყოველთვის ამ აზრის ვიყავი.

**რუბეკი.** თანაც, იმდენად გავმდიდრდი, რომ უკვე შემეძლო განცხრომითა და ფუფუნებით მეცხოვრა და მზის გულზე მენებივრა. იმდენი სახსარი კი მქონდა, რომ ტაუნის ტბის პირას -- ვილა, ხოლო დედაქალაქში პალაცო ამეშენებინა და შემეძინა ყველაფერი, რაც მჭირდებოდა.

**მაია** (მისივე ტონით). დიახ, საკმაო სახსარი გქონდა საიმისოდ, რომ ყოველივე დანარჩენთან ერთად მეც შეგეძინე და ნება დაგერთო ჩემთვის, მთელი შენი საუნჯით მესარგებლა.

**რუბეკი** (ცდილობს ყველაფერი ზუმრობაში გაატაროს). აკი შეგპირდი, მალალ მთაზე აგიყვან და მსოფლიოს ყველა სამეფოს და მათ დიდებას გაჩვენებ-მეთქი?

**მაია** (სეედიანად). მართლაც საკმაოდ მალალ მთაზე ამიყვანე, რუბეკ, მაგრამ, აი, მსოფლიოს ყველა სამეფო და მათი დიდება კი არ მაჩვენე.

**რუბეკი** (დაცინვით). რა უმადური ხარ, მაია! მეტისმეტად მომთხოვნი ბრძანდები. (გაცხარებით). მაგრამ იცი, რა არის ყველაზე საშინელი? აბა, თუ მიხედები.

**მაია** (ჩუმად, მაგრამ გამომწვევად). ალბათ, ის, რომ... სამუდამოდ შემიძინე.

**რუბეკი.** მე ამას ასე ღვარძლიანად ვერ ვიტყოდი.

**მაია.** სულერთია, აზრი მაინც ღვარძლიანი იქნებოდა.

**რუბეკი.** შენ არავითარი წარმოდგენა არა გაქვს, რა ხდება ხელოვანის სულში.

**მაია** (ილიშება და თავს აქნევს). ღმერთო ჩემო, მე იმაზეც კი არა მაქვს არავითარი წარმოდგენა, თუ რა ხდება ჩემს საკუთარ სულში.

**რუბეკი** (თვისას განაგრძობს). ჩემი ცხოვრება ბოზოქარი სისწრაფით მიედინება, მაია. ისევე, როგორც ყველა ხელოვანისა. ასე მაგალითად იმ რამდენიმე წლის განმავლობაში, რაც ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ, თითქმის მთელმა სოცოცხლემ განვლო. და მე დავრწმუნდი, რომ განცხრომასა და ცხოვრებით ტკობაში ბედნიერების ძებნა საჩემო საქმე არ არის. არა, მე უნდა ვმუშაობდე... წამებით ვკმნიდე... უკანასკნელ ამოსუნთქვამდე (თავს ძალას ატანს). აი, რატომ აღარ შემიძლია შენთან ერთად ყოფნა, მაია... მხოლოდ შენთან ერთად.

**მაია** (მშვიდად). ესე იგი, მარტივად რომ ვთქვათ, მოგბეზრდი.

**რუბეკი** (წამოენთება). დიახ, დიახ, მომბეზრდი! ... თავი მომაძულა,

დამქანცა, გამასავათა შენთან ცხოვრებამ! მეტი აღარ შემიძლია! (თავს ერევა). ვიცი, ბოროტად და გულღრმოდ გეჩვენება ჩემი სიტყვები. ამას მეც მშვენივრად ვხვდები. იმასაც უყოყმანოდ ვალიარებ, რომ შენ აქ არაფერ შუაში ხარ. ყველაფერი ჩემი ბრალია, მხოლოდ ჩემი. რაღაც ისევ გადატრიალდა ჩემს სულში! (ხმადაბლა, თითქმის თავისთვის). ისევ ჩემი ნამდვილი ცხოვრებისკენ გამიწია გულმა.

**მაია** (უნებურად გულხელს დაიკრფის). მაშინ მითხარი, თუ ღმერთი გწამს, რა აზრი აქვს ჩვენს ერთად ყოფნას? რატომ არ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს?

**რუბეკი** (ელღანაცემივით უყურებს). შენ გინდა, რომ დავშორდეთ?

**მაია** (მხრებს იჩეჩავს). დიახ, თუკი სხვა გამოსავალი არ არის...

**რუბეკი** (აგზნებით). არის, მაია, არის...

**მაია** (საჩვენებელ თითს მალა სწევს). აი, ახლა შენ ისევ იმ ფერმკრთალ ქალბატონზე ფიქრობ.

**რუბეკი**. გამოგიტყდები, არ შემიძლია, გამუდმებით არ ვიფიქრო მასზე. ... მას შემდეგ, რაც ხელახლა შევხვდი. (ნაბიჯს გადადგამს მისკენ). ერთი რამ უნდა გაგანდო მაია.

**მაია**. გისმენ.

**რუბეკი** (მკერდში მჭილს იცემს). აი, აქ, ამ ადგილას, ერთი საიდუმლო ზარდახშა მაქვს, სადაც ვინახავ ჩემს მხატვრულ ხილვებს. როცა ის ქალი უეცრად და უკვალოდ გაქრა, ზარდახშაც დამეხშო, გასაღები კი მას დარჩა... თან გაიყოლა... შენ კი, ჩემო ძვირფასო მაია, გასაღები არ აღმოგაჩნდა. აი, რატომაა, რომ ჩემი საუნჯე დღემდე დახშული და ხელუხლებელი დევს. წლები კი მიჰქრიან! მიჰქრიან და მე ვერასდიდებით ვერ მიმიღწევია ჩემს საუნჯემდე.

**მაია** (ცდილობს ეშმაკური ლიმილი არ შეიზინოს). მაშ, აიძულე, გაგიღოს ეგ შენი ზარდახშა...

**რუბეკი** (დაბნეული). რას ამბობ, მაია?..

**მაია**. რაკი აქ არის! იქნებ სწორედ ამ ზარდახშის გასაღებად გამოგეტხადა?

**რუბეკი**. ეგ კი აზრადაც არ მომსელია.

**მაია** (გიაპიტურად უცქერის). და საერთოდ, ჩემო ძვირფასო რუბეკ, ღირს კი ამდენი ალიაქოთის ატეხვა, როცა საქმე ესოდენ უბრალოა და მარტივი?

**რუბეკი**. შენი აზრით, ყველაფერი უბრალოა და მარტივი?

**მაია**. დიახ, ასეა. დაუკავშირე შენი ბედი იმას, ვინც უფრო მეტად გკირდება. მე კი, როგორმე ჩემს თავს მოვეუვლი.

**რუბეკი.** როგორ თუ მოუვლი?

**მაია** (დაუღევრად, სიტყვას ბანზე უგდებს). როგორ და ისე, რომ თუ საჭირო გახდა, ავღებები და ვილაში გადავსახლდები. მაგრამ არა მგონია, რომ ეს დაგვკვირდეს. იმიტომ, რომ ქალაქში, ჩვენს უზარმაზარ პალაცოში, თუ მოვიწოდებთ, სამნიც მშვენიერად მოვთავსდებით.

**რუბეკი** (ყოყმანით). და, შენი აზრით, -- შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს ასე?

**მაია** (დაუღევრად). ო, ღმერთო, არ გაგრძელდება და ნუ გაგრძელდება! რა სალაპარაკოა?..

**რუბეკი.** მერე რაღას ვიზამთ, მაია, თუ ეს შეუძლებელი შეიქნა?

**მაია** (ისევ ისე). მაშინ ავღებებით და მშვიდად წავალთ ჩვენ-ჩვენი გზით. უკანმოუხედავად. მე ყოველთვის მოვახერხებ იმას, რომ სანაცვლოდ რაღაც ახალი ვიპოვო. როგორმე თავს გავიტან... და, რაც მთავარია, თავისუფალი ვიქნები! თავისუფალი! თავისუფალი!.. შენ დარდი ნუ გაქვს, ბატონო პროფესორო! (უცებ ხელმარჯვნივ ანიშნებს). შეხედე, აი, ისიც!

**რუბეკი** (შეტრიალდება). სად?

**მაია.** იქ, ტრამალზე. ისე მოაბიჯებს, მარმარილოს ქანდაკება გეგონება. აქეთ მოდის.

**რუბეკი** (თვალს მოიჩრდილავს და სივრცეს მიაშტერდება). აი, თუ გნებავთ, ხორცშესხმული მკვდრეთით აღდგომა. (თავისთვის). ხელი როგორ მომიბრუნდა, რომ უკან დავწიე... ჩრდილში მოვაქციე! გადავაკეთე!.. ოჰ, შე სულელო ჩემო თავო!

**მაია.** რას ამბობ?

**რუბეკი** (ცივად მოუქრის). არათერს... ისე. შენ მაინც ვერ გაიგებ.

მარჯნიდან გამოჩნდება ირენი. ბავშვებმა ის უფრო აღრე შენიშნეს, თამაშს თავი ანებეს, მისკენ გაოქცნენ და გარს შემოეხევივნენ. ზოგი თამამად იქცევა, ენლობა, ზოგი კი უფრთხის. ირენი ჩუმად ელაპარაკება და ხელით ანიშნებს, დროა ქვევით, სანატორიუმში დაბრუნდეთ, მე კი ნაკალულის პირას უნდა დავისვენო. ბავშვები მარცხნივ გარბიან. ირენი კლდესთან მიდის და ნაკალულის ცივ ზეირთებს ხელებს შეუშვებს.

**მაია** (ჩუმად). ჩადი, რუბეკ, პირისპირ მოელაპარაკე.

**რუბეკი.** შენ რაღას იზამ, სად წახვალ?

**მაია** (მრავალმნიშვნელოვნად უქქერის). ამიერიდან მე ჩემი გზა მაქვს. (ბორცვს ჩაირბენს, ჯოხის დახმარებით გადაახტება ნაკალულს და ირენის წინ ჩერდება). იქ, ბორცვზე, პროფესორი რუბეკი გელოდებათ.

**ირენი.** რა უნდა?

**მაია.** უნდა, რომ ჩაკეტილი ზარდახშის ვალებში დაეხმაროთ.

ირენი. მერედა, მე შემძლია?

მაია. მას სწამს, რომ მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

ირენი. მაშინ, ვეცდები.

მაია. ძალიან კარგს იზამთ (სანატორიუმისკენ მიდის).

რამდენიმე წამის შემდეგ რუბეკი ირენტან ჩადის, მაგრამ ნაკადულის გადაღმა ნაპირას ჩერდება.

ირენი (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). იმ ქალმა შენზე მითხრა, გელისო. რუბეკი. მე შენ წლების მანძილზე გელოდი... ისე, რომ თვითონაც არ ვიცოდი.

ირენი. მე მოსვლა არ შემეძლო, არნოლდ, აკლდამის ფსკერზე ვიწევი, საღათას ძილით მეძინა და კოშმარულ სიზმრებს ვხედავდი.

რუბეკი. მაგრამ ახლა ხომ გაიღვიძე, ირენ!

ირენი (თავს აქნევს). ამდენი ძილის შემდეგ თვალები ისევე მეხუჭება.

რუბეკი. აი, ნახავ, თუ ჩვენთვისაც არ გათენდეს ნათელი დილა.

ირენი. არ დაიჯერო.

რუბეკი. (დაბეჭობით). მკერა! და მწამს კიდევ! ახლა, როცა ხელახლა გიპოვე...

ირენი. ... აღმდგარი...

რუბეკი. ... და ნათელმოსილი!

ირენი. მხოლოდ აღმდგარი, არნოლდ, მაგრამ არა ნათელმოსილი.

რუბეკი (ქეზზე ხტომით გადადის ნაკადულს და უახლოვდება). სად იყავი მთელი დღე, ირენ?

ირენი (უჩვენებს). შორს, ძალიან შორს. უზარმაზარი, მკვდარი ტრამალის შუაგულში...

რუბეკი (ცდილობს სხვა რამეზე გადაიტანოს სიტყვა). შენი მეგობარი სად დაიკარგა?...

ირენი (ილიბება). ნუ გეშინია, მაინც ფხიზლად მდარაჯობს.

რუბეკი. მართლა?

ირენი (აქეთ-იქით იყურება). მერედა, როგორ... სადაც უნდა ვიყო, თვალს არ მაშორებს... (ჩურჩულით). ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ, კიდევ შემომაკვდება.

რუბეკი. გინდა რომ მოკლა?

ირენი. რა თქმა უნდა. ოღონდ კი როგორმე მოვახერხო.

რუბეკი. რატომ?

ირენი. იმიტომ. რომ ავი სულივით სულ თან დამდევს. (იღუბალი ხმით). წარმოგიდგენია, არნოლდ, ჩემს ჩრდილად იქცა.

რუბეკი (უყვავებს). კარგი ერთი... უჩრდილო ვინ არის?  
 ირენი. მე... მე თვითონ ვიქეცი საკუთარ ჩრდილად. (აგზნებით).  
 ნუთუ ვერ ხედავ?

რუბეკი (გულდამძიმებული). ვხედავ, ირენ, ძალიან კარგად ვხედავ.  
 (ნაკადულის პირას, ქვაზე ჩამოვდება; ირენი უკან დგას, კლდეს  
 მიყრდნობილი).

ირენი (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). რატომ ზიხარ მანდ? რატომ მარიღებ  
 პირს?

რუბეკი (ხმადაბლა, თავის ქნევით). იმიტომ, რომ ვერ ვხედავ... ვერ  
 ვხედავ, თვალი გაგისწორო.

ირენი. რატომ ვერ ბედავ?

რუბეკი. შენ ჩრდილი არ გასვენებს, მე -- სინიდისი.

ირენი (სიხარულისა და შეების ყვირილით). როგორც იქნა!

რუბეკი (წამოხტება). რა იყო... ირენ?

ირენი (თითქოს ხელით იშორებს). ნუ ღელავ, ნუ ღელავ! (ღრმად  
 ამოისუნთქავს, თითქოს მძიმე ტვირთი ჩამოხსნეს). აი, მომეშვა.  
 ამჭერად. ახლა კი შეგვიძლია, ჩამოვსხედთ და ვილაპარაკოთ,  
 როგორც წინათ... ჩემს სიცოცხლეში.

რუბეკი. ოჰ, ნეტავი მართლა შეგვეძლოს!..

ირენი. ისევ იმ ქვაზე დაჯექი. მე კი გვერდით მოგიჯდები.

რუბეკი -- თავის ძველ ადგილას, ირენი კი იქვე, ახლოს, სხვა ქვაზე ჯდება.  
 (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). აი, ხომ ხედავ, -- შორეული  
 ქვეყნებიდან კვლავ დაგიბრუნდი, არნოლდ.

რუბეკი. დიახ, თითქოს დაუსრულებელი მოგზაურობიდან დამიბ-  
 რუნდი.

ირენი. შინ დავბრუნდი, ჩემს ბატონთან და მბრძანებელთან...

რუბეკი. საკუთარ სახლში... ჩვენს სახლში დაბრუნდი, ირენ.

ირენი. ყოველდღე მელოდის?

რუბეკი. როგორ გავბედავდი ლოდინს?

ირენი (განზე იყურება). პო, მართლაც ვერ გაბედავდი. შენ ხომ  
 არაფერი გესმოდა?

რუბეკი. მაშ, მართლა სხვისი გულისთვის არ გამქრალხარ ასე  
 ანაზღად?

ირენი. განა შენი გულისთვის კი არ შემეძლო გამქრალიყავი,  
 არნოლდ?

რუბეკი (გაუბედავად უყურებს). რა ვქნა, არ მესმის შენი...

ირენი. როცა ყველაფერი შემოგწირე... და ქანდაკება უკვე  
 დასრულდა... დაიბადა ჩვენი პირშმო, როგორც შენ ეძახდი,



მაშინ მე ყველაზე ძვირფასი მსხვერპლი გავიღე შენთვის...  
ავდექი და გაგეცალე... გავეჭრი, გავუჩინარდი...

რუბეკი (თავს ჩალუნავს). და უდაბნოდ მიქცეე წუთისოფელი.

ირენი (უცებ წაშოენთება). მეც სწორედ ეგ მინდოდა! მინდოდა, რომ  
ვერაფერი ველარ შეგექმნა... ჩვენი ერთადერთი შვილის  
შემდეგ.

რუბეკი. ესე იგი, მაინც ექვიანობა იყო მიზეზი?

ირენი (ცოვად). უფრო სწორად, -- სიძულვილი.

რუბეკი. სიძულვილი?.. ჩემს მიმართ?..

ირენი (კვლავ წაშოენთება). დიახ, შენს მიმართ, ხელოვანის მიმართ,  
რომელმაც განუსჯელად, განუკითხავად აიღო ცოცხალი,  
თბილი სხეული, ახალგაზრდა, ნორჩი სიცოცხლე და ჯალა-  
თივით ამოართვა სული, -- სული, რომელიც მხატვრული  
ნაწარმოების შესაქმნელად სკირდებოდა!

რუბეკი. შენ ამბობ ამას, შენ, რომელიც ასეთი სიხარულითა და  
სასოებით მონაწილეობდი ჩემს შრომაში?.. ჩვენ, ორივენი,  
ხომ ყოველდღე ისე მოვისწრაფოდით სამუშაოდ, როგორც  
სალოცავად?..

ირენი (კვლავ ცოვად). შენთან შეხვედრამდე, მე არასდროს მეცარებია  
შენი ხელოვნება, და, თუ სიმართლე გნებავს, არც შენთან  
შეხვედრის შემდეგ.

რუბეკი. მაგრამ თვით ხელოვანი, ირენ?

ირენი. ხელოვანი კი მეზიზღებოდა.

რუბეკი. თვით ჩემი სახითაც?

ირენი. ყველაზე მეტად, სწორედ შენი სახით. როცა ვიხდიდი და  
შენს წინაშე შიშველი ვიდექი, მე მეზიზღებოდი მაშინ,  
არნოლდ!

რუბეკი (ცხარედ). არა, არა, ირენ! ეგ ტყუილია!

ირენი. მეზიზღებოდი, იმიტომ, რომ შეგეძლო გულგრილად  
გეცქირა ჩემთვის...

რუბეკი (შწარე სიცილით). გულგრილად?.. შენ ასე გგონია?

ირენი. ... გულგრილად თუ არა, მაშინ ამაზრზენი თავშეკავებით.  
მეზიზღებოდი იმიტომ, რომ ხელოვანი იყავი, მხოლოდ  
ხელოვანი... და არა მამაკაცი!.. (გულთბილი და გულითადი ტონით).  
მაგრამ ის შენი ქმნილება, სველი, ცოცხალი თიხისაგან  
გამოძერწილი, -- მართლა მიყვარდა. და ეს სიყვარული სულ  
უფრო და უფრო იზრდებოდა, იმისდა კვალად, რაც უფრო  
მეტად იკვეთებოდა ცოცხალი ადამიანური არსება უხეში და

უფორმო გორმახებისაგან... ეს ხომ ჩვენი ქმნილება იყო, ჩვენი შვილი, ჩემი და შენი?

**რუბეკი** (გულდამძიმებული). დიახ, მართლა ასეთი იყო, -- სულითა და ქეშმარიტებით.

**ირენი**. ჰოდა, სწორედ მისი გულისთვის, არნოლდ, ჩვენი შვილის გულისთვის გაებდე დავდგომოდი ამ გრძელ გზას... წმინდა ადგილის მოსალოცად მწირივით მეელო...

**რუბეკი** (დაძაბულად). მარმარილოს ქანდაკების გულისთვის?..

**ირენი**. შენ რაც გინდა, ის დაარქვი. მე კი მას ჩვენს შვილს ვეძახი.

**რუბეკი** (შეშფოთებით). ესე იგი, შენ გინდოდა ქანდაკებისთვის შეგეელო თვალი? გენახა დამთავრებული და მარმარილოში გადატანილი? კი მაგრამ, აკი მარმარილო ყოველთვის ცივი და უსიცოცხლო გეჩვენებოდა? (სწრაფად). ალბათ, არც კი იცი, რომ ის ახლა დიდ მუზეუმშია... აქედან ძალიან შორს...

**ირენი**. ლეგენდასავით მომწვდა ყურში.

**რუბეკი**. მუზეუმებიც ყოველთვის გეზიზღებოდა. მიცვალებულთა აკლდამებს ეძახდი.

**ირენი**. მე მინდა მივიღე და ვილოცო იქ, სადაც განისვენებს ჩემი სული და პირმშო ჩემი სულისა.

**რუბეკი** (აღლევებით). შენ ეს ქანდაკება არასოდეს არ უნდა ნახო! არასოდეს!.. გესმის, ირენ?

**ირენი**. იქნებ გგონია, რომ ეს ერთხელ კიდევ მომკლავს?

**რუბეკი** (ხელების მტრეკით). ოჰ, მე თვითონაც არ ვიცი, რა გგონია. აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ ველარასოდეს დაივიწყებდი ამ ქანდაკებას? აკი მანამდე მიმატოვე, სანამ საბოლოოდ დასრულდებოდა?

**ირენი**. არათეირიც. ის უკვე დასრულებული იყო. სწორედ ამიტომ შეეძელი, წავსულიყავი და მარტო მიმეტოვებინე.

**რუბეკი** (მუხლებზე იდაყვებდაყრდნობილი და სახეზე ხელბაფარებული თავს აქეთ-იქით იქნევს.) მაშინ ის ჯერ კიდევ არ იყო ისეთი, როგორიც მერე გახდა.

**ირენი** (უბიდან უხმაუროდ, ელვის სისწრაფით ამოაცურებს წერილ, ბასრ დანას და მღელვარებისაგან ჩახლენილი ხმით ჩურჩულებს). არნოლდ... ცუდი ხომ არათეირი უყავი ჩვენს შვილს?

**რუბეკი** (ყოყმანით). ცუდი? არ ვიცი, შენ რა თვალთ შეხედავ.

**ირენი** (სული ეხუთება). ახლავე მითხარი, რა უყავი ბავშვს?

**რუბეკი**. გეტყვი, თუკი მშვიდად მომისმენ.

ირენი (დანას ჩამალავს). მე ისე მშვიდად მოგისმენ, როგორც შეუძლია დედას, რომელსაც...

რუბეკი (აწვევინებს). და ნუ შემომხედავ, ვიდრე არ დავამთავრებ...

ირენი (რუბეკის უკან, სხვა ქვაზე გადაჭდება). აი, აქ, შენს უკან დაეჭდები. აბა, დაიწყე!

რუბეკი (სახიდან ხელებს მოიშორებს და სივრცეს გასტკერის). შეგხვდით თუ არა, მაშინვე მივხვდით, რომ მხოლოდ შენი შემწეობით თუ შევქმნიდი იმ ქანდაკებას, რომელსაც მთელი ჩემი სიცოცხლის მიზნადა ვთვლიდი.

ირენი. ... შენ მას მკვდრებით აღდგომას ეძახდი, მე კი -- ჩვენს შვილს...

რუბეკი. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ცხოვრებაში სრულიად გამოუცდელი. მკვდრებით აღდგომის ყველაზე უფრო სრულყოფილ, იდეალურ გამოხატულებად ნორჩი, უმანკო ქალწული მესახებოდა... მიწიერი ცხოვრებისგან ჭერ კიდევ შეუბღალავი... სინათლისა და დიდებისათვის ახლად გაღვიძებული... ბიწსა და ბოროტებას განრიდებული.

ირენი (სწრაფად). დიახ, მე ხომ ასეთი ვარ ჩვენს ქმნილებაში.

რუბეკი (ენის ბორძიკით). არც მთლად ასეთი, ირენ.

ირენი (აგზნებით). არც მთლად ასეთი?.. ეს იგი, არა ისეთი, როგორიც შენს წინაშე ვიდექი?

რუბეკი (პასუხს თავს არიდებს). მოგვიანებით, ცხოვრებამ ბევრი რამ მასწავლა, ირენ. მკვდრებით აღდგომის იდეა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და ვითარდებოდა ჩემს წარმოსახვაში. პატარა, მრგვალი კვარცხლბეკი, რომელზედაც ეულად იდგა შენი მომხიბლავი ფიგურა... ვიწრო აღმოჩნდა ყოველივე იმისათვის, რითაც ჩემი ქმნილების შევსება მოვინდომე...

ირენი (ხელს შეაულებს დანას, მერე კი ისევ გაუშვებს). მაინც რითი შეავსე? თქვი!

რუბეკი. იმით, რასაც გარშემო ვხედავდი ცხოვრებაში. უნდა შემევესო. სხვაგვარად არ შემეძლო, ირენ! კვარცხლბეკი გავაფართოვე... გავადიდე, სიგრძე-სიგანე მოვუმატე და ზედ მიწის დამსკდარი ბელტი დავავადე. მისი ნაპრალებიდან მოცოცავენ ადამიანები... კაცებიცა და ქალებიც... რომლებიც გარეგნულ გარსს შიგნით პირუტყვეულ სახეებს მალავენ... ერთი სიტყვით, ზუსტად ისეთნი არიან, როგორთაც შევხვდი და გავეცანი ცხოვრებაში.

- ირენი** (სუნთქვაშეკრული). მაგრამ ამ ბრბოის შუაგულში ხომ ნორჩი ქალწული ღვას, აღსავსე უმანკო, ნათელი სიხარულით? ხომ ასეთი ვიდექი იქ, არნოლდ?
- რუბეკი** (ყოჩიანი). მთლად შუაგულში არა. სამწუხაროდ, შთაბეჭდილების მთლიანობის მისაღწევად, იძულებული გავხდი ქანდაკება ცოტა უკან გადამეწია... უამისოდ ძალიან თვალში საცემი იქნებოდა, აშკარად დაჩრდილავდა ყველა დანარჩენს.
- ირენი**. მაგრამ სახე ხომ ძველებურად ბედნიერებით უბრწყინავს, ხომ ისევ ნათლითაა გაციცროვნებული?
- რუბეკი**. დიახ, ასეა, ირენ. თუმცა, ოდნავ მაინც შეიცვალა. ისე მკვეთრად თვალში საცემი აღარაა. ჩემმა ახალმა ჩანაფიქრმა მოითხოვა ასე.
- ირენი** (უხმაურად დგება). ეს ჭგუფი ცხოვრებას ისე გამოხატავს, როგორც ამეამად ხედავ, არნოლდ?
- რუბეკი**. ჰო, სწორედ ასე.
- ირენი**. და შენ ამ ჭგუფში მომაქციე... გამაუფერულე... უკან დამწიე... როგორც მეორეხარისხოვანი ფიგურა. (დანას ამოიღებს).
- რუბეკი**. არა, არა როგორც მეორეხარისხოვანი ფიგურა. შენ ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურათაგანი თუ რაღაც ამდაგვარი ხარ...
- ირენი** (ხრინწიანი ხმით ჩურჩულებს). შენ თვითონ გამოუტანე შენს თავს სასიკვდილო განაჩენი! (დანის ჩარტყმას უპირებს).
- რუბეკი** (შემობრუნდება და შესტკერის). განაჩენი?
- ირენი** (სასწრაფოდ მალავს დანას და ყრუ, განაწამები ხმით ამბობს). მთელი ჩემი სული... მე და შენ... ჩვენ, ჩვენ... ჩვენ და ჩვენი შვილი, -- აი, რას განასახიერებდა ეს ეული ფიგურა.
- რუბეკი** (აღვსიებული, თავიდან ქედს მოიგლეს და შუბლიდან ოფლს იშვინდს). ახლა კი მომისმინე, როგორ გამოვსახე ამ ჭგუფში ჩემივე თავი. დაახლოებით, აი, ამნაირი წყაროს პირას ზის ცოდვების სიმძიმით წელში ოთხად მოხრილი კაცი, რომელსაც ვერა და ვერ მოუხერხებია მთლიანად ჩამოიბერტყოს მიწიერი ცხოვრების მტვერი. მე ამ ფიგურას ვუწოდებ სინანულს დალუპული სიცოცხლის გამო. იგი ზის, თითები წყაროს წყალში ჩაუყრია... რომ განიბანოს... და მთელ მის არსებას ღრღნის, აწამებს მტანჯველი ფიქრი, რომ ვერასოდეს ვერ შესძლებს ამას. უკუნითი უკუნისამდე კრული იქნება და

ველარასოდეს აღსდგება ახალი სიცოცხლისათვის; სამუდამოდ დარჩება თავის ჭოჭოხეთში.

**ირენი** (მკაცრად, გულცივად). პოეტი ხარ!

**რუბეკი**. რატომ პოეტი?

**ირენი**. იმიტომ, რომ სუსტი ხარ, ყველაფრის მიმართ გულგრილი, საკუთარი თავის შემბრალებ და შემწყნარებელი: ყველაფერს ადვილად მიუტევებ შენსავე თავს, რაც გითქვამს, გიფიქრია, ან ჩაგიდენია... შენ მოჰკალი ჩემი სული... და ახლა მგლოვიარედ და მონანიედ გამოხატავ საკუთარ თავს... (ლიბლით). იქნებ, გგონია, რომ ამით გაასწორებ ყველა ანგარიშს?

**რუბეკი** (გამომწვევად). მე ხელოვანი ვარ, ირენ, და არ მრცხვენია სისუსტისა, რომელიც, იქნებ, კიდევ შემფერის. დიახ, მე ხელოვანი ვარ, ხელოვანად დავიბადე, და არასოდეს სხვა ვინმედ არ ვიქცევი.

**ირენი** (უღადავად დაფარული ბორბი ლიბლით შესცქერის და წუნარად ეუბნება). შენ პოეტი ხარ, არნოლდ. (მსუბუქად უსვამს ხელს თმაზე). დიდი, საყვარელი. სიბერეში შესული ბავშვი... ნუთუ შენ თვითონ ვერა გრძნობ ამას?

**რუბეკი** (უკმაყოფილო ტონით). რატომ მეძახი ერთთავად პოეტს?

**ირენი** (გამომცდელ მზერას არ აშორებს). იმიტომ, ჩემო კარგო, რომ ეს სიტყვა თავის თავში შეიცავს ერთგვარ პატიებას, ცოდვათა შენდობას... ის თითქოს მოსასხამივით ფარავს ყოველნაირ სისუსტეს... (უფერად იცვლის ტონს). მაგრამ მე მაშინ ადამიანი ვიყავი! წინ მთელი ცხოვრება მედო... და ჩემი ადამიანური დანიშნულება უნდა შემესრულებინა. მე კი ყველაფერზე უარი ვთქვი, ყველაფერი გავწირე, რათა შენი მხევალი გავხდარიყავი. ეს იყო ნამდვილი თვითმკვლელობა, მომაკვდინებელი ცოდვა, ჩადენილი საკუთარი თავის წინაშე. (თითქმის ჩურჩულით). და ამ ცოდვის გამოსყიდვა არ მიწერია! (ნაკადულის პირას, რუბეკის გვერდით ქდება, თვალს არ აშორებს მას და ბუჩქებს ანგარიშმიუცემლად აგლავს ყვავილებს; ბოლოს კი თითქოს გონს ეგება). მე შეილები უნდა მყოლოდა. ბევრი, ნამდვილი. ისეთი კი არა, აკლამებში რომ მალავენ. აი, რა იყო ჩემი დანიშნულება. ნეტავი არასდროს გავმხდარიყავი, პოეტო, შენი მსახური!

**რუბეკი** (მოგონებებში ეფლობა). ეჰ, რა დიდებული დრო იყო, ირენ! რა საოცარი და მშვენიერი... ახლა, უკან რომ ვიხედებდი...

**ირენი** (ალერსით უყურებს). გახსოვს, რა მითხარი, როცა ბოლოს და

- ბოლოს, დაასრულე... როცა ბოლო მოგვიღე მეც და ჩემს შვილსაც? (თავს უქნევს). გახსოვს მაშინდელი შენი სიტყვები?
- რუბეკი (კითხვის გამოშატეული მზერით). განა ისეთი რა გითხარი, რომ დღემდე გახსოვს?
- ირენი. მითხარი... დაგავიწყდა?
- რუბეკი (თავს უქნევს). მართლა დამავიწყდა. ყოველ შემთხვევაში ახლა ველარ ვიხსენებ.
- ირენი. შენ ორივე ხელი მხურვალედ ჩამომართვი... მე სუნთქვაშეკრული გელოდი... და, აი, რა მითხარი: სულით და გულით მადლობელი ვარ შენი, ირენ! ეს იყო კურთხეული ეპიზოდი ჩემს ცხოვრებაში .
- რუბეკი (გაოგნებული). მე გითხარი ეპიზოდი -- მეთქი? ამ სიტყვას არასოდეს არ ვხმარობ.
- ირენი. სწორედ ასე მითხარი -- ეპიზოდით.
- რუბეკი (მოჩვენებითი დაუდევრობით). და მართლაც... განა ეპიზოდი არ იყო ეს ყველაფერი?
- ირენი (აგზნებით). სწორედ ამ სიტყვის გამო მიგატოვე.
- რუბეკი. შენ ყველაფერს მტკივნეულად განიცდი, ირენ; ყველაფერი გულთან ახლოს მიგაქვს.
- ირენი (შუბლზე ხელს გადაისვამს). მართალი ხარ. მოვეშვათ ამ უსიამოვნო, ავადმყოფურ მოგონებებს. (ალბურ ვარდს ფურცლებს აცლის და წყალში ყრის). უყურე, არნოლდ, უყურე, როგორ მიცურავენ ჩვენი ჩიტები.
- რუბეკი. რომელი ჩიტები?
- ირენი. ვერ ხედავ? აი, ფლამინგოები. ისინი ხომ ვარდისფრები არიან?
- რუბეკი. ფლამინგოები არ დაცურავენ. ისინი მხოლოდ დადიან წყალში.
- ირენი. მაშ, ფლამინგოები თუ არა, თოლიები ყოფილან.
- რუბეკი. წითელნიკარტა თოლიები. -- ეგ კიდევ შეიძლება. (ფართო, მწვანე ფოთლებს წყვეტს და იმათაც წყალში ყრის). ახლა მე მათ ნავეებს დავაძევებ.
- ირენი. ოღონდ უმონადირეებოდ.
- რუბეკი. რა თქმა უნდა. (უღიმი). გახსოვს ის ზაფხული, სწორედ ასე რომ ვისხედით ხოლმე პატარა ქოხის წინ, ტაუნის ტბის პირას?
- ირენი. (თავს უქნევს). შაბათობით, სალამო ხანს, როცა მუშაობას მოვრჩებოდით...

რუბეკი. ... მატარებლით მივემგზავრებოდით ქალაქგარეთ და მთელ კვირადღეს იქ ვატარებდით...

ირენი (თვალში ბოროტი ნაპერწყალი გაუღვებს). ეს ეპიზოდი იყო, არნოლდ.

რუბეკი (ვითომ არ გაუგონია). შენ იქაც უშვებდი წყალში ჩიტებს. მხოლოდ მაშინ წყლის შროშანებს ყრიდი...

ირენი. ისინი თეთრი გედები იყვნენ.

რუბეკი. მეც სწორედ მაგის თქმას ვაპირებდი. მახსოვს, ერთხელ ერთ გედს ბუერის ფოთოლი მივამაგრე...

ირენი. ეს ლოენგრინის ნავი იყო... გედშებმული...

რუბეკი. როგორ გიყვარდა ეს თამაში, ირენ!

ირენი. ხშირად ვთამაშობდით ასე.

რუბეკი. თითქმის ყოველ შაბათს. მთელი ზაფხულის განმავლობაში.

ირენი. შენ მეუბნებოდი, ნამდვილი გედი ხარ. ჩემს ნავს მიატურებო.

რუბეკი. მართლა? ადვილი შესაძლებელია. (თამაშით ერთობა). ერთი შეხედვით, როგორ მიპყვებიან დინებას თოლიები.

ირენი (იციინის). შენი ნავეები კი მეჩეჩზე სხდებიან.

რუბეკი (წყალში ახალ-ახალ ფოთლებს ყრის). ო-ო, ნავეები ბლომადა მაქვს. (თვალს აყოლებს მკურავ ფოთლებს, კიდევ რამდენიმეს წყვეტს და მათაც წყალში ყრის; შემდეგ კი ამბობს). ირენ... მე ვიციდე ის სახლი, ტბის პირას.

ირენი. ესე იგი, მაინც იყიდე! ხშირად მეუბნებოდი, ფული რომ მქონდეს, აუცილებლად ვიყიდდიო.

რუბეკი. მერე ფული გამიჩნდა და მეც ვიყიდე.

ირენი (ალმაყურად უყურებს). მაშ, ახლა იქ ცხოვრობ, ჩვენს ძველ სახლში?

რუბეკი. არა, რა ხანია დავანგრეე, და მის ადგილას დიდებული, კომფორტული ვილა ავაგე... ირგვლივ პარკი გავაშენე. თითქმის ყოველ ზაფხულს იქ ვატარებთ... (ჩერდება და ასწორებს). ვატარებ ხოლმე.

ირენი (თავს ძალას ატანს). ესე იგი, შენ და ის... სხვა... იქ ცხოვრობთ?

რუბეკი (ცოტა არ იყოს, გამოძწვევად). დიახ, როცა წლევანდელივით არ ვმოგზაურობთ.

ირენი (თვალგამტერებული იყურება წინ). რა კარგი იყო, რა კარგი ტაუნის ტბის პირას ცხოვრება!

რუბეკი (ფიქრებში წასული). და მაინც, ირენ...

ირენი. და მაინც, ერთმაც და მეორემაც ხელიდან გაუშვით  
მაშინდელი ცხოვრების მთელი განუმეორებელი სილამაზე.

რუბეკი (ჩუმაღ). განა სინანული უკვე გვიანია, ირენ?

ირენი (ერთხანს ჩუმაღ ზის; მერე კი ჰორიზონტზე უთითებს). შეხედე,  
არნოლდ, მზე ჩადის მწვერვალებს იქით. შეხედე, რა  
მეწამული ანარეკლი ეფინება მთელ ტრამალს.

რუბეკი (იქით იყურება, საითაც ირენი უთითებს). რა ხანია აღარ მინახავს  
მზის ჩასვლა მთაში.

ირენი. არც ამოსვლა?

რუბეკი. ამოსვლა, მგონი, არც არასდროს მინახავს.

ირენი (ლიბლით, თითქოს მთლიანად ჩაფლავებული მოგონებებში). მე ვნახე  
ერთხელ საოცრად ლამაზი მზის ამოსვლა.

რუბეკი. შენ? სად?

ირენი. მაღლა, მთის მწვერვალზე. თავბრუდამხვევ სიმაღლეზე. შენ  
მოტყუებით ამიყვანე იქ, შემპირდი, რომ იქიდან მიჩვენებდი  
მსოფლიოს ყველა სამეფოს და მათ დიდებას, თუკი... (სიტყვას  
აღარ ამთავრებს).

რუბეკი. თუკი რა? აღარ იტყვი?

ირენი. მეც დაგიჭერე და ამოგყევი. იქ კი მუხლებზე დავემხე შენს  
წინაშე... შენზე ვლოცულობდი და გემსახურებოდი. (ერთხანს  
ღუმს, შემდეგ კი დასძინს). მზის ამოსვლაც სწორედ იქ ვნახე.

რუბეკი (სხვა რამეზე გადააქვს სიტყვა). ჩემთან ხომ არ წამოხველ?  
ერთად ვიცხოვროთ ჩვენს ვილაში.

ირენი (ზიზღნარევი ლიბლით). შენ და იმ... სხვა ქალთან ერთად?

რუბეკი (მტკიცედ). ჩემთან... როგორც ჩვენი ერთად მუშაობისას.  
გამიღე ის, რაც მაშინ დაიხშო ჩემში. რას იტყვი, ირენ?

ირენი (თავს გააქნებს). მე აღარა მაქვს გასაღები, არნოლდ.

რუბეკი. არა, გაქვს, გაქვს, ირენ! მხოლოდ შენ და სხვას არავის!  
(მუდარით). დამეხმარე იმაში, რომ... ხელახლა განვიცადო  
სიცოცხლის სიხარული.

ირენი (ისევ ისე). ფუქი ოცნებაა, არნოლდ... ამაო, მკვდარი ოცნება.  
ჩვენი საერთო სიხარული მოკვდა და აღარასოდეს აღარ  
გაცოცხლდება...

რუბეკი (აწყვეტილებს). მაშ, ვითამაშოთ მაინც!

ირენი. ჰო, ვითამაშოთ, ვითამაშოთ... მხოლოდ ვითამაშოთ!

წყალში კვლავ ყრიან ფოთლებსა და ყვავილებს და უყურებენ, როგორ  
მიტურავენ ისინი.



მარცხნივ, ხრამის მხრიდან გამოჩნდებიან უღფჰაიმი და მია. სანადირო ტანსაცმელი აცვიათ. უკან ეგერი მოსდევთ ძაღლებით, რომლებიც მას უფრო შორს, ხელმარჯვნივ მიჰყავს.

**რუბეკი** (მათი დანახვისას). აგერ, მიაიცი, თავის მედათვესთან ერთად.

**ირენი**. შენი ქალბატონი, დიახ.

**რუბეკი**. თუ იმ მეორესი?

**მია** (თვალს მოაველებს მიდამოს და ნაკადულთან რუბეკს და ირენს რომ დაინახავს, უძახის). ღამე მშვიდობისა, პროუტესორო! გისურვებთ, სიზმარში გენახოთ! მე კი თავგადასაველების საქებნად მივიღივარ!

**რუბეკი** (პასუხად უძახის). სადამდე მიგიყვანს ეგ თავგადასაველი?

**მია** (უფრო ახლოდან). მე მინდა ყველაფრის ადგილას ცხოვრება დაეყენო.

**რუბეკი** (დაცინვით). ა-ა, შენც, ძვირფასო მია?

**მია**. დიახ, დიახ! სიმღერაც კი მოვიგონე. აი, უსმინე (მხიარულად მღერის):

ღამთაერღა ჩემი მონობა,  
მოერჩი, აღარ ვარ ავადო,  
ო, გულს რარიგად უხარის,  
ზიტყვით თავისუფალი  
რომ ასე ღაღად ნავარდობს!

ასე მგონია, თითქოს, ბოლოს და ბოლოს, გამოვეფხიზლდი.

**რუბეკი**. გეტყობა.

**მია** (მთელი მკერდით ღრმად ისუნთქავს ჰაერს). ო, რა კარგია, რა ღვთაებრივი რამეა გამოფხიზლება.

**რუბეკი**. ღამე მშვიდობისა, მია... წარმატებას გისურვებ!..

**უღფჰაიმი** (სწრაფად). სსსუუ... ჩუმად! ჯანდაბას თქვენც და თქვენი სურვილებიც!.. განა ვერ ხედავთ, რომ სანადიროდ მივიღივართ?

**რუბეკი**. რას ჩამომიტან, მია?

**მია**. მტაცებელ ფრინველს, მოდელად გამოგადგება. ერთს მაინც მოვკლავ შენთვის.

**რუბეკი** (მწარე, ირონიული სიცილით). კი, მოკლავ... უნებურად შემოგაკვდება. ეგ შენი საქმეა.

**მია** (თავს უკან გადაადგებს). ო, მხოლოდ ამის შემდეგ ნება მომეცი, როცა მინდა და რასაც მინდა, იმას ვესროლო. (თავს უქნევს; ეშმაკური ღიმილით). მშვიდობით... ღამე მშვიდობისა მთაში!

რუბეკი (მზიარულად). გმადლობ. კირსაც წაუღიხართ მაგ თქვენი ნადირობისას.

ულფ შაიმი (ხარხარებს). აი, მესმის დალოცვა.

მაია. გმადლობ, პროფესორო, გმადლობ.

ორივენი ხელმარჯვნივ მიდიან და ბუჩქებს ეფარებიან.

რუბეკი (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). ზაფხულის ღამე მთაში. უკეთეს რას ინატრებს კაცის გული.

ირენი (უეცრად, თვალები ველური ცეცხლით უბრწყინავს). გინდა ჩემთან ერთად გაატარო ზაფხულის ღამე მთაში?

რუბეკი (მკლავებს გაშლის). ჰო... მოდი, მოდი!

ირენი. ჩემო სასოებავ, ჩემო ბატონო და მბრძანებელო!

რუბეკი. ო, ირენ!

ირენი (იღიშება, მოატახტავს ხელით რალაყას ეჭებს უბეში; ხმაჩახლეჩილი). ეს იქნება მხოლოდ ეპიზოდი!.. (სწრაფად ჩურჩულებს). ჩუმაღ... უკან არ მოიხედო, არნოლდ!

რუბეკი (ასევე ჩუმაღ). რატომ?

ირენი. იქ... იქ... სახეა... პირდაპირ მე მიყურებს.

რუბეკი (უნებურად შემობრუნდება). სად? (შეკრთება). უჰ!

ხელმარჯვნივ, ბუჩქებს შორის, მთის ფერდობთან გამოჩნდება მოწყალეების დის თავი. თვალს არ აშორებს ირენს.

ირენი (დგება, ხმადაბლა). დროა დავემშვიდობოთ ერთმანეთს... არა, შენ დარჩი, გესმის? ნუ გამააცილებ. (მისკენ იხრება და ჩურჩულებს). ნახვამდის! ამაღამ... მთაში...

რუბეკი. შენ მოხვალ, ირენ?

ირენი. მოვალ. აქ დამელოდე.

რუბეკი (ოცნებაში წასული იმეორებს). ზაფხულის ღამე მთაში... შენთან ერთად... შენთან...

მათი მზერა ერთმანეთს ხვდება.

ო, რა ბედნიერები ვიყავით... მაგრამ ვერც ერთი ვერ გავფრთხილდით... ჩვენი თავი ჩვენ თვითონვე დავლუპეთ, ირენ.

ირენი. იმას, რასაც აღარაფერი ეშველება, მაშინლა ვხედავთ, როცა... (უეცრად ჩერდება).

რუბეკი. როცა... რა?

ირენი. როცა ჩვენ, მკედრები, ვიღვიძებთ.

რუბეკი (პირქუშად აქნევს თავს). მაინც რას ვხედავთ მაშინ?

ირენი. ვხედავთ, რომ არასოდეს არ გვიცოცხლია.

ბორცვისკენ მიდის და დაბლა ეშვება. მოწყალეების და გაატარებს და თვითონ უკან მიჰყვება. რუბეკი კვლავ უძრავად ზის ნაკადულის პირას.

**მაიას სიხარულით მთრთოლავი ხმა** (ზემოთ, ქარაფებს შორის მოისმის):

დამთავრდა ჩემი მონობა,  
მოვრწი, აღარ ვარ ავადო,  
ო, გულს რარიგად უხარის,  
ჩიტვიით თავისუფალი  
რომ ასე ლაღად ნაყარდიხს.

## მესამე მოქმედება

უცაკრიელი, კლდოვანი ადგილი მთაში. სიღრმეში ჩვეები და ფრიალო ხრამები მოჩანს. მარჯვნივ, თოვლით დაფარული მწვერვალები ღრუბლებში იკარგებიან. მარცხნივ, ქვიან შვერილზე, ძველი, ნახევრად დანგრეული ქოხი დგას. ადრინაი დილაა. მზე ამოდის.

ერთიანად აღეწილი და ძალზე აღელვებული მაია ხევში ეშვება. ულფჰაიმი ფეხდაფეხ მისდევს, თან იცინის და თან ბრაზობს. ხელში მაგრად ჩაუბლუჭავს მაიას სახელო.

**მაია** (ცდილობს ხელი გაითავისუფლოს). გამიშვით, გამიშვით-მეთქი.

**ულფჰაიმი**. აბა, აბა... ისლა გაკლიათ, რომ კბენა დამიწყოთ. აი, ნამდვილი აშარი.

**მაია** (ხელზე დაარტყამს). თქვენ გეუბნებიან, გამიშვით-მეთქი. ნუთუ არ შეგიძლიათ, წესიერად მოიქცეთ?

**ულფჰაიმი**. არა. ეშმაკმა დალახეროს ჩემი თავი!

**მაია**. მაშინ ერთ ნაბიჯსაც აღარ გადმოვდგამ თქვენთან ერთად, გესმით. ერთ ნაბიჯსაც!..

**ულფჰაიმი**. ოჰო-ჰო! ერთი გამაგებინა, სად გამექცევეთ ამ მთებში.

**მაია**. ვერ გაგექცევეთ და პირდაპირ ხრამში გადავეშვები...

**ულფჰაიმი**. და კისერსაც მოიტეხთ... სული აღარ დაგყვებათ ძირს... რა გემრიელი ლუკმა იქნებით ძალღებისათვის, -- სისხლიან ხორცს ერთბაშად შეთქვლევინ!.. (ხელს გაუშვებს). ა, ბატონო. გადახტით, თუკი ასე ძალიან გინდათ. კაი გვარიანი დამრეცია. ერთადერთი ბილიკი ჩასდევს, და ისიც თითქმის გაუვალაია.

**მაია** (კაბიდან მტვერს იბერტყავს და გაბრაზებული უყურებს). ზრდილობა თავზე გადავდით. თქმა აღარ უნდა. თქვენთან სანადიროდ სიარულს არათფერი სჯობია!

ულფ ჰაიმი. უფრო სწორი იქნება. თუ იტყვი. სპორტულ  
ვარჯიშს-თქო.

მაია. თქვენ ამას სპორტს ეძახით?

ულფ ჰაიმი. დიახ. ნება მიბოძეთ, ასე ვუწოდო. ეს ჩემი ყველაზე  
საყვარელი სპორტია.

მაია (თავს უკან გადაადგებს). ვთქვათ. რომ ასეა! (ცოტა ხნის დუმის  
შემდეგ გამომდელად შეხედავს). რატომ აუშვით ძაღლები?

ულფ ჰაიმი (თვალეებს მოწყურავს; ღიმილით). რომ ერთხანს მათაც  
თავისუფლად ენადირათ.

მაია. ტყუილია! აბა, სწორედ იმათი დარდი გქონდათ!..

ულფ ჰაიმი (წელანდელივით). მაშ. ვისი დარდი მქონდა, ერთი  
მიბრძანეთ!

მაია. გინდოდათ ლარსი მოგეშორებინათ თავიდან. კისერიც  
უტეხია, ირბინოს და ძაღლები შეაგროვოსო, -- აკი ასე  
თქვით. ამასობაში კი... ყოჩაღ, ყოჩაღ!..

ულფ ჰაიმი. რა, ამასობაში?..

მაია (აწყვეტიანებს). ეგ სულერთია.

ულფ ჰაიმი (შინაურულად). შეგიძლიათ მშვიდად ბრძანდებოდეთ.  
მეტი არაა ჩემი მტერი, ლარსმა ისინი ვერ იპოვოს. არც  
მანამდე დაბრუნდება უკან, ვიდრე საკიროა.

მაია (გაბრაზებული უყურებს). რა თქმა უნდა.

ულფ ჰაიმი (ხელში წასწვდება). ლარსმა ძალიან კარგად იცის ჩემი...  
ჩემი სპორტული ჩვევები.

მაია (უდილობს ხელი გაითავისუფლოს; გამომდელი მზერით ახედ-დახედავს).  
იცით, ვის ჰგეგხართ, ბატონო ულფჰაიმ?

ულფ ჰაიმი. მე მგონია, ყველაზე მეტად საკუთარ თავს.

მაია. სწორია. ზედგამოქრილი ფაენი ბრძანდებით.

ულფ ჰაიმი. ფაენი?

მაია. დიახ.

ულფ ჰაიმი. ფაენი, მგონი, ტყის ურჩხულია. თუ ტყის კაცი,  
არა?

მაია. დიახ. სწორედ თქვენნაირი ტყის კაცი. თხის წვერი და თხისავე  
ჩლიქები აქვს. სხვათა შორის, -- რქებიც!

ულფ ჰაიმი. ოჰო! რქებიც ჰქონია!

მაია. საზიზღარი წყვილი რქა, თქვენსავით.

ულფ ჰაიმი. კი მაგრამ, სად ხედავთ ამ ჩემს დაწყველილ რქებს?

მაია. ისე ცხადადა ვხედავ.

ულფჰაიმი (ჩიბიდან თოკს ამოიღებს). მაშ, თუ აგრეა, ერთი მაგრად გაგთოკავთ.

მაია. ხომ არ გაგიუღით? რას ქვია, გამთოკავთ?..

ულფჰაიმი. თუ ურჩხული ვარ, ურჩხული ვიყო... მაშ, ასე -- კვლავ ხედავთ ჩემს თავზე რქებს?

მაია (ამწვილებს). კარგი, კარგი... გონს მოდით, ულფჰაიმ... (უეცრად). აბა, სად არის თქვენი სანადირო ციხე-კოშკი, ყურები რომ გამომიქვდეთ?.. თუ თქვენს სიტყვებს ვერწმუნებით, სადღაც აქ უნდა იყოს.

ულფჰაიმი (ქოხზე უთითებს). აგერ, თქვენს წინაშე გახლავთ.

მაია (უყურებს). ეს დაფხავებული საღორე?

ულფჰაიმი (ულვაშებში ჩაიკინებს). მანდ არაერთ მეფის ასულს შეუფთარებია თავი.

მაია. მაშ, აქ იყო, ის ოცლაყი დათვის სახით რომ გამოეცხადა მეფის ასულს? თქვენ ხომ ასე მიაშბეთ?

ულფჰაიმი. დიახ, დიახ. ჩემო ძვირფასო! თქვენ სწორედ იმ ადგილას ბრძანდებით ახლა. (ხელით იწვევს შესასვლელად). ხომ არ ინებებთ?..

მაია. აბა, სწორედ! ჩემი ფეხი არ იქნება მანდ... ფუჰ!..

ულფჰაიმი. ო-ო, რომელი წყვილი გინდათ, რომ ამ ციხე-კოშკში დიდებულად არ გაატაროს ზაფხულის ღამე. ან, თუ გნებავთ, მთელი ზაფხულიც.

მაია. გმადლობთ. ვისაც ეხალისება, იმან გაატაროს. (მოუთმენლად). ახლა კი ჭირივით მომბეზრდით თქვენცა და ეგ თქვენი სპორტიც. დაბლა, სასტუმროში მიინდა ჩავიდე... სანამ ხალხს ჭერ კიდევ არ გაუღვიძნია.

ულფჰაიმი. მერედა, რომელი გზით აპირებთ ჩასვლას?

მაია. ეგ უკვე თქვენი საზრუნავია. სადღაც მაინც ხომ უნდა იყოს ჩასასვლელი?

ულფჰაიმი (ხრამის სიღრმეზე ანიშნებს). კი ბატონო! როგორ არა! ჩასასვლელი თუ არა, ჩასაყარდნი მაინც მოინახება!.. პირდაპირ, ხევ-ხევ...

მაია. აი, ხომ ხედავთ. თქვენ მონდომება მითხარით, თორემ...

ულფჰაიმი. აბა, სინჯეთ, თუკი გაბედავთ.

მაია (ნირწაბხარად). თქვენ გგონიათ, ვერ ჩავალ?

ულფჰაიმი. უჩემოდ? თქვენც არ მომიკვდეთ!..

მაია (შეშინებული). მაშ, მომეხმარეთ! აბა, რაში მარგიხართ?

ულფჰაიმი. ხომ არ აჯობებს, ზურგზე წამოგიკიდოთ?

მია. მორჩით!

ულფ ჰაიმი. ან ხელში ატაცებული ჩაგიყვანოთ.

მია. თავიდან მომწყდით, მაგ თქვენი სისულელით.

ულფ ჰაიმი (გაბოროტებით). მე ერთხელ, ერთი გოგონა... ტალახიდან ამოვიყვანე და ხელში ავიტაცე. მინდოდა, მთელი სიცოცხლე ასე, ხელში აყვანილი, მეტარებინა... რომ ქვისთვის არ წამოეკრა ფეხი და არ ეტკინა... ფეხსაცმელები ხომ სულ დახეული ჰქონდა, როცა ვიპოვე...

მია. და მაინც აიყვანეთ და ხელით ატარეთ?

ულფ ჰაიმი. ტალახიდან ამოვიყვანე და მაღლა, სულ მაღლა ავიყვანე... ფრთხილად, სათუთად მიმყავდა... (ყრუ სიცილით). და იცით, რით გადამიხადა სამაგიერო?

მია. მაინც, რით?

ულფ ჰაიმი (უყურებს, უღიბს და თავს უქნევს). რქებით. სწორედ იმ რქებით, თქვენ რომ ასე გარკვევით დამინახეთ თავზე. ხომ სასაცილო ამბავია, ქალბატონო დათვებზე მონადირევი?

მია. რა უშავს. საკმაოდ სასაცილოა. მაგრამ მე უფრო სასაცილო ამბავი ვიცი.

ულფ ჰაიმი. მაინც?

მია. მოგახსენებთ... იყო და არა იყო. რა, იყო ერთი სულელი გოგო. ღარიბულად ცხოვრობდა, თავის დედ-მამასთან ერთად. ერთხელ მათ საცოდავ ქოხს მდიდარი ბატონი მოადგა. ხელში აიყვანა გოგო და შორს, ძალიან შორს წაიყვანა...

ულფ ჰაიმი. მერე, გოგოსაც უნდოდა?..

მია. დიახ, უნდოდა; აკი მოგახსენეთ, სულელი იყო-მეთქი.

ულფ ჰაიმი. ის ბატონი, ალბათ, ძალიან ლამაზი იყო.

მია. არა; ვერ იტყოდი მზექაბუეიყო. მაგრამ გოგოს ჩააგონა, ყველაზე მაღალ მთაზე აგიყვან, სადაც ისეთი თვალისმომკრელი სინათლე, უსაზღვრო სივრცე და ჩახჩახა მზეა, როგორსაც სხვაგან ვერსად ნახავო.

ულფ ჰაიმი. მაშ, ალპინისტი ყოფილა.

მია. დიახ, თავისებური ალპინისტი იყო.

ულფ ჰაიმი. მერე, აიყვანა ის გოგო მთაზე?

მია (თავს უკან გადააგდებს). მაშ, როგორ არა?.. ერთ ცივ ნესტიან გალიაში შეიტყუა, სადაც არც მზე იყო და არც თავისუფლად. სუნთქვა შეიძლებოდა. მხოლოდ მოოქროვილი კედლები და ზედ ადამიანთა ვეება, გაქვავებული ლანდები... მეტი არაფერი.

ულფ ჰაიმი. დალახეროს ეშმაკმა! ასე მოუხდება!..

მაია. რას იტყვი, ხომ სასაცილო ამბავია?

ულფ ჰაიმი (წუთით შეაჩერდება). მომისმინეთ, ჩემო ძვირფასო მონადირე!

მაია. აბა, კიდე რა გნებაეთ?

ულფ ჰაიმი. ერთმანეთისთვის ხომ არ მიგვეკერებინა ჩვენი ძონძები?

მაია. რაო, ბატონ მემამულეს მეძონძე თერძის ხელობა მოენატრა?

ულფ ჰაიმი. მართლა, ღმერთმანი! ხომ არ გვეცადა ამ ძონძებისთვის აქა-იქ საკერავი დაგვედო? ვინ იცის, იქნებ, ამ ძველმანებისგან ასე თუ ისე ასატანი ახალი ცხოვრება გამოგვეყვანა?

მაია. კი მაგრამ, როცა ეს ძონძები საბოლოოდ დაიცრიცება და დაიხევა, მაშინ რალა ვქნათ?

ულფ ჰაიმი (ხელს ჩაიქნევს). მაშინ ისევ თავისუფლები ვიქნებით, როგორც ახლა ვართ... არაფერია, გავუძლებთ... მაინც ფეხზე ვიდგებით!

მაია (იციხის). თქვენ მაგ თქვენს... თხის ფეხებზე. არა?

ულფ ჰაიმი. თქვენ კი -- თქვენსაზე... მოდის?

მაია. გმადლობთ, თქვენ რომ მოდიოდით, მე მივდიოდი... აბა, წავედით!

ულფ ჰაიმი. მოიცათ! სად წავედით?

მაია. ქვემოთ, სასტუმროში.

ულფ ჰაიმი. მერე?

მაია. მერე გულთბილად დავემშვიდობოთ ერთმანეთს.

ულფ ჰაიმი. განა მე და თქვენ შეგვიძლია ასე დავშორდეთ ერთიმეორეს, მითხარით, შეგვიძლია?

მაია. თოკით ხომ მაინც ვერ შემკართ?

ულფ ჰაიმი. მე შემიძლია ციხე-კოშკი შემოგთავაზოთ.

მაია (ქოხზე უთითებს). ასეთი?

ულფ ჰაიმი. ის ჭერ კიდე არ დანგრეულა.

მაია. და კიდე, მსოფლიოს ყველა სამეფო და მათი დიდება?

ულფ ჰაიმი. მე მხოლოდ ციხე-კოშკს გპირდებით.

მაია. გმადლობთ. ყელში ამომივიდა ამდენი ციხე-კოშკები.

ულფ ჰაიმი. ...! ირგვლივ გადაქიმული დიდებული, თვალუწვდენი ტყეებით.

მაია. მაგ თქვენს ციხე-კოშკში ხელოვნების ქმნილებებიც თუ იქნება?

ულფ ჰაიმი (ყოყმანით). არა, ხელოვნების ქმნილებები არ იქნება, მაგრამ...

მაია (შევებით ამოისუნთქავს). ამაზეც მადლობელი ვარ!

ულფ ჰაიმი. მაშ. წამოხვალთ ჩემთან ერთად... სადაც და რამდენ ხანსაც მე მოგთხოვთ?

მაია. მე მოთვინიერებული მტაცებელი ფრინველი მდარაჯობს.

ულფ ჰაიმი (შლეფური აგზნებით). ჩვენ ამ ფრინველს მოეკლავთ, მაია!

მაია (ეროხანს უტკერის; მერე მტკიცე ხმით ამბობს). მაშ, გადამიყვანთ ამ უფსკრულზე?

ულფ ჰაიმი (ხელებს შემოხვევს). ისედაც დავიგვიანეთ! ნისლი უკვე თავზე წამოგვედგომია!..

მაია. ბილიკი ძალიან საშიშია?

ულფ ჰაიმი. მთაში ნისლი უფრო საშიშია.

მაია ხელიდან გაუსხლტება და ხრამის პირას მიიღბენს, ძირს ჩახედავს, მაგრამ მაშინვე უკან მოაწყდება.

ულფ ჰაიმი (უახლოვდება და იცინის). რაო, თავბრუ ხომ არ დაგეხვათ?

მაია (დაღლილი). ჰო, არც უმაგისობაა, მაგრამ თქვენ თვითონ ჩაიხედეთ. ხედავთ იმ წყვილს?..

ულფ ჰაიმი (ხრამისკენ გადაიხრება). ოჰო! თქვენი მტაცებელი ფრინველი... იმ უცხო ქალთან ერთად...

მაია. არ შეიძლება. როგორმე მხარი ავუქციოთ... რომ არ დაგეინახონ?

ულფ ჰაიმი. შეუძლებელია. ბილიკი ძალზე ვიწროა. სხვა გზა კი არ არის.

მაია (მხნეობას იკრებს). კეთილი... მაშ. უშიშრად დავხვედებით აქ.

ულფ ჰაიმი. აი, ეს მესმის! ნამდვილი მონადირე ხარ!

სიღრმეში გამოჩნდებიან რუბეკი და ირენი. ისინი ხრამის ფერდს მოუყვებიან. რუბეკს მხრებზე პლელი მოუსხამს, ირენს თოთრ კაბაზე ბეწვის მოსასხამი მოუვლია, თავზე გელის ბუმბულის თვისაბური ახურავს.

რუბეკი (მხოლოდ ტანხვეით ჩანს). ა-ა. მაია! როგორც ჩანს, ერთხელ კიდევ გვეწერა შეხვედრა.

მაია (მოჩვენებითი სიმტკიცით). მოგესალმებით. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

რუბეკი ამოვა, ხელს უწვდის ირენს და ამოსვლაში ეხმარება.

რუბეკი (ყოვად, მაიას). შენც მთელი ღამე მთაში გაატარე... ჩვენსავით?

მაია. ჰო, ვნადირობდი. შენ ხომ ნებართვა მომეცი.

ულფ ჰაიმი (ხევისკენ უთითებს). ამ გზით მოხვედით?



რუბეკი. როგორც ხედავთ.

ულფჰაიმი. ეს უცხო ქალბატონი?

რუბეკი. რა თქმა უნდა (მაიას შეხედავს). ამიერიდან მე და ეს ქალბატონი მუდამ ერთი გზით ვივლით.

ულფჰაიმი. მერედა, იცით, რომ სიკვდილის გზით მოდიოდით?

რუბეკი. მაინც დავადექით. პირველად არც ისე ძნელი ჩანდა.

ულფჰაიმი. თავდაპირველად არაფერი არა ჩანს ძნელი. მაგრამ მერე და მერე, შეიძლება ისეთ ვიწრო ნაპრალს მიაღვე, რომ ველარც წინ ნახავ გასასვლელს და ველარც უკან. ჰოდა, ჩიხში მოემწყვდევეით, ბატონო პროფესორო! ქარაფებში გაეჩხირებით, როგორც ჩვენ, მონადირეები, ვიტყვი თ ხოლმე.

რუბეკი (ლიბლით უუურებს). რაო, ამას მიწინასწარმეტყველებთ, ბატონო ულფჰაიმ?

ულფჰაიმი. წინასწარმეტყველებისაგან ღმერთმა დამიფაროს! (ხელით ანიშნებს). მაგრამ ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ჩვენს ზემოთ სააედრო ღრუბლები გროვდება? არ გესმით, როგორ უსტვენს გრიგალი?

რუბეკი (აუურადებს). თითქოს მკედრეთით აღდგომის დღის პრელუდიაა.

ულფჰაიმი. მწვერვლებზე უკვე ქარიშხალი ამოვარდა. შეხედეთ, როგორ მოჰქრინან ღრუბლები და ძირს ეშვებიან. მალე გარს შემოგვეხვევიან, სუდარასავით.

ირენი (შეკრთება). მე კარგად ვიცი ამ სუდარას.

მაია (ულფჰაიმს ქვეით ეწევა). ჩქარა წავიდეთ!

ულფჰაიმი (რუბეკს). მე მხოლოდ ერთ ადამიანს თუ ჩავიყვან. ჯერჯერობით ქოხს შეაფარეთ თავი... სანამ ქარიშხალი გადაივლის. მერე ხალხს მოგაშველებთ...

ირენი (თეზარდაცემული) ხალხს? არა! არა!

ულფჰაიმი (უხეშად). თუ საჭირო იქნა, ძალით წაგიყვანენ. აქ უკვე სიკვდილ-სიცოცხლეზეა საქმე. კარგად დაიხსომეთ. (მაიას). წავიდეთ... თქვენი მეგობრის იმედი გქონდეთ!..

მაია (ეყვრის). ო, რას გავიხარებ, როცა ძირს საღ-სალამათი ჩავალ!

ულფჰაიმი (ჩადის და დარჩენილებს უძახის). ქოხში დაიცადეთ, ვიდრე ხალხი მოგაკითხავდეთ თოკებით!

ულფჰაიმი, რომელსაც მაია მაგრა ჩაუკრავს, აჩქარებით, მაგრამ ფრთხილად ეშვება ხრამში.

ირენი (ერთხანს თეზარდაცემული უუურებს რუბეკს). გაიგონე, არნოლდ? ჩემს წასაყვანად ხალხი მოვა! ბევრი ხალხი!..

რუბეკი. დამშვიდდი, ნუ ლელავ, ირენ!

ირენი (უფრო ეშინია). ისიც... ის შაოსანიც მოვა... ალბათ, უკვე დიდი ხანია დამეძებს. მოვა და ხელს მტაცებს, არნოლდ. გიყის პერანგს ჩამაცმევს! ჩემოდნით ჩამოუტანია. მე თვითონ ვნახე...

რუბეკი. ერთი ვინმემ გაბედოს და ხელი გახლოს!

ირენი (უმისამართო ლიპილით). მე თვითონ დავიცავ ჩემს თავს?

რუბეკი. შენ? რით?

ირენი (დანას ამოიღებს). აი, ამით!

რუბეკი (დანის წართმევას უპირებს). შენ დანა გაქვს?

ირენი. დიახ. არც დღე ვიცოლებ და არც ღამე. ლოგინშიც თანა მაქვს.

რუბეკი. ახლავე მომეცი, ირენ!

ირენი (დანას მალავს). არა, არ მოგცემ. შეიძლება მე თვითონ დამჭირდეს.

რუბეკი. აბა, აქ რაში უნდა დაგჭირდეს? .

ირენი (ჩიქურ უცქერის). ეს დანა შენთვის მინდოდა, არნოლდ!

რუბეკი. ჩემთვის?

ირენი. გუშინ, ტაუნის ტბის პირას რომ ვისხედით...

რუბეკი. ტაუნის ტბის პირას?..

ირენი. ... ქობთან... და გედებითა და წყლის შროშანებით ვთამაშობდით...

რუბეკი. მერე?..

ირენი. ... მერე, როცა შენ ისე ცივად, ყინულივით ცივი ხმით მითხარი, რომ მე მხოლოდ ეპიზოდი ვიყავი შენთვის... ეპიზოდი...

რუბეკი. კი მაგრამ, ეს ხომ შენ თვითონ თქვი ირენ, და არა მე?

ირენი (განაგრძობს)... მაშინ მე დანა ამოვიღე. მინდოდა ზურგში ჩამეცა შენთვის.

რუბეკი (პირქუშად). მერედა, რატომ არ ჩამეცი?

ირენი. იმიტომ, რომ უეცრად საზარელმა აზრმა გამიელვა თავში... მივხვდი, რომ შენ უკვე მკვდარი იყავი... დიდი ხნის მკვდარი.

რუბეკი. მკვდარი?

ირენი. დიახ, მკვდარი... ჩემსავით მკვდარი. ჩვენ კი ვისხედით იქ... ტბის პირას... ორი გაყინული გვამი... და ერთად ვთამაშობდით.

რუბეკი. არა, მე ამას სიკვდილს ვერ დავარქმევ... მაგრამ შენ ჩემი არ გესმის.

ირენი. მერედა, სად არის ცეცხლოვანი ვნება, რომელსაც შენ ასე ებრაძოდი. როცა შიშველი ვიდექი შენს წინაშე, როგორც მკვდრეთით აღმდგარი?

რუბეკი. ჩვენი სიყვარული, ალბათ, არ მომკვდარა, ირენ.

ირენი. სიყვარული... რომლითაც მიწიერ სიცოცხლეში უყვართ... ამ საოცარ და მშვენიერ, ამ იღუმალეზით მოცულ მიწიერ სიცოცხლეში... ეს სიყვარული დიდი ხანია მოკვდა ჩვენს გულში.

რუბეკი (ვნებოანად). იცი თუ არა, რომ სწორედ ამ სიყვარულით ვიწვი ამჟამად... ისე ვიწვი, როგორც არასდროს...

ირენი. ა-ა, ხომ არ დაგავიწყდა, ვინა ვარ მე ახლა?

რუბეკი. ვინც გინდა, ის იყავი! ჩემთვის შენა ხარ ქალი, რომელზედაც მთელი სიცოცხლე ვოცნებობდი!

ირენი. მე მბრუნავ დისკოზე ვიდექი... შიშველ-ტიტველი... ათასი მრუშის თვალს ვატკობდი... შენს შემდეგ.

რუბეკი. ეგ ჩემი სიბრძავეის ბრალია! მე დავეყენე თიხის მკვდარი ფიგურა სიცოცხლეზე, სიყვარულზე, ბედნიერებაზე მალა!

ირენი (თვალდახრილი). გვიანდაა. გვიან.

რუბეკი. რაც არ უნდა ყოფილიყო, შენ ერთი ლაქაც არ მოგცხებიან ჩემს თვალში.

ირენი (ამაყად ასწევს თავს). და არც ჩემს საკუთარ თვალში!

რუბეკი. მაშ, რაღა გვიშლის ხელს? ორივენი თავისუფალნი ვართ და ჭერ კიდევ გვაქვს საიმიისო დრო, რომ თავიდან დავიწყოთ სიცოცხლე, ირენ!

ირენი (დათრგუნული უტკერის). სიცოცხლის წყურვილი ჩაკვდა ჩემს სულში, არნოლდ... მე აღვსდექი და გეძებდი შენ... გიპოვე კიდევ... მაგრამ მივხვდი, რომ შენც მკვდარი ხარ და სიცოცხლეს მკვდარია, ისევე, როგორც მე ვიყავი მკვდარი.

რუბეკი. ო, როგორ სცდები. სიცოცხლე ჩვენშიაც და ჩვენს ირგვლივაც ძველებურად დულს და ბობოქრობს.

ირენი (ლიბლით აქნევს თავს). შენი ნორჩი, მკვდრეთით აღმდგარი ასული სედავს, რომ მთელი სიცოცხლე უკვე მკვდარია.

რუბეკი (ვნებოანად ჩაიკრავს გულში). მაშ, დაე, მკვდრებმა გამოვეც-ალოთ ბოლომდე სიცოცხლის თასი, ვიდრე ხელახლა საფლავში ჩავიდოდეთ!

ირენი (წაშოიძახებს). არნოლდ!

რუბეკი. მაგრამ არა აქ, ამ წყვილადში! სადაც ეს წყეული ნისლი გვიხუთავს სულს...

ირენი (ვნებოთ ატაცებული). არა, არა! იქით გავსწიოთ, სინათლისკენ, სხივებისკროვანი დიდებისა და თავდავიწყების მწვერვალისაკენ!

რუბეკი. იქ ვინეიმებთ ჩვენს ქორწილს, ჩემო სიცოცხლევ, ირენ!..  
ირენი (აპყაღ). დე. მზემ გვიყუროს, არნოლდ.

რუბეკი. დაე. კვიყურონ სინათლისა და წყვილიადის ყველა ძალებმა! (ხელს ჩასქაღებს). მაშ, მომყევი, ჩემო სასძლოვ, ჩემო ცოდვების მომტევებლო!

ირენი (თითქოს გონება გაუნათლდაო). მზადა ვარ, ყველგან თან ვეახლო ჩემს ბატონსა და მბრძანებელს.

რუბეკი (წინ წაუძღვება). ჭერ ამ ბურუსს დავალწიოთ თავი, ირენ, მერე კი...

ირენი. ჰო, ჭერ უკან მოვიტოვოთ ნისლიც, ჭანლიც და ბურუსიც...  
მერე კი მწვერვალზეც შევდგათ ფეხი, ამომავალი მზით გაბრწყინებულ მწვერვალზე!

ნისლი თანდათან სქელდება. ირენი და რუბეკი ხელიხელჩაკიდებულნი მიიკვლევენ გზას მკინვარზე და მალე ჩამოწოლილ ღრუბლებში უჩინარდებიან. ჰერში მოახლოებული ქარიშხლის ღრიალი ისმის. ხელმარცხნივ მოწყალების და გამოჩნდება, ხრამის პირას ჩერდება და მღუმარედ იყურება აქეთ-იქით.

მაიას მხიარული ხმა (საღლაც ქვემოდან მოისმის).

დამთავრდა ჩემი მონობა,  
მოვრჩი, აღარ ვარ აყადო,  
ო, გულს რარიგად უხარის,  
ნიტივით თავისუფალი  
რომ ასე ღაღად წაგარდობს!

უეცრად მოის მწვერვალს ქექა-ქუხილი შეაზანზარებს და ზვაევი ჩამოწვება. რუბეკი და ირენი წამით გაიღვებენ კორიანტელში, მერე ორივეს ზვაევი მარხავს. მოწყალების და (შექივლებს და ხელებს გაიწვდის მათკენ) ირენ! (ერთხანს მღუმარედ ღვას, მერე ჰაერში ჭვარს გამოსახავს და ამბობს). Pax vobiscum!

ქვემოდან ისევ მოისმის მაიას მოზვიმე ხმა, რომელიც თანდათან შორეული ხდება.



## სარჩევნი

გარეული იხვი	. . . . .	5
როსმერსპოლში	. . . . .	101
ზღვის ასული	. . . . .	183
ქელა გაბლერი	. . . . .	267
მშენებელი სოლნესი	. . . . .	349
პატარა ეიოლფი	. . . . .	427
როცა ჩვენ, მკედრები, ვილვიძებთ	. . . . .	487